ა. გ. მოვსესიანი, ს. ბ. ოგნივცევი

მსოფლიო ეკონომიკა

სახელმძღვანელო

ტომი II

რუსულიდან თარგმნა შოთა ვეშაპიძემ

თბილისი

2004

უაკ (UDC) 339.9
მ 808

მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ.
მსოფლიო ეკონომიკა: სახელმძღვანელო, ტომი II,
თარგმნილი რუსულიდან შ. ვეშაპიძის მიერ, თბილისი, 2004

წინამდებარე წიგნი ქართულ ენაზე ორ ტომად გამოდის. მისი პირველი ტომი 2003 წელს დაისტამბა, მასში შევიდა წიგნის I, II, III და IV კარები. ეს გამოცემა კი წიგნის მეორე ტომია, რომელიც V და VI კარებს მოიცავს. სახელმძღვანელო გამოირჩევა ნოვატორული მიდგომით არა მარტო სასწავლო მასალის შინაარსისა და განსახილველი პრობლემების შერჩევისადმი, არამედ მისი გადმოცემითაც. მსოფლიო ეკონომიკის პრობლემები განიხილება ცოდნის მრავალი სფეროს მოშველიებით მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგებიდან — ისტორიით დაწყებული და ბიოლოგიითა და კიბერნეტიკით დამთავრებული.

წიგნი მაღალ პროფესიონალურ დონეზეა დაწერილი. ამასთან, მასალა გადმოცემულია მკითხველთან დიალოგის სტილში, ადვილად და მიმზიდველად, უამრავი საინტერესო ფაქტისა და ციფრის გამოყენებით.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია

პროფ. შოთა ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორი),
პროფ. ნანა ასლამაზიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
პროფ. ამბროსი გრიშიკაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
პროფ. ეკა ლეკაშვილი, პროფ. ნინო პაპაჩაშვილი

© თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
ISBN 99928-0-974-4

სარჩევი

V ქარი. ქვეყნები და სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიკაში 7

თავი 17. ქვეყნების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით და რეგიონალური ინტეგრაცია 7

17.1. ქვეყნების კლასიფიკაცია 8
17.2. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ეკონომიკაში მათი ადგილის მიხედვით 14
17.3. ინტეგრაციულ წარმონაქმთა კლასიფიკაცია 18
17.4. ევროპის ინტეგრაციული გაერთიანებები 20
17.5. ამერიკის ინტეგრაციული გაერთიანებები 27
17.6. აზიის ინტეგრაციული გაერთიანებები 29
17.7. აფრიკის ინტეგრაციული გაერთიანებები 32

თავი 18. განვითარების ამერიკული მოდელი 35

18.1. ამერიკული ეკონომიკური მოდელის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები 36
18.2. აშშ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია 44
18.3. აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურა და მდგომარეობა 49
18.4. აშშ-ის ტრანსეროვნული კაპიტალი 56
18.5. ამერიკული სახელმწიფო და ბიზნესი 61
18.6. ამერიკული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები 70

თავი 19. გაერთიანებული ევროპის გზა 79

19.1. ევროპის კავშირი: ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები 80
19.2. ევროპული გაერთიანების გენეზისი 86
19.3. EU-ის ქვეყნების ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა 89
19.4. EU-ის ქვეყნების ეკონომიკურ მოდელთა თავისებურებანი 96
19.5. EU-ის ტრანსეროვნული კაპიტალი 112
19.6. EU-ის განვითარების ტენდენციები 119

თავი 20. იაპონია და წარმოების აზიური წესი 127

20.1. იაპონიის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები 128
20.2. იაპონიის ეკონომიკური მოდელის გენეზისი და სტრუქტურა 134

20.3. იაპონიის ეკონომიკური მოდელის თავისებურებანი 146
20.4. იაპონიის ტრანსეროვნული კაპიტალი 154
20.5. იაპონიის ეკონომიკის პრობლემები და
განვითარების ტენდენციები 158

თავი 21. დიადი ჩინეთი. 166
21.1. ჩინეთის ბუნებრივი, დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური
და ცივილიზაციური რესურსები 167
21.2. ჩინეთის ეკონომიკური რეფორმა 173
21.3. ჩინეთის ეკონომიკური მოდელი 181
21.4. ჩინეთის ეკონომიკის პერსპექტივები, ტენდენციები
და პრობლემები 189

თავი 22. განვითარებადი ქვეყნების განვითარება 194
22.1. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინდუსტრიული ქვეყნები 196
22.2. ინდოეთის სუბკონტინენტი 205
22.3. ლათინოამერიკული ქვეყნების ეკონომიკა 213
22.4. ახლო და შუა აღმოსავლეთის ეკონომიკა 221
22.5. აფრიკული ქვეყნების ეკონომიკა 227

თავი 23. რუსეთის ადგილი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში 231
23.1. რუსეთის ბუნებრივი რესურსები 232
23.2. რუსული ცივილიზაციური რესურსები 238
23.3. რუსეთის ეკონომიკური მოდელი 244
23.4. რუსეთის ეკონომიკის სტრუქტურა... 250
23.5. რუსეთის ბიზნესის მდგომარეობა და პერსპექტივები 260

VI კარი. მეგაეკონომიკის ფუტუროლოგია 274

თავი 24. მსოფლიო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები
მესამე ათასწლეულის დასაწყისში 274
24.1. მეგაეკონომიკის მომავალი 275
24.2. ტრანსეროვნული კაპიტალის და ეროვნული
საბელმწიფოების მომავალი 292
24.3. რუსეთის მომავალი 298

დასკვნა 314

დანართი 1. აბრევიატურები 328
დანართი 2. ცნობები ქართული გამოცემის სარედაქციო
კოლეგიის წევრების შესახებ 330

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა ხდება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების დარგი და მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინა, არამედ პრაქტიკული ცოდნის კომპლექსიც, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს მიაღწიოს წარმატებას სწრაფად გლობალიზირებად სამყაროში. ეს წიგნი სწორედ მათთვის — სტუდენტების და ასპირანტებისთვის, მასწავლებლებისა და ჩინოვნიკებისთვის, ბიზნესმენებისა და ბანკირებისთვის, მეცნიერებისა და ტრეიდერებისთვის არის განკუთვნილი. თქვენს წინაშე საკმაოდ უჩვეულო სახელმძღვანელოა. ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ სასწავლო დისციპლინის შინაარსის გადმოცემის სისადავე და სისრულე, რომელსაც თავისი სავალდებულო საგანმანათლებლო სტანდარტები გააჩნია, შეგვეთავსებინა გადმოცემის თავისუფალ, ცოცხალ სტილთან, რომელიც დამახასიათებელია საუკეთესო დასავლური სასწავლო გამოცემებისათვის. ჩვენი აზრით, ეს საშუალებას მოგვცემს შევიცნოთ ახალი კონცეფციები და საკმაოდ რთული ეკონომიკური კონსტრუქციები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას. ჩვენ ვცდილობდით ძირითადი ეკონომიკური კანონზომიერებების გადმოცემის ფუნდამენტალურობა შეგვეთავსებინა სრულიად ახალი მოვლენებისა და იდეების გააზრებასთან, რომელთა შესწავლის გარეშე თანამედროვე გლობალური მსოფლიომეურნეობრივი სისტემის სრული წარმოდგენა შეუძლებელია.

ქართველ მკითხველს განსაკუთრებული სიხარულით წარვუდგენთ ჩვენს სახელმძღვანელოს. საქართველომ, საბჭოთა იმპერიის სივრცეში წარმოშობილმა ქვეყანამ, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო თავისი განსაკუთრებული ადგილის ძიება მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში. მან წარმატებით განახორციელა საგარეო ეკონომიკური რეფორმები და შევიდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), უკან მოიტოვა უმეტესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. მისი გზა, ნამდვილი ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მყარი განვითარებისა, მეტად ძნელია, რაც დაკავშირებულია ბევრ არცთუ სრულად ეკონომიკური ხასიათის პრობლემასთან. მიუხედავად ამისა, ქვეყანა უკვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა, მტკი-

ცედ დაკავშირებული მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან და მძლავრ ტრანსეროვნულ კორპორაციებთან. სწორედ ახლა, თქვენი უძველესი და ამავე დროს ჯერ კიდევ ასეთი ახალგაზრდა ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობისთვის, დაწყებული მთავრობის წევრებიდან და დამთავრებული სპეციალისტებით, რომლებიც მონაწილეობენ ბაქო—თბილისი—ჯეიჰანის ნავთობსადენის, მის პარალელურად მშენებარე გაზსადენის და სხვა სოლიდური ტრანსკავკასიური საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე, აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნა.

თქვენდამი წარმოდგენილ წიგნს ლაიტმოტივად გასდევს აზრი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური პირობების დომინირების შესახებ სხვა ფაქტორებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ განვითარებას. თანამედროვე ვითარებაში ეკონომიკის ეფექტიანობისათვის ისინი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე ბუნებრივი რესურსები. სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი მოდელების ეფექტიანობა, დამოკიდებულია არა იმდენად თვით ცივილიზაციურ საფუძვლებზე, რამდენადაც ამ საფუძვლებისადმი მოდელების შესაბამისობაზე. ჩვეულებრივ, უფრო ეფექტიანი აღმოჩნდება ის ეკონომიკური მოდელი, რომელიც უკეთესად გამოიყენებს ეკონომიკური ევოლუციის მსვლელობისას შემუშავებულ ცივილიზაციურ პოტენციალს.

საქართველო უძველესი ისტორიის, ბრძენი, ენერგიული ხალხისა და მაღალი ცივილიზაციური პოტენციალის ქვეყანაა. ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს თქვენი ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას, რასაც ჩვენ მთელი სულითა და გულით გისურვებთ.

ა. ბ. ბოვსეფიანი
ს. ბ. ოგნივცევი

თავი 17

ქვეყნების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით და რეგიონალური ინტეგრაცია

ქვეყნების კლასიფიკაცია. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ეკონომიკაში მათი ადგილის მიხედვით. ინტეგრაციულ წარმონაქმნთა კლასიფიკაცია. ევროპის ინტეგრაციული გაერთიანებები. ამერიკის ინტეგრაციული გაერთიანებები. აზიის ინტეგრაციული გაერთიანებები. აფრიკის ინტეგრაციული გაერთიანებები

ჩვენ გადავდივართ მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული ქვეყნების და სახელმწიფოთა განხილვაზე. მიუხედავად ტერმინების „ქვეყანა“ და „სახელმწიფო“ თითქოსდა სრული სინონიმურობისა, მათ გარკვეული მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც გააჩნიათ. *(ქვეყანა — ეს ისტორიულად განსაზღვრული, გამოცალკევებული ტერიტორიაა, რომელსაც ჩვეულებრივ გარკვეული სახელმწიფო სუვერენიტეტი გააჩნია. ხოლო სახელმწიფო — ხელისუფლების აპარატია, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს.)* რა თქმა უნდა, უმეტესწილად ცნებებს „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“ იყენებენ, როგორც სინონიმებს. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსეთისათვის, მისი მოსახლეობის გამძაფრებული სახელმწიფო მენტალიტეტით. შესაძლოა, სწორედ ამ ცნებათა აღრევა მოსახლეობის შემეცნებაში წარმოადგენს რუსეთის მრავალრიცხოვანი უბედურებების და გაუგებრობების მნიშვნელოვან წყაროს. თუკი მოსახლეობა ისწავლიდა ისე აღექვა სახელმწიფო, როგორც ტოტალიტარიზმის პირობებში თავს მოხვეული, ან

დემოკრატიული მართვისას მათ მიერ დაქირავებული აპარატი, არ გააიგივებდა რა და მას თავის ქვეყანასთან — რუსეთთან, ბევრი რამ სავსებით სხვაგვარად შეიძლებოდა მომხდარიყო.

პრაქტიკაში ქვეყნები სახელმწიფოებს ყოველთვის როდი ემთხვევა. მაგალითად, შოტლანდია ან „ბასკების ქვეყანა" უეჭველად ქვეყნებია, მაგრამ არა — სახელმწიფოები. ინდოეთი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინგლისის კოლონია იყო, ქვეყნად რჩებოდა. ქვეყანას სახელმწიფოს შეცვლა შეუძლია, ისე რომ ერთიანი, მთელი დარჩეს. მეფის რუსეთი, საბჭოთა კავშირი და თანამედროვე რუსეთი ერთი და იმავე ქვეყანას წარმოადგენს, თუმცა სხვადასხვა პერიოდში არსებულ სახელმწიფოებს პრაქტიკულად საერთო არაფერი ჰქონდათ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის განხილვისას სახელმწიფო მოწყობის საკითხებს მკაფიოდ გამოვყოფთ და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე სახელმწიფოთა გავლენის ანალიზს მოვახდენთ. ინსტიტუციონალური, ისტორიული და ევოლუციური მიდგომის თანმიმდევრული გათვალისწინებით, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მსვლელობას მის ცივილიზებულ ან ინსტიტუციონალურ რესურსებს დავუკავშირებთ.

17.1. ქვეყნების კლასიფიკაცია

ქვეყნების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნებიდან გამომდინარე. საერთოდ, მეცნიერებაში კლასიფიკაციის საკითხებს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მარჯვედ არჩეული საკლასიფიკაციო ნიშნები მანამდე უცნობი ბუნებისა და საზოგადოების კანონების ამოხსნის საშუალებას იძლევა. კლასიფიკაციის ნაყოფიერების კლასიკურ მაგალითს დ. ი. მენდელეევის ელემენტების პერიოდული სისტემა წარმოადგენს. ელემენტის ატომური წონის კლასიფიკაციურ ნიშნად არჩევის შესახებ გენიალურმა მიხვედრამ მას საშუალება მისცა არა მარტო მკაფიოდ დაესაბუთებინა ელემენტის უკვე არსებული ჯგუფი მსგავსი ქიმიური თვისებებების მიხედვით და „აქამდე უცნობი ელემენტების" აღმოჩენის პროგნოზირება მოეხდინა ცნობილი თვისებებით, არამედ მეცნიერება მიეყვანა ქიმიური ელემენტების თვისებების ახსნამდე, ატომურ წონასთან მჭიდროდ დაკავშირებული მათი ატომების ელექტრონული გარსის სტრუქტურის მეშვეობით.

ამგვარად, კარგი კლასიფიკაციაა შემდგომი აღმოჩენებისათვის პლაცდარმი. სწორედ ნაპოვნი კლასიფიკაციის არსებით ნიშანს წარმოადგენს მთელი სისტემის დაყოფა მკაფიოდ გამოხატულ ჯგუფებად, აშკარად გა-

მოკვეთილი საზღვრებითა და ყოველი ჯგუფის წევრებისათვის დამახასიათებელი თვისებებით.

მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნებს წარმოადგენს:

1. ცივილიზაციის ტიპი და არსებული ცივილიზაციური რესურსები. განსაზღვრულ ცივილიზაციურ ტიპთან კუთვნილება წარმოადგენს ყველაზე მყარ ნიშანს ქვეყნების კლასიფიკაციის დროს. ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, როგორც წესი, განსაზღვრულ ცივილიზაციას ეკუთვნის, ცივილიზაციათაშორისი გადასვლები ძალზე იშვიათად გვხვდება და უმეტესწილად დაკავშირებულია ახალი ქვეყნის წარმოშობასთან ძველის ბაზაზე.

2. ინსტიტუციონალური რესურსები და სახელმწიფო მოწყობა. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები აგრეთვე წარმოადგენს იმ ნიშნებს, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას განსაზღვრავს. კანონმდებლობის ტიპი (საერთო, კონტინენტალური, შარიატის და სხვა სამართლის), ხელისუფლების სისტემა, სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და საქმიანი ბრუნვის ტრადიციები ხშირად ახდენს გადამწყვეტ გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ქვეყნებს პოლიტიკური ნიშნების მიხედვით ძირითადად ყოფენ:

ა) მონარქიულ, კონსტიტუციურ-მონარქიულ და რესპუბლიკურად;

ბ) ტოტალიტარულ, სადაც ფაქტობრივად ძალაუფლება პირთა ჯგუფის მიერაა უზურპირებული, შესაძლოა, კონტროლირებადი არჩევნების სისტემის გამოყენებით და დემოკრატიულად;

გ) უნიტარულ (მკაცრი ცენტრალიზებული ძალაუფლებით), ფედერალურ (ძალაუფლების გამიჯვნით ცენტრსა და რეგიონებს შორის ცენტრის ხელმძღვანელი როლით) და კონფედერაციულად;

დ) საპრეზიდენტო და საპარლამენტო, იმისდა მიხედვით, თუ რომელს ეკუთვნის რეალური ძალაუფლება ქვეყანაში.

ქვეყნების კლასიფიკაციაზე, მათი როლის მიხედვით ეკონომიკაში, თავის შემდეგ პარაგრაფში შევჩერდებით.

3. ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების ეფექტიანობა. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესაფასებლად შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები გამოიყენება:

ა) ეფექტიანი ტერიტორია, რომელიც ქვეყნის საერთო ტერიტორიიდან იმ ნაწილის გამოკლებით მიიღება, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო წარმატებული სამეურნეო საქმიანობა შეუძლებელია (საშუალოწლიური ტემპერატურა — 2 ^{0}C-ზე ნაკლებია). ეფექტიანი ტერიტორიის მიხედვით მსოფლიო ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე ბრაზი-

ლიაა, ხოლო რუსეთი მისი ბუნებრივი რესურსების შესაბამისად შედარებით მოკრძალებულ მეხუთე ადგილზე გადადის.

ბ) ბუნებრივი რესურსების რაოდენობა, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე მოდის. ეს შეფასება უნდა კეთდებოდეს ღირებულებით გამოხატულებაში, ამ რესურსების სამეურნეო ბრუნვაში შემოტანის დანახარჯების გათვალისწინებით;

გ) ენერგორესურსების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე მათი მისაწვდომობის გათვალისწინებით.

ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა მოცემულ ქვეყანაში განისაზღვრება:

ა) მასალების ღირებულების შეფარდებით ქვეყნის მთელი საბოლოო პროდუქტის ღირებულებასთან;

ბ) ენერგორესურსების დანახარჯებით ქვეყნის მშპ-ის ერთეულის წარმოებაზე;

გ) ეკონომიკის ნაყოფიერებით, რომელიც იზომება ქვეყნის საბოლოო პროდუქციის შეფარდებით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან.

4. ძირითად ეკონომიკურ წყობათა თანაფარდობა ეკონომიკაში. გაბატონებულ ეკონომიკურ წყობათა მიხედვით ქვეყნები შეიძლება დაიყოს:

ა) აგრარულ-სანედლეულოდ;

ბ) ინდუსტრიულად;

გ) პოსტინდუსტრიულად და ქვეყნებად, წყობათა შუალედური სტრუქტურით.

5. სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ძირითადად განისაზღვრება მაჩვენებელთა შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ქვეყნის მშპ-ის შეფარდება მსოფლიო მშპ-თან. ეს მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს განსაზღვრავს.

როგორ შეეფარდება დღეს ქვეყნები ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით? მათ შესადარებლად სასარგებლოა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოს მშპ 2000 წლისათვის დაახლოებით 31 ტრლნ დოლარის ტოლია. მასში ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს აშშ-ს — 9,3 ტრლნ დოლარზე მეტი. ეკონომიკური სიძლიერის მეორე პოლუსს შეადგენს გაერთიანებული ევროპა. EU[1]-ის ქვეყნებს, რომელშიც ახლა დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნები შედის, გააჩნია დაახლოებით 8,9 ტრლნ დოლარის საერთო მშპ. თვალსაჩინო ფორმით მსოფლიო მშპ-ის სტრუქტურა წარმოადგენილია 17.1. სურათზე.

---

1 აქ და ყველგან სახელმძღვანელოს ორიგინალში რუსულ ენაზე მოცემული აბრევიატურები შეცვლილია ინგლისურით.



სურ. 17.1. მსოფლიო მთლიანი პროდუქტის განაწილება.

მასში ძირითადი წვლილი შეაქვს გერმანიას (მშპ — 2,7 ტრლნ დოლ.), საფრანგეთს (1,46), დიდ ბრიტანეთს (1,42) და იტალიას (1,24 ტრლნ დოლ.). ეკონომიკური სიძლიერის მესამე პოლუსია იაპონია (მშპ — 3,9 ტრლნ დოლ.). ლიდერებს ელვის სისწრაფით უახლოვდება სწრაფად განვითარებადი ჩინეთი (მშპ — 1 ტრლნ დოლ.), რომელიც უკვე ფორმალურად მიერთებულ ჰონგ კონგთან (130 მლრდ დოლ.) და თანდათანობით გაერთიანებისკენ მავალ ტაივანთან (306 მლრდ დოლ.) ერთად უკვე დაეწია დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს და იტალიას მშპ-ის მიხედვით. ქვეყნებს, რომელთაც მშპ აქვს 0,5 ტრლნ დოლარის ფარგლებში, მიეკუთვნება კანადა (692 მლრდ დოლ.), ინდოეთი (594), ესპანეთი (577), მექსიკა (497), ნიდერლანდები (432), კორეა (428) და ავსტრალია (416 მლრდ დოლ.). რუსეთს (მშპ — 205 მლრდ დოლ.) ამჟამად ფრიად მოკრძალებული ადგილი უკავია იმ ჯგუფში, სადაც ავსტრია (218), შვედეთი (252) და პოლონეთი (166 მლრდ დოლ.) შედიან.[1]

1. Мир в 2000 году. — Эксперт. 2000.

დანარჩენი ქვეყნების შედარებით სიძლიერეზე ზოგადი წარმოდგენა შეიძლება მივიღოთ 17.1. ცხრილიდან.[1]

ცხრილი №17.1.

უმსხვილესი სახელმწიფოების წილის შეფასება მსოფლიო ეკონომიკურ და სამხედრო მაჩვენებლებში 90-იანი წლების ბოლოს

	ეროვ PPP*-ის მიხედვით	მოსახლეობა	ინვესტიციები	ექსპორტი	იმპორტი	საგარეო ვაჭრობა	საგარეო დავალიანება	ბირთვული იარაღი
მთელი მსოფლიო	100	100	100	100	100	100	100	100
აშშ	20,6	4,6	16,1	11,7	15,5	13,6	23,6	45,0
ჩინეთი	10,7	21,1	16,6	2,6	2,2	2,4	3,5	1,3
იაპონია	7,7	2,2	9,8	8,7	6,1	7,4	არაა მონაც.	0,0
გერმანია	4,7	1,4	4,7	10,4	9,1	9,8	10,3	0,0
ინდოეთი	4,1	16,4	3,9	0,6	0,8	0,7	3,4	0,1
საფრანგეთი	3,4	1,0	2,8	5,3	5,2	5,3	0,4	1,4
ინგლისი	3,2	1,0	2,2	4,9	5,3	5,1	2,4	1,1
იტალია	3,2	1,0	2,6	4,7	3,9	4,3	არაა მონაც.	0,0
ბრაზილია	2,9	2,8	2,7	0,9	1,0	1,0	5,2	0,0
ინდონეზია	2,2	3,4	3,4	0,9	0,9	0,9	3,3	0,0
მექსიკა	2,0	1,6	1,5	1,1	1,0	1,0	4,4	0,0
კანადა	1,8	0,5	1,5	3,8	3,4	3,6	2,6	0,0
კორეა	1,8	0,8	2,7	2,5	2,6	2,6	1,9	0,0
რუსეთი	1,6	2,6	1,0	1,6	1,3	1,4	3,2	50,0
თურქეთი	1,1	1,1	1,1	0,4	0,7	0,6	2,3	0,0
ირანი	1,1	1,1	1,4	0,4	0,3	0,3	0,8	0,0
პაკისტანი	1,0	2,3	0,8	0,2	0,2	0,2	1,0	0,1

** PPP — მყიდველობითი უნარის პარიტეტი*

1. Подсчитано Институтом США и Канады по: World Economic Outlook. - May 1999. International Monetary Fund. — W., 1999. — p. 128; 199 World Development Indicators. World Bank. — W., 1999. — p. 274-276; Nuclear Weapons Datebook. National Resources Defences Council. Washington, 1998; World Military Expenditures and Arms Transfers 1997. — Washington. 1998.

ბ) მშპ ერთ სულ მოსახლეზე, აღებული ვალუტის საბაზრო გაცვლითი კურსის და მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით. ესაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საკლასიფიკაციო მაჩვენებელი. შევნიშნავთ, რომ თუ განვითარებული ქვეყნებისათვის ვალუტის გაცვლითი კურსითა და PPP-ს მიხედვით გამოთვლილი მშპ დაახლოებით ემთხვევა, განვითარებადი ქვეყნებისათვის მშპ PPP-ს მიხედვით 2-5-ჯერ აჭარბებს მშპ-ს გაცვლითი კურსით.

ამიტომ მშპ-ის განსაზღვრის ამ ორი სისტემის ბაზაზე წარმოიშობა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მიხედვით ქვეყნის ორი სხვადასხვა თანმიმდევრობა. ეკონომიკური შედარებისათვის ხშირად იყენებენ მშპ-ს ვალუტის გაცვლის კურსით, ხოლო სოციალურისათვის კი — მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით.

სწორედ ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციას ახდენენ შემდეგნაირად:

ა) განვითარებული ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე მაღალი მშპ-ით (ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებს მიაკუთვნებენ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ერთ სულ მოსახლეზე თვიური მშპ 1000 დოლარს ან წელიწადში 12 ათას დოლარს შეადგენს). განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება უკვე ჩვენს მიერ არაერთგზის ნახსენები „ოქროს მილიარდის" ქვეყნები. ევროპულ განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება: ავსტრია — ერთ სულ მოსახლეზე 26740 დოლარის მშპ-ით, ნიდერლანდები — 27200 დოლ., ბელგია — 25670 დოლ., დანია — 32576 დოლ., შვეიცარია — 36166 დოლ., საფრანგეთი — 24956 დოლ., გერმანია — 27337 დოლ., დიდი ბრიტანეთი — 23947 დოლ., ირლანდია — 26510 დოლ., იტალია — 21393 დოლ., ნორვეგია — 35853 დოლ., შვედეთი — 28417 დოლ., ფინეთი — 27979 დოლ., ესპანეთი — 14623 დოლ. ამერიკის კონტინენტზე ასეთი ქვეყანა ორია: აშშ — 33946 დოლ. და კანადა — 22394 დოლ. განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება კიდევ ავსტრალია — 21750 დოლ., სინგაპური — 27870 დოლ., ტაივანი — 13832 დოლ., იაპონია — 30720 დოლ. და ისრაელი — 16100 დოლ;[1]

ბ) განვითარებადი ქვეყნები, 1000 დოლარზე ნაკლები თვიური ან 12000-ზე ნაკლები წლიური მშპ-ით ერთ სულ მოსახლეზე. ამ ჯგუფში სულ უფრო ხშირად რთავენ ე. წ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, რომელშიც შედიოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ყოფილი სსრკ-ის ქვეყნები და აზიური სოციალისტური ქვეყნები (ჩინეთი, ვიეტნამი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა). ამჟამად გამოიკვეთა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების

1. Мир в 2000 году. — Эксперт. 2000.

მკაფიო დაყოფა. აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა, ისეთები, როგორიცაა ჩეხეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, მჭიდროდ დაუახლოვდა განვითარებულ ქვეყნებს და მალე შევა ამ ჯგუფში. სხვა ქვეყნები, რუსეთის ჩათვლით, უკვე ყველა პარამეტრით შეესაბამება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს.

(6. სოციალურ-დემოგრაფიული განვითარება განისაზღვრება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

ა) მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი მატებით;

ბ) შობადობის და სიკვდილიანობის კოეფიციენტებით;

გ) მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებლებით;

დ) დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლებით;

ე) განათლების, ჯანმრთელობის და კულტურის დონეებით.

რა თქმა უნდა, საკლასიფიკაციო ნიშნების ჩამონათვალი და მაჩვენებელთა ჯგუფები შეიძლება გავაფართოვოთ. ჩვენ მოვიტანეთ მხოლოდ ყველაზე უფრო გამოყენებად და მნიშვნელოვანი ნიშნები და ჯგუფები.

17.2. სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ეკონომიკაში მათი ადგილის მიხედვით

ეკონომიკური ევოლუციის მსვლელობისას სახელმწიფოებს და ქვეყანათა ეკონომიკურ სისტემებს წარმოექმნა *ურთიერთქმედების მოდელების მრავალმხრივი სპექტრი.* ვინაიდან თითოეული მოდელი ისტორიულ პირობათა, ეროვნულ ტრადიციათა, სხვა არაფორმალურ და ფორმალურ ინსტიტუტთა განსაზღვრული შეხამების ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს, მათთვის ერთმნიშვნელოვანი შეფასების მიცემა „კარგი—ცუდის" ტიპის მიხედვით, ბუნებრივია, შეუძლებელია.

მრავალი შესაძლებელი საკლასიფიკაციო ნიშნებიდან, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სახელმწიფოთა მოდელების თანმიმდევრობის აგება, გთავაზობთ აირჩიოთ შემდეგი:

- სახელმწიფოს „ხვედრითი წილი" ეკონომიკაში;
- სახელმწიფოს სოციალური მიმართულება;
- სახელმწიფოთა გახსნილობა საგარეო ბაზრებისათვის და მისი საგარეოეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება;
- სახელმწიფო სექტორის როლი ეკონომიკაში;
- ბიუროკრატიზაციის და კორუფციის ხარისხი სახელმწიფო აპარატში.

ნათელია, რომ ზემოდასახელებულ ნიშნებს ხარისხობრივი ხასიათი გააჩნია, მაგრამ თითოეული მათგანის მიხედვით შეიძლება მოდელების

თანმიმდევრობის აგება მოცემული ნიშნის ზრდის მიხედვით. ქულათა შეფასების შკალის მისაღებად მოცემული ნიშნების მიხედვით მიზანშეწონილია, როგორც ეს მიღებულია მსოფლიო ეკონომიკაში, შევუფარდოთ მათ ურთიერთდაკავშირებული რაოდენობრივი კრიტერიუმების ერთობლიობა.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ხვედრით წილს უპირატესად განსაზღვრავენ მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილით. აქ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომელმაც „ზრდადი სახელმწიფო აქტიურობის კანონის", ანუ ვაგნერის კანონის სახელწოდება მიიღო (ეს კანონი ნახსენებია პირველ თავში). კანონი სახელმწიფო ხარჯების უცვლელი ზრდის კონსტატირებას ახდენს ქვეყნის განვითარებასთან. მართლაც, 1870 წლიდან დღევანდლამდე 17 განვითარებული ქვეყნის მიხედვით საშუალოდ აღებული სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა 9-დან 47%-მდე მშპ-ში. განვითარებად და შედარებით ღარიბ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში ბევრად ნაკლებია და იმყოფება 20%–ის დონეზე. რა თქმა უნდა, ვაგნერის კანონის აბსოლუტიზირება არ შეიძლება, ხოლო სახელმწიფოს წილი დამოკიდებულია აგრეთვე ეროვნული ტრადიციების ბაზაზე შერჩეულ სახელმწიფოს ეკონომიკასთან ურთიერთქმედების მოდელზე. „ლიბერალური", ძირითადად ინგლისურენოვან ქვეყნებში (აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია), სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად ნაკლებია (მშპ-ის 30-35%-მდე), ვიდრე სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (თითქმის მთელს დასავლეთ ევროპაში ეს წილი დაახლოებით 50%-ს შეადგენს, ხოლო შვედეთში 60%-ზე მეტს). გარდამავალი ეკონომიკის პოსტსოციალისტური ქვეყნები სამ ჯგუფად გაიყო. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები წავიდნენ ძირითადად დასავლეთ ევროპის გზით სახელმწიფო ხარჯების დაახლოებით 50%-იანი წილით მშპ-ში, ხოლო აზიურ ქვეყნებს მშპ-ში 20-30% აქვთ და მათ, როგორც ჩანს, შეავსეს ღარიბი განვითარებადი ქვეყნების სია; რუსეთს, ბელარუსს და უკრაინას სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში 30-35% აქვთ და ჯერჯერობით გაურკვეველია, ან ისინი შეგნებულად წავიდნენ ამერიკული გზით, ან თანდათანობით განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში ეშვებიან.

ამ კრიტერიუმის ზრდის მიხედვით აგებული შერჩევითი შკალა დაახლოებით ასე გამოიყურება: ტაილანდი (9%), თურქეთი (11%), განვითარებადი ქვეყნები ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის საშუალო დონით 14-15%, რუსეთი 34-35%, აშშ — 35%, ევროპული ქვეყნები — 51%, შვედეთი — 65%. შევნიშნავთ, რომ მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილთან ერთად, უფრო დეტალური ანალიზისათვის აუცილებელია ამ ხარჯების სტრუქტურის განხილვა.

სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის ანალიზი საშუალებას იძლევა შევაფასოთ სახელმწიფოთა სოციალური მიმართულება, რომელიც შესაძლებელია რაოდენობრივად დავახასიათოთ მშპ-ში საზოგადოებრივი დოვლათის წილის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ გაწეული სოციალური ტრანსფერტებით მშპ-ში. აქ კვლავ პირველობს შვედეთი (25% საზოგადოებრივი დოვლათისა და ტრანსფერტების), მას მოსდევს სხვა დასავლეთევროპული ქვეყნები, მათ კიდევ — OECD-ს ლიბერალური ქვეყნები და შემდგომ უფრო ღარიბი, განვითარებადი ქვეყნები. სახელმწიფოთა სოციალური მიმართულების ხარისხი ასახავს აგრეთვე დეცილურ კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს ყველაზე მდიდარ ადამიანთა 10%-ს რამდენჯერ მეტი შემოსავალი გააჩნია, ვიდრე ღარიბთა 10%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ბრაზილია (73-ჯერ), სადაც სხვათა შორის, მშპ-ის სულ 7% იხარჯება სოციალური დოვლათისათვის და 4% — ტრანსფერტებზე. აშშ-თვის ეს მაჩვენებელი 15-ის ტოლია, დასავლეთევროპული ქვეყნებისა და ვიშეგრადის ქვეყნების[1] ჯგუფისათვის დაახლოებით 3-7. ორი ზემოთ მოყვანილი მაჩვენებელი ურთიერთშორის მჭიდრო კორელაციას ახდენს.

სახელმწიფოთა გახსნილობა საგარეო ბაზრებისათვის შეიძლება დახასიათებული იქნეს *იმპორტზე ტარიფების საშუალო დონით*, იმპორტზე ტარიფებით საქონლის ჯგუფების მიხედვით და პროტექციონისტული პოლიტიკის სხვა ღონისძიებებით. მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს აგრეთვე მშპ-ში ექსპორტის წილი. პროტექციონიზმის მაღალი ხარისხი დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით უუნარონი არიან თანაბარ პირობებში კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყნებს მსოფლიო ბაზრებზე (არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ტრადიციულად მაღალი შრომის ანაზღაურება, რომელიც საქონლის ზოგიერთ ჯგუფს არაკონკურენტუნარიანს ხდის). პროტექციონიზმის მიზეზები მრავალგვარია, ამიტომ რიგი საქონლის მიხედვით დაცვის საკმაოდ მაღალ ხარისხს გვიჩვენებს როგორც განვითარებული ევროპული ქვეყნები, ასევე სამხრეთ აზიის განვითარებადი (ტარიფის საშუალო დონე — 52,7%) და აფრიკის (36,6%) ქვეყნები. XX ს-ის ბოლოს ლიბერალურ და უკიდურესად ღია ეკონომიკათა კლასიკურ მაგალითებად რჩებოდა, ალბათ, მხოლოდ ჰონგ კონგი და სინგაპური. დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის მოდელის მაგალითი მკაცრი პროტექციონიზმის დაცვის ქვეშ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ბრაზილია. ერთ-ერთ ყველაზე ღია და იმავდროულად სოციალურად ორიენტირებულია შვედეთის ეკონომიკა, რომელიც სამაგიეროდ მნიშვნელოვან

1 პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკია და უნგრეთი. (რედ.)

საშუალებებს ხარჯავს თავისი არაკონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად. შვედეთის მშპ-ში ექსპორტის წილი ძალზე მაღალია (32%). ახლა შვედეთი გადადის ეკონომიკის უფრო ლიბერალურ მოდელზე და სახელმწიფოს წილი თანდათანობით კლებულობს საშუალოევროპულ დონემდე. რეფორმების პირველ წლებში რუსეთი საერთოდ იმპორტული ბაჟის გარეშე გადიოდა ფონს, ე. ი. აბსოლუტურად ღია იყო. ახლა ისინი საშუალოდ დაახლოებით 15%-ის ტოლია. ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთის ეკონომიკა აგრეთვე ძალზე გახსნილია. ქვეყანა შემდეგი სახის ნედლეულის ექსპორტს ახდენს: მოპოვებული ნავთობის — 43%, გაზის — 34%, შავი ლითონების ნაგლინის — 60%-ზე მეტი, ხოლო ფერადი ლითონების — 70-90%, მინერალური სასუქების — 80%, სახერხი მასალების 1/3 და ცელულოზის — თითქმის 90%.

სახელმწიფო სექტორი, რომელიც სახელმწიფო საწარმოებს სრულად ან ნაწილობრივ მოიცავს, უმეტეს ქვეყნებში შესამჩნევ როლს თამაშობს. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო სექტორი წარმოიშვა ძირითადად საწარმოთა და მთელ დარგთა ნაციონალიზაციის შედეგად (საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია), სხვებში კი — სახელმწიფო აშენებდა ან იძენდა გაკოტრებულ ობიექტებს (გფრ, აშშ, იაპონია, შვედეთი). პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორი შენარჩუნდა, როგორც სოციალისტური წარსულის მემკვიდრეობა.

სახელმწიფო სექტორის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ზოგიერთი ძირითადად სტრატეგიული მიზნების გარესაბაზრო ხასიათით, რომელთა განხორციელება ბაზარს სახელმწიფოს გარეშე არ შეუძლია. სახელმწიფო სექტორის როლი მშპ-ში განისაზღვრება როგორც მისი, ასევე მასში დასაქმებული ყველა შრომისუნარიანი ადამიანის წილით. დღესდღეობით EU-ის ქვეყნების სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულია 8 მლნ კაცზე მეტი, რაც დაქირავებით მომუშავეთა დაახლოებით 11%-ს შეადგენს, მათზე მშპ-ის 12,5% და კაპიტალდაბანდებათა 20% მოდის. სახელმწიფო სექტორის მაქსიმალური წვლილი საბერძნეთის მშპ-შია (23,3%), ხოლო მინიმალური — ნიდერლანდებში (8,3%). ენერგეტიკის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულია დარგში მომუშავეთა 70%, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 60%, ფინანსურ სექტორში — 30%. ტრადიციულად საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, ესპანეთის, პორტუგალიის სახელმწიფო სექტორს დიდი გავლენა აქვს მეტალურგიაში, ავტო- და გემთმშენებლობაში, ქიმიურ, კვების მრეწველობაში, ავიამშენებლობაში, ატომურ ენერგეტიკასა და კოსმოსურ მრეწველობაში. საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი სახელმწიფო სექტორი დიდ ბრიტანეთში, გფრ-

ში, ინდოეთში, სამხრეთ ამერიკის უმეტეს ქვეყნებსა და არაბულ ქვეყნებში. იტალიაში სახელმწიფო საკუთრების მართვის სპეციალური სამინისტრო არსებობს.

სახელმწიფო კონცერნები „რენო" საფრანგეთსა და „ფოლკსვაგენი" გფრ-ში სახელმწიფო საკუთრების ეფექტიანი გამოყენების მაგალითებს იძლევიან.

თუმცა სახელმწიფო სექტორის გაფართოება და სახელმწიფოს როლის უსაშველო ზრდა ეკონომიკაში *ბიუროკრატიზაციისა* და *კორუფციისათვის* წანამძღვრებს ქმნის. კორუფცია ამა თუ იმ ზომით ყველა ქვეყანაშია. არსებობს კორუფციის დონეთა მიხედვით ქვეყნების ცნობილი სია, რომელშიც რუსეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ქვეყნის ბიუროკრატიზაციის ერთ-ერთი ობიექტური მაჩვენებელი, რომელიც კორუფციის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს, შეიძლება იყოს შრომისუნარიანთა რაოდენობაში სახელმწიფო აპარატის წილის შეფარდება სახელმწიფო ხარჯების წილთან მშპ-ში. მაგალითად, OECD-ს ქვეყნებისათვის მშპ-ში სახელმწიფო ხარჯები 52%-ს შეადგენს, სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულთა წილი ეკონომიკაში დასაქმებულების მიმართ — 19,2%, მეორის შეფარდება პირველთან 0,37%-ს. ეგვიპტისათვის იგივე მაჩვენებლები 14%-ის, 17,9%-ისა და 1,28-ის ტოლია. აქედან ეგვიპტის „ბიუროკრატიზაციის" ხარისხი 3,46-ჯერ მეტია, ვიდრე OECD-ს ქვეყნებში.

სახელმწიფოთა ურთიერთქმედების სხვადასხვა მოდელთა ანალიზი თავისი ქვეყნების ეკონომიკებთან საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა მოდელთა თანდათანობითი კონვერგენციის შესახებ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის გლობალიზაციით აიხსნება. ზესოციალურად ორიენტირებული და ზელიბერალური ქვეყნების უკიდურესი შემთხვევები, თანდათანობით სპექტრის ცენტრს უახლოვდება, ხოლო მოდელთა მთელი სპექტრი დროთა განმავლობაში ხდება სულ უფრო ვიწრო. ქვეყნები „ლიბერალური" მოდელებით სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკათა სულ უფრო მეტ ელემენტს მოიცავენ და პირიქით.

17.3. ინტეგრაციულ წარმონაქმნთა კლასიფიკაცია

ცნობილია, რომ ეკონომიკაში ძირითადი პროცესები განპირობებულია და, ბუნებრივია, აიხსნება ეკონომიკური ევოლუციის კანონებით, რომელიც უმეტესწილად ცოცხალი ბუნების ევოლუციას მოგვაგონებს. თავისი ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებისათვის ბრძოლა ქვეყნებს სხვადასხვა ინტეგრაციული გაერთიანებების შექმნისაკენ უბიძგებს. ამასთან ყოველთვის გაერთიანებათა შიგნით მოქმედებას იწყებს სხვა წესები, ვიდრე გარეთ. პარტნიორები გაერთიანებათა მიხედვით ღებულობენ განსაზღვრულ

უპირატესობებს სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ამისათვის პარტნიორთა მიმართ საპასუხო ვალდებულებებს კისრულობენ. ამგვარად, ინტეგრაციულ ფორმათა წარმოქმნა და განვითარება ევოლუციური ბრძოლითაა განპირობებული. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ინტეგრაციულ გაერთიანებათა ევოლუციურ განვითარებას ევოლუციური კანონები განსაზღვრავს.

ქვეყანათაშორისი ინტეგრაციის ფორმათა ევოლუცია, ისევე, როგორც ინტეგრაცია ცალკეულ საწარმოებს შორის, შედარებით უბრალო და „რბილი" ფორმებიდან უფრო რთულამდე და მკაცრამდე მიდის. მაგალითად, ინტეგრაცია საწარმოებს შორის დაიწყო სტრატეგიული ალიანსებიდან, შემდეგ გაჩნდა კარტელები, სინდიკატები, ბოლოს კი ტრესტები და კონცერნები. უფრო რთული ფორმების გაჩენის შემდეგ შედარებით უფრო მარტივები, რომლებიც ევოლუციის ადრეულ ეტაპებზე ჩნდება, არ კვდება, უბრალოდ კარგავს თავის ძველ გაბატონებულ მნიშვნელობას და განსაზღვრულ ნიშას იკავებს.

ინტეგრაციული გაერთიანებები ქვეყნების დონეზე გადის შემდეგ ევოლუციურად ურთიერთმონაცვლე ფორმებს:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონები. ასეთი ზონების ორგანიზაციიდან იწყება ინტეგრაცია. ამასთან, ქვეყნებს შორის იდება შეთანხმება ბაჟის შემცირებასა ან გაუქმებაზე ყველა ან განსაზღვრული ჯგუფების საქონელზე. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის საერთო მიმართულება შეესაბამება საერთო ტენდენციებსა და WTO-ს ძალის ვექტორს.

2. საბაჟო კავშირი — შემდეგი ინტეგრაციული ფორმაა. საბაჟო კავშირში გამომუშავდება ერთიანი საბაჟო პოლიტიკა მესამე ქვეყნებთან მიმართებაში.

3. საერთო ბაზარი ითვალისწინებს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის სახელმწიფოთაშორისი ბაზრების სრულ ლიბერალიზაციას. ეს ბაზრები ერთიანი ხდება საერთო ბაზრის ყველა ქვეყნისათვის.

4. სავალუტო კავშირი ავსებს უკვე არსებულ შეთანხმებას საერთო ბაზრის შესახებ ერთიანი სავალუტო პოლიტიკით. თანდათანობით ერთიან ვალუტაზე გადასვლა ხორციელდება. ხდება ერთიანი ცენტრალური ბანკის ან ცენტრალური ბანკების სისტემის ორგანიზება, რომლებიც ახორციელებენ შეთანხმებულ სავალუტო და საემისიო პოლიტიკას.

5. ეკონომიკური კავშირი ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს, რომლის დროსაც საერთო ბაზარს და სავალუტო კავშირს ემატება საერთო ეკონომიკური პოლიტიკა. ჩნდება ზესახელმწიფოებრივი ეკონომიკური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები ხდება სავალდებულო კავშირის ქვეყნების ეკონომიკური სუბიექტებისათვის.

6. პოლიტიკური კავშირი — ეს უკვე ინტეგრაციული ფორმიდან ერთიან კონფედერაციულ სახელმწიფოზე გადასვლაა.)

ინტეგრაციულ პროცესებს დიალექტიკურად ეწინააღმდეგება სეპარატისტული ტენდენციები. ბევრი სახელმწიფო საერთაშორისო გავლენას განიმტკიცებს არა იმით, რომ განსაზღვრულ ეკონომიკურ ან პოლიტიკულ ბლოკს უერთდება, არამედ მათ შორის ბალანსირებით. ასეთმა პოლიტიკამ, მაგალითად, იუგოსლავიას საშუალება მისცა დიდხანს ეთამაშა შესამჩნევი როლი საერთაშორისო ასპარეზზე, ისე, რომ არ უერთდებოდა არც ერთ მაშინდელ მძლავს ბლოკს — სსრკ-სა თუ აშშ-ს.

მიუხედავად ამისა, ინტეგრაციული ტენდენცია ჭარბობს თანამედროვე მსოფლიოში, რომელმაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანა მეგაეკონომიკის და საკმაოდ გავლენიანი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების წარმოშობამდე.

დღესდღეობით მსოფლიო ეკონომიკაში უკვე რამდენიმე ათეული რეგიონალური ინტეგრაციული გაერთიანება დაითვლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინტეგრაციის[1] ფორმით.

17.2. სურათზე გამოსახულია ძირითადი ინტეგრაციული გაერთიანებები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებშია განლაგებული. გაერთიანებათა უმეტესობის სახელწოდებები სურათზე აბრევიატურებითაა წარმოდგენილი. შემდგომში ისინი ტექსტში იქნება გაშიფრული.

აქვე აგრეთვე განხილულია ზოგიერთი გავლენიანი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც ჯერჯერობით განვითარების წინაინტეგრაციულ საფეხურზეა და დაკავშირებულია ერთობლივი განვითარების საერთო საკოორდინაციო საკითხებით.

მოხერხებულობისათვის ყოველ ინტეგრაციულ გაერთიანებას მიკუთვნებული აქვს ნომერი, რომელშიც პირველი ციფრი აღნიშნავს დედამიწის განსაზღვრული ნაწილის კუთვნილებას. ბუნებრივია, განსახილველი გაერთიანებები სრულებითაც არ არის თანაბარმნიშვნელოვანი თავისი როლით მსოფლიო ეკონომიკაში.

17.4. ევროპის ინტეგრაციული გაერთიანებები

1.1. ევროპის კავშირი ეკ (EU) ყველაზე განვითარებულ ინტეგრაციულ წარმონაქმნს წარმოადგენს მსოფლიოში და თავისთავად ინტეგრაციის უმაღლესი ფორმაა. EU-მა თანმიმდევრულად გაიარა ინტეგრაციის ყვე-

1. Гречикова И. Н. Международные экономические организации. — М.: Консалтбанкир, 2000.



სურ. 17.2. სახელმწიფოთაშორის ინტეგრაციულ გაერთიანებათა სისტემა

ლა ზემოთ დასახელებული ფორმა და ამჟამად პოლიტიკური გაერთიანების ძალიან მაღალ სტადიაზე იმყოფება. ახლა ამ გაერთიანების მდგომარეობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შუალედური — ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ყველაზე მაღალ საფეხურსა და ერთიან კონფედერაციულ სახელმწიფოს შორის.

EU-ის განვითარების ისტორია საკმაოდ ჭკუის სასწავლებელია, განსაკუთრებით დსთ-თვის. აი, მისი მოკლე მატიანე.

1952 წ. — ნახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანების წარმოქმნა გფრ-ის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდების და ლუქსემბურგის მონაწილეობით. შევნიშნავთ, რომ ქვეყნების ინტეგრაცია დაიწყო ბიზნესის ინტეგრაციით. ეკონომიკურმა აუცილებლობამ და ეკონომიკურმა ინტერესებმა ადრინდელ მტრებს (ომი მხოლოდ 7 წლის დამთავრებული იყო) გაერთიანებისაკენ უბიძგა.

1957 წ. — რომის ხელშეკრულების თანახმად, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (OEC), ფაქტობრივად, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა.

1968 წ. — საბაჟო კავშირის ფაქტობრივი წარმოქმნა. ამ წლების განმავლობაში OEC „გაიზარდა“ მრავალი დამხმარე ორგანიზაციით, ისეთებით, როგორიცაა OEC-ის აგრარული ფონდი (OEAF), რომელიც მოწოდებულია კოორდინირება გაუწიოს თანამეგობრობის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკას.

1979 წ. — ევროპის სავალუტო სისტემის შექმნა ერთიანი საანგარიშო ერთეულის — ეკიუს — ბაზაზე.

1985 წ. — მთლიანად ინტეგრირებული საერთო ბაზრის შექმნის დასრულება. საერთოდ კი, OEC-ს თავიდანვე უწოდებდნენ საერთო ბაზარს, მაგრამ საბოლოოდ იგი გაფორმდა ერთიანი ევროპული აქტის ხელმოწერის შემდეგ (1985 წ.).

1991 წ. — ევროპული კავშირის შექმნის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც EU-ის ერთიან მოქალაქეობას (ეროვნული მოქალაქეობის პარალელურად), სავალუტო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირთა ფორმირებას ითვალისწინებს.

1999 წ. — ერთიან ვალუტაზე — ევროზე — გადასვლის დაწყება.

დღესდღეობით უკვე შექმნილია EU-ის ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა სისტემა, რომელიც მოიცავს ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს, ევროპული კავშირის საბჭოს, ევროპულ კომისიასა და ევროპულ სასამართლოს.

ევროპის საბჭო შედგება სახელმწიფოთა მეთაურებისა ან სახელმწიფო-წევრთა მთავრობებისაგან. მასში აგრეთვე შედიან ევროპის კომისიის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისიის ერთ-ერთი წევრი. იგი განსაზღვრავს კავშირის მოღვაწეობის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს და ღებულობს გადაწყვეტილებებს სესიებზე, რომლებიც სულ მცირე წელიწადში 2-ჯერ ტარდება.

ევროპის პარლამენტი ირჩევა 5 წლის ვადით და 626 დეპუტატისგან შედგება, რომელთა რიცხვიც ყოველი ქვეყნიდან მისი მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული. საბჭო და პარლამენტი გადაწყვეტილებებს ერთობლივად იღებს რიგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიმართულებებზე. თუკი საბჭო და პარლამენტი ვერ მიდიან შეთანხმებამდე რაიმე დადგენილების ან დირექტივის გამო, ითვალისწინებენ კომპრომისის მიღწევას შემთანხმებელი კომიტეტის შექმნის გზით.

ევროპული კავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო) წევრ-სახელმწიფოთა მთავრობათა მინისტრებისგან შედგება. იგი უზრუნველყოფს წევრ-სახელმწიფოთა მონაწილეობის ჩარჩოებს და პასუხისმგებლობას იღებს თანამეგობრობის ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე ევროპული კომისიის მიერ წამოწეულ წინადადებათა საფუძველზე. მი-

ნისტრთა საბჭო რეალურ ძალაუფლებას ფლობს — ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებებს EU-ის კანონმდებლობის ყველა ასპექტის მიხედვით.

ევროპის კომისია წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს და პასუხისმგებლობას კისრულობს ხელშეკრულების შესრულების დაცვაზე. მისი უფლებამოსილება მდგომარეობს საკანონმდებლო ინიციატივასა და ხელშეკრულების დებულებათა სწორად გამოყენების კონტროლში, აგრეთვე EU-ის ინსტიტუტთა გადაწყვეტილებების მიღებაში. მას შეუძლია დასვას საკითხი EU-ის რომელიმე წევრ-სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების პირობისა და EU-ის გადაწყვეტილებათა დარღვევის შესახებ და საქმე ევროპის სასამართლოს გადასცეს. კომისია შეიმუშავებს და ცხოვრებაში ატარებს EU-ის პოლიტიკას.

ევროპის სასამართლო მოწოდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისა და გამოყენების დროს კანონის დაცვა. იგი გამოდის EU-ის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს სახით.

EU-ის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ურთიერთმოქმედებს: ევროპის კომისია (ამზადებს წინადადებებს), ევროპის პარლამენტი (გამოთქვამს შეხედულებებს წინადადებებზე), მინისტრთა საბჭო (ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებებს), ევროპის კომისია (პასუხს აგებს მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე). ევროპის პარლამენტი საბჭოსთან და ევროპის კომისიასთან ერთობლივად იღებს დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს, აგრეთვე რეკომენდაციებს იძლევა და გამოაქვს დასკვნები.

გადაწყვეტილებები, რომლებსაც საერთო გამოყენება აქვთ, იურიდიულად სავალდებულოს წარმოადგენს და პირდაპირი მოქმედების ხასიათი გააჩნია ყველა წევრ-სახელმწიფოსათვის, ცვლის რა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის ელემენტებს.

განსაზღვრული წევრ-სახელმწიფოსათვის დირექტივები სავალდებულოა და ეხება იმ მიზნებს, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს. მიზანთა განხორციელების ფორმების და მეთოდების არჩევა ხელისუფლების ეროვნული ორგანოების საქმედ რჩება. გადაწყვეტილებები, რომლებიც კონკრეტულ საკითხებს ეხება, სავალდებულოა იმ წევრ-სახელმწიფოებისათვის, რომელთათვისაც ისინი უშუალოდაა განკუთვნილი.

დასკვნები და რეკომენდაციები პოლიტიკის მიმართულების და განვითარების ტენდენციებს მიეკუთვნება, ამიტომ სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ.

დღესდღეობით EU თავისთავად წარმოადგენს უმძლავრეს ეკონომიკურ ბლოკს, რომელსაც უნარი აქვს რეალური კონკურენცია გაუწიოს

აშშ-სა და იაპონიას. მის წევრებს წარმოადგენს 15 სახელმწიფო. ესენია: ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი, შვედეთი. ევროპის კავშირი — ესაა მსოფლიოში უმსხვილესი ეკონომიკური ბლოკი 325 მლნ-იანი მოსახლეობით, რომლის მეპ 8900 მლრდ დოლარს (40%-ს OECD-ის ქვეყნებს) შეადგენს. მის წილად მოდის მსოფლიო ვაჭრობის 21% (აშშ — 20%).

EU-ის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაწვრილებით შევჩერდებით მისთვის ცალკე განკუთვნილ თავში.

1.2. EFTA — თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია შეიქმნა 1960 წელს სტოკჰოლმის კონვენციის საფუძველზე. EFTA-ში შევიდა 11 ქვეყანა, რომელთაგან 7 გამოვიდა და EU-ში შევიდა. ამჟამად EFTA-ს წევრებს ოთხი ქვეყანა წარმოადგენს. ესენია: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი.

EFTA-ს მიზნებია:

- ეკონომიკის, ფინანსური სტაბილურობის, რესურსების რაციონალური გამოყენების მდგრადი ზრდისათვის ხელშეწყობა;
- მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებისათვის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების აღკვეთა;
- წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობის, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება;
- მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა, ცხოვრების დონის ამაღლება წევრ-ქვეყნებში.

EFTA-ს წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ყველა ბაჟია გაუქმებული, მაგრამ საგარეო საბაჟო ტარიფები შენარჩუნებულია. EFTA-ს თავის სტრუქტურაში გააჩნია საბჭო, მუდმივი კომიტეტები, სამდივნო. ფაქტობრივად EFTA თავისუფალი ვაჭრობის ზონას წარმოადგენს.

1.3. EEA — ევროპის ეკონომიკური სივრცე შეიქმნა 1992 წელს EU-ს 12 ქვეყნის და EFTA-ს 7 ქვეყნის მიერ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისათვის. ესაა EU და EFTA-ის მოქმედებათა ჯაჭვის კოორდინაციის ორგანო. EEA-ს სტრუქტურაში ორი ზოგადი ორგანოა: EEA-ს საბჭო — უმაღლესი პოლიტიკური ორგანო და EEA-ს გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც მიმდინარე საქმიანობაზე აგებს პასუხს. EEA დღეს ფუნქციონირებს, როგორც საერთო ბაზარი ეკონომიკური კავშირის თავდაპირველი ელემენტებით (პოლიტიკის შეთანხმება ეკონომიკის, ეკოლოგიის, მეცნიერების და განათლების სფეროში).

1.4. CIS — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელიც 1991 წელს შეიქმნა ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების მიერ, ბალტიისპირეთის გარდა. თავდაპირველად CIS აღიქმებოდა, როგორც სსრკ-ის ერთგვარი, ახალი, თავისუფალი კონკურენციული ფორმა.

1993 წელს წევრ-სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური კავშირის შექმნაზე, რომელიც ითვალისწინებს:

- საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალ მოძრაობას;
- შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფულად-საკრედიტო ურთიერთობები, ბიუჯეტები, ფასები და დაბეგვრა, სავალუტო საკითხები და ბაჟები;
- თავისუფალი მეწარმეობისა და ინვესტიციების წახალისება, საწარმოო კოოპერაციის მხარდაჭერა და პირდაპირი კავშირების შექმნა საწარმოებსა და დარგებს შორის;
- სამეურნეო კანონმდებლობის შეთანხმება.

ამგვარად, ფიქსირდებოდა საერთო ბაზრის ორგანიზაცია და მიზნად ისახებოდა ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე — სავალუტო და ეკონომიკურ კავშირებზე გადასვლა.

თუმცა CIS-ში ცენტრიდანული ტენდენციები ჭარბობდა და საერთო ბაზარი არ შედგა. მაშინ ერთგვარი უკან დახევა მოხდა და 1994 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე. 1995 წელს შეიქმნა რუსეთის, ბელარუსის და ყაზახეთის საბაჟო კავშირი, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდა ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. ამ კავშირის ჩარჩოებში შეიქმნა საგადასახდელო კავშირი მულტისავალუტო საფუძველზე, რომელიც ორგანიზატორთა იდეების თანახმად, თანდათანობით უნდა გადაზრდილიყო სავალუტო კავშირში (CIS-ის საგადასახდელო კავშირი მთლიანობაში ასევე შეიქმნა, მაგრამ ვერ ამუშავდა).

უკრაინამ, აზერბაიჯანმა, საქართველომ და ზოგმა სხვა ქვეყანამ ინტეგრაციის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, თავშეკავებული პოზიცია დაიჭირეს. ისინი მონაწილეობენ CIS-ის თათბირებში, მაგრამ ფაქტობრივად ბლოკავენ ყველა გადამწყვეტ ზომას CIS-ს ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების განვითარებისათვის. ვინაიდან CIS შექმნილია, როგორც კლუბი, სადაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სრული კონსენსუსი, ხოლო CIS-ის ორგანოებში წარმომადგენლობა, EU-სგან განსხვავებით, განისაზღვრება პრინციპით: ერთი ქვეყანა — ერთი ხმა, გადაწყვეტილებათა ბლოკირების განხორციელება იოლია და ამიტომ წინსვლა არ იგრძნობა.

ობიექტურად CIS-ის ჩარჩოებში ინტეგრაციის დამუხრუჭება განპირობებულია ცალკეულ სახელმწიფოთა არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა ღრმა სხვადასხვაობით, არამედ მათ ეკონომიკურ პრიორიტეტთა სხვაობითაც.

CIS-ს ისტორია ესაა თანდათანობითი დეზინტეგრაცია. ვაჭრობა ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით 1998 წლის კრიზისის შემდგომ, თანდათანობით მცირდება. ქვეყნები სულ უფრო ახალ პარტნიორებს ეძებენ თანამეგობრობის გარეთ და თავიანთი საგარეოეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირებას მათზე ახდენენ.

1996 წელს გაცხადდა სხვადასხვა სიჩქარიანი ინტეგრაციის პოლიტიკა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ CIS მიხედვით საერთო შეთანხმებათა ნაცვლად საჭიროა ქვეყნებთან კერძო შეთანხმებების სისტემაზე ორიენტირება, რომლებიც უფრო გადამწყვეტი ინტეგრაციისათვის არიან მზად. 1996 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გაღრმავებულ ინტეგრაციაზე რუსეთს, ბელარუსს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს შორის. პერსპექტივაში აქ იგეგმება „ინტეგრაციულ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" შექმნა.

ყველაზე სწრაფი, თუმცა უფრო დეკლარაციული წინსვლა ინტეგრაციის გზაზე შეინიშნება რუსეთსა და ბელარუსს შორის, რომლებმაც უკვე ხელი მოაწერეს საკავშირო ხელშეკრულებას და მიდიან კონფედერაციული სახელმწიფოს ორგანიზაციის შექმნისკენ.

შემდგომში განხილულ იქნება CIS-ის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები იმ თავებში, რომლებიც რუსეთის ეკონომიკასა და მის მსოფლიო ეკონომიკაში შესვლის პერსპექტივებს ეძღვნება.

1.5. BSEC — შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა 11 წევრს აერთიანებს. ესენია: აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა. ოფიციალურად შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა დაარსებულია 1998 წლის დამდეგს. ფაქტობრივად BSEC ფუნქციონირებს 1992 წლიდან. მისი სამდივნო სტამბოლშია.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩოებში თანამშრომლობა ხორციელდება ბანკების და ფინანსების სფეროში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხებში; ინვესტიციების დაცვაში; სტატისტიკური მონაცემების და ეკონომიკური ინფორმაციის გადაცემაში. 1995 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაჭრობის შავი ზღვის ბანკის შექმნისა და განვითარების შესახებ. დაფუძნებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელიც შედგება სამეწარმეო გაერთიანებათა და წევრი-ქვეყნების სავაჭრო პალატათა წარმომადგენლებისგან.

17.5. ამერიკის ინტეგრაციული გაერთიანებები

ამერიკის ქვეყნებში რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციები ეკონომიკური ინტეგრაციის სამი ფორმის რეალიზებას ახდენენ:

(1). თავისუფალი ვაჭრობის ზონა:

- თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა (NAFTA). გათვალისწინებულია ბაჟის გაუქმება ურთიერთვაჭრობაში 15 წლის განმავლობაში.

(2). საერთო ბაზარი:

- სამხრეთის საერთო ბაზარი (MERCOSUR);
- ცენტრალურამერიკული საერთო ბაზარი (CACM).

გათვალისწინებულია: არასატარიფო შეზღუდვების და ბაჟის გაუქმება; კაპიტალების და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა; ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღება; ეკონომიკის დარგების მიხედვით პოლიტიკის კოორდინირება; სავალუტო-ფინანსური პოლიტიკის კოორდინირება.

(3). ეკონომიკური კავშირი და საერთო ბაზარი:

- კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი (CARICOM);
- ანდის ჯგუფი;
- აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (OECS).

2.1. OAS — ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია შეიქმნა 1948 წელს, როგორც ამერიკის რესპუბლიკათა საერთაშორისო კავშირის მემკვიდრე, რომელიც 1980 წელს დაარსდა.

OAS-ის წევრებს წარმოადგენენ: ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, ჰაიტი, გაიანა, გვატემალა, ჰონდურასი, გრენადა, დომინიკა, დომინიკის რესპუბლიკა, კანადა, კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, მექსიკა, ნიკარაგუა, კანადა, პარაგვაი, პერუ, სალვადორი, სენტ-ვინსენტი და გრენადინი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, აშშ, სურინამი, ტრინიდატი და ტობაგო, ურუგვაი, ჩილე, ეკვადორი, იამაიკა. შეხვედრებისას 1994 წელს, რომელშიც მონაწილეობდა 34 სახელმწიფოს მეთაური და ამერიკის კონტინენტის ქვეყნების მთავრობები (კუბის გარდა), მიღებულ იქნა „დეკლარაცია პარტნიორობის პრინციპებზე დემოკრატიის, თავისუფალი ვაჭრობის და ამერიკაში მდგრადი განვითარებისა და აყვავების მიზნით"; გადაწყდა ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა, რომელშიც ყველა ბარიერი ვაჭრობისა და ინვესტიციების გზაზე მუდმივად იქნება აღკვეთილი. ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკებები დასრულდება 2005 წლისათვის.

2.2. CARICOM — კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი შეიქმნა 1973 წელს ჩაგუარამასის ხელშეკრულების საფუძველზე თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაციის მემკვიდრის სახით, რომელიც დაარსდა 1968 წელს.

თანამეგობრობის წევრებს წარმოადგენს კარიბის აუზის 14 ქვეყანა და 3 ასოცირებული წევრი. რეგიონალური წევრებია — ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, დომინიკა, გრენადა, გაიანა, მოსერატი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სენტ-ვინსენტი და გრენადინი, სურინამი, ტრინიდატი და ტობაგო, იამაიკა, ასოცირებული წევრები — ვირჯინიის ბრიტანული კუნძულები და ტერკსის და კაიკოსის კუნძულები.

CARICOM-ის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის წევრსახელმწიფოთა დახმარება საერთო ბაზრის შექმნის გზით, რომელიც ითვალისწინებს ერთიან საგარეო ტარიფს, საქონლის წარმოშობის წესების გამოყენებას, ფისკალურ ღონისძიებათა შეთანხმებული გეგმის რეალიზაციას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია წევრი-ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია და თანამშრომლობა ტექნიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში.

2.3. NAFTA — თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა შეიქმნა კანადას, აშშ-სა და მექსიკას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე (ხელმოწერილია 1992 წ.).

ხელშეკრულება NAFTA-ს შექმნის შესახებ ისეთ ღონისძიებებს შეიცავს, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს ეძღვნება ჩრდილოეთ ამერიკის ფარგლებში. ესაა: ბაზრებთან დაშვება; ინვესტიციები; გარანტიები; მომსახურეობები; ინტელექტუალური საკუთრების უფლებები; სახელმწიფო შესყიდვები; ზომები, რომლებიც სტანდარტების დაცვასთანაა დაკავშირებული; დროებითი შესვლა ბიზნესმენებისათვის; კამათის გადაწყვეტა. ხელშეკრულების შესაბამისად, შემდგომი 15 წლის მანძილზე თითქმის ყველა სავაჭრო და ინვესტიციური ბარიერი NAFTA-ს მონაწილე ქვეყნებს შორის უნდა იქნეს ლიკვიდირებული, ხოლო საბაჟო გადასახადები გაუქმებული. 15 წლის განმავლობაში სამ მონაწილეს შორის უნდა მოხდეს სავაჭრო ბარიერების გაუქმება. კანადურ-ამერიკულ ვაჭრობაში ისინი უკვე გაუქმებულია, ამიტომ საუბარი მიდის მხოლოდ საქონელბრუნვის ლიბერალიზაციაზე ამ ქვეყნებისა მექსიკასთან.

1994 წლიდან სამრეწველო და სასურსათო საქონლით ურთიერთვაჭრობაში შემცირებულია ბაჟი; შემდგომ 5 წელიწადს იგი კიდევ 15%-ით შემცირდება, ხოლო 2003 წლისათვის დარჩენილი ბაჟი უნდა გაუქმდეს. ასეთი ზომები გზას გაუხსნის აშშ-დან მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე წვდომას.

NAFTA-ს ეკონომიკური პრობლემები განხილული იქნება შემდეგ თავში, რომელიც აშშ-ს ეძღვნება.

2.4. MERCOSUR — სამხრეთის საერთო ბაზარი შეიქმნა 1995 წელს ასუნსონის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც 1991 წელს არგენტინამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ და ურუგვაიმ მოაწერეს ხელი თავისუფალი სავაჭრო ზონებისა და საბაჟო კავშირის შექმნის მიზნით. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სხვა ლათინოამერიკულ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის გაფართოებაზე ლათინური ამერიკის ყველა სხვა ქვეყანასთან, რაც ფაქტიურად ნიშნავდა ლათინოამერიკული ზონის თავისუფალი ვაჭრობის LAFTA-ს მოქმედებაში შემოღებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს ყველა ბაჟისა და არასატარიფო შეზღუდვების გაუქმებას ურთიერთვაჭრობაში ოთხ ქვეყანას შორის; კაპიტალთა და სამუშაო ალის თავისუფალ მოძრაობას; ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღებას; პოლიტიკის კოორდინირებას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სავალუტო-ფინანსურ სფეროებში.

2.5. AISA ანდის ჯგუფი (ან ანდის პაქტი) 1969 წელს შეიქმნა კართამენის ხელშეკრულების საფუძველზე. მასში შევიდა ხუთი ქვეყანა: ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია, პერუ და ეკვადორი. ანდის ჯგუფი თავისთავად წარმოადგენს ანდის ინტეგრაციის სისტემის ერთ ნაწილს. ამ სისტემის მეორე ნაწილია პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოებისგანაა შექმნილი (ანდის პრეზიდენტთა საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო).

ანდის ჯგუფის მიზნებია — მონაწილე ქვეყნების განვითარებისათვის დახმარება მათი ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის საშუალებით, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება დ დასაქმების უზრუნველყოფა, ლათინოამერიკული საერთო ბაზრის შექმნა.

17.6. აზიის ინტეგრაციული გაერთიანებები

აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის სწრაფი ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობდა რეგიონალურ თანამშრომლობა (APEC, ASEAN) სუბრეგიონალური ინსტიტუტე-

ბის ჩარჩოებში, ისეთების, როგორიცაა სამხრეთ-წყნაროკეანური ფორუმი (SPF) და კომისია წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნებისათვის (CSPRS).

აზიაში ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითად ფორმას ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს. პრაქტიკულად ყველა ხუთი მოქმედი რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაცია ნაწილობრივ ან სრულად შემდეგ მიზნებს ისახავს: ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმება; ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოლიტიკის და სტრატეგიის კოორდინაცია; ეკონომიკის დარგებში თანამშრომლობა; შიდარეგიონალური ვაჭრობის განვითარებისათვის დახმარება; სამრეწველო თანამშრომლობის, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის, ტექნოლოგიების გადაცემის, დახმარების შეთავაზებისათვის ხელშეწყობა. მომავალში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა ნავარაუდევია ASEAN-ის, CAƏE-ისა და SPF-ის ჩარჩოებში.

ჩვენ შევჩერდებით ამ ორგანიზაციებიდან ყველაზე უფრო გავლენიანებზე.

3.1. APEC — აზიურ-წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობა შეიქმნა 1989 წელს მონაწილე ქვეყანათა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით აზიურ-წყნაროკეანური რეგიონის (APR) ქვეყნების მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დადებითი ზეგავლენის გასაძლიერებლად, მათ შორის მომსახურების, კაპიტალის და ტექნოლოგიების; ღია, მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის განმტკიცების; APR-ში ვაჭრობის და ინვესტიციების ლიბერალიზაციის ხარისხის მატების, კერძო სექტორის გაძლიერებისა და სტიმულირების; თავისუფალი ბაზრის პრინციპების გამოყენებისა და რეგიონალური თანამშრომლობის უპირატესობათა ზრდის სფეროში. APEC-ის წევრებს 18 სახელმწიფო წარმოადგენს. ესენია: ავსტრალია, ბრუნეი, ჰონგ კონგი, კანადა, ჩინეთი, კირიბატი, მალაიზია, მარშალის კუნძულები, მექსიკა, ახალი ზელანდია, პაპუა—ახალი გვინეა, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, აშშ, ტაილანდი, ტაივანი, ფილიპინები, ჩილე. 1997 წელს APEC-ში წევრად იქნა მიღებული რუსეთის ფედერაცია.

APEC-ს 18 ქვეყნის წილი მსოფლიო მშპ-ში 60%-ს შეადგენს, მსოფლიო ვაჭრობაში — 40%, ოქრო-სავალუტო რეზერვებში — 80%-ს.

APEC თავისთავად რეგიონის მთავრობათაშორის ფორუმს წარმოადგენს, რომელსაც ფორმალურად კონსულტაციური სტატუსი გააჩნია. მის ჩარჩოებში მუშავდება ვაჭრობის, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანო-

ბის წარმოების წესები, ტარდება დარგობრივი მინისტრების და თანამშრომლობის ექსპერტთა შეხვედრები სხვადასხვა სფეროში. ყველა გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე მიიღება.

3.2. ASEAN — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია შეიქმნა 1967 წელს ბანგკოკის დეკლარაციის ხელმოწერის საფუძველზე, რომელიც 1976 წელს შეივსო ხელშეკრულებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, აგრეთვე ASEAN-ის დეკლარაციით, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის და ინტეგრაციის გაღრმავებას. ASEAN-ის წევრია ცხრა ქვეყანა: ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი.

ASEAN-ის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია:

- თანამშრომლობის განვითარებისათვის დახმარება ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებში;
- 2003 წლისათვის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა; ერთიანი შეღავათიანი საბაჟო ტარიფის შემოღება და ძირითად მექანიზმში თავისუფალი ვაჭრობის ზონის წარმოქმნა.

ეს ორგანიზაცია უკვე ახლოს მივიდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნასთან.

3.3. CAEU — არაბული ეკონომიკური ერთიანობის საბჭო 1964 წელს შეიქმნა არაბეთის სახელმწიფოთა ლიგის წევრ-სახელმწიფოებისაგან. მის შემადგენლობაში შედის 12 ქვეყანა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ქუვეითი, ლიბია, მავრიტანია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, პალესტინა, სირია, სომალი, სუდანი. საერთო ბაზრის წევრები CAEU-ს წევრებიდან შვიდი ქვეყანაა: ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, იემენი, ლიბია, მავრიტანია და სირია.

CAEU-ს მიზნებია:

- საერთო ბაზრის შექმნა — საქონლის, კაპიტალის, პროდუქციის, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.
- ტრანსპორტის, ტრანზიტის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, საზღვაო პორტების, სამოქალაქო აეროპორტების, მიწისზედა მიმოსვლის გზების თავისუფლების უზრუნველყოფა.
- საკუთრების ფლობის უფლების უზრუნველყოფა.

3.4. ECO — ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია შეიქმნა 1985 წელს. ECO-ს წევრებად გვევლინება 10 სახელმწიფო: აზერბაიჯანი, ავღანეთი, ირანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი, თურ-

ქმენეთი, თურქეთი და უზბეკეთი. კომიტეტების ჩარჩოებში თანამშრომლობა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობა და კულტურა, ბრძოლა ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან.

ურთიერთვაჭრობის განვითარებისათვის დახმარების მიზნით წევრი-ქვეყნების მიერ ხელი მოეწერა ოქმს პრეფერენციული ტარიფების შესახებ. 1993 წელს შეიქმნა ოთხი სპეციალიზებული დაწესებულება: ECO-ს ვაჭრობის და განვითარების ბანკი (თურქეთი); ECO-ს სადაზღვევო კომპანია (პაკისტანი); ECO-ს სანაოსნო კომპანია (ირანი); ECO-ს ავიაკომპანია (ირანი).

17.7. აფრიკის ინტეგრაციული გაერთიანებები

რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია აფრიკის ქვეყნებში ხორციელდება ოთხი ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში, რომელთაგან თითოეული წევრი-ქვეყნების სუბრეგიონალურ ტერიტორიულ გაერთიანებას წარმოადგენს.

UDEAC — ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოები;

ECOWAS — დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოები;

SADC — სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები;

COMESA — აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოები.

ყველა ეს ორგანიზაცია თავისი არსით ეკონომიკურ დაჯგუფებებს წარმოადგენს, რომელთაც საერთო ბაზარი — საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა გამოაცხადეს.

ორი დასავლეთ აფრიკული ორგანიზაცია (ECOWAS) და დასავლეთ აფრიკული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (WAEMU) აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ითვალისწინებს, კერძოდ, ინვესტიციებს. WAEMU, გარდა ეკონომიკურისა, თავისთავად სავალუტო კავშირსაც წარმოადგენს.

4.1. OAU — აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია 1963 წელს შეიქმნა. მის შემადგენლობაში 53 ქვეყანა შედის. წმინდა პოლიტიკური მიზნების გარდა, OAU-ს განზრახული აქვს კოორდინაცია და თანამშრომლობა ეკონომიკის სფეროში, მათ შორის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის, სასურსათო უზრუნველყოფის სფეროებში. 1991 წელს OAU-ს წევრ-ქვეყნებმა ხელი მოაწერეს აფრიკული ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ თანამეგობრობის წარმოქმნა გაგრძელდება 34 წელი

და სხვადასხვა ხანგრძლიობის ექვს ეტაპად წარიმართება. აფრიკული ეკონომიკური თანამეგობრობა OAU-ს შემადგენელი ნაწილი გახდება.

4.2. CACEU (UDEAC) — ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი 1966 წელს შეიქმნა და ეკვატორული საბაჟო კავშირის მემკვიდრე გახდა. მის შემადგენლობაში შედის ექვსი სახელმწიფო: გაბონი, კამერუნი, კონგო, ცენტრალურაფრიკული რესპუბლიკა, ჩადი, ეკვატორული გვინეა. კავშირის მიზნებში შედის ცენტრალური აფრიკის ქვეყნების საერთო ბაზრის ეტაპობრივი შექმნა და განვითარება, ასევე რეალურად მოქმედი საერთო ბაზრის განმტკიცება.

1994 წელს მიიღეს გადაწყვეტილება ცენტრალური აფრიკის ეკონომიკური და სავალუტო თანამშრომლობის შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც იქნებოდა წევრ-სახელმწიფოთა კონსოლიდაციის მიღწევა სავალუტო და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში შემდეგი ღონისძიებების რეალიზაციის გზით: საერთო ვალუტის განმტკიცება, შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის და სამართლებრივი რეჟიმის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობდა ინვესტიციებს და ეკონომიკურ ზრდას, პრაქტიკაში საერთო ბაზრის შექმნას, საერთო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რომელიც თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროს ეხება. CACEU-მა შექმნა ფორუმი ცენტრალურ აფრიკაში ინვესტიციებისათვის, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ტარდება.

4.3. ECOWAS — დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა შეიქმნა 1975 წელს დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურ თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 1976 წელს.

ECOWAS-ის შემადგენლობაში 16 სახელმწფო შევიდა. ესენია: ბენინი, ბურკინა ფასო, კოტ-დივუარი, მწვანე კონცხის კუნძულები, გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ლიბერია, მალი, მავრიტანია, ნიგერი, ნიგერია, სენეგალი, სიერა-ლეონე, ტოგო.

ECOWAS-ის მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საერთო ბაზრის, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, სავალუტო თანამშრომლობის და რეგიონალური ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროგრამის განხორციელება.

4.4. SADC — განვითარების სამხრეთაფრიკული თანამშრომლობა 1992 წელს შეიქმნა სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა მიერ დეკლარაციის ხელმოწერით და თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკრულებით.

SADC-ის შემადგენლობაშია 11 წევრი-ქვეყანა: ანგოლა, ბოსტვანა, ზამბია, ზიმბაბვე, ლესოტო, მალავი, მოზამბიკი, ნამიბია, სვაზილენდი, ტანზანია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

SADC-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების გზაზე წინააღმდეგობათა თანმიმდევრული ლიკვიდაცია.

4.5. COMESA — აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი შეიქმნა 1994 წელს, როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის სახელმწიფოთა პრეფერენციალური ვაჭრობის ზონის მემკვიდრე, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების საერთო ბაზრის შექმნის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია COMESA-ს გარდაქმნა ეკონომიკურ თანამეგობრობად, თუკი საერთო ბაზრის შექმნის მიზნები მიღებული იქნება. COMESA-ს შემადგენლობაშია 20 წევრი-ქვეყანა: ანგოლა, ბურუნდი, ზაირი, ზამბია, ზიმბაბვე, კენია, კომორის კუნძულები, ლესოტო, მავრიკია, მადაგასკარი, მალავი, მოზამბიკი, ნამიბია, რუანდა, სვაზილენდი, სუდანი, ტანზანია, უგანდა, ერითრეა, ეთიოპია.

4.6. WAEMU — დასავლეთაფრიკული ეკონომიკური და სავალუტო კავშირი შეიქმნა 1994 წელს დასავლეთაფრიკული სავალუტო კავშირის მემკვიდრის სახით, რომელიც 1973 წლიდან არსებობდა. მის შემადგენლობაში შედის შვიდი ქვეყანა: ბენინი, ბურკინა-ფასო, კოტ-დივუარი, მალი, ნიგერი, სენეგალი, ტოგო. WAEMU-ს მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებს და მიზნებს წარმოადგენს:

- კონტროლის მრავალმხრივი სისტემის შემოღების მეშვეობით წევრ-ქვეყანათა ეკონომიკური ინტეგრაცია ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გზით.

- საერთო ბაზრის შექმნა საერთო საბაჟო ტარიფების შემოღების საფუძველზე, ასევე ერთობლივი სავაჭრო პოლიტიკის გატარება, საქონლის, მომსახურების და ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ადგილის შერჩევის თავისუფლების შემოღება.

თავი 18

განვითარების ამერიკული მოდელი

ამერიკული ეკონომიკური მოდელის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები. აშშ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია. აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურა და მდგომარეობა. აშშ-ის ტრანსეროვნული კაპიტალი. ამერიკული სახელმწიფო და ბიზნესი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

დაე, მოვიდნენ ჩემთან შენი დაღლილი გლახაკნი, შენი თავგზააბნეული ბრბოები, რომელთაც თავისუფლად სუნთქვა სწყურიათ.

წარწერა თავისუფლების ქანდაკებაზე

ამერიკამ არ იცის, საით მიემართება, მაგრამ სიჩქარის ყველა რეკორდს ამყარებს იქით მიმავალ გზაზე.

ლორენს პიტერი

შემდეგ იქნება განხილული მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ქვეყნები. მათ შორის ძალთა თანაფარდობა, მათი ბრძოლა გავლენისა და ძალაუფლებისათვის ოდითგან წარმოადგენდა მსოფლიო განვითარების მამოძრავებელ ძალას. სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ანალიზისათვის ჩვენი მიდგომის განმასხვავებელი ნიშანი იქნება ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსების გამოყოფა საკვანძოს სახით, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ ეკონომიკური მოდელის კონკურენტუნარიანობას. ჩვენ დავიწყებთ თანამედროვეობის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ქვეყნით — აშშ-ით. დღეს იგი არის უდავო ლიდერი არა მარტო სამხედრო და ეკონომიკურ, არამედ სამეცნიერო და კულტურულ სფეროებში. კარგია თუ ცუდი, ამერიკული ცხოვრების წესი იპყრობს სამყაროს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ახალგაზრდობას, ინგლისური

ფაქტიურად მსოფლიო ენა გახდა. თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლით ჩვენ ვეცნობით კაცობრიობის და რუსეთის შესაძლო ანდა ყველაზე უფრო სავარაუდო მომავალს. შესაძლებელია, იგი მოგეჩვენოთ არცთუ ძალზე სასურველად. რას ვიზამთ, თქვენ ჯერ კიდევ დრო გაქვთ მის შესაცვლელად.

18.1. ამერიკული ეკონომიკური მოდელის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები

ამერიკა არის ქვეყანა უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. მის ტერიტორიაზე არ იყო ცხენები, მაგრამ ევროპელების მიერ შემოყვანილი და შემთხვევით ჩამორჩენილი და გაქცეული ცხენები სწრაფად ველურდებოდნენ, მრავლდებოდნენ და ასე წარმოიქმნებოდა ხოლმე მუსტანგების უზარმაზარი ჯოგები. თვით ჩვენთვის კარგად ცნობილი მრავალძარღვაც კი, რომლის თესლი ამერიკულ ნიადაგზე ხვდებოდა ევროპული კოლონისტის ლანჩიდან, იძენდა გიგანტურ ზომებს და ინდიელები მათ „თეთრი ადამიანის კვალს“ უწოდებდნენ. ფერმერთა თავდაუზოგავმა შრომამ გააშრავლა ამერიკული მიწების ბუნებრივი სიმდიდრე და ბევრი ადრე უწყლო და უნაყოფო ტერიტორია ნაყოფიერი გახდა.

აშშ მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ქვეყანაა. მისი ფართობია 9,5 მლნ კვ. კმ., ხოლო მოსახლეობა — დაახლოებით 270 მლნ ადამიანი. იგი გადაჭიმულია ატლანტიკის ოკეანის სანაპიროებიდან წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე და კვეთს რვა საათის სარტყელს. სახელმწიფო შედგება 52 შტატისაგან, რომელთაგან ორი იზოლირებულია სხვებისგან: ესაა ალიასკა, რომელიც მდებარეობს კანადის ჩრდილო-დასავლეთით და ჰავაი — ტროპიკული კუნძულების ჯაჭვი წყნარ ოკეანეში. ქვეყანა გადაჭიმულია ალიასკის თოვლიანი სივრცეებიდან და სამხრეთ-დასავლეთის გადამწვარი უდაბნოებიდან შუა დასავლეთის ფართო დაბლობებამდე და სამხრეთ-აღმოსავლეთის სუბტროპიკულ ტყეებამდე. აშშ-ის ჩრდილოეთის საზღვარი (ალიასკის გარდა) გადის ვორონეჟის (რუსეთი) განედზე, ხოლო უმსხვილეს „ჩრდილოეთის“ ნიუ-იორკს გააჩნია სოჭის კლიმატი, სადაც კომფორტული საბანაო სეზონი მთავრდება ოქტომბრის დამდეგს.

მოსახლეობის 72% თეთრკანიანია, ხოლო 12% — აფროამერიკელები არიან. დაახლოებით 30 მლნ-მა ადამიანმა შეინარჩუნა მშობლიური ენა და იყენებს მას ინგლისურთან ერთად.

კლიმატური პირობები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, იგი მთელ მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანია. აშშ ფლობს 100 სახეობაზე მეტ სასარგებლო წიაღისეულს. ყველაზე დიდ წილს *ბუნებრივი რესურსებიდან* მომპოვებელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობაში ღირებულებით გამოხატულებაში შეადგენს ენერგორესურსები (90%). ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი ენერგომატარებლებით — ნავთობით, ნახშირით, ბუნებრივი აირით, ურანით, ჰიდროორესურსებით — რომელთა იმპორტირებას, მართალია, ახდენს, მაგრამ ამასთანავე საკუთარი საბადოების ნაწილს აკონსერვებს. ლითონის მოპოვების დაახლოებით 75% მოდის რკინის მადანსა და სპილენძზე. ამასთან ერთად ეკონომიკის მოთხოვნილებათა დაახლოებით 50% მინერალურ ნედლეულზე დაკმაყოფილებულია იმპორტის ხარჯზე. კერძოდ, აშშ არ ფლობს ისეთი სტრატეგიული ლითონების მარაგს, როგორიცაა ქრომი, მანგანუმი, ვოლფრამი და კობალტი.

ამერიკელი ერი ასევე სავსებით უნიკალურია. მილიონობით მამაცმა ადამიანმა თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან გადალახა ოკეანე, სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი თავის ძველ სამშობლოსთან და გახდა ახალი მსოფლიოს ნაწილი. ამერიკული melting pot (სადნობი ქვაბი) „ადნობდა" და „ფქვავდა" სხვადასხვა ეროვნებისა და ცივილიზაციის წარმომადგენლებს, სწრაფად და ეფექტურად „იღებდა" მათგან ერთიან ამერიკულ ერს. რა თქმა უნდა, აქ მოდიოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უკვე გამოირჩეოდნენ დიდი სიმტკიცითა და აზროვნების დამოუკიდებლობით, ვიდრე ოკეანეთა იქით დარჩენილი მათი თანამემამულენი. და მაინც, გასაოცარია რაოდენ სწრაფად გარდაიქმნენ — მართლმადიდებლები და კათოლიკენი, ბუდისტები და სიონისტები, მეოცნებე სლავები, ჭვრეტისმოყვარული ინდუსები და თავქარიანი იტალიელები პრაგმატულ და საქმიან ამერიკელებად. როგორც ჩანს, ამერიკული ცხოვრების რიტმი და ამერიკული შრომის მწარმოებლურობა შესაძლებელია ყველა ხალხისათვის. ჩინელები, ინდოსები, არაბები, რუსები, აფრიკელები თითქმის ერთბაშად იწყებენ მუშაობას რამდენჯერმე უფრო მწარმოებლურად, ვიდრე თავის სულ ცოტა ხნის წინ მიტოვებულ სამშობლოში. და საქმე აქ არა მარტო წარმოების სხვა ტექნოლოგიურ დონეშია. ამერიკას შეუძლია სწრაფად გაიძულოს გადაიღო მისი სასიცოცხლო სტანდარტები და შრომითი მორალი. მან შეძლო შეექმნა იმდენად უნიკალური და ბუნებრივი იდეოლოგია, რომ სურვილის შემთხვევაში იოლად აღიქმება ყველა ერის და კულტურის წარმომადგენლისათვის.

აშშ ატარებს საოცრად მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ, დაჟინებულ და ეფექტიან *ეროვნულ პოლიტიკას*. ჯერ კიდევ ახლახან ამერიკის შემძვრელი რასობრივი შეტაკებანი სწრაფად ბარდება წარსულს. ყველა დო-

ნეზე და ყველა შესაძლებელი საშუალებებით მიმდინარეობს რასობრივი და ეროვნული თანასწორობის უფართოესი პროპაგანდა. გაიხსენეთ თუნდაც ჰოლივუდის ფილმები. თეთრი გმირი პოლიციელის გვერდით ყოველთვის დაინახავთ შავკანიან მეწყვილეს. თქვენ არსოდეს შეგხვდებათ მარტოხელა ზანგი-ბოროტმოქმედი, ფილმში ის აუცილებლად მოქმედებს დიდ თეთრ ბოროტმოქმედთან ერთად. ეროვნული ერთიანობის პროპაგანდა ეფუძნება ძალიან მკაცრ კანონმდებლობას, რომელიც დევნის რასობრივი და ეროვნული უთანასწორობის ნებისმიერ გამოვლენას. აშშ — ეს პირველი შედგენილი, მრავალეროვნული ხელქმნილი ცივილიზაციაა სხვა მიწაზე გადმომსხდარი ძლიერი და თავისუფალი ხალხისა, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი თავის მშობლიურ ქვეყნებთან (ძველ სამყაროსთან) და დაიწყეს ახალი ცხოვრება.

პირველ ახალმონაშენეთა ძირითადი მასა იყვნენ *პროტესტანტები* (იხ. თავი 9). ისინი სახლდებოდნენ ახალ სამყაროში იმისათვის, რომ გათავისუფლებულიყვნენ თავისი რელიგიური მდგომარეობისგან და შეექმნათ ახალი, თავისუფალი და აყვავებული ქვეყანა, რომელიც იცხოვრებდა გამყიდველი კათოლიკური ეკლესიის დაუსვრელი ქრისტიანული მორალის პრინციპების მიხედვით. ზოგიერთი ამერიკული შტატი იქმნებოდა უპირატესად ცალკეული პროტესტანტული კონფესიის წარმომადგენლების მიერ.

პროტესტანტობამ განამტკიცა განსაკუთრებული დამოკიდებულება საქმიანობისადმი, როგორც „სისტემაში ახარისხებული სიწმინდისადმი".[1] ამ მოძღვრების თანახმად, შრომა არის მოვალეობა, შრომა — ადამიანის მოწოდებაა, და ბოლოს, შრომა არის ცოდვებისგან ხსნა და „საგზური" ღმერთის სასუფეველში. პროტესტანტობა არიგებს რელიგიას მატერიალურ წარმატებებთან მიწიერ საქმეებში. აქ მატერიალური და სულიერი კარგად „შეეწყო" ერთმანეთს — ერთი მეორეს არ უშლის. რელიგია იძლევა სანქციას ბიზნესში იღბლისა და წარმატებისათვის: სირცხვილია იყო არა მდიდარი, არამედ ღარიბი. პროტესტანტიზმი, ამერიკული ცივილიზაციის ღირებულებითი საფუძველი, წარმოადგენს მორალურ სანქციას და ამერიკის არსებობის მთავარი აზრის — სულ უფრო მეტი და მეტი ტექნოკრატიული გარდაქმნების და ეკონომიკური მოწყობის გამართლებას.

აშშ — *აბსოლუტურად პროტესტანტული ქვეყანაა* და მისი „პროტესტანტიზმი" ეხება არა მარტო კონფესიის ღია მიმდევრებს, არამედ სხვა რელიგიური შეხედულებების ან ათეისტების უზარმაზარ ფენას. პროტეს-

1. Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. Избранные произведения. — М.: Прогресс. — с. 143.

ტანტულ სულს იოლად აღმოაჩენთ არა მარტო პურიტანებში, ბაპტისტებში, კვაკერებში, მორმონებში და ა. შ., არამედ ამერიკულ კრიშნაიზმში, უნას სექტაში და ამერიკელ იეზუიტებს შორის, უბრალოდ არარელიგიურ ამერიკელ მოქალაქეშიც კი. ყველა ისინი ამა თუ იმ ფორმით გამსჭვალულნი არიან „პროტესტანტული იდეოლოგიით".

პროტესტანტი პრაქტიკულად პირდაპირ მიმართავს ღმერთს და მხოლოდ მის წინაშე გრძნობს მთელ პასუხისმგებლობას თავისი საქმიანობის და არჩევანის გამო. ღმერთი ანიჭებს ადამიანს არჩევანის თავისუფლებას და განსჯის მას იმის მიხედვით, თუ როგორ განკარგავს იგი თავის თავისუფლებას. ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ როგორ აკეთებს თავის არჩევანს ამერიკული ფილმების გმირი, იქნება ის ჩინოვნიკი თუ ბიზნესმენი. ისინი სულ რაღაც ერთი წამით ახდენენ შინაგან მობილიზაციას, კონცენტრაციას გადაწყვეტილების მიღებისას, და მხოლოდ შემდეგ მოქმედებს. ყველა ამერიკელ მსახიობს იოლად ძალუძს ამ „წმინდა წამის" არჩევა. მათ საერთოდ არ უხდებათ ამის თამაში, ქცევის ასეთი წესი მათ შეთვისებული აქვთ „დედის რძესთან" ერთად. ამ მომენტში ამერიკელი ახდენს ღმერთის მიერ ბოძებული არჩევანის თავისუფლების რეალიზაციას. მხოლოდ ამ საიდუმლოს ჩაწვდომითაა შესაძლებელი ამერიკის გაგება.

თავისუფლება — ამერიკული ცივილიზაციის საკვანძო სიტყვაა. ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ამერიკელთა 72%-მა კითხვაზე: რა არის მათთვის მნიშვნელოვანი — თავისუფლება თუ თანასწორობა? — უპასუხა: „თავისუფლება". შესადარებლად იგივე კითხვაზე პასუხი იაპონელთა 43%-მა გასცა.[1] ლიბერალიზმი (liberty — თავისუფლება) გახდა აშშ-ის გაბატონებული ფილოსოფია და თანდათანობით აღიქმება მთელი დანარჩენი მსოფლიოს მიერ. იგი გახდა ტრანსნაციონალიზაციის (იხ. თავი 6) ფილოსოფიის და თანამედროვე მეგაეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

ამერიკელები — პრაგმატიკოსები არიან. მათ შეუძლიათ პასუხი გასცენ კითხვას: „როგორ მოვიქცეთ სამყაროში, რომ მივაღწიოთ მაქსიმალურ ეკონომიკურ კეთილდღეობას?", მაგრამ პასუხი კითხვაზე — „რა საჭიროა თავად კეთილდღეობა, საით მივყევართ მას საბოლოო ჯამში?" — არ ძალუძთ. და არც არის საჭირო ამ კითხვის დასმა, რათა არ „გავიხლართოთ" მსჯელობებში, უკეთესია წარმატებულად ვიმოქმედოთ ბიზნესში. ამერიკელთა შედარებით მსუბუქი დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, მინიმალური ზრუნვა ზღვარსმიღმაზე, სულიერზე, მაქსიმალურ

1. იხ.: Василенко И; Политическая глобалистика. — М.: Логос. 2000.

ენერგიას ათავისუფლებს ეკონომიკური საქმიანობისათვის. ამერიკელებმა შესანიშნავი სიზუსტით აღიქვეს სპინოზას 67-ე თეორემა („ეთიკა", ნაწ. 4): „თავისუფალი ადამიანი არაფერზე ისე ცოტას არ ფიქრობს, როგორც სიკვდილზე და მისი სიბრძნე მდგომარეობს ფიქრში არა სიკვდილზე, არამედ სიცოცხლის შესახებ". ამერიკელებისათვის ყველაფერი, რაც ეხება ყოფის საფუძველს, გამოცხადებულია პრაქტიკულად არასაჭიროდ. საინტერესოა გავეცნოთ თუ როგორ „უმკლავდება" ყველა უმაღლეს თეოლოგიურ პრობლემას, დაკავშირებულს კითხვასთან „რატომ", ცნობილი ფილოსოფოსი პ. ედვარდსი (ფილოსოფიის ენციკლოპედიის რვატომეულის რედაქტორი). იგი მათ უბრალოდ უწოდებს „უპასუხოებს", აზრს მოკლებულთ ან უბრალოდ ადამიანურ ჩივილს და არა ლოგიკურად კორექტულ კითხვებს, რომლებზეც შეიძლება გაცემულ იქნას მკაფიო პასუხი.

ამერიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია *პროტესტანტული მესიანობის* შეგრძნება. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი გავრცელებული ეპითეტები, როგორიცაა „რჩეული ერი", „ახალი ისრაელი", „ერი-მომნანიებელი", „ერი-მხსნელი", „ღვთიური წინასწარმეტყველების რეალური ხორცშესხმა", „ნოეს კიდობანი", „რჩეული რასა" და ა. შ. ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ ის ყველაზე კარგი ერია, მოწოდებული იმისათვის, რათა აჩვენოს სხვებს, ვინც ჩაძირულია ცოდვებში, უზრუნველყოფილი ცხოვრების წესი და ამით „გადაარჩინოს" (ე. ი. გააამერიკელოს) მსოფლიო.

გეოპოლიტიკური აზროვნება, რომელიც განსაკუთრებულად აქვს განვითარებული აშშ-ის პოლიტიკურ ელიტას, არაწინააღმდეგობრივად ითავსებს თავისთავში ფუნდამენტურ პროტესტანტიზმს, „აშშ-ის, როგორც ახალი ისრაელის იდეას, რომელიც მოწოდებულია მწყემსოს ხალხები ისტორიის ბოლოში" და ლიბერალიზმის და თავისუფალი ვაჭრობის იდეას, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის მაქსიმალურ რაციონალიზაციას, დაფუძნებულს „გონიერი ეგოიზმის" პრიორიტეტზე. ამერიკული გეოპოლიტიკის პროტესტანტული მესიანობა ამგვარად ესადაგება უნივერსალურ საბაზრო მოდელს და ღირებულებათა ლიბერალურ სისტემას.

პროტესტანტულმა ინდივიდუალიზმმა, ეკონომიკურმა ლიბერალიზმმა და ცხოვრების პრაგმატულმა აღქმამ თავისი ხორცშესხმა ჰპოვა ამერიკის *პოლიტიკურ სისტემაში*. პროტესტანტული ეკლესია ორგანიზებულია ე. წ. კონგრესიონისტული პრინციპით: ეკლესიას აკონტროლებს მრევლი, რომელიც ქირაობს მღვდელს, იგი (მრევლი) თავად აღმართავს ეკლესიას, თვალყურს ადევნებს ფინანსურ საქმეებს. ამით პროტესტანტული ეკლესია თავიდანვე იძლევა ამერიკული პოლიტიკური სისტემის მოდელს,

რომლის ცენტრში იმყოფება ადამიანი, რომელიც ირჩევს და ქირაობს თავის სულიერ მწყემსებს და პოლიტიკურ ლიდერებს.

სახელმწიფო თავისი კანონების მხოლოდ მის გარეშე მომუშავე მწარმოებლების ჰარმონიზაციას ახდენს. კლასიკური განსაზღვრებით სახელმწიფო, რომელიც მოცემულია ლინკოლნის მიერ წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში, გეტისბერგში, ბრძოლაში დაღუპულთა ცხედრებთან (მას უპირისპირებენ პერიკლეს ანალოგიურ სიტყვას), არის: Government of the people, by the people and for the people — „სახელმწიფო (მთავრობა) ხალხისა, ხალხის მიერ, ხალხისათვის". წინდებულები of, by, for გვიჩვენებს: ვის საკუთრებას წარმოადგენს სახელმწიფო (of), ვისი შრომის იარაღია იგი (by), და ვის უნდა ემსახუროს იგი (for). ამერიკის სახელმწიფო დაქირავებულია ხალხის მიერ, ემსახურება მას და მკაფიოდ აქვს ეს შემეცნებული. იგი არ ცდილობს განავრცოს თავისი საკუთარი ზეადამიანური მიზნები და ღირებულებები, როგორც ეს ხდება ევროპაში და განსაკუთრებით რუსეთში. ამერიკელები ძალიან დიდი პატრიოტები არიან, მაგრამ განსაკუთრებულ მოწიწებას არ განიცდიან სახელმწიფოს მიმართ, განსხვავებით, მაგალითად, თავისი ერთმორწმუნე გერმანელებისაგან.

აშშ-ში შესაძლებელი გახდა *ხელისუფლების დაყოფის, „შეკავებისა და საკირწონის" პრინციპის* რეალიზება, რომელიც გამოაცხადა მონტესკიემ. პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციით, კონგრესი და უმაღლესი სასამართლო თავისთავად წარმოადგენს სამ სრულიად დამოუკიდებელი ძალაუფლების შტოს, რომელთა უფლებამოსილებანი განაწილებულია იმგვარად, რომ ძალაუფლების მონოპოლიზაცია შეუძლებელია და ხელისუფლების ერთი შტო შეკავებული და გაწონასწორებულია სხვა ხელისუფლებისაგან. პრეზიდენტი მეთაურობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, კონგრესი — საკანონმდებლოს, შეუძლია კანონების გაუქმება, რომლებიც წარმოადგინა პრეზიდენტმა, თავის მხრივ, პრეზიდენტს ძალუძს ვეტო დაადოს კანონებს, რომლებიც მიიღო კონგრესმა. სასამართლო ხელისუფლების მატარებელი — აშშ-ის უმაღლესი სასამართლო — ინიშნება პრეზიდენტის და მტკიცდება კონგრესის მიერ. იგი უფლებამოსილია საბოლოოდ გააუქმოს კონგრესის კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, თუკი ისინი არ შეესაბამება კონსტიტუციას.

აშშ-ის პოლიტიკური სისტემის საფუძვლები ჩადებულია მის *კონსტიტუციაში,* რომელიც მიღებულია 1787 წელს კონსტიტუციური კონვენტის მიერ ფილადელფიაში. მას შემდეგ ამ ისტორიული კონვენტის წევრებს უწოდებენ „მამა-დამფუძნებლებს". ორი წლის შემდეგ, 1789 წელს,

კონსტიტუცია იქნა შევსებული ათი შესწორებით, რომელმაც შეადგინა ბილი უფლებების შესახებ. მათში გაცხადებული იყო მოქალაქეთა პოლიტიკური, პირადი და პროცესუალური უფლებები. აშშ-ის ეკონომიკური აყვავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს მისი პოლიტიკური ინსტიტუტების ხელშეუხებლობა. კონსტიტუციის და უფლებების შესახებ ბილის მიღების შემდეგ მოცემული იყო 5 ათასზე მეტი შესწორების პროექტი, მაგრამ მათგან მხოლოდ 15 იქნა მიღებული და ეს — ორასი წლის მანძილზე!

აშშ — ფედერალური სახელმწიფოა, რომლის შტატების მთავრობათა და ცენტრის კომპეტენცია მკაცრადაა გამიჯნული. შტატები მოკლებული არიან საგარეოეკონომიკურ უფლებამოსილებებს, არა აქვთ გამოყოფის და მართვის ფორმის შეცვლის უფლება.

ცივილიზაციური ღირებულებების ამერიკული სისტემა და მძლავრი, მდგრადი ფორმალური ინსტიტუტები იდეალური გარემო აღმოჩნდა ეკონომიკური განვითარებისათვის, რომელიც დაფუძნებული იყო ცოდნასა და ინოვაციებზე. თავისუფალი, საკუთარი თავის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ცენტრად აღმქმელი ადამიანი, რომლის საკუთრება და უფლებები საიმედოდაა დაცული, ყველაზე კარგად შეესაბამება ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ტიპის მოთხოვნებს. ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები საშუალებას აძლევს წინდახედულ, ნიჭიერ და, რა თქმა უნდა, იღბლიან ადამიანებს მიაღწიონ სიმდიდრის, სახელის და კეთილდღეობის მწვერვალებს.

უდიდესი ამერიკული ოცნება აღძრავდა და აღძრავს მილიონობით ამერიკელს მოქმედებისაკენ, შემართებისაკენ. მათთვის ბავშვობიდანვეა ცნობილი, რომ „ოცნებები სრულდება, თუ სურვილი გადაიქცევა მოქმედებად". ისინი თავს გრძნობენ სიმდიდრისათვის დევნის მონაწილეებად, ცხოვრობენ რა ამასთან მუდმივად ცვალებად სამყაროში. ეს სამყარო დაჟინებით მოითხოვს მათგან ახალ იდეებს, ახალ მიდგომებს, ლიდერებს, გამოგონებებს, სწავლების სისტემებს, მარკეტინგს, ახალ წიგნებს და სცენარებს ტელევიზიასა და კინოსათვის. და მოთხოვნათა ასეთ მდგომარეობაში, ყველა ახალ და საუკეთესო საგნებში იმარჯვებს ის, ვისაც გააჩნია განსაზღვრული მიზანი და წარმატების მწველი სურვილი. ამ სამყაროს ნამდვილ ლიდერებად ყოველთვის ხდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ სურვილს აქცევდნენ ცათამბჯენებად, ქალაქებად, ფაბრიკებად, აეროდრომებად და სხვადასხვა სახის მოწყობილებებად, რომლებიც ცხოვრებას ხდიდა უფრო კომფორტულს. ამერიკული ცივილიზაცია თავის შემართებულ სულს უნდა უმადლოდეს საკუთარ სიცოცხლისუნარიანობას, რომე-

ლიც ეხმარება გამოავლინოს და განავითაროს ტალანტები. თომას ედისონი ოცნებობდა ელექტრულ ნათურაზე. ის სასწრაფოდ შეუდგა ცდებს და არ ეშვებოდა, მიუხედავად ათასობით წარუმატებლობისა, მანამ, სანამ მისი ოცნება რეალობად არ იქცა. მეოცნებე-პრაქტიკოსები საქმეებს არ ტოვებენ! უელანი ოცნებობდა თამბაქოს მაღაზიების ქსელზე და ახლა მისი კომპანიის მაღაზიები ამერიკის ყოველ კუთხეშია. ძმები რაიტები ოცნებობდნენ საფრენ აპარატზე. დღეს ყველა შეუძლის დარწმუნდეს, საღი იყო თუ არა მათი ოცნებები. მსოფლიოს ყველაზე უმდიდრესმა ადამიანმა ბილ გეიტსმა თავისი მდგომარეობა შექმნა ტალანტით, გაბედულობითა და იღბლიანობით. მთელი ამერიკის სიდიადე აშენებულია ათასობით ასეთ მაგალითზე.

ბუნებრივია, ეკონომიკურმა ეფექტიანობამ ამერიკელებისგან მოითხოვა ბევრ რამეზე ეთქვათ უარი სულიერ სფეროში. პრაგმატული ამერიკელი არ არის მიდრეკილი ცხოვრების აზრის შესახებ ღრმა განსჯისაკენ, ამერიკული სულიერი კულტურა არც ისე ღრმა და მდიდარია, როგორც ევროპული და რუსული. იგი ზედმეტად ტექნოკრატულია და ორიენტირებულია მოხმარებაზე. ამერიკელები მშვიდად უდგებიან ასეთ მტკიცებებს. უეჭველია, თანამედროვე მსოფლიო მიდის ამ გზით.

მათი ცივილიზაციური რესურსები აღმოჩნდა ყველაზე გამოსადეგი თანამედროვე პირობებში გამოსაყენებლად, მაშინ, როცა ეკონომიკა წავიდა პოსტინდუსტრიული განვითარების გზით და მკვეთრად გაიზარდა დამოუკიდებელი, შემოქმედებითი პიროვნების როლი. ეს რაოდენობრივად გამოვლინდა იმაში, რომ აშშ-ში შრომის მწარმოებლურობის ტემპების ზრდა 90-იანი წლების დამდეგიდან გაიზარდა თითქმის ორჯერ, იმ დროს, როცა სხვა ქვეყანაში იგი შენელდა (ცხრილი 18.1.).

ცხრილი 18.1.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები

ქვეყანა	1977–1995 წწ.	1997–2000 წწ.
აშშ	1,4	2,2
იაპონია	2,6	2,0
გერმანია	1,9	1,8
საფრანგეთი	1,6	1,8
დიდი ბრიტანეთი	1,9	1,5

ახლა მოვახდინოთ შეჯამება.

1. ამერიკული ცივილიზაცია, რომელიც დაფუძნებულია პროტესტანტულ ეთიკაზე, ფილოსოფიურ პრაგმატიზმსა და ეკონომიკურ ლიბერალიზმზე, აღმოჩნდა ოპტიმალური რესურსი თანამედროვე ტიპის ეკონომიკური განვითარებისათვის, რომელიც დაფუძნებულია ცოდნასა და ინოვაციებზე.

2. აშშ-ში ხელისუფლების დაყოფის პრინციპის და „შეკავებისა და საპირწონის" სისტემის საფუძველზე შეიქმნა ინსტიტუციონალური გარემო, რომელიც საიმედოდ იცავს თითოეული მოქალაქის უფლებებს და საკუთრებას, ამასთან ახდენს მისი სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას.

3. უდიდესი ამერიკული ოცნება სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის შესანიშნავი სტიმული გახდა, თუმცა ეკონომიკური ეფექტიანობისათვის დაძაბულმა გამოდევნებამ ამერიკული კულტურა გახადა ზედმეტად პრაგმატული, ტექნოკრატული და მომხმარებლურად ორიენტირებული.

18.2. აშშ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია

პროცესის გაგება შეიძლება, თუ მის ევოლუციას გავადევნებთ თვალს. ევოლუციური ინსტიტუციონალიზმის ეს პრინციპი მოითხოვს ვეძიოთ თანამედროვეობის ძირითადი ტენდენციების და ფაქტორების ფესვები ეკონომიკურ ისტორიაში, შევისწავლოთ ამ ფაქტორების ურთიერთქმედება რეტროსპექტივაში და ამის საფუძველზე გავაკეთოთ შემდგომი განვითარების პროგნოზირება. ასეთმა მიდგომამ დაამტკიცა თავისი ნაყოფიერება და იგი არა მარტო კარგია გამოსაკვლევად, არამედ შესწავლისათვისაც. ამიტომ სხვადასხვა საკითხის განხილვისას ჩვენ თანმიმდევრულად დავიცავთ ამ პრინციპს.

ამერიკა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. ამერიკული ეროვნული თვითშეგნება ჩამოყალიბდა 1657-1753 წწ-ში. ამის შემდეგ ამერიკელებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა..

1776 წ. შუქი იხილა აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ და ა. სმიტის წიგნმა „ხალხთა სიმდიდრის" შესახებ, რომელმაც მსოფლიოს წარუდგინა ლიბერალური ეკონომიკის დეკლარაცია. იმავე პერიოდში წარმოიშვა *ორი ძირითადი მიმდინარეობა ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკაში.* ორივე მიმდინარეობას მეთაურობდნენ ცნობილი ადამიანები,

დამფუძნებელი-მამები — ჰამილტონი და ჯეფერსონი. მტკიცებულებას იმაზე, რომ ეკონომიკას ძალუძს თვითრეგულირება, ჰამილტონმა უწოდა „ბოდვითი პარადოქსი“, იგი გამოდიოდა აშშ-ის სამრეწველო მომავლის და ბაზრის სახელმწიფო რეგულირების დამცველად. ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს კი აქტიურად იყენებდა ფულად ემისიას, სატარიფო პოლიტიკას და სხვა სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს. ჯეფერსონი მომავალ ამერიკას ხედავდა, როგორც სამოთხეს წვრილი მეურნეობისათვის, სასოფლო არკადიისათვის. „ვაშინგტონიდან მითითებებს რომ დავლოდებოდით — როდის დაგვეთესა, ან აგვეღო მოსავალი, ჩვენ ალბათ დავრჩებოდით პურის გარეშე,“ — ამბობდა იგი, თვლიდა რა „ხალხთა სიმდიდრეს“ ჩვენი დროის საუკეთესო წიგნად პოლიტეკონომიაში. იგი გამოდიოდა თავისუფალი არარეგულირებადი ბაზრისათვის, თუმცა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ცოტა დროს როდი უთმობდა ვაჭრობის პრაქტიკულ რეგულირებას. მაშ ასე, ამერიკული ეკონომიკის პირველივე ნაბიჯებიდან ჩამოყალიბდა ორი ძირითადი ბანაკი: სახელმწიფო რეგულირების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა. ამგვარი დაყოფა კვლავ გახდა კაცობრიობის ორი მნიშვნელოვანი ინტიტუტის ბრძოლის გამოვლინება — სახელმწიფოსი და ბაზრის. ჰამილტონის პოზიციას შემდგომში ემხრობოდნენ ძირითადად დემოკრატიული პარტიის მომხრეები, ხოლო ჯეფერსონისას — რესპუბლიკელების. აშშ-ში ეს ბრძოლა არ იყო შეურიგებელი. იყვნენ რა პრაგმატიკოსები, ამერიკელი რესპუბლიკელ-ლიბერალები იყენებდნენ სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს, ხოლო დემოკრატები, თავის მხრივ, ხშირად ემხრობოდნენ და ატარებდნენ სავსებით ლიბერალურ პოლიტიკას. ამერიკელები უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ „სხვაობა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის ათცენტიან მონეტადაც კი არ ღირს“. ინფლაციასთან ერთად ეს სხვაობა სულ უფრო მცირდებოდა.

1801-1865 წწ. ამერიკა დაკავებული იყო თავისი შიდა პრობლემებით და, ასე ვთქვათ, ამოვარდა მსოფლიო ისტორიიდან. მონობის გასაუქმებლად ჩრდილოეთის და სამხრეთის სასტიკი ომის შემდეგ და მაგრამ ინდუსტრიული ჩრდილოეთის გამარჯვებამ აშშ ეკონომიკური ძლევამოსილებისკენ წაიყვანა.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ აშშ-ის წილად უკვე მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს 1/3, ამერიკა პრაქტიკულად მოკლებული იყო გლობალურ იმპერიულ ამბიციებს და მისი ჩაბმა ომში ანტანტის ქვეყნებისათვის იოლი ამოცანა როდი აღმოჩნდა. ომში გამარჯვების შემდეგაც კი აშშ ჯერდებოდა შედარებით მოკრძალებულ როლს

მსოფლიო პოლიტიკაში. *აშშ-ისათვის ტრადიციული რჩებოდა „სხვათა" საქმეებში ჩაურევლობის იზოლაციური განწყობა.*

20-იან წლებში ამერიკას ედგა *აყვავების ეპოქა*. ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა, უფრო სწრაფად იზრდებოდა საფონდო ბაზარი. ძირითადად, სიტუაცია დღევანდელის ძალიან მსგავსი იყო. მაშინ პროსპერიტის (აყვავების) ეპოქა დასრულდა სასტიკი კრიზისით, რომელშიც აშშ-მა დაკარგა მშპ-ის 1/3-ზე მეტი. *30-იანი წლების კრიზისის შემდეგ დადგა დეპრესია*, საიდანაც გამოსავალი იქნა ნაპოვნი აშშ-ის პრეზიდენტის, ფ. რუზველტის მიერ. მისი „ახალი კურსი" ითვალისწინებდა, რუზველტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელმწიფოს სამთავრობო ჩარევის აუცილებლობას ეკონომიკურ ცხოვრებაში..." (მიუხედავად ამისა, რუზველტი თვლიდა თავს ლიბერალად, ხოლო თავისუფალი ბაზრის მიმდევრებს კონსერვატორებს ეძახდა). რეგულირების კეინსიანური მეთოდები, გამოყენებული რუზველტის მიერ, სრული წარმატებით დასრულდა. ამერიკა კვლავ იკრებდა ეკონომიკურ სიძლიერეს. თუმცა უკვე კარსმომდგარი გერმანულ-იაპონური აგრესიის დროსაც კი ამერიკული საზოგადოება არ თვლიდა საჭიროდ გადაეხედა თავისი ძველი იზოლაციური შეხედულებებისათვის. ის რაც ხდებოდა ოკეანის იქით, ნაკლებად აღელვებდა ამერიკელებს. ბოროტი ენები დღემდე ამბობენ, რომ რუზველტი გაფრთხილებული იყო იაპონიის თავდასხმის შესახებ ამერიკულ ბაზაზე — პერლ-ჰარბორზე, მაგრამ ეს იმიტომ დაუშვა, რომ ამერიკული საზოგადოებრივი აზრი დაეყოლიებინა მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობაზე.

აშშ გამოვიდა ომიდან, როგორც არასოდეს, ისეთი ძლიერი. მის წილად მოდიოდა მსოფლიო მშპ-ს დაახლოებით 50%. მას რჩებოდა მხოლოდ ერთი მეტოქე, ყოფილი მოკავშირე, სახელმწიფო-გამარჯვებული — სსრკ, რომელიც საკმაოდ სწრაფად ხდებოდა მტერი. *მსოფლიომ შეიძინა სასტიკი ბიპოლარული სტრუქტურა* მოწინააღმდეგე მხარეთა ძალთა მიახლოებული თანაფარდობით.

ომში გამარჯვება და სამხედრო ხარჯების გარდაუვალი მკვეთრი შემცირება ომით ნაკვებ აშშ-ს სამხედრო ეკონომიკას ემუქრებოდა ახალი კრიზისი. მან შეძლო ამისგან თავის დაღწევა, მოიგონა რა მარშალის შესანიშნავი გეგმა, რომელმაც ერთბაშად გადაწყვიტა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. ეს იყო ფართომასშტაბიანი დახმარების გეგმა ამერიკის ახალი მოკავშირეებისათვის განსაზღვრული პოლიტიკური ვალდებულებების სანაცვლოდ. ასეთი სახით ამერიკის ეკონომიკური სიმძლავრე უნდა მიმართულიყო ევროპული ქვეყნების დანგრეული სამხედრო ეკონომიკების აღსადგენად და იმავდროულად იკვრებოდა მონოლითური სამ-

ხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც შეეძლო აშშ-ის ეგიდით წინააღმდეგობა გაეწია სოციალისტური ქვეყნების ბლოკისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი წარმართავდა.

აშშ-ის ომისშემდგომი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანობაში მისდევდა კეინსიანურ პრინციპებს და რეკომენდაციებს. გ. ტრუმენის და დ. ეიზენჰაუერის (1946-1962 წწ.) პრეზიდენტობის პერიოდში თანდათანობით მოხდა უდეფიციტო ბიუჯეტის იდეისგან დაცილება და ტარდებოდა ზომიერი საბიუჯეტო მაკროპოლიტიკა, რომელიც ცდილობდა აღეკვეთა ახალი კრიზისები.

პრეზიდენტების ჯ. კენედის, ლ. ჯონსონის, რ. ნიქსონის, ჯ. ფორდის და ჯ. კარტერის (1962-1980 წწ.) ეპოქა ხასიათდება ერთობლივი მოთხოვნის აქტიური სახელმწიფო რეგულირებით სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენების საფუძველზე. ამ პერიოდის ბოლოს გამოირკვა, რომ კეინსიანურმა მეთოდებმა დაკარგა თავისი მასტაბილიზირებული ეფექტი, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ახალი მეგაეკონომიკური ურთიერთკავშირების ფაქტორთა ჩასახვასთან. დგებოდა ახალი ეკონომიკური ეპოქა. მისი ლოზუნგი გახდა რ. რეიგანის სიტყვები: „მთავრობა არ გადაწყვეტს ჩვენ პრობლემებს; მთავრობა — თავად პრობლემაა" და როგორც კი „იგი თავს დაგვანებებს, ეს პრობლემები მოგვარდება თავისთავად".

რესპუბლიკელი პრეზიდენტების — რ. რეიგანის და ჯ. ბუშის (1981-1992 წწ.) — ნეოკონსერვატორული კურსი ეფუძნებოდა ნობელის პრემიის ლაურეატთა — მ. ფრიდმანის და რ. მანდელას — მონეტარულ შეხედულებებს. ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფო ხარჯების, გადასახადების და ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის შემცირებას. ახალი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებაში აქტიური წვლილი შეიტანა ახალგაზრდა ჟურნალისტ-ეკონომისტმა ა. ლაფერმა, რომელმაც თვალსაჩინოდ დაგვანახა გადასახადების აკრების და საგადასახადო განაკვეთების ურთიერთკავშირი (ლაფერის მრუდი). ამ თეორიული შეხედულებების ბაზაზე შეიქმნა „რეიგანომიკა", რომელიც მდგომარეობს:

1) მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, რომელიც ხელს უწყობს ინფლაციის კლებას. იმავდროულად საპროცენტო განაკვეთის ზრდა იზიდავდა აშშ-ში უცხოურ კაპიტალს;

2) 1986 წლის საგადასახადო რეფორმაში, რომელმაც მიგვიყვანა საშემოსავლო გადასახადების ზღვრული განაკვეთის შემცირებამდე 55-დან 33%-მდე, ხოლო კორპორაციის მოგებაზე გადასახადის 46-დან 34%-მდე. ეს მეწარმეობის სტიმულირებას ახდენდა და, როგორც ლაფერი ვარაუდობდა, ზრდიდა ბიუჯეტის შემოსავლებს;

3) სოციალური პოლიტიკის გადახედვაში სახელმწიფო სოციალური პროგრამების შემცირების თვალსაზრისით;

4) სახელმწიფო ხარჯების მკვეთრი ზრდით სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რომელმაც მშპ-ს 3%-ს მიაღწია.

„რეიგანომიკამ" მოახდინა ინფლაციის შემცირების სტიმულირება 3-ჯერ, უმუშევრობის შემცირება 6%-მდე და ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპები. გარდა ამისა, რეიგანული „ბოროტების იმპერია" დაეცა და აშშ გახდა კაცობრიობის ერთპიროვნული ლიდერი. თუმცა, საბიუჯეტო დეფიციტი მუდმივად იზრდებოდა და 1990-1992 წ. კრიზისმა გვიჩვენა, რომ ბაზარმა საკმაოდ ძლიერ შეავიწროვა სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკა საჭიროებს არსებით ცვლილებებს.

1992 წ. გამარჯვებულმა ბ. კლინტონმა შესთავაზა და ბრწყინვალედაც განახორციელა თავისი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს უფრო აქტიურ როლს. მას საფუძვლად უდევს ბრძოლა საბიუჯეტო დეფიციტთან. კლინტონის ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ საგადასახადო განაკვეთები დაეშვა ოპტიმუმის ქვემოთ და ასწია ისინი. საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი გაიზარდა 36,9%-მდე. იმავდროულად მტკიცედ იქნა შემცირებული სახელმწიფო ხარჯები. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. სახელმწიფო ბიუჯეტის რეკორდული დეფიციტი, რომელიც ერგო კლინტონს ბუშისაგან (290,4 მლრდ დოლ. 1992 წ.), ლიკვიდირებული იქნა, და 1999 წ. მიაღწიეს ბიუჯეტის პროფიციტს 79 მლრდ დოლარის ოდენობით.

„კლინტონომიკამ" ააღორძინა სახელმწიფო სოციალური პროგრამები და გაზარდა ინვესტიციები საზოგადოებრივ სექტორში, ასევე სოციალურ ინფრასტრუქტურაში.

ინფლაცია შემცირდა 2-3%-მდე წელიწადში, უმუშევრობა — 4,5%-მდე, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ 90-იანი წლების ბოლოს შეადგინა 4%. შეიქმნა 12 მლნ ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო საფონდო ბაზარი 1993 წ. გაიზარდა 3-ჯერ და მეტად. 90-იან წლებში აშშ-მა განაგრძო მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის კურსი და აშშ-ში უკვე ყველა წარმოებული მატერიალური ფასეულობების 1/3-ზე მეტი რეალიზაციას პოულობს საგარეო ბაზარზე.

უნდა ვაღიაროთ, რომ კლინტონმა მოახდინა რეიგან-ბუშის კურსის კორექტირება და „კლინტონის ოქროს ეკონომიკა", როგორც მას უწოდებენ პრეზიდენტის მიმდევრები, გაიზარდა მაინც „რეიგანომიკისგან". როგორც ჩანს, ამერიკამ შეძლო ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე

დონისათვის სახელმწიფოს და ბაზრის ოპტიმალური შეთავსება. ამ შეთავსების ანალიზი რუსეთისათვის, რომელიც მტკივნეულად ეძებს თავისი განვითარების გზას, საინტერესოა არა მხოლოდ თეორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც კი.

18.3. აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურა და მდგომარეობა

აშშ-ს აქვს *ყველაზე დიდი მშპ მთელ მსოფლიოში*, რომელიც აჭარბებს 9,3 ტრლნ დოლარს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 34 ათას დოლარზე მეტი. ამ მაჩვენებლის მიხედვით აშშ აგრეთვე მიეკუთვნება მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს და აჭარბებს ყველა თავის ძირითად ეკონომიკურ კონკურენტებს.

აშშ გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც მტკიცედ დაადგა *პოსტინდუსტრიული განვითარების* გზას. სოფლის მეურნეობაში იქმნება მშპ მხოლოდ 2%, მრეწველობაში — 23%-ზე ნაკლები, ხოლო მომსახურების სფერო უკვე შეადგენს ამერიკული ეკონომიკის 75%-ზე მეტს. ამ მაჩვენებლით აშშ მხოლოდ ისრაელს (81%) და ნიდერლანდებს (78%) ჩამორჩება.

ამერიკული ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპებს და იმ ქვეყნების მშპ-ს უფრო ნელ მატებას, რომლებიც წარმოადგენენ აშშ-ის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს, *მივყევართ აშშ-ის საგარეო ვაჭრობის დეფიციტის ზრდასთან*. 2000 წ. იგი 23%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მიაღწია 430 მლრდ დოლარს.

სოფლის მეურნეობა. მარტო მისი ხვედრითი წილი ამ დარგს სრულად ვერ ახასიათებს. თავად სოფლის მეურნეობა გიგანტური აისბერგის წვერს წარმოადგენს აშშ-ის *აგროსამრეწველო კომპლექსისა*, რომელიც აწარმოებს პროდუქციას 1 ტრლნ დოლარის ოდენობით. ამერიკული ფერმერი იმყოფება მისი მომსახურე და უზრუნველმყოფელი სისტემის ცენტრში. მელიორაციით, ქიმიური მომსახურებით, ტექნიკის რემონტით, გასაღებით დაკავშირებულია სპეციალიზირებული ორგანიზაციები. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, აშშ-ში წამგებიანი ფერმების პროცენტი დიდია (დაახლოებით 800 ათასი ფერმა 1900 ათასიდან). 1999 წელს სახელმწიფომ პირდაპირი მხარდაჭერა აღმოუჩინა ფერმერებს 23 მლრდ დოლარის მოცულობით, ე. ი. თანხით, რომელიც რუსეთის მთელ ბიუჯეტს აჭარბებს. აშშ-ის სოფლის მეურნეობის საფუძველს შეადგენს 70 ათასი მსხვილი ფერმა, რომელიც იძლევა მთელი სასაქონლო პროდუქციის 67%-ს. 1,5 მლნ მცირე ფერმის რეალიზაციის მოცულობა შეადგენს მხოლოდ 15%-ს.

ბოლო წლებში აშშ-ის სოფლის მეურნეობა განიცდის კრიზისს, რაც დაკავშირებულია პროდუქციაზე დაბალ ფასებთან და შესაბამისად, ფერმერთა დაბალ შემოსავლებთან. 2000 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო საქონლის უმეტესობაზე გრძელდება ფასების შემცირება. მათი კლების მთავარი მიზეზია მარცვლეულის ზრდადი მარაგი ამ კულტურების მაღალი მოსავლიანობის გამო, რომელიც 4 წელი თანმიმდევრულად გრძელდება. მარცვლეულზე ფასების დაცემის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე მომხმარებლების მზარდი შეშფოთება გენური ინჟინერიის ფართო გამოყენებით ამ კულტურების ზრდის პროცესში. თუკი აშშ-ის ადმინისტრაცია არ მისცემს ამერიკელ გლეხებს ისეთივე ფინანსურ დახმარებას, როგორც 1998 წ. და 1999 წ., მაშინ მათი შემოსავლები 2000 წლისათვის, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზის თანახმად, შემცირდება 190 მლრდ დოლარამდე, ნაცვლად 192 მლრდ დოლარისა 1999 წელს.

მეცხოველეობის ფერმებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც დაკავშირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებასთან, 2000 წელი გახდა უფრო იღბლიანი, ვიდრე წინა, რაც დაკავშირებულია საქონლის ხორცზე აშშ-ში მზარდი მოთხოვნის გაზრდასთან. ბეკონის გამოყენების გაფართოებამ „მაკდონალდსის" ქსელების მენიუში და „სწრაფი კვების" სხვა სექტორებში შეიძლება გამოიწვიოს ღორის ხორცის მწარმოებელთა შემოსავლების მცირე ზრდა. აზიის ქვეყნებში და სამხრეთ ამერიკაში ეკონომიკური აღმავლობა აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის გაფართოების სტიმულირებას ახდენს.

კვების მრეწველობა იძლევა დაახლოებით აგროსამრეწველო კომპლექსის მშპ-ს 60%-ს და იკავებს მესამე ადგილს ამერიკის მრეწველობის დარგებს შორის. ამერიკელები სასურსათო საქონელზე ხარჯავენ თავიანთი შემოსავლების მხოლოდ 15%-ს (ისევე როგორც 20 წლის წინ). ბოლო წლებში აშშ-ში იზრდება ნახევარფაბრიკატებზე მოთხოვნა. ყოველი 15 დოლარიდან, რომელიც იხარჯება კვების პროდუქტებზე, მხოლოდ 8 დოლარი მოდის საკვებზე, რომლის მომზადება აუცილებელია საოჯახო პირობებში.

ასეთი სიტუაცია სარესტორანო ბიზნესის განვითარების სტიმულირებას ახდენს, რომლის შემოსავლებმა 2000 წელს მიაღწია 365 მლრდ დოლარს.[1] 1999 წელს სუპერმარკეტებმა, „Food Marketing Institute"-ის მონაცემებით, შეამცირეს ფართობები, განკუთვნილი სასურსათო პრო-

1. БИКИ. — 2000. — 8 февр. — №13.

დუქტების გასაყიდად, სამრეწველო საქონლით ვაჭრობის გაფართოების (56%-მდე) ხარჯზე. 2000 წლისათვის სასურსათო საქონლის მრავალი მსხვილი მიმწოდებელი, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, „Heinz", „Campbell", „Bestfood", გაერთიანდნენ ბაზარზე თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით.

ცუდი მდგომარეობა არაა მრეწველობის ტრადიციულ დარგებში. აშშ-ს *საავტომობილო კომპანიების* შემოსავლები 2000 წლისათვის რამდენადმე შემცირდა. ავტომობილების გაყიდვა 1999 წ. 7%-ით ზრდის შემდეგ 2000 წ. შემცირდა 4%-ით — 16,1 მლნ მანქანამდე, რაც აშშ-ის საავტომობილო მრეწველობის მთელი ისტორიის მანძილზე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მაჩვენებელს. აშშ-ის *საავტომობილო მრეწველობის* განვითარების სტიმული გახდა ახალი მოდელების რაოდენობის ზრდა, რომლებიც შეიმუშავეს მანქანათმშენებლებმა.

აშშ-ში მზარდი ეკონომიკური აღმავლობა ხელს შეუწყობს მაღალი შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციაზე, თუმცა ამ დარგში შემოსავლების ზრდის ტემპები 2000 წლისათვის რამდენადმე შემცირდა და შეადგინა 3,2%. იმპორტის წილი პროდუქციის მოხმარების საერთო მოცულობაში აშშ-ის *მეტალურგიულ მრეწველობაში* შემცირდა 2000 წლისათვის 21%-მდე სავაჭრო ბარიერების შემოღების წყალობით, რომელთაც შეაჩერეს იაფი უცხოური, მათ შორის რუსული, ფოლადის შემოტანა ქვეყანაში.

1999 წ. რიგი მსხვილი ალუმინის კომპანიების შერწყმის და აშშ-ში სტაბილური ეკონომიკური ზრდის შედეგად ფასები ალუმინზე გაიზარდა. ეს კარგად აისახა აშშ-ის მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაზე 2000 წელს. უარყოფით როლს ასრულებს ამ დარგის სამუშაო ძალის ღირებულების ზრდა, ფასების ზრდა ლითონის ჯართზე და მსხვილი ფოლადის კომპანიების კონკურენტუნარიანობის საკმაოდ დაბალ დონეზე.

2000 წლისათვის ნავთობზე მაღალი ფასები ძალიან სასიკეთო აღმოჩნდა აშშ-ის *ენერგეტიკული მრეწველობის* ზრდისათვის. ნავთობის კომპანიების შემოსავლები გაიზარდა თითქმის 20%-ით. პროგნოზების თანახმად, 2001 წლისათვის ფასი ნავთობზე რამდენადმე შემცირდება OPEC-ის ქვეყნების მიერ კვოტის აწევის გამო ნავთობის მოპოვებაზე. აშშ-ის ენერგეტიკული მრეწველობის სტიმულს აგრეთვე წარმოადგენს კომპანიათა შერწყმისა და შეძენის ზრდადი რიცხვი, რომლებიც მოქმედებენ ეკონომიკის ამ სექტორში. ენერგეტიკული კომპანიების გაერთიანების დაჩქარების პროცესის ძირითად მიზეზს 1999 წელს, ექსპერტთა აზრით, წარმოადგენ-

და 1998 წ. ნავთობზე დაბალი ფასები. მსხვილი კომპანიების წარმოქმნა ხელს უწყობდა ენერგეტიკული კომპანიების დანახარჯთა მკვეთრ შემცირებას. ფირმების შერწყმა მათი საქმიანობის დივერსიფიცირებას აიოლებს, ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას. აშშ-ის ენერგეტიკული დარგის განვითარებისათვის ნეგატიური ფაქტორი იქნება ინვესტიციების გადინების პროცესის გაგრძელება და წარმოების გადაადგილება ამერიკული ენერგეტიკული კომპანიების მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

აშშ-ში მძლავრად ვითარდება *ახალი მაღალტექნოლოგიური მრეწველობის დარგები.* იმავდროულად *ავიაკოსმოსური მრეწველობა* განიცდის გარკვეულ სირთულეებს. 1999 წელს სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდათ აშშ-ის უმსხვილეს ავიაკოსმოსურ კომპანიებს — „Lockheed Martin"-ს და „Raytheon"-ს. თუმცა ამ დარგში ძირითადი მაჩვენებლები მთლიანობაში არ იყო ცუდი და თვითმფრინავების გაყიდვათა მოცულობა გაიზარდა 5%-ით — 155 მლრდ დოლარამდე, ხოლო სუფთა მოგება — 10,8 მლრდ დოლარამდე.

2000 წლისათვის ავიაკოსმოსური კომპანიების შემოსავლები შემცირდა 149,4 მლრდ დოლარამდე (ძირითადად სამოქალაქო თვითმფრინავების გაყიდვათა შემცირების შემდეგ 16%-ით — 45,7 მლრდ დოლარამდე). იმავდროულად შემოსავლები სამხედრო თვითმფრინავების გაყიდვით, პროგნოზის თანახმად, გაიზარდა 5%-ით — 37,5 მლრდ დოლარამდე.

კომპიუტერული მრეწველობა წარმოადგენს აშშ-ის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფადგანვითარებად დარგს. 2000 წ. კომპიუტერების წარმოების მოცულობამ მიაღწია 266 მლრდ დოლარს (შედარებისათვის: 1995 წ. — 85,7 მლრდ). 2000 წ. კომპიუტერების გაყიდვის მოცულობა გაიზარდა 19%-ით. მიკროპროცესორებზე მოთხოვნა გაიზარდა 14,4%-ით (1999 წ. — 14,8%-ით), თუმცა კომპიუტერებზე ფასების კლების პროცესმა მათი გაყიდვიდან შემოსავლები შეამცირა 100 მლნ დოლარით. მრავალი კომპიუტერული კომპანია ზრდის თავი მოგებას მომსახურების სექტორის გაფართოებით, რომელსაც მყიდველებს სთავაზობს. ამ დარგში მოქმედი ამერიკული ფირმების შემოსავლები 2000 წ. გაიზარდა 8,1%-ით.

პროგრამული უზრუნველყოფის წარმოების მოცულობა 2000 წ. გაიზარდა 329,6 მლრდ დოლარით. ამ პროდუქციის გაყიდვის ზრდის ტემპები 2000 წ. დაჩქარდა 20%-მდე, 1999 წ. 12,2%-ის ნაცვლად. დაგეგმილი ფართომასშტაბიანი პროგრამის „Windows 2000"-ის წარმოებაში ჩაშვება, ექსპერტების გათვლებით, შემოსავლების ზრდასთან მიიყვანს დარგის უმსხვილეს კომპანიას — „Microsoft" — 20,5%-ით. კომპანიის მოგება გაიზრდება 11%-ით.

ტელეკომუნიკაციო დარგში მძაფრდება ბრძოლა კომპანიებს შორის, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ და საერთაშორისო სატელეფონო კავშირს. შედეგად ადგილობრივი სატელეფონო საუბრების ღირებულება შემცირდება დაახლოებით 20%-ით. ამერიკის სატელეკომუნიკაციო სექტორის მომსახურების ზრდის ტემპები 2000 წ. შეადგენს 9%-ს. შემოთავაზებული მომსახურების მოცულობამ მიაღწია 250 მლრდ დოლარს. ფართოვდება მომსახურების სპექტრი. მობილური ტელეფონები სულ უფრო ხშირად გამოიყენება ინფორმაციის გადასაცემად ინტერნეტიდან, რაც სატელეკომუნიკაციო კომპანიების მოგების შემცირების კომპენსირებას ახდენს საერთაშორისო საუბრების ღირებულების შემცირების შედეგად.

სფეროში დასაქმება გაიზარდა 11,1 მლნ ადამიანით (0,93 მლნ 1995 წ.), შრომის მწარმოებლურობა გაიზარდა 281,74 ათას დოლარამდე ერთ დასაქმებულზე (195,23 ათასი 1995 წ.) აშშ-ის სატელეკომუნიკაციო კომპანიების შემოსავლები გაიზარდა 4,8%-ით. ექსპერტთა აზრით, 2001 წ. სატელეკომუნიკაციო სექტორის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს ხელფასების სწრაფი ზრდა, რომელიც უსწრებს ამ დარგში პროდუქციის გაყიდვის და მომსახურების ზრდის ტემპებს.

ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება *ფარმაცევტული მრეწველობა და სამედიცინო ფირმები.* ჯანდაცვა მთლიანობაში გახდა ეკონომიკის უმსხვილესი დარგი მშპ-თი, რომელიც აჭარბებს 1 ტრლნ დოლარს. ამერიკული სამედიცინო ფირმების შემოსავლები 2000 წ. საშუალოდ გაიზარდა 5,9%-ით, ხოლო ფარმაცევტულის — 6,9%-ით. ფარმაცევტული მრეწველობის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახა მრავალი სამკურნალო საშუალების შეცვლა უფრო იაფი გენეტიკურად შემუშავებული ანალოგებით. პროგნოზის თანახმად, 2000 წლიდან 2004 წლამდე მსგავსი სახით იქნება შეცვლილი სამკურნალო პრეპარატები 43 მლრდ დოლარის ოდენობის საერთო თანხით.

ამერიკული ფარმაცევტული ფირმების პროდუქციაზე ფასები 2000 წლისათვის არ იზრდებოდა ისეთი მაღალი ტემპებით, როგორც 1999 წ. (4,4%), რაც დაკავშირებულია ინტერნეტის გამოყენების გაფართოებით წამლების გასაყიდად. სამკურნალო პრეპარატების გაყიდვათა მოცულობა კომპიუტერული ქსელით გაიზარდა 585 მლნ დოლარიდან 1999 წელს, 1,4 მლრდ დოლარამდე 2000 წ. წამლების გაყიდვამ ინტერნეტით შეუმსუბუქა მყიდველებს ფარმაცევტული საშუალებების არჩევანი შედარებით დაბალი ფასებით.

ტრადიციის თანახმად, ჩვენ დავიწყეთ ანალიზი მატერიალური წარმოების დარგების, ხოლო დავამთავრეთ *მომსახურების სფეროთი.* თუმცა,

პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში იგი უკვე პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ.

ამერიკულმა ვაჭრობამ, რომელმაც 1999 წელს აჩვენა ზრდის სარეკორდო ტემპები (7,6%), შეძლო შეენარჩუნებინა იგი საკმაოდ მაღალ დონეზე 2000 წელსაც. ამ წელს, ექსპერტთა აზრით, „Merce Management Consulting" იყო განსაკუთრებით ხულსაყრელი ისეთი მსხვილი სავაჭრო კონცერნებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, „Wal-Mart Stores", „Target Stores". „Wal-Mart Stores"-მა 2000 წ. გახსნა 165 ახალი სუპერმარკეტი, რომლებთანაც ერთად ამ ქსელში შესულ მაღაზიათა საერთო რაოდენობამ გადააჭარბა 800-ს. ამ კორპორაციამ გაყიდვათა მოცულობა გაზარდა 18%-ით — 193,7 მლრდ დოლარამდე. 2000 წ. 2-ჯერ, 39 მლრდ დოლარამდე გაიზარდა ელექტრონული ვაჭრობის მოცულობა, ხოლო მყიდველთა რიცხვმა, რომლებიც ინტერნეტით შეისყიდიან, მიაღწია 28 მლნ ადამიანს.

სატრანსპორტო სექტორის შემოსავლებმა „Standart & Poor's" მონაცემებით, 1999 წ. შეადგინა 443 მლრდ დოლარი, რაც 6,2%-ით მეტია, ვიდრე 1998 წელს. 2000 წელს მათ მიაღწიეს 464 მლრდ დოლარს. ამ დარგის განვითარებაში დადებით როლს თამაშობს აზიის ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ვაჭრობის ზრდას და შესაბამისად, საზღვაო გადაზიდვების მოცულობის ზრდის სტიმულირებას.

განათლება გახდა აშშ-ის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფო ხარჯავს მასზე 780 მლრდ დოლარს წელიწადში. ბოლო წლებში იზრდება კერძო ინვესტიციების მოცულობა, რომელიც ჩადებულია განათლებაში: 1999 წ. იგი გაიზარდა 4-ჯერ — 3,3 მლრდ დოლარამდე, 2000 წ. ამ მაჩვენებლებმა მიაღწია 4 მლრდ დოლარს. ინტერნეტის გაფართოებული გამოყენება ხელს შეუწყობს იმ ფირმების განვითარებას, რომლებიც გვთავაზობენ დაუსწრებელ სწავლებას. ამერიკული კომპანიების ზრდის ტემპებმა, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან განათლების სფეროში, 2000 წ. შეადგინა საშუალოდ 6%.

ტურიზმი —მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესების წყალობით, აშშ-ის ტურისტული ბიზნესის შემოსავლები გაიზარდა 7,9%-ით. ტურისტთა ავიაგადაზიდვების მოცულობა — 4%-ით, შედეგად კი უმსხვილესი ამერიკული ავიაკომპანიების მოგება გაიზარდა 13%-ით — 4,8 მლრდ დოლარამდე.

დასასრულს, რიგით ბოლო, მაგრამ არა მნიშვნელობით, *ფინანსური მომსახურების სფერო.*

აშშ-ის საბანკო სექტორში მდგომარეობა საკმაოდ ხელსაყრელია. ეკონომიკური აღმავლობის პროცესმა 1999 წ. ხელი შეუწყო მოთხოვნის მკვეთრ ამაღლებას (7%-ით) საბანკო კრედიტებზე, როგორც ამერიკული კომპანიების, ასევე კერძო პირთა მხრიდან. კრედიტებზე მოთხოვნის გაზრდის წყალობით, აგრეთვე ბანკების საქმიანობის გაფართოებით, კლიენტებისათვის ახალი სახის მომსახურების შეთავაზების ხარჯზე, აშშ-ის საბანკო სექტორის შემოსავლებმა 1999 წ. „Credit Suisse Ferst Boston"-ის ექსპერტთა შეფასებით, 70 მლრდ დოლარს მიაღწია, რაც 12%-ით აჭარბებს 1998 წ. ანალოგიურ მაჩვენებელს.

2000 წლის აპრილიდან დაწყებული აქციათა ბაზარზე რიგი ჩავარდნების შემდეგ აშშ-ის საბანკო სექტორის მდგომარეობა გაუარესდა. ექსპერტთა აზრით, აშშ-ის ეკონომიკა 2001 წ. თანდათანობით შევა რეცესიის ფაზაში, რაც ბანკებს კარგს არაფერს უქადის.

აშშ-ის ფინანსური კომპანიები, რომლებიც დასაქმებულია ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით, საუკეთესო პირობებში არიან. „Security Industry Association"-ის ექსპერტთა შეფასებით, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის წევრთა მოგებამ 1999 წ. მიაღწია (გადასახადების გამოქვითამდე) 12,2 მლრდ დოლარს, რაც 29%-ით აჭარბებს 1998 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 1999 წ. 73 ბროკერის მოგებამ შეადგინა 22 მლრდ დოლარი. საკომისიოსგან საფონდო კომპანიების შემოსავლებმა აიწია 16%-ით და მიაღწია 30 მლრდ დოლარს. ამერიკული კომპანიების შემოსავლები, რომლებიც მოქმედებდა ამ დარგში, 2000 წ. არ გაზრდილა. საფონდო ფირმების კლიენტთა რაოდენობა, რომლებიც ემსახურებოდნენ ელექტრონული ქსელის მეშვეობით, 2000 წ. გაიზარდა 15 მლნ-მდე (1999 წ. იგი გაიზარდა 60%-ით 1998 წ.-თან შედარებით და შეადგინა 10 მლნ. 1996 წ. ეს მაჩვენებელი ტოლი იყო 1 მლნ). დღეს ასეთი კლიენტების წილად მოდის ამერიკის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობათა ყოველდღიური მოცულობის დაახლოებით 20%.

აშშ-ის ეკონომიკის *სადაზღვევო სექტორის* შემოსავლები 2000 წ. გაიზარდა მხოლოდ 5%-ით. სადაზღვევო პრემიის ზომა გაიზარდა 1%-ზე ნაკლებად. სიცოცხლის დაზღვევით დაკავებული კომპანიების შემოსავლები, „Standart & Poor's"-ის ექსპერტთა აზრით, 2000 წ. არ გაზრდილა. აშშ-ის სადაზღვევო სექტორი, როგორც ექსპერტები თვლიან, საჭიროებს რადიკალურ გარდაქმნას. ისინი თვლიან, რომ ამერიკის სადაზღვევო კომპანიები უფრო აქტიურად უნდა იყენებდნენ ინტერნეტის შესაძლებლობებს.

ბევრი სადაზღვევო ფირმა უკვე 2001 წლისათვის გეგმავს დახარჯოს დიდი თანხები ახალი ტექნოლოგიებისათვის, რათა დაიწყოს კლიენტთა მომსახურება კომპიუტერული ქსელის საშუალებით. ეს საშუალებას მისცემს მათ შეამცირონ დანახარჯები, გააფართოვონ საქმიანობა, გაზარდონ მომსახურების ოდენობა.

მოდით შევაჯამოთ შუალედური დასკვნები.

1. აშშ-ის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში მოცემული ტექნოლოგიური განვითარების ეტაპზე იპოვა კერძო და სახელმწიფო ინტერესების ოპტიმალური შეთავსება, რამაც მიგვიყვანა ამერიკული ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდამდე.

2. ბოლო წლების განმავლობაში ამერიკული ეკონომიკის ყველა დარგში ზრდა შეიმჩნეოდა, თუმცა განსაკუთრებით მძლავრად ვითარდებოდა მომსახურების სფერო, კერძოდ კი, საინფორმაციო და ფინანსური მომსახურება. მას მოსდევდა მრეწველობის მაღალტექნოლოგიური დარგები, შემდგომ — მრეწველობის ტრადიციული დარგები და ბოლოს სოფლის მეურნეობა, რომელიც იმყოფებოდა კრიზისის ზღვარზე. ასეთი თანმიმდევრულობა მკაფიოდ ასახავს აშშ-ის ეკონომიკის ნათლად გამოხატულ პოსტინდუსტრიულ მიმართულებას.

18.4. აშშ-ის ტრანსეროვნული კაპიტალი

უდავოა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მსოფლიოში წამყვან როლს თამაშობს ტრანსეროვნული კორპორაციები. ამერიკული ექსპორტის ნახევარი ხორციელდება ამერიკული და უცხოური ტეკ-ების მიერ. გადასახდელთა დიდი ნაწილი, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერტთან, ხორციელდება ტეკ-ების შიგნით. აშშ-ში ტეკ-ების წილი ტექნოლოგიების ტრანსფერტებში შეადგენს 80%-ს.

ბისმარკის ცნობილი გამოთქმის პერეფრაზს თუ მოვახდენთ, შეიძლება ითქვას, რომ დღეს *TNC დგას მსოფლიო ეკონომიკის სათავეში, ხოლო ამერიკული TNC ბატონობენ ტრანსეროვნული კორპორაციების სამყაროში.* სწორედ ისინი განსაზღვრავენ დღეს მსოფლიო ტრანსნაციონალიზაციის პროცესების მსვლელობასა და ძირითად ტენდენციებს.

საინტერესოა, რომ აშშ ბოლო წლების განმავლობაში სულ პირველ ადგილზეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მიზიდვის ზომების მიხედვით. საერთოდ, არსებობს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ტენდენ-

ცია — რაც უფრო მეტადაა განვითარებული ქვეყანა, მით უფრო მეტს დებს იგი არა მარტო FDI-ების, არამედ ღებულობს კიდევაც მათ. უკვე მრავალი წლის განმავლობაში დაახლოებით 3/5 ყველა FDI-ისა მიემართება განვითარებულ ქვეყნებში და მხოლოდ 2/5 — განვითარებადში. ამერიკულ TNC-ში ყოველი 5 დოლარიდან, რომლებიც მიღებულია საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან საზღვარგარეთ, 4 დოლარი არის ან მათი საზღვარგარეთული ფილიალების გაყიდვიდან, ან ექსპორტი, რომელიც მიმართულია ამ ფილიალებში.

აშშ რჩება ლიდერად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში. მათ წილად მოდის მთელი საზღვარგარეთული კაპიტალის ღირებულების მეოთხედი და ყველა მოზიდული FDI-ების 25-27%. ამერიკის FDI-თა საბალანსო ღირებულებამ უკვე გადააჭარბა 1,5 ტრლნ დოლარს, ხოლო აშშ-დან კაპიტალის გატანამ FDI-ების ფორმით შეადგინა ბოლო წლებში 50 მლრდ დოლარი.[1] არადა სულ რამდენიმე ხნის წინ, 1960 წ., ამერიკის პირდაპირი დაბანდებების ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 12 მლრდ დოლარს.

პირდაპირმა ინვესტიციებმა შექმნეს ე. წ. *აშშ-ის მეორე ეკონომიკა,* რომელიც ეფუძნება ამერიკის TNC-ის საზღვარგარეთული ფილიალების და ქალიშვილ ფირმების საწარმოო სიმძლავრეებს. აშშ-ის მეორე ეკონომიკა თავისი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალით აჭარბებს გაერთიანებული ევროპის და იაპონიის ანალოგიურ სტრუქტურებს. TNC-ის საზღვარგარეთული საწარმოების და ფირმების გაყიდვათა საერთო მოცულობა შეესაბამება აშშ-ის მშპ-ს მესამედს.

UNCTAD[2]-ის მონაცემთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს იმის კონსტატაცია მოვახდინოთ, რომ *ამერიკული კორპორაციები თამაშობენ წამყვან როლს მსოფლიოში.* ასე მაგალითად, პირველ ადგილზე საზღვარგარეთული აქტივების მოცულობით 100 წამყვანი TNC-ის სიაში არის ამერიკული კორპორაცია „General Electric", რომლის საზღვარგარეოული აქტივები შეადგენს 97,4 მლრდ დოლარს. განსახილველი სიის პირველ ათეულში წარმოდგენილია ხუთი ამერიკული, ე. ი. მსოფლიოს ათი უმსხვილესი TNC-დან ნახევარს აქვს თავისი შტაბ-ბინა აშშ-ში. ესენია — „General Electric", „Ford Motor Company", „General Motors", „Exxon Corporation" და „IBM". ამ ხუთი კორპორაციის ერთობლივი საზღვარგარეთული აქტივები შეადგენს 264,4 მლრდ დოლარს, მათი საზღვარგარეთული გაყიდვე-

1. Государство и рынок: американская модель. — М.: Анкил, 1999

2. UNCTAD, World Investment Report. — N. Y.: UN, 1999.

ბის მოცულობამ შეადგინა 277,2 მლრდ დოლარი, ხოლო ხუთი წამყვანი ამერიკული TNC-ის საზღვარგარეთული ფილიალები უზრუნველყოფს სამუშაოთი 400000 ადამიანზე მეტს.

მთლიანობაში 100 უმსხვილესი TNC-დან 27დაფუძნებულია აშშ-ში. ამ 27 კომპანიის წილად მოდის 32,4%-ის ერთობლივი საზღვარგარეთული აქტივები 100 უმსხვილესი TNC-ისა, 31,6% ერთობლივის და 26% უცხოური გაყიდვების, დასაქმებულთა 25,6%. ისინი აწარმოებენ მსოფლიო მშპ-ს 3,5%-ს. მათი ერთობლივი საზღვარგარეთული აქტივების მოცულობა 2-ჯერ მეტად აჭარბებს უახლოესი კონკურენტების — იაპონური TNC-ის — ანალოგიურ მაჩვენებელს და 2,5-ზე მეტად გერმანულ კომპანიათა მაჩვენებელს.

ამერიკული კორპორაციებისათვის დამახასიათებელია *საზღვარგარეთული გაყიდვების წილის ჩამორჩენა საერთო გაყიდვების წილიდან.* ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ აშშ-ის შიდა ბაზარი ყველაზე ტევადია მსოფლიოში. ამიტომ, მაგალითად, აშშ-ის საავტომობილო კორპორაციები ყიდიან 70%-ზე მეტ პროდუქციას შიდა ბაზარზე.

ბევრი ამერიკული TNC-ის *ეკონომიკური სიმძლავრე* საშუალო ზომის სახელმწიფოების შესადარისია. მაგალითად, ამერიკული კორპორაციის „General Motors"-ის გაყიდვათა მოცულობა აჭარბებს ისეთი ქვეყნების მშპ-ებს, როგორიცაა შვეიცარია, ავსტრია და შვედეთი ერთად აღებული.

TNC-ის საზღვარგარეთული ფილიალების ერთობლივმა გაყიდვებმა 1999 წ. შეადგინა 1,1 ტრლნ დოლარი, რაც 1,5-ჯერ და მეტად აჭარბებს მსოფლიო ექსპორტის მოცულობას.

ყოველმა დღემდე მოქმედმა, საყოველთაოდ ცნობილმა ამერიკულმა TNC-მა განვლო შერწყმათა და შთანთქმათა გრძელი ჯაჭვი, მანამდე, სანამ შეიქმნა მისი თანამედროვე სტრუქტურა. ამასთან, TNC-ის სტრუქტურიზაციის პროცესი არა მარტო დამთავრდა, არამედ მძლავრი ტემპებითაც კი იზრდებოდა.

TNC-ებისათვის *შერწყმები* და *შთანთქმები* წარმოადგენს მათ ბუნებრივ გამოვლინებას ეკონომიკური ძალაუფლების გაზრდისათვის. თუ ამ პროცესებს არ ვარეგულირებთ და არ შევზღუდავთ, მაშინ გარდაუვალია ბაზრის მონოპოლიზაცია, რასაც არსებითი ზარალი მოაქვს საბაზრო ეკონომიკისათვის. აშშ, იყო რა ყველაზე დინამიკურად განვითარებული ქვეყანა, პირველი მიხვდა ამ საშიშროებას და უპასუხა მსხვილი კორპორაციების გამოწვევას მძლავრი ამკრძალავი და არა რეგულირებადი, როგორც სხვა ქვეყნებში, ანტიმონოპოლური კანონმდებლობით. ასე რომ, TNC-ის ევოლუცია მიმდინარეობდა სამართლებრივი ნორმების განვითარების პა-

რალელურად და მათი გავლენით, რომლებიც კორპორაციის შესაძლებელი ორგანიზაციული სტრუქტურების და რესტრუქტურიზაციის მექანიზმების რეგლამენტირებას ახდენდა. კერძოდ, ბანკებს აკრძალული ჰქონდა სამრეწველო საწარმოების ფლობა და ისინი იძულებულნი იყვნენ შეექმნათ ფიქტიური, ჰოლდინგური კომპანიები, რომლებიც ფორმალურად გააკონტროლებდნენ ბანკს — ჯგუფის და მის მიერ ჰოლდინგური კომპანიის საშუალებით შეძენილი სამრეწველო საწარმოების რეალურ მესაკუთრეს. ვინაიდან ჰოლდინგები კორპორაციათა ჯგუფების ორგანიზაციის საკვანძო ფორმებს წარმოადგენს, აშშ-ის სამართალში მკაფიოდაა განსაზღვრული ჰოლდინგების ორგანიზაციის შესაძლებლობები და შემოღებულია შეზღუდვები, რომლებიც მოქმედებს მათ განვითარებაზე. ასე, მაგალითად, აკრძალულია 20-იან წლებში გავრცელებული ე. წ. „საკუთრების პირამიდები", როცა დედა-კომპანია ობლიგაციების გამოშვებით მიღებული საშუალებებით ყიდულობდა სხვა კომპანიებს, კვლავ უშვებდა ახლა უკვე მათ ობლიგაციებს და აგრძელებდა ახალი საწარმოების შესყიდვებს.

ამერიკული TNC-ის შიდა სტრუქტურა გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებით. ძირითადი TNC-ის ჩამოყალიბდნენ ლიდერი ბანკის კონტროლის საფუძველზე ფიქტიური ჰოლდინგის მექანიზმის მეშვეობით ჰოლდინგური სტრუქტურის შექმნის გზით სათავო კომპანიასთან, აგრეთვე აქციების ჯვარედინი ფლობით. ამერიკული TNC ფარავს თითქმის მთელ სპექტრს შესაძლებელი ორგანიზაციული სტრუქტურებისა. უმეტესი მსხვილი ამერიკული TNC თავისთავად წარმოადგენს ჰოლდინგის ტიპის საწარმოთა ჯგუფს.

აშშ-ში არსებული *TNC-ჰოლდინგები შეიძლება პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად*: პირველში („Chase", „Morgan") შედიან სტრუქტურები ბანკების დომინირებით, ამასთან, კონტროლი საწარმოებზე ხორციელდება ბანკების მხრიდან; მეორე ჯგუფში დომინირებს სამრეწველო საწარმოები („General Motors"), მაგრამ ფინანსური სტრუქტურები მათში ძალზე ძლიერია.

TNC-ების ურთიერთქმედება თავის საზღვარგარეთულ ფილიალებთან ძალიან მრავალგვარია. ასე მაგალითად, მანქანათმშენებელმა კორპორაციებმა მოახდინეს „გლობალური კონვეიერების" ორგანიზება, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გზავნიდა უნიფიცირებულ პროდუქციას. მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვეს „ჩაკეტილი ციკლის" სქემებმა, რომლის დროსაც TNC-ის ამერიკულ საწარმოებში შექმნილი დეტალებისა და კვანძებისგან იმავე TNC-ის საზღვარგარეთულ ქარხნებში ხდება ნაკეთობის აწყობა, შემდგომში კი შეტანა აშშ-ში. ამგვარ ამწყობ საამქროებსა და სხვა შიდაკორპორაციულ მიწოდებებზე მოდის აშშ-ის 10%-ზე მეტი სა-

ქონელბრუნვა. სქემა „აშშ — განვითარებადი ქვეყნები —აშშ“ საშუალებას აძლევს TNC-ს გამოიყენოს იაფი სამუშაო ძალა და მიმღები ქვეყნების ადგილობრივი საგადასახადო სისტემის უპირატესობანი.

თავისი სპეციფიკა გააჩნია *მენეჯმენტის სისტემასაც*, რომლებსაც იყენებს ამერიკული TNC. თანამედროვე TNC-ის განსაკუთრებულობა არის საზღვარგარეთ კომპანიის ფილიალების დამოუკიდებლობის ზრდა. მაგალითად, IBM-ის კომპანიის ხელმძღვანელობასთან თანხმდება მხოლოდ ფილიალის საქმიანობის ზოგიერთი პარამეტრი, ხოლო FDI-ების მართვა ხორციელდება მისი ქალიშვილკომპანიით (IBM World Trade.)

აშშ-ის მსხვილი კორპორაციების მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია — „მცირე შესანიშნავია“[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მივცეთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა კორპორაციის მინიმალურად შესაძლებელ ქვეგანყოფილებას. ასეთი პრინციპი საშუალებას იძლევა, როგორც არასდროს, ისე კარგად გამოიყენონ ამერიკის ცივილიზაციური რესურსები და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული — დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და მათზე პასუხისმგები ამერიკელის მენტალიტეტი.

მსხვილ კორპორაციებში ემხრობიან *„100-ის პრინციპს“*, რომლის თანახმადაც მართვის უმაღლესი დონე არ უნდა აჭარბებდეს 100 ადამიანს. და ეს ათი ათასობით დასაქმებულთა და მილიარდობით მოგებების პირობებში. კორპორაციები აქტიურად ისწრაფვიან შექმნან მაქსიმალურად ბრტყელი, ჰორიზონტალური მმართველობითი სტრუქტურა, ინფორმაციის დამუშავებისას ყველა საშუალედო რგოლზე პრინციპულად უარის თქმით. ასე მაგალითად, ავტოასაწყობ ქარხნებში „ჯენერალ მოტორსის“ წარმოების ავტომატიზაციის პარალელურად გაუქმდა ყველა მმართველობითი თანამდებობები ხაზზე კონტროლსა და ქარხნის მენეჯერს შორის.

ამერიკული TNC-ის ურთიერთქმედება ერთმანეთს შორის აგრეთვე განსხვავდება განსაზღვრული თავისებურებით. თანამედროვე პირობებში დამახასიათებელი ხდება ტენდენცია, როცა გადახლართვას — „გავლენის ზონები“, „პერიფერიები“, კონტროლირებადი TNC-ის „ბირთვი“, ცვლის თვით ამ ჰოლდინგთა „ბირთვების“ გადახლართვას, რასაც ახლავს ერთობლივი გავლენის და კონტროლის ზონების არსებითი გაფართოება.

რაც არ უნდა მძლავრი იყოს ცალკეული TNC, ისინი შედიან კიდევ უფრო ძლიერ დაჯგუფებებში, რომელთაც ძირითადად აქვთ არაფორმალური ხასიათი. აშშ-ში უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა *ორი ძირითადი ზეჯგუფი: დასავლეთის და აღმოსავლეთის*. ყოველი TNC ასე თუ ისე პოულობს თავის პოზიციას ამ ზეჯგუფებში და მის ჩარჩოებში აგებს თავის ურთიერთობებს სხვა TNC-თან.

1 გამოთქმა ეკუთვნის ცნობილ ავსტრიელ ეკონომისტს იოსებ შუმპეტერს. (შ.ვ.)

ამერიკული TNC-ის ძირითადი პარტნიორები არიან ტრანსეროვნული ბანკები (TNB). 80-იანი წლების შუა ხანებში პირველობის პალმა თითქმის უდავოდ ეკუთვნოდა ამერიკულ TNC-ს. მათ მფლობელობასთან დაკავშირებულია ტრანსეროვნული საბანკო სისტემის განვითარების მთელი ეტაპი. 80-იან წლებში, ისარგებლეს რა თავისი ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობით, საგარეო ვაჭრობის ბალანსის მნიშვნელოვანი დადებითი სალდოთი იაპონიის და სხვა განვითარებულ ქვეყნების, აგრეთვე იაპონელთა დამახასიათებელი დიდი მიდრეკილების მენტალიტეტით დაგროვებისაკენ, ლიდერობა ხელში ჩაიგდეს იაპონურმა TNB-მა. თუმცა უმძიმესი ფინანსური კრიზისის შემდეგ, 90-იანი წლების ბოლოს, ისინი კვლავ გადადგნენ მეორე რიგში და ახლა სულ უფრო დიდ კონკურენციას უწევენ ამერიკელებს სწრაფად მზარდი და განმტკიცებადი ევროპული TNB.

თავისი კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად *ამერიკული ბანკები ფართოდ იყენებენ შერწყმებსა და შთანთქმებს.* ასე, 1998 წ. მოხდა შერწყმა სიდიდით მეორე ამერიკული ბანკის Citicorp-ის და Trakelers Group-ის, რომელთა ინტერესები ვრცელდებოდა ქონების დაზღვევიდან საპაიო ფონდების ორმხრივ (ურთიერთთანასწორ) დაზღვევამდე. მათ შექმნეს Citigroup 698 მლრდ დოლარის აქტივებით. 1998 წ. დამდეგს Bank America-მ შთანთქა National Bank და ახლა მისი დეპოზიტები ყველა ამერიკული ბანკის დეპოზიტების 1/12-ის ტოლია.

18.5. ამერიკული სახელმწიფო და ბიზნესი

აშშ-ში შეიქმნა სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთმოქმედების ეფექტიანი მოდელი, რომელიც აგებულია *ლიბერალიზმის პრინციპზე.* ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ლიბერალიზმი გამოდის როგორც ძლიერი სახელმწიფოს ნიშანი. თუმცა, აქ ლიბერალური კონცეფციის შესაბამისად, სახელმწიფო უშუალოდ არ უნდა ერეოდეს ეკონომიკაში. იგი მხოლოდ შემოიფარგლება წმინდა მარეგულირებელი ფუნქციებით. *ლიბერალური სახელმწიფო — მოსამართლეა ეკონომიკურ თამაშში და არა მოთამაშე.* იგი იძლევა თამაშის წესებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას, მაგრამ თავად თამაშში არ მონაწილეობს. სხვაგვარად ძალზე დიდი ხდება სახელმწიფო მოსამსახურის შეთამაშების რისკი ერთ-ერთი მხარიდან განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად, რომელსაც მთელ მსოფლიოში კორუფციას უწოდებენ. ანტიკორუფციული მიმართულება — სახელმწიფოს ლიბერალური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი კოზირია.

იაპონიასა და დასავლეთ ევროპასთან შედარებით აშშ-ის სახელმწიფო საკუთრება გამოიყურება მოკრძალებულად. თუმცა ფედერალურ საკუთრებაში იმყოფება აშშ-ის ტერიტორიის 25%, ხოლო სახელმწიფო სექტორის წილი მშპ-ის წარმოებაში შეადგენს 13%-ს.[1] მასში მუშაობს 20 მლნ ამერიკელი. ევროპისგან განსხვავებით, *იქ თითქმის არაა მსხვილი სახელმწიფო კორპორაციები.* ამერიკული სახელმწიფო წარმატებით აღწევს თავის მიზნებს, უმეტესწილად, ბაზრის რეგულირების ზომების საფუძველზე.

ლიბერალური სახელმწიფოს რეგულირების *ძირითადი ზომები შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად*:

1. საგადასახადო რეგულირება;
2. რეგულირება სახელმწიფო ბაზრების მეშვეობით;
3. შიდა ბაზრების რეგულირება და ყოველ ბაზარში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება;
4. საგარეოეკონომიკური რეგულირება.

საგადასახადო პოლიტიკით შეიძლება ერთბაშად გავარჩიოთ ლიბერალურ-კონსერვატული და სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო. ლიბერალები და კონსერვატორები ჩვეულებრივ ცდილობენ შეამცირონ გადასახადები და გამოათავისუფლონ ბიზნესის საშუალებები განვითარებისათვის. ამასთან კონსერვატორები დაჟინებით მოითხოვენ უფრო მტკიცედ გადასახადების შემცირებას, ვიდრე ლიბერალები. სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკებში არის იმის მცდელობა მიაღწიონ სოციალური თანასწორების განსაზღვრულ დონეს და სამართლიანობას შემოსავლების დიდი ნაწილის გადანაწილების ხარჯზე ბიუჯეტის საშუალებით, რისთვისაც აუცილებელია გადასახადების გაზრდა. თუკი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი აჭარბებს ქვეყნის მშპ-ის 45%-ს, მაშინ სახელმწიფო ატარებს სოციალურად ორიენტირებულ საგადასახადო პოლიტიკას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი — ლიბერალურ-კონსერვატულს. აშშ-ში დემოკრატიული პარტია ითვლება ლიბერალურად და ტრადიციულად ატარებს უფრო მემარცხნე, ე. ი. სოციალურად ორინტირებულ პოლიტიკას, ვიდრე უფრო მემარჯვენეები და კონსერვატორული რესპუბლიკელები.

ომისშემდგომ პერიოდში არსებობდა ძირითადი გადასახადების განაკვეთების შემცირების მდგრადი ტენდენცია, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის მაღალი განაკვეთი ამერიკელთა უმდიდრეს ფენებზე 1954-1962

1. Рогов С. Государство и рынок по-американски// Независимая газета. — 14.02. 2000.

წლებში შეადგენდა 91%-ს, 1962-1981 წლებში — 70%-ს, ხოლო 1981 წლიდან — 50%-ს. დღეს იგი ტოლია 39,6%-ისა მინიმალური განაკვეთის 15%-ის პირობებში.[1] ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკული ეკონომიკა თანდათან ლიბერალური ხდება.

ამერიკული გადასახადების სრული კლასიფიკაცია მოიცავს რვა პოზიციას: 1) ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები; 2) გადასახადები კორპორაციათა მოგებიდან; 3) საგადასახადო ანარიცხები სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში; 4) გადასახადები მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე; 5) სააქციო მოსაკრებელი; 6) საბაჟო გადასახადი; 7) სამომხმარებლო საქონლის საცალო გაყიდვებიდან გადასახადები; 8) უძრავ და მოძრავ საკუთრებაზე გადასახადები.

გადასახადები იკრიბება სამ დონეზე — ფედერალურზე, შტატების და ადგილობრივზე. პირველი ხუთი სახის გადასახადი ამოიღება სხვადასხვა პროპორციებით ყველა დონეზე, ხოლო ბოლო ორი კატეგორიის გადასახადი ამოიღება შტატების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საგადასახადო სამსახურების მიერ.

დღესდღეობით აშშ-ში ფედერალური გადასახადები ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: ა) წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების ჩამოყალიბების მთავარ წყაროს გასავლის მუხლების დასაფინანსებლად; ბ) წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების მძლავრ და მოქნილ საშუალებას და გამოიყენება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის; გ) წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისას მიღებული შემოსავლების მოცულობების და ამერიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სიმდიდრის უთანაბრობის შემცირების მიზნით.

საგადასახადო შენატანების (ცხრ. 18.2.) სტრუქტურაში დომინირებს ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები.

აშშ-ის საშემოსავლო გადასახადის მაღალი ხვედრითი წილის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს არაკორპორაციული ბიზნესის საგადასახადო გამჭვირვალობა. თუკი ამერიკელები ქმნიან არაკორპორაციულ, არასააქციო საწარმოს, მაგალითად, პარტნიორობას, მაშინ ამ საწარმოს მოგებაზე გადასახადი არ ამოიღება. მთელი მოგება საწარმოზე გადის მის დამფუძნებლებთან, სადაც ექვემდებარება დაბეგვრას უკვე როგორც კერძო პირთა მოგება. სწორედ ამას უწოდებენ საგადასახადო გამჭვირვალობას. ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წილი, წარმოდგენილი ძირი-

1. Гардаш С. Федеральная налоговая система США: современные особенности // США & Канада. - N8. - 2000.

ცხრილი 18.2.

შენატანების სტრუქტურა აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტში 1980-1999 საფინანსო წლებში

შემოსავლები	საგადასახადო მოსაკრებლები, მლრდ დოლ.					შეფარდებითი მნიშვნელობა, %				
	1980	1985	1990	1995	1999	1980	1985	1990	1995	1999
შენატანთა ყველა სახე	517,1	734,1	1031,3	1351,8	1827,5	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები	244,1	334,5	466,9	590,2	879,5	47,2	45,6	45,3	43,7	48,1
გადასახადები კორპორაციების მოგებაზე	64,6	61,3	93,5	157,0	184,7	12,5	8,4	9,1	11,6	10,1
შენატანები სოციალური უზრუნველყოფის ფონდებში	157,8	265,2	380,1	484,5	611,8	30,5	36,1	36,9	35,8	33,5
აქტივები	24,3	36,0	35,3	57,5	70,4	4,7	4,9	3,4	4,3	3,9
მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე გადასახადები	6,4	6,4	1175	14,8	27,8	1,2	0,9	1,1	1,1	1,5
საბაჟო გადასახადები	7,1	12,1	16,7	19,3	18,3	1,4	1,6	1,6	1,4	1,0
სხვა შენატანები	11,8	17,1	24,3	28,6	34,9	2,3	2,3	2,4	2,1	1,9

თადად არაკორპორაციული საწარმოების მიერ, ძალიან დიდია. მთელი მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი, შექმნილი ამერიკული ეკონომიკით, მოდის უშუალოდ კერძო პირებზე. იგი განაპირობებს საშემოსავლო გადასახადის მაღალ ხვედრით წილს.

გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი გამოიყენება აშშ-ში, დაწყებული 139225 დოლარიდან. ცოლ-ქმარი ჩვეულებრივ აბარებს ერთობლივ დეკლარაციას, და მაშინ გადასახადი 39,6%-ით ამოიღება მხოლოდ 278450 დოლარიდან. ამასთან, ერთი შეხედვით, საკმაოდ მაღალი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები მსუბუქდება მრავალრიცხოვანი გამოქვითებითა და შეღავათებით. ყოველ ორ წელიწადში ამერიკელს გამოაქვს გადასახადიდან ოჯახის დანახარჯები საცხოვრებელზე: ოჯახებს — 500 ათას დოლარამდე, ხოლო მარტოხელებს — 250 ათას დოლ. საცხოვრებლად ითვლება არა მარტო სახლი ან ბინა, არამედ იახტაც კი. სტუდენტების მშობლებს უფლება აქვთ გამოქვითონ თავისი შემოსავლიდან 1500 დოლარი, რომელიც დაიხარჯა სწავლებაზე. გარდა ამისა, შეიძლება შევამციროთ შემოსავალი შეძენილი წამლების და სამედიცინო მომსახურების თანხით.

მთლიანობაში, მრავალნაირი გამოქვითვების და შეღავათების ხარჯზე, ამერიკელი, რომელიც გამოიმუშავებს 15 ათას დოლარამდე, ამცირებს თავის დასაბეგრ შემოსავალს თითქმის 90%-ით. ადამიანები 15-დან 30 ათასამდე დოლარის შემოსავლით გადასახადს იხდიან მხოლოდ შემოსავლის ნახევრიდან, ხოლო შემოსავალი 30-დან 50 ათასამდე მცირდება მეოთხედით.

ამერიკისთვის დამახასიათებელია მისცეს ყველა მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობები. ამერიკული გადასახადები ქონებაზე, მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე მიმართულია ყველა მოქალაქის სასტარტო შესაძლებლობის გასათანაბრებლად. ფედერალური გადასახადის განაკვეთი ქონებაზე, რომელიც 3 მლნ დოლარზე მეტია, შეადგენს 55%-ს, ხოლო 10 მლნ დოლარზე — 60%-ს. თუკი ამერიკელს სურს უანდერძოს ქონება არა შვილებს, არამედ შვილიშვილებს, მაშინ მოქმედებაში შედის გადასახადი „თაობის გასატარებლად". ამასთან ერთად მემკვიდრეობაზე გადასახადი აღწევს 75%-ს. ბევრი მდიდარი ამერიკელი უპირატესობას ანიჭებს ფულის მიცემას საქველმოქმედო ფონდებში. მაგალითად, ყველაზე მდიდარმა ადამიანმა 1993 წ. უორენ ბაფეტმა, რომელიც ფლობდა 8 მლრდ დოლარის ქონებას, მიიღო გადაწყვეტილება დაეტოვებინა მთელი ფული კერძო საქველმოქმედო ფონდებისათვის, იმოწმებდა რა იმას, რომ არ სურდა მთავრობისათვის მიეცა 4,4 მლრდ დოლარი.

ამგვარად, აშშ-ში დაბეგვრა ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციებს და ამცირებს ქონებრივ უთანასწორობას.

სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია სოციალური პროგრამების რეალიზაციაზე. დღეს 80 მლნ-ზე მეტი ამერიკელი მოქალაქე ანუ ქვეყნის მოსახლეობის მესამედი იღებს დახმარებას სახელმწიფო დაზღვევის და შემწეობის პროგრამის მიხედვით, რომელთა მოცულობა აჭარბებს 1 ტრლნ დოლ.

აშშ-ის სახელმწიფო ბაზარი, სადაც შეისყიდება საქონელი და მომსახურება სახელმწიფო საჭიროებისათვის, უზარმაზარია. დღეს იგი შეფასებულია 2 ტრლნ დოლარად. აშშ-ში შესანიშნავად ისწავლეს ამ უძლავრესი ინსტრუმენტის გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ამერიკის სახელმწიფოს თავის კორპორაციებთან ურთიერთობების საფუძვლად უდევს საკმაოდ სრულყოფილი ფედერალური საკონტრაქტო სისტემა (ფსს), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ამერიკის მთავრობის საძეწარმეო საქმიანობა, ფსს თავისთავად წარმოადგენს სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების მართვის ორგანიზაციას ეკონომიკის ყველა სფეროში. იგი აყალიბებს უზარმაზარ, თავისებურ სახელმწიფო ბაზარს.

ყოველწლიურად დაახლოებით 100 ფედერალური სამინისტრო, უწყება და საააგენტო ფსს-ის მეშვეობით მიმართავს ფედერალური ხაზინის ყველა დანახარჯის 30%-ზე მეტს. 22 ათასზე მეტი სახელმწიფო დამკვეთი დებს კონტრაქტს 300 ათას საკუთრების ყველა ფორმის კომპანიასთან.[1] ამასთან გენერალურ მოიჯარეებს ჩვეულებრივ წარმოადგენენ მსხვილი TNC. ყოველწლიურად ფორმდება დაახლოებით 18 მლნ კონტრაქტი 750-800 მლრდ დოლარის თანხაზე, რაც აშშ-ის მშპ-ის 10-11%-ს შეადგენს. ყველა კონტრაქტი ითვლება დადებულად სახელმწიფოს მხრიდან, იმისგან დამოუკიდებლად, თუ კონკრეტულად რომელმა უწყებამ გააფორმა იგი. ექსპერტების შეფასებით, ამერიკის ეკონომიკის არც ერთი სფერო ისე მკაცრად არაა რეგლამენტირებული, როგორც სახელმწიფო მეწარმეობა. მის რეგულირებას ახდენს 4 ათასზე მეტი კანონი და კანონქვემდებარე აქტი. ხაზინის შეკვეთების მართვის რეგლამენტირება ხდება 8-ტომეული „ფედერალური რეგულირების კოდექსით". ამერიკის საკონტრაქტო სამართალი ფაქტიურად ანიჭებს სახელმწიფო მეწარმეს რიგ უპირატესობებს. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ფედერალური ხელშეკრულების მოქმედება. კერძო სექტორის შიგნით ასეთი ზომები აკრძალულია.

---

1. Государство и рынок: американская модель. - М.: Анкил, 1999.

იმავდროულად სახელმწიფო კონტრაქტები ითვალისწინებს პრეფერენციის რთულ სისტემას, რომელიც შეუძლია მიიღოს კორპორაციამ კონტრაქტის სათანადოდ შესრულებისას. ეს პრეფერენციები აგრძელებენ არსებობას, მიუხედავად მძაფრი კრიტიკისა ასეთი მიდგომის წინააღმდეგობების გამო WTO-ს მოთხოვნებთან. არსებობს „წამახალისებელი" და „ძრავალჯერ წამახალისებელი ტიპის" კონტრაქტები, რომლებიც გამოიყენება „გარღვევით" დამუშავებებში, რომელთაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის. ასეთი კონტრაქტებისათვის დამახასიათებელია ფასწარმოქმნის რთული მექანიზმი, რომლებიც მოიცავს მკაცრ გეგმიურ პარამეტრებს და „წახალისების და საქონლის მატრიცას", რომელიც ითვალისწინებს სარისკო დამუშავებების სხვადასხვა შესაძლებელ ვარიანტებს. სახელმწიფოს დამკვეთებს აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ დაშვებულ იქნენ სახელმწიფო ინტელექტუალური საკუთრების (ლიცენზიების, პატენტების) და საინფორმაციო ბანკების მონაცემებთან, რაც მსოფლიოს ყველა საინფორმაციო რესურსის 75%-ია. ისინი უფლებას იღებენ სახელმწიფო ქონების შეღავათიანი ან უფასო იჯარისათვის, ფასიანი ნედლეულის და ვალუტის შესასყიდად მტკიცე, დაბალი ფასებით, სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით და ა. შ.

უმრავლესი ამერიკული TNC წარმოადგენს ფსს-ის გენერალურ მოიჯარეს და ბევრ საკითხში სწორედ ეს აძლევს საშუალებას დინამიკურად განვითარდეს.

სახელმწიფო დანახარჯების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების დაფინანსება. აშშ-ში ყოველწლიური ასიგნებანი სამეცნიერო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დღესდღეობით აჭარბებს მსგავს ხარჯებს დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში და იაპონიაში, ერთად აღებულს, და ამაში ჩანს ამერიკის ეკონომიკის შემდგომი წარმატების საწინდარი.

აშშ-ის შიდა ბაზრების რეგულირებისას ძირითადი ყურადღება ექცევა კონკურენტული გარემოს შექმნასა და მის მონოპოლიზაციასთან ბრძოლას. ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას გააჩნია ძველი ტრადიციები და გამოიყენება ძალზე მკაცრად. აშშ-ის ეკონომიკის ისტორიაში არაერთხელ მომხდარა *კომპანია-მონოპოლისტების* დანაწევრება, რაც არსებითად ცვლიდა შესაბამისი ბაზრის სტრუქტურასა და ხასიათს. ასეთი დანაწევრების კლასიკურ მაგალითად გამოდგა როკფელერის კორპორაციის „სტანდარტ ოილის" 33 დამოუკიდებელ კომპანიად დაშლა, ასევე ტელესაკომუნიკაციო გიგანტისა „AT&T", რომელმაც, სხვათა შორის, შეძლო შეენარჩუნებინა ლიდერის მდგომარეობა ბაზარ-

ზე. შესაძლებელია, უახლეს მომავალში მსგავსი ბედი ელის ოპერაციული სისტემების სფეროში მონოპოლისტ „Microsoft"-ს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ აშშ-ში ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა გამოიყენება ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და ჩვეულებრივ მისი მოქმედების ქვეშ არ ხვდება მეცნიერებატევადი და საექსპორტოდ ორიენტირებული დარგები.

აშშ-ის საგარეოეკონომიკურ რეგულირებაში, დაწყებული 80-იანი წლებიდან, თანმიმდევრულად ემხრობიან ლიბერალურ პრინციპებს. ისინი არიან მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ინიციატორები, რომელიც ხორციელდება WTO-ს ეგიდით. რა თქმა უნდა, WTO-ს ლიბერალური საგარეოეკონომიკური ურთიერთობები და პრინციპები უპირველეს ყოფლისა, ხელსაყრელია განვითარებული ქვეყნებისათვის. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას და ლიბერალიზაციას ხშირად წარმოიდგენენ, როგორც ამერიკის ჰეგემონიური ამბიციების განხორციელებას და ამერიკული TNC-ის პრაგმატული ინტერესების მიმდევრობას. რა თქმა უნდა, ამაში არის ჭეშმარიტების საკმაო წილი. *აშშ-ის საგარეოეკონომიკური პოლიტიკა* ყოველთვის პრაგმატულია. აშშ-ს ყოველთვის გულახდილად და თანმიმდევრულად ემხრობიან ის უცხოური მთავრობები, რომლებიც თავისი ქვეყნის შიდა ბაზრებს ხსნიან ამერიკული საქონლისათვის, სწევენ რა ამით მეორე პლანზე სხვა პრობლემებს, მათ შორის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების შელახვასაც კი. თუმცა კი ამერიკული ლიბერალიზმი წარმოგვიდგება უფრო ღრმა, ვიდრე სუფთა პრაგმატიზმი და იგი ასახავს ამ უცნაური ქვეყნის ფუნდამენტურ ცივილიზაციურ ღირებულებებს. ამას ადასტურებს ის გამოცდები, რაც 80-იან წლებში გადახდა თავს მას (ლიბერალიზმს) და რომელსაც ღირსეულად დააღწია თავი.

ბოლო ათი წელია, რაც შევეგუეთ ამერიკული TNC-ის უეჭველ ლიდერობას, მაგრამ ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუაში ეს ფრიად საეჭვო იყო. ამერიკელებს უძლიერესი კონკურენცია გაუწიეს იაპონელებმა. 1973 წელსა და 1986 წელს შორის აშშ-ის წილი მსოფლიო საქონლის და მომსახურების წარმოებაში დაქვეითდა 23,1%-დან 21,4%-მდე, ევროკავშირის წილი — 25,7%-დან 22,9%-მდე, ხოლო იაპონიის გაიზარდა 7,2%-დან 7,7%-მდე. შესაბამისად უარესდებოდა ამერიკულ კომპანიათა პოზიციები. თუკი 1971 წ. ხუთასი უმსხვილესი ტრანსეროვნული კორპორაციიდან 280 იყო ამერიკული, 1991 წ. ამგვარი დარჩა მხოლოდ 157. ამ დროისათვის იაპონია ფაქტიურად დაეწია აშშ-ს, ფლობდა რა 345 უმსხვილეს კომპანიას 1000-დან (აშშ-ის 353-ის წინააღმდეგ). 80-იანი წლების ბოლოს იგი ფლობდა

24 უმსხვილეს ბანკს, იმ დროს, როცა ევროკავშირის ქვეყნებში ამგვარი იყო 17, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში — სულ 5. ამერიკული ბიზნესმენები ისხდნენ იაპონურ ტელევიზორებთან და იაპონური მაგნიტოფონების მუსიკის ქვეშ სევდიანად ფიქრობდნენ თავის მომავალზე, ეგონათ, რომ სამუდამოდ კარგავდნენ ეკონომიკურ ჰეგემონიას. იაპონური კორპორაციები ერთიმეორის მიყოლებით ხსნიდნენ აშშ-ში თავის ფილიალებს და შთანთქავდნენ ამერიკულებს.

ამ რთულ პერიოდში ამერიკამ არ მიმართა პროტექციონიზმს, არამედ ეკონომიკის უფრო ფართოდ გახსნის რისკზე წავიდა. ახლა ავტომობილების იმპორტის წილი შეადგენს ყოველწლიური გაყიდვის მოცულობის 30%-ს, დაზგების და მოწყობილობების მიხედვით ამ მაჩვენებელმა მიაღწია 50%-ს, ხოლო ფეხსაცმლის და საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის მიხედვით კი 80%-ს გადააჭარბა. ჩვენს ქვეყანაში საქმის ასეთი ვითარება შეიძლება შეფასებულიყო, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მუქარა, მაგრამ თავისთავში დარწმუნებული, პრაგმატული ამერიკელის მთავრობა არ ცდილობდა ჩაეკეტა საზღვრები საქონლისა და კაპიტალისათვის საიმპორტო ბაჟებით და კვოტებით. იგი თანმიმდევრულად მიიწევდა ლიდერობისაკენ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, მიმართავდა რა ერის რესურსებს ინოვაციურ კომპლექსში. და ამას თავისი ნაყოფი მოჰქონდა — ამერიკული კორპორაციების კონკურენტუნარიანობა კვლავ იზრდებოდა და აშშ-ის გაბატონებული როლი კვლავ აღდგა. 90-იან წლებში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 1/3-ით უზრუნველყოფილი იყო ექსპორტის ხარჯზე.

ექსპორტის მხარდაჭერის პროგრამები იკავებს მნიშვნელოვან ადგილს აშშ-ის საგარეოეკონომიკურ სტრატეგიაში. 2000 წლისათვის ექსპორტის სტიმულირებისათვის გამოიყო 108 მლნ დოლარი, რამაც მიიყვანა მის ზრდასთან დაახლოებით 2 მლრდ დოლარის ოდენობით. კერძოდ, ამ პროგრამის ჩარჩოებში გაწეული აქვთ დახმარება 350 ათას პატარა კომპანია-ექსპორტიორს.[1]

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართულია თავისი კორპორაციების უცხოური ინვესტირებისათვის დასახმარებლად. აშშ-ის ლიდერის როლის განსამტკიცებლად ტრანსნაციონალიზაციისა და კერძო კორპორაციათა ინვესტირების მხარდასაჭერად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, ასევე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მიმართულია სახელმწიფო ორგანიზაციის OPIC (Overseas Private Investment Corporation) მოღ-

1. БИКИ. — 2000. — №2.

ვაწეობა. ეს ორგანიზაცია დაკავშირებულია TNC-სათვის კრედიტების წარდგენითა და გარანტირებით, მათი FDI-ების დაზღვევით რისკების ფართო წრისაგან. სხვადასხვა მომსახურების უზრუნველყოფით, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთულ ინვესტირებასთან.

იმავდროულად აშშ ძალიან მკაცრად იცავს თავის შიდა ბაზრებს არასასურველი კონკურენტებისაგან. ამას შეეჯახნენ რუსეთის მეტალურგები და ქიმიკოსები, რომელთა საექსპორტო პროდუქცია მოხვდა ამერიკის ანტიდემპინგური კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ.

კვოტების უქონლობა და საბაჟო ტარიფების დაწევა არ ნიშნავს, რომ აშშ უარს ამბობს არასატარიფო მეთოდების გამოყენებაზე შიდა ბაზრის დასაცავად. ამისათვის ფართოდ გამოიყენება სხვადასხვაგვარი ტექნიკური ბარიერები (უსაფრთხოების სტანდარტები, ლიმიტები გარემოს დაბინძურებაზე, გადაზიდვების წესები და ა. შ.). კერძოდ, 1920 წ. კანონი კომერციულ გადაზიდვებზე („ჯონსის კანონი") ითვალისწინებს ყველა საკაბოტაჟო გადაზიდვები აშშ-ის პორტებს შორის აწარმოოს მხოლოდ ამერიკულმა გემებმა ეკიპაჟებით, რომლებიც აშშ-ის მოქალაქეებისგან იქნება ჩამოყალიბებული. კანონის გაუქმება გამოიწვევდა მომსახურების იმპორტის გაზრდას 2,4 მლრდ დოლარით წელიწადში.

18.6. ამერიკული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები

ჯერ კიდევ ათი წლის წინ, 90-იანი წლების დასაწყისში ბევრი წინასწარმეტყველებდა „ამერიკული ასწლეულის" დასასრულს მანამ, სანამ დასრულდებოდა XX საუკუნე. თუმცა ბერლინის კედელი დაინგრა, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ აშინებდა აშშ თავისი სამხედრო სიმძლავრით. ამერიკა ჯერ ისევ ვერ განთავისუფლებულიყო „ცივი ომის" შიშისაგან და ამიტომ არ იყო თავის ძალებში დარწმუნებული. ჩანდა, თითქოს მძლავრად განვითარებული იაპონური ეკონომიკა სადაცაა გაუსწრებდა ამერიკულს.

მაგრამ XX ს-ის ბოლოს და XXI ს-ის დამდეგს ჩვენ სრულად სხვაგვარ სურათს ვხედავთ. აშშ-ის სამხედრო მანქანამ სპარსეთის ყურის ომში, 1991 წ. და კოსოვოს კონფლიქტში 1999 წ. თვალნათლივ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ მას არა ჰყავს მეტოქე თანამედროვე მსოფლიოში. საბჭოთა კავშირი საბოლოოდ დაემხო და მსოფლიო ერთპოლარული გახდა. ამერიკული ეკონომიკა აღდგა, ხოლო იაპონია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა დიდი დანაკარგები განიცადეს 1997-1998 წლების კრიზისის დროს. ახალ ათასწლეულში აშშ შედის ერთპიროვნულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ლიდერად. საით მივ-

ყევართ ამ ლიდერს, როგორი ახალი ტენდენციები ვლინდება ამერიკის ეკონომიკაში?

1. ბოლო წლებში აშშ-ში წარმოიშვა მსოფლიოში პირველი *პოსტინდუსტრიული ეკონომიკა*. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის სანედლეულო სექტორის მცირე ზომები და მუდმივად კლებადი დამმუშავებელი სექტორი. *დეინდუსტრიალიზაცია*, გამოხატული დამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირებაში, თანამედროვე პირობებში ხდება არა ეკონომიკური კრიზისის დაწყების ნიშანი, როგორც ადრე, არამედ ახალი პოსტინდუსტრიული ეკონომიკური წყობის დამახასიათებელი ნიშანი. დომინირებს ეკონომიკის მესამე სექტორი — *მომსახურება*. აშშ-ში ის უკვე იძლევა მშპ-ის 75%-ს. თუკი ბოლო 35 წლის განმავლობაში მშპ გაიზარდა 11,9-ჯერ, სოფლის მეურნეობა გაიზარდა მხოლოდ 5,4-ჯერ, მომპოვებელი მრეწველობა — 6-ჯერ, დამმუშავებელი — 7,4-ჯერ. იმავდროულად მომსახურების სფეროში შეინიშნებოდა ბევრად უფრო სწრაფი ზრდა: ვაჭრობაში — 11,2-ჯერ, კომუნიკაციებსა და კავშირგაბმულობაში — 15,4-ჯერ, ფინანსებსა და დაზღვევაში — 15,8-ჯერ, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში — 24-ჯერ.[1]

2. *ახალი ამერიკული ეკონომიკა*, რომელშიც შედის მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებაზე ორიენტირებული კორპორაციები, ვითარდება ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ძველი, ტრადიციული. ახალი ეკონომიკის ცენტრში იმყოფება გლობალური საინფორმაციო კორპორაციები. უკვე 1991 წ. ამერიკული კომპანიების დანახარჯებმა ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიაზე, 112 მლრდ დოლარი რომ შეადგინა, გადააჭარბა ინვესტიციებს ძირითად ფონდებში (107 მლრდ დოლ.). XX საუკუნის ბოლოსათვის აშშ-ში საინფორმაციო ტექნოლოგიის დახმარებით იწარმოებოდა მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების 3/4-ზე მეტი, ხოლო ამერიკული მწარმოებლები აკონტროლებდნენ მსოფლიო საკომუნიკაციო ბაზრის 40%-ს, საინფორმაციო მომსახურების ბრუნვის დაახლოებით 75%-ს და პროგრამული პროდუქტების ბაზრის 4/5-ს. ახალმა ეკონომიკამ, ბევრი ექსპერტის აზრით, მოშალა საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებული წესები. ახლა გადალახულია განსაზღვრული კრიტიკული ბარიერი, დაგროვილია ინოვაციათა კრიტიკული მასა და წარმოიშვა საინფორმაციო-ინოვაციური აფეთქება. ყოველი ინოვაცია ქმნის წანამძღვარს ახლის შესაქმნელად და ინოვაციათა ჯაჭვური რეაქციის ინდუცირებას ახდენს. ეს განაპირობებს აშშ-ის ახალი ეკონომიკის უწყვეტ, სწრაფ ზრდას.

---

1. Иноземцев В. За пределами экономического общества. — М.: Наука, 1999.

ახლა ჩამოყალიბდა პირობები მოთხოვნის ლავისებური ზრდისათვის ახალ საინფორმაციო პროდუქტებზე. აშშ-ში ინტერნეტის ქსელში ჩართვის ტემპები იზრდება — 1996-1999 წწ. 60-100%-ით წელიწადში. აშშ-ში ჩართვების რიცხვი 1997 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 40-ზე რამდენადმე ნაკლებს ყოველ ათას ადამიანზე, 1998 წ. 1 იანვრისათვის — 60-ზე ცოტა მეტს და 1999 წ. 1 იანვრისათვის — 115-ს. 90-იანი წლების ბოლოს ამერიკული საწარმოები მთელი თავისი ხარჯების დაახლოებით 45%-ს მიმართავენ კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. საერთო დანახარჯებმა შესყიდვებზე და საინფორმაციო ტექნოლოგიის მომსახურებაზე აშშ-ში გადააჭარბა 500 მლრდ დოლარს.[1]

3. იზრდება ამერიკული *ეკონომიკის სერვისიზაცია*. ესე იგი დასაქმებულთა წილი მომსახურების სფეროში იზრდება სწრაფად, ვიდრე ამ სფეროს ხვედრითი წილი მშპ-ში. პროგნოზების თანახმად, თუკი უახლეს ათწლეულში მრეწველობის ხვედრითი წილი მშპ-ში შენარჩუნდება 22-23%-ის დონეზე, მაშინ მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხვი 12%-მდე დაიკლებს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, უმსხვილეს 500 ამერიკულ კორპორაციაში დასაქმებულთა რაოდენობა 1974 წლიდან 1996 წლამდე 24%-ით შემცირდა, საერთო დასაქმებულთა გაზრდის პირობებში ამავე პერიოდში 43%-ით. სერვისიზაციას მივყევართ ტრადიციული სამრეწველო ცენტრების დეპოპულაციამდე და ქალაქების ზრდამდე, სადაც ვითარდება პოსტინდუსტრიული დარგები. მაგალითად, სენტ ლუისმა და დეტროიტმა ომისშემდგომ წლებში დაკარგა 20-დან 40%-მდე მოსახლეობა, მაშინ როცა იმავე პერიოდში ატლანტასა და დენვერში მოსახლეობა გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო ჰიუსტონში — 4-ჯერ. ამერიკის ინფორმაციული თავმოყრის ცენტრებში — ბოსტონის, სან ფრანცისკოს, ლოს ანჟელესის და ნიუ იორკის რაიონებში — მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ოდენობამ სამუშაო ძალის საერთო რაოდენობის 90%-ს გადააჭარბა.

4. *ამერიკულ ეკონომიკაში არსებითად შეიცვალა ტრადიციული თანაფარდობა დანაზოგსა და ინვესტიციებს შორის*. 1998 წ. სექტემბრიდან აშშ-ში დაგროვების ნორმა გახდა უარყოფითი, ე. ი. დღეს მოსახლეობა მიმართავს მიმდინარე მოხმარებაზე უფრო მეტ საშუალებებს, ვიდრე იღებს. სხვა განვითარებულ ქვეყნებში ამგვარი ტენდენცია არ შეინიშნება. მაგალითად, იაპონური ეკონომიკა ხასიათდება დაგროვების მა-

1. Lucas, H. Information Technology and Productivity Paradox. - N. Y. - Oxford, 1999.

ღალი ნორმით და სახელმწიფო ენერგიულ ზომებს მიმართავს მოხმარების გასაზრდელად. აშშ-ში ახალი პოსტინდუსტრიული მექანიზმის შექმნა ისახება, რომელიც საშუალებას იძლევა მიიზიდოს ინვესტიციის სახით საშუალებები, რომლებიც მიდის პირად მოხმარებაზე.

5. ბოლო რამდენიმე წელია აშშ-ში *სწრაფად ვითარდება წვრილი ფირმები.* სწორედ მათ უზრუნველყვეს 11,8 მლნ სამუშაო ადგილის ნამატი, იმ დროს, როცა მსხვილმა კორპორაციებმა ერთობლივად შეამცირეს თავის თანამშრომელთა რაოდენობა 645 ათასი ადამიანით.[1] ამერიკული ექსპორტის უკვე ნახევარზე მეტი შედგება იმ კომპანიების პროდუქციისაგან, რომლებშიც დასაქმებულია 19 და ნაკლები თანამშრომელი.

6. აშშ-ში წარმოიშვა და დაიწყო წამყვანი ადგილის დაკავება ახალი ტიპის *კრეაციულმა კორპორაციამ,* რომელშიც მუშაკთა დიდი ნაწილი დაკავებულია ინტელექტუალური საქმიანობით. მასში პერსონალს გააჩნია გადაწყვეტილების მიღების ბევრად მეტი თავისუფლება, ვიდრე ჩვეულებრივ იერარქიულ კორპორაციაში. კრეაციული კორპორაციების წარმატებები გამოვლინდა 90-იანი წლების დამდეგიდან, რის შედეგადაც დღეს აშშ 20 ყველაზე მდიდარი ადამიანიდან 15 წარმოადგენს კომპანიას, რომლებიც წარმოიშვა ბოლო ერთი ან ორი ათეული წლის განმავლობაში — Microsoft, Metromedia, Dell, Intel, Oracle, Viacom, New World Communications. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ ახალი კომპანიები თავიანთ ფენომენალურ აღმასვლას უნდა უმადლოდნენ ერთ ან რამდენიმე ადამიანს — მათ დამფუძნებლებს და მფლობელებს, რომელთაც არ დაუკარგავთ კონტროლი თავიანთი შვილობილზე. ასე მაგალითად, ბ. გეიტსი დღეს ფლობს Microsoft-ის აქციათა 21%-ს, რომელიც შეფასებულია 82 მლრდ დოლარზე მეტად; მ. დელი აკონტროლებს კომპანია Dell-ის აქციათა მესამედამდე დაახლოებით 11 მლრდ დოლარის ღირებულებით; ჯ. ბეზოსმა 2 მლრდ დოლარის ქონება შეაგროვა წიგნების გაყიდვის საინტერნეტო კომპანიის — Amazon. com-ის დამფუძნებლის რანგში; დ. ფილო და ჯ. იანგი გახდნენ მილიარდერები, იყვნენ რა არანაკლებ ცნობილი Yahoo-ს თანამფლობელები, ხოლო ს. კეიზი ფლობს მნიშვნელოვან პაკეტს მის მიერ შექმნილი America-on-Line-ისა, რომლის საბაზრო ღირებულება 1998 წლის ზაფხულში შეფასებული იყო 27 მლრდ დოლარად. კრეაციული კორპორაციების საბაზრო შეფასება ჩვეულებრივ ძალიან დიდია და მნიშვნელოვნად აჭარბებს მათ მატერიალურ აქტივებს. აქ ადგილი აქვს კორპორაციული ცოდნის საბაზრო შეფასების ახალ ფენომენს. ბაზარი

1. Иноземцев В. Расколотая цивилизация. — М.: Наука, 1999.

აფასებს კორპორაციის პოტენციალს, რომელიც დაფუძნებულია მისი პერსონალის ცოდნასა და საერთო ძალისხმევის ეფექტიან ორგანიზაციაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ ტენდენციებს შეუძლია შემდგომში განსაზღვროს მთელი მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მიმართულება. იმავდროულად ამერიკის ეკონომიკაში არსებობს რიგი ტენდენციები, რომლებიც იწვევს ცნობილ შეშფოთებას.

1. ამერიკისათვის ტრადიციულია *იმიგრაციის პროგლემა.* შობადობის თანამედროვე დონეს აშშ-ში შეუძლია უზრუნველყოს მხოლოდ ამჟამად არსებული მოსახლეობის „შევსება". ბოლო წლებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ძირითადად მიმდინარეობდა გადასახლებულთა ხარჯზე, აგრეთვე აფროამერიკელების, განსაკუთრებით კი ლათინოამერიკელების მაღალი შობადობით. გამოკითხვების თანახმად, თუკი აფროამერიკელები (იგულისხმება ქალები) მიდრეკილნი არიან იმისაკენ, რომ იმდენივე შვილი გააჩინონ, რამდენიც თეთრებმა, სამაგიეროდ ლათინოამერიკელები (ისევ ქალები) „დაპროგრამებულნი" არიან დიდ ოჯახზე. სტატისტიკოსთა მონაცემებით, აშშ-ის ამჟამინდელი მოსახლეობა, რომელიც შეადგენს 275 მლნ ადამიანს, 2100 წლისათვის გაორმაგდება და გახდება 571 მლნ-მდე. ჭარბმოსახლეობის პრობლემა ქვეყანას არ ემუქრება მისი ვრცელი ტერიტორიების წყალობით. თვით 2100 წლისათვისაც კი აშშ-ის მოსახლეობის სიმჭიდროვე იქნება დაახლოებით 161 ადამიანი 1 კვ მილზე, ე. ი. შეადგენს მაგალითად, გერმანიის ან დიდი ბრიტანეთის ანალოგიური ამჟამინდელი მაჩვენებლის დაახლოებით 1/4-ს, ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის რაოდენობის გაორმაგება განპირობებული იქნება შობადობის გარკვეული მატებით და ქვეყანაში იმიგრანტთა მოდინებით. მთლიანობაში, ქვეყნის მოსახლეობა იქნება უფროსი, ვიდრე ახლაა. მნიშვნელოვნად გაიზრდება ლათინოამერიკული მოსახლეობის წილი და ცოტათი — აფროამერიკელების. ეტაპობრივი პროგნოზი ასე გამოიყურება: 300 მილიონიან ზღვარს აშშ-ის მოსახლეობა მიაღწევს 2011 წ., 400 მილიონიანს — 2049 წ., 500 მილიონიანს — 2081 წ. (1800 წ. აშშ-ში ცხოვრობდა 5,3 მლნ ადამიანი, 1900 წ. — 75,9 მლნ.).

2. შეშფოთებას იწვევს აშშ-ის ფრბ[1] *ემისიური პოლიტიკა.* დღეს-დღეობით მსოფლიოში ბრუნვაშია დაახლოებით 460 მლრდ ნაღდი დოლარი, მაშინ როცა თვით შტატებში — დაახლოებით 150 მლრდ დოლარია. 1999 წ. აშშ-ის ოქრო-სავალუტო რეზერვებს ჰქონდა შემდეგი სტრუქტურა: სესხების სპეციალური უფლებები — 10,6 მლრდ დოლ., სარეზერვო პოზიცია IMF-ში — 24,11 მლრდ დოლ., უცხოური ვალუტა — 36,0 მლრდ

1 ფრბ — ფედ.რეზერვების ბანკი - აშშ-ს ცენტრალური ბანკი.

დოლ., სულ ოქროს გარეშე — 70,71 მლრდ დოლ. 1998 წლის ბოლოსათვის აშშ-ის ოქროს მარაგმა შეადგინა 261,61 მლნ ტროიანული უნცია ან დაახლოებით 78,483 მლრდ დოლ. (ერთ ტროიანულ უნციაზე — 300 დოლარის ფასით), სულ — დაახლოებით 150 მლრდ დოლ. აქედან გამომდინარეობს, რომ აშშ-ის რეზერვები არ იქნება საკმარისი ნაღდი დოლარების თავმოყრის შემთხვევაში ოქროზე ან სხვა უცხოურ ვალუტაზე გადასაცვლელად, ასევე აშშ-ის საფონდო ბაზრიდან კაპიტალის მასიური გადატანის შემთხვევაში არადოლარიან აქტივებში.

3. ბევრი ავტორი სვამს საკითხს აშშ-ის *საფონდო ბაზრის გადახურებაზე.* დოუ ჯონსის ინდექსი გაიზარდა 1989 წლიდან 1999 წლამდე დაახლოებით 2700-დან 11000-მდე, ე. ი. 4-ზე მეტად, მაშინ, როდესაც აშშ-ის მშპ (ე. ი. ძირითადი მახასიათებელი ეკონომიკის რეალური მდგომარეობისა) გაიზარდა 5439-დან (1989 წ.) 8509 მლრდ დოლარამდე (1998 წ.), ე. ი. 1,56-ჯერ. სხვაობა ნათელია. ამასთან აქციათა ღირებულება იზრდება ბევრად სწრაფად, ვიდრე დივიდენდები. ეს ნაჩვენებია სამი ცნობილი კორპორაციის მაგალითზე (ცხრ. 18.3.).

ცხრილი 18.3.

აქციათა ფასების და დივიდენდების დინამიკა

წლები	AT&T CORP		Exxon		Mobil	
	აქციების ფასები, დოლ.	დივიდენდები წელიწადში, დოლ.	აქციების ფასები, დოლ.	დივიდენდები წელიწადში, დოლ.	აქციების ფასები, დოლ.	დივიდენდები წელიწადში, დოლ.
1990	30,125	1,32	—	—	—	—
1991	39,125	1,32	—	—	—	—
1982	51	1,32	—	—	—	—
1993	52,5	1,32	—	—	—	—
1994	50,25	1,32	30,05	1,455	41,06	1,7
1995	64,75	1,32	41,2	1,5	56,1	1,8125
1996	41,75	1,32	49,5	1,56	61,2	1,9625
1997	61,312	1,32	62,3	1,625	72	2,12
1998	75,75	1,32	77,3	1,64	91	2,28
1999	57,8125		80	1,67	105	

იბადება კითხვა: მაშ რატომ ყიდულობენ ინვესტორები აქციებს, რატომ იზრდება მათი ღირებულება, მოტანილი შემოსავალი აქციაზე (აქციაში დაბანდების შემოსავლიანობა) ხომ ეცემა? აქ შეიძლება ვივარაუდოოთ, რომ წარმოიშვა პირამიდა — მოთხოვნა აქციაზე (შესაბამისად კი მათი ღირებულების ზრდაც) უზრუნველყოფილია მათი შემდგომი ზრდის მოლოდინით. მოცემული ვითარება შენარჩუნდება მანამ, სანამ იარსებებს ფულის მუდმივი მოდინება ამერიკის საფონდო ბაზარზე. აქციების ზრდის შეჩერების შემთხვევაში ინვესტორები მათ შეაფასებენ მოტანილი შემოსავლის თვალსაზრისით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აქციების კურსის კატასტროფული ვარდნა.

დღეს ამერიკის ეკონომიკაში სიტუაცია ძალიან მოგვაგონებს „დიდი დეპრესიის" წინა პერიოდს და „ბუშტი" აშშ-ის საფონდო ბაზრის ამჟამინდელი გადახურებული კონიუნქტურის ან გასკდება, ან ჩაიფუშება ნელნელა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი გელბრეიტი, ადარებს რა დღევანდელ სიტუაციას ეკონომიკური აყვავების პერიოდს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921-1929 წლებში — თითქმის დამანგრეველი ეკონომიკური კრიზისის დადგომამდე, აღნიშნავს, რომ „ახლა აგრეთვე იზრდება ინდივიდუალური ინვესტორების რიცხვი, რომლებიც ყოველდღიურ საფუძველზე ყიდიან და ყიდულობენ აქციებს ინტერნეტის საშუალებით. ბაზარს მოაწყდა ცალკეულ ადამიანთა ფინანსური საშუალებების ისეთი ოდენობა, რომ მათი მართვა უკვე აღარ შეუძლით პროფესიონალ დილერებს". როდესაც ეს საინვესტიციო „ბუშტი" გასკდება, თვლის ეკონომისტი, „აშშ-ში დადგება მძიმე დღეები. მომხმარებლები უარს იტყვიან თავიანთ ჩვევებზე უანგარიშოდ ხარჯონ ფული... და ეს უარი იქნება მით უფრო დიდი, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ახლანდელი ბუმი".

4. აშშ უკვე მრავალი წელია ვითარდება *სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსების უზარმაზარი დეფიციტის პირობებში.* 1999 წ. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა შეადგინა 338,9 მლრდ დოლარი, რაც 50%-ით მაღალია 1998 წლის მაჩვენებელზე.[1] 2000 წ. დეფიციტის ზრდა გრძელდებოდა და შეადგინა 430 მლნ დოლ. 1999 წ. სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა გადააჭარბა 265 მლნ დოლარს და ეს ციფრი ფრბ-ს მიერ შეფასებულია, როგორც ეკონომიკის სტაბილურობის საფრთხე. ევროპიდან აშშ-ში კაპიტალის გადინებამ 1999 წ. შეადგინა 3 მლრდ დოლარზე მეტი კვირაში. ყველაზე შესამჩნევი წვლილი ამ პროცესში შეაქვთ ევროპულ ბანკებს, რომლებიც ყიდულობენ აქტივებს ამერიკის საფინანსო ბაზრებ-

1. БИКИ. — 2000. — №2.

ზე. 2000 წ. ევროპულმა ბანკებმა მოახდინეს ამერიკის ინვესტიციური ინსტიტუტების ინტენსიური შთანთქმები ამერიკის ფინანსურ ბაზრებზე მუდმივი საძუშაოს ორგანიზაციისათვის. ასე მაგალითად, შვეიცარულმა United Bank of Switzerland-მა შეიძინა ამერიკული საბროკერო კანტორა Paine Webber 11 მლრდ დოლარად, ხოლო Credit Suisse-მა იყიდა საინვესტიციო ბუტიკი Donaldson Lufkin & Jenrotte 11,5 მლრდ დოლარად.[1] ამის შედეგად 2000 წ. ივლისში დასავლეთ ევროპის საგადასახდელო ბალანსის ყოველთვიურმა სალდომ აშშ-თან შეადგინა 7,22 მლრდ დოლარი და თითქმის გაუტოლდა ჩინურს (7,64 მლრდ დოლ.) და იაპონურს (7,52 მლრდ დოლ.). ასეთი სიტუაცია ბევრწილად აიხსნება დოლარის მაღალი კურსით, რაც ამცირებს ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს იმპორტის ზრდას. 2000 წლის სექტემბერში „დიდი შვიდეული" წავიდა ცენტრალური ბანკების ერთობლივ ინტერვენციაზე დოლარის კურსის დაწევის მიზნით.

განვითარებული ქვეყნების კოორდინირებული მოქმედება წარმოქმნილი გლობალური პრობლემების გადასაჭრელად ოპტიმიზმს გვინერგავს ამერიკის და მსოფლიო ეკონომიკის მომავლის მიმართ.

5. ამერიკის ეკონომიკის უპრეცედენტო ხანგრძლივი წარმატებული სვლის შემდეგ შეინიშნება მისი გადასვლა რეცესიის ფაზაში. Goldam Sachs-ის ანალიტიკოსთა აზრით, 2001 წ. აშშ-ის მშპ გაიზრდება მხოლოდ 2,5%-ით, მაშინ როცა ევროს ზონის მშპ — 2,9%-ით. პირველად 1991 წლიდან ევროპის ეკონომიკამ გაუსწრო აშშ-ის ეკონომიკას ზრდის ტემპებით. მოხდა აშშ-ის საფონდო ბაზრის მნიშვნელოვანი ვარდნა, რომელიც ბოლო წლებში ელვის სისწრაფით იზრდებოდა. მაქსიმალურ მნიშვნელობებთან შედარებით, საფონდო ინდექსების დანაკარგებმა 2001 წლისათვის შეადგინა: Nasdaq — 55%, S&P — 17,5, Dow Jones — 9%-ზე მეტი. 2000 წლის ბოლოსათვის ამერიკის ეკონომიკის ყველა სექტორის ერთობლივმა საკრედიტო დავალიანებამ გადააჭარბა 26 ტრლნ დოლარს, ე. ი. თითქმის 3-ჯერ აჭარბებს მშპ-ს. აშშ-ის სახელმწიფო ვალმა მიაღწია ასტრონომიულ თანხას — 5,7 ტრლნ დოლარს. ფულადი მასის ნამატი ცალკეულ წლებში აჭარბებდა 10%-ს და მტკიცედ უსწრებდა მშპ-ის ნამატის ტემპებს, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 4,5% წელიწადში. იზრდება საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი, რომელიც უკვე აჭარბებს მშპ-ის 4%-ს. 2001 წლის იანვარში ინფლაციამ სამრეწველო საქონელზე შეადგინა 1,1%. ვინაიდან აშშ-ზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 30%-

1. Резник С. Американский шопинг // Эксперт. — 2000. — №37.

ზე მეტი, ხოლო დოლარი გახდა საყოველთაო სარეზერვო და საანგარიშსწორებო ვალუტა, ამიტომ აშშ-ში მიმდინარე კრიზისულმა მოვლენებმა არ შეიძლება ჩვენი შეშფოთება არ გამოიწვიოს. თუმცაღა აშშ-ის ეკონომიკას გააჩნია სიმტკიცის კოლოსალური მარაგი და იგი შეძლებს გაუმკლავდეს წამოჭრილ ნეგატიურ ტენდენციებს.

გამოვყოთ მოკლე დასკვნები ბოლო სამი განყოფილების მიხედვით:

1. ამერიკულ TNC-ს და TNB-ს უკავიათ ლიდერის მდგომარეობა და ამით, ბევრად უზრუნველყოფენ მთელი ამერიკის ეკონომიკის ლიდერობას. ამერიკის მსოფლიო ეკონომიკური ექსპანსიის თანამედროვე ეტაპზე კორპორაციათა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთთან ახლოსაა. საერთო ინტერესების საფუძველზე აშშ-ში მოხდა სახელმწიფოს და ტრანსეროვნული კაპიტალის სიმბიოზის შექმნა.

2. აშშ-ში სახელმწიფო საკუთრება შედარებით მცირეა და სახელმწიფო რეგულირება ძირითადად ეყრდნობა ეკონომიკურ ზომებს. იგი ხორციელდება ამერიკის უზარმაზარი სახელმწიფო ბაზრის, სოციალურად ორიენტირებული საგადასახადო რეგულირების, შიდა ბაზრის არასატარიფო მეთოდებით დაცვის და ექსპორტის მხარდაჭერის საშუალებით.

3. XXI ს-ის დამდეგს აშშ-ის თავდაჯერებული ლიდერი ეკონომიკა ახალ პერსპექტივებს ხსნის მთელ მსოფლიო ეკონომიკის წინაშე. იგი საკუთარი მაგალითით ამტკიცებს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ეკონომიკური ზრდის საინფორმაციო ტიპზე, კრეაციულ კორპორაციებსა და „ახალ ეკონომიკაზე" ორიენტირებულ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ეფექტიანობას.

4. იმავდროულად აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკაში შეინიშნება რიგი უარყოფითი ტენდენციები. ამერიკის საფონდო ბაზარი, როგორც ჩანს, „გადახურებულია" და უკვე არსებობს ფინანსურ ბაზარზე კრიზისული სცენარების შესაძლებლობებზე პირველი სიგნალები, მეტისმეტად ძლიერი დოლარი მიმზიდველს ხდის იმპორტს და აფერხებს ექსპორტს, რის შედეგადაც მწვავდება სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსების დეფიციტების ძველი ამერიკული პრობლემები.

თავი 19

გაერთიანებული ევროპის გზა

ევროპის კავშირი: ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები. ევროპული ერთიანობის გენეზისი. EU-ის თანამედროვე მდგომარეობა. EU-ის ქვეყნების ეკონომიკურ მოდელთა თავისებურებანი. EU-ის ტრანსეროვნული კაპიტალი

ჩვენ წილად გვერგო ვიყოთ თანამედროვენი ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული, დიდებული და ფანტასტიკური პროცესისა მსოფლიო ისტორიაში. ევროპულმა ხალხებმა, საუკუნეობით რომ მტრობდნენ, ხოლო XX ს-ის I ნახევარში გულწრფელი სიძულვილით და აქამდე არნახული სისასტიკით ანადგურებდნენ ერთმანეთს, ყველა ურთიერთწყენის მიუხედავად ჰპოვეს თავისთავში ძალა გაერთიანებაზე და ახლა მტკიცედ მიისწრაფიან პრაქტიკულად ახალი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნისაკენ. კიდევ უფრო საოცარია ის, რომ გამაერთიანებელი პროცესები დაიწყო აბსოლუტური ლიდერის გარეშე, რომელიც მათ სტიმულს მისცემდა თავისი სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერით, ასევე გამოკვეთილი გარეშე მტრის ან თუნდაც მოძულის გამო, რომელიც ზოგჯერ ისტორიაში თავისი არსებობით საზღვართან იწვევდა გაერთიანებას. ეს იყო თანდათანობითი, გააზრებული პროცესი რაიმე ზეწოლის და იძულების გარეშე, როცა ყოველ ქვეყანას ამოძრავებს მხოლოდ თავისი ინდივიდუალური გამორჩენა. ეს პროცესი არ დამთავრებულა, ის გრძელდება და იკრებს ძალებს. შესაძლებელია, მალე გავხდეთ დიდი ევროპული ფედერაციის შექმნის მოწმენი — მსოფლიოში ერთიანი, ყველაზე მძლავრი სახელმწიფოსი, რომელიც უშუალოდ რუსეთის მეზობლად იქნება. შესაბამისად, ამ სუპერსახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესწავლა აუცილებელია წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

მივყვეთ არჩეულ მიდგომას და თავდაპირველად შევისწავლოთ დასავლეთ ევროპის და (ან) ევროპული კავშირის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები, ვინაიდან ახლა ეს ცნებები უკვე თითქმის ემთხვევა ერთმანეთს.

19.1. ევროპის კავშირი: ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები

მე-17 თავში იყო განხილული EU, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტეგრაციული წარმონაქმნი. შემდგომ გამოკვლეულია მისი ეკონომიკური ასპექტები.

EU თავისთავად წარმოადგენს 15 სახელმწიფოს[1] (ამჟამად უკვე 25) ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბლოკს. მასში შედის: ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი და შვედეთი. ევროპული კავშირი აერთიანებს ქვეყნებს 3,2 მლნ კვ კმ-ის საერთო ფართით, 325 მლნ ადამიანის მოსახლეობით და 8900 მლრდ დოლარის მშპ-ით (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების 40% (ამჟამად უფრო მეტი). მის წილად მოდის მსოფლიო ვაჭრობის 21% (აშშ — 20%). ამ ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 19.1.

თუკი მსოფლიო რუკას მიუკერძოებლად შეეხედავთ, დასავლეთ ევროპა შეიძლება გეჩვენოთ გიგანტური ევრაზიის მატერიკის შედარებით მცირე ნახევარკუნძულად. მაგრამ ევროპელებმა თავისი განსაცვიფრებელი ენერგიით, ნებისყოფით და მრავალსაუკუნოვანი მიზანმიმართული საქმიანობით შეძლეს მსოფლიოს ცენტრში დაეყენებინათ თავისი პატარა ნახევარკუნძული. მაინც რამ შექმნა *ევროპელი ადამიანის საოცარი ფენომენი*, მარად მაძიებელი, დაუკმაყოფილებელი, შემოქმედებითი, შემეცნების წყურვილით შეპყრობილი და ძალაუფლებისკენ მსწრაფი?

როგორც ჩანს, ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შესრულა *ბუნებრივმა კიროგებებმა*. როგორც გონებამახვილურად შენიშნა ლევ გუმილოვმა, რომ საზღვარი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის თითქმის ზუსტად ემთხვევა იანვრის ნულოვან იზოთერმს, ე. ი. თუკი იანვარში საშუალო ტემპერატურა ნულს ზემოთაა, მაშინ ჩვენ ვართ დასავლეთ ევროპაში, თუ ქვემოთ — აღმოსავლეთში. ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანაში კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობისათვის და საერთოდ საცხოვრებლად ბევრად უკეთესია, ვიდრე მათ აღმოსავლეთ მეზობლებთან. მაგალითად, საშუალო ბიოკლიმატური პოტენციალი (საშუალო ტემპერატურა და ნალექთან შეხამება) EU-ის ქვეყნებში დაახლოებით ორჯერ მაღალია, ვიდრე რუსეთში.

---

1. 2004 წლის 1 აპრილიდან EU-ში დამატებით კიდევ 10 ქვეყანა მიიღეს: კვიპროსი, მალტა, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვენია, სლოვაკეთი. მიუხედავად ამისა, აქ და შემდგომ, თარგმანში უცვლელად ვტოვებთ EU-ის 15 ქვეყნის შესახებ მასალებს დედნის მიხედვით. (რედაქტორის შენიშვნა).

ცხრილი 19.1.

EU-ის ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლები (1999 წ.)

ქვეყანა	მმართველობის ფორმა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	ტერიტორია, ათასი კმ. კმ.	მშპ, მლრდ დოლ.	მშპ 1 სულ მოსახლ., ათას დოლ.	მშპ-ს ზრდა, %-ში	ინფლაცია, %-ში
ავსტრია	რესპუბლიკა	8,1	83,8	217,9	26,7	2,4	1,0
ბელგია	სამეფო	10,2	30,5	262,8	25,6	2,6	1,6
დიდი ბრიტანეთი	სამეფო	59,5	24471	1423,8	23,9	2,6	2,6
გერმანია	რესპუბლიკა	82,7	357	2260,4	27,3	2,3	1,4
საბერძნეთი	რესპუბლიკა	10,6	132	125,7	11,8	3,7	2,0
დანია	სამეფო	5,3	43,1	173,8	32,6	1,8	2,4
ირლანდია	რესპუბლიკა	3,7	70,3	98,1	26,5	6,8	2,6
ესპანეთი	სამეფო	39,4	504	576,8	14,6	2,9	2,3
იტალია	რესპუბლიკა	57,8	301	1236,9	21,4	2,1	2,0
ლუქსემბურგი	საჰერცოგო	0,4	2,6				
ნიდერლანდები	სამეფო	15,9	41,5	431,6	27,2	2,7	2,0
პორტუგალია	რესპუბლიკა	10,04	92	116,7	11,6	2,6	2,7
ფინეთი	რესპუბლიკა	5,2	337	145,0	28,0	3,8	1,7
საფრანგეთი	რესპუბლიკა	58,7	551	1464,9	25,0	2,7	1,1
შვედეთი	სამეფო	8,9	450	252,4	28,4	3,3	1,7

დასავლეთ ევროპის მთელი ტერიტორია პრაქტიკულად იმყოფება ზღვების სიახლოვეს. იგი თითქმის დასერილია წყალუხვი სანაოსნო მდინარეებით. სანაპირო თითქმის ყველგან აჭრელებულია დიდი და მცირე ზღვის უბეების სიმრავლით, რომლებშიც იოლად შეიძლება თავის შეფარება შტორმების და უამინდობის დროს. კუნძულთა დიდი ოდენობა (მაგალითად, პატარა ეგეოსის ზღვაში ისინი 20 ათასზე მეტია) საშუალებას იძლევა პრიმიტიულ გემებზეც კი შედარებით უსაფრთხო მოგზაურობისა კუნძულიდან კუნძულამდე. და, რაც მთავარია, ცურვაც ღირს. ევროპის მთლიანი ქედები და ჩრდილოეთიდან გარს რომ ევლება გოლფსტრიმის თბილი დინება ქმნის ასეთ შედარებით პატარა ტერიტორიაზე ბუნებრივ-კლიმატური ზონების არაჩვეულებრივ შეხამებას. გაცურავ რაღაც 100-200 კმ და

აღმოჩნდები სავსებით სხვაგვარ ქვეყანაში ველური მცენარეულობითა და საოცარი საქონლით. ევროპა ძველთაგანვე ქმნიდა შესანიშნავ პირობებს ხელსაყრელი საქონლბრუნვისათვის. *თვით ბუნება ახალისებდა ვაჭრობას, ხოლო ვაჭრობაში მოთხოვნილებანი წარმოების განვითარების სტიმულირებას იწვევდა.*

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პეიზაჟის მრავალფეროვნება აღვიძებს ადამიანის წარმოსახვასა და შემოქმედებით აქტიურობას. ასეა ეს თუ არა, უცნობია, მაგრამ ევროპული პეიზაჟები უდავოდ საოცრად მრავალფეროვანია, ხოლო დასავლეთ ევროპის სუბკონტინენტის ხალხები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ავლენენ შესაშურ აქტიურობას. ბოლო ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში ევროპელები უდავოდ მოწინავენი არიან მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებში.

ბუნებამ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამრეწველო განვითარებაზეც იზრუნა, როცა ევროპის ცენტრში მოათავსა *მდიდარი და იოლადმისაწვდომი ნახშირის საბადოები* (რურის აუზი, ელზასი, ლოტარინგია) *და რკინის მადნები.* ამან შექმნა შესანიშნავი სასტარტო პირობები სამრეწველო წარმოების განსავითარებლად გერმანიასა და საფრანგეთში. არც დიდი ბრიტანეთია დაჩაგრული, რომელსაც ტყუილად როდი უწოდებენ ნახშირის კუნძულს.

მაგრამ ევროპის მთავარი სიმდიდრეა — *შეუდარებელი ცივილიზაციური რესურსები.* ევროკავშირში შემავალი 15 ქვეყნიდან, სულ მცირე 9 თავისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე თამაშობდა წამყვან როლს კაცობრიობის განვითარებაში და რეალური პრეტენზია ჰქონდა დიდი სახელმწიფოს წოდებაზე. ევროპული ცივილიზაციის ფუძემდებელი გახდა საბერძნეთი, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის დროს შექმნა პირველი ევროპული მსოფლიო იმპერია. შემდეგ ნახევარი მსოფლიო გაერთიანდა რომის იმპერიის მიერ, ხოლო 10 საუკუნის შემდეგ იმავე იტალიამ აჩუქა ევროპასა და მსოფლიო კულტურას აღორძინება, კვლავ გახდა რა საერთოევროპული ლიდერი, ახლა უკვე სულიერ სფეროში. უკვე ახალ დროში პატარა ნიდერლანდებმა და პორტუგალიამ მსოფლიო მასშტაბის კოლონიალური იმპერიები შექმნეს, ხოლო ესპანეთი დიდი ხანი იყო ევროპის უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც ააშენა მსოფლიო იმპერია, „რომლის თავზე მზე არასოდეს ჩადიოდა". რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გიგანტურ სახელმწიფოს მართავდა პატარა ავსტრია. თვით ევროპული საქმეებისგან შორს, ჩრდილოეთით მყოფი შვედეთი XVI-XVIIს-ებში შეეცადა გაჭრილიყო ევროპული ლიდერობისაკენ. მთელი ახალი და უახლესი დროის განმავლობაში მსოფლიო ლიდერობის და ბატონობისათვისაც კი მონაცვლეობით წარმატებით სასტიკად იბრძოდნენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი.

ასე რომ, უმეტესი ქვეყნები კავშირში შევიდნენ დიდი ხალხების უზარმაზარი ისტორიული გამოცდილებით.

დასავლეთ ევროპის მოსახლეობას, რომელიც, მართალია, შედგება მრავალი თავისუფალი ხალხებისაგან, მაინც გააჩნია განსაზღვრული *ეთნიკური და ეთნოგრაფიული ერთობა.* EU-ის ხალხთა დიდი ნაწილი საუბრობს რომაულ (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, ბელგია) ან ანგლო-გერმანულ ჯგუფის ენაზე. ეს ენობრივი ჯგუფები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან და, მაგალითად, ფრანგისათვის გერმანული ან ინგლისური ენის სწავლება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე რუსული ან სხვა სლავური ენისა. ახლოსაა დასავლეთევროპული ხალხების კულტურაც.

ევროპული ცივილიზაციის ისტორიული საფუძველი იყო ძველი საბერძნეთი და რომი. ევროპელებმა ბერძნებისგან აიღეს საოცარი სწრაფვა ინდივიდუალური თავისუფლებისაკენ, ხოლო რომისგან — მიდრეკილება წესრიგისა და მკაცრი სახელმწიფოებრიობისკენ. ამ მყარ საფუძველს ჩვენი ერის დამდეგს სავსებით ბუნებრივად დაეყრდნო *ქრისტიანობა მისი კათოლიკური ტრადიციით.* კათოლიკობა (იხ. თავი 9) — რელიგია, რომელიც წარმატებით უხამებს პიროვნების განსაზღვრულ ინდივიდუალურ თავისუფლებას მისი სახელმწიფოს ინტერესებისადმი დამორჩილების აუცილებლობას.

თვით კათოლიკური ეკლესია აგებულია სახელმწიფოს მსგავსად — სახელისუფლებო უფლებამოსილებათა მკაფიო, იერარქიული დაყოფით და რომის პაპის მონარქიული, თვითმპყრობელური ხელისუფლებით. იგი ყოველთვის მიმართული იყო სულებზე ძალაუფლებისათვის საბრძოლველად და საერთოდ, ჩვეულებრივი საერო ძალაუფლებისათვისაც. თავისი გავლენის გავრცელება მთელ მსოფლიოში მრავალი საუკუნის მანძილზე იყო მისი ძირითადი მიზანი, ხოლო კათოლიკე თავად რელიგიის მიერ იყო აღზრდილი უკომპრომისო ბრძოლის სულისკვეთებით. სასტიკმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, საბრძოლველად განწყობამ და ექსპანსიამ საშუალება მისცა კათოლიკურ სახელმწიფოებს დაეპყროთ უზარმაზარი ტერიტორიები და შეექმნათ მსოფლიო იმპერიები. XV ს-ის ბოლოსათვის კათოლიკური ეკლესიის სასტიკი რელიგიური დისციპლინა შევიდა წინააღმდეგობაში ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნებთან ინდივიდუალური თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. წარმოიშვა პროტესტანტობა. რეფორმაციის და კონტრრეფორმაციის შემდეგ, XVI-XVII საუკუნეებში, კათოლიკური რელიგია გამოვიდა გარდაქმნილი. მან შეძლო მრავალი მოძველებული დოგმის უარყოფა და მრავალი რამ აიღო საძულველი პროტესტანტული ტრადიციიდან. კათოლიკო-

ბამ შეინარჩუნა თავისი ერთგულება სახელმწიფოსადმი, როგორც ძირითადი, მისი აზრით, საზოგადოებრივი ინსტიტუტისადმი, მაგრამ გააკეთა არსებითი ძვრები ბაზრის მხარეს, როცა უკმაყოფილებით, მაგრამ მაინც აღიარა კერძო საკუთრების აუცილებლობა და კერძო მეწარმეობის სარგებლიანობა.

ევროპულმა პროტესტანტობამაც აგრეთვე ცოტა როდი გადმოიღო კათოლიციზმიდან. მაგალითად, გერმანელი პროტესტანტი ბევრად უფრო *ერთგულია სახელმწიფოებრიობის იდეის*, ვიდრე მისი ოკეანისიქითა ერთმორწმუნე. საერთოდ კონტინენტალური ევროპელები, დამოუკიდებლად აღმსარებლობისა, ბევრად დიდი სახელმწიფოებრიობის მოსურნენი არიან და ნაკლებად ლიბერალები, ვიდრე ინგლისელები და ამერიკელები. სისხლიანმა ისტორიამ მათ ასწავლა სახელმწიფოს დაფასება, როგორც მათი ინტერესების და თავად სიცოცხლის საიმედო დამცველისა. იმავდროულად კუნძულოვანი დიდი ბრიტანეთი, რომლის მიწაზეც ვილჰელმ დამპყრობის შემდეგ (XI ს.) ფეხი არ დაუდგამს უცხოელ დამპყრობს და აგრეთვე უფრო საიმედოდ ოკეანეებით დაცული ამერიკა ბევრად ნაკლები ხარისხით გრძნობენ მუდმივი სახელმწიფოებრივი პატრონაჟის აუცილებლობას. მათ შეეძლოთ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ ცალკეული პიროვნების ინტერესებისა და თავისუფლებებისათვის, ვიდრე ომებისაგან მუდმივად დატანჯულ კონტინენტალურ ევროპას.

როგორც წინა თავში ვნახეთ, ამერიკელთა დიდმა უმრავლესობამ თავისუფლებასა და თანასწორობას შორის არჩევანისას არჩია თავისუფლება. კონტინენტალურ ევროპელთა უმეტესობა კი ალბათ თანასწორობას აირჩევდა. ამიტომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში განმტკიცდა *ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი* სახელმწიფოს აქტიური და მნიშვნელოვანი როლით სამეურნეო ცხოვრებაში.

ახლა გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ სოციალურად ორიენტირებული მოდელი, ლიბერალურთან შედარებით, არის სუსტი კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და გააჩნია დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობა. მართლაც, ბოლო წლებში ამერიკული ლიბერალური ეკონომიკა ვითარდება შესანიშნავად და აშკარად უსწრებს ევროპელ კონკურენტებს ზრდის ტემპების მიხედვით. იგი თითქმის სპეციალურად იყო შექმნილი პოსტინდუსტრიული საინფორმაციო განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის, როცა ეკონომიკაში განსაკუთრებულ როლს იძენს თავისუფალი, შემოქმედებითი პიროვნება. მაგრამ ღირს კი გავაკეთოთ ნაჩქარევი დასკვნები? 10–15 წლის წინ ხომ გვეგონა, რომ ამერიკული ეკონომიკური მოდელის პოტენციალი ამოწურული იყო და იგი უიმედოდ აგებდა იაპო-

ნურთან. ცუდი არ იქნება, თუ დავიმახსოვრებთ, რომ ბრწყინვალე, ძალზე ლიბერალური 20-იანი წლების ამერიკული ეკონომიკის აყვავების პერიოდი მოულოდნელი კრახით დასრულდა. კრიზისიდან გამოსავალი კი იქნა ნაპოვნი მკაცრი სახელმწიფო რეგულირების გზაზე და სოციალურად ორიენტირებულ ბაზარზე გადასვლით.

ყოველი ეკონომიკური მოდელი ეყრდნობა განსაზღვრულ ცივილიზაციურ საფუძველს და მისგან მოწყვეტით ჩვეულებრივ ფერხდება. ეკონომიკის ამერიკული მოდელის სრული გადმოღების მრავალრიცხოვანი ცდები ლათინოამერიკის ზოგიერთ ქვეყანასა და აფრიკაში დასრულდა სრული წარუმატებლობით სწორედ აუცილებელი ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსების უქონლობის გამო. რა თქმა უნდა, საჭიროა მოდელის მოდიფიცირება იმისდა მიხედვით, თუ მოცემულ მომენტში წარმოების და მართვის როგორი ტექნოლოგიები გამოიყენება. მათი ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია დომინირებულ ტექნოლოგიურ წყობასთან, მაგრამ ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატება მაშინ მიიღწევა, თუ გამოყენებულ იქნება მოდელი კარგად უზრუნველყოფილი და განპირობებული ცივილიზაციური რესურსებით და არაფორმალური ინსტიტუტებით.

ევროპულ კავშირს გააჩნია მდიდარი და მრავალგვარი ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსი. ხოლო, როგორც ვიცით, მრავალგვარობა — აუცილებელი პირობაა სისტემის მდგრადი განვითარებისათვის. EU-ის ხალხებს გააჩნიათ ძველი კულტურა, თვითმყოფადი ხასიათები და დროით გაბრწყინებული ტრადიციები, რომელიც საშუალებას აძლევს გაემარჯვათ ძნელ ცივილიზაციურ ბრძოლაში. EU-ის ქვეყნებს თავის განკარგულებაში აქვთ მთელი სპექტრი აპრობირებული და სავსებით ეფექტიანი სამართლებრივი სისტემებისა, დაწყებული ინგლისის ზოგადი სამართლიდან კონტინენტალურამდე, კლასიკურ რომის სამართლებრივ სისტემამდე. EU-ის სახელმწიფოებმა გამოიმუშავეს ძალაუფლების მრავალგვარი სისტემები, რომელთა შორისაა ფრანგული საპრეზიდენტო და გერმანული საპარლამენტო რესპუბლიკა, ინგლისის საკონსტიტუციო მონარქია ძალაუფლების მთელი სისრულით პარლამენტის ხელში და კიდევ 5 სამეფო, 6 რესპუბლიკა და ერთი საჰერცოგოც კი. ღიად რჩება კითხვა — შეძლებენ კი EU-ის ქვეყნები თავისი უზარმაზარი პოტენციალის გამოყენებას? შეძლებენ კი მუდმივად დიდებისკენ მსწრაფი, კეთილი, მიზანმიმართული, ოდნავ ქედმაღალი გერმანია, ძველი, კეთილი, მიზანსწრაფული, ცოტა ზედმეტად კონსერვატიული ინგლისი და მშვენიერი, მახვილგონიერი, ოდნავ ქარაფშუტა საფრანგეთი

ბოლომდე გაერთიანებას და ახალი უდიდესი ევროპული ფედერაციის შექმნას, რომელიც გახდება კაცობრიობის ლიდერი XXIს-ში? ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, შეუძლია მხოლოდ დროს. ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ გავაანალიზოთ ევროპის გაერთიანების გზები და ამგვარად, არაპირდაპირ გამოვიკვლიოთ „საერთო ევროპული სახლის" ფუნდამენტის სიმტკიცე.

19.2. ევროპული გაერთიანების გენეზისი

გარდა ურიცხვი სასტიკი და სისხლისმღვრელი ომებისა, ევროპული ისტორია შეიცავს *გაერთიანების რამდენიმე ყურადსაღებ მცდელობას*. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ერის დასაწყისში თანამედროვე EU-ის მთელი ტერიტორია გაერთიანებული იყო რომის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ. ერთობლივი თანაცხოვრების საუკუნეებს ამაოდ არ ჩაუვლია ევროპული ხალხებისათვის. მათ, ყველამ, დიდი ან მცირე ზომით გადაიღეს ლათინური ენა და რომის კულტურა. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგაც, უკვე თითქმის თანამედროვე ევროპას უყვარდა გამოწყობა რომაულ ტანსაცმელში. გერმანელი იმპერატორები მეფედ კურთხევას ახდენდნენ რომში და თავს აცხადებდნენ დიდი რომის იმპერიის გერმანული ერის კაიზერებად. დიდი ფრანგული რევოლუციის მოღვაწენი მუდმივად მიმართავდნენ ხან რომის რესპუბლიკის, ხან რომის იმპერიის მაგალითს. ხოლო იტალიის ფაშისტ დიქტატორს — მუსოლინის — უყვარდა რომაულ ტოგაში თავის მოწონება.

რომის იმპერიის დამხობის შემდეგ მისი ადგილის დაკავებას შეეცადა კათოლიკური ეკლესია, რომელსაც ევროპული ხალხები დამორჩილებული ჰყავდა პაპის ერთიანი, სულიერი ძალაუფლების ქვეშ XVI ს-ის ბოლომდე. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეკლესია აერთიანებდა ხალხებს და მიმართავდა კიდევაც მათ — ქრისტიანულ მრავალეროვნულ მხედრობას — შორეულ ჯვაროსნულ ომებში „უფლის კუბოს გამოსახსნელად". IX ს-ის დამდეგს კარლ დიდი შეეცადა უკვე დაცალკევებული ევროპელი ხალხების გაერთიანებას, ხოლო შვიდი საუკუნის შემდეგ მეორე კარლ V-ემ, ესპანელმა, გააერთიანა თავისი ძალაუფლების ქვეშ თითქმის მთელი დასავლეთ ევროპა, აგრეთვე კონკისტადორთა — კორტესის და პისაროს ძალისხმევით ამერიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. სხვათა შორის, კარლ V-ს ევროპაში დღემდე მიიჩნევენ თანამედროვე ინტეგრაციის მამად. XIX ს-ის დამდეგს კონტინენტალური ევროპა მოკლე ხნით აღმოჩნდა საფრანგეთის იმპერიის შემადგელობაში ნაპოლეონის ძალაუფლების ქვეშ.

XX ს-ის დასაწყისი და შუა ხანებიც ყველაფერს გვპირდებოდა, გარდა ევროპული გაერთიანების. ომების არნახულმა რიგმა და რევოლუციებმა კონტინენტი ლამის ნაწილებად გაგლიჯა. უჩვეულო ნგრევის შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა მსოფლიოს, ევროპული ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თანამშრომლობა და საერთო ძალისხმევა წარმოადგენს მშვიდობის, სტაბილურობის და ევროპაში აყვავების უზრუნველსაყოფად საუკეთესო საშუალებას. *პროცესი დაიწყო 1950 წ. 9 მაისს რობერტ შუმანის სიტყვით*, რომელიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო; მან განაცხადა, რომ საჭიროა ძველი წყენის დავიწყება, აღარ უნდა დაიყოს ერები გამარჯვებულად და დამარცხებულად, ხოლო პირველი კონკრეტული ნაბიჯის სახით წამოაყენა წინადადება საფრანგეთის და გფრ-ის ნახშირის და ფოლადჩამომსხმელი მრეწველობის გაერთიანების შესახებ. მას შემდეგ 9 მაისი აღინიშნება, როგორც ევროპის დღე. ეს კონცეფცია განხორციელდა 1951 წ. პარიზის ხელშეკრულებით, რომელმაც დაადგინა ევროპული გაერთიანება ნახშირის და ფოლადის ექვს წევრ-ქვეყანას შორის: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. ხელშეკრულების წარმატებამ ამ ქვეყნებს სურვილი გაუჩინა ეს პროცესი გაევრცელებინათ სხვა სფეროებზე. 1957 წ. რომის ხელშეკრულებამ დაადგინა ევროპული ეკონომიკური ერთობა და ევროპული თანამეგობრობა ატომური ენერგიის სფეროში. ისინი, შესაბამისად, იყო მიმართული საბაჟო კავშირის შექმნასა და შიდა სავაჭრო ბარიერების მსხვრევაზე თანამეგობრობის შიგნით, აგრეთვე ბირთვული ენერგიის განვითარებაზე მშვიდობიანი მიზნებით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ერთბაშად, ომის შემდეგ, ევროპის გაერთიანებას სტიმული მისცა მშვენივრად მოფიქრებულმა *მარშალის გეგმამ*, რომელმაც ერთდროულად აღკვეთა ამერიკული ეკონომიკის კრიზისი, დაკავშირებული დემილიტარიზაციასთან და, შესაბამისად, ჭარბწარმოებასთან და მოხსნა რიგი ევროპული ქვეყნების იმჟამად საშიშ და მძლავრ სოციალიზმის ბანაკში გაერთიანების საშიშროება. მარშალის გეგმის თანახმად, იმ დროისათვის გიგანტური დახმარება — 12,5 მლრდ დოლარის ოდენობით ეძლეოდათ ევროპის ქვეყნებს რიგი პოლიტიკური ვალდებულებების სანაცვლოდ.

1985 წ. 1 იანვარს ძალაში შევიდა ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ (OEC) და ევროპულ თანამეგობრობაზე ატომური ენერგიის სფეროში, რომელიც ხელმოწერილი იყო ექვსი ევროპული ქვეყნის — ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ლუქ-

სემბურგის და ნიდერლანდების — მიერ. 1873 წ. 1 იანვარს OEC-ს შეუერთდა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი. შედეგად თანამეგობრობის წევრ-ქვეყანათა რიცხვი გაიზარდა ცხრამდე. 1981 წ. 1 იანვრიდან საბერძნეთი ხდება მეათე სახელმწიფო — ევროპული გაერთიანების წევრი. 1986 წ. 1 იანვრიდან EU-ში შედის ესპანეთი და პორტუგალია. 1990 წლის ივნისში კვიპროსმა და მალტამ წარადგინეს განსახილველად განცხადება EU-ში შესასვლელად. 1994 წ. 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შეთანხმება ევროპის ეკონომიკურ სივრცეზე (EEA). 1994 წ. მარტში პოლონეთმა და უნგრეთმა წარადგინეს თავისი განცხადებები EU-ში შესვლის თაობაზე. 1995 წ. იანვარში ევროკავშირს შეუერთდა ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. ახლა EU-ში შედის 15 ქვეყანა (ახლა უკვე 25). 1995 წ. 1 თებერვლიდან ძალაში შევიდა ევროპული შეთანხმება EU-სა და ჩეხეთის რესპუბლიკას, სლოვაკეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს შორის. 1995 წ. ივნისში რუმინეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და ბულგარეთი წარადგენენ განცხადებებს განსახილველად EU-ში შესვლის შესახებ. 1996 წ. იანვარში სლოვენია და ჩეხეთი აცხადებს სურვილს EU-ში შესვლაზე. 1997 წ. ივლისში ევროპული კომისია აქვეყნებს პროგრამას Agenda 2000, რომელიც ეძღვნება EU-ის გაფართოებას.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში ქვაკუთხედი შექმნა 1992 წლის *მაასტრიხტის ხელშეკრულებამ*, რომელმაც შემოიღო ერთიანი მოქალაქეობა EU-ის ქვეყნებში. იგი რეგლამენტირებას ახდენს მთავრობათაშორისი თანამშრომლობისა და საერთაშორისო პოლიტიკაში, უსაფრთხოების სფეროში, მართლმსაჯულებასა და შიდა საქმეებში. გარდა ამისა, მაასტრიხტის ხელშეკრულებამ განსაზღვრა ერთიანი ვალუტის — ევროს — შემოღების წესი.

ინტეგრაციის პროცესი აშკარად იზრდება. სულ ახალ-ახალი ქვეყნები გამოდიან სურვილით „საერთო ევროპულ სახლში" შესვლაზე. მაგრამ ხომ არ მოელის მას კოშკის ბედი ამავე სახელმწოდების რუსული ზღაპრისა? შეძლებს კი EU თავისი ახალი წევრებისათვის ევროპული ცხოვრების დონის უზრუნველყოფას თუ „საერთო სახლი" დაინგრევა ახალი პრობლემების აუტანლად მძიმე ტვირთის ქვეშ? ამ საკითხის გარშემო მუდმივად მიმდინარეობს დისკუსია ევროპულ სტრუქტურებში. ყოველ შემთხვევაში, უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე, ამ კოშკში „რუსული დათვის" შეშვებას ჯერჯერობით არავინ აპირებს.

სანამ EU-ის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის და კავშირის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ მოდელთა თავისებურებების განხილვაზე გადავიდოდეთ, შევაჯამოთ შუალედური დასკვნები.

1. ევროპული ცივილიზაციის ისტორიული საფუძვლები გახდა ძველი საბერძნეთი პირადი თავისუფლების იდეებით, რომი სახელმწიფოებრიობის მისეული გაგებით და კათოლიკური ეკლესია, რომელმაც იპოვა ევროპელთათვის მისაღები სახელმწიფო ძალაუფლების და ინდივიდუალური თავისუფლების შეხამების მოდელი.

2. ევროპული ქვეყნების უმეტესობისათვის დამახასიათებელია სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური მოდელები ბაზრის ძლიერ სახელმწიფო რეგულირებაზე დაყრდნობით.

3. ბოლო წლებში ევროპის გაერთიანების პროცესი იზრდება. თუმცა გაურკვეველია, შეძლებს კი ყველა ქვეყანა, რომლებმაც განაცხადეს კავშირში შესვლის სურვილი, ორგანულად ჩაეწერონ მასში EU-ის ძველი წევრების ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუარესების გარეშე.

19.3. EU-ს ქვეყნების ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა

თუმცა EU-ის ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსები შედარებით მცირეა, მისი *საერთო ეკონომიკური პოტენციალი* უზარმაზარია. იგი დაახლოებით ტოლია აშშ-ის და იაპონიის შეჯამებული ეკონომიკური პოტენციალისა. EU-ის წილად მოდის მსოფლიოს სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის 1/3, საპატენტო ფონდის 25%, აგრეთვე მსოფლიო ვაჭრობის 25%. EU ექსპორტის მოცულობით უსწრებს აშშ-ს, ხოლო მისი იმპორტი დაახლოებით ამერიკულის ტოლია.

თანდათანობით *EU ხდება ერთიანი ქვეყანა* და სავსებით მკაფიოდ გამოყოფილი მსოფლიო თანამეგობრობის სუბიექტი. ამა თუ იმ გაერთიანების რეალობის კრიტერიალურ თვისებას წარმოადგენს მის ცალკეულ ნაწილებს შორის ბევრად უფრო ძლიერი კავშირების არსებობა, ვიდრე მის რომელიმე ნაწილისა და მოცემული გაერთიანების მიმართ საგარეო ეკონომიკური სისტემებს შორის. შეიძლება რამდენიც გნებავთ, იმდენი ვისაუბროთ CIS-ის ერთიანობაზე, მაგრამ სინამდვილეში თანამეგობრობის ცალკეულ ქვეყანათა ეკონომიკური კავშირები ერთმანეთთან (CIS-ის შიდა ბაზრის მოცულობები) მნიშვნელოვნად ჩამორჩება CIS-ის ცალკეულ ქვეყანათა საგარეო კავშირებს განვითარებულ ქვეყნებთან. ეს ქმნის თანამეგობრობას ეკონომიკურად სუსტს და მაშასადამე, პოლიტიკურად არასტაბილურს. სხვა საქმეა EU. EU-ის ქვეყნების უმეტესობას გააჩნია მკაფიოდ გამოხატული საექსპორტო ორიენტაცია. ექსპორტის და იმპორტის

სასაქონლო მიმართულება EU-ის ქვეყნების მშპ-თან 30%-ზე მაღალია, ე. ი. თითქმის 3-ჯერ მეტია, ვიდრე აშშ-სა და იაპონიაში. თუმცა ამ ქვეყნების 70%-ზე მეტი მოდის კავშირის მიხედვით პარტნიორებთან ვაჭრობაზე, მაშინ როცა ჩრდილოამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში ეს მაჩვენებელი ტოლია 40%-ისა. ეს ფაქტი ყველა პოლიტიკური დეკლარაციის მუევრმეტყველებაზე უკეთ მოწმობს, რომ უკვე საქმე გვაქვს ეკონომიკური თვალსაზრისით ახალ, ერთიან ქვეყანასთან.

EU უკვე გამოდის, როგორც *მსოფლიო თანამეგობრობის დამოუკიდებელი, ეკონომიკური და პოლიტიკური სუბიექტი.* მას გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანასთან. იგი მონაწილეობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამუშაოებში და აქვს მეთვალყურის სტატუსი გაეროში. EU-ზე მოდის განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების ძირითადი ნაწილი. ლომეის კონვენციის შესაბამისად, EU-ს აქვს შეთანხმება აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის აუზის 69 ქვეყანასთან ასოციაციის შესახებ, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების უმეტესობა. EU-მა კიდევ დაახლოებით 60 ქვეყანასთან დადო სხვადასხვა ტიპის ორმხრივი ხელშეკრულება.

მთლიანობაში EU მტკიცედ დაადგა *პოსტეკონომიკური განვითარების გზას.* სოფლის მეურნეობის წილად მოდის მშპ-ის დაახლოებით 5%, მრეწველობა იძლევა მიახლოებით 30%-ს, ხოლო 65%-ს შეადგენს მომსახურების სფერო. ეს უკვე ეკონომიკის ტიპიურად პოსტინდუსტრიული სტრუქტურაა. თუმცა, ბუნებრივია, EU-ს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებს როდი გააჩნია ერთნაირი სტრუქტურა. მაგალითად, თუკი დიდ ბრიტანეთში სოფლის მეურნეობა იძლევა მშპ-ის 2%-ს, საბერძნეთში იგი — 15%-ზე მეტია. ეს უკანასკნელი შეიძლება მივაკუთნოთ არა პოსტინდუსტრიულ, არამედ აგრარულ-სამრეწველო ქვეყანას. თუმცა ეს არ უნდა მოქმედებდეს EU-ს საერთო შეფასებაზე, როგორც პოსტინდუსტრიული ქვეყნისა, რადგან აშშ-შიც ხომ არის შტატები უპირატესად აგრარული ეკონომიკით.

70%-ზე მეტს (6383 მლრდ დოლ.) EU-ის მშპ-ისას იძლევა ოთხი წამყვანი სახელმწიფო — *გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია.* ბუნებრივია, სწორედ ისინი განსაზღვრავენ კავშირის ეკონომიკის სტრუქტურასა და ტენდენციებს.

EU-ის *სოფლის მეურნეობა* საკმაოდ მრავალგვარია, რაც განისაზღვრება ცალკეულ ქვეყნებში დიდი კლიმატური სხვაობებით. ჩრდილოეთის ქვეყნები (გერმანია, ნიდერლანდები, დანია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) აწარმოებენ საკმაოდ ინტენსიურად სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ძირითადად მეცხოველეობის სპეციალიზაციით. ამ ქვეყნებში პროდუქცია, წარმო-

ებული ერთი ფერმერის მიერ, საკმარისია 80-ზე მეტი ადამიანის გამოსაკვებად. სამხრეთის ქვეყნებში შედარებით ნაკლები ინტენსიურობით მისდევდნენ მემცენარეობას, მეხილეობასა და მევენახეობას.

ევროპაში პირველ ადგილს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტით მტკიცედ ინარჩუნებს საფრანგეთი. უმეტეს ქვეყნებში წამყვანი ადგილი უკავია ფერმერთა და მათი პროდუქციის გასაღების მომარაგებაში მრავალნაირ კოოპერაციულ ფორმებს. მხოლოდ შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და დიდი სახელმწიფო მხარდაჭერა (რეალიზაციის ფასის დაახლოებით 35%) აძლევს საშუალებას ევროპელ ფერმერებს შეინარჩუნონ თავისი კონკურენტუნარიანობა. აგრარული პოლიტიკა მუდმივად იმყოფება EU-ს ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღების ცენტრში და მნიშვნელოვანწილად განიხილება მათ მიერ სოციალურ კონტექსტში. მიუხედავად არცთუ ყველაზე საუკეთესო პირობებისა და სახმელეთო რესურსების უკმარისობისა, EU თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტირებას ახდენს. 2000 წლამდე, ნავთობის და გაზის მკვეთრ გაძვირებამდე, EU რუსეთში კვების პროდუქტების ექსპორტირებას ახდენდა იმ მოცულობით, რომელიც დაახლოებით ტოლი იყო რუსეთიდან ნავთობის და გაზის იმპორტისა. EU-ის სტრატეგიულ მიზნად რჩება ენერგომატარებლების იმპორტის კომპენსაცია კვების პროდუქტების ექსპორტით რუსეთში.

2000 წლისათვის ჩამოყალიბდა *EU-ის სამრეწველო წარმოების შემდეგი სტრუქტურა.*

ცხრილი 19.2.

EU-ის სამრეწველო წარმოების სტრუქტურა

მრეწველობის დარგი	ხვედრითი წილი, %-ში
კვების მრეწველობა	13,0
ქიმიური მრეწველობა	11,0
ელექტროტექნიკა	10,0
საფეიქრო და სამკერვალო მრეწველობა	10,0
მანქანათმშენებლობა	9,5
ავტომობილმშენებლობა	9,0
კომპიუტერების წარმოება	2,0
სხვა დარგები	35,5

EU-ის ენერგეტიკული სექტორი ძლიერაა დამოკიდებული იმპორტზე, რომელზეც მოდის ენერგომატარებლების 40% და ნედლეულის სხვა სახეების 75%. მხოლოდ დიდი ბრიტანეთი ნავთობის და გაზის მოპოვების გაზრდის ხარჯზე ჩრდილოეთის ზღვაში სავსებით უზრუნველყოფს თავს ენერგომატარებლებით და მათ ექსპორტს ახდენს სხვა ქვეყნებში. ისეთი გიგანტები, როგორიცაა ანგლო-ჰოლანდიური Royal Dutch/Shell და British Petroleum წარმოადგენენ მსოფლიო ლიდერებს ეკონომიკის ამ სექტორში. იმავდროულად გერმანია და სხვა ევროპული ქვეყნები მტკიცედ ინარჩუნებენ ენერგეტიკის არაეფექტიან დარგებს და სამთომომპოვებელ მრეწველობას, რადგან ითვალისწინებენ სოციალურ შედეგებს მათი დახურვის გამო. მაგალითად, გერმანიის ნახშირის ღირებულება 3-ჯერ მეტია მსოფლიო ფასზე, მაგრამ გერმანიის მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს გამოყოს დაახლოებით 200 მლრდ მარკა. საინტერესოა ფრანგული ენერგეტიკის ფენომენი, რომელშიც პრევალირებს ატომური ელექტროსადგურები, რაც 70%-ზე მეტ ელექტროენერგიას იძლევა. ჩერნობილის კატასტროფის და „მწვანეთა“ პროტესტის მიუხედავად, საფრანგეთის მთავრობა მტკიცედ ადგას ენერგეტიკული განვითარების „ატომურ“ ვარიანტს. ნავთობზე ფასების მკვეთრმა ზრდამ, რომელიც დაიწყო 1999 წ. და გაძლიერდა 2000 წ. შემოდგომით ახალი, ახლოაღმოსავლური კრიზისის გავლენით, მტკივნეულად დაარტყა EU-ის ეკონომიკას. როგორც ცნობილია, ევროპულ ქვეყნებში ბენზინის საბოლოო ფასში იმპორტირებული ნავთობის ფასი შეადგენს დაახლოებით 30%-ს, დანარჩენს — გადასახადები და მოსაკრებები თვით ქვეყანა-იმპორტიორთა ხაზინაში. თუმცა, მიუხედავად მრისხანე საპროტესტო დემონსტრაციებისა ბენზინზე მაღალი ფასების წინააღმდეგ, EU-ის უმეტესი ქვეყნების მთავრობები არ წასულან რაიმე მნიშვნელოვან დათმობებზე.

ტრადიციულად მეტალურგია განვითარებულია გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიასა და ლუქსემბურგში, სადაც არის საკმაოდ მდიდარი რკინის მადნის საბადოები. EU აწარმოებს მსოფლიო თუჯის 18%-ზე მეტს და ფოლადის დაახლოებით 20%-ს. ბოლო წლებში სწრაფად იზრდება იტალიური მეტალურგია, რომელიც უკვე EU-ის ლითონის 40%-ს იძლევა. აქ ვლინდება მეტალურგიული ცენტრების მოწყვეტის ფენომენი სანედლეულოსაგან, რაც თანამედროვე მეგაეკონომიკისათვისაა დამახასიათებელი.

ქვების მრეწველობა კარგადაა განვითარებული EU-ის უმრავლეს ქვეყანაში. საკუთრივ სოფლის მეურნეობის დაბალი ხვედრითი წილის მიუხედავად, EU-ის აგროსამრეწველო კომპლექსი იძლევა მშპ-ის დაახლოებით 25%-ს.

ქიმიურ მრეწველობას ტრადიციულად წამყვანი ადგილი უკავია გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის ეკონომიკაში. განსაკუთრებით ბობოქარი განვითარება ჰპოვა ბოლო წლებში ფარმაცევტულმა მრეწველობამ, რომელშიც EU-ს უკავია მოწინავე პოზიციები.

მსუბუქ მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია EU-ის სამხრეთ ქვეყნების — იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და საბერძნეთის ეკონომიკაში. საფეიქრო წარმოებაში ლიდერობს იტალია, ხოლო ფეხსაცმლის — ესპანეთი და პორტუგალია.

მანქანათმშენებლობა განვითარებულია EU-ის ყველა წამყვან ქვეყანაში, ასევე ევროპის ჩრდილოეთის პატარა ქვეყნებში. დაზგათმშენებლობის ლიდერებად რჩება — გფრ, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი. სამრეწველო რობოტმშენებლობაში დიდი წარმატებები აქვთ გფრ, შვედეთსა და იტალიას. გემთმშენებლობაში თავის პოზიციებს ინარჩუნებს გფრ (მესამე ადგილი მსოფლიოში), დანია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი (მე-6, მე-7, მე-8 ადგილები). ევროპულ კორპორაციებს გააჩნია ავტომობილთა მსოფლიო ბაზარზე დიდი ხვედრითი წილი: „ფოლსვაგენი" (გფრ) — ბაზრის 7,9%, ახლახან შექმნილი გერმანულ-ამერიკული კონცერნი „დაიმლერ-კრაისლერი" — 7,4%, იტალიურ „ფიატი" — 5,3%, „პეჟო-სიტროენი" (საფრანგეთი) — 3,9%. ძვირფასი ავტომობილების ბაზრებზე მყარი მდგომარეობა უკავია შვედურ „სააბს" და „ვოლვოს". EU-ის ავიაკოსმოსურ მრეწველობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს. ამ დარგის გაყიდვების შედარებით მცირე მოცულობები გარმანიასა და იტალიაში იმით აიხსნება, რომ მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ავიამშენებლობის განვითარება მათში აკრძალული იყო და ისინი ახლაც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ქვეყანა-გამარჯვებულებს. ამ დარგში წარმატებით ფუნქციონირებს ევროპული კონსორციუმები რეაქტიული ლაინერების — „Airbus" და რაკეტამატარებლების — „Arian" წარმოების მიხედვით.

მრეწველობის *ტელესაკომუნიკაციო და საინფორმაციო დარგებში* EU დიდი ხანი ჩამორჩებოდა აშშ-ისა და იაპონიას. ბოლო წლებში მიიღეს ენერგიული ზომები ამ დარგისათვის აუცილებელი დინამიზმის მინიჭებისა და საინფორმაციო-კომუნიკაციური კორპორაციების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. EU-ის სახელმწიფოები წავიდნენ ზოგიერთი არასაკმაოდ ეფექტიანი სახელმწიფო კომპანიის პრივატიზაციაზე. ტელესაკომუნიკაციო ბაზრებზე მკაცრ კონტროლზე უარის შემდეგ იქ მოხდა ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებები. კონკურენტულ ბრძოლაში გასამარჯვებლად ეროვნულ კომპანიებს დასჭირდათ

მენეჯმენტის მთელი სისტემის რადიკალური შეცვლა. შედეგად კი, მაგალითად, Deutsche Telecom-მა შეძლო 40 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, ასევე შეამცირა სატელეფონო საუბრებისას 1 წუთის ღირებულება 70%-ით. Deutsche Telecom-ის და Telecom Italia-ს შერწყმამ საშუალება მისცა შეექმნათ მსოფლიოში უძლიერესი ტელესაკომუნიკაციო იმპერია, რომელიც თანაბარ პირობებში გაუწევდა კონკურენციას კავშირის ამერიკელ და იაპონელ ოპერატორებს. ფიჭვური კავშირის ბაზრებზე ლიდერობს Nokia (ფინეთი), Ericson (შვედეთი) და Vodafone (დიდი ბრიტანეთი).

ცნობილია საფრანგეთის წარმატებები ციფრული ტელევიზიის და გერმანიის — ბიოტექნოლოგიის სფეროში.

საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის და საბერძნეთის *მომსახურების სფეროში* მნიშვნელოვან როლს თამაშობს *ტურიზმი*. ტურისტულ ბიზნესში ლიდერობს საფრანგეთი (65 მლნ ადამ.), დაახლოებით 50 მლნ ტურისტს ღებულობენ იტალია და ესპანეთი. მრავალ ქვეყანაში ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის წამყვან დარგს. დიდ ბრიტანეთში ტურიზმში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 7% და მას მოაქვს ყოველწლიური შემოსავალი 12 მლრდ დოლარის ოდენობით. საფრანგეთსა და დანიაში ტურიზმს მოაქვს დაახლოებით საქონლის და მომსახურების ექსპორტიდან შემოსავლის 12%, იტალიისა და შვეიცარიაში — 20%-ზე მეტი, ხოლო ესპანეთსა და ავსტრიაში — 35%.

EU-ის წამყვან ქვეყნებში კარგადაა განვითარებული *სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა* და *სატრანსპორტო მომსახურების* როლი. ლამანშის ქვეშ ევროგვირაბის გახსნამ მტკიცედ დააკავშირა დიდი ბრიტანეთი კონტინენტალურ ევროპასთან. British Airways დღესდღეობით წარმოადგენს ყველაზე მსხვილ ავიაკომპანიას მსოფლიოში, ხოლო ინგლისური აეროპორტი Heatrow — ესაა პლანეტის უმსხვილესი ავიასადგური. სხვა უმსხვილესი აეროპორტები — ფრანკფურტი, დიუსელდორფი, მიუნხენი — არის გერმანიაში. საფრანგეთსა და გფრ-ში იქმნება შესანიშნავი მაღალჩქარაოსნული მატარებლები და რკინიგზები, რომლებიც კონკურენციას უწევენ ავიაციას სიჩქარისა და კომფორტის მიხედვით. პრაქტიკულად მთელი ევროპა დაფარულია მაღალი კლასის მჭიდრო საავტომობილო გზების ქსელით, რომელთა შორის განსაკუთრებული და დამსახურებული პატივით სარგებლობს გერმანული.

ევროპის წამყვანი ქვეყნები ტრადიციულად ძლიერნი არიან *ფინანსური მომსახურების* სფეროში. სწორედ ამ სფეროში იქმნება დიდი ბრი-

ტანეთის მშპ-ის 25%, სადაც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 12% (დაახლ 4 მლნ ადამ.). ლონდონი დიდი ხანია, რაც გახდა მსოფლიოს ფინანსური დედაქალაქი. გარდა ინგლისურისა, აქ წარმოდგენილია 50 უმსხვილესი ტრანსეროვნული ბანკი, რომელიც სამუშაოს ორგანიზებას ახდენს ევროვალუტის და სხვა ფინანსურ ბაზრებზე. ბოლო დროს ლონდონს გაუჩნდა კონკურენტები. გერმანულმა ფრანკფურტმა დაიწყო ლიდერის როლისათვის ბრძოლა, რასაც ხელს უწყობს მასში ევროპის ცენტრალური ბანკის განთავსება. ძალიან განვითარებულია ბანკების ფინანსური საქმიანობა იტალიაში. იტალიური დასახლებული პუნქტების 67%-ში არის საბანკო დაწესებულებანი. ხდება EU-ის ქვეყნების ფინანსური სისტემების თანდათანობითი შეზრდა და ასე მიდიან ერთიან სტანდარტებთან, რასაც თვალნათლივ გვიჩვენებს ცხრილი 19. 3., რომელიც წარმოგვიდგენს პროცენტული განაკვეთების კონვერგენციას სხვადასხვა ქვეყანაში.

ცხრილი 19.3.

პროცენტული განაკვეთების კონვერგენცია ევროს ზონაში

წელი	გერმანია	საფრანგეთი	იტალია	ესპანეთი	ნიდერლანდები	ბელგია	პორტუგალია	ფინეთი	ლუქსემბურგი	ირლანდია	ავსტრია
1992	9,5	10,3	14,0	13,3	9,4	9,4	16,1	14,3	9,5	13,3	9,4
1993	7,3	8,6	10,2	11,7	6,9	8,2	12,5	9,1	7,0	7,8	8,2
1994	5,4	5,8	8,5	8,0	5,2	5,7	11,1	5,9	5,1	5,3	5,7
1995	4,5	6,6	10,5	9,4	4,4	4,8	9,8	6,2	4,6	5,8	4,8
1996	3,3	3,9	8,8	7,5	3,0	3,2	7,4	5,4	3,4	3,6	3,2
1997	3,3	3,5	6,9	5,4	3,3	3,4	5,7	6,1	3,5	3,2	3,4
1998	3,5	3,5	5,0	4,4	3,5	3,6	4,5	5,8	3,6	3,5	3,6
1999	3,1	3,1	3,1	3,1	3,1	3,1	3,1	3,1	3,1	3,1	3,1

წყარო: *HM Treasury.*

მომსახურების სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე *კულტურა, განათლება* და *მეცნიერება*. ევროპული კულტურის ცენტრები საყოველთაოდაა ცნობილი; მაღალია ევროპული განათლების ავტორიტეტიც, თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, რომ, მაგალითად, საგანმანათლებლო სტანდარტები გათვლილია ძირითადად ჩინოვნიკებზე და რომ ფრანგული უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს დიდი ხალისით არ ღებულობენ წამყვან კორპორაციებში. თუმცა ევროპაში კარგი განათლების მიღება ბევრად იოლი და იაფია, ვიდრე ოკეანის იქით. მისი ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ნიჭიერ ახალგაზრდათა დიდი ოდენობა არამდიდარი ოჯახებიდან.

EU-ის ქვეყნების მიღწევები დიდია *სამეცნიერო სფეროშიც*. ევროპას წამყვანი პოზიციები უკავია ფუნდამენტურ მეცნიერებებში, ბიოტექნოლოგიებში, კოსმოსურ პროგრამებში, თვითმფრინავმშენებლობებში, ჩქაროსნულ მატარებლებში, ატომურ ენერგეტიკაში, კავშირის საშუალებებში და სხვ. თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ ევროპის სამეცნიერო-საპროექტო ძიებათა ერთგვარ ჩამორჩენას ამერიკულისა და იაპონურისაგან. ამის მიზეზს წარმოადგენს EU-ის სახელმწიფოების მიერ მეცნიერებათა არასაკმარისი დაფინანსება, ერთობლივი კაპიტალის უკმარისობა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურის (საპატენტო ბიუროების, ერთობლივი ფონდების, საინფორმაციო ცენტრების და ა. შ.) არასრულყოფილება. აღნიშნული ჩამორჩენილობის დასაძლევად EU ახორციელებს მთელ რიგ სამეცნიერო პროგრამებს, რომელთა შორისაა ესპრიტი (ელექტრონიკის სფეროში), რასე (ტელეკომუნიკაციის სფეროში), კუბე (ბიოტექნოლოგიებში), ევრიკა (ევროპული სახელმწიფოების სამეცნიერო-ტექნიკური კავშირები).

ევროპული ქვეყნების ეკონომიკათა წარმატებები და წარუმატებლობები ძირითადად აიხსნება მათ მიერ მიღებული ეკონომიკური მოდელებით.

19.4. EU-ის ქვეყნების ეკონომიკურ მოდელთა თავისებურებანი

ევროკავშირის კონტინენტალური ქვეყნების უმრავლესობაში მიღებული ეკონომიკური მოდელები რადიკალურად განსხვავდება ამერიკულისაგან. ახლა უკვე შეიძლება საუბარი *ევროპული კავშირის თავისებურ საერთო-ეკონომიკურ მოდელზე*, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება აშშ-ისა და იაპონიის მოდელებისგან.

ჩამოვაყალიბოთ EU-ის მოდელის *ძირითადი განმასხვავებელი თავისებურებები*.

1. მთლიანად EU-ის და EU-ის ქვეყანათა უმრავლესობის ეკონომიკათა მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს *სახელმწიფოს აქტიური როლი და ბაზრის საკმაოდ მკაცრი რეგულირება.* ეს მეღავნდება საბიუჯეტო დანახარჯების მაღალ წილში EU-ის მშპ-ში, რომელიც შეადგენს დაახლოებით 50%-ს.

2. აშშ-ის და იაპონიის ეკონომიკებისგან განსხვავებით, EU-ის მშპ-ის *სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა მაღალია.* EU-ის სახელმწიფოები გამოდიან არა მარტო ბაზრის რეგულატორებად, არამედ აქტიურ მეწარმეებად.

3. EU-ის *ეკონომიკურ მოდელს აქვს სოციალურად ორიენტირებული ხასიათი.* ეს გამოიხატება სხვადასხვა სოციალური ფონდის (საპენსიო და სხვ.) მშპ-ის მაღალ ხვედრით წონაში. პენსიები და დახმარებები უმუშევრობაზე EU-ში მაღალია, რაც, ერთი მხრივ, მოქალაქეებს აძლევს საიმედო სოციალურ გარანტიებს და მეორე მხრივ, ამცირებს სტიმულს ახალი სამუშაოს უსწრაფეს მოძებნაში, ეს კი მძიმე ტვირთად აწვება პროდუქციის თვითღირებულებას, რითაც მცირდება მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზრებზე.

4. EU-ისათვის დამახასიათებელია ძალიან თავისებური და საკმაოდ ეფექტიანი *საგარეო-ეკონომიკური მოდელი,* რომელიც ზოგიერთ ბაზარზე ევროპული საქონლის არაკონკურენტუნარიანობის კომპენსირებას ახდენს.

როგორც გვახსოვს, განვითარებული ქვეყნების კეთილდღეობა, რომლებიც დაადგდნენ პოსტინდუსტრიული განვითარების გზას, უმეტესწილად დაფუძნებულია მშპ-ში დიდი ხვედრითი წონის მქონე მომსახურების ძალიან ტევად შიდა ბაზარზე. ამ ქვეყნების მოქალაქეები ერთმანეთს შორის ცვლიან ძვირადღირებულ მომსახურებას და ძვირადღირებული მეცნიერებატევადი საქონლის და ტექნოლოგიის ექსპორტირებას ახდენენ. სანაცვლოდ ისინი შედარებით იაფი ნედლეულის და მასობრივი წარმოების იმპორტს მიმართავენ. ამასთან, ბუნებრივია, აუცილებელია მოსახლეობის იმ ჯგუფების საჭირო სასიცოცხლო დონის როგორღაც მხარდაჭერა, რომლებიც მასობრივი წარმოების საქონელს აწარმოებენ, კერძოდ, კვების პროდუქტებს, ენერგომატარებლებს და ა. შ. ამისათვის გამოსადეგია ორი საშუალება: ან ამ წარმოების დოტაცია ქვეყნის ბიუჯეტიდან, ან შიდა ბაზრის ფასების ხელოვნური აწევა ისე, რომ მათი მწარმოებლების შემოსავლები შეესაბამებოდეს ამ ქვეყნების ცხოვრების დონეს.

EU ფართოდ იყენებს *სახელმწიფო დახმარებას* სოფლის მეურნეობისათვის, მომპოვებელი დარგების და ეკონომიკის სხვა დარგებისათვის, რო-

მელთა პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად აჭარბებს მსოფლიო ფასებს. გარდა ამისა, EU-ში უკვე დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება სავსებით უცნაური საგარეო-ეკონომიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა — ეკონომიკისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარი დაუჭიროს შიდა ბაზარზე მასობრივი მოთხოვნის საქონელზე ფასების მაღალ დონეს და ამავდროულად წარმატებით ახორციელებს ამ ჯგუფების საქონლის ექსპორტს.

ამ მოდელის არსი შემდეგშია. EU-ის საზღვარზე ზოგიერთი ჯგუფიდან, რომლებიც საქონლის იმპორტს ახდენენ, იღებენ საკომპენსაციო მოსაკრებლებს. მათი ზომები იმგვარია, რომ იმპორტირებული საქონლის და საკომპენსაციო მოსაკრებლების ფასის თანხა უტოლდება შიდა ბაზრის ფასს. ამგვარად, საქონლის შეტანისას მათი ფასი იზრდება შიდა ბაზრის მაღალ ფასებამდე, რომელიც აწყობს EU-ის მოცემულ დარგში მომუშავე საწარმოს. საკომპენსაციო მოსაკრებლები, რომელთაც იხდიან იმპორტიორები, მიდის სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუკი ამ დარგების საწარმონი პროდუქციის ექსპორტს ახდენენ, მაშინ ისინი ამ ფონდიდან ღებულობენ გადახდებს, რომელიც ტოლია სხვაობისა შიდა ბაზრის ფასსა და მსოფლიო ფასს შორის. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამოღებული მოსაკრებლები მიდის არა ბიუჯეტში, არამედ არასაბიუჯეტო ფონდში. თუკი გადასახდელები წავიდოდა ბიუჯეტში, მაშინ ისინი უნდა გათანაბრებოდა ჩვეულებრივ იმპორტულ ბაჟს. ხოლო მათ ზომებს ყურადღებით ადევნებს თვალს WTO. საკომპენსაციო მოსაკრებლები ზოგიერთ პროდუქტზე 300%-ს აჭარბებს მათი ფასიდან და, რა თქმა უნდა, ასეთი ზომის ბაჟი ეწინააღმდეგება WTO-ს წესებს. ხოლო ბიუჯეტში არმისული საკომპენსაციო მოსაკრებლები შეესაბამება WTO-ს წესებს. ყოველ შემთხვევაში, ეკ-ის ქვეყნებმა მოახერხეს დაერწმუნებინათ WTO, რომ *საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი სავსებით შეესაბამება მის პრინციპებს.* ეს ძალიან მნიშველოვანია რუსეთისათვის, როგორც მაგალითი.

საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმი თვალსაჩინოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ რაბის სახით (სურ. 19.1.). ოღონდ წყლის მაგივრად იქ აიწევ-დაიწევა ფასები. იმპორტის დროს ეს მექანიზმი წევს ფასებს მსოფლიოდან შიდამდე, ხოლო ექსპორტის დროს დაბლა უშვებს შიდადან მსოფლიომდე.

ავხსნათ ეს მნიშვნელოვანი სქემა თვალსაჩინო მაგალითზე. დავუშვათ, ხდება მარცვლეულის იმპორტი მსოფლიო ფასით 100 დოლ/ტ. მარცვლეულის ფასი შიდა ბაზარზე შეესაბამება წარმოების მაღალ თვითღირებულებას და ტოლია, ვთქვათ, 200 დოლ/ტ. იმპორტიორი იხდის საკომპენსა-



სურ. 19.1. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის მოქმედების სქემა.

ციო მოსაკრებლებს 100 დოლ/ტ-ზე ზემოთ. ეს გადასახდელი გროვდება სპეციალურ არასაბიუჯეტო ფონდში. თუ EU-ში იწარმოება ხორცი, რომლის შიდა ფასი ტოლია 2000 დოლ/ტ, ხოლო მსოფლიო ფასი — 1000 დოლ/ტ, მაშინ EU-ის ექსპორტიორები იღებენ ფონდიდან კომპენსაციას ზომით 1000 დოლ/ტ. ამგვარად, ხდება ექსპორტის სტიმულირება.

რა თქმა უნდა, ასეთი მექანიზმის წარმატებით მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ საკომპენსაციო მოსაკრებლების თანხა, მიღებული იმპორტიორებისგან, უტოლდებოდეს ფონდიდან გაცემულ თანხას ექსპორტიორებისათვის. ამისათვის საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალი ექსპორტის და იმპორტის სტრუქტურას. საკომპენსაციო მოსაკრებლების მექანიზმის უპირატესობებს წარმოადგენს მათი არაჩვეულებრივი მოქნილობა (მოსაკრებელის ზომა ავტომატურად განისაზღვრება, როგორც მსოფლიო და შიდა ბაზრის სხვაობა) და მათი, თუმცა კი წმინდა ფორმალური, აღიარებული შესაბამისობა WTO-ს პრინციპებთან.

EU-ის უმეტეს ქვეყნებში ხელისუფლებაში იმყოფება *სოციალური ორიენტაციის პარტიები* (სოციალისტური, სოციალურ-დემოკრატიული და ა. შ.). მათ პროგრამებში მკაფიოდაა ასახული საზოგადოების აგების მიზნები, სადაც სოციალური სამართლიანობის პრინციპები იქნება და-

ცული; ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აპირებენ საბჭოთა ტიპის სოციალიზმის აშენებას. დასავლეთის სოციალისტები ბაზრის მტკიცე მომხრეები არიან, მაგრამ სოციალურად ორიენტირებული ბაზრის სახელმწიფოს წამყვანი როლით ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სიტუაციაში EU-ის ქვეყნების „მემარცხენე" მთავრობათა უმეტესობამ დაიწყო და წარმატებით ახორციელებს ლიბერალურ რეფორმებს, რომელიც მიმართული იქნება სახელმწიფოს როლის შემცირებასა და ეკონომიკის დერეგულირებაზე. აქ საქმე ისაა, რომ დასავლეთევროპული სოციალისტები სრულებით არ არიან „ჯიუტი" დოგმატიკოსები. ისინი ძალიან პრაგმატული და საღად მოაზროვნე ადამიანები არიან, რომლებიც მზად არიან მოქნილად შეცვალონ თავისი სტრატეგია შექმნილი ვითარების მიხედვით. თანამედროვე გლობალურ სამყაროში, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკის განსაზღვრული ლიბერალიზაცია ეფექტიანია და მმართველი სოციალური პარტიები სავსებით წარმატებით ატარებენ ლიბერალურ რეფორმებს.

უნდა ვისწავლოთ ისე მოვეპყროთ ლიბერალიზაციას, სახელმწიფო რეგულირების გაძლიერებას, ნაციონალიზაციას და პრივატიზაციას, როგორც ინსტრუმენტებს, რომელთა არჩევა დამოკიდებულია ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე, არაფორმალური ინსტიტუტების სიმწიფეზე, კორუფციის დონეზე და, ძირითადად, მოცემულ ისტორიულ ეტაპზე დამკვიდრებულ წარმოების და მართვის ტექნოლოგიებზე. თუკი პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკის კონცენტრირებულ გამოვლინებას, მაშინ ეკონომიკა ესაა გაბატონებული ტექნოლოგიური წყობის კონცენტრირებული გამოვლენა. ანუ ესა თუ ის *ეკონომიკური ფორმები და ინსტრუმენტები უნდა იყოს დომინირებული ტექნოლოგიების ადეკვატური* და მათი შერჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

ახლა გადავიდეთ EU-ის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკურ მოდელთა თავისებურებების განხილვაზე.

ГЕРМАНУЛИ ЕКОНОМИКУРИ МОДЕЛИ მომდინარეობს ქვეყნის გაერთიანების დროიდან ანუ „რკინის" კანცლერის, ბისმარკის, პერიოდიდან (XIX ს.). იგი იყო არა მარტო გერმანიის გამაერთიანებელი პრუსიის ძალაუფლების ქვეშ, არამედ ინიციატორი თანამედროვე საპენსიო სისტემის შემოღებისა. ამგვარად, გერმანიაში გაერთიანების მომენტიდან გამტკიცდა სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტი სახელმწიფოს სოციალური ინტერესების პირობებში. ეს ტრადიცია სრულიად საზიზღარი და მახინჯი

ფორმით გაგრძელდა გერმანული ფაშიზმით, რომელიც ითავსებდა ათასწლიანი რეიხის იდეებსა და ეროვნულ გამორჩეულობას მიმზიდველი სოციალური რიტორიკით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია ნანგრევებად იყო ქცეული. მაშინ ლ. ერხარდმა წამოაყენა კურსი სოციალურად ორიენტირებულ ბაზარზე, რომელმაც ამერიკის კოლოსალურ დახმარებასთან ერთად, მარშალის გეგმით რომ იყო წარმოდგენილი, მიიყვანა ქვეყანა საოცრად სწრაფ ეკონომიკის აღდგენასთან, რასაც „გერმანული სასწაული" ეწოდა. არსებითად მთელი ომისშემდგომი გერმანიის ეკონომიკური ისტორია მიმდინარეობდა ლ. ერხარდის ნიშნის ქვეშ. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი პარტია იყო ხელისუფლების სათავეში — სოციალ-დემოკრატები თუ ქრისტიან-დემოკრატები — კურსი მცირე რხევებით ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ უცვლელი რჩებოდა.

თანამედროვე გერმანიის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია:

1. მკვეთრად გამოხატული პოსტინდუსტრიული ეკონომიკა მომსახურების სფეროს ხვედრითი წონით მშპ-ში 64,4%-ის, მრეწველობის — 34,5%-ის და სოფლის მეურნეობის 1,1%-ის პირობებში.

2. მძლავრი სახელმწიფო, რომლის ბიუჯეტის ხვედრითი წონა მშპ-ში აჭარბებს 50%-ს და დიდი გადასახადები. გერმანიაში გადასახადებზე მოდის მოგების 65%, მაშინ როცა აშშ-ში — მხოლოდ 45%, ხოლო დიდ ბრიტანეთში — 45%.

3. ეკონომიკის მკაფიო სოციალური ორიენტაცია, რომლის დროსაც სოციალურ ფონდებში გადარიცხვები აჭარბებს შრომის ანაზღაურების ფონდის 80%-ს. გერმანიის სამუშაო ძალა ყველაზე ძვირია მსოფლიოში. იგი საშუალოდ 12 დოლარზე მეტი ღირს 1 სთ-ის განმავლობაში. ევროპის ქვეყნებიდან გერმანიაში ყველაზე მეტი სადღესასწაულო დღეებია. ყოველივე ეს აძვირებს გერმანულ პროდუქტს და ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას.

4. უცხოური ინვესტიციების დაბალი დონე, რომელიც საერთო დაბანდებების მხოლოდ 7,5%-ს შეადგენს, მაშინ როცა ნიდერლანდებში იგი ტოლია 35%-ის, ხოლო დიდ ბრიტანეთში — 25%-ის.

5. გერმანიის ეკონომიკის ძლიერი ინტეგრაცია მსოფლიოსთან. გერმანია იმყოფება მეორე ადგილზე როგორც ექსპორტით (მსოფლიოს 10%), ისე იმპორტით (მსოფლიოს 8%). მისი ექსპორტი შეადგენს მშპ-ის 23,6%-ს.

6. სახელმწიფოს მიერ ზარალიანი დარგების სუბსიდირება; მრეწველობის დარგებიდან ესენია: ნახშირის, ფოლადჩამომხსმელი და გემთმშენებლობის, ასევე სოფლის მეურნეობაც.

7. კაპიტალის გატანის მაღალი დონე. გერმანელი მეწარმენი ამჯობინებენ წარმოების შრომატევადი ნაწილების გატანას საზღვარგარეთ, არა მარტო განვითარებად ქვეყნებში, იაფი მუშახელით, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც მცირე მოსაკრებლებით სოციალურ ფონდებში.

8. უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც შრომისუნარიანი მოსახლეობის 10%-ზე მეტს შეადგენს. გერმანიისათვის დამახასიათებელია სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი იმპორტი. იქ მიემგზავრებიან მაღალი ანაზღაურებით დაინტერესებული მუშები — თურქეთიდან, საბერძნეთიდან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

9. დიდი დანახარჯები ცხოვრების დონის გასათანაბრებლად აღმოსავლეთის და დასავლეთის მიწებზე, რომელიც 1990 წ. 3 ოქტომბერს შეუერთდა. ეს პროგრამა შეფასებულია 2 ტრლნ მარკად და მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს (შემოღებულია სპეციალური „გადასახადი სოლიდარობისათვის", რომლის შემოსავლები მიდის შემოსავალთა გათანასწორების პროგრამის შესრულებაზე).

(გერმანიის პოლიტიკურ სფეროში მეწინავეობს ორი პარტია: სოციალ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-დემოკრატიული. მოვიდნენ რა ხელისუფლებაში 1998 წლის სექტემბერში, მათ ძირითადად გააგრძელეს ყოფილი კანცლერის „გერმანიის გამაერთიანებლის", ქრისტიან-დემოკრატების მეთაური — გ. კოლის, პოლიტიკა. ახალი კანცლერი გ. შრიოდერი ატარებს „ახალი ცენტრის" პოლიტიკას, მიმართულს სოციალიზმის აშენებაზე, მეგობრულით ბიზნესთან ან კაპიტალიზმთან — გულით (ჩვენებურად „ადამიანური სახით").)

„ახალი ცენტრის" პროგრამა ითვალისწინებს რიგი ლიბერალური რეფორმების გატარებას:

- ფედერალური ბიუჯეტის დანახარჯების შემცირება 16 მლრდ დოლარზე მეტით. 1999 წლის მაისში ფინანსთა მინისტრმა გ. ეიშელმა სთხოვა ყოველ ფედერალურ სამინისტროს შეემცირებინა თავისი ხარჯები 7,4%-ით თავისი ბიუჯეტიდან.[1]
- გადასახადების შემცირება კორპორაციათა მოგებიდან 45-დან 35%-მდე.
- სახელმწიფოს საპენსიო ხარჯების შემცირება და საგადასახადო შეღავათების შემოღება კერძო საპენსიო დანაზოგებისათვის.
- შრომითი კანონმდებლობის შეცვლა და უფრო მოქნილი შრომის ბაზრის შექმნა.

---

1. Погорлецкий А. И. Экономика зарубежных стран. - Санкт-Петербург: Издательство Михайлова, 2000.

ამ რეფორმების პირველი ეტაპის ჩატარების შემდეგ გერმანიის ეკონომიკა უმნიშვნელო ვარდნის მერე შევიდა აღმავლობის ზოლში, რამაც გარკვეული ეიფორია გამოიწვია გერმანულ და ევროპულ საქმიან წრეებში. გერმანიაში ეკონომიკურმა ზრდამ 2000 წ. შეადგინა 2,5% 1,4%-ის ნაცვლად 1999 წ. ამის შესახებ გვატყობინებს ლონდონის The Financial Times გერმანიის ფინანსთა მინისტრის გ. ეიხელზე დაყრდნობით. იგი მიიჩნევს, რომ უმუშევრობა 2000 წლისათვის შემცირდება 10%-მდე 10,5%-ის ნაცვლად 1999 წ., ხოლო წლიური ინფლაცია შეადგენს 1-1,5%-ს.

თუმცა ყველაფერი ისე კარგად როდია. გერმანიას აქვს სერიოზული პრობლემები. მეცნიერების და ტექნიკის კომპლექსური დონე გერმანიაში კლებულობს. იმისათვის, რომ ქვეყანამ შეინარჩუნოს ევროპაში მოწინავე პოზიცია სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის თვალსაზრისით, აუცილებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს ამ სფეროს დაფინანსება. ეს აღნიშნულია მოხსენებაში „1999 წ. ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შესახებ", რომლითაც გამოვიდა 2000 წლის 17 იანვარს გფრ-ის განათლების მინისტრი ე. ბულმანი.

გერმანია ჯერჯერობით რჩება, როგორც თავის დროზე აღნიშნა კანცლერმა ვ. ბრანდტმა, „ეკონომიკურ გიგანტად, მაგრამ პოლიტიკურ ჯუჯად". ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია გ. შრიოდერის მთავრობის გადაწყვეტილება გამოეყენებინა გერმანული ჯარი ნატოს სხვა ქვეყნებთან ერთად კოსოვოს ოპერაციებში. ეს ნაბიჯი მოწმობს გერმანიის განზრახვაზე „ითამაშოს დიდი როლი საერთაშორისო საქმეებში". ამას მოჰყვება განაცხადები გერმანიის უფრო ფართო მონაწილეობაზე EU-ის ხელმძღვანელ სტრუქტურებში და ბოლოს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის ადგილზე.

საფრანგეთის ეკონომიკური მოდელი, პრინციპში მსგავსია გერმანულის. ომისშემდგომ ეკონომიკურად სუსტმა საფრანგეთმა გენერალ დე გოლის ხელმძღვანელობით შეძლო თავისი ადგილის შენარჩუნება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში. საფრანგეთი მუდმივად ახდენდა თავისი დამოუკიდებლობის დემონსტრირებას პოლიტიკასა და კულტურაში, უწევდა რა წინააღმდეგობას ინგლისური ენისა და ამერიკული ცხოვრების წესის ექსპანსიას. ფრანგებმა უჩვენეს ყველას, რომ შეუძლიათ მსოფლიოს უკარნახონ თავისი პირობები — და ამასთან აღმოჩნდნენ ძალიან ზევით. როგორც ე. ჟაკემ თქვა, ყოფილმა ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელმა, ამ ქვეყანაში გამომუშავებულია „გამარჯვების მოპოვების კულტურა".

(საფრანგეთში ყოველთვის განსაკუთრებით ძლიერი იყო სოციალისტური ტრადიციები. *აქედან ფრანგული ეკონომიკური მოდელის დამახასიათებელი თვისებებია:*

1. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოსი ეკონომიკაში. სახელმწიფო ბიუჯეტი გადის მშპ-ის დაახლოებით 54%-ზე. საფრანგეთის ჩინოვნიკობა — ყველაზე გავლენიანი კლასია. ჩინოვნიკური კარიერის პრესტიჟი ძალიან მაღალია. სახელმწიფო მოხელენი ღებულობენ უფრო მაღალ ანაზღაურებას, ვიდრე კერძო ბიზნესში მომუშავენი. ისინი არ ექვემდებარებიან შემცირებას და 50-55 წლის ასაკში საკუთარ ხელფასზე მაღალ პენსიაზე მიდიან.

2. საფრანგეთის სახელმწიფო სექტორს უკავია ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი. მასში მუშაობს ეკონომიკაში ყველა დასაქმებულთა 24%. საფრანგეთი იღებს დამაჯერებულ მაგალითს სახელმწიფო მეწარმეობიდან და უარყოფს ლიბერალურ წრეებში გავრცელებულ აზრს სახელმწიფო კორპორაციების აშკარა არაეფექტიანობაზე.

3. საფრანგეთში საკმაოდაა განვითარებული სახელმწიფო ინდიკატიური დაგეგმვა. სახელმწიფოებრივი დირიჟორობა ეკონომიკური ორკესტრით და ბაზრის რეგულირება რჩება საფრანგეთის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად, თუმცა ბოლო წლებში მათი როლი მნიშვნელოვნად შემცირდა.

4. საფრანგეთი ორიენტირებულია „კეთილდღეობის სახელმწიფოს" აშენებაზე. აქ სოციალურ საჭიროებებზე იხარჯება ქვეყნების მშპ-ის დაახლოებით 20%, ყველაზე მეტი მთელ მსოფლიოში! ეს მშრომელებს აძლევს მაღალი ხარისხის სოციალურ დაცვას, მაგრამ მძიმე ტვირთად აწვება გადასახადის გადამხდელებს.

5. ძალიან მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა. უმუშევართა რიცხვი შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 12%-ს. უმუშევრობაზე დახმარება საშუალო ოდენობის ხელფასს აჭარბებს და უმუშევრები არ ჩქარობენ ახალი ადგილის პოვნას მთელი ძალღონის დაძაბვით.

6. უცხოური სამუშაო ძალა ოჯახებითურთ შეფასებულია 4,5 მლნ ადამიანად. იგი მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს საფრანგეთის შრომის ბაზარზე.)

90-იანი წლების შუაში ქვეყანაში ტარდებოდა ლიბერალური რეფორმები, რომლებიც დაკავშირებული იყო ა. ჟიუპეს სახელთან. ამ პერიოდში გაიყიდა ფრანგული ეკონომიკის ისეთი გიგანტები, როგორიცაა Banque Nationale de Paris, Elf Aquitaine, Rhone-Poulenc და სხვ. ამ რე-

ფორმებს მხარი არ დაუჭირა მძლავრმა ფრანგულმა პროფკავშირებმა და 1997 წ. არჩევნებზე გაიმარჯვა სოციალისტმა ლ. ჟოსპენმა. მიუხედავად მსგავსებისა, ფრანგული საპრეზიდენტო რესპუბლიკა მაინც ძალიან განსხვავდება რუსულისაგან. იქ მთავრობას აყალიბებს საპარლამენტო უმრავლესობა და პრემიერ-მინისტრი ატარებს თავისი პარტიის კურსს იმის მიუხედავად, თუ ვინაა პრეზიდენტი. საფრანგეთში მთავრობა შეიძლება ატარებდეს ლიბერალურ კურსს სოციალისტი პრეზიდენტის შემთხვევაში და პირიქით, როგორც ეს ახლა ხდება. ლიბერალურად განწყობილი პრეზიდენტი ჟ. შირაკი სავსებით მშვიდად თანამშრომლობს ლ. ჟოსპენის მთავრობასთან. ხელისუფლების ასეთი სტრუქტურა ქმნის წანამძღვრებს უფრო (აწონილ-დაწონილი) გაწონასწორებული და სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკისათვის, მარჯვნივ და მარცხნივ მკვეთრი ნახტომების გარეშე.

სოციალისტმა ლ. ჟოსპენმა პრაქტიკულად და უფრო წარმატებით, ვიდრე მისმა ნეოკონსერვატორ წინამორბედმა, განაგრძო მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის კურსი. მან მოახერხა ძალიან მომგებიანად, 8 მლნ დოლარად, გაეყიდა კომპანია France Telecom. სოციალისტებმა გადახედეს თავის მტრულ შეხედულებებს მსხვილ ბიზნესზე და თანდათანობით ამცირებენ სახელმწიფოს სამეწარმეო როლს. იმავდროულად ისინი მტკიცედ იბრძვიან მშრომელთა სოციალური გარანტიებისათვის და 2000 წელს შემოიღეს კანონი 35-საათიან სამუშაო კვირაზე 39-საათიანის ნაცვლად. ყველა სამუშაო დადგენილი ნორმის ზევით დაიბეგრება მაღალი გადასახადებით, ხოლო სამუშაო 18:30 შემდეგ საწარმოსათვის უზარმაზარი ჯარიმებით. ლ. ჟოსპენის ჩანაფიქრით, ასეთი ზომები შექმნის 100 ათას დამატებით სამუშაო ადგილს. კიდევ 350 ათასი სამუშაო ადგილი იქმნება სპეციალურად ახალგაზრდებისათვის სახელმწიფო სექტორში.

ლ. ჟოსპენის კურსის შედეგები სახეზეა. თანამედროვე საფრანგეთი გახდა მკაფიოდ გამოხატული პოსტინდუსტრიული ქვეყანა ისეთი მომსახურების სფეროთი, რომელიც მშპ-ის 71%-ზე მეტს იძლევა. საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა დგას მსოფლიოში პირველ ადგილზე; ამ ქვეყნის ეკონომიკა წინაა გაჭრილი, ხოლო უმუშევრობა — ბოლო დრომდე ერთ-ერთი უძლიერესი ნაკლი — 2000 წელს მკვეთრად შემცირდა. ფრანგული ბიზნესი ფლობს ბრიტანული რკინიგზის და წყალგაყვანილობის კომპანიებს და იგი იმაზეც კი ფიქრობს, რომ თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანოს ამერიკული კინოგიგანტი — „იუნივერსალ სტუდიოზ“.

როგორც ჩანს, ლ. ჟოსპენმა, რომელიც უარყოფს ეკონომიკურ ლიბერალიზმს, შეძლო „მესამე გზის“ მოძებნა, რომელზეც შეიძლება ეკონომიკური ეფექტიანობის და სოციალური სამართლიანობის შეთავსება.

ИТАЛИУРИ ЕКОНОМИКУРИ МОДЕЛИ ერთი შეხედვით ახლოსაა ფრანგულთან და გერმანულთან. იგივე სოციალური ორიენტაცია და სახელმწიფოს მაღალი როლი. ომისშემდგომი იტალიის მდგრადი სახე — ესაა მთავრობათა ათურმა, კორუფცია და სახელმწიფოს და ბიზნესის შეზრდა, მაფია. ომისშემდომი პერიოდის დიდმა იტალიელმა კინემატოგრაფმა დახატა მთელი მსოფლიოს წინაშე უკიდურესი სიღარიბის სურათები ამ მხიარული და ენერგიული ხალხისა. გაიხსენეთ თუნდაც „ველოსიპედების გამტაცებლები“. გამოცანად რჩება — ასეთი პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში, როგორ მოახერხა იტალიამ მოეხდინა საოცარი ნახტომი და ნახევრად დანგრეული, ომში წაგებული ქვეყნიდან ქცეულიყო ეკონომიკურად განვითარებულ, კეთილდეობაში მყოფ, წამყვან ევროპულ სახელმწიფოდ. ამ კითვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ *იტალიის ეკონომიკური მოდელებისათვის დამახასიათებელი ნიშნები:*

1. იტალიას გააჩნია განვითარებულ ქვეყნებს შორის უმსხვილესი სახელმწიფო სექტორი, რომელიც აკონტროლებს ეკონომიკის 50%-ს და საბანკო სისტემის 70%-ს. 1992 წ. ხელისუფლებაში მოსულ ტელემაგნატ-ლიბერალის, ს. ბერლუსკონის მთავრობამ გაატარა ზოგიერთი რეფორმა, მაგალითად, გაყიდა 36,5% სახელმწიფო აქციებისა Banko di Roma 1,1 მლრდ დოლარად. თუმცა, მთლიანობაში, იტალიური ეკონომიკის მოდელი დარჩა უცვლელი.

2. იტალია წარმოადგენს დასავლეთ ევროპის ყველაზე რეგულირებად ქვეყანას, რომელშიც მოქმედებს 150 ათასზე მეტი ეკონომიკური კანონი, ხოლო ახალი კომპანიის ორგანიზაციას სულ ახლახან შეეძლო დაეკავებინა დაახლოებით სამი წელი ბიუროკრატიული გაჯანჯლების გამო. კორუფცია, რომელიც რამდენადმე შემცირდა მის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღების შემდეგ (ოპერაცია „სუფთა ხელები“ და ა. შ.), კვლავ რჩება იტალიური სახელმწიფო სისტემის უბედურებად. არალეგალური ბაზარი იძლევა 30%-ზე მეტს საერთო ბრუნვიდან და ამაში აქვს დიდი მსგავსება რუსეთში არსებულ სიტუაციასთან.

3. იტალიური მოდელისათვის დამახასიათებელია ყურადღების გამახვილება წვრილ და საშუალო ბიზნესზე. დასაქმებულთა დაახლოებით 70% მუშაობს 50 კაცზე ნაკლები ოდენობის კომპანიებში, ხოლო ეკონომიკაში ყველა დასაქმებულთა 30% კი ინდივიდუალური მეწარმეა. კათოლიკურ

იტალიაში მოხერხდა ღრმა პატივისცემის ატმოსფეროს შექმნა კერძო მეწარმეობისადმი, განსხვავებით მეზობელი საფრანგეთისგან.

4. იტალიაში არის შესამჩნევი რეგიონალური სხვაობები ეკონომიკასა და ცხოვრების დონეშიც. ქვეყნის განვითარებული ჩრდილოეთი ყველა მაჩვენებლით არსებითად განსხვავდება ჩამორჩენილი სამხრეთისაგან. იტალიის სამ ოლქში — ლომბარდიაში, პიემონტსა და ვენეციაში — იწარმოება ქვეყნის მშპ-ის 40%, ხოლო ერთი ლომბარდია იძლევა მთელი ექსპორტის 30%-ს. თუკი ამ ოლქში 1 სულ მოსახლეზე მოდის 24 ათასი დოლარი წლიური შემოსავალი, კოლაბრიასა და სიცილიაში იგი დაახლოებით 14 ათასი დოლარია.

5. იტალიური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია წარმოების განთავსების კლასიკური ტიპი. ახლა იტალიის ცენტრში წარმოიშვა გიგანტური კლასტერი, შემდგარი მირიარდი საშუალო და მცირე ფირმებისგან, რომელიც ტექსტილს, ტანსაცმელს, ავეჯს, ფეხსაცმელს და ა. შ. აწარმოებს. მათი კონკურენტული უპირატესობა მდგომარეობს ერთმანეთთან ტერიტორიულ სიახლოვესა, თანამშრომლობის შესაძლებლობებში და კოოპერაციაში. ამ კლასტერმა მიიღო სახელწოდება „მესამე იტალია", განსხვავებით მსხვილი სამრეწველო ჩრდილოეთის და აგრარული სამხრეთისგან.

თანამედროვე იტალია ესაა პოსტინდუსტრიული ქვეყანა, რომელშიც მომსახურების სფერო იძლევა მშპ-ის 68%-ზე მეტს.

წარმატება, მიღწეული იტალიური განვითარების გზაზე, აისახება გონივრული შეხამებით უმძლავრესი სახელმწიფო მეწარმეობისა მრეწველობის სტრატეგიულ დარგებში და წახალისებული სახელმწიფოს მიერ წვრილი და საშუალო ბიზნესისა მრეწველობის სხვა დარგებში.

ინგლისის ეკონომიკური მოდელი არსებითად განსხვავდება კონტინენტალურისგან და ახლოა ამერიკულთან. ხშირად საუბრობენ ანგლო-ამერიკულ ეკონომიკურ მოდელზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ინგლისურ მოდელს მაინც უკავია დამოუკიდებელი, შუალედური მდგომარეობა ლიბერალურ ამერიკულსა და სოციალურ, კონტინენტალურ ევროპულ მოდელებს შორის.

ომისშემდგომი დიდი ბრიტანეთი არ ბრწყინავდა ეკონომიკური წარმატებებით და თანდათანობით კარგავდა თავის პოზიციებს მსოფლიოში. მისი ეკონომიკური მოდელი 70-იანი წლების ბოლომდე იყო კონტინენტალურის მსგავსი: სახელმწიფოს დიდი როლი ეკონომიკაში, სახელმწიფო სექტორის მაღალი ხვედრითი წონა. 1979 წ. ხელისუფლებაში მივიდა „რკინის ლედი", კონსერვატორთა ცნობილი ლიდერი მ. ტეტჩერი. მან გა-

ნახორციელა რეფორმები, შემდგომში წოდებული „ტეტჩერიზმად“, რამაც მიიყვანა ქვეყანა თანამედროვე ლიბერალურ და საკმაოდ ეფექტიან ინგლისურ ეკონომიკურ მოდელამდე.

მისდევდა რა „ტეტჩერიზმის“ გზას, დიდი ბრიტანეთი 1979-1994 წლებში ატარებდა სახელმწიფო საწარმოების მასობრივ პრივატიზაციას, როცა გაყიდა British Telecom-ის, British Coal-ის და მრავალი სხვა კომპანიის აქციები საერთო თანხით 100 მლრდ დოლარზე მეტი. შემცირდა სახელმწიფო აპარატი და გადასახადებმა დაიკლო. მკაცრი მონეტარული პოლიტიკა არსებითად დაეხმარა ინფლაციის კლებას. ტეტჩერიზმმა და ეკონომიკის ლიბერალურმა მოდელმა საშუალება მისცა საუკეთესო სახით გამოეყენებინა ცივილიზაციური რესურსები თავისუფლების მოყვარე, დამოუკიდებელ, საკუთარ ძალებზე დაყრდნობილ ბრიტანელებს. ინგლისი აღდგა და შემდგომში როგორც ტეტჩერის მომხრე ჯ. მეიჯერი, ასევე მისი მოწინააღმდეგე ლეიბორისტი ტ. ბლერი რჩებოდნენ „ნეოკონსერვატიული რევოლუციის“ შედეგად შექმნილი თავისებური ინგლისური ეკონომიკური მოდელის მიმდევრები. *მის დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს:*

1. შედარებით დაბალი სახელმწიფოს ხვედრითი წონა ეკონომიკაში, რომელიც ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 20%-ს იძლევა. იმავდროულად სახელმწიფო წარმოადგენს უმსხვილეს ინვესტორს ინოვაციურ კომპლექსში. მასზე მოდის მეცნიერებაზე ყველა დანახარჯის 35%.

2. უმუშევრობის დაბალი დონე, რომელიც შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 4,6%-ს (1,3 მლნ ადამ.).

3. დაბალი ინფლაცია, რომლის კლება მოხერხდა 13,4%-დან 1979 წ. 3,3%-მდე 2000 წ.

4. კორპორაციების მოგების გადასახადისა და ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადების დაბალი დონე, რომელიც ტ. ბლერის მთავრობას სურს შეამციროს 10%-მდე.

5. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი, რომლის წყალობითაც ქვეყანაში მოქმედებს 13 ათასზე მეტი უცხოური კომპანია. დიდი ბრიტანეთი იზიდავს 30%-ზე მეტ უცხოურ ინვესტიციებს, მიმართულს EU-ში და ამერიკული ინვესტიციების 40%-ს რეგიონში.

6. შედარებით სუსტი საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფრანგულსა და გერმანულს.

დიდ ბრიტანეთში მომსახურების სფერო მშპ-ის 66,8%-ს იძლევა და მასში დასაქმებულია შრომიუნარიანი მოსახლეობის 71,5%. სოფლის მეურნეობაზე მოდის მშპ-ის მხოლოდ 1,8%, ხოლო მრეწველობაზე — 31,4%.

დიდი ბრიტანეთი იყო ყველაზე ცენტრალიზებული ევროპის ყველა დემოკრატიული ქვეყნებიდან. იმპერია იქმნებოდა პარლამენტის აბსოლუტური უზენაესობის საფუძველზე ვესტმინსტერში. ლეიბორისტების ამჟამინდელი მთავრობის დროს ხდება ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, მოხდა საკანონმდებლო კრების არჩევა შოტლანდიასა და უელსში, რომელთაც გადაეცათ ფართო საკანონმდებლო უფლებამოსილებანი. პრინციპში, მთავრობამ გადაწყვიტა შეუერთდეს ერთიან ევროპულ ვალუტას, მაგრამ ტ. ბლერი ჯერ კიდევ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას და ყველანაირად ცდილობს როგორმე გადაავადოს საბოლოო ნაბიჯი. ოპტიმისტებს იმედი აქვთ, რომ, ვინაიდან ამჟამად დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური ძალაუფლება დეცენტრალიზაციას განიცდის, ბრიტანეთს გაუადვილდა სუვერენიტეტის ახალ კონცეფციას დასთანხმდეს ევროპაში.

ავტორებმა გაანალიზეს EU-ის ოთხი წამყვანი ქვეყნის ეკონომიკური მოდელები. სხვა ქვეყნების მოდელებიდან ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს საყოველთაოდ ცნობილი შვედური მოდელი. შვედეთი მსოფლიოში ცნობილია იმით, რომ მან არჩია მესამე გზა — სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. 70-იან და 80-იან წლებში ეგონათ, რომ შესაძლებელი იყო სოციალიზმის აშენება „ადამიანური სახით" ცალკე აღებულ პატარა სკანდინავიურ ქვეყანაში. მდიდართა ძალიან მაღალი დაბეგვრა შეხამებული იყო მსოფლიოში უმაღლეს სოციალური უზრუნველყოფის დონესთან და ძალიან მაღალი ცხოვრების დონესთან. ჯერ კიდევ სულ ახლახან მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადი ტოლი იყო 90%-ის და ახლაც 55%-იანი განაკვეთი შთაბეჭდილების მომხდენია. სახელმწიფო სექტორის წილი მშპ-ის განაწილებაში შეადგენს 79%-ს. სახელმწიფო გარანტიას იძლევა მინიმალური ოდენობის — 1600 დოლარის — ანაზღაურებაზე დაბეგვრამდე. იმავდროულად შვედეთმა შექმნა ტრანსეროვნული კომპანიების მსოფლიო კლასის პლეადა. თუმცა ბოლო 30 წლის განმავლობაში შვედეთი ვითარდებოდა ნელი ტემპით.

1 სულ მოსახლეზე მშპ-ის ზომით შვედეთი მესამე ადგილიდან 1970 წელს, გადავიდა მეთვრამეტეზე 1999 წ. შვედეთს არ ჰქონდა ორი სავალდებულო წანამძღვარი ეკონომიკური წარმატებისათვის: დაბალი გადასახადები და სამუშაო ძალის მოქნილი ბაზარი. შვედები იხდიან ყველაზე მაღალ საშემოსავლო გადასახადებს მსოფლიოში. მაღალი გადასახადები ქვეყანაში განიხილებოდა, როგორც მიღებული ფასი ძლიერი სოციალური დაცვის სისტემის და სოციალური გარანტიის შესანარჩუნებლად. მაგრამ

გლობალიზაციის პირობებში სოციალური სამოთხე ჩრდილოეთის პატარა ქვეყანაში შეუძლებელი აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, შვედური მოდელი მალე სახეს შეიცვლის და ეს ცვლილებები შეეხება არა მარტო სოციალურ პოლიტიკას, არამედ ეკონომიკაში მნიშვნელოვან სახელმწიფო სექტორს, რესურსების გადანაწილების პოლიტიკას, პოლიტიკურ ცხოვრებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაბატონებულ მდგომარეობას, პროფკავშირების გავლენას, დასაქმებულობას და რეგულირების სისტემას. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო" გახდება ნაკლებად გულუხვი უბრალოდ იმიტომ, რომ შეუძლებელი იქნება მაღალი დაბეგვრის რეჟიმის შენარჩუნება. შვედეთი აპირებს შემოიღოს 2003 ან 2004 წლისათვის ევრო და ეს იძულებულს გახდის მას მნიშვნელოვნად შეამციროს გადასახადების განაკვეთები.

მთავრობაზე ზეწოლას ახდენენ კომპანიებიც, რომლებიც მაღალი გადასახადებით უკმაყოფილო არიან. ზოგიერთ შვედურ კომპანიას უკვე გადააქვს თავისი შტაბბინები ქვეყნის საზღვრებს გარეთ, იმისათვის, რომ ხელმძღვანელმა პერსონალმა არ იხადოს მაღალი გადასახადები. კაპიტალის „გაქცევის" უცილებელ შედეგს წარმოადგენს სხვაობის ზრდა ღარიბთა და მდიდართა ცხოვრების დონეებს შორის და შესაძლოა სიღარიბის და დამნაშავეობის ზრდა. შვედეთი უკვე არ იქნება იმგვარი, როგორც ძველ, კეთილ დროს, თუმცა იგი არასდროს იქნება ამერიკის მსგავსი, რადგან ინარჩუნებს თავის თვითმყოფად და ერის ხასიათის შესაბამისი ეკონომიკის ორგანიზაციის სისტემას.

სწრაფგანვითარებადი ესპანეთი უახლოეს მომავალში ალბათ პრეტენზიას განაცხადებს EU-ის წამყვან ქვეყნებს შორის ადგილზე. ესპანეთი ავითარებს მანქანათმშენებლობასა და მეცნიერებატევად წარმოებას. იგი გონივრულად იზიდავს უცხოურ კაპიტალს, რომლის წილად მოდის მშპ-ის 5%. ესპანეთი ხვდება საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პერსპექტივას. 40%-ზე მეტი მშპ-ის წარმოება ესპანეთში უახლოეს წლებში დამოკიდებული იქნა ეკონომიკის კომპიუტერიზაციაზე და ქვეყნის უნარზე მოახდინოს ადაპტაცია საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებთან. საგარეო-ეკონომიკურ სფეროში ესპანეთი წარმატებით ეყრდნობა ლათინოამერიკის ქვეყნებთან ცივილიზებულ კავშირებს. ეს ქვეყნები მასში ხედავენ არა მარტო წინაპარ ქვეყანას, არამედ, ბუნებრივია, ლიდერს.

მიუხედავად ამისა, ესპანეთს ცოტა პრობლემა როდი აქვს. ქვეყანაში უმუშევართა რიცხვმა გადააჭარბა 3,5 მლნ ადამიანს, რამაც შეადგინა შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 1/4. უმუშევრობის ასეთი დონე ძნელი წარმოსადეგია ევროპული კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

ესპანეთში მწვავედ დგას სახელმწიფო მოწყობის პრობლემა ბასკების და კატალონიელების სეპარატისტული გამოსვლების ფონზე. 20 წლის შემდეგაც კი, რაც ბასკებმა და კატალონელებმა გამოაცხადეს ამ პროვინციათა თვითმმართველობა, ესპანეთი ჯერ კიდევ ვერ მიდის შეთანხმებამდე შედარებით ხანგრძლივი, მყარი სტრუქტურის შესაქმნელად თავისი რეგიონებისათვის.

სხვა პრობლემებს მიეკუთვნება პარლამენტში არჩევნების პრაქტიკა, ასევე სასამართლო სისტემისაც, რომელიც ძალიან პოლიტიზებულია, მოუქნელია და ქვეყანაში პატივისცემით არ სარგებლობს. ესპანეთს აქვს შობადობის კლების პრობლემაც. თუკი 30 წლის წინ ესპანეთში ქალი საშუალოდ აჩენდა სამ ბავშვს, ახლა — ძლივს მხოლოდ ერთს. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელ ევროპაში. ამიტომ 2010 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა კლებაში წავა, ხოლო 2040 წლისათვის კი ესპანეთში შესაძლოა ცხოვრობდეს ძალიან მოხუცი ადამიანების ყველაზე მეტი რაოდენობა ევროპაში.

აუცილებელია აგრეთვე სერიოზულად აიწიოს განათლების ხარისხმა და დონემ უმაღლეს სასწავლებლებში. ქვეყნის 63 უნივერსიტეტი — 1970 წ. ისინი იყო მხოლოდ 20 — უშვებენ ძალიან ბევრ იურისტს, ეკონომისტს, ექიმს, მაგრამ ინჟინრებს და სამეცნიერო ხარისხიანი სპეციალისტებს — არასაკმაო ოდენობით. სამეცნიერო კვლევების, საკონსტრუქტორო ნაშრომების სფერო ესპანეთს EU-ის ქვეყნების ბოლოში მიჩანჩალებს. XXI ს-ში ეს შეიძლება გახდეს სერიოზული ნაკლი, როგორიც გასულ საუკუნეში იყო უწიგნურობა.

90-იან წლებში მოულოდნელად და მძლავრად წინ გაიჭრა პატარა, ადრე ჩამორჩენილი ირლანდია. იქ იყო შექმნილი იდეალური, თითქმის ოფშორული პირობები უცხოური კაპიტალისათვის და შედეგებმაც დიდხანს არ დააყოვნა. 90-იანი წლების I ნახევარში ქვეყანაში მოხერხდა 7 მლრდ დოლარის თანხის პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა, ამ ინვესტიციების, საკუთარი და იმპორტული სამუშაო ძალის გამოყენებით, აგრეთვე შედარებით დაბალი დონის ანაზღაურებით, ირლანდიის ეკონომიკა იზრდება თანამედროვე ევროპისათვის არნახული ტემპებით — 7-10% წელიწადში. ქვეყანა აქტიურად იზიდავს კვალიფიციურ სამუშაო ძალას აღმოსავლეთ ევროპიდან და CIS-ის ქვეყნებიდან. მან ერთბაშად მოახდინა ორიენტაცია საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და ახლა ირლანდიის ექსპორტი 69%-ით შედგება მაღალტექნოლოგიური პროდუქციისგან, მათ შორის 30% მოდის პროგრამულ პროდუქტებსა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ირლანდიის წარმატებაში ცოტა წვლილი როდი მიუძღ-

ვით რუს პროგრამისტებს, რომლებიც იქ ათასობით მიემგზავრება. ირლანდიის მაგალითი ფრიად საჩვენებელია და სავსებით გამოსადეგი რუსეთის და მისი ცალკეული რეგიონების მიერ ადაპტაციისათვის.

სხვა პატარა სახელმწიფოებს აქვთ მოდელები, რომლებიც ზემოაღნიშნულებთან მსგავსია: ფინეთის და დანიის — შვედურთან; პორტუგალიის და საბერძნეთის — იტალიურთან და ესპანურთან; ავსტრიის, ნიდერლანდების და ლუქსემბურგის — გერმანულთან.

19.5. EU-ს ტრანსეროვნული კაპიტალი

მიუხედავად ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებისა დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების მიერ ევროპული კავშირის ჩარჩოებში, ამ ქვეყნების ტრანსეროვნულ კორპორაციებს და მეგაკორპორაციებს აქვთ მნიშვნელოვანი თავისებურებანი. მთელ ევროპაში ტეკ-ებს ძირითადად გააჩნიათ *ძუნცერნების* ფორმა, ხოლო მათი ურთიერთობა ერთმანეთს შორის, ჯგუფების ორგანიზაცია და სახელმწიფოსთან კავშირი საკმაოდ თავისებურია. EU-ში მთლიანად ტეკ-ის განვითარების დახასიათებისას შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ისინი ერთობლივად მრავალჯერადად უსწრებენ აშშ-ის FDI-ის სიდიდის და ტრანსეროვნულობის ინდექსის მიხედვით, თუმცა ცალკეული ქვეყნების FDI-ის მოცულობები დაახლოებით ორჯერ ჩამორჩება ამერიკულს.

ევროპაში წამყვან როლს თამაშობს *გერმანიის* ტეკ-ები. *ყველა გერმანული ტეკ-ის ევოლუცია მიმდინარეობდა უნივერსალური მსხვილი ბანკების (გროსბანკების) ძლიერი გავლენის ქვეშ,* რომლებიც შეიქმნა ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იან წლებში გერმანული მრეწველობის მხარდასაჭერად და მთელი დროის განმავლობაში ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს სახელმწიფოსთან. უკვე კარგა ხანია, რაც წამყვან ფინანსურ ჯგუფებს უკავიათ საკვანძო პოზიციები ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ უმსხვილესი კონცერნები და ბანკები ინარჩუნებენ თავის იურიდიულ დამოუკიდებლობას, ისინი ფაქტიურად შეეზარდნენ მძლავრ ფინანსურ ჯგუფებს. გერმანიის თავისებურება დაკავშირებულია იმასთან, რომ აქ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჯგუფური კონტროლის სისტემაში გააჩნია ბანკების პირადი კავშირების მექანიზმებს უმსხვილეს სამრეწველო, სავაჭრო, სადაზღვევო კომპანიებთან.

გერმანული ტეკ-ის გენეზისის თავისებურებამ თავისი ანაბეჭდი დაადო *ტეკ-ების მეგაჯგუფების ორგანიზაციათა სტრუქტურასა და ფორმას.* გერმანიის წამყვანი კონცერნები ფლობენ უზარმაზარ რეალურ

ძალაუფლებას წვრილ აქციონერთა უცხო კაპიტალზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ გააჩნია საკუთარი კაპიტალის შედარებით მცირე წილი. იმავდროულად ისინი ჩვეულებრივ თვითონ შედიან გროსბანკების ან სხვა ფინანსური სტრუქტურების ჯგუფებში. როგორც წესი, გერმანიაში ფინანსური ჯგუფის ბირთვი ყალიბდება ბანკის გარშემო, რომელიც კონტროლის ცენტრი და სათავო ბანკი ხდება ყველა არაფინანსური კონცერნის მიმართ, რომლებიც შედიან მოცემულ ფინანსურ ჯგუფში. ასე მაგალითად, ფინანსური ჯგუფის „დოიჩე ბანკის" შემადგენლობაში შედის ტრანსეროვნული კონცერნები „სიმენსი", „ბოში", „დაიმლერ ბენცი", „ტისუნი", ხოლო ფინანსურ ჯგუფ „დრეზდნერ ბანკში" — ტრანსეროვნული კორპორაციები „ხეხსტი", „კრუპი", „გრიუნდიგი", ფინანსურ ჯგუფ „კომერც ბანკში" — ტეკ-ები „გოლდშმიდტი", „კარშტადტი", „კაუფხოფი" და სხვ.

აღნიშნული ფინანსური ჯგუფები აკონტროლებენ გერმანული მრეწველობის ძირითად ნაწილს, აგრეთვე ვაჭრობას, ტრანსპორტს, საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაწილს, საკრედიტო სისტემას, გფრ-ის ეკონომიკის სხვა სექტორებს. პრაქტიკაში უმსხვილესი კონცერნების ნახევარზე მეტი, რომელიც ფუნქციონირებს გერმანიის დამმუშავებელ მრეწველობაში, მოცულია ამ სამი მძლავრი ფინანსური ჯგუფის მექანიზმით, აგრეთვე რეგიონალური ჯგუფებით „ბაირიშე ჰიპოტეკენ უნდ ვექსელბანკ" და „ბაირიშე ფერაინსბანკ", რომელთა საქმიანობა ძირითადად ვითარდება ბავარიაში.

ფინანსური ჯგუფების „დოიჩე ბანკის" პოზიციები ყველაზე უფრო ძლიერია ქიმიურ, ფოლადჩამოსასხმელ, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, შავ მეტალურგიაში, ავტომანქანათმშენებლობაში და მანქანათმშენებლობის კომპლექსის სხვა ქვედარგებში. ამ ფინანსურ ჯგუფში შედიან ისეთი მსხვილი სახელმწიფო კონცერნები, როგორიცაა FEBA, RBZ. „დოიჩე ბანკის" ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული უცხოური წარმოების რიგ კონცერნებთან, რომელთა შორის გამოიყოფა ანგლო-ჰოლანდიური „როიალ დატჩ-შელი", ბელგიური „სოლვეი"; ჯგუფი „დოიჩე ბანკი" ურთიერთმოქმედებს საფრანგეთის ფინანსურ ჯგუფებთან, რომლის სათავეშია „ბანკ დე პარი". შემთხვევითი როდია, რომ ფინანსური ჯგუფი „დოიჩე ბანკი" თამაშობს მნიშვნელოვან როლს EU-ის ჩარჩოებში.

თუმცა ფინანსურმა ჯგუფმა „დრეზდნერ ბანკმა" ბოლო წლებში დათმო მნიშვნელოვანი პოზიციები „დოიჩე ბანკის" ჯგუფის სასარგებლოდ, მას მაინც უხდება კონტროლის შენარჩუნება დამმუშავებელი მრეწველობის მნიშვნელოვან ნაწილზე.

ფინანსური ჯგუფი „კომერც ბანკი“ მოიცავს უპირატესად სავაჭრო კონცერნებს, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილს.

თავისებურია ბავარიის ორი გამორჩეული რეგიონალური ფინანსური ჯგუფის მდგომარეობა — „ბაირიშე ჰიპოტეკენ უნდ ვეკსელბანკ“-ისა და და „ბაირიშე ფერაინსბანკ“-ის. ამ ჯგუფების საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ბავარიის სამიწათმოქმედო მთავრობასთან და ბავარიის მრეწველობასთან. ბავარიის სამრეწველო საწარმოები, საკმაოდ საშუალო ზომების მიხედვით, ტრადიციულად ინარჩუნებენ კავშირს ბავარიულ ბანკებთან თვით იმ სიტუაციაშიც კი, როცა ისინი შედიან კონცერნებში, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილი გერმანული ბანკების ფინანსური ჯგუფების სტრუქტურულ ელემენტებს.

ფინანსური ჯგუფი „ბაირიშე ჰიპოტეკენ უნდ ვეკსელბანკ“ თავის საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს ლუდის მრეწველობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში, მანქანათმშენებლობასა და ბავარიის მრეწველობის რიგ სხვა დარგებში. „ბაირიშე ფერაინსბანკის“ საქმიანობა დაკავშირებულია საფეიქრო მრეწველობასთან, სამშენებლო ინდუსტრიასთან, აგრეთვე ბავარიასთან ვაჭრობაში.

გერმანიის გროსბანკების პოზიციების გაძლიერებამ განვლო შერწყმათა და შთანთქმათა პრაქტიკა. შერწყმის შედეგად ნაკლებად მსხვილ ბანკებთან გროსბანკების ფინანსური ჯგუფები შევიდნენ ახალ მსხვილ კონცერნებში. ამასთან ფინანსური ჯგუფები იღებენ არა უბრალოდ საკუთარი აქციების წილს, აგრეთვე აქციებს, რომლებიც ჩაბარებულია შესანახად და მართვისათვის, არამედ ამ კონცერნების საკონტროლო პაკეტებსაც, რაც, ბუნებრივია, ამ ჯგუფების ფინანსურ საფუძვლებს აძლიერებს. გროსბანკები ზრდიან კონცერნებში ხმათა რიცხვს და ამაღლებენ კონტროლის პოზიციებს, ხშირად კი გროსბანკების დომინირებული პოზიციები მყარდება პირადი კავშირებით. ფინანსური ჯგუფები თავის ბრძოლაში კონკურენტთა წინააღმდეგ ძალიან ხშირად ერთიანდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ფინანსური ჯგუფი ერთმანეთის კონკურენტია, არცთუ იშვიათად მათ შორის ჩნდება სხვადასხვაგვარი ეკონომიკური კავშირი და კაპიტალთა გადახლართვა. მაგალითად, ჯგუფი „ბაირიშე ჰიპოტეკენ უნდ ვეკსელბანკ“ მჭიდროდაა დაკავშირებული „დრეზდნერ ბანკთან“ პირადი კავშირებით. ზოგიერთ სამრეწველო კონცერნს, სავაჭრო საწარმოს გააჩნია განვითარებული ეკონომიკური კავშირები არა ერთ მსხვილ გერმანულ ბანკთან, არამედ ორ ან სამ ბანკთანაც კი.

ფინანსური კაპიტალის ინტერნაციონალიზაციას იქით მივყევართ, რომ ხდება გერმანიის ფინანსური ჯგუფების გადახლართვა ბელგიის და ჰოლანდიის ფინანსურ ჯგუფებთან.

საფრანგეთში ტეკ-ების ევოლუცია მიმდინარეობდა განსაზღვრული სამართლებრივი შეზღუდვებით მათში საბანკო კაპიტალის მონაწილეობაზე და სახელმწიფოს მიმართული დირიჟორის პოლიტიკის გავლენით.

ამან მიგვიყვანა იმასთან, რომ *სტრუქტურულ ასპექტში* საფრანგეთის სამრეწველო ჯგუფები თავისთავად წარმოადგენს, როგორც წესი, ერთ მთლიანს საწარმოო თვალსაზრისით, რომელიც ჩამოყალიბებულია საწარმოთა ტექნოლოგიური ურთიერთკავშირის ბაზაზე. წამყვანი სამრეწველო ჯგუფები ხდებიან საბაზრო ლიდერები კონკრეტულ დარგებში ან წარმოების სახეებში. ამასთან მათი ფინანსური „ბირთვი" ჯგუფში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ორგანოს წარმოადგენს. ეს „ბირთვი" შეიძლება გამოვიდეს ჰოლდინგის ან სათავო კომპანიის ფორმით. „ბირთვის" დონეზე წყდება ფილიალების აქციების ყიდვის ან რეალიზაციის საკითხები, აგრეთვე საინვესტიციო და საკრედიტო პოლიტიკის ჩატარება. ამასთან ყურადღება ექცევა იმას, რომ ფილიალების მართვა ხორციელდებოდეს ჯგუფების განვითარების საერთო სტრატეგიის ჩარჩოებში.

ფრანგული, იტალიური და გერმანული ტეკ-ების არსებით თავისებურებას წარმოადგენს მათი *უმჭიდროესი კავშირი სახელმწიფოსთან.* ამასთან საფრანგეთში და იტალიაში მნიშვნელოვანი გავრცელება ჰპოვეს სახელმწიფო ჯგუფებმა და სახელმწიფო ჰოლდინგებმა. მრავალი მათგანი იქმნებოდა ერთი დარგის სხვადასხვა ნაციონალიზებული კომპანიის გაერთიანების გზით, თუმცა შემდგომ მათში მკაფიოდ ვლინდებოდა დივერსიფიკაციის ტენდენციები.

საფრანგეთის უმსხვილესი ნაციონალიზებული ჯგუფების რიცხვს განეკუთვნება „რენო", „ტომსონი", „იუზინორ-სასილორი", „პეშინე", „რონ-პულენკი", „აეროსპასიალი", „ჰანუელ-ბიულ-კიი". ამ ჯგუფებს აქვთ სააქციო საზოგადოებების იურიდიული ფორმა, რომლის აქციები ეკუთვნის სახელმწიფოს უშუალოდ ან ნაციონალიზებული ბანკების და ფინანსური ორგანიზაციების საშუალებით. თუმცა ზოგიერთი მათგანი ახლახან იქნა პრივატიზებული, სახელმწიფო ჰოლდინგები მაინც ინარჩუნებენ საფრანგეთის ეკონომიკაში თავის როლს.

საფრანგეთის სახელმწიფო კომპანიების საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ავტომობილმშენებლობა, აეროკოსმოსური მრეწველობა, შავი მეტალურგია. ამ დარგებს ქვეყნის ეკონომიკისათვის გააჩნია სტრა-

ტეგიული მნიშვნელობა და გარდა ამისა, საჭიროებს დიდ კაპიტალდაბანდებებს. ჯგუფების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს მნიშვნელოვნად აქტიურად მრეწველობის შედარებით თანამედროვე, აგრეთვე საექსპორტო დარგებში. მრავალრიცხოვანი შერწყმისა და შთანთქმის შემდეგ საფრანგეთის შავ მეტალურგიაში ჩამოყალიბდა მსხვილმასშტაბიანი სახელმწიფო ფოლადჩამომსხმელი კომპანია „იუზინორ-სასილორ“ („Usinor-Sacilor“) — ქვეყანაში ფოლადის წამყვანი მწარმოებელი და ექსპორტიორი. საფრანგეთში ფერადი ლითონების წარმოება და გასაღება მთლიანად კონტროლდება ორი უმსხვილესი ტრანსეროვნული კორპორაციის — „პეშინეს“ („Pechiney“) და „იმეტალის“ („Imetal“) მიერ. ეს ჯგუფები სპეციალიზდება ისეთი სახით, რომ „პეშინე“ კონცენტრირებულია ალუმინის წარმოებაზე, ხოლო „იმეტალი“ — ტყვიის მოპოვებაზე, ნიკელის და თუთიის, იშვიათი ლითონების და ურანის წარმოებაზე.

საფრანგეთის მრეწველობის მრავალ დარგში კერძო კორპორაციები კონკურენციას უწევს სახელმწიფოს და ამასთან ბაზარსაც იყოფენ. მაგალითად, საფრანგეთში ავტომობილმშენებლობის განვითარების დონეს განსაზღვრავს ორი კომპანია — კერძო „პეჟო“ („Peugeot S. A.“) და სახელმწიფო „რენო“ („Renault“). მათზე მოდის გაყიდვათა 90%-ზე მეტი და ქვეყნის საავტომობილო ექსპორტის დაახლოებით 100%.

ელექტრონული და ელექტროტექნიკური პროდუქციის წარმოების და ექსპორტის სფეროში ლიდერობს „კომპანი ჟენერალ დ'ელექტრისიტე“ („Compagnie generale d'electricite“). ამ სფეროში მოქმედებს აგრეთვე სახელმწიფო კომპანია „ტომსონი“ („Thomson“).

აეროკოსმოსურ მრეწველობაში წამყვან პოზიციებს იკავებენ სახელმწიფო კომპანიები — „აეროსპასიალი“ („Aerospaciale“) და „სნეკმა“ („SNECMA“), აგრეთვე კერძო ჯგუფ „დასსო“ („Dassault“).

ყველა ამ კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი FDI-ები სხვადასხვა ქვეყანაში და წარმოადგენენ ტრანსეროვნულს.

საფრანგეთში, გერმანიისგან განსხვავებით, სამრეწველო და სავაჭრო კორპორაციები თვითონ ქმნიან და აკონტროლებენ ბანკებს. ასე მაგალითად, მსხვილი სავაჭრო ფირმები — „ოშანი“, „კორა“, „ინტერმარშე“ — აკონტროლებდნენ 80-იან წლებში შექმნილ „ბანკ აკორდს“ და „ბანკ შაბრიერს“, წამყვანი საავტომობილო ფირმები „რენო“ და „პეჟო“ — ბანკებს „სოსუტე ფინასერ ე ფონსერ“-ს და „სოსიტე ფინანსერ დე ბანკ“-ს.

იტალიაში მსხვილი კაპიტალი წარმოადგენს აქციონერული კომპანიების შედარებით მცირე რიცხვს, რომლებსაც წამყვანი პოზიციები უკავია

ქვეყნის ეკონომიკის ძირითად დარგებში („ფიატი", „მონტედისონი", „პირელი", „ბასტოჯი" და სხვ.).

იტალიური ტეკ-ების ევოლუცია საკმაოდ თავისებურია. იტალიური კონცერნები, ისწრაფოდნენ რა კაპიტალდაბანდებათა მოსაზიდად, ზრდიდნენ საგარეო დაფინანსებას, უპირველეს ყოვლისა, საბანკო კრედიტის ხარჯზე. თავის მხრივ, ბანკები, რომლებიც ფლობდნენ დიდ ლიკვიდურობას, სიამოვნებით აძლევდნენ სამრეწველო კომპანიებს (როგორც კერძოს, ისე სახელმწიფოს) მნიშვნელოვან კრედიტებს დიდი პროცენტით. დროთა განმავლობაში სამრეწველო კომპანიების დავალიანება ბანკების მიმართ გახდა საკმაოდ საგრძნობი, ხოლო რიგ შემთხვევაში უბრალოდ კრიტიკული. სამრეწველო კომპანიების მიერ დამატებითი საშუალებების მისაზიდად გამოშვებული აქციების უმეტესი ნაწილი შეძენილი იქნა იმავე ბანკ-კრედიტორებისაგან.

იტალიის მსხვილ მრეწველობაში ბანკების აქტიურმა და ფართო „შეჭრამ" მკვეთრად შეცვალა ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსი კერძო კაპიტალის სისტემაში. მსხვილი კერძო კომპანიების დავალიანებამ ბანკების მიმართ შეადგინა მათი კაპიტალის დაახლოებით 2/3. გარდა ამისა, ბანკებმა შეიძინეს სამრეწველო კომპანიების სააქციო კაპიტალის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის შედეგად ბანკები გახდნენ მსხვილი კერძო კაპიტალის მფლობელები და ფაქტიურად კონცერნების მნიშვნელოვანი ნაწილის თანამფლობელები, ამგვარად, ევოლუციურად იტალიის საფინანსო კაპიტალის სისტემაში ჩამოყალიბდა საბანკო კაპიტალის აშკარა სიჭარბე სამრეწველოზე. იტალიის საბანკო-საკრედიტო სისტემის განსახელმწიფოებრიობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით და, თავის მხრივ, ბანკების ჭარბი მონაწილეობით სამრეწველო კომპანიების კაპიტალში, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ აქ გამოვლინდა სახელმწიფო კონტროლის სპეციფიკური ფორმა, განხორციელებული სახელმწიფო ბანკების საქმიანობის მექანიზმების საშუალებით.

იტალიაში ტეკ-ების *ორგანიზაციის ძირითად ფორმას, ისევე როგორც ეკ-ის სხვა ქვეყნებში, წარმოადგენს კონცერნი.* ამასთან კომპანიათა მნიშვნელოვანი რიცხვი (რომლებიც თავად წარმოადგენენ სააქციო საზოგადოებებს), რომლებიც შედიან კონცერნში, ერთიანდება და ექვემდებარება ჰოლდინგის ტიპის სათავო კომპანიებს მონაწილეობის მრავალსაფეხურიანი სისტემის მეშვეობით. ზოგიერთი ყველაზე მსხვილი ვერტიკალურად სტრუქტურიზებული ტრანსეროვნული კონცერნის შემადგენლობაში („ფიატი", „მონტიდერონი") შედის ტრესტები, რომლებიც თავისთავად წარმოადგენს უფრო მიზნობრივ და შეკავშირებულ წარმონაქმნებს, სადაც ცალ-

კეულმა სტრუქტურულმა ელემენტებმა უკვე დაკარგა სავაჭრო, საორგანიზაციო, ფინანსური და სხვა ავტონომიები.

კონცერნების ნაწილების სათავეში (ისეთების, როგორიცაა „ფიატი", „პირელი", „ბასტოჯი") დგას წმინდა სათავო ჰოლდინგები, რომლებიც დაკავებულია მხოლოდ ფინანსური კონტროლით და მათზე დამოკიდებული კომპანიების საერთო ხელმძღვანელობით.

იტალიაში სპეციფიკურ საორგანიზაციო ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო ჰოლდინგური კორპორაციები (რომელთაც საფუძვლად უდევს სააქციო კომპანიების მოდელი ოღონდ სახელმწიფოს ხელში საკონტროლო პაკეტით). ყველა ისინი ამა თუ იმ ფორმით ახორციელებენ ტრანსეროვნულ საქმიანობას. ასეთი სახით სახელმწიფო ჰოლდინგები საშუალებას აძლევს მთავრობას თავისი ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებისა სამეურნეო და სოციალური განვითარების სხვადასხვა სფეროში. საერთოეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ჰოლდინგებს შეუძლიათ თავისი მოგების შემცირებაზე წასვლა, რითაც რადიკალურად განსხვავდებიან კერძო საწარმოებისაგან.

თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით სახელმწიფო ჰოლდინგები გამოდიან, როგორც მრავალსაფეხურიანი კონცერნები, რომლებშიც კომპანიათა მნიშვნელოვანი რიცხვი გაერთიანდა სააქციო მონაწილეობის განშტოებული სისტემის საფუძველზე. სათავო ჰოლდინგი, რომელიც არაა დაკავებული უშუალოდ საწარმოო საქმიანობით, აკონტროლებს ქალიშვილ ჰოლდინგებს ისე, რომ, მათში ექნება კაპიტალის ჭარბი წილი. ამასთან ყოველი ქალიშვილი ჰოლდინგიდან მეთაურობს კომპანიის დარგობრივ ჯგუფს, რომელშიც მას გააჩნია საკონტროლო ან ჭარბი მონაწილეობა.

ყველაზე მკაფიო და „ძველი" მაგალითი იტალიაში არის ინდუსტრიის რეკონსტრუქციის ინსტიტუტის (ირი) საქმიანობა, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1930 წ. ირი-ის სახელმწიფო ჰოლდინგები (თხევადი სათბობის ეროვნული სამმართველო), ეფიმი, ჯეპი, სახელმწიფო ბანკი ქმნიდნენ და ქმნიან იტალიური კაპიტალის თავისებურ ორგანიზაციას. მსხვილი სახელმწიფო ჰოლდინგები მოქმედებენ ეკონომიკის საკვანძო და მაღალრენტაბელურ დარგებში მაღალი ეფექტიანობითა და მომგებიანობით, ხელმძღვანელობენ რა ქვეყნის განვითარების ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური სტრატეგიული მიზნებით.

ტეკ-ები ვითარდება ევროპის პატარა ქვეყნებშიც. მათი ფინანსური ჯგუფების ყველაზე მკაფიო მაგალითებს წარმოადგენს: ვალენბერგების ფინანსური ჯგუფი (შვედეთი); შვეიცარიის ფინანსური ჯგუფები — „შვაიცერ-

შის ბანკშელშაფტ“, „შვაიცერშიერ ბანკფერლინტ“; ნიდერლანდებში: „ალ-ხიმინ ბანკ ნედერლანდ“ — „როიალ დატჩ შელი“, „ამსტერდამ — როტერ-დამ ბანკი“ — „ფილიპსი“ — „უნილევერი“; ბელგიაში: „სოსეტი ჟენერალ დე ბელჟიკ“, „ბანკ ბრიუსელ-ლამბერ“ და სხვ.; მილერის ჯგუფი და სხვები დანიაში.

ამ ქვეყნებში საწარმოო და ფინანსური ბაზა უფრო მჭიდროა, ვიდრე მსხვილ ქვეყნებში, იგი დაკავშირებულია უცხოურ კაპიტალთან (EU-ის ჩარჩოებში, როგორც ცნობილია, მიღწეულია ქვეყანა-მონაწილეთა ფირ-მების კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება). გარდა ამისა, ამ ქვეყ-ნებში მიღწეულია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის მაღალი დონე (მაგალითად, ჯგუფ ვალენბერგების კონტროლის ქვეშ იმყოფება მთელი შვედური ეკონომიკის 1/3-ზე მეტი). ამ ქვეყნებიდან ზოგიერთში (მაგალითად, ფინეთსა და ავსტრიაში) ტრადიციულად დიდია სახელმწი-ფო მეწარმეობის როლი საკრედიტო სფეროსა და მრეწველობაში. პატა-რა ევროპული ქვეყნების ფინანსური ჯგუფების ორგანიზაციულ აგებაში არის სხვადასხვაგვარი ელემენტები. ასე, მაგალითად, ბელგიური და შვე-დური ფინანსური ჯგუფებისათვის დამახასიათებელია „პირამიდული“ სტრუქტურა, რომლის წვერზე იმყოფება ჰოლდინგური კომპანია. ნი-დერლანდებში დაჯგუფება ხორციელდება 3-4 უმსხვილესი ბანკის გარ-შემო, მოქმედებს გადახლართული დირექტორატთა მექანიზმები, საოჯა-ხო კავშირები და ა. შ.

19.6. EU-ს განვითარების ტენდენციები

ადრინდელ ევროპაში დიდი ხანია არ ყოფილა ასეთი ეკონომიკური ეიფო-რია. EU-ის ქვეყნები, რომელთა ეკო-ნომიკა ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინ ერთ ადგილს ტკეპნიდა, შევიდნენ ბობოქარი განვითარების ფაზა-ში. ზრდის თავბრუდამხვევი ტემპები რეგისტრირებულია 1999 წ. ირ-ლანდიაში — 8,6%. მაგრამ EU-ის სხვა მონაწილეებმაც უჩვენეს შესა-ნიშნავი მონაცემები: ფინეთი (3,8%), შვედეთი (3,6%), ესპანეთი, ლუქ-სემბურგი და ნიდერლანდები (3,5% — თითოეულს), საბერძნეთი (3,3%), პორტუგალია (3%). თუკი სულ ცოტა ხნის წინ EU-ის ეკონომიკა არსე-ბითად ჩამორჩებოდა აშშ-ს, 2000 წ. იგი პრაქტიკულად დაეწია თავის ძირითად კონკურენტს ზრდის ტემპებით. მშპ-ის ზრდამ შეადგინა 3,4% ამერიკელთა 3,6%-ის შემთხვევაში. მაღალ ფასებს ნავთობზე და სხვა ნედლეულის საქონელზე შეუძლია გამოიწვიოს ინფლაციის ზრდა და ეკონომიკური მატების ტემპების შენელება. EU-ში მიმდინარე ეკონომი-კური აღმავლობა ეყრდნობა ძირითადად საექსპორტო ბუმს, რომელიც

დაკავშირებულია აშშ-სა და აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკის განვითარებასთან, რომელთაც გადალახეს ფინანსური კრიზისის შედეგები, აგრეთვე ევროს დაბალ კურსს.

ქვემოთ მოტანილია ჟურნალ Economist-ის შეფასებითი მონაცემები მშპ-ისა და საცალო ფასების მატების ტემპების შესახებ 2000 წ.

ცხრილი 19.4.

მშპ-ის ზრდის ტემპები და ინფლაციის ტემპები განვითარებულ ქვეყნებში 2000 წ.

%

ქვეყანა	მშპ-ის ზრდა	ინფლაცია
ავსტრალია	3,9	3,3
ავსტრია	3,0	1,2
ბელგია	3,1	1,4
დიდი ბრიტანეთი	3,2	2,0
გერმანია	2,7	1,3
დანია	2,1	2,5
იტალია	2,4	1,9
ესპანეთი	3,9	2,4
კანადა	3,5	2,3
ნიდერლანდები	3,4	2,4
აშშ	3,7	2,7
შვედეთი	3,7	1,4
შვეიცარია	2,2	1,2
საფრანგეთი	3,3	1,0
იაპონია	1,2	- 0,1

წყარო: *БИКИ. — 2000. — №14.*

ევროპული კომისიის პროგნოზით, EU-ის ეკონომიკა მიმდინარე წელს მიაღწევს ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს 1989 წლიდან და უკვე 2001 წ. შეუძლია გაუსწროს ამ მაჩვენებლის მიხედვით აშშ-ს.

უმუშევართა რაოდენობა EU-ის ქვეყნებში უნდა შემცირდეს 2 მლნ ადამიანით — 16,3 მლნ უმუშევრიდან 1999 წ. 14,4 მლნ უმუშევრამდე

2001 წლის ბოლოსთვის. უმუშევრობის დონე დაიწევს 2001 წ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 7,9%-მდე.

EU-დან ექსპორტის მოცულობა, ევროკომისიის მონაცემების მიხედვით, გაიზრდება 8,6%-ით, რაც ამ მაჩვენებლის ყველაზე მაღალ ნაშატს წარმოადგენს 1997 წლიდან. გარდა ამისა, დადებითად გამოიყურება კავშირის შიგნით ცალკეულ ქვეყანათა განვითარების ტემპებში სხვაობის შემცირების პერსპექტივა.

ევროკომისიის ოპტიმისტური პროგნოზები ეყრდნობა მსოფლიოში ევროპულ საქონელზე მზარდ მოთხოვნას და სამუშაო ადგილების რიცხვის ზრდას, რაც გაზრდის სამომხმარებლო ნდობის დონეს და გააუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს.

EU-ის თანამედროვე ეკონომიკაში შეიძლება გამოვყოთ *რიგი ტენდენციები*, რომელთა ნაწილი მსოფლიოს თავისებურ გარდასახვას წარმოადგენს.

1. EU-ში მნიშვნელოვან ტენდენციადაა დასახული, ისევე როგორც აშშ-ში, თავისებური *ახალი ეკონომიკის* წარმოქმნა, რომელიც ეფუძნება მაღალტექნოლოგიურ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექ-ებს. ერთობლივი კაპიტალის მოცულობამ, იზრდება რა 1973 წლიდან EU-ის ქვეყნებში ყოველწლიურად 35-45%-ით, 2000 წელს მიაღწია თითქმის 9 მლრდ დოლარს. 1996 წ. დაწესდა ევროპული საფონდო ინდექსი მაღალტექნოლოგიური კომპანიებისათვის — EASDAQ - რომლის ლისტინგში არის 26 კომპანია 12 მლრდ დოლარის საერთო ღირებულებით. ევროპული მაღალტექნოლოგიური ინდექსის ზრდამ შეადგინა დაახლოებით 100% 1997 წელს და 1998 წელსაც. მისმა გერმანულმა და ფრანგულმა ანალოგებმა — Neuer Markt და Lie Nouveau Marche — მარტო 1998 წლის I ნახევარში აღმოაჩინეს ზრდა 131%-ით და 85%-ით შესაბამისად. 1999 წ. საბირჟო ინდექსები აგრეთვე იმყოფებოდნენ ახალი ეკონომიკის დოპინგის ქვეშ. პირველობის პალმა ეკუთვნის ჰელსინკში საბირჟო ფართობს, სადაც 1999 წ. ინდექსი გაიზარდა 145%-ით! ეს შემთხვევითი არაა, რადგან სწორედ ფინეთი წარმოადგენს ახალი ეკონომიკის ევროპულ ლიდერს, რომელიც, ვფიქრობთ, ყველაზე წინაა წასული საინფორმაციო სიახლეთა ყოველდღიურობაში დანერგვის საქმეში, ხოლო მისი ეკონომიკა ახლა პირდაპირაა დამოკიდებული ტექნოლოგიურ გარღვევაზე. მეზობელი სტოკჰოლმის ბირჟა, აგრეთვე დროს ტყუილად როდი კარგავდა: 71%-ით ზრდა გასული 2000 წლისათვის. შესანიშნავი ჯამური მაჩვენებლებია — პარიზის, ფრანკფურტის, ამსტერდამის, მილანის ბირჟებ-

ზეც. ამ ფონზე, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, ისე იზრდება პატარა საწარმოები საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინოვაციური ბიზნესის (15 ათასი ორი წლის განმავლობაში) სფეროში, ფინანსური ნაკადები ამ სფეროში 1997 წლიდან 5-ჯერ გაიზარდა.[1]

EU-ის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს 2001 წლისათვის უზრუნველყოს ინტერნეტში დაშვება EU-ის ქვეყნების ყველა სკოლისათვის, ხოლო 2002 წლის ბოლოსათვის საკმარისი ოდენობის მასწავლებლები მოამზადოს, რომლებსაც უნარი ექნებათ ისარგებლონ ინტერნეტით. მუშაობის დროს მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ხარჯზე EU ისწრაფვის მოახდინოს გარღვევა მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში. დღეს 15 ქვეყანაში დასაქმებულია მოსახლეობის 61% და დგება ამოცანა 2010 წლისათვის ეს რიცხვი მიიყვანონ 70%-მდე. ყოველივე ამან საშუალება მისცა გერმანიის კანცლერს გ. შრიოდერს განეცხადებინა ლისაბონის შეხვედრის შემდეგ, 2000 წელს, ბუნდესტაგში, რომ 10 წლის შემდეგ EU უნდა გახდეს ყველაზე მიმზიდველი ეკონომიკური ზონა მსოფლიოსათვის.

2. ახალი ტენდენცია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი შემდგომი განვითარებისათვის, ხდება *ტრანსატლანტიკური ეკონომიკის წარმოშობა*. ორი გიგანტური ეკონომიკური ცენტრი — აშშ და EU — პრაქტიკულად ერთმანეთის ტოლი ზომებითა და განვითარების დონით, ახლობელი ცივილიზაციური საფუძვლებით, სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს ეკონომიკურად. აშშ-ის და EU-ის ურთიერთვაჭრობა შეადგენს უკვე 450 მლრდ დოლარზე მეტს ანუ მსოფლიო ვაჭრობის 6%-ს. აშშ-ის წილმა EU-ის საგარეო ვაჭრობაში 2000 წ. 20% შეადგინა. დაახლოებით ასეთივე წელი აქვს EU-ის აშშ-ის საგარეო ვაჭრობაში. უფრო მეტი დაახლოება შეინიშნება პირდაპირი ინვესტიციების სფეროში. დაახლოებით ყველა FDI-ის 66% მიდის აშშ-ში EU-დან. ამერიკულ-ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლენას წარმოადგენს აშშ-ისა და EU-ის კორპორაციათა შერწყმის ტალღა. აქ საკმარისია გავიხსენოთ Daimler-ის და Crysler-ის შერწყმა, აგრეთვე Deutsche Bank-ის და Bankers Trust-ის. ასეთ შერწყმათა და შთანთქმათა საერთო მოცულობა 1999 წლისათვის შეფასებულია 300 მლრდ დოლარად. ეკონომიკური კავშირები ივსება ამერიკული და ევროპული მენეჯმენტების, ასევე ფინანსური სისტემების კონვერგენციით.

---

1. Терехин Н. Новая экономика — лицо современной Европы // Европа. — 2000. — №2.

3. ევროპული ტეკ-ების საერთო განმასხვავებელ ნიშნად და თავისებურ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს მათი საკუთრების სტრუქტურაში კომპანიის შემქმნელთა *დაბალი და კლებადი ხვედრითი წილი* (ისინი აკონტროლებენ კორპორაციათა მხოლოდ 7%-ს), აგრეთვე ბანკების და სხვა ინვესტორების მაღალი და მუდმივად მზარდი ხვედრითი წილი, რომლებიც აკონტროლებენ ტეკ-ებისა და ინსაიდერების დაახლოებით 45%-ს.

4. მნიშვნელოვან ტენდენციას, გამოვლენილს საფრანგეთსა და იტალიაში, წარმოადგენს *სახელმწიფო ჰოლდინგების ნაწილის თანდათანობითი და გაწონასწორებული პრივატიზაცია*. ეს დაკავშირებულია ამ ქვეყნების კორპორაციების მიღწევებთან სიმწიფის განსაზღვრულ დონესთან, რაზეც შეიძლება მოვხსნათ სახელმწიფო საყრდენები. მაგალითად, იტალიის მთავრობა, გამოაცხადა რა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, არ წავიდა იმ „ავრალური" ვარიანტით, რომელიც რეალიზებულ იქნა რუსეთში, არამედ იგი ამ პროცესს ახორციელებს ეტაპობრივად. 1991 წ. დეკემბერში მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ. მასში, კერძოდ, გათვალისწინებული იყო სათაო სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიების —ირი, ენი, ეფიმ, ჯეპი და სხვათა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა და შემდგომ მათი გაყიდვა. სახელმწიფო კომპანიებს, წარმოდგენილით მათი სათავო ჰოლდინგების და მთავრობის მიერ, პერიოდულად გამოაქვთ ბაზარზე გასაყიდად მცირე ოდენობის პარტიებით თავისი აქციები, რომელთა დიდი უმრავლესობა შეისყიდება წვრილი მფლობელების მიერ. თუმცაღა მსხვილი კერძო კომპანიები თავისი ნდობით აღჭურვილი ბროკერების საშუალებით „იჭერენ" ამ აქციათა განსაზღვრულ ნაწილს, მაგრამ მოქმედებს აყიოტაჟური მოთხოვნის ფაქტორი წვრილი მყიდველების მხრიდან, რაც ზრდის სახელმწიფოს მოგებას.

5. ბოლო წლებში სულ უფრო მკვეთრად ვლინდება *ოკეანისიქითა კონკურენტების წინაშე ევროპული კომპანიების გაერთიანების ტენდენცია*. მაგალითად, 2000 წ. დამდეგს კომპანიებმა Telecom Italia SPA და Deutsche Telecom გამოაცხადეს შერწყმის შესახებ. გარიგება შეფასებული იყო 79 მლრდ დოლარად. მოსალოდნელია, რომ ახალ კომპანიას ექნება მოგება 63 მლრდ დოლარის ოდენობით და საბაზრო ღირებულება 200 მლრდ დოლარი, რაც მას ხდის ღირსეულ კონკურენტად ისეთი ტელესაკომუნიკაციო გიგანტებისა, როგორიცაა ამერიკული AT & T და იაპონური NNT. ევროპული ტეკ-ების გაერთიანების ტენდენცია გაძლიერდა გერმანული გიგანტის — Mannesman-ის — მტრული შთანთქმის შემდეგ, რომე-

ლიც შედიოდა Deutsche Bank-ის იმპერიაში, ანგლო-ამერიკული ტელესაკომუნიკაციო კომპანიის Vodafone Airtouch-ის მიერ.

6. ევროპაში, ისევე როგორც აშშ-ში, ბანკები სულ უფრო კარგავენ სტრატეგიულ ინიციატივას. ისინი განვითარებული ელექტრონული კაპიტალის ბაზრის წარმოშობასთან ერთად თმობენ თავის კონკურენტულ უპირატესობებს, რაც გადადის სადაზღვევო კომპანიებსა და საინვესტიციო ფონდებში. მაგალითად, გერმანიაში უმსხვილესი მსოფლიო სადაზღვევო კომპანია Allianz ძლიერ ავიწროვებს ამ ქვეყნის უმსხვილეს ბანკს Deutsche Bank. ბოლო წლებში Allianz-მა საგრძნობი ზიანი მიაყენა ბავარიაში გროსბანკს. იგი უპირისპირებს გროსბანკის ტრადიციულ კავშირებს სახელმწიფოსთან აგრესიულ ტრანსეროვნულ პოლიტიკას და გერმანიისათვის ახალ ანგლო-ამერიკული სახის მენეჯმენტს.

7. *ევროპაში სწრაფად იზრდება შერწყმათა რიცხვი.* თუკი ჯერ კიდევ 1998 წელს აშშ და დიდი ბრიტანეთი ლიდერობდნენ შერწყმათა და შთანთქმათა რიცხვით და ღირებულებით, ხოლო ტერმინი „ტრანსატლანტიკული შერწყმა" უფრო განეკუთვნებოდა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის კომპანიების ინტეგრაციას, კონტინენტალური ევროპის ფირმათა დიდი უმეტესობის შერწყმანი კი ხორციელდებოდა ევროპული ფირმების მიერ, ახლა სიტუაცია პრინციპულად იცვლება. რა თქმა უნდა, 1999 წ. აშშ-ის წილი შერწყმათა და შთანთქმათა ბაზრებზე აჭარბებდა EU-ის ქვეყნების წილს, მაგრამ თუკი პირველი შემცირდა 10%-ით, მეორე გაიზარდა 3-ჯერ მეტად; ამასთან, 1999 წლის ბოლოს ზრდის ტემპები მხოლოდ გაიზარდა.

1999 წ. მტრულ შთანთქმათა წილი გაიზარდა მრავალჯერ. მაგალითად, თუკი 1998 წ. შერწყმათა საერთო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 650 მლრდ დოლარი და მათგან მხოლოდ 2-3 მლრდ დოლარია მტრული, 1999 წელს კი შერწყმათა საერთო ღირებულებამ შეადგინა 1350 მლრდ დოლარი, ხოლო მათგან თითქმის 400 მლრდ დოლარი მტრულია. განსაზღვრული ხარისხით იგი წარმოადგენს ბანკების მიერ მრეწველობის კონტროლზე გაცხადებული უარის შედეგს, რის გამოც აქციათა დიდი მოცულობები კოტირებას განიცდის საფონდო ბაზრებზე.

აღვნიშნავთ, რომ უმეტეს ტრანსატლანტიკურ შერწყმებში დომინირებულ როლს თამაშობს დასავლეთ ევროპის ტეკ-ები, განსაკუთრებით გფრ-ის. მაგალითად, 1999 წ. ევროპული და ამერიკული კომპანიების შერწყმა თავისთავად წარმოადგენს ამერიკული ტეკ-ების ევროპულთა მიერ შთანთქმას (შედარებისათვის აღვნიშნოთ, რომ 1998 წ. მათი წილი შეადგენდა 14%-ს).

8. სხვადასხვა ევროპული ქვეყნების ტეკ-ები ძლიერ განსხვავდება *თავისი შიდა საკადრო პოლიტიკითა და მენეჯმენტის სტილით.* დიდი ბრიტანეთის ტეკ-ები იყენებენ რამდენადმე განსხვავებულ სტრატეგიას საერთაშორისო კოლექტივის ჩამოყალიბებისას. ძალიან ბევრ მსხვილ კომპანიაში უცხოელი მენეჯერები ხდებიან პრეზიდენტები და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეები. ამ თვალსაზრისით, დიდი ბრიტანეთი აჭარბებს სხვა სახელმწიფოებს, სადაც უცხოური ტოპ-მენეჯმენტის როლი მნიშვნელოვნად დაბალია. მსგავსი განვითარების მიზეზები ის არის, რომ დიდი ბრიტანეთი ყალიბდებოდა როგორც მომსახურების ცენტრი (განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში), საბირჟო ცენტრი და ყოფილი კოლონიალური სახელმწიფო, რომელიც ადრე კოლონიებში იყენებდა ადგილობრივ მოსამსახურეებს. უცხოელი მენეჯერები ინგლისური ტეკ-ების ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე არიან ძირითადად ინგლისურენოვანი ქვეყნების წარმომადგენლები (აშშ, ავსტრალია) და ყოფილი კოლონიები (სარ, ირლანდია, სიანგანი, კენია), მაგრამ ზოგიერთი — საფრანგეთიდანაც კი. ფრანგული ტეკ-ები კი, პირიქით, ძალიან ფრთხილად უდგებიან სხვა სახელმწიფოთა ტეკ-ებთან თანამშრომლობის პერსპექტივებს, აგრეთვე შერწყმებს და შეერთებებს. უდავოა, რომ საფრანგეთის ტეკ-ები მონაწილეობენ MCA-ში, მაგრამ უფრო ნაკლები ხარისხით, ვიდრე გერმანული და ამერიკული. ფრანგული ტეკ-ები ისწრაფვიან ქვეყნის შიგნით ინტეგრაციისკენ და არა საერთაშორისო შერწყმებისკენ. 1999 წ. საფრანგეთის ტეკ-ებმა შეიძინეს უცხოური კომპანიები 126 მლრდ დოლარის აქტივებით. იმავდროულად FDI-ები ფრანგულ კომპანიებში შეადგენს მხოლოდ 36 მლრდ დოლარს და ძირითადად ხორციელდება პატარა კომპანიებში. თუმცა შეუძლებელია უარყოფა სულ უფრო მზარდი დამოკიდებულებისა საფრანგეთის ტეკ-ებისა საგარეო ინვესტორებზე. კერძოდ, მათ მიერ კონტროლდება მნიშვნელოვანი პაკეტები: ოთხიდან სამი სიდიდით უმსხვილესი საფრანეთის ტეკ-ებს აქტივებისაა, ხოლო მეოთხე ადგილზე მყოფი Rhone-Poulenc-ს გააჩნია აქციათა საკონტროლო პაკეტი (51,6%).

შევაჯამოთ ბოლო განყოფილებებში ნათქვამი.

1. დღეისათვის EU უკვე გახდა ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალით, დაახლოებით ტოლი აშშ-ის და იაპონიის შეჯამებული პოტენციალის, ასევე მკაფიოდ გამოხატული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის სტრუქტურით.

2. EU-ის კონტინენტალური ქვეყნების ეკონომიკური მოდელები ატარებენ სოციალურად ორიენტირებულ ხასიათს. მათთვის დამახასიათებელია მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის მაღალი ხვედრითი წონა (დაახლოებით 50%) სახელმწიფოს აქტიური როლი ეკონომიკაში და საკმაოდ მძლავრი სახელმწიფო სექტორი. ბოლო წლებში ამ ქვეყნების უმრავლესობის სათავეში იმყოფებიან სოციალისტური მთავრობები. მაგრამ პრაგმატული მიდგომით გლობალური მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებისადმი, ისინი ახორციელებენ ლიბერალურ რეფორმებს, რომელიც სახელმწიფოს როლს ამცირებს. დიდ ბრიტანეთში შექმნილია ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, შუალედური მდგომარეობით ამერიკულსა და კონტინენტალურს შორის.

3. ევროპული ტრანსეროვნული კაპიტალისათვის დამახასიათებელია ბევრად უფრო მჭიდრო კავშირი სახელმწიფოსთან, ვიდრე ამერიკულისათვის. ევროპული ტეკ-ის წამყვან ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს კონცერნი, ამასთან გერმანიაში კორპორაციის სათავეში იმყოფებიან ბანკები, ხოლო საფრანგეთში — სამრეწველო საწარმოები. იტალიისა და საფრანგეთისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო ჰოლდინგები, რომლებიც სავსებით წარმატებით უწევენ კონკურენციას კერძო კორპორაციებს.

4. EU-ის ეკონომიკა დღეს აღმავლობას განიცდის, თუმცა იგი გამოწვეულია ძირითადად ექსპორტის ზრდით აშშ-სა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ასევე სუსტი ევრო-თი. EU-ში, ისევე როგორც აშშ-ში, უკვე შექმნილია ახალი ეკონომიკა, რომელიც აერთიანებს მაღალტექნოლოგიურ საწარმოებს. ახალ მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს EU-ის და აშშ-ის ეკონომიკათა შეზრდა და ახალი ტრანსატლანტიკური ეკონომიკის წარმოშობა. სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში EU ჯერჯერობით ჩამორჩება კონკურენტებს. თუკი ევროპული ქვეყნები შეძლებენ განახორციელონ მათ მიერ ჩაფიქრებული რეფორმები და ეკონომიკის საინფორმაციო სექტორს განავითარებენ, მაშინ ახალი ევროპული ფედერაცია შეძლებს უახლეს მომავალში გახდეს მსოფლიო ლიდერი.

თავი 20

იაპონია და ნარმოების აზიური წესი

იაპონიის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები. გენეზისი და ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა. იაპონური ეკონომიკური მოდელი. აზიური საოცრებები და კრიზისები. იაპონური ტეკ-ების საიდუმლოებები. იაპონური ეკონომიკის განვითარების ტენდენციები. ვინ გახვრიტა იაპონური „საპნის ბუშტი"? იაპონია დარტყმის შემდეგ გონს მოვიდა. ვეფხვების ახალი შეტევა

იაპონიას თანამედროვე ეკონომიკურ მსოფლიოში სრულად განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია. იგი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში შეძლო განეხორციელებინა გადასვლა ფანტასტიკური ტექნოლოგიური მდგომარეობიდან ეკონომიკურ და ტექნოლოგიური ძლიერების მწვერვალებისაკენ. ვერც ერთმა სხვა ქვეყანამ, რომელიც გენეტიკურად ევროპულ ცივილიზაციას არ ეკუთვნოდა, ვერ შეძლო მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა-ლიდერების რიცხვში სრულუფლებიანად შესვლა. იაპონია მოკლე პერიოდის განმავლობაში არა მარტო დაეწია ამერიკასა და ევროპას, არამედ 80-იან წლებში, მათი გულის გასახეთქად, თითქმის ყველა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გაუსწრო კიდეც მათ. თუმცა იაპონიის ლიდერობა ხანმოკლე აღმოჩნდა, სამაგიეროდ ამ მაგალითმა ყველა განვითარებად ქვეყანას, უპირველეს ყოვლისა კი, მის მიმდევარ სამხრეთაღმოსავლეთ აზიის „ვეფხვებსა" და „დრაკონებს", ასევე დიდ ჩინეთს დაანახა ეკონომიკური აყვავების შესაძლებელი გზა. ამ მაგალითმა უარყო გავრცელებული აზრი თავისებური აზიური წარმოების წესის, უპერსპექტივობისა და კონფუციანურ-ბუდისტური ცივილიზაციური რესურსების ეკონომიკური არაეფექტიანობის შესახებ. *თანამედროვე იაპონია — ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში 3,9 ტრლნ დოლარის ოდენობის მშპ-ით, 127,4 მილიონიანი მოსახლეობითა და მოსახლეობის ერთ სულზე 30,7 ათასი დოლარის მშპ-ის ოდენობით. იაპონია — მსოფლიოში კაპიტალის უმსხვილესი ექსპორტიორია, მეორე სამრეწველო სახელმწი-*

ფო, რომელსაც მე-3 ადგილი უკავია პროდუქციის ექსპორტით. მიუხედავად ბოლო წლების წარუმატებლობისა, იაპონიის ეკონომიკა კვლავ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანია და თავის უპრეცენდენტო აღმასვლას მნიშვნელოვანწილად უნდა უმადლოდეს ერის უმდიდრესი ცივილიზაციური რესურსების ბრწყინვალე გამოყენებას.

20.1. იაპონიის ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები

იაპონია დაახლოებით 6800 კუნძულისგან შედგება, რომლებიც წყნარ ოკეანეშია განლაგებული, აღმოსავლეთ აზიის სანაპიროს სიახლოვეს, მათი საერთო ფართობი 378 ათას კვ. კმ-ს შეადგენს. ამასთან, ქვეყნის ტერიტორიის 99% მოდის ოთხ უმსხვილეს კუნძულზე. ესენია: ხოკაიდო, ხონსიუ, სიკოკუ და კიუსიუ. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იაპონური არქიპელაგის სიგრძე დაახლოებით 3000 კმ-ს შეადგენს. იაპონიის დიდი ნაწილი მდებარეობს თბილ კლიმატურ ზონაში მკვეთრად გამოხატული წელიწადის დროებით. ვინაიდან ამ კუნძულოვანი ქვეყნის თანამედროვე ფორმა ჩამოყალიბდა ვულკანური და ტექტონიკური აქტიურობისა და მისი გავლენის გამო სანაპირო ზოლის ცვლილებების შედეგად, იაპონიის ლანდშაფტი გამოირჩევა განუმეორებელი მშვენიერებით. დიდებული მთიანი მასივების გასწვრივ, რომელთაც დაახლოებით ტერიტორიის 3/4 უკავია, ვიწრო დაბლობებია გადაჭიმული. იაპონიის პოეტურ სიმბოლოდ ფუძიამას მთა იქცა — ქვეყნის ყველაზე მაღალი მწვერვალი, რომლის სიმაღლე 3776 მ-ს აღწევს. აქ დროულია მოვიგონოთ უკვე ჩვენს მიერ არა ერთხელ ნახსენები ლანდშაფტის გავლენის თეორიები ეროვნულ ხასიათზე: შეიძლება ეს საოცარი დამთხვევაა, მაგრამ სწორედ კუნძულოვანი ცივილიზაციები — დიდი ბრიტანეთი და იაპონია — თამაშობს წამყვან როლს თანამედროვე მსოფლიოში. ამასთან, იაპონია ახდენს ისეთივე შესამჩნევ გავლენას ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე, როგორც დიდი ბრიტანეთი — აშშ-სა და ერთა ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებზე.

იაპონიის მოსახლეობა დაახლოებით 126 მლნ ადამიანს შეადგენს. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ქვეყანას მსოფლიოში მე-8 ადგილი უკავია, რამდენადმე ჩამორჩება რა რუსეთს. იაპონიის 11 უმსხვილეს ქალაქში, რომელთა მოსახლეობა 1 მლნ-ს აჭარბებს, ისეთებში, როგორიცაა ტოკიო (7,97 მლნ ქალაქის ფარგლებში), იოკოგამა (3,31 მლნ), ოსაკა (2,6 მლნ), ნაგოია (2,15 მლნ) თავმოყრილია მთელი მოსახლეობის 20%. იაპონია ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში. 1 კვ. კმ-ზე საშუალოდ მოდის 337 კაცი, ხოლო ისეთი მსხვილი

ქალაქების რაიონებში, როგორებიცაა ტოკიო, ოსაკა, ნაგოია მოსახლეობის სიმჭიდროვე უფრო მაღალია.

სიცოცხლის ხანგრძლივობა — მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც ერის ჯანმრთელობის მდგომარეობას და სიცოცხლის ხარისხს ახასიათებს. იაპონიაში მამაკაცები ცოცხლობენ საშუალოდ 77,1 წელს, ხოლო ქალები — 83,8 წელს (1997 წლის მონაცემების მიხედვით). ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ოჯახი იაპონელისთვის მთავარი სასიცოცხლო ღირებულებაა. იქ გაყრა იშვიათობაა, განსხვავებით მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან. თანამედროვე იაპონურ ოჯახებში, როგორც წესი, ორზე მეტი შვილი არაა. ყველა იაპონური ოჯახის დაახლოებით 11% შედგება სამი თაობისაგან.

იაპონელებს უყვართ და ფაქიზად აღიქვამენ ბუნებას, მათ საათობით შეუძლიათ აყვავებული საკურათი ან ქვების ბაღით ტკბობა. ბუნების გაღმერთება — ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა კუნძულზე ცხოვრებას არ შეიძლება იდეალური ეწოდოს. წლის განმავლობაში იქ 1700 მმ-მდე ნალექი მოდის — მეტი, ვიდრე წვიმიან დიდ ბრიტანეთში. ამას ემატება ტაიფუნები და ტროპიკული თავსხმა წვიმები, ცუნამები და მიწისძვრები, რომლებიც იქ იშვიათ სტუმრებს როდი წარმოადგენენ.

ვერ ვიტყვით, რომ ბუნებამ უხვად დააჯილდოვა იაპონია. პირიქით, გარდა მისი კუნძულების საოცარი სილამაზისა, მან ძალიან ცოტა მისცა მათ. *ქვეყნის სასარგებლო ნიადაგეულის მარაგი* შემოიფარგლება მცირე რაოდენობის ქვანახშირით, კირქვითა და გოგირდით. ყველა დანარჩენი ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ამ მთიანი ქვეყნის მხოლოდ 13%-ია გამოსადეგარი სოფლის მეურნეობისათვის. სამაგიეროდ, ძალიან ბევრ პროდუქტს იძლევა ზღვა და სწორედ ესაა ძირითადი იაპონელთა რაციონში.

იაპონური ცივილიზაცია სამ ვეშაპს ეყრდნობა: სინტოიზმს — იაპონიის ეროვნულ რელიგიას, რომელიც შთააგონებს მათ ქვეყნის ღვთიურ და მეტად ამაღლებულ დანიშნულებას; ბუდიზმს — რომელიც ასწავლის გამძლეობას და სიჯიუტეს მიზნის მიღწევისას; და ბოლოს, კონფუციანელობას, რომელიც სახელმწიფოს და საზოგადოების მკაფიო იერარქიული აგებულების აუცილებლობას ქადაგებს.

როგორც იაპონიის განვითარების გამოცდილებამ გვიჩვენა, მდიდარ და სათანადო სახით გამოყენებულ ცივილიზაციურ რესურსებს შეუძლია უმეტესწილად ბუნებრივი რესურსების უქონლობის კომპენსირება. *საინტერესოა, როგორია იაპონიის და ასევე მისი მიმდევარი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კონტინენტალური ქვეყნების ცივილიზაციური მო-*

დელის ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ ერთმანეთის მიყოლებით მოახდინონ ეკონომიკური საოცრებები?

1. *ტრადიციული პატრიარქალურ-ავტორიტარული მორალი*, რომელიც სამეურნეო უპასუხისმგებლობის და ფუფუნების მიმართ შეუწყნარებლობის კლიმატს ქმნის როგორც სამეწარმეო ელიტის, ასევე მშრომელთა მხრიდან. ეს ფაქტორი დაგროვების საოცრად მაღალ წილს უზრუნველყოფს, რაც იაპონელებისთვის დამახასიათებელია; იგი ქვეყნის მშპ-ის მესამედზე მეტს შეადგენს.

2. *კონფუციანურ-გუდისტური ელიტა, რომელიც ისეთ ღირებულებებს მოიცავს, როგორიცაა გულმოდგინება, მომჯირნეობა და მკაცრად რეგულირებული ურთიერთობა ადამიანებს შორის*. ეთიკით განსაზღვრულია ხუთი ძირითადი დამოკიდებულება: მმართველ — ხელქვეითი; მამა — შვილი; უფროსი ძმა — უმცროსი ძმა; ქმარი — ცოლი; ორი მეგობარი. თითოეულ ამ ურთიერთობათაგანი ძალზე მკაცრადაა რეგლამენტირებული და გააჩნია ისეთივე ცივილიზაციური მნიშვნელობა, როგორც ათ მცნებას ქრისტიანულ საზოგადოებაში. იაპონელი და სხვა აზიური, აგრეთვე კომპანიათა და სახელმწიფოთა ლიდერების ქცევის ანალიზისას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მათში ყოველთვის რეალიზდება ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი ურთიერთობიდან ერთ-ერთი. მაგალითად, ომისშემდგომ პერიოდში სსრკ-ის და ჩსრ-ს შორის მოხერხდა „უფროსი ძმა — უმცროსი ძმის" ტიპის ურთიერთობის მოგვარება, ხოლო ამ ურთიერთობის ნგრევა ნაწილობრივ უკავშირდება უფროსი ძმის როლის სხვადასხვანაირ გაგებას ჩინელებისა და რუსების ძიერ. ძირითადად ურთიერთობათა სისტემა მკაცრად აყალიბებს იაპონური საზოგადოების სტრუქტურას და მასზეა დაფუძნებული ყველა ორგანიზაცია — მსხვილი კორპორაციიდან პატარა საოჯახო ფირმამდე. იგი იაპონური ეკონომიკის მკაცრ, იერარქიულ კარკასს ქმნის და საფუძვლად უდევს სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობათა საკმაოდ ეფექტიან იაპონურ მოდელს.

3. კონფუციანური ტრადიციის თანახმად, სახელმწიფოსთვის დასაბამიდანვე ნიშანდობლივია მსოფლიოს ორგანული წესრიგისადმი დამორჩილება, ამიტომ *კონფუციანურ-გუდისტური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია ეტატისტური, სახელმწიფო კულტურის ქვეშევრდომული სამსახური*. სახელმწიფო, ბიზნესთან თავისი ურთიერთმოქმედების რეალიზაციას ახდენს „მმართველი — ქვეშევრდომის" დამოკიდებულებით და თუნდაც მარტო ამით იგი იძენს უცილობელ ავტორიტეტს და

უზარმაზარ მორალურ ძალაუფლებას. იაპონიის სამთავრობო უწყებები მუდმივად გამოდიან ინოვაციების, ფინანსური გარანტებისა და ეკონომიკური განვითარების მზრუნველთა როლში. ამიტომ იაპონიისათვის დამახასიათებელია სახელმწიფო მართვის პროგრამული სტილი, როდესაც, მაგალითად, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო პასუხს აგებს თხევადი კრისტალების და ბიოტექნოლოგიების ელექტრონიკის პროგრამის განვითარებაზე ცხოვრებაში, საითკენაც ამჟამად მიმართულია მსხვილი სახელმწიფო დაბანდებები. სახელმწიფო კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობს იმავე ცივილიზაციის კუთვნილ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. სინგაპურში განხორციელებულ იქნა ორი ხუთწლიანი და ორი ათწლიანი გეგმა, ხოლო ტაივანზე — ექვსი ოთხწლიანი და ერთი ხუთწლიანი გეგმა.

4. ურთიერთობათა კონფუციანური სისტემა საშუალების იძლევა დამატებითი დანახარჯების გარეშე ძალაუფლების ვერტიკალის უზრუნველყოფას ცენტრიდან „ყველაზე შორეულ კიდეებამდე", რაც დღეს ესოდენ აკლია რუსეთს. იგი აპრიორულად წარმართავს და მხარს უჭერს სახელმწიფო ძალაუფლების მკაცრ სტრუქტურას, რაც, უდავოდ, სასიკეთოდ მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

5. ასწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებული ვერტიკალური მოდელი ხელს უწყობდა თანამედროვე *კონფუციანური კაპიტალიზმის ვერტიკალური მოდელის* შექმნას. ამ მოდელში ეკონომიკის ჩონჩხს ქმნის მსხვილი, ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციები, რომლებიც აწარმოებენ ტექნოლოგიურ და კაპიტალტევად პროდუქციას. სახელმწიფოს ენიჭება შუამავლის როლი ამ კორპორაციებსა და საზოგადოებას შორის. ძირითადი განსხვავება დასავლურ და კონფუციანურ კაპიტალიზმს შორის მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ გადაწყვიტონ სოციალური პრობლემები მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ჩნდება, ხოლო აზიურები კი — ისწრაფვიან ისეთი პოლიტიკის გატარებისაკენ, რომ ასეთი პრობლემები არ წარმოიშვას. მათი პატერნალისტური ეთიკური ნორმების დონეზე გამყარებული პოზიცია საშუალებას იძლევა რბილად, მაგრამ მუდმივად მიუთითოს კორპორაციებს იმაზე, რომ რისი გაკეთებაა საჭირო სოციალური თანხმობის უზრუნველსაყოფად.

6. კონფუციანურ-ბუდისტური რელიგიური ტრადიცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ლოიალურობა, სიმშვიდე, ჰარმონია, კოლექტივიზმი, დავალების გულდასმით შესრულება, სრულყოფილების მიღწევა ნებისმიერ საქმეში. აქ ზეიმობს მო-

ვალეობა, იერარქია, პიროვნების დაქვემდებარება ჯგუფის ინტერესებისადმი. ყოველივე ეს იდეალურად უხდება მსხვილმასშტაბიანი სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის საქმეს. იაპონიაში განვითარდა „ადაპტირებული კოლექტივიზმის" სისტემა, რომელშიც კოლექტივის ყველა წევრი ემორჩილება მის წესებს, თუმცა ფლობს შემოქმედების და გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ თავისუფლებას. წარმოიშვა ურთიერთდამოკიდებული ინდივიდუალიზმის მოდელი: პიროვნებას შეუძლია თვითგამოხატვა მხოლოდ სხვა ადამიანებზე თავისი დამოკიდებულების აღიარებით, მუდმივი ურთიერთკავშირით მათთან. ამ მოდელის ბაზაზე განვითარდა „ხარისხის წრეები" და იაპონელ მშრომელთა სხვა ცნობილი ფორმები.

7. კოლექტივიზმი ძალზე მტკიცედ შევიდა იაპონური საზოგადოების ცხოვრებაში. ამან ასახვა ჰპოვა იაპონურ ანდაზებში: „სადაც ადამიანები დარდობენ, იდარდე შენც", „არ შეუშინდე ცოტა მოხრას, კარგად გასწორდები", და ყველაზე ცნობილი — „გამოშვერილ ლურსმნებს მანამდე უნდა ურტყა, სანამ ხელში არ ჩაიმალება". „ლურსმნების დაჭედების" იდეოლოგია იაპონური ორგანიზაციულ კულტურას მყარად უდევს საფუძვლად. ამიტომ ამ ქვეყანაში არნახული შემსრულებლურობა შერწყმულია საკუთარი საქმის წარმოებაში გადაწყვეტილების მიღებისას გარკვეულ გაუბედავობასთან. მაგალითად, იაპონელები, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მცხოვრებლებთან შედარებით, ძალზე იშვიათად მიმართავენ სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე. სასამართლოსადმი მიმართვა ზარალის ანაზღაურების მიზნით იაპონური საზოგადოების თვალში ჯერ კიდევ გამოიყურება, როგორც გამოძალვა, ამიტომ ნებისმიერი მოგებული სასამართლო პროცესი ურტყამს მოსარჩელეს პირად პრესტიჟს.

8. სინტოიზმი საშუალებას იძლევა ამ რელიგიის აღსარებისა სხვა რელიგიების პარალელურად. შესაძლოა, ასეთი *თანდაყოლილი რჯულშემწყნარებლობა იაპონელებს საშუალებას აძლევს იოლად გადალონ კულტურული, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინოვაციები.* IV ს-ში იაპონიამ გადაიღო ჩინური იეროგლიფები და ისე გამოიყენა, რომ შექმნა, ჩინურისგან სავსებით განსხვავებული, დამწერლობა. ხოლო XIX ს-ის ბოლოს იაპონია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა 100%-იანი წიგნიერებით. როდესაც 1869 წელს იაპონელი მეცნიერი — ფუკუზავა პირველად თარგმნიდა დამოუკიდებლობის ამერიკულ დეკლარაციას, მან ვერ შეძლო ადეკვატურად გადაეთარგმნა საკვანძო სიტყვა „თავისუფლება", ვინაიდან ყველა მის იაპონურ ანალოგს ჰქონდა ნეგატიური შეფერილობა. ახლა კი იაპონია აზიაში „თავისუფალი" მსოფლიოს საყ-

რდენია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელებმა გამოავლინეს ადაპტირების სასწაულები, მიიღეს და აითვისეს რა მათთვის სრულიად უცხო ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც შესთავაზეს ამერიკელმა პროფესორებმა, ხოლო ამერიკელმა სამხედროებმა დანერგეს. უკვე 80-იან წლებში კი თავად ამერიკელი პროფესორები და მეწარმენი მიდიოდნენ იაპონიაში, რათა შეძლებისდაგვარად შეესწავლათ სასწაულმოქმედი იაპონური მენეჯმენტი. 60-70-იან წლებში იაპონელები დიდი მასშტაბით ყიდულობდნენ ტექნოლოგიებზე უცხოურ პატენტებსა და ლიცენზიებს, ხოლო 10-20 წლის შემდეგ კი იაპონია გახდა ერთ-ერთი ყველაზე ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც ქმნის პრაქტიკულად ახალ ტექნოლოგიებს ეკონომიკის ყველა პერსპექტიულ დარგში. ინოვაციების აღქმის უნარი შესანიშნავია, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი და შესაძლოა იაპონური ცივილიზაციის გამოუვლენელი თვისებაა.

იაპონია — არის სახელმწიფო მართვის დემოკრატიული სისტემით. პარლამენტი — იაპონიაში სახელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ძალაუფლების სამი შტოდან ერთ-ერთს — საკანონმდებლოს — წარმოადგენს. იგი ორი პალატისგან შედგება: წარმომადგენლობითი პალატისაგან და მრჩეველთა პალატისაგან. პარლამენტი იღებს ბიუჯეტს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების რატიფიცირებას, შეაქვს წინადადებები კონსტიტუციაში შესწორებების შესახებ. იგი თავისი რეზოლუციით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს დეპუტატებისგან. მინისტრთა კაბინეტი, კანონის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრისგან და მინისტრებისგან შედგება; მას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მინისტრთა კაბინეტი წარმოადგენს სახელმწიფო ძალაუფლების მეორე აღმასრულებელ შტოს. მის წევრთა უმრავლესობა სამთავრობო უწყებების და სამინისტროების მეთაურები არიან.

ძალაუფლების მესამე შტოს, ისევე როგორც ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სასამართლო წარმოადგენს. უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის 15 დამოუკიდებელი მოსამართლე. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

იაპონიის იმპერატორი — ერის ერთიანობის და სახელმწიფოს სიმბოლოა. იმპერატორი ახორციელებს მხოლოდ აქტებს, რომლებიც კონსტიტუციით განმტკიცებულ სახელმწიფო საქმეებს ეხება; მას არ შეუძლია ძალაუფლების განხორციელება მთავრობაზე. ამჟამინდელი იმპერატორი აკიხიტო ტახტზე 1989 წელს ავიდა. მას და მის მეუღლეს — მიტიკოს სამი შვილი ჰყავთ.

20.2. იაპონიის ეკონომიკური მოდელის გენეზისი და სტრუქტურა

VII ს-დან დაწყებული XVIII ს-მდე იაპონიაში ბატონობდა ფეოდალიზმი. მისი თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ემყარებოდა მებრძოლ-სამურაებს, რომელთაც ღირსების თავისებური კოდექსი გააჩნდათ უპირობო ერთგულების იდეით თავისი პატრონის მიმართ; მისი დარღვევა იწვევდა „სახის დაკარგვას", პატივის აყრასა და რიტუალურ თვითმკვლელობას — ხარაკირის. ვინაიდან სამურაებიდან თანდათანობით სახელმწიფო და სამხედრო აპარატი ჩამოყალიბდა, აგრეთვე ინტელიგენცია, სამურაების ღირსების კოდექსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იაპონური ეკონომიკური ინსტიტუტების ფორმირებაში.

1192 წლიდან 1868 წლამდე იაპონიას მართავდნენ სეგუნები (მხედართმთავრები). უნდა ითქვას, რომ იაპონიაში ბატონყმობა არ არსებობდა და გლეხები ფორმალურად თავისუფალნი იყვნენ. ისინი საამქროებსა და გილდიებში გაერთიანებულ მოქალაქე-ხელოსნებზე მაღალ წოდებად ითვლებოდნენ, ისევე როგორც დასავლეთში. ტოკუგავას (1603-1868 წწ.) ბოლო სეგუნები ატარებდნენ იაპონიის უცხოელთაგან „ჩაკეტვის" პოლიტიკას. 1854 წ. ამერიკელმა ესკადრებმა აიძულეს იაპონელები თავისი პორტები გაეხსნათ და უკვე 1868 წელს სეგუნთა მთავრობა დაემხო და ძალაუფლება გადავიდა 16-წლის იმპერატორ მუცუხიტოს ხელში. მოხდა მეიძის რევოლუცია ანუ გადასვლა განმანათლებლურ მმართველობაზე („მეიძის" სიტყვასიტყვით თარგმანი).

ახალმა მთავრობამ სასწრაფოდ განახორციელა აგრარული რეფორმა, რომლის მიხედვითაც მიწის ნადელების ყველა მფლობელი მის მესაკუთრეებად ცხადდებოდნენ, ამასთან ნება-დართული იქნა მიწის ყიდვა-გაყიდვა, ე. ი. გააკეთა ის, რასაც მთელი 90-იანი წლები თავს აკლავს რუსეთის ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, ჩატარდა სახელმწიფო დაწესებულებათა პრივატიზაცია, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა ცნობილი საოჯახო ფირმები — მიცუი, მიცუბისი, ფურუკავა, იასუდი და სხვ. უკვე XX ს-ის დამდეგისათვის ისინი გარდაიქმნენ სავსებით თანამედროვე კონცერნებად. ელვისებურად ვითარდებოდა საბანკო სისტემა. იმავდროულად ჩაისახა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. 1895 წელს მიიღეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ათწლიანი გეგმა, რომელიც მილიტარიზაციის კურსს უშერდა მხარს. გეგმა ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული, ამის საბუთად გამოდგება იაპონიის გამარჯვება ბევრად უფრო მძლავს რუსეთზე 1904-1905 წლების ომში.

გამარჯვების შემდეგ ეკონომიკური ზრდა კიდევ მეტად დაჩქარდა. ასე, გემების ტონაჟი 1905-1907 წლებისათვის გაორმაგდა, თუჯის და ფოლადის გამოდნობა 1905 წლიდან 1914 წლის ჩათვლით 10-ჯერ გაიზარდა. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918 წწ.) იაპონია მონაწილეობდა ანტანტის მხარეს, გერმანიის წინააღმდეგ. თუმცაღა იაპონური მონაწილეობა საკმაოდ შეზღუდულ ხასიათს ატარებდა. მან უბრალოდ დაიპყრო აზიის თითქმის დაუცველი გერმანული კოლონიები, რომლის დროსაც 2000 ადამიანი დაკარგა. მიუხედავად ამისა, ქვეყანა ომიდან გამოვიდა, როგორც გამარჯვებული სახელმწიფო აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. გარდა ამისა, მონაწილეობდა ინტერვენციაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მისმა ჯარებმა ჩრდილოეთ სახალინი მხოლოდ 1925 წელს დატოვეს.

1914-1918 წლებში იაპონიის მშპ გასამმაგდა, გემთმშენებლობაში კი მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოში და ქვეყანამ დაიკავა გაბატონებული პოზიცია აზიურ ვაჭრობაში. ომის შემდეგ იაპონია აგრძელებდა მილიტარიზაციის კურსს და მიაღწია სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. ასე, მაგალითად, 1918 წლიდან 1929 წლის ჩათვლით მანქანათმშენებლობის სიმძლავრეები გაიზარდა 4-ჯერ. საოჯახო კონცერნები — ძაიბაცუ — აერთიანებდა ათეულობით კომპანიას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. ისინი თანამედროვე ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების — სიუდანების — პირველსახე გახდა.

იაპონია ემზადებოდა ახალი ომისათვის. 1931-1938 წლებისათვის მეტალურგიული პროდუქციის წარმოება გაიზარდა 10-ჯერ, ხოლო მანქანათმშენებლობა — 6,7-ჯერ. მძიმე მრეწველობის წილი გაიზარდა 31,4%-დან 60,8%-მდე. იაპონიამ იდეოლოგია ააგო სინტოიზმზე დაყრდნობით, რომელსაც საფუძვლად ედო იაპონელი ერის ღვთაებრივი დანიშნულება, იმპერატორის ძალაუფლების ღვთაებრივი წარმომავლობა. ლოზუნგით „აზია აზიელებისათვის“ (უფრო ზუსტად კი, იაპონელებისათვის) ქვეყანა ომში ჩაება აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ფაშისტური გერმანიის მხარეზე. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკის არნახული დაძაბულობისა (1937-1944 წლებისათვის ძაიბაცუმ სამხედრო წარმოება 3,4-ჯერ გაზარდა) და იაპონელი ხალხის გმირობისა, ქვეყანამ დამანგრეველი მარცხი განიცადა, დაკარგა რა 2 მლნ ადამიანი.

იაპონიამ განიცადა საოცრად სასტიკი მასირებული დაბომბვა, მათ შორის ბირთვულიც, და საშინლად განადგურდა. ქვეყნის უმაღლესი ძალაუფლება გადავიდა ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლების ხელში, გენერალ დ. მაკარტურის მეთაურობით. ჩინეთში პოზიციების დაკარგვამ

აშშ-ს იაპონია ამოარჩევინა თავის სტრატეგიულ მეკავშირედ აზიაში, ამიტომაც შეუდგა მისი ეკონომიკის აღორძინებას. გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის თანახმადაც, პრაქტიკულად სავსებით მოისპო სამამულო საკუთრება მიწაზე. ხდებოდა მიწის გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ და მათი მიყიდვა ყოფილ არენდატორებზე. პირველი ხუთი ომისშემდგომი წლის განმავლობაში გლეხ-მესაკუთრეთა რაოდენობა გაიზარდა 1,9 მლნ-დან 3,8 მლნ ადამიანამდე. დაშლილი იქნა ძაიბაცუ, ხოლო მათი აქციები იყიდებოდა ამ კომპანიების თანამშრომლებს შორის. ფინანსური საკითხების დარგში მრჩეველმა, დეტროიტის ბანკის პრეზიდენტმა დ. დოდჟიმ შეიმუშავა იაპონიის დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტის და ფასებზე სახელმწიფო კონტროლის პროექტი. დაფიქსირებულ იქნა იენის კურსი დოლარის მიმართ 350 იენის დონეზე, რომელიც ფიქსირებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა 22 წელი, 1972 წლის ბოლომდე.

იაპონიისათვის სასტარტო პირობები საოცრად მძიმე იყო. ამასთან დაკავშირებით, ისტორიამ შემოინახა შემდეგი ეპიზოდი: 50-იან წლებში მოლაპარაკებების დროს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მიერ დასმულ კითხვაზე: „არის კი იაპონიაში საქონელი, რომლის ექსპორტირებას შეძლებდა ქვეყანა?“ იაპონელებმა ასე გასცეს პასუხი: „არის. აბრეშუმის ნედლეული და მარგალიტი“. უკვე 20 წლის შემდეგ კი იაპონია გახდა უმსხვილესი ექსპორტიორი სახელმწიფო. ეს კი ოპტიმიზმს გვმატებს თანამედროვე რუსეთის მიმართ.

1951 წელს სან-ფრანცისკოში იაპონიამ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო 48 ქვეყანასთან (სსრკ-მა ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა). ძალაუფლება იაპონურ მთავრობას გადაეცა. იმავე წელს მიღწეულ იქნა წარმოების ომამდელი დონე. 50-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო ეკონომიკის არაჩვეულებრივი სწრაფი ზრდა, რასაც „იაპონური სასწაული“ ეწოდა. 1951-1970 წლებში სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ნამატი 15,2%-ს შეადგენდა, იმ დროს, როცა იგი გფრ-სა და იტალიაში იყო 4-ს, საფრანგეთში — 6,2-ს, აშშ-ში 4-ს, დიდ ბრიტანეთში — 3%-ს უდრიდა. 1961-1970 წლებში მშპ-ის ზრდის საშუალო ტემპი 11%-ს შეადგენდა, ხოლო ინვესტიციები ძირითად კაპიტალში მშპ-ის 40%-მდე აღწევდა.

იაპონია ახერხებდა ზრდის მაღალი ტემპების შეხამებას ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნებთან. 1950-1965 წლებში ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობოდა შრომატევად დარგებს (საფეიქრო მრეწველობა, მარტივი სამომხმარებლო საქონლის წარმოება). ეს იყო ტექნოლოგიური მოდერნიზაციის, პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს და ა. შ. შესყიდვების უპრეცედენტო პერიოდი. 1945 წლიდან 1969 წლამდე, ქვეყანამ ისესხა

და თავისთან დანერგა 10 ათასზე მეტი უახლესი ტექნოლოგიური პროცესი. 50-იანი წლების ბოლოს და 70-იანი წლების დამდეგამდე დომინირებას იწყებს მძიმე და ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია, გემთმშენებლობა. 60-იანი წლების ბოლოდან გამოცოცხლება დაეტყო, შემდეგ კი ლიდერობს ავტომშენებლობა, ელექტრონიკა და დაზგათმშენებლობა. 80-იანი წლებიდან სიმძიმის ცენტრი გადადის ბიოტექნოლოგიის, ოპტოელექტრონიკის, ახალი მასალებისა და ნახევარგამტარების სფეროში.

საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში იაპონია დიდხანს მისდევდა დოდჟის შემოთავაზებულ პროგრამას სახელმწიფო საგარეო-სავაჭრო მონოპოლიის შესახებ. მხოლოდ 70-იან წლებში მოხდა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და იენა გახდა კონვერტირებადი ვალუტა ჯერ კიდევ დიდხანს შენარჩუნებული შეზღუდვების პირობებში. სავალუტო ოპერაციების სრული იურიდიულად გაფორმებული ლიბერალიზაცია მოხდა შესაბამისი კანონმდებლობის კარდინალური გადახედვის შედეგად 1998 წლის აპრილში. ქვეყანა მისდევდა „აღმზრდელობითი პროტექციონიზმის" სტრატეგიას, რომლის დროსაც ხდებოდა შიდა ბაზრის დაცვა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელი იყო სამამულო მწარმოებლების განვითარების უზრუნველსაყოფად და საკმარისი კონკურენტული გარემოს მხარდასაჭერად.

ომამდელ იაპონიაში ძირითადი მომხმარებელი იყო მილიტარისტული სახელმწიფო. სამხედრო ხარჯების რადიკალური შემცირების შემდეგ აუცილებელი გახდა ახალი მომხმარებლების შექმნა ქვეყნის შიგნით. ასკეტური იაპონელები სულაც არ იყვნენ ისეთი მომხმარებლები, როგორც ამერიკელები და ევროპელები. ესმოდა რა ის, რომ მძლავრი შიდა ბაზრის გარეშე არ შეიძლება გახდე თანამედროვე ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო, იაპონიის მთავრობა წავიდა იაპონელთა სანიმუშო მომხმარებლებად გადაქცევის გზით. ამისათვის შექმნეს კოლოსალური კომპლექსი 50 კანონისაგან, რომელიც მომხმარებელთა უფლებებს იცავდა და გულდასმით ახდენდა პირადი მოხმარების ყველა ასპექტის რეგლამენტირებას. ამ კანონების შესასრულებლად შეიქმნა სახელმწიფო დაწესებულებათა მთელი იერარქია, რომლებიც აკონტროლებდნენ იურიდიული ნორმების დაცვას, ამასთანავე ახდენდნენ ვაჭრობის ინსპექტირებას, არეგულირებდნენ წამოჭრილ სადავო საკითხებს და ეწეოდნენ საგანმანათლებლო მუშაობას მომხმარებლებს შორის. მოხმარების სფეროში მიმართული პოლიტიკის შედეგად *მოხერხდა ყველა შესაძლებელი სამომხმარებლო მოთხოვნის ტოტალური დაფარვის სისტემის შექმნა და იაპონელთა გადაქცევა ყველაზე პრეტენზიულ მომხმარებლად მსოფლიოში.* მომხმარების ახალ

კულტურაზეა დაფუძნებული იაპონური პროდუქციის უმაღლესი ხარისხი და ტევადი შიდა ბაზარი. აქ ჩვენ გვაქვს საბაზო ფასეულობათა ცვლილებების წარმატებული მართვის მაგალითი ინსტიტუციონალური გარდაქმნების გავლენით.

შიდა და საგარეო ბაზრების ზრდამ უზრუნველყო ქვეყნის ხანგრძლივი დინამიკური განვითარება და იაპონიაში ძალზე პოპულარული, ჩვენი მსგავსი, 60-იანი წლების ლოზუნგის — „დავეწიოთ განვითარებულ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დონის მიხედვით“ — შესრულება მოხერხდა. 1988 წელს ამ მაჩვენებლით იაპონიამ აშშ-სა და სხვა მსხვილ განვითარებულ ქვეყნებს გაუსწრო.

90-იანი წლების დამდეგისათვის იაპონიამ ეკონომიკური სიმძლავრის მაქსიმუმს მიაღწია და ისე ჩანდა, თითქოს არავის შეეძლო მასთან კონკურენცია მენეჯმენტის და შრომის მწარმოებლურობის დონის მიხედვით. ამჟამად აშშ-ის გზებზე ნახევარზე მეტი იაპონური წარმოების ავტომობილებია, დასავლეთის შტატების მოქალაქეთა უმრავლესობა იაპონურ საათებს ატარებს, ამერიკელთა სახლების 90%-ში დგას იაპონური ტელევიზორები, ხოლო რადიომიმღებების, ვიდეომაგნიტოფონების, ელექტროსაპარსების უმეტემობაზე არის წარწერა „დამზადებულია იაპონიაში“.

თუმცა კი ლიდერობა იაპონელებს უკვე ხელიდან დაუსხლტად. ჩანდა, თითქოს ისინი წინ მიდიოდნენ, ისე რომ ვერ ხედავდნენ ხილულ დისპროპორციებს და მათთან დაკავშირებულ საფრთხეებს. იაპონური საფონდო ინდექსი Nikkei გაიზარდა 5-ჯერ 1980 წლიდან 1987 წლამდე. მისმა კაპიტალიზაციამ სახიფათო ნიშნულს — 5,2 ტრლნ დოლარს მიაღწია, მაშინ, როცა სამი უმსხვილესი ამერიკული ბირჟის ჯამური მაჩვენებელი მხოლოდ 4,3 ტრლნ დოლარს შეადგენდა, ხოლო ლონდონის საფონდო ბირჟის — 1,3 ტრლნ დოლარს.

იაპონელი ექსპერტების შეფასებით, ყველა მიწის ნაკვეთის საერთო ღირებულება მაშინ იყო 2400 ტრლნ იენი, რაც 5,6-ჯერ აჭარბებდა მშპ-ს. გამოდიოდა, რომ იაპონიის ტერიტორია, რომელსაც დედამიწის მხოლოდ 3% ეკავა, ღირდა მეტი, ვიდრე ხმელეთის მთელი დანარჩენი ნაწილი, მხოლოდ ერთი ტოკიოს უძრავი ქონების ღირებულება აჭარბებდა აშშ-ის ყველა უძრავ ქონებას. იაპონელებმა გამოიჩინეს საკმაო თავდაჯერებულობა, როცა ყურადღება არ მიაქციეს თავისი ეკონომიკური სისტემის ესოდენ თვალსაჩინო სისუსტეებს და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც. ამას მოჰყვა 90-იანი წლების კრიზისების რიგი. განსაკუთრებით ძლიერ იმოქმედა იაპონიაზე 1997-1998 წლების აზიურმა კრიზისმა.

აღმოჩნდა, რომ *იაპონური მოდელი ცუდად ადაპტირდება იმ პირობებთან, რომელიც ეკონომიკა დაგალი ტემპებით ვითარდება.* ეკონომიკაში ვარდნის აღსაკვეთად იაპონიის მთავრობამ 1992 წლის აგვისტოდან დახარჯა საერთო ჯამში 1159 მლრდ დოლარი. მთავრობის საერთო დავალიანების მასშტაბებს კატასტროფული შედეგები ჰქონდა. იგი მშპ-ის მიმართ ავარდა 1991 წელს 60%-ზე ნაკლებიდან 130%-ზე მეტზე; ეს იყო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც OECD-ში შედის.

იაპონიის ეკონომიკის თვითკმარისი ზრდის უქონლობას ბევრი ექსპერტი კაპიტალის, სამუშაო ძალის და ტექნოლოგიების არასწორი გამოყენებით ხსნის, თანაც ფართო მასშტაბებში. 80-იან წლებში ამგვარი არასწორი განაწილების შედეგები გარეგნულად არ მჟღავნდებოდა, იმიტომ რომ არაჩვეულებრივი ეკონომიკური ზრდა ფარავდა სახიფათო შეცდომებს. მაგრამ ნელი ზრდის პირობებში საწარმოო სიმძლავრეთა დაუტვირთაობა და ჭარბი დასაქმება იაპონურ მრეწველობასა და მომსახურების სექტორში ცხადი გახდა. კორპორაციები გასაღების მაღალი დონითა და ბაზარზე თავიანთი წილის გაზრდით შეპყრობილი დებდა საშუალებებს საწარმოო სამძლავრეებსა და მოწყობილობებში და არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა მოგებას უზრუნველყოფდა ივი. ბანკები კომპანიებს აძლევდა სესხს, ხელმძღვანელობნენ რა უფრო მათი საკუთრებით — ძირითადად მიწის დაგირავებით — ვიდრე ნაღდი საშუალებების ზომების გათვალისწინებით, რომლებიც კომპანიებს შეეძლო მიეღო საბანკო კრედიტების გამოყენებით. უძრავი ქონების ბაზრის მოშლამ (ფასები, კრიზისულ პერიოდამდე შედარებით, 80%-ით დაეცა) ბანკები დატოვა უზარმაზარი გადაუხდელი ვალებით. საკრედიტო და საფონდო ბაზრის კრიზისმა ქვეყანა მიიყვანა „საპნის ბუშტის ეკონომიკამდე", როგორც 90-იანი წლების იაპონურ ეკონომიკას უწოდებდნენ. ზოგიერთი ანალიტიკოსი 1998 წლის კრიზისის მასშტაბებს ადარებს 1945 წლის ომში იაპონიის მარცხს, მაგრამ ისინი აშკარად აჭარბებენ.

2000 წელს იაპონურმა კორპარაციებმა დაიწყეს თავისი საქმიანობის თანდათანობითი გადაწყობა, მაგრამ აღდგენა ხანგრძლივ დროს საჭიროებს. ეკონომიკურმა უსიამოვნებებმა ეროვნული თვითშეგნების კრიზისი გამოიწვია. იაპონია ახალ ათასწლეულში შედის, როგორც მსოფლიოში მეორე ყველაზე მძლავრი ეკონომიკური სახელმწიფო, მაგრამ იგი ამას აკეთებს სერიოზულად შერყეული რწმენით საკუთარი თავისადმი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან უკვე დაძლია ომის შემდგომი უმსხვილესი კრიზისი.

როგორია დღევანდელი იაპონიის ეკონომიკა?

მის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის, ტყის მრეწველობის და მეთევზეობის წილად მშპ-ის 2,2% და შრომითი რესურსების 5,4% მოდის, მრეწველობაში იქმნება მშპ-ის 41,1%, ხოლო მომსახურების სფეროში — 56,7% და აქ დასაქმებულია შრომითი რესურსების 60%. უკვე ერთი შეხედვით, იაპონია ბევრად უფრო ინდუსტრიული ქვეყანაა, ვიდრე წმინდა პოსტინდუსტრიული აშშ და EU-ის ქვეყნები.

იაპონიის მშპ-ის სტრუქტურაში არსებობს შემდეგი თავისებურებები. ფინანსურ სექტორსა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე 17,8% მოდის, კერძო მომსახურებაზე — 19%, სახელმწიფო მომსახურების წილი — 7,3%, დიდი წილი უკავია გადამამუშავებელ მრეწველობას — 23,3%, მაშინ როცა მომპოვებელ მრეწველობას აქვს სულ რაღაც 0,2%.

იაპონიის მშპ 1997 წლის ოქტომბრიდან 1999 წლის დამდეგამდე მცირდებოდა. 1999 წელს მოხერხდა კრიზისის დაძლევა და მშპ გაიზარდა, მართალია, მხოლოდ 3%-ით. 2000 წელს მშპ-ის ნელი ზრდა გრძელდებოდა. სამრეწველო წარმოება გაიზარდა 0,4%-ით, მზა ნაკეთობათა მარაგი შემცირდა 6,7%-ით, ხოლო 19%-ით კი — დაწესებულებათა გაკოტრების რიცხვი.[1] თუმცაღა რჩება კიდევ მრავალი გადაუწყვეტელი პრობლემა. კერძო საწარმოთა კაპიტალდაბანებები 5,6%-ით შემცირდა, ხოლო უმუშევრობის დონემ რეკორდულ შორეულ 1953 წლის დონეს — 4,7%-ს მიაღწია. ამასთან, 3,2 მლნ უმუშევრის დიდი ნაწილი ესაა ახლგაზრდები 35 წლამდე.

იაპონიის მრეწველობის ძირითად მაჩვენებელთა დინამიკაზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 20.1.

მოკლედ შევჩერდეთ იაპონიის ეკონომიკის ძირითად დარგებზე.

სოფლის მეურნეობა მოსახლეობის მოთხოვნილებების 70%-ზე მეტს უზრუნველყოფს კვების პროდუქტებით. იგი გამოირჩევა მაღალი ინტენსიობითა და მოსავლიანობით. საკმაოდაა განვითარებული სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და ავტომატიზაცია. არსებობს სპეციალიზებული მეურნეობების მნიშვნელოვანი რიცხვი, რომლებიც აწარმოებენს ხილ-ბოსტნეულს ხელოვნულ ნიადაგზე — ჰიდროპონიკაზე — ავტომატიკის მუდმივი კონტროლის ქვეშ. იაპონიის საკმაოდ მწირი მიწების წარმოება არ შეიძლება იყოს კონკურენტუნარიანი. ამიტომ სახელმწიფო იცავს სამამულო მეწარმეს, როდესაც მიჯნავს მას მსოფლიო ბაზრისგან მაღალი იმპორტუ-

1. Леонтьева Е. Япония: преодоление кризиса // Мировая экономика и международные отношения. — 2000. — №8.

ცხრილი 20.1.

იაპონიის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებელი	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
მშპ-ის ზრდის ტემპები, %	0,3	0,6	1,5	5,1	1,6	-2,5	0,3
საბითუმო ფასების ზრდა, %	–2,9	–1,9	–1,0	0,1	1,8	0,6	-3,3
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან, %	3,4	3,4	4,3	4,3	2,3	5,7	7,8
იენ/დოლ. კურსი	111,1	102,2	93,9	108,8	120,9	131,0	113,9
უმუშევრობა, %	2,5	2,9	3,2	3,4	3,5	4,1	4,7

წყარო: *Мировая экономика и международные отношения. — 2000. — № 8.*

ლი ბაჟებით. მაგალითად, იაპონიაში ბრინჯი ღირს 7-ჯერ მეტი, ვიდრე მსოფლიო ბაზრებზე. იმისათვის, რომ თავი აარიდოს WTO-სთან კონფლიქტებს, იაპონიამ განაცხადა, რომ ბრინჯის წარმოება აუცილებელია ეროვნული ტრადიციების შესანარჩუნებლად და ამდენად, WTO-ს მოთხოვნები მას არ ეხება. ამას ყველა დაეთანხმა, ისევე როგორც საკომპენსაციო ბაჟებს EU-ში. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს შეუძლია მათთვის საჭირო გადაწყვეტილებების გატარება საერთაშორისო ორგანიზაციებში.

იაპონიის ენერგეტიკა პრაქტიკულად სავსებით იმპორტზეა დამოკიდებული, რომელთაგან 16% მოდის ენერგომატარებლებზე. ამიტომ აქტიურ ძალისხმევას იყენებენ ენერგიის ალტერნატიულ წყაროთა დასანერგად: გეოთერმული წყაროებისათვის, ზღვის მოქცევის ენერგიისათვის და ა. შ. ელექტროენერგიის მესამედზე მეტს ატომური სადგურები იძლევა.

შავი მეტალურგია სპეციალდება მაღალხარისხიან ფოლადზე და გააჩნია სიმძლავრე 150 მლნ ტონის გამოსადნობად. თუმცა რეალურად 1999 წელს გამოდნობილია მხოლოდ 94 მლნ ტ. ანალოგიური სიტუაცია შეინიშნება მრეწველობის სხვა დარგებშიც. მთლიანობაში ჭარბი სამრეწველო სიმძლავრეები შეფასებულია 85 ტრლნ იენად (თუკი გხვდებათ მონაცემები იენებში, თამამად გაყავით 100-ზე, რათა გადაიყვანოთ დოლარებში).

იაპონური მრეწველობისათვის დამახასიათებელია ძვრა მომპოვებელი და მძიმე დარგებიდან მეცნიერებატევადებისაკენ. იაპონია მაღალგანვითარებული მანქანათმშენებლობის ქვეყანაა. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ავტომშენებლობა. 1999 წელს ქვეყანამ გამოუშვა 8,1 მლნ მსუბუქი მანქანა, თუმცა სიმძლავრე საშუალებას იძლეოდა 13,4 მლნ ეწარმოებინა.

იაპონია წარმოადგენს ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერს საერთო და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში (90-იან წლებში ექსპორტი 70%-ზე მეტს შეადგენდა), ელექტრონულ მოწყობილობასა და ქიმიურ მრეწველობის სფეროში.

რუსეთისთვის შეიძლება საკმაო ჭკუისსასწავლებელი აღმოჩნდეს იაპონიის გამოცდილება ეკოლოგიური მანქანათმშენებლობის და *ეკოლოგიური ტექნოლოგიების* ათვისებაში. ამ დარგში იაპონია ლიდერია, ეკოლოგიურ ტექნოლოგიებს მისთვის უზურმაზარი შემოსავლები მოაქვს და რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაწესებულებათა კონვერსიას შეეძლო ამ გზით წასულიყო.

ქვეყნის *სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა* შესანიშავადაა განვითარებული. უკვე ჩვეული გახდა მაღალჩქაროსნული მატარებლები ელექტრომაგნიტური წევით. იაპონიის არქიპელაგის ძირითადი კუნძულები ერთმანეთს შორის შეერთებულია გვირაბებითა და ხიდებით. საზღვაო ტრანსპორტი ემსახურება საგარეო სავაჭრო გადაზიდვების 99%-ს, ხოლო ქვეყნის უდიდესი პორტები — იოკოჰამა, კავასაკი, ტიბა, კობე და სხვები — მსოფლიოს უმსხვილესი პორტების რიცხვში შედის.

ელვის სისწრაფით იზრდება მომსახურების სფერო: ინფორმაცია, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ფინანსები. იაპონიის ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო სისტემა. კრიზისის შემდეგაც კი იაპონურ ბანკებს მსოფლიო საბანკო სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია, თუმცა მათი მდგომარეობა საკმაოდ შეირყა. ახლა თვით ყველაზე მსხვილი იაპონური ბანკი „ტოკიო-მიცუბისი" არ შედის მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ათეულში, რადგან არ შეუძლია კონკურენცია თანაბარ პირობებში ამერიკულ და ევროპულ გიგანტებთან. იაპონური ბანკები სუსტია ევროვალუტის ბაზრებზე და მათ არ ძალუძს აუცილებელი მომსახურების გაწევა თვით მათი სამამულო ტეკსათვის, რომლებიც სულ უფრო ხშირად იძულებულია უცხოურ ტეკ-ს მიმართოს.

იაპონიის საპარეო ეკონომიკური ურთიერთობები ფრიად სპეციფიკურია. ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია შიდა მო-

თხოვნაზე, ამასთანამ უკანასკნელის მხოლოდ 10% იფარება იმპორტის ხარჯზე, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი აშშ-ში 20%-ის ტოლია, ხოლო ევროპულ ქვეყნებში — 50%-მდე.

იაპონიას გააჩნია სავაჭრო ბალანსის მდგრადი დადებითი სალდო, თუმცა მომსახურების ბალანსის სალდო ასევე მყარად უარყოფითია (დაახლოებით 49 მლრდ დოლ.). ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა დარჩა სტაბილური კრიზისის მსვლელობის დროსაც (სურ. 20.1.).



სურ. 20.1. საგარეო სავაჭრო მაჩვენებლების დინამიკა.

კაპიტალის მოძრაობის ბალანსი აგრეთვე უარყოფითად მდგრადს წარმოადგენს, ამასთან იგი საკმაოდ ძლიერ მერყეობდა 1992 წლიდან 1999 წლის პერიოდში — 195,2 მლრდ დოლარიდან 1993 წელს, 30,8 მლრდ დოლარამდე 1996 წელს. პორტფელური დაბანდებების ყოველწლიური სუფთა მოცულობა საზღვარგარეთულ ფასიან ქაღალდებში გაიზარდა 34,3 მლრდ დოლარიდან 115,8 მლრდ დოლარამდე. მოცემული მაჩვენებლის ზრდა შეინიშნება მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე, გარდა 1997 წლისა (როცა მან შეადგინა „სულ" 70 მლრდ დოლ.), რაც გამოწვეული იყო აზიურ-წყნარიოკეანის რეგიონის ქვეყნების კრიზისით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყოველწლიური უცხოური პორტფელური დაბანდებები ია-

პონურ ფასიან ქაღალდებში. თუკი 1993 წელს ისინი უარყოფითი იყო (–7,2 მლრდ დოლ.), 1997-სა და 1998 წლებში მათ შეადგინეს შესაბამისად 100,2 და 70,3 მლრდ დოლარი. იაპონიის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაგროვილმა სიდიდემ მთელ მსოფლიოში 1951 წლიდან 1999 წლის ჩათვლით 89,6 ტრლნ იენი შეადგინა. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ იაპონიის მიერ მნიშვნელოვანი დაბანდებები განხორციელდა ფინანსების, დაზღვევის, მომსახურების და უძრავი ქონების ოპერაციების სფეროში.

იაპონიის ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენს მისი თითქმის 100%-იანი დამოუკიდებლობა ზოგიერთი სახის სურსათის და ნედლეულის იმპორტზე. ასე, იმპორტის სტრუქტურაში ჭარბობს: სამრეწველო ნედლეული, სათბობი და ნახევარფაბრიკატები (43,3%): სურსათი (13,7%) და მოწყობილობა (24%). ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია: საწარმოო მოწყობილობას (59,8%), სამრეწველო ნახევარფაბრიკატებს (18,4%) და ხანგრძლივი მოხმარების გამოყენების სამომხმარებლო საქონელს (17,7%). იაპონიის ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის აშშ-ს; სავაჭრო ურთიერთობების თავისებურებას აშშ-თან წარმოადგენს სავაჭრო ბალანსის მდგრადი დადებითი სალდოს არსებობა. 1990 წლიდან 1999 წლის ჩათვლით იგი მერყეობდა 33,3-დან 55,6 მლრდ დოლარის ფარგლებში. ამასთან, აშშ-ის წილი იაპონიის ექსპორტში შეადგენდა 27-32%-ს და ბოლო სამი წლის განმავლობაში იგი თანდათანობით იზრდებოდა. აშშ-ის წილი იმპორტში მერყეობს 23%-ის სიახლოვეს. გაიზარდა იაპონელ ინვესტორთა ყოველწლიური წმინდა პორტფელური დაბანდებები აშშ-ის ფასიან ქაღალდებში. 1992 წლიდან 1999 წლის ჩათვლით იგი მნიშვნელოვნად მერყეობდა 5,8 ტრლნ იენიდან 1992 წელს, 25,5 ტრლნ იენამდე 1993 წელს. 1996 წელს აგრეთვე შეინიშნებოდა მოცემული მაჩვენებლის შემცირება 10 ტრლნ იენამდე. ყოველწლიური დაბანდებების წილი ამერიკულ ფასიან ქაღალდებში მერყეობს 17%-დან 65%-მდე (1994 წელს) დაბანდებათა საერთო მოცულობიდან უცხოურ ფასიან ქაღალდებში. იაპონიის პირდაპირი საზღვარგარეთული დაბანდებების დაგროვილმა სიდიდემ აშშ-ში 1951 წლიდან 1999 წლის ჩათვლით შეადგინა 36,5 ტრლნ იენი ანუ საერთო მოცულობის 40,7%. კვლავ იგივე დარგები ლიდერობს: ფინანსები, დაზღვევა, ვაჭრობა, მომსახურება და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

იაპონიიდან აშშ-ში ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფებია საწარმოო მოწყობილობა (48%) და ხანგრძლივი გამოყენების სამომხმარებ-

ლო საქონელი (26%); იმპორტში სათბობი და ნახევარფაბრიკატები (21%), ასევე სურსათი (19%).

იაპონიის ეკონომიკის თვალსაჩინო სუსტ წერტილს წარმოადგენს კრიტიკული დამოკიდებულება სურსათის, ნედლეულის და ენერგომატარებლების მიწოდებაზე. ამის გამო არსებობს მუდმივი მოთხოვნილება მდგრად მოთხოვნაზე იაპონურ საექსპორტო საქონელზე (გემთმშენებლობის, ავტომობილმშენებლობის, ელექტრონიკის და ელექტროტექნიკის, სამრეწველო მოწყობილობის, მანქანათმშენებლობის და მეტალურგიის პროდუქტებზე). მოცემული ბაზრების ამა თუ იმ მიზეზით შეკვეცის შემთხვევაში იაპონიის ეკონომიკა შეიძლება შეეჯახოს განსაზღვრულ სირთულეებს თავისი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების უზრუნველყოფის საქმეში. საქმის ასეთი ვითარება ქვეყნის მძლავრი განვითარების პერიოდში იაპონელთა შეშფოთებას იწვევდა, მაგრამ დღეს მათ ეს კიდევ უფრო მეტად აფიქრებთ.

შევაჯამოთ ზოგიერთი დასკვნა.

1. იაპონიის ძირითად სიმდიდრეს ბუნებრივი რესურსები და სასარგებლო წიაღისეული (ისინი საკმაოდ მწირია) კი არ წარმოადგენს, არამედ ცივილიზაციური რესურსები, რომლებიც დაფუძნებულია კონფუციანურ-ბუდისტურ ღირებულებებზე — შეუპოვარი კოლექტიური შრომისა, სახელმწიფო ძალაუფლების პატივისცემისა, უცხოური ინოვაციების მიმართ ამთვისებლობის უნარის და ყოველ კონკრეტულ საქმეში სრულყოფის მიღწევის სურვილზე. ამ რესურსების გამოყენებით, ქვეყანამ შეძლო „იაპონური სასწაულის" შექმნა და თავისი ეკონომიკური სიძლიერით მსოფლიოს მეორე ქვეყანა გახდა.

2. 90-იანი წლების მძლავრი კრიზისების სერიაგადატანილი იაპონური ეკონომიკა, რომელიც მოწინავე ეკონომიკურ სახელმწიფოთა შორის გამძაფრებული კონკურენტული ბრძოლის გამოვლინებას წარმოადგენს, თანდათანობით ცოცხლდება. ახლა იგი თავისთავად წარმოადგენს არა პოსტინდუსტრიულ ქვეყანას, როგორც აშშ და EU, არამედ უფრო ზეინდუსტრიულ ეკონომიკას. მისი სუსტი წერტილია დამოკიდებულება ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე, ხოლო ძლიერი — უზარმაზარი შიდა ბაზრის არსებობა შესანიშნავად განსწავლული, კვალიფიციური სამუშაო ძალით.

20.3. იაპონიის ეკონომიკური მოდელის თავისებურებანი

ახლა მიღებულია საუბარი იაპონიის ეკონომიკური მოდელის შესაძლებლობათა ამოწურვის თაობაზე. კრიტიკა ძირითადად მოდის ეკონომიკის ლიბერალური, ანგლო-ამერიკული მოდელის მომხრეებისაგან. თვალის დახამხამებაში დავიწყებულია ის ათწლეულები, როცა იგივე ამერიკელი ექსპერტები აღფრთოვანებულები იყვნენ „იაპონური სასწაულით" და თეორიულად ადასტურებდნენ იაპონური ეკონომიკის ეფექტიანობას.

რა თქმა უნდა, იაპონურ მოდელს გააჩნია რიგი სისუსტეები (ისევე როგორც ნებისმიერ სხვას) და ახლა იგი შეიძლება სავსებით არ შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იაპონელებმა მოახერხეს საკმაოდ ორიგანალური მოდელის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა არსებული ცივილიზაციური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას და რომელმაც საშუალება მისცა ღარიბ, ნახევრად დანგრეულ ქვეყანას, რომელსაც ბუნებრივი რესურსები თითქმის არ გააჩნია, მოკლე დროში ეკონომიკური სიძლიერით მსოფლიოს მეორე სახელმწიფო გამხდარიყო. *იაპონური და აზიური კრიზისის ძირითადი მიზეზი არა იმდენად გამოყენებული ეკონომიკური მოდელის სისუსტეებში უნდა ვეძებოთ, რამდენადაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-სა, EU-სა და იაპონიას შორის.* სსრკ-ის სახით საერთო მტრისა და სოციალისტური ქვეყნების გაქრობამ 90-იან წლებში საშუალება მისცა მათ, პოლიტიკაზე უკან მიუხედავად, ერთმანეთს შორის ურთიერთობები გაერკვიათ. მრისხანე კონკურენტებმა იაპონური ეკონომიკის სწრაფი განვითარების უპრეცედენტო მსვლელობისას გაჩენილი სუსტი ადგილით ისარგებლეს და მსოფლიო ბაზრებზე მისი შევიწროვება შეძლეს. არც მეტი, არც ნაკლები. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ითა და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით იაპონია აშშ-ისა და EU-ის დონეზე დარჩა. უბრალოდ მძლავრი გაჭრის შემდეგ იაპონური ეკონომიკის განსაზღვრული უკუგორება მოხდა, რაც ესოდენ დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკათა განვითარებისათვის საერთოდ.

90-იანი წლების კრიზისი არაფრით ამცირებს იაპონიის ეკონომიკური განვითარების გამოცდილების ღირსებას და მნიშვნელობას, რომელთაგან ბევრი რუსეთისთვის შეიძლება გამოდგეს.

ახლა შევჩერდეთ *იაპონიის ეკონომიკური მოდელის მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებებსა და თავისებურებებზე.*

(1. მას საფუძვლად უდევს საკმაოდ თავისებური, ღრმა ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული *პარტნიორული ურთიერთობები სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის.* სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 40% ნაწილდება, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე აშშ-ში, მაგრამ ნაკლები, ვიდრე EU-ში. თუკი აშშ-ის დარგებში, რომელთა რეგულირება სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, მშპ-ის მხოლოდ 6% იწარმოება, იაპონიაში ეს მაჩვენებელი მრეწველობაში 16,8%-ს შეადგენს, სოფლის მეურნეობაში — 86%, ხოლო ფინანსურ სფეროში — 100%. საშუალოდ იგი 50,4%-ის ტოლია.

იაპონიის ეკონომიკაში დაახლოებით 10 ათასი კომპანიაა, რომელთაც სახელმწიფო და კერძო მესაკუთრენი ერთობლივად აფინანსებენ. მათი სააქციო კაპიტალი 3,8 ტრლნ დოლარს შეადგენს და იქ შრომობს 210 ათას ადამიანზე მეტი.

2. სახელმწიფო პრაქტიკულად ხელმძღვანელობს ქვეყნის მთელ ეკონომიკურ განვითარებას, იყენებს რა ამისათვის სახელმწიფო რეგულირების მთელ არსენალს. იგი შეიმუშავებს და მკაცრად ატარებს *სამრეწველო პოლიტიკას,* განსაზღვრავს და ცვლის *ეროვნულ პრიორიტეტებს.* ბიზნესი და სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგებზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ. ამასთან, სახელმწიფო სტპ-ის მიღწევათა და რესურს — და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას უწყობს ხელს, ასევე მათ აქტიურ შეღწევას, ხოლო შემდეგ ფართო ექსპანსიას მსოფლიოს სასაქონლო ბაზრებზე.)

იაპონიის განვითარების ბანკი სესხებს გასცემს სამრეწველო პოლიტიკის მდგომარეობის შესაბამისად. გარდა ამისა, მოქმედებს შემდეგი კორპორაციები: მცირე და საშუალო მეწარმეობის დაკრედიტების, სოფლის, ხე-ტყის მეურნეობის და მეთევზეობის დაკრედიტების, ბინათმშენებლობის დაკრედიტების, ასევე ორგანიზაციების, რომლებიც სახელმწიფო ინვესტიციების და კრედიტების პროგრამას ახორციელებს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. სხვადასხვა დროს სახელმწიფო გეგმების შემუშავება ხდებოდა, რომლებიც ჩვეულებრივ „ხუთ- (შვიდ- და ა. შ.) წლიანი გეგმების“ სახელწოდებას ატარებდა. თავისი არსით ისინი არა მხოლოდ გეგმებს წარმოადგენდნენ, არამედ სამთავრობო პროგნოზებს ან ორიენტირებს (მიზანთა ნაკრები). კერძო საწარმოთა მენეჯმენტისათვის ორიენტირის როლის გარდა, მათ მიერ განვითარების გეგემების შემუშავებისას (კერძოდ, საინვესტიციო პროგრამების), სამთავრობო გეგმები აგრეთვე კრიტერიუმების აღნიშვნის ფუნქციას ასრულებს საინვესტიციო პროექტების შესაფასებლად, რომელთა დაფინანსებაში სამთავრობო-საკრედიტო დაწესებულებები მონაწილეობდა. სახელმწიფო სტრატეგიის კი-

დევ ერთი ელემენტი იყო მთავრობის მიერ პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების არჩევა. მთავრობის ორგანოებმა და, პირველ რიგში, საგარეო ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრომ, ასევე ტრანსპორტის სამინისტრომ შეიმუშავეს სამრეწველო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები და საკრედიტო-ფინანსური და საგადასახადო ბერკეტების დახმარებით ხელს უწყობდა საშუალებების მიდინებას ისეთ საბაზო დარგებში, როგორებიცაა შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საზღვაო ტრანსპორტი, გემთმშენებლობა, ელექტრონული მრეწველობა, ბიოტექნოლოგიები და ა. შ. იაპონიაში მსხვილი სამამულო ბიზნესის ხელშეწყობაზე (კერძოდ, ავტომობილმშენებლობა) შემთხვევით როდი წერდა ერთ-ერთ მსხვილი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მენეჯმენტის სფეროში ლი იაკოკა 90-იან წლებში: „... იაპონური ავტოინდუსტრია სათუთად გამოიზარდა მთელი რიგი სტიმულებით: სახელმწიფო სესხებით, ამორტიზაციის ვადების შეკვეცით. სამეცნიერო-კვლევითი დი საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოების სფეროში დახმარებით, პროტექციონისტული ზომებით იმპორტის წინააღმდეგ, ასევე უცხოური ინვესტიციების აკრძალვით. ყველა ამ ზომის კომპლექსური ზემოქმედების შედეგად იაპონურმა საავტომობილო მრეწველობამ ასეთი გზა გაიარა — 50-იანი წლების შუა ხანებში წლიური 100 ათასი მანქანის გამოშვებიდან 11 მილიონამდე დღეს".[1]

3. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში სრულიად არ ამოიწურება სახსრების პირდაპირი გადანაწილებით. *სახელმწიფო აქტიურად ახდენს ქვეყანაში კერძო სექტორის ეკონომიკური საქმიანობის წახალისებასა და წარმართვას.* ზემოქმედების მოცემული ფორმა სწორედ წახალისებას და მიმართულების მიცემას ნიშნავს და არა პირდაპირ და უშუალო კონტროლს. ეკონომიკურ საქმიანობაში მთავარი ინსტრუმენტების — წახალისების და წარმართვის — სახით გამოიყენებოდა საკრედიტო-ფინანსური და საგადასახადო სისტემა. რაც შეეხება პირველს, კერძო ინვესტიციების წახალისების მიზნით პროცენტული განაკვეთების დაბალ დონეზე შენარჩუნების პოლიტიკა გამოიყენებოდა, ასევე ინვესტიციების პრიორიტეტული დაფინანსება და მთავრობის საკრედიტო დაწესებულებათა დაკრედიტება (ე. ი. მიზნობრივი დაფინანსება). საგადასახადო სფეროში ინვესტიციათა წასახალისებლად ძირითად კაპიტალში დაჩქარებული ამორტიზაცია გამოიყენებოდა. სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში კერძო სექტორის წარმომადგენელთა ჩართვისათვის გამოიყენებოდა სხვადასხვა *საკონსულტაციო საბჭოები.* ეს უკანასკნელი შესაძლებლობას იძლეოდა შეეთანხმებინა სხვადასხვა ინტერესი და კერძო სექტო-

1. Ли Якокка. Карьера менеджера / Пер. с англ. — М.: Прогресс, 1991.

რისათვის უზრუნველეყო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში თანამონაწილეობის განცდის შექმნის გზით, მისი რეალიზაციის პროცესის დიდი გამართულობა.

4. სახელმწიფომ ძირითადად თავისთავზე აიღო *კერძო ბიზნესის უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით.* იაპონიის ეკონომიკური მოდელისათვის დამახასიათებელია საკუთარ ფინანსურ რესურსებზე ორიენტაცია. ეკონომიკაში მათ ჩასართველად სახელმწიფომ თანმიმდევრულად უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები: 1) მოახდინოს დანაზოგთა სტიმულირება; 2) ჩართოს ისინი საკრედიტო-საფინანსო სისტემაში; 3) შექმნას მექანიზმი, რომელიც ამ საშუალებების მიცემას უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტებისათვის აუცილებელ ადგილას დაბალი პროცენტით, ე. ი. აიძულებს კრედიტის შექმნის მექანიზმის ფუნქციონირებას.

1) *შიდა დანაზოგთა სტიმულირების* პირველი ამოცანის გადასაწყვეტად სახელმწიფომ შეიმუშავა და განახორციელა ღონისძიებათა სისტემა დანაზოგთა წახალისების თვალსაზრისით ეკონომიკის ყველა სფეროში — საოჯახო მეურნეობებში, საწარმოებში, სამთავრობო სექტორში. პირად დანაზოგთა მიმართ გამოიყენებოდა დაბეგვრის წამახასიათებელი სქემა. მცირე დანაზოგთა მიმართ კი წესდებოდა საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრისაგან განთავისუფლება. საწარმოთა დაბეგვრამ მათ მიერ კაპიტალის დაგროვების სტიმულირება მოახდინა: გამოიყენებოდა დაჩქარებული ამორტიზაციის სქემები, რომლებიც მოწყობილობათა ცვეთის ნორმატიული ვადების შეკვეცას ითვალისწინებდა, ასევე დაბეგვრისგან განთავისუფლებული სხვადასხვა სარეზერვო ფონდის შექმნას; გაუნაწილებელი შემოსავლის დაგროვების ყოველმხრივი წახალისება ხდებოდა.

სახელმწიფო სექტორში დაბალანსებული ბიუჯეტის მხარდაჭერის ამოცანას აყენებდნენ, რისთვისაც განსაკუთრებით შესამჩნევად იკვეცებოდა მთავრობის დანახარჯები მიმდინარე მოხმარებაზე. ზემოთ აღწერილი ზომების გამოყენების შედეგად დაზოგვის ნორმა გაიზარდა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებლებს (იაპონიაში — 30%-ზე მეტი, აშშ-ში 17-18%, ევროპის ქვეყნებში — დაახლოებით 20%).

2. *პირად დანაზოგთა მობილიზაცია.* შემდეგ ამოცანას წარმოადგენს დაგროვილი საშუალებების ჩართვა საკრედიტო-ფინანსურ სისტემაში, პირადი დანაზოგის („ლეიბის ქვეშ") პრაქტიკისათვის თავის დანებება. ამ ამოცანის გადაწყვეტის გამოცდილება ჩვენი ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ძირითადი ძალისხმევა წარმართული იყო მოსახლეობაში საბანკო სისტემის მიმართ ნდობის გასაღვივებლად. პრობლემუ-

რი ბანკების გაჩენის შემთხვევაში სისტემური რისკების თავიდან ასაცილებლად, რაც პრობლემების გავრცელებას გულისხმობს სხვა ბანკებზე, გამოიყენებოდა ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა პრობლემური ბანკების შერწყმა რომელიმე მსხვილ ბანკთან შესაბამისი ორგანოების მითითებათა საფუძველზე. ყოველმხრივ იყო ხაზგასმული *ბანკების საზოგადოებრივი ხასიათი* („საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი"). ასეთი პოლიტიკის შედეგი გახდა ის, რომ ომისშემდგომი 50 წლის განმავლობაში იაპონიაში არ იყო *ანაბრების გასოგრივი ამოღების ან ბანკის გაკოტრების არც ერთი შემთხვევა.*

ამის წყალობით, მიუხედავად დაბალი პროცენტებისა, მეანაბრეებს იაპონიაში მშვიდად შეეძლოთ თავიანთი საშუალებების ნდობა ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულებებისათვის, დამოუკიდებლად მათი ზომებისა — მსხვილი ბანკებიდან საკრედიტო კორპორაციებამდე ან საკრედიტო კოოპერატივებამდე. სხვაობა ანაბრების მიხედვით პროცენტის დონეში ამ დაწესებულებებს შორის დაახლოებით პროცენტის 1/10 იყო.

დიდი როლი შეასრულა საფოსტო დანაზოგებმაც. საფოსტო-შემნახველი ქსელის ანაბრებზე, მათზე პროცენტების ჩათვლით, სახელმწიფოს გარანტია ვრცელდებოდა, ხოლო პროცენტები დგინდებოდა კერძო საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების მიხედვით პროცენტების გათვალისწინებით. პროცენტული შემოსავალი „საფოსტო" ანაბრების მიხედვით გადასახადით არ იბეგრებოდა. საფოსტო-შემნახველი ქსელის მიერ მობილიზებული საშუალებები სახელმწიფო ინვესტიციების და კრედიტების პროგრამით გამოიყენებოდა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

ამის შედეგად ჩამოყალიბდა სიტუაცია, როცა მოსახლეობის ფინანსური აქტივების უმეტესი ნაწილი საკრედიტო-საბანკო სისტემაში ანაბრებს შეადგენს.

3. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად აუცილებელი იყო საწარმოებს *ჰქონოდათ იაფ ფინანსურ რესურსებთან წვდომა.* იაპონიის ეკონომიკური მოდელისათვის დამახასიათებელია ძალიან დაბალი საბანკო პროცენტი. ამ მიზნით შემდეგი ორი ინსტრუმენტი გამოიყენებოდა: პირველი, დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა, რომელსაც „იაპონიის ბანკი" ატარებდა. თუმცა „იაპონიის ბანკი" მანიპულირებდა რეფინანსირების თავისი განაკვეთით კონიუნქტურის მიხედვით, იგი მუდმივად ინარჩუნებდა მას დაბალ დონეზე, ატარებდა რა არაოფიციალურ კონსულტაციებს ფინანსთა სამინისტროსთან. მეორე, ანაბრების მიხედვით პროცენტების ჭერი დადგინდა. „საპროცენტო განაკვეთის რეგულირებაზე დროებითი კანონის" საფუძველზე ფინანსთა მინისტრმა დაადგინა განაკ-

ვეთთა ჭერი დეპოზიტების მიხედვით იაპონიის ბანკის რეფინანსების განაკვეთის დონის შესაბამისად. ამგვარად, *ბანკებმა თავისთან მიზიდვის დაბალი ფასით რესურსების კონცენტრირება მოახდინეს, ხოლო რეალური სექტორი დააფინანსეს დაბალი პროცენტით.*

საკრედიტო კორპორაციები და სხვა მცირე და საშუალო საკრედიტო დაწესებულებები აძლევდნენ სესხებს მცირე და საშუალო ბიზნესს ასევე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. მიზეზი ის იყო, რომ მათი მეანაბრეები დარწმუნებული იყვნენ, რომ პატარა საკრედიტო დაწესებულებებიც არ გაკოტრდება, რის შედეგადაც ამ უკანასკნელებს შეეძლო საშუალებების მიზიდვა დაბალი პროცენტით. ეს საშუალებები შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთების მიხედვით ასევე მიეცემოდა სესხად მცირე და საშუალო ბიზნესს, რითაც მის განვითარებაში შეჰქონდა წვლილი.

5. იაპონიაში *ორიგინალური და მძლავრი საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა*, რომელმაც ხელთ იგდო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ძალაუფლება. კორპორაციული მართვის სპეციფიკურ იაპონურ სისტემაში ბანკები რეალური სექტორის საკრედიტო დაფინანსების შედეგად წამყვან როლს თამაშობენ მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს. ყოველ საწარმოს „თავისი" ბანკი გააჩნია, რომელთანაც არსებობს პრიორიტეტული ურთიერთობა „უფროსი ძმა — უმცროსი ძმის" ტიპის კვალობაზე. იმავდროულად ხელისუფლება საწარმოთა პრიორიტეტული ურთიერთობების ამ სისტემით, რომელსაც ერთი მთავარი ბანკი გააჩნია, ინფორმაციას ღებულობს ამ საწარმოების მართვის შესახებ.

იაპონური საწარმოების მიერ გრძელვადიანი კრედიტების მიზიდვის თვალსაზრისით ძირითად კაპიტალში ინვესტიციისათვის, იაპონიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები და ტრასტ-ბანკები. გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკები 1952 წელს ხანგრძელვადიანი დაკრედიტების ბანკების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე უშვებდა ობლიგაციებს 5-წლიანი განაღდების ვადით. 1952 წელსვე სატრასტო-საკრედიტო ოპერაციების სისტემაში მათი დანერგვის წყალობით, ტრასტ-ბანკებმა შეძლეს იოლად მოეზიდათ უფრო გრძელვადიანი რესურსები. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოწყობილობებში ინვესტიციისათვის საწარმოთა საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფაში.

6. იაპონიამ შეძლო *ქმედითი საბაზრო ეკონომიკური მოდელის* შექმნა, რომელიც მძლავრ შიდა ბაზარზე იყო დაფუძნებული. ფაქტობრივად საკმაოდ დახურული ეკონომიკური მოდელის რეალიზება ხდება დიდი საიმპორტო ბაჟებითა და შიდა და მსოფლიო ბაზრების ფასების მნიშვნე-

ლოვანი სხვაობით. მაგალითად, ბაჟი იაფი ამერიკული ბრინჯის შემოტანაზე 800%-ს აღწევდა, აშშ-ში საყოფაცხოვრებო ელექტრონიკაზე ფასები 40%-ით დაბალია, ვიდრე იაპონიაში, ავტომობილებზე — 71%-ით, სასურსათო საქონელზე — 96%-ით. მხოლოდ სასურსათო საქონლის ყიდვაზე იაპონელები ყოველწლიურად 40 მლრდ დოლარს კარგავდნენ თავისი დახურული ეკონომიკის გამო. სამაგიეროდ იაპონელმა მწარმოებლებმა შესანიშნავად შეძლეს განვითარება საიმედოდ დაცულ შიდა ბაზარზე.

იაპონური ეკონომიკური მოდელი *არსებითად ექსპორტზეა ორიენტირებული.* აქ აგრეთვე არანაკლები როლი შეასრულა შესაბამისმა სამთავრობო ინსტიტუტებმა — იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა, საგარეო-სავაჭრო დაზღვევის სისტემამ, საგადასახადო სისტემამ (ექსპორტიდან შემოსავლების გათავისუფლება დაბეგვრისაგან). ფინანსური ხასიათის ზომების გაზრდის მიზნით შეიქმნა სპეციალური სამთავრობო ინსტიტუტი — „ჯეტრო" — ექსპორტის დასახმარებლად. მიღებული ზომების შედეგად ექსპორტის ზრდა დაიწყო, რომელიც მხარს უჭერდა ეკონომიკურ ზრდას და გარე სამყაროს მხრიდან ნდობას. იაპონიის თავისებურებას დიდხანს წარმოადგენდა აშშ-ის ბაზარზე ცალმხრივი ორიენტაცია, რომელზეც მთელი ექსპორტის 74%-მდე მოდიოდა. ამ სისუსტის დაძლევა იაპონიამ მხოლოდ 90-იან წლებში დაიწყო, როცა სულ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან ვაჭრობამ, სადაც 90-იანი წლების ბოლოს ყოველწლიურმა ექსპორტმა დაახლოებით 170 მლრდ დოლარი შეადგინა. ბოლო წლებში იქით იქნა მიმართული პირდაპირი ინვესტიციების უზარმაზარი ნაკადი.

7. *იაპონიის სავალუტო პოლიტიკა* გამორჩევა გაწონასწორებულობით და თანდათანობითი გარდაქმნებისადმი მიდრეკილებით. ომისშემდგომი 22 წლის განმავლობაში — 1949 წლის აპრილიდან 1971 წლის დეკემბრამდე — იენის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში შენარჩუნდა ერთ ფიქსირებულ დონეზე — 350 იენი ერთ დოლარზე. ამან მაკროეკონომიკური პოლიტიკის უზარმაზარი ძალისხმევა მოითხოვა. მთავრობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ატარებდა თავის პოლიტიკას შესაძლებლობათა ვიწრო დერეფანში, რომელიც საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობით იყო განსაზღვრული.

სავალუტო რეზერვების საკმაოდ დაბალი დონის გამო თავდაპირველ ეტაპზე ყველა სავალუტო ოპერაცია — როგორც მიმდინარე, ასევე კაპიტალური ხასიათის — მკაცრად იზღუდებოდა. უფრო სწორად, კანონმდებლობის თვალსაზრისით, ყველა ისინი აკრძალული იყო და მხოლოდ გამონაკლისის სახით დაიშვებოდა. სავალუტო რეზერვების გასადიდებლად გა-

მოიყენებოდა სავალუტო ამონაგების კონცენტრაციის (იძულებითი) მექანიზმი. თუმცაღა ეკონომიკური სტაბილიზაციისდა მიხედვით ქვეყანაში სავალუტო ოპერაციები მიმდინარე მუხლების თანახმად თანდათანობით იქნა ლიბერალიზებული. 1964 წელს იაპონია შეუერთდა სსფ-ს წესდების მერვე მუხლს და სისტემის ლიკვიდირება მოახდინა, რომელიც სავალუტო რესურსების კონცენტრაციას ითვალისწინებდა. შემდგომში ხდებოდა ოპერაციათა ეტაპობრივი ლიბერალიზაცია კაპიტალური ანგარიშების მიხედვით, რამაც ხანგრძლივი დრო მოითხოვა. 1979 წელს კანონში სავალუტო ოპერაციებზე შეტანილ იქნა არსებითი ცვლილებები და დაადგინეს, პრინციპში, კაპიტალური ხასიათის ოპერაციათა განხორციელების თავისუფალი რეჟიმი. *სავალუტო ოპერაციების სრული, იურიდიულად გაფორმებული ლიბერალიზაცია შესაბამისი კანონმდებლობის კარდინალური გადახედვის შედეგად მოხდა 1998 წელს.*

8. იაპონიისათვის დამახასიათებელია მეტად *კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე* დაყრდნობა. მუშათა თითქმის 90%-ს გააჩნია ცოდნის ისეთი დონე, რომელიც ბაკალავრის დონეს შეესაბამება. განათლებაში ჩადებულ იქნა მნიშვნელოვანი ინვესტიციები. ჩვენ გვახსოვს, რომ ჯერ კიდევ XX ს-ის დამდეგს ქვეყანაში უკვე იყო სრული წიგნიერება. ომის შემდგომ ერში განათლების კულტი დაინერგა. იაპონური სკოლის თავისებურებას წარმოადგენს სწავლების მკვეთრი დირექტიული მოდელი, სასწავლო დღის დიდი ხანგრძლივობა და ცნობილი დაზუთხვა. იაპონიის განათლების სისტემას უეჭველ პლუსებთან ერთად განსაზღვრული ნაკლოვანებებიც გააჩნია. „ლურსმნების დარჭობის" პრინციპები ხელს უშლის აშკარა სამეცნიერო ინდივიდუალობათა განვითარებას. გარდა ამისა, ლიცენზიებისა და უცხოური ტექნოლოგიების ყიდვაზე მრავალი წლის განმავლობაში ორიენტაციამ უქმად არ ჩაიარა. ამჟამად იაპონია მეცნიერებაზე მშპ-ის დაახლოებით 3%-ს ხარჯავს, თითქმის იმდენივეს, რამდენსაც აშშ და EU, თუმცა იგი ჯერჯერობით გამოყენებით მეცნიერებაზე სპეციალიზდება და მისი წარმატებები ფუნდამენტალურ სფეროებში საკმაოდ მოკრძალებულია.

9. იაპონიაში შეიქმნა ბიზნესის მართვის ორიგინალური სისტემა, რომელიც ძალიან ჭირვეული იაპონელი მომხმარებლებისათვის იყო გამიზნული. იგი გამოირჩევა მოქნილობითა და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნის მიმართ ადაპტირების უნარით, რომლის პრიორიტეტი ეკონომიკურ სისტემაში უდავოდ ითვლება. წარმოების ორგანიზაციაში ფართოდ გამოიყენება კონფუციანურ-ბუდისტური ცივილიზაციის კოლექტიური ტრადიციები. მათ დიდი ეკონომიკური ეფექტი მისცა სამუშაო ადგილზე კონტროლმა, ხარისხის წრეებმა, სამუდამო დაქირავების სისტემამ და სხვა წმინდა ია-

პონურმა ორგანიზაციულმა ინოვაციებმა, რომელთა გადატანა სხვა ქვეყნების ნიადაგზე პრაქტიკულად ვერ მოხერხდა.

თანამედროვე იაპონური მსხვილი ბიზნესის ორგანიზაციის სპეციფიკური ნიშნები ჩვენს მიერ შემდეგ პარაგრაფში იქნება განხილული.

20.4. იაპონიის ტრანსეროვნული კაპიტალი

იაპონიის ტეკ-ბი მნიშვნელოვან სპეციფიკას ფლობს. მათი ევოლუცია მეიძის ეპოქაში, XIX ს-ის ბოლოს, დაიწყო. მაშინ შეიქმნა ძირითადი ჰოლდინგები „ძაიბაცუ", რომლებიც ქვეყნის მთელ ეკონომიკას აკონტროლებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძაიბაცუ, რომელიც იაპონურ აგრესიას უჭერდა მხარს, განადგურდა. შემდგომ თავისებური *სამფენოვანი იაპონური ეკონომიკის სტრუქტურა ჩამოყალიბდა.* პირველ ფენას საწარმოები წარმოადგენს, მეორეს — კეირეცუს ვერტიკალურად ინტეგრირებული ჯგუფები, რომლებიც ევროპულ კონცერნებს გვაგონებს, მესამეს კი — სიუდანები, რომლებიც ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებს წარმოადგენს. ისინი თავისთავში კეირეცუს მოიცავს.

კეირეცუს სტრუქტურაში სათავო კომპანიასა და საწარმოთა ჯგუფებს შორის არსებობს სხვადასხვა სახის კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს დედობილი ფირმის საწარმოო პროფილი. კეირეცუს დაჯგუფებული საწარმოები, რომლებიც დედობილი ფირმის საწარმოო პროფილზეა „ასხმული", შეიძლება პირობითად იქნეს დაყოფილი შემდეგ ძირითად სახეებად:

1) კეირეცუს ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას დამმუშავებელ მრეწველობაში ვერტიკალური კეირეცუ წარმოადგენს საამწყობო წარმოებაში, სადაც დედობილი ფირმა პირამიდის „წვერის" სახით გამოდის, ხოლო დამოკიდებული ფირმები ამ პირამიდის სხვადასხვა „სართულზე" განლაგდება. ვერტიკალური კეირეცუს ტიპი იაპონურ მრეწველობაში სუბსანარდო სამუშაოთა მთელ სისტემას უდევს საფუძვლად;

2) საწარმოები, რომლებიც დედობილი კომპანიის (კეირეცუს ამგვარმა ფორმამ ყველაზე მეტი ხარისხით გამოვლენა ჰპოვა ავტომობილმშენებლობასა და ელექტრომანქანათმშენებლობაში) პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისათვის შეიქმნა. ასეთი სახის გამანაწილებელი კეირეცუ თავისთავად წარმოადგენს აგრეთვე ინტეგრაციულ სტრუქტურებს და განაწილების (მიმოქცევის) მთელ პროცესს მოიცავს — ქარხნის ჭიშკრიდან დაწყებული და დამთავრებული საცალო ქსელის მაღაზიების დახლებით;

3) საწარმოები, რომლებიც დედობილი კომპანიის მიერაა შექმნილი (ან შეერთებული) წარმოების ახალ სფეროებში შეჭრის მიზნით დივერსიფიკაციის სტრატეგიის საფუძველზე;

4) საწარმოები შექმნილნი საზღვარგარეთულ ბაზრებზე შესაღწევად. მათ რიცხვში შეიძლება იყოს ყველაზე განსხვავებული პროფილის კომპანიები — სავაჭრო, საწარმოო, საფინანსო და სხვ.

საწარმოო ურთიერთკავშირებთან ერთად კეირეცუში მოქმედებს დამოკიდებულების სხვა სახეებიც სათავო და დაჯგუფებულ ფირმებს შორის. მათ მიეკუთვნება: სათავო ფირმის მონაწილეობა ქალიშვილ-კომპანიათა და დამოკიდებულ ფირმათა კაპიტალში, სათავო კომპანიის წარმომადგენელთა დაჯგუფებული ფირმების დირექტორატთა მუშაობაში მონაწილეობა, სათავო ფირმის მიერ ფინანსების და ტექნოლოგიების გადაცემა თავისი დაჯგუფებული კომპანიებისათვის და ა. შ. საწარმოო და სხვა კავშირების დამოკიდებულების ინტენსივობის ხარისხის შედეგად დედობილ ფირმასა და დამოკიდებულ კომპანიებს შორის ყოველი კეირეცუ პრაქტიკაში თავისთავად წარმოადგენს საკმაოდ არაერთგვაროვან და მოძრავ, მოქნილ სტურქტურას დინამიკური შიდა ურთიერთმოქმედებით — ყველაზე უხეშიდან შედარებით სუსტამდე.

სათავო ფირმის მხრიდან კონტროლის განხორციელებისათვის საფუძველი დაჯგუფებული საწარმოებისათვის უმეტეს შემთხვევაში აქციების ფლობის სისტემა რჩება. მაგრამ ყველაზე ხშირად, რაც უფრო დაბლა, პირამიდის „საფუძველთანაა", კეირეცუ, მით უფრო იშვიათად შეიძლება შეგხვდეს კავშირის ისეთი ფორმა, როგორიცაა ფირმა-დამკვეთის მონაწილეობა დამოკიდებული ფირმის კაპიტალში. ასეთი პირამიდის ქვედა სართულებზე კონტროლი ხორციელდება, როგორც წესი, სხვა პრინციპების საფუძველზე და უპირველეს ყოვლისა მოიჯარის დამოკიდებულებაზე სათავო ფირმის ტექნოლოგიასა და შეკვეთებზე.

კეირეცუს ჩარჩოებში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია საზღვარგარეთულ საწარმოებს, რომლებიც შესულია ჯგუფების შემადგენლობაში როგორც ადგილობრივ საწარმოთა შეძენის საფუძველზე, ასევე ქალიშვილ-კომპანიათა შექმნის გზით. ეს პროცესი განსაკუთრებით 80-იან წლებში გააქტიურდა, როცა ყველაზე მძლავრმა იაპონურმა კომპანიებმა კურსი აიღეს ეკონომიკური სტრატეგიის გლობალიზაციაზე.

იაპონიის მეგაჯგუფები — სიუდანები — ექვსი ძირითადი ჯგუფითაა წარმოდგენილი. ოთხი მათგანი ომამდელი ძაიბაცუსგან გაიზარდა — „მიცუი", „მიცუბისი",; სუმიტომო", „ფუე" („იასუდა"), ორი ომის შემდეგ ჩამოყალიბდა — „დაიიტი კანგე" და „სანვა".

თავისთავად სიუდანები უნივერსალურ, დარგთაშორის კომპლექსებს წარმოადგენს, მძლავრი, დამოუკიდებელი ფირმების ერთგვარ „ფედერაციებს", რომლებიც შესაბამისი ბანკისა და სავაჭრო ფირმის გარშემოა გაერთიანებული. სიუდანის მონაწილეებს შორის კავშირი აქციების ფლობის ჯვარედინი სისტემით, ჯვარედინი დირექტორატით, ფირმა-მონაწილეთა პრეზიდენტების კავშირის მუდმივობით მტკიცდება.

მაგალითად, „მიცუბისის" ჯგუფს ხელმძღვანელობს „მიცუბისი ბანკი", რომელსაც ჯერ კიდევ 1992 წელს მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების სიაში მერვე ადგილი ეკავა. ჯგუფში აგრეთვე შედის 1000 უმსხვილესი მსოფლიო კორპორაციის სიიდან 14 საწარმო და მრავალი წვრილი და საშუალო კომპანია. საშუალოდ კონცერნის საწარმოდან ყოველ 25-29%-ს ფლობს სხვები, მასში შემავალი კომპანიები. ჯგუფ „მიცუი"-სათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 16,5%-დან 17,6%-მდე, „სუმიმოტო"-სათვის — 23,3%-დან 27%-მდე.[1] ასეთი სტრუქტურა საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, მაქსიმალურად მოახდინოს თვით ამ ჯგუფის შიდა რესურსების რეალიზება, ხოლო მეორე მხრივ — სათაო ბანკის საშუალებით უზარმაზარი ფინანსური საშუალებების მოზიდვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო ბაზრებზე.

თითოეულ დასახელებულ სიუდანს თავისი თავისებურებები გააჩნია. მაგალითად, „მიცუბისი" უპირატესად მძიმე ინდუსტრიის, სამხედრო წარმოებასა და ატომურ-ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას აკონტროლებს, აგრეთვე ნედლეულის და ენერგეტიკული რესურსების დამუშავებას. ვინაიდან ამ ჯგუფის საქმიანობა ეკონომიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორებში ხორციელდება, მას განასხვავებს სახელმწიფო აპარატთან მჭიდრო კავშირი. „სუმიტომოს" გააჩნია ჩამოყალიბებული კავშირები დარგებთან, რომლებიც სამრეწველო მასალებს აწარმოებს (სპილენძი, ცემენტი, ალუმინი, მინა და ა. შ.). იგი აგრეთვე მოიცავს ელექტროტექნიკურ და ელექტრონულ მრეწველობას, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობას, რომელთაც დარგობრივ იერარქიაში მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ, სიუდან „მიცუის" დარგობრივი სტრუქტურა მასში ქიმიური მრეწველობის დიდი წილით, სინთეტიკური ბოჭკოების წარმოებით, ნახშირის მრეწველობითა და სხვა ტრადიციული წარმოებით ხასიათდება.

გარდა ექვსი დასახელებული ჯგუფისა, შეიძლება გამოვყოთ ჯგუფი, რომელიც გრძელვადიანი კრედიტის ბანკთან — იაპონიის სამრეწველო

1. Иноземцев В. Расколотая цивилизация. — М.: Academia — Наука, 1999.

ბანკთანაა დაკავშირებული („ნიხონ კოგე გინკო"). მოცემულ ჯგუფს სპეციფიკური, განსაკუთრებული ადგილი უკავია. საქმე ისაა, რომ ომისშემდგომი ინდუსტრიალიზაციის და ზრდის მაღალი ტემპების პერიოდში იაპონიის სამრეწველო ბანკი გამოდიოდა „სახელმწიფო პოლიტიკის ბანკის" როლში და მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა საკვანძო დარგების პრიორიტეტულ დაფინანსებაში. ამის შედეგად მოცემული ბანკის გარშემო დაჯგუფდა ისეთი კორპორაციები, როგორიცაა მეტალურგიული კონცერნი „სინ ნიპპონ სეიტეცუ", ენერგეტიკული და მსხვილი ქიმიური და ნავთობქიმიური კორპორაციები. ამ ჯგუფში შედის აგრეთვე დამოუკიდებელი სამრეწველო ჯგუფი „ჰიტაჩი-ნისანი", რომელსაც ისტორიულად ჩამოყალიბებული ღრმა და ინტენსიური კავშირები გააჩნია (ფინანსური, პერსონალური, კაპიტალში მონაწილეობა) იაპონიის სამრეწველო ბანკთან. თუმცა სამრეწველო ჯგუფს „ჰიტაჩი-ნისანს" ერთდროულად მჭიდრო კავშირი აქვს ბანკ „ფუძისთან", რომელიც ჯგუფ „ფუეს" მეთაურობს.

იაპონიის სამრეწველო ბანკი თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილმასშტაბიანი საზღვარგარეთული პროექტების რეალიზაციაში.

იაპონურ სიუდანებს იურიდიული პირის სტატუსი არ გააჩნია. ყველა აღნიშნული ფინანსური ჯგუფი კოორდინირებადი და ორგანიზაციულად მართვადია გაერთიანებების მხრიდან. მათი საქმიანობა წარიმართება საკოორდინაციო ცენტრების მიერ — დახურული საპრეზიდენტო კრებებით. შიდაჯგუფური ურთიერთობები არაფინანსურ კორპორაციებსა და საკრედიტო-ფინანსურ დაწესებულებებს შორის მრავალმხრივი კავშირებით ხასიათდება: აქციების ურთიერთფლობით, „სიუდანების" წევრ კორპორაციათა უპირატესი დაფინანსებით, ურთიერთ მიწოდებითა და საქონელგაცვლით, ტექნიკური თანამშრომლობითა და პერსონალური კავშირებით. ამასთან, ფინანსური ჯგუფების ცალკეულ მონაწილეთა ქცევა შეთანხმებულია საერთო-ჯგუფურ სამეურნეო სტრატეგიასთან, რომელიც მიზნად ისახავს საქმიანობის სფეროს გაფართოებას და კონტროლს, ასევე მოგების მაქსიმიზაციას. შეთანხმებული მოქმედებების საერთოჯგუფური სტრატეგია და პროგრამები გამომუშავდება დახურულ საპრეზიდენტო კრებებზე, ხოლო მათი რეალიზაცია ხდება საკოორდინაციო ცენტრების სისტემის დახმარებით. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ სიუდანებში კორპორაციათა ურთიერთობანი მდგრად, ხანგრძლივ ხასიათს ატარებს.

კონცერნებისგან განსხვავებით, მათი მკაცრად ორგანიზებული სტრუქტურით, სიუდანებში ჯგუფურ კავშირებს მოქნილი ხასიათი გააჩნია. ეს მოქნილობა, კერძოდ, იმაში მდგომარეობს, რომ მათში არსებული ურთიერთმონაწილეობის სისტემა აღმოფხვრის კორპორაციათა დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობას.

იაპონური ფინანსური ჯგუფების ორგანიზაციული აგებულება მსხვილი კომერციული ბანკების გარშემო მათ რიგი ქვეყნების ფინანსური ჯგუფებისგან განასხვავებს, სადაც ხელმძღვანელი ჰოლდინგები არსებობს, რომლებიც აქციათა საკონტროლო პაკეტების კონცენტრაციას თავისთან ახდენს. მოცემული გარემოება გრძელვადიანი კორპორაციათაშორისი კავშირების შეხამებით, რომელიც მკაფიო კოორდინაციითა და ორგანიზაციული მართვით გამოირჩევა, სწორედ იაპონური ჯგუფების მკაფიო ხასიათს წარმოადგენს.

20.5. იაპონიის ეკონომიკის პრობლემები და განვითარების ტენდენციები

იაპონიამ ახლახან გადაიტანა ომისშემდგომი ისტორიის მანძილზე ყველაზე მძლავრი კრიზისი და ზრდის ტენდენციები მხოლოდ ისახება. ქვეყნის საქმიანი კლიმატის ბოლო მიმოხილვას, რომელიც იაპონიის ბანკის მიერ ყოველკვარტალურად ტარდება, გვიჩვენა არსებითი გაუმჯობესება მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკურ სახელმწიფოში. იაპონიის Tankan ბანკის 2000 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებულმა მიმოხილვამ, რომელიც 9000 იაპონურ კომპანიის ინფორმაციას მოიცავს, ქვეყანაში საქმიანი კლიმატის გაუმჯობესება დაგვანახა. უმსხვილესი იაპონური კორპორაციების ოპტიმიზმის დონე თავისი მომავლის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მეშვიდე თანმიმდევრული კვარტალის განმავლობაში შეიმჩნევა. საქმიანი განწყობის ინდექსი გამოითვლება, როგორც კომპანიის პროცენტული წილის სხვაობა, რომლებიც თავის პერსპექტივებს ოპტიმისტურად აფასებს და იმ ფირმათა პროცენტული წილით, მომავალს პესიმისტურად რომ უყურებს. 2000 წლის III კვარტლის კომპანიათა სუფთა პროცენტული წილი, რომელთაც მათთვის ხელსაყრელი საქმიანი კლიმატის შესახებ ამცნეს, გაიზარდა +10%-მდე, მაშინ როცა მე-2 კვარტალში ინდექსის მნიშვნელობა სულ +3% იყო. ეს მიგვანიშნებს იაპონური ბიზნესის საკუთარი თავის მიმართ რწმენის აღდგენაზე.

პოზიტიური ტენდენციებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი.

1. *იაპონიის გარშემო აზიური ეკონომიკების გაერთიანება* და მძლავრი ეკონომიკური კავშირის წარმოქმნის დაწყება. აზიურ მთავრობებს თავისი ტრადიციული შეხედულებების გადახედვას მსოფლიოზე ორი ფაქტორი უბიძგებს. პირველი, რეგიონის ბევრ ქვეყანაში შეინიშნებოდა აშშ-ის მიერ გამოყენებული მეთოდების გამო იმედგაცრუება; ეს მეთოდები მიმართული იყო 1997 წ. ეკონომიკური კრიზისის შედეგთა აღმოფხვრისაკენ, მეორე, WTO-ს წევრი ქვეყნების 2000 წ. სიეტლში შეხვედრის წარუმატებელი შედეგები. ეს ორი ფაქტორი აიძულებს აზიურ მთავრობებს ეძიოს შიდა გზები საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად. გლობალური ფინანსური სისტემის რეფორმირების წარუმატებელი მცდელობა ქმნის სტიმულს უფრო მჭიდრო თანამშრომლობისათვის ფინანსურ და ეკონომიკურ სფეროებში ჩინეთს, იაპონიას, სამხრეთ კორეასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთა ასოციაციის 10 წევრს შორის (მალაზია, ბრუნეი, სინგაპური, ფილიპინები, ინდონეზია, ტაილანდი და სხვ.), ამასთან სავაჭრო არენაზე სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს ორმხრივი სახელმწიფო ურთიერთობები. ყოველივე ამის ფონზე იაპონია ცდილობს ლიდერობას. ეს ქვეყანა პირველად გამოიჭრა მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ადრე გატარებული პოლიტიკის ჩარჩოებიდან და ორმხრივ სავაჭრო ხელშეკრულებებზე დაიწყო მუშაობა, კერძოდ, ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა სინგაპური და სამხრეთ კორეა. იაპონიის მთავრობამ დაიწყო აგრეთვე პროექტის აქტიურად გატარება სავალუტო სვოპების სისტემის ორგანიზაციაში აზიური მთავრობების სპეკულაციური შეტევებისაგან დაცვის მიზნით. გარდა ამისა, ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ნელა, მაგრამ სწორად უძღვება აზიური სავალუტო ფონდის შექმნის იდეას. ყველა ამ ინიციატივის განხორციელების შანსი საკმაოდ განუსაზღვრელია, თუმცა თავად მსოფლმხედველობის ცვლილება წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვანს. კერძოდ, დღესდღეობით იაპონია ბევრად ნაკლებადაა მზად ბრმად მიიღოს აშშ-ის ლიდერობა ეკონომიკურ საკითხებში. ამგვარი განწყობის ერთ-ერთი მიზეზია დაცვითი რეაქცია, ვინაიდან იაპონია შიშობს, რომ ევროს განვითარება საბოლოო ჯამში იენს გამოდევნის. იაპონია აგრეთვე კონკურენციის საფრთხეს გრძნობს საერთაშორისო იმიჯგანმტკიცებული ჩინეთის მხრიდან. თუკი ეს საფრთხე აიძულებს იაპონიას უფრო ეფექტიანი და კონსტრუქციული როლი შეასრულოს აზიაში, ეს მხოლოდ დადებითად აისახება რეგიონში საქმის მდგომარეობაზე, ვინაიდან მას სჭირდება მტკიცე წარმმართველი და იაპონია, როგორც რეგიონის ყველაზე მდიდარი ქვეყანა, საკმაოდ კარგად მოერგება ამ როლს.

2. Tankan-ის მიმოხილვაში აღნიშნულ დადებით ტენდენციებს შორის საჭიროა დავასახელოთ კომპანიათა მოგებების შესახებ პროგნოზი. მსხვილი მწარმოებლებისათვის მოგების ზრდის პროგნოზი მთელი ფინანსური წლის განმავლობაში (2001 წ. 31 მარტს ილევა) შთამბეჭდავ დონეზე (24%) იმყოფება. კიდევ ერთ სასურველ მაჩვენებელს წარმოადგენს მსხვილი კორპორაციების გეგმები მათ კაპიტალდაბანდებათა მოცულობებთან მიმართებაში. მიმდინარე ფინანსურ წელს ეს კორპორაციები გეგმავს კაპიტალდაბანდებების გაზრდას 6%-ით, მაშინ როცა წინა მიმოხილვაში 4,6% ფიგურირებდა. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალდაბანდებანი ეკონომიკური ზრდის შემადგენელი ნაწილის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. ამიტომაც მათი დადებითი დინამიკა კარგ ნიშანს წარმოადგენს. მოწყობილობებზე შეკვეთების შესახებ ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც 2000 წლის აგვისტოშია რეგისტრირებული, ამ ტენდენციას მხოლოდ ადასტურებს. ასეთი შეკვეთების მოცულობა ზაფხულის ბოლო თვეში 26,6%-ით გაიზარდა, ივლისთან შედარებით და 45,8%-ით გასული წლის აგვისტოსთან შედარებით, რითაც ბოლო 4 წლის მანძილზე ყველაზე დიდი ნამატი აჩვენა. ხოლო მოწყობილობაზე შეკვეთები კაპიტალდაბანდებების მოცულობათა ინდიკატორს წარმოადგენს ნახევარი წლით ადრე. მოცემული ციფრები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კაპიტალდაბანდებათა ზრდის ტემპებმა მიმდინარე ფინანსურ წელს უნდა შეადგინოს 12%-დან 15%-მდე. ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორები შეკვეთათა მოცულობების მიხედვით ლიდერები გახდნენ. ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ მშპ-ის ტემპების ზრდა ფინანსური წლის მანძილზე დაახლოებით 2% იქნება. დღესდღეობით იაპონიის ეკონომიკური დაგეგმვის სააგენტო — Economic Planning Agency, EPA, მხარს უჭერს ორიენტირს მშპ-ის ზრდისათვის წლის განმავლობაში 1%-ზე მეტ დონეზე.

3. *დღეს იაპონიაში კორპორაციული მოგება იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ეს იყო ბოლო 20 წლის განმავლობაში.* გასაკვირი არაა, რომ ტოკიოს საქმიან წრეებში სულ უფრო ძლიერ იგრძნობა *მომავალი ექსპანსია*, მათ შორის მსოფლიო დონეზეც.

4. იაპონიაში, ისევე როგორც აშშ-ში, გაჩნდა „ახალი" ეკონომიკა, რომელიც თავისთავში მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს მოიცავს. დღეს შეინიშნება „ძველ" და „ახალ" ეკონომიკას შორის განხეთქილება, ამასთან ბევრად დიდი, ვიდრე ამერიკული ტეკ-ების შემთხვევაში. ბევრი ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტის სწრაფვა იზრდება

არა მსხვილ სიუდნებში სამუშაოდ, არამედ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო პატარა კომპანიებში. ზოგიერთი მკვლევარის შეფასებით, უახლეს მომავალში „ძველ“ ტეკ-ები — სიუდანები — სალიდერო პოზიციებს დაუთმობს „ახალი ეკონომიკის“ კომპანიებს. ეს უკანასკნელნი აქტიურად ერწყმიან ევროპულ და ამერიკულ კორპორაციებს, რომლებიც ხშირად ხდებიან გადამწყვეტ ფაქტორად (როგორც Fyjitsu და Siemens-ის ალიანსის შემთხვევაში). „ძველი ეკონომიკის“ ფირმების (ე. ი. ტრადიციულ ტეკ-თა) კაპიტალიზაცია კვლავინდებურად უფრო მაღალი რჩება, ვიდრე „ახალი ეკონომიკის“ ფირმებისა, თუმცა სწორედ ისინი (NTT, Rihm, Denso, Sankyo) იზრდება უფრო მაღალი ტემპებით. იაპონიაში ინტერნეტს საქონლის მიწოდების და რეალიზაციის არსებული სისტემა თანდათანობით მიჰყავს რესტრუქტურიზაციამდე. ამ ქვეყანაში ინტერნეტ-ვაჭრობის პოტენციალი უზარმაზარია. ოჯახების დაახლოებით 30%-ს პერსონალური კომპიუტერები აქვთ, ხოლო 40 საბროკერო კომპანია მუშაობს „on-line“-ის რეჟიმში, 450 ათასი ინდივიდუალური მეანაბრის ანგარიშით. 2000 წელს ელვისებური სისწრაფით იზრდება სამი საბროკერო ფირმა, რომლებიც ინტერენტით ვაჭრობს: „მონექსი“, „ი თრეიდ ჯაპან კკ“ და „დლჯ. დირექტ სფგ სეკიურიტიზ“. სავაჭრო და სამრეწველო კომპანიები, რომლებიც ფინანსური სისტემის რეფორმის შედეგად პირველად იქნა დაშვებული საბანკო საქმესთან, ახალ ბანკებს ქმნის, ორიენტირებულს ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე. ასე მაგალითად, „ფუძიცუ“ — კავშირგაბმულობის მოწყობილობის მწარმოებელმა ბანკ „საკურასთან“ ერთად ქვეყანაში პირველი ბანკი შეიქმნა ინტერნეტში სამუშაოდ. კორპორაცია „სონი“ თავის ბანკს ქმნის ინტერნეტში. „სონი“ აპირებს გახდეს ფინანსური სუპერმარკეტი, რომელიც ფინანსური მომსახურების მთელ სპექტრს სთავაზობს.

5. 1999 წ. იაპონიამ გრანდიოზული ფინანსური რეფორმა ჩაატარა, რომელსაც ინგლისური რეფორმის (1986 წ.) ანალოგის მიხედვით ეწოდა „დიდი აფეთქება“. თავისთავად რეფორმა კანონების საპაკეტო გადახედვას წარმოადგენს ბანკებზე, ბირჟებზე, სადაზღვევო საქმეთა და ფასიან ქაღალდებზე ფინასური ოპერაციების ლიბერალიზაციის მიმართულებით. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკებმა, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებმა მიიღო უფლება იყოს დასაქმებული ფინანსური ოპერაციების მთელი სპექტრით. არასაფინანსო კომპანიების ფინანსურ ბაზრებზე დაშვების აკრძალვა მოხსნილია. გაუქმებულია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სავალდებულო ლიცენზირება. ახლა მათთან სამუშაოდ საკ-

მარისია უბრალო რეგისტრაცია. ერთდროულად კლიენტების დაცვის მკაცრი წესებია შემოღებული. ყველა ფინანსური ორგანიზაცია ახლა ვალდებულია გასცეს ინფორმაცია დაუბრუნებელ ვალებზე, ამ იაპონური ეკონომიკის ჭირზე. 15 უმსხვილესი ბანკის დაუბრუნებელი კრედიტები 162,7 მლრდ დოლარადაა შეფასებული. ისინი ჩამოიწერება ბანკების მოგების და მათი აქტივების გაყიდვის ხარჯზე. აქ ბანკებს კვლავ სახელმწიფო ეხმარება, რომელმაც 1999 წელს ამ მიზნისათვის 7,4 ტრლნ იენის ასიგნება მოახდინა (62 მლრდ დოლარზე მეტი).[1]

6. იაპონიის წამყვანმა ბანკებმა დაიწყეს სწრაფი რესტრუქტურიზაცია, ისარგებლეს რა ანტიმონოპოლიური კანონის მუხლის გაუქმებით, რომელიც ფინანსური ჰოლდინგების შექმნას კრძალავდა. 1999 წლის ბოლოს სამმა წამყვანმა ბანკმა — „დაიიტი—კანგემ", „იაპონიის სარეწველო ბანკმა" და „ფუძიმ" — გამოაცხადა ფინანსური ჰოლდინგის „მიძუხოს ჯგუფის" შექმნის შესახებ. ეს იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი 1 ტრლნ დოლარის აქტივებით. ამის შემდეგ ბანკებმა „სუმიმოტომ" და „საკურამ" გამოაცხადა შერწყმის შესახებ 2002 წლის აპრილისათვის. მათი საერთო აქტივები 931 მლრდ დოლარს შეადგენს. მიმდინარეობს *მთელი ფინანსური სისტემის შთამბეჭდავი რესტრუქტურიზაცია*. ტრასტ-ბანკების უმრავლესობა, რომლებსაც კორპორაციული საპენსიო ფონდები მართავს, მთავარ საბანკო ჯგუფების შემადგენლობაში შევიდა. საბროკერო და სადაზღვევო კომპანიები ერთიანდება. ფინასური იაპონია ემზადება კონკურენტული ბრძოლის ახალი ეტაპისა და რევანშისათვის 90-იანი წლების მარცხის გამო.

7. მნიშვნელოვანი ტენდენციის სახით შეიძლება აღინიშნოს ტრადიციული იაპონური ფინანსური ჯგუფების „გადარეცხვის" გაგრძელებული პროცესი და იაპონიის კორპორაციათა დაახლოება ფორმებთან, რომლებიც აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ფინანსური ჯგუფებისათვისაა დამახასიათებელი. იაპონური კომპანიები ამერიკელებსა და ევროპელებზე აქტიურად იყენებენ მენეჯერებს და თანამშრომლებს მიმღები ქვეყნებიდან. იაპონიის ბაზრებზე ბოლოს და ბოლოს აქტიურად შემოაღწიეს უცხოურმა კორპორაციებმა და იაპონელები იწყებენ მათთან მტკიცე საქმიან ურთიერთობებს. უკვე 86 მსხვილ კორპორაციაში, რომლებშიც აქციათა დიდი პაკეტები უცხოელებს ეკუთ-

1. Леонтьева Е. Япония: преодоление кризиса // Мировая экономика и международные отношения. — 2000. — №8.

ვნის, უცხოელი მენეჯერები შედიან დირექტორთა საბჭოში. ამის მკაფიო მაგალითია „ნისან-რენოს“ ალიანსი, რომელსაც ტეკ-ის ფორმა აქვს. ამასთან საკონტროლო პაკეტი „რენოს“ ხელშია, ხოლო „ნისანში“ ამჟამად 18 უცხოელი ტოპ-მენეჯერია, ინგლისური ენა კი საქმისწარმოების სახითაა გამოყენებული.

თუმცა ზოგიერთი დადებითი ტენდენციის გვერდით, ოპტიმიზმს რომ ბადებს, პოსტკრიზისულ იაპონიას არაერთი პრობლემა რჩება გადასაჭრელი.

1. *იაპონიის საბიუჯეტო დეფიციტი*, OECD-ის შეფასებით, მშპ-ის 9%-ს შეადგენს. იგი უკვე მრავალი წელია *სახელმწიფო ვალის* გაზრდის ხარჯზე იფარება, რომელიც თანამედროვე იაპონიის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. ცენტრალური მთავრობის ვალმა, რომელიც ბოლო 4 წლის მანძილზე 50%-ით გაიზარდა, აპრილში 500 ტრლნ იენს მიაღწია. თუკი ამას დავუმატებთ მუნიციპალური ხელისუფლების ვალებს და სხვა ვალებსაც, რომლებიც მთავრობის მიერაა გარანტირებული, მაშინ საერთო თანხა 675 ტრლნ იენამდე გაიზრდება, რაც ბევრად მეტია, ვიდრე ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. იაპონიის სახელმწიფო ვალის სწრაფი ზრდა ქვეყნის კრედიტუნარიანობას ვნებს. 2000 წლის სექტემბერში Moody's-ის სააგენტომ კიდევ ერთხელ დასცა იაპონიის საკრედიტო რეიტინგი — Aa2-მდე, რაც 2 პუნქტით ნაკლებია ყველაზე მაღალნიშნულზე. და ეს მიუხედავად იმისა, რომ იაპონია უმსხვილესი ქვეყანა-კრედიტორია. თუკი სახელმწიფო ვალი დაიწყებს ზრდას ადრინდელი ტემპებით, მაშინ კრედიტორები მალე მიხვდებიან, რომ იაპონიის სახელმწიფო ობლიგაციები არც ისე ურისკო ინსტრუმენტია. როგორც ისტორია გვიჩვენებს, მათზე შემოსავლიანობა დაიწყებს ზრდას, ამასთან ძალიან ჩქარა. ეს არა მარტო სესხებზე მთავრობის გეგმებს ჩაფუშავს, არამედ არასაფინანსო სექტორის აღდგენასთან დაკავშირებით გაჩენილ სუსტ იმედებსაც მოსპობს. საინვესტიციო ბანკები ადასტურებენ, რომ ზოგიერთი იაპონური ფირმა იმდენად შეშფოთებულია სახელმწიფო ვალის ზრდით, რომ ცდილობს იაპონიაში ოპერაციათა მოცულობა შეამციროს, სამაგიეროდ მათი მოცულობა საზღვარგარეთ გაზარდოს. მათი აზრით, სახელმწიფო ვალის ზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს კრახი ობლიგაციების ბაზარზე და ინფლაცია.

2. *იაპონიის საფონდო გაზარს ძველებურად აცივებს.* იაპონიაში ეჭვი შიდა მოთხოვნის სტაბილურობის თაობაზე საკმაოდ ძლიერია, რაც 2000 წელს მოთხოვნის და მიწოდების ბალანსის უარყოფითი შეფასებით საბუთდება, აგრეთვე პროგნოზებით საწარმოო ფაქტორების ფასების ზრდის გადიდების და საბოლოო პროდუქციაზე ფასების დაწევის

შესახებ, რომელიც მოგების კოეფიციენტის შემცირებას იწვევს. 2000 წლის მაისის შუა რიცხვებიდან Nikkei-ის ინდექსი მდგრად დაცემის ტენდენციას აჩვენებს. წლის დამდეგიდან Nikkei შემცირდა 18%-ზე მეტად და დღესდღეობით თავისი 9-თვიანი სავაჭრო დიაპაზონის ქვედა ზღვართან ვაჭრობს.

3. იენის გაცვლითი კურსის დინამიკა იაპონიას საშუალებას არ აძლევს სრულად გამოიყენოს აზიაში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება და აშშ-ს აღმავლობა საგარეოეკონომიკური ექსპანსიისათვის. მშპ-ის დადებითმა დინამიკამ, რომელიც 1999 წ. და 2000 წელს იქნა ნაჩვენები, წამსვე გამოიწვია ზეწოლა იენზე მისი აწევის მიმართულებით. იენის კურსი მკვეთრად წავიდა მაღლა: 120,9 იყო ერთ დოლარზე 1999 წლის ივნისში და 102-მდე გახდა დეკემბრის ბოლოს. ამის გამო ექსპორტის ღირებულება შემცირდა 6,3%-ით. ავტომობილების ექსპორტი მკვეთრად დაეცა. საგადასახდელო ბალანსის სალდო 12,2%-ით შემცირდა.

4. იაპონია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ლიდერობდა, ახლა შესამჩნევად ჩამორჩება. ფაქტიურად ინგლისურენოვანი ინტერნეტი სრულებითაც არ უწყობდა ხელს იეროგლიფური იაპონიის მსოფლიო საინფორმაციო თანამეგობრობაში შესვლას. ამასთან დაკავშირებით, იაპონიის პარლამენტში სერიოზული დისკუსია მიმდინარეობს ინგლისურის, როგორც ქვეყნის მეორე სახელმწიფო ენის შემოღების თაობაზე.

5. ქვეყნის მოსახლეობა მალე ბერდება. იაპონიაში სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმაოდ მაღალია — საშუალოდ 80 წელი. ამასთან, ახალგაზრდობის წილი მცირდება და არატრადიციული აზროვნების მობილური სამუშაო ძალის უკმარისობა იგრძნობა. იაპონური ფირმების მაღალი მმართველობითი აპარატის საშუალო ასაკი 60 წელს შეადგენს. სოციალური დანახარჯების გამო, რომლებიც მოსახლეობის დაბერებასთანაა დაკავშირებული, საბიუჯეტო დეფიციტი იზრდება. აქტიურად აყენებენ წინადადებას საპენსიო ასაკის გაზრდაზე 60-დან 65 წლამდე სოციალურ სისტემაზე დატვირთვის საკომპენსაციოდ. ერთ-ერთი ის უპირატესობა, რომელმაც „იაპონურ სასწაულს" ხელი შეუწყო — ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი წილი — ახლა დაკარგულია. არსებობს საფრთხე, რომ ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკური პირველობა მალე შეიძლება უფრო ახალგაზრდა აზიურ ერებს ერგოს.

ზემოაღნიშნულს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ვთქვათ შემდეგი.

1. იაპონიის ეკონომიკურ მოდელს საფუძვლად უდევს ღრმა, ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული, სახელმწიფო და ბიზნესის პარტნიორული ურთიერთობები. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს შედარებით მცირე, ევროპულ ქვეყნებისგან განსხვავებით პირდაპირ ზემოქმედებას ეკონომიკასა და სახელმწიფო მეწარმეობაზე, ეკონომიკური რეგულირების ზომების სრული არსენალიდან. იგი განსაზღვრავს ეროვნულ პრიორიტეტებს, აყალიბებს სამრეწველო პოლიტიკას, ახდენს კერძო ეკონომიკური საქმიანობის წახალისებასა და წარმართვას, კერძო ბიზნესის დაფინანსების ორგანიზებას, იცავს შიდა ბაზარს და ახდენს ექსპორტის სტიმულირებას.

2. იაპონიის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მძლავრი ფინანსური ჯგუფები — სიუდანები. მათში შედის ვერტიკალური იაპონური კონცერნები კეირეცუები, ხოლო ქვედა დონეზე განლაგებულნი არიან საშუალო და წვრილი საწარმოები. სიუდანების სათავეში დგანან ბანკები, ხოლო ჯგუფის ყველა მონაწილე ერთმანეთს შორის დაკავშირებულია აქციების ჯვარედინი ფლობით და პირადი კავშირებით.

3. თანამედროვე იაპონურ ეკონომიკაში შეიმჩნევა გაჯანმრთელების და გამოცოცხლების ნიშნები. იაპონიამ მასშტაბების და სიჩქარის თვალსაზრისით უპრეცედენტო ფინანსური რეფორმა ჩაატარა, მოახდინა ბანკების სისტემის რესტრუქტურიზაცია და ახლა ემზადება ახალი ეკონომიკური ექსპანსიისათვის. თანდათანობით ყალიბება ახალი აზიური ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, რომელშიც იაპონია სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას წამყვან როლზე.

4. ამასთანავე იაპონიას რჩება არაერთი გადაუჭრელი პრობლემა, მათ შორის ბიუჯეტის დეფიციტი, უზარმაზარი სახელმწიფო ვალი, მოსახლეობის დაბერება და განსაზღვრული ტექნოლოგიური ჩამორჩენა, განსაკუთრებით ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

თავი 21

დიადი ჩინეთი

კონფუცისა და მაოს გზით. ჩინეთის ბუნებრივი, დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური და ცივილიზაციური რესურსები. ჩინური რეფორმები. შესაძლებელია თუ არა, კომუნისტური ქვეყანა დინამიურად ვითარდებოდეს? ეკონომიკის ჩინური მოდელი. ჩინეთის უდიდესი საიდუმლო. ჩინეთის განვითარების ტენდენციები. ჩინეთის ეკონომიკური ძლიერება დღეს და ხვალ

გამოვიყენოთ სიძველე თანამედროვეობის საკეთილდღეოდ.

მაო ძე დუნი

მნიშვნელობა არა აქვს, რა ფერისაა კატა, თეთრი თუ შავი, მთავარია, თაგვებს იჭერდეს.

დენ სიაო პინი

ომისშემდგომი ჩინეთის ორი ხელმძღვანელის ეპიგრაფად მოტანილი გამონათქვამები გვიჩვენებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა თავისი განვითარების გზაზე, კომუნისტური იდეოლოგიის მიუხედავად, მუდმივად ეყრდნობა უძველესი ჩინური ცივილიზაციის უმძლავრეს რესურსებს და მეორე — რეფორმების ინსტიტუციონალური ინსტრუმენტების არჩევისას, მსგავსად კონფუცისა, პრაგმატულად უდგება: რაც ხელსაყრელია და ეფექტიანი — ის კარგია და სწორი. ჩინეთის გიგანტური დემოგრაფიული, ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები უკვე ქმნის მისგან მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ პოტენციურ ლიდერს. ხოლო XX საუკუნის ბოლო რეფორმების მსვლელობისას მის მიერ ნაჩვენები ეკონომიკური განვითარების დინამიკა საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ ჩინეთის მოწინავე პოზიციებზე გასვლის პროგნოზი სავარაუდოდ 2020-2030 წლებისათვის.

რუსეთისათვის ჩინური რეფორმების მაგალითი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი დიდი წარმატებების და მცირე წარუმატებლობების მიზეზების შესადარებლად რუსეთის რეფორმების დიდ მარცხებთან და მცირე წარმატებებთან.

21.1. ჩინეთის ბუნებრივი, დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური და ცივილიზაციური რესურსები

ჩინეთი სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მესამე ქვეყანაა რუსეთისა და კანადის შემდეგ. მისი ფართობი 9,572 მლნ კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 1,205 მლრდ ადამიანი. პეკინში დაახლოებით 12,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს. სხვა მსხვილი ქალაქებია — შანხაი (7 860 000 ადამ.), ტიანძინი (5 900 000 ადამ.). ჩინეთი დაყოფილია 23 პროვინციად, ტაივანის, 5 ავტონომიური რაიონის და 3 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქის (პეკინი, შანხაი, ტიანძინი) ჩათვლით. პროვინციები და ავტონომიური რაიონები იყოფა ოლქებად, მაზრებად და თემებად.

როდესაც ვსაუბრობთ ჩინეთის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ *ფაქტობრივად „დიდი ჩინეთი“* სამი ნაწილისგან შედგება. უპირველესად, ეს არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩსრ), რომელიც არსებითად ძირითადია; ერთადერთ ჩინურ სახელმწიფოდაც მას მიიჩნევენ მისი ხელმძღვანელები; მეორე — ესაა ჰონგ-კონგი, რომელიც 1997 წელს ჩსრ-ის ნაწილი გახდა, თუმცა კიდევ 50 წლის განმავლობაში ავტონომიის სტატუსსა და საკუთარ კანონმდებლობას მაინც შეინარჩუნებს. დაბოლოს, მესამე — ეს ჯერჯერობით დამოუკიდებელი ტაივანია, რომლის ჩსრ-სთან მიერთებას დაჟინებით მოითხოვს პეკინი. რუსეთი მხარს უჭერს ამ პოზიციას, ხოლო ჩინეთი სრულიად ემხრობა რუსეთს ჩეჩნურ საკითხში. ჩსრ-ის ორმოცდამეათე წლისთავი 1999 წლის დეკემბერში აღინიშნა აომენის (მაკაო) — პორტუგალიის კოლონიური სამფლობელოს, ჩინური სუვერენიტეტის ქვეშ დაბრუნებით. 1997 წელს კი ჰონგ-კონგის შემოერთებით ჩინეთის კოლონიური ისტორიის მრავალწლიანი ეტაპი დასრულდა.

ჩინეთს აზიის ფართობის დაახლოებით ერთი მეხუთედი უკავია. იგი მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა. დედამიწაზე ყოველი მეხუთე ადამიანი ჩინელია. ჩინეთში ყოველდღიურად დაახლოებით 50000 ბავშვი იბადება და იმისათვის, რომ გამოიკვებოს ასეთი უზარმაზარი მოსახლეობა, აუცილებელია სახნავი მიწის ყოველი გოჯის დამუშავება. აღმოსავლეთი ჩინეთის სამდინარო დაბლობები ათასწლეულობით იხვნებოდა

და ამ რაიონებში მსხვილი ინდუსტრიული ქალაქები წარმოიშვა. ქვეყნის ნაკლებადდასახლებული ჩრდილოეთის და დასავლეთის რაიონები უნაყოფო უდაბნოებითა და მაღალი მთებითაა დაფარული.

ქვეყნის *ბუნებრივ-კლიმატური რესურსები* საოცრად მრავალფეროვანია. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთი განაპირა მხარეებისათვის დამახასიათებელია გრძელი ცივი ზამთარი და მოკლე, ძალიან ცხელი ზაფხული. ეს ტყიანი რაიონები მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მათ შორის, ქვანახშირით. ტემპერატურათა მკვეთრი ცვლილება დამახასიათებელია აგრეთვე ჩინეთის ჩრდილო ოლქებისათვის, სადაც ბალახოვანი დაბლობები გობის უდაბნოს ესაზღვრება. ზაფხულობით უდაბნოში ტემპერატურა ცელსიუსის მიხედვით +38 გრადუსამდე იწევს, ხოლო ზამთარში -34 გრადუსამდე ეცემა. ჩინეთის ცენტრალურ ჩრდილო პროვინციებს კვეთს ფართო, დაკლაკნილი მდინარე ხუანხე (ყვითელი მდინარე), რომელიც მეტად სახიფათოა საშინელი წყალდიდობებით. თუმცა მდინარის შლამით განოყიერებული მისი დაბლობები განსაკუთრებით ნაყოფიერია. მეორე დიდი მდინარე — იანძი მიედინება ქვეყნის ცენტრალური პროვინციების გავლით. იგი ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერიაა და მსოფლიოში სიდიდით მესამე მდინარეა, რომლის სიგრძე 6300 კმ-ია. იანძის სათავე ჩინეთის დასავლეთით მდებარე მთებშია, მდინარე ჩაედინება ყვითელ ზღვაში. ქვეყნის დასავლეთი ტერიტორია უკავია მაღალმთიან ზეგანს — ტიბეტს, რომელსაც ხშირად „მსოფლიოს სახურავსაც" უწოდებენ. სამხრეთით ჩინეთი შემოსაზღვრულია ჰიმალაის მთიანი ქედით, სადაც ყველაზე მაღალი მწვერვალია — ევერესტი. ჰიმალაის მთისწინეთში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში კლიმატი თბილია. ჩინეთის სამხრეთი ოლქებისა და ახლომდებარე კუნძულ ტაივანისათვის დამახასიათებელია ცხელი და ტენიანი კლიმატი წვიმიანი სეზონითურთ, რომელიც მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდება.

ჩინეთს გააჩნია მიწის რესურსები და სასარგებლო წიაღისეული, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აძლევდა საშუალებას, თავად განეხორციელებინა თვითკმარი განვითარება. ჩსრ შედის ტყვიის, თუთიის, ალუმინის, ნიკელის და ხე-ტყის მსოფლიოს უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულში. ქვეყანა ფლობს ნავთობის, ნახშირის და რკინის მადნის დიდ მარაგს. თუმცა, ისევე როგორც რუსეთში, სასარგებლო წიაღისეულის ბევრი საბადო შორეულ, ძნელადმისადგომ ადგილებშია. მიწის რესურსები საშუალებას იძლევა სრულად უზრუნველყონ მოსახლეობა კვების პროდუქტებით. ჩინეთი ხორბლის, ხორცის, ბოსტნეულის და ხილის მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებელია.

ჩინეთის დემოგრაფიულ რესურსებს მსოფლიოში ტოლი არ მოეძებნება. მსოფლიოში სულ 1350 მლნ ჩინელი ცხოვრობს, რაც 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე ინდუსები და დაახლოებით 4-ჯერ მეტი, ვიდრე ანგლოსაქსები და არაბები. ჩინური დიასპორები მსოფლიოს თითქმის ყველა უმსხვილეს ქვეყანაშია. ისინი ინარჩუნებენ თავიანთი ეროვნული ცხოვრების წესს, ცხოვრობენ განკერძოებულად და უფრთხილდებიან სამშობლოსთან ეკონომიკურ კავშირს. ამდენად ჩინეთის ეკონომიკური განვითარებისათვის დიასპორა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩსრ ეთნიკურად საკმაოდ ერთგვაროვანი სახელმწიფოა. მოსახლეობის 90% მხოლოდ ჩინელები არიან — ხანის ხალხის შთამომავალნი, რომლებიც ოდესღაც ჩინეთის ჩრდილო ოლქებში სახლობდნენ. გარდა ამისა, ქვეყანაში დაახლოებით 50 სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს, მათ შორის მონღოლები, ტიბეტელები, ყაზახები და კორეელები. დემოგრაფიული პრობლემა ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო არა მარტო ჩინეთის მთავრობისათვის, არამედ მთელი მსოფლიო თანამეგობრობისთვისაც. ქვეყნის მოსახლეობის სწრაფი ზრდა დიდხანს იწვევდა სერიოზულ შეშფოთებას. ამ გარემოებით შეწუხებულმა მთავრობამ მიიღო იმგვარი კანონები, რომლებიც შობადობის დონის შემცირებას გამოიწვევდა. ახალგაზრდებს ეკრძალებოდათ დაქორწინება 20 წლამდე და ახალშეუღლებულებს უფლება ეძლეოდათ გაეჩინათ არა უმეტეს ერთი-ორი შვილისა. ამან საგრძნობი შედეგი მოიტანა — უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ მალე მოხდება შობადობის სტაბილიზაცია.

ჩსრ-ის თანამედროვე *სახელმწიფო მოწყობა* ჩამოყალიბდა სახალხო რევოლუციის გამარჯვების შედეგად, 1949 წლის 1 ოქტომბერს. სხვათა შორის, მაშინ სსრკ-ის გავლენა ჩინეთზე იმდენად დიდი იყო, რომ ჩინელები რამდენიმე კვირა იცდიდნენ, რათა თავიანთი, სწორედ რომ ოქტომბრის რევოლუცია გამოეცხადებინათ. 1982 წლის 4 დეკემბრის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება (სჩსწკ). იგი ირჩევს ჩსრ-ის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. ჩსრ-ის თავმჯდომარის და მისი მოადგილის უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ისინი შეიძლება აირჩიონ შემდგომი ვადითაც, თუმცა არა უმეტეს ორისა. ჩსრ-ის თავმჯდომარე წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა და საგარეო საქმეებში. ჩსრ-ის თავმჯდომარის წარდგენით სჩსწკ ამტკიცებს სახელმწიფო საბჭოს (მთავრობის) პრემიერის კანდიდატურას. სახელმწიფოს მეთაურია ჩსრ-ის თავმჯდომარე (1993 წლის მარტიდან ძიან ძემინი, იგი ამასთანავე ჩკპ-ის გენერალური მდივანია). სახალხო წარმომადგენელთა კრე-

ბები (სწკ) იქმნება თემთა დონემდე. საკანონმდებლო ხელისუფლებაა სჩსწკ, აღმასრულებელი ხელისუფლება კი — სახალხო საბჭო, რომელიც სჩსწკ-ის და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია. ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს რეფორმების პერიოდში მინიჭებული აქვს ნორმატიული აქტების მიღების უფლება, რომელთაც კანონის ძალა გააჩნია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მმართველი პარტია ჩინეთის კომუნისტური პარტიაა (60 მლნ წევრი). გარდა ჩკპ-ისა, ჩინეთში კიდევ 8 პოლიტიკური პარტია არსებობს, რომლებიც ჩკპ-ის ხელმძღვანელობას აღიარებენ.

ჩინეთის ცივილიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესია და სწორედ ეს ცივილიზაციური რესურსია ჩინელი ხალხის საკუთარი ძალების და განხორციელებული რეფორმების ეკონომიკური წარმატებების რწმენის წყარო. იმისათვის, რომ შევაფასოთ ამ რესურსების სიძლიერე, საჭიროა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ისტორიას. როგორც ვიცით, პირველი ძველი ჩინური სახელმწიფოები ჩამოყალიბებას იწყებდა ძველი ეგვიპტის და მესოპოტამიის სახელმწიფოებთან ერთად ჩვ. წ.-მდე III ათასწლეულში. თუმცა ჩინეთის ერთიანობა მიღწეულ იქნა მხოლოდ ჩვ. წ.-მდე 221-206 წლებში. დაახლოებით იმავე პერიოდში გაძლიერებას იწყებს რომის იმპერია. დიადი ჩინური ფილოსოფია დაახლოებით ძველბერძულის (ჩვ. წ.-მდე V-IV სს.) ტოლია. ხანის დინასტიის (220 — 206 წწ. ჩვ. ერამდე) დროს, როცა სახელმწიფო იდეოლოგიად აღიარებულ იქნა კონფუციანელობა, ჩამოყალიბდა თანამედროვე ჩინური ცივილიზაცია. იმავდროულად ეს იყო რომის იმპერიის აყვავების ხანა. ხანის ჩინეთში ვითარდებოდა მეცნიერება და ტექნოლოგია. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ხანგრძლივი ომებისა, ჩინეთმა შუა საუკუნეებში ხელოვნების და მეცნიერების ოქროს საუკუნე განვლო. სწორედ ჩინელმა მეცნიერებმა აჩუქეს მსოფლიოს კომპასი, ფაიფური, წიგნის საბეჭდი დაზგა და ქაღალდის ფურცელიც კი. მაშინ ჩინეთში ერთ სულ მოსახლეზე მშპ 4-ჯერ აჭარბებდა ევროპულ დონეს. XIII საუკუნეში ჩინეთმა რუსეთთან ერთდროულად საშინელი დარტყმა განიცადა — ქვეყანაში მონღოლები შეიჭრნენ, რის შედეგადაც ქვეყნის წინსვლითი მოძრაობა შეჩერდა. მონღოლეთის მმართველმა კუბლა-ხანმა სახელმწიფოს ახალი დედაქალაქი დააარსა — ხანბალიკი (თანამედროვე პეკინი). მონღოლური დინასტიის — იუანის მმართველობის შემდეგ ხელისუფლებაში სამხრეთჩინური მინის დინასტია მოვიდა, ხოლო შემდეგ მანჯურიის დინასტია — ცინი. XIX საუკუნეში ტექნოლოგიურად უკვე ბევრად განვითარებული ევროპული ქვეყნები, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, იწყებს ჩინეთის გადაქცევას თავის კოლონიად. 1841 წელს, ნანკინის

ხელშეკრულებით, დიდი ბრიტანეთი ჰონგ-კონგის კუნძულს ღებულობს. საბაჟო სისტემას უცხოური იურისდიქცია დაუწესეს, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მაშინდელ ინგლისს ინდოეთიდან დაუბრკოლებლად განეხორციელებინა ოპიუმის მიწოდება. ჩინეთში უკვე იმ დროს 2 მლნ-ზე მეტი ნარკომანი იყო. ორი „ოპიუმის“ ომში დამარცხების შემდეგ შუალედური იმპერია, როგორც ამაყად უწოდებდნენ თავის ქვეყანას ჩინელები, გადაიქცა მსოფლიო ეკონომიკის დამოკიდებულ, პერიფერიულ ნაწილად. XX საუკუნის დამდეგს ცინის დინასტია დაემხო. ამას მოჰყვა სახალხო მღელვარებათა წლები, პოლიტიკური ბრძოლები კომუნისტებს, ნაციონალისტებსა და იაპონელ ინტერვენტებს შორის. 1948 წელს ქვეყნის ხელისუფლებაში მაო ძე დუნის მეთაურობით კომუნისტები მოვიდნენ. მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ხელისუფლებაში — გომინდანის პარტიაში (სახალხო პარტია) — ტაივანი რჩებოდა.

(ჩინეთი *კონფუციანური ცივილიზაციის* მკაფიოდ გამოხატული წარმომადგენელია. ამიტომ ბევრი რამ, რაც ითქვა წინა თავში იაპონიის ბუდისტურ-კონფუციანურ ცივილიზაციაზე, მნიშვნელოვანწილად მასაც ეხება. თუმცა *ჩინურ ცივილიზაციურ რესურსებს რიგი ეროვნული თავისებურებები ახასიათებს.*

1. *ჩინური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი მოქნილობა*, უნარი მოახდინოს ტრადიციული ღირებულებების რეინტერპრეტაცია თანამედროვეობის სულისკვეთების შესაფერისად, სწრაფვა მუდმივი თვითგანახლებისკენ, უცხოურ კულტურათა გავლენის შემოქმედებითი აღქმა ეროვნული ტრადიციების საფუძველზე. სწორედ აქაა დაფარული ჩინური რეფორმების და ჩინური ეკონომიკური სასწაულის წარმატების საიდუმლო.

2. *კონფუციანური ტრადიციის შესაბამისად, სახელმწიფო ჩინეთის ეკონომიკური სისტემის ცენტრშია.* კონფუციანელობა ხალხს მოუწოდებს მთელი ძალისხმევა მოახმარონ სახელმწიფო საქმეების წარმართვას, ჩაიდინონ გმირობები და ბეჯითად იშრომონ სახელმწიფოსათვის. იგი გამოდის საერო საქმეებიდან პასიური თავის არიდების წინააღმდეგ. „დიდი მიზნების“ მისაღწევად ერმა უნდა მოახდინოს მთელი თავისი სულიერი პოტენციალის მობილიზება. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარება მძლავრ რესურსს ქმნის ზემოდან, სახელმწიფოს ეგიდით რეფორმების ჩასატარებლად, გარდა ამისა, უზრუნველყოფს ლეგიტიმურობას და რეფორმების საყოველთაო მხარდაჭერას.

3. ახლა ნეოკონფუციანელები ახდენენ *პიროვნების პატივისცემის პრინციპების, პირადი ავტონომიურობისა და ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების*

შესახებ ძველი პოსტულატების წამოწევას. ეს კი, საბაზრო გზით, ეკონომიკური განვითარებისთვის რესურსს იძლევა.

4. ჩინეთის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ჩინური სოციალიზმის ამოცანაა *მოდერნიზაცია, დედამიწაზე ერთ-ერთი უმძლავრესი ცივილიზაციის სიცოცხლისმედეგობის შენარჩუნებით.* ჩინეთი იყენებს სოციალისტურ მეთოდებს, პრაგმატულად განიხილავს რა მათ, როგორც თავისებურ ფორმას, რომელიც ქვეყნის მოდერნიზაციას აჩქარებს. ჩინეთის კულტურა ღრმად ტრადიციული დარჩა და *ტრადიციონალიზმი კულტურის სოციალისტურ ელემენტს მნიშვნელოვნად აჰარბებს.* „კულტურული რევოლუცია" სწორედ ამიტომ ჩავარდა. თანამედროვე ჩინურ საზოგადოებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებულმა ყოველისშემძლე ჩინურმა ჩინოვნიკობამ ამჟამად მისთვის მოსახერხებელი კომუნისტური იდეოლოგია შეიძინა, რამაც ნაკლებად შეცვალა მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ქვეყნის მართვის სტილი.

5. ჩინეთში ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს ტრადიციულად ემატებოდა *ორი სპეციფიკური ჩინური შტო — საგამოცდო და საკონტროლო.* ისინი თვით კონფუციის დროიდან არსებობდა. ხელისუფლების საგამოცდო შტო ქვეყანაში ტრადიციულად განათლებული, პატიოსანი, ერთგული ჩინოვნიკების მომზადებას განაგებდა. მოდერნიზებული სახით იგი ახლაც არსებობს — მოსამსახურეთა ატესტაციის ფორმით. შემოღებულია აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის ტრადიციული კონფუციანური მოდელი — 1990 წელს სჩსწკ-თან შეიქმნა ადმინისტრაციული კონტროლის კომისია ქვეყნის ხელმძღვანელობის — ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს წევრებიდან დაწყებული და ზემოთ — საქმიანობის უშუალო რევიზიის მიზნით. ამგვარად, სახელმწიფო უწინდებურად „კეთილშობილი მოღვაწეების" სახით და „ჰუმანური კანონების" დახმარებით ახორციელებს მაორგანიზებელ, მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

6. კონფუციანურ ღირებულებებს ბევრი ეკოლოგიური ასპექტი აქვს, რომელთაც უნარი შესწევს დაეხმაროს მსოფლიოს, დაადგეს მდგრადი განვითარების გზას ბუნებასთან ჰარმონიაში. ჩინელები ფიქრობენ, რომ მათ ფართო გავრცელებას შეუძლია გარემოს დაბინძურების, ძალადობის თარეშის და სხვა სოციალური დაავადებების შეჩერება. ჩინეთის ძლიერების ზრდასთან ერთად კონფუციანურ ღირებულებებს შეუძლია დასავლურის შევიწროვება, რაც ალბათ მთელი კაცობრიობისთვის სასარგებლო იქნება, ყოველ შემთხვევაში ეკოლოგიური თვალსაზრისით მაინც.

21.2. ჩინეთის ეკონომიკური რეფორმა

1949 წელს ქვეყნის ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ, ისინი შეეცადნენ გაეუმჯობესებინათ უბრალო ხალხის ცხოვრება. სამრეწველო საწარმოები სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა და 50-60-იან წლებში ჩინეთში მძიმე ინდუსტრია ინტენსიურად ვითარდებოდა. გლეხები გააერთიანეს საზოგადოებებში, რომელთაც კომუნებს უწოდებდნენ; ისინი საერთო მიწის სავარგულებს ამუშავებდნენ. *პირველ, ომისშემდგომ 25 წელიწადში ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ გადააჭარბა მთელი წინარე ეპოქის ზრდას — 1820 წლიდან 1949 წლამდე.*

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში წარმატებულ სოციალისტურ მშენებლობას თან ახლდა უამრავი სისულელე, რომელიც მოიტანა მსოფლიო მბრძანებლობისა და მსოფლიო რევოლუციისკენ მსწრაფმა ჩინეთის ხელმძღვანელობამ „დიდი მესაჭის", ჩინეთის რევოლუციის ბელადის — მაო ძე დუნის მეთაურობით. დაიწყო თავმჯდომარის — მაოს ციტატების საყოველთაო დასწავლა ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის, კომუნიზმში „დიდი ნახტომის" პერიოდში ყოველი გლეხის ეზოში გაჩნდა მინიბრძმედები, გაწყდა არაფრით გამართლებული კავშირი სსრკ-თან, გრძელდებოდა „დიადი კულტურული რევოლუციის" საშინელება და ბნელეთის მოციქულობა, რომლის დროსაც მაო შეეცადა ახალგაზრდა, ზერელად განათლებულ სტუდენტებზე დაყრდნობით გათავისუფლებულიყო ძველი პარტიელებისაგან, ინტელიგენციისაგან და მათთან ერთად თავისი მთავარი კონკურენტისგან იდეოლოგიის სფეროში — კონფუციისაგან. არაფერი გამოვიდა. დიდი ჩინური ცივილიზაციის ტრადიციები უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

1979 წელს გრანდიოზული სტიქიური უბედურებების აკომპონემენტს — ქვეყნის სამხრეთში საშინელ მიწისძვრას, რამაც 200 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, და არნახულ წყალდიდობას ჩრდილოეთში — თითქმის იმავდროულად მოჰყვა პრემიერ-მინისტრ ჩოუ ენ ლაის და სახელმწიფოს მეთაურის — მაო ძე დუნის გარდაცვალება. *ახალი დრო დაიწყო.* მაოს ქვრივთან, ძიან ცინთან ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ხელისუფლებაში დენ სიაო პინი მოვიდა.

მან *„სოციალიზმისკენ ჩინური გზის" ძირითადი პრინციპები შეიმუშავა,* რომელთა მიხედვითაც დღემდე გრძელდება ჩინური რეფორმები. აი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი:

1. ორიენტაცია ეროვნულ ტრადიციებსა და ჩინეთის თავისებურებებზე სოციალიზმის მშენებლობისას;

2. ბრძოლა დოგმატიზმთან: პრაქტიკა — ჭეშმარიტების კრიტერიუმი;

3. უმთავრესი ყურადღება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას;

4. ორიენტირება რეფორების ხანგრძლივ ხასიათზე;

5. საბაზრო ეკონომიკის გამოყენება საერთო სოციალისტური პრინციპებით მართვისას;

6. სპეციალური ეკონომიკური ზონების, როგორც უცხოური კაპიტალის და მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვის საშუალების შექმნა;

7. პოლიტიკური გახსნილობის პრინციპი გარე სამყაროსათვის.

თუმცა რეფორმები საბაზრო, ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ქვეყნის ოფიციალური იდეოლოგია კვლავ კომუნისტური რჩებოდა. კომპარტიის ძალაუფლება კონსტიტუციურად იყო განმტკიცებული, ხოლო თავად რეფორმატორი — დენი სასტიკად ებრძოდა სხვაგვარად მოაზროვნეებს. სწორედ მან გასცა ოდიოზური ბრძანება ტიანანმენის მოედანზე სტუდენტთა მანიფესტაციის სისხლიანი რბევის შესახებ.

დენმა თავისი რეფორმები სოფლიდან დაიწყო, სადაც დღემდე ჩინელთა 70%-ზე მეტი ცხოვრობს. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული რეფორმა თავდაპირველად აპრობაციას გადიოდა რომელიმე პროვინციაში და მხოლოდ შემდეგ ვრცელდებოდა მთელ ქვეყანაში. აგრარული რეფორმის თანახმად, გლეხებს მიწა გადაეცემოდათ იჯარით. მას შემდეგ, რაც საექსპერიმენტო პროვინციაში მან მოსავლიანობის მატება მოგვცა 10%-ით, იჯარა მთელ ჩინეთში გავრცელდა. ამის შედეგად, უკვე 1981 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების 98% გლეხთა ოჯახების მიერ მუშავდებოდა. ზოგიერთ სასურსათო ბაზარზე თავისუფალი ფასწარმოქმნა შემოიღეს. გლეხები მდიდრდებოდნენ და მოთხოვნა სამრეწველო პროდუქციაზე იზრდებოდა.

მთლიანობაში აგრარული რეფორმა წარმატებული იყო. თუკი რეფორმამდე მარცვლეულის მოსავალი წელიწადში 2,1%-ით იზრდებოდა, რეფორმის შემდეგ — 4,9%-ით გაიზარდა, ე. ი. ზრდის ტემპი ორჯერ მეტი იყო. ამასთან, წარმოების ნამატი 75%-ში აიხსნებოდა ინსტიტუციონალური ინოვაციებით (ანუ რეფორმებით) და მხოლოდ 25% — ტექნოლოგიებით. 1985 წელს ჩინეთმა პირველად 25 წელიწადში დაიწყო მარცვლეულის ექსპორტი.

სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებამ შემდგომი გარდაქმნებისათვის საფუძველი მოამზადა. 1992 წელს პრაქტიკულად ყველა საწარმო სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. 80-იანი წლების დამდეგს კერძო სამრეწველო საწარმოები 100 კაცამდე მუშათა ოდენობით კონსტიტუციურად ლეგალიზებული გახდა. ამის შემდეგ, სულ რაღაც 5

წელიწადში ასეთ საწარმოთა რიცხვი 100 ათასიდან 5,8 მლნ-მდე გაიზარდა.

1992 წელს რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო. ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ფასწარმოქმნა, ასორტიმენტი, ინვესტიციები, კადრები და საგარეო ვაჭრობაც კი თავად საწარმოებს გადაეცა. ბევრი მათგანი აქციონერული გახდა, მაგრამ საკონტროლო პაკეტი უმეტესწილად სახელმწიფოს რჩებოდა. დაიწყო საფონდო ბაზრის განვითარება.

რეფორმების წლებში ჩინეთის მშპ დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა (სურ. 21.1.).



სურ. 21.1. ჩინეთის მშპ-ს დინამიკა.

1992-1995 წლების განმავლობაში *სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი* 94.9%-დან 18,9%-მდე შემცირდა, *ხოლო სახელმწიფო მართვის აპარატში დასაქმებულთა ხვედრითი წილი* რეფორმების პერიოდში 40%-ით გაიზარდა (სხვათა შორის, რუსეთში იგი 90%-ით გაიზარდა).

ჩინეთში საგარეოეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციამ გამოიწვია ფაქტობრივად აკრეფილი იმპორტული ბაჟის შემცირება 1978 წელს იმპორტის მოცულობის 17,7%-დან 1999 წელს 2,5%-მდე.

ჩინეთი პრაქტიკულად არ სარგებლობდა პროტექციონისტული პოლიტიკის იმგვარი ინსტრუმენტით, როგორიცაა ეროვნული ვალუტის დე-

ვალვაცია. 1979-1999 წლებში სავალუტო კურსის საშუალოწლიური კლების ტემპები (8,3%) იყო საკმაოდ შემცირებული (მისგან განსხვავებით რუსეთში სავალუტო კურსის კლების საშუალოწლიური ტემპები თითქმის 12-ჯერ მაღალი აღმოჩნდა).

ჩინეთის ექსპორტის მოცულობა ბოლო 20 წელიწადში 10-ჯერ გაიზარდა, იმპორტის კი — 8,5-ჯერ (სურ. 21.2.).



სურ. 21.2. ჩინეთის საგარეო ვაჭრობა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღება ჩინეთის ეკონომიკაში 1980 წელს 4 მილიარდიდან დაახლოებით 42 მლრდ დოლარამდე გაიზარდა 2000 წლისათვის (სურ. 21.3.). შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩინეთის მონაწილეობის გააქტიურებამ ხელი შეუწყო მისი ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

ჩინელი ხელისუფალნი რეფორმების მთელი პერიოდის განმავლობაში ფრიად თავშეკავებულ *ფულად პოლიტიკას ატარებდნენ.* ჩსრ-ის სავალუტო რეზერვები სწრაფად იზრდებოდა (სურ. 21.4.).

ჩინეთის ეროვნული ბანკის კრედიტების ნამატის საშუალოწლიური ტემპები 1992-1999 წლებში 15%-ს არ აჭარბებდა, ხოლო ფულადი მასის ნამატის საშუალოწლიური ტემპები რეალური მშპ-ის ნამატის ტემპების გამოკლებით — 17,3%-ს. ამის წყალობით ჩინეთში ინფლაციის საშუა-



სურ. 21.3. უცხოური ინვესტიციების მოდენა ჩსრ-ის ეკონომიკაში.



სურ. 21.4. ჩსრ-ის სავალუტო რეზერვები.

ლოწლიურმა ტემპმა შეადგინა 10%-ზე მეტი, ხოლო მისი უარყოფითი ზემოქმედება ეკონომიკურ განვითარებაზე აღმოჩნდა უმნიშვნელო. 1998 და 1999 წლებში მოხდა მცირე დეფლაცია (სურ. 21.5.).



სურ. 21.5. ინფლაცია ჩსრ-ში.

ინფლაციის შედარებით დაბალი ტემპების შენარჩუნება ხორციელდებოდა ფულადი მასის ნამატის ზომიერი ტემპების წყალობით, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ბანკის ზომიერი დაკრედიტებით იყო განპირობებული. დაკრედიტების ზომიერი მასშტაბები ნარჩუნდებოდა *საბიუჯეტო დეფიციტის* უმნიშვნელო ზომების წყალობით. მისი სიდიდე შემცირებულ იქნა 1979 წელს მშპ-ის 5,1%-დან 1981 წელს მშპ-ის 1,2%-მდე, ხოლო შემდეგ რეფორმების მთელი პერიოდის განმავლობაში მშპ-ის 1,4-2,2%-ის ფარგლებში იყო.

ჩინეთის ხელისუფლებამ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში *გადასახადების უპრეცედენტო შემცირება* მოახდინა — 1979 წელს მშპ-ის 30,4%-დან 2000 წელს მშპ-ის 10,3%-მდე. გადასახადების შემცირებამ, თავის მხრივ, გამოიწვია *ყველა სახელმწიფო შემოსავლის შემცირება* — 1979 წელს მშპ-ის 31,3%-დან მშპ-ის 11,5%-მდე.

შემცირებას დაექვემდებარა პრაქტიკულად დანახარჯების ყველა შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებით დანახარჯები ინვესტიციებზე,

სუბსიდიებზე, დოტაციებზე, თავდაცვაზე, სოფლის მეურნეობაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო მოხმარება შემცირდა მშპ-ის 15,2 %-დან 10,6%-მდე. საერთო სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურაში განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ცენტრალური მთავრობის დანახარჯები — 1979 წელს მშპ-ის 20,7%-დან მშპ-ის 3,8%-მდე. პროვინციულ დონეზე დანახარჯების შემცირება განხორციელდა მცირე, თუმცა არანაკლებ შთამბეჭდავი ზომებით — 2000 წელს მშპ-ის 15,7%-დან 8,3%-მდე.

ამგვარად, მთავარი მიზეზი, რამაც განაპირობა ჩინეთის დაჩქარებული განვითარება, არის თანმიმდევრული, მაგრამ მთლიანობაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის საკმაოდ ლიბერალური ხასიათი.

ჩინეთის რეფორმებმა უზრუნველყო არა მარტო ფენომენალური ეკონომიკური შედეგები, არამედ ხელი შეუწყო ადამიანური განვითარების ყველა მაჩვენებლის არსებით გაუმჯობესებას (ცხრ. 21.1.). მაგალითად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 35 წლიდან (შეადგენდა სახელმწიფოს წარმოქმნის დასაწყის პერიოდში) 70,8 წლამდე.

რეფორმებმა ბევრად გააძლიერა მუშათა და გლეხთა საწარმოო აქტიურობა, გაათავისუფლა და განავითარა სოციალურ-მწარმოებლური ძალები, ხელი შეუწყო ჩინეთში მატერიალური კეთილდღეობის სწრაფ ზრდას,

ცხრილი 21.1.

ადამიანური განვითარების მაჩვენებლები

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, წელი	70,8
ჩვილთა სიკვდილიანობა, 1000 დაბადებულზე	30,5
მოსახლეობის წიგნიერების დონე, %	80,9
უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რიცხოვნება, 10 ათას ადამიანზე	240
ადამიანური განვითარების ინდექსი გაეროს განსაზღვრებით	0,626

წყარო: *ა. ილარიონოვი. ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის საიდუმლო.*

საწარმოო მოწყობილობების განახლებასა და საწარმოო ტექნოლოგიების ზრდას.

მოსახლეობის ცხოვრების დონე სწრაფად იზრდება. ასე მაგალითად, თუკი 1952 წელს დანახარჯების პროცენტი კვებასა და ტანსაცმელზე ყველა დანარჩენი დანახარჯების (ენგერის კოეფიციენტი) თანხიდან ქალაქის მოსახლეობისთვის 80%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლის მცხოვრებისთვის 90%-ს აჭარბებდა, 1999 წლისათვის ეს მაჩვენებელი დაეცა შესაბამისად 43% და 52%-მდე. ფასების ზრდის დაქვითვით სულზე რეალური საშუალო შემოსავალი 1999 წელს 5%-ით გაიზარდა.

ჩინეთში ეკონომიკური რეფორმები თანდათანობით მიმდინარეობდა. „ჯერ — სოფლად, შემდეგ — ქალაქში, სოფლის მეურნეობაში, მერე კი — მრეწველობის სფეროში". რაიმე ახალშემოღებული სიახლის ფართოდ დასანერგად მისი ეფექტიანობა განისაზღვრებოდა პატარა უბანზე ექსპერიმენტის სახით. რეფორმების პოლიტიკა ცხოვრებაში ხორციელდებოდა მოძრაობის ჩარჩოებში — მცირედან დიდისაკენ, ცალკეული გარღვევების და ერთიანი წინსვლის შეერთებით მთავარში. თანდათანობით ხორციელდებოდა ეკონომიკური სისტემის და წარმოების მექანიზმის გადასვლა გეგმიური ეკონომიკიდან სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე. ასეთი ტაქტიკა საშუალებას აძლევდა მოსახლეობას შეგუებოდნენ, ადაპტირება მოეხდინათ, შეჩვეოდნენ სიახლეებს და უმტკივნეულოდ მიეღოთ ისინი. ამით, ბუნებრივია, ჩინური რეფორმები მკვეთრად განსხვავდება რუსეთის არათანმიმდევრული, შოკურად მოუფიქრებელი რეფორმებისგან.

თავად ჩინელი იდეოლოგები კი თავის რეფორმებს ადარებენ რუსეთის XX საუკუნის 20-იანი წლების — „ნეპის" (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის) — რეფორმებს. ისინი ამ ფაქტს ასე ხსნიან, რომ 1949 წელს ჩინეთში ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული კაპიტალიზმი, ამიტომ სახელმწიფო ახლა იძულებულია გამოიყენოს ზოგიერთი კაპიტალისტური ინსტიტუტი, რათა სოციალიზმის შემდგომი სტადიისთვის მოემზადოს. დაახლოებით იმავეს წერს ლენინი „ნეპის" შესახებ. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე მთლად ასე როდია. ჩინეთი უბრალოდ აგრძელებდა თავის მოძრაობას მისთვის ტრადიციული შუალედური გზით. ჩინეთის ჩინოვნიკობა XX საუკუნის ბოლო მეოთხედში პრაგმატულად შეიარაღდა ეკონომიკის საბაზრო პრინციპებით, მაგრამ ამით მთავრობა კაპიტალისტური არ გამხდარა. ზუსტად ასევე პრაგმატულად იგი იყენებს კომუნისტურ იდეოლოგიასაც, თავისუფლად ახდენს მათ ადაპტაციას დღევანდელი დღის საჭიროებისათვის და იოტისოდენა ეჭვის გარეშე აჯვარებს კონფუციანელობასთან. თუკი ჩინეთს ჩამოვაშორებთ კომუნისტურ რიტორიკას და დავაკ-

ვირდებით მათ პრაქტიკულ საქმეებსა და გადაწყვეტილებებს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობის ეკონომიკური პოლიტიკა არც ისე მკვეთრად განსხვავდება იაპონურისგან და მათი ეკონომიკური მოდელები თანდათან ერთმანეთს უახლოვდება, მიუხედავად ჩინეთის ჩამორჩენილობისა.

21.3. ჩინეთის ეკონომიკური მოდელი

თანამედროვე ჩინეთს აქვს მძლავრი ეკონომიკა მშპ-ით, *რომელიც 1 ტრლნ დოლარს აჭარბებს*. ეს თითქმის 5-ჯერ მეტია, ვიდრე რუსეთის მშპ. ჩინეთში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 770 დოლარია, რაც ორჯერ ნაკლებია, ვიდრე რუსეთში. ჩინეთის *ეკონომიკის სტრუქტურაში* სოფლის მეურნეობის წილად მშპ-ის 18%, მრეწველობაზე — 51,2%, მომსახურების სფეროზე — 31,5% მოდის. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩინეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. საკომლოს ნარდსისტემაზე და პირდაპირ საბაზრო შესყიდვებზე გადასვლამ პრაქტიკულად უზრუნველყო ეს უზარმაზარი ქვეყანა სურსათსანოვაგით. აქ, რა თქმა უნდა, საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ უზრუნველყოფა ხდება არა ევროპული ან თუნდაც რუსული, არამედ ბევრად უფრო მარტივი, ჩინური ნორმების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ პლანეტის მოსახლეობის 1/5 ცხოვრობს მთელი სახნავი მიწების 7%-ის ხარჯზე, შთამბეჭდავია. 1996 წელს ჩინეთს მარცვლეულის სარეკორდო მოსავალი ჰქონდა — 480 მლნ ტ., ხოლო თანამედროვე რუსეთი მიიჩნევს, რომ ახლა 70 მლნ ტ. მისთვის შესანიშნავი და ძნელადმისაღწევი შედეგია. ჩინეთის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია მემცენარეობას — 47%. მეცხოველეობაზე მოდის მხოლოდ 17,4%, დამხმარე სარეწზე — 29,8%, თევზის მეურნეობაზე — 3,1%, ხოლო ტყის — 2,5%. ეს მეურნეობის მართვის ექსტენსიურ ტიპზე მიუთითებს. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობა 12-ჯერ მცირეა, ვიდრე აშშ-ში.

ჩინეთის ენერგეტიკა ეფუძნება ქვანახშირის უზარმაზარ მარაგს, რომელიც მსოფლიოს 90%-ს შეადგენს. ნახშირის მოპოვების მიხედვით ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა. სწრაფად იზრდება ნავთობის მოპოვება, რომელიც უკვე 160 მლნ ტონაზე მეტია. თუმცა სწრაფადმზარდი ეკონომიკის მოთხოვნები ბევრად მაღალია და დღის წესრიგშია ნავთობსადენების მშენებლობა რუსეთიდან ნავთობის მისაწოდებლად. ელექტროენერგიის წარმოების მიხედვით ჩინეთს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში

(1 ტრლნ-ზე მეტი კვტ. სთ). დღეს ჩინეთში, მთიანი რაიონების ძნელად მისადგომ მდინარეებზე მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურთა ბობოქარი მშენებლობა, სწორედ იმგვარი, როგორც რუსეთში XX საუკუნის 60-70-იან წლებში იყო.

ჩინეთის მეტალურგია საკუთარ, მდიდარ რკინის მადნებს ეფუძნება. ქვეყანას ფოლადის გამოდნობის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია (დაახლოებით 110 მლნ ტ.,) ალუმინის (2 მლნ ტ.) და სპილენძის (1 მლნ ტ.) წარმოებით კი — მეოთხე. ჩინეთი მსოფლიო ლიდერია კალის და თუთიის წარმოებაშიც.

90-იან წლებში სწრაფადგანვითარებადი ქიმიური მრეწველობის წილი სამრეწველო წარმოებაში 10-დან 15%-მდე გაიზარდა. ჩინეთს ქიმიური სასუქების წარმოებით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია (29 მლნ ტ.), მეექვსე კი — სინთეტიკური ფისის და პლასტმასის (6,5 მლნ ტ.).

საფეიქრო მრეწველობა სამრეწველო წარმოების მოცულობის 15,5%-ს იძლევა. ქსოვილთა გამოშვება 23 მლრდ კვ. მ-ს აჭარბებს.

ქვეყნის სატყეო მრეწველობას მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია (315 მლნ $მ^3$ ხე-ტყის დამზადება). ქაღალდისა და მუყაოს წარმოებით ჩინეთს მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია (28 ათასი ტ.). და, რა თქმა უნდა, იგი ბუნებრივი აბრეშუმის წარმოებით აღიარებული ლიდერია.

წამყვანი მდგომარეობა უკავია მანქანათმშენებლობას და ლითონდამუშავებას. ჩინეთი უშვებს საათებს, ვენტილატორებს, საკერავ მანქანებს, ველოსიპედებს, მოტობლოკებს — მსოფლიო წარმოების 50-დან 75%-მდე. ჩსრ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია რადიომიმღებების, ტელევიზორების, სარეცხი მანქანების წარმოებით, მეორეზე — მაცივრების გამოშვებით. იგი მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შევიდა გემთმშენებლობის მიხედვით, გაუსწრო რა დიდ ბრიტანეთს. ცნობილია ჩსრ-ის წარმატებები რაკეტმშენებლობის და საავიაციო მრეწველობის სფეროში. ელექტროტექნიკური მრეწველობითა და ელექტროტექნიკით ჩინეთი აგრეთვე მსოფლიო ლიდერების რიცხვში შევიდა.

იმავდროულად *ინტელექტუალური მომსახურების სფერო* ჩინეთში სუსტადაა განვითარებული. სერვისული მომსახურების სფერო ვითარდება სწრაფად, რასაც ხელს უწყობს სამუშაო ძალის მოდინება სოფლებიდან. ჩინეთი მძლავრი ტურისტული ქვეყანა ხდება.

ჩინეთის ეკონომიკური მოდელი გამოირჩევა დიდი თავისებურებით. უპირველეს ყოვლისა, ახლა ეს ერთადერთი მსხვილი კომუნისტური ქვეყანაა, სადაც ყველა ძირითადი ეკონომიკური გადაწყვეტილება ჩსრ-ის აპარატის მიერ ყალიბდება. *განვითარების ინტენსიურ მოდელზე გადასვლა*

ხორციელდება კომუნისტური პარტიის და მთავრობის მკაფიო ხელმძღვანელობით. ეგრეთ წოდებულ „პროგრამა 2010“-ში ჩამოყალიბებულია გარდამავალი პერიოდის მართვის ძირითადი პრინციპები: მაკროორეგულირება, ერთიანი სახელმწიფო დაგეგმვა, ნორმატიული საბაზრო რეგულირება.

შეიძლება გამოვყოთ *ჩინური მოდელის ძირითადი ნიშნები.*

1. *მძლავრი სახელმწიფო სექტორი,* რომელზეც მთელი ეკონომიკის დაახლოებით 60% მოდის. სახელმწიფო სექტორის პოზიციები განსაკუთრებით ძლიერია ნავთობგადამუშავებაში (84,9%), ელექტროენერგეტიკაში (75,3%), მეტალურგიაში (70,8%), ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში (96,9%). სახელმწიფო სექტორი ამჟამად 118 ათას საწარმოს მოიცავს. ამასთან, მათგან დაახლოებით 40% წამგებიანია. ჩინეთის ხელმძღვანელობას არ დაუჩქარებია საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი, თუმცა ახლა კერძო პირებთან კაპიტალის დაგროვების პირობებში სახელმწიფოს შეუძლია სარფიანად გათავისუფლდეს არაეფექტიანი საწარმოებისაგან. ეს პროცესი გაიოლდება იმით, რომ 1996 წლის შემდეგ ბევრი სახელმწიფო საწარმო სააქციო საზოგადოება გახდა 100%-იანი სახელმწიფო მონაწილეობით.

2. ჩინეთში სახელმწიფო სექტორთან ერთად არსებობს *დიდი და ეფექტიანი კერძო სექტორიც.* სანამ დაიწყებოდა რეფორმების პერიოდი და ჩინეთი გარე ბაზრებისათვის ღია გახდებოდა, მისი ეკონომიკა ძირითადად საზოგადოებრივ საკუთრებაზე იყო დაფუძნებული. 1978 წლის შემდგომ ჩინეთის მთავრობამ, საკუთრების საზოგადოებრივი ფორმის მხარდაჭერით, ხელი შეუწყო სხვადასხვა ეკონომიკური სტრუქტურების განვითარებას, რამაც ეკონომიკის ინდივიდუალური და კერძო ფორმების სწრაფი განვითარება გამოიწვია. 1999 წლისათვის ქვეყანაში რეგისტრაციაში გატარდა 31 მლნ-ზე მეტი ინდივიდუალური და კერძო საწარმო, სადაც 67 მლნ ადამიანი იყო დასაქმებული. 1999 წელს სჩსწკ-მ კონსტიტუციაში ერთ-ერთი პუნქტი შეცვალა, რომელშიც ნათქვამი იყო; „ეკონომიკის ინდივიდუალური და კერძო სექტორი საზოგადოებრივი სოციალისტური ეკონომიკის დანამატს წარმოადგენს“, პუნქტში „ინდივიდუალური, კერძო და ეკონომიკის სხვა არასაზოგადობრივი სექტორები ჩინეთის სოციალისტური ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია“. ამიტომ კანონმდებლობითაც განისაზღვრა ის მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ინდივიდუალურ და კერძო მეურნეობას უკავია; ამან კი ხელი შეუწყო ეკონომიკური საქმიანობის ამ ფორმების ფართო განვითარებას. დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში ყველა დასაქმებულის 75%-ზე მეტი უკვე კერძო სექტორში მუშაობს. კერძო კონტროლის ქვეშაა სამრეწველო პროდუქციის წარმოების 51%. თუმცა კერძო სექტორი მომსახურების ბაზრის მხოლოდ 37%-ს იძლევა, ვინაიდან ფინან-

სური სექტორი ძირითადად სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. მთლიანობაში კერძო სექტორის წილად მშპ-ის დაახლოებით 40% მოდის.

3. *ჩრ-თვის დამახასიათებელია ხელის უფლების ძლავრი საკონტროლო ბტო.* ყოველწლიურად მთელ ქვეყანაში ტარდება საგადასახადო რევიზია, რომელიც მიმართულია გადასახადების აკრეფის, ფინანსური საქმეების და საქონლის ფასების შესაბამისობის დონის შესამოწმებლად. საშუალოდ წელიწადში ჯარიმები გადასახადების გადაუხდელობის გამო 10 მლნ იუანს შეადგენს. სამხედროებს, მილიციელებს, იურიდიულ სტრუქტურებს თავისი საწარმოების შექმნა კატეგორიულად ეკრძალებათ. სპეციალური პროგრამის ჩარჩოებში სახელმწიფო სპეციალურ კონტროლიორებს მიავლენს მსხვილ და საშუალო საწარმოებში. ამ სფეროში კონტროლის ფუნქციას აგრეთვე ახორციელებენ მილიციელთა რაზმები, რომელთა შემადგენლობაში შედიან საბაჟოს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ვაჭრობის მართვის ორგანოების და სხვა უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც თვალს ადევნებენ შესაბამისი კანონების შესრულებას. კონტაბანდასთან ბრძოლა წარმოებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთობლივად და სპეციალური მეთოდებით. დასჯის სისტემა გადასახადების გადახდისგან თავის არიდების გამო დამრღვევის მიმართ გამოიყენება იმ საშუალებათა მოცულობის მიხედვით, რომლებიც საგადასახადო ორგანოებს არ წარუდგინეს, აგრეთვე სხვა დამამძიმებელი თუ შემარბილებელი გარემოებების გათვალისწინებით.

4. *შიდა ბაზრის გაფართოება* დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ჩინეთის შიდა ბაზარზე გასაღების მოცულობა განუხრელად იზრდება, მაგალითად, 1999 წელს საცალო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა. ეს მოწმობს მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდას, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას. რეფორმების წლებში შიდა დანაზოგები 1978 წელს 32%-დან 1999 წელს 40%-მდე გაიზარდა. თუკი 1978 წელს სახელმწიფომ მშპ-ის 15,1%-ის ინვესტირება მოახდინა, ხოლო მოსახლეობამ საერთო ჯამში — 1,1%-ის, დღეისათვის სიტუაცია საპირისპიროდ შეიცვალა: ახლა 18,7%-ის ინვესტირებას მოსახლეობა ახდენს, ხოლო 1,8%-ისას — მთავრობა.

5. მრეწველობის განვითარების სწრაფმა ზრდამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა *საექსპორტო სტრუქტურის* გაუმჯობესება. მზა სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის მოცულობა 1978 წელს 46,5%-დან 1999 წელს 88,8%-მდე გაიზარდა. იზრდება ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, ლათინურ ამერიკაში ექსპორტის წილი. ამასთან ერთად შეიმჩნევა ექსპორტის შემცირება აზიის ქვეყნებში. განსაკუთრებით ფართოდაა განვითარებული მანქანათმშენებლობის და ელექტრონული პროდუქციის ექსპორტი, რომელიც 1980 წელს 1410 მლნ ამერიკული დოლარიდან 1999 წელს 68

მლრდ ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა. მექანიკური ნაკეთობების და სატრანსპორტო მოწყობილობის ექსპორტი იმავე წელს 14,9%-მდე გაიზარდა. ჩინური ექსპორტის ძირითადი მიმართულებები და მუხლები ნაჩვენებია სურ. 21.6. და სურ. 21.7.



სურ. 21.6. ჩინეთის ექსპორტის ძირითადი მიმართულებები.



სურ. 21.7. ჩინეთის ექსპორტის ძირითადი მიმართულებები.

6. ჩინეთის ეკონომიკური მოდელისთვის დამახასიათებელია *ეკონომიკის მაღალი გახსნილობა.* ჩინეთი ძალიან მაღალი ხარისხით არის ინტეგრირებული მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. მას მეცხრე ადგილი უკავია ექსპორტიორებს შორის და მეთერთმეტე, როგორც საქონლის იმპორტიორს. ჩინეთის წილად მოდის გლობალური FDI-ს 10% და ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40% განვითარებად ქვეყნებში. FDI-ის ერთობლივი თანხა 200 მლრდ დოლარს აჭარბებს. უცხოური ინვესტიციებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა საწარმოთა შექმნის ნებართვა 100%-იანი უცხოური კაპიტალით. ახლა მათი საშუალებით მოდის FDI-ის დაახლოებით 45%. უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიების იმპორტს, რომელიც საშუალებას იძლევა განვითარდეს ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრია, ბიოტექნოლოგია, ახალი მასალები და ეკონომიკის საინფორმაციო სექტორი. ჩინეთის „სილიკონის ველზე" უკვე მიისწრაფვიან ტექნოლოგიური თვალსაზრისით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მოწინავე კორპორაციები. აქ თავმოყრილია მრავალრიცხოვანი კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები. უცხოელთა იქ ყოფნა საშუალებას იძლევა გაიზარდოს ჩინელ სპეციალისტთა კვალიფიკაციის დონე. ჩინეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ახალგაზრდობის სწავლების გრანდიოზულ გეგმას ახორციელებს. ტყუილად როდი ამბობენ, რომ ამერიკის უნივერსიტეტები — ადგილია, სადაც ნიჭიერი რუსი პროფესორები ასწავლიან ნიჭიერ ჩინელ სტუდენტებს. ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლების პროგრამა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. სახელმწიფომ კი ითავა ჩინელი ახალგაზრდობისათვის ინგლისური ენის ფართოდ შესწავლა. დღეს დაახლოებით 200 მლნ ჩინელი სწავლობს ინგლისურს. სწრაფად ვითარდება საინფორმაციო ტექნოლოგიები. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით ჩინეთი უკვე დაეწია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს.

7. ჩინეთის მნიშვნელოვანი თავისებურებაა *თავისუფალი ეკონომიკური ზონები* (თეზ). ისინი განკუთვნილია ახალი და მაღალი ტექნოლოგიების ასათვისებლად. თავისუფალ ზონებში ნებადართულია ნედლეულის, ასევე — წარმოებისათვის პროდუქციის უბაჟო შემოტანა; გარდა ამისა, ტარდება განსაკუთრებული საშეღავათო პოლიტიკა ინვესტიციების მოსაზიდად. 1999 წელს 170-ზე მეტმა სახელმწიფომ ჩადო თავისი სახსრები ჩინეთის ეკონომიკაში, ქვეყანაში 340 ათასი საწარმო ფუნქციონირებს უცხოური კაპიტალით, უცხოური ინვესტიციების საერთო საკონტრაქტო თანხამ 613,7 მლრდ ამერიკული დოლარი შეადგინა, მათგან და-

ხარჯულია 307,8 მლრდ ამერიკული დოლარი. თეზ-ი საშუალებას აძლევს ჩინეთს წარმატებით გამოიყენოს უცხოელ ინვესტორთა დაბანდებანი, ტექნოლოგიები, რესურსები, ასევე სპეციალისტები და საზღვარგარეთელი პარტნიორების მმართველობითი გამოცდილება. გარდა ამისა, უცხოელ მეწარმეთა მოზიდვა დამატებით სამუშაო ადგილებს უზრუნველყოფს ჩინეთის მოქალაქეებისათვის, შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ მუშაობაში განსაზღვრულ ჩვევებს, ხელს უწყობს სპეციალისტთა საკადრო შემადგენლობის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და მთლიანობაში მეურნეობრიობის საერთო დონესაც. თეზ-ი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა თეზ-ის კომპლექსს მდინარე სიცზიანის დელტაში, ჰონგკონგის მახლობლად. მათ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ჭიშკრის მნიშვნელობა ენიჭება. თუკი საშუალოდ ექსპორტის შეფარდება მშპ-ის მიმართ 13%-ს შეადგენს, გუანდუნში იგი 106%-ის ტოლია, ხოლო ფუნძზიანში — 30%-ის.[1] თეზ-ის მოდელმა ჩინეთისთვის უზრუნველყო უცხოური ინვესტიციების უნიკალური სტრუქტურა. თუკი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის უმეტესი ქვეყნებისათვის პორტფელური ინვესტიციები მნიშვნელოვნად აჭარბებს პირდაპირს (მაგალითად, სამხრეთ კორეისათვის — 15-ჯერ), სამაგიეროდ ჩინეთის მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2-ჯერ სჭარბობს მიღებული კრედიტების მოცულობას და თითქმის 10-ჯერ — პორტფელურ ინვესტიციებს.

8. *ჩინურმა დიასპორამ* ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში უზარმაზარი როლი შეასრულა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მსოფლიოს 140 ქვეყანაში, დაახლოებით 80 მლნ ჩინელი ცხოვრობს. ისინი ყველგან ქმნიან იზოლირებულ საზოგადოებებს თავისი წეს-ჩვეულებებითა და ფასეულობებით. განსაკუთრებით უძლიერესია აზიური ჩინელების — ხუაცაოს — კლანი. აზიურ ქვეყნებში მცხოვრებ ჩინელთა საერთო რაოდენობა 51 მლნ აღწევს. აზიაში ჩინელმა ემიგრანტებმა გიგანტური ფინასური იმპერიები შექმნეს. აზიელ მილიარდერთა შორის 39 წარმომავლობით ჩინელია, ამასთან 12 ოჯახი ფლობს ქონებას, რომელიც 5 მლრდ დოლარს აჭარბებს. მალაიზიაში ჩინელები წამყვანი კომპანიების 62%-ს ფლობენ, ტაილანდში — 80%-ს. ინდოეთში ეთნიკური ჩინელები მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენენ; ისინი კერძო საწარმოთა 70%-ს ფლობენ. სინგაპურის ეკონომიკა თითქმის სრულად ექვემდებარება ჩინური დიასპორის წევრების კონ-

1. Иноземцев В. Расколотая цивилизация. 1999.

ტროლს. მთლიანობაში ჩინური დიასპორა 2 ტრლნ დოლარის საკუთრებას აკონტროლებს, რაც ჩსრ-ის მშპ-ს 2-ჯერ აჭარბებს. ჩინეთში ხუაცაოს წილად ყველა უცხოური ინვესტიციის დაახლოებით 75% მოდის. მთავარია, ინვესტიციათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდეს ჰონგ-კონგის და მაკაოს უკვე მიერთებული ტერიტორიებიდან, აგრეთვე ჯერჯერობით დამოუკიდებელი ტაივანიდან. ჩინეთის სრული გაერთიანების შემდეგ ყველა ეს ყოფილი უცხოური ინვესტიცია გახდება შიდა და ქვეყნის საგარეო ვალდებულებები თითქოსდა გაქრება.

9. რეფორმების პერიოდში ჩინეთმა მოახდინა ორი გიგანტური და ფრიად ეფექტიანი *ფინანსურ-სავალუტო სისტემის* ორგანიზება. უპირველეს ყოვლისა, ყველა ფინანსური ბერკეტი სახელმწიფოს რჩებოდა. ჩსრ-ში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მხოლოდ ჩინური ბანკები ემსახურება. ამასთან, მთელი საბანკო სისტემის 70%-ს 4 სახელმწიფო ბანკი აკონტროლებს. მთლიანობაში ფინანსური სფეროს დაახლოებით 90% სახელმწიფოს განკარგულებაშია. რეფორმების პერიოდში ფინანსური ბერკეტები აქტიურად გამოიყენებოდა. წლიური განაკვეთები ანაბრებზე 3-დან 9%-მდე იცვლებოდა. ზოგჯერ სახელმწიფო ფულადი მასის გაზრდაზე მიდიოდა — წელიწადში 16%-მდე ან ხელფასებს 40%-ით უზრდიდა სახელმწიფო მოხელეებს. ჩინეთი ხელს უწყობს დოლარის კონვერტაციას იუანში, ხოლო უკუოპერაცია განსაზღვრულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჩინეთში ვალუტის შემოტანა შეზღუდული არაა, გატანა კი მრავალსაფეხურიან ნებართვებს და თანხმობებს საჭიროებს. სადაც მოუხერხდება მსურველს, ცდილობს იუანის გაცვლას დოლარებზე და მათ გატანას, ამ მიზნით ხან ჩინურ საქონელსაც აჩეჩებენ გასატანად. უცხოური მონაწილეობით საწარმოების შესახებ კანონის თანახმად, საქონლის 70% აუცილებლად უნდა გადიოდეს ჩინეთიდან და მხოლოდ 30% შეიძლება გაიყიდოს შიდა ბაზარზე. ჩსრ-ის მოქალაქეებს უფლება აქვთ დოლარები მიიღონ საზღვარგარეთიდან, შეინახონ ვალუტა ბანკებში და მათი საშუალებით იუანები იყიდონ. აი დოლარების ყიდვა კი არ შეიძლება. ჰონგ-კონგის მიერთების შემდეგ ჩამოყალიბდა არაკონვერტირებადი იუანის უზარმაზარი მასის ურთიერთმოქმედების საინტერესო მოდელი ჰონგ-კონგის შეზღუდული მასის სრულიად კონვერტირებად დოლარებთან, რომლებიც აშშ-ის დოლარებთან მაგრად იყო მიბმული. ამ შეკვრას, რომელიც ორიენტირებულია ორ ნაკლებადდაკავშირებულ წყაროზე და განმტკიცებულია ჩსრ-ის სავალუტო მარაგების 160 მლრდ დოლარისა და ჰონგ-კონგის სავალუტო მარაგების 100 მლრდ დოლარით, მდგრა-

დობის დიდი მარაგი გააჩნია. სხვადასხვა სახის კრიზისული მოვლენების მიმართ.

10. ჩინეთი ინარჩუნებს *კომუნისტური ქვეყნის სახეს* და *ავლენს მოსახლეობის საჭიროებებზე* ზრუნვას. ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათ, ვინც ვერ ახერხებს უზრუნველყოს თავისთვის ღირსეული არსებობა. 1978 წლამდე ჩინეთში ღირიბთა რიცხვი 250 მლნ კაცს აღწევდა. ერთი მხრივ, სახელმწიფო მატერიალურ დახმარებას სთავაზობდა მათ, გადაელახათ სიღარიბის ზღვარი საკუთარი განვითარების გზით. დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ადამიანთა გადამზადებას. მთავრობა არა მარტო უანგარო ფინანსურ დახმარებას უწევდა გაჭირვებულ ხალხს, არამედ კრედიტებსაც სთავაზობდა მათ, რათა განევითარებინათ საოჯახო წარმოება. საკრედიტო საშუალებებით შექმნილი მცირე საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით ვითარდება. სპეციალური სახელმწიფო პროგრამა „იმედის" ჩარჩოებში ხორციელდება ახალგაზრდა ოჯახთა დახმარება. დღეისათვის ჩინეთში ღარიბთა რაოდენობა 42 მლნ-მდე შემცირდა. ჩინეთმა 22 წლის განმავლობაში შეძლო გაჭირვებისგან დაეხსნა 210 მლნ მოქალაქე. ბოლო წლების განმავლობაში 10 მლნ კაცი — მოსამსახურეები, მუშები — უმუშევარი დარჩა. ეს ნორმალური მოვლენაა, როცა მიმდინარეობს საწარმოთა გარდაქმნა და წარმოება ფუნქციონირების ახალ დონეზე გადადის. სახელმწიფო ახალი შრომითი მოწყობის პოლიტიკას ატარებს, ქმნის შრომითი მოწყობის ცენტრებს, ხსნის მოკლევადიან სასწავლო ჯგუფებს გათავისუფლებული სპეციალისტების ხელახალი კვალიფიკაციის გასავლელად. გარდა ამისა, სახელმწიფო უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად ახალ საწარმოებს ქმნის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „მესამე ინდუსტრიის" განვითარებას, ქვეყანა აფართოებს პროფესიონალების და სამუშაო ძალის ბაზარს, ზრდის შრომითი მოწყობის არხებს. 1999 წლისათვის 6,5 მლნ კაცზე მეტმა შეძლო ხელახლა შრომითი მოწყობა. რეგისტრირებულ უმუშევართა დონე 3,1%-ს შეადგენს.

21.4. ჩინეთის ეკონომიკის პერსპექტივები, ტენდენციები და პრობლემები

თუკი გავითვალისწინებთ ჩინეთის უზარმაზარ დემოგრაფიულ და ცივილიზაციურ რესურსებს, აგრეთვე ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებას — იაროს რეფორმების გზით, მაშინ შეიძლება ვივარაუ-

დოთ, რომ ჩსრ XXI საუკუნეში *წამყვანი ეკონომიკური სახელმწიფო გახდება.* ყველა ექსპერტი თანხმდება ერთში, რომ მშპ-ის მიხედვით ჩინეთი აშშ-ს საუკუნის პირველ მეოთხედში გაუსწრებს. თუმცა ასახელებენ სხვადასხვა ვადას — 2010 წ-დან 2025 წლამდე. და მაინც, ყველა თანხმდება იმ საკითხში, რომ ჩინეთი ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დონის მიხედვით და ცხოვრების დონით კიდევ დიდხანს ვერ დაეწევა განვითარებულ ქვეყნებს.

ჩინეთის ეკონომიკის განვითარების *პერსპექტივების და დადებითი ტენდენციების* შეფასებისას შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. პროგნოზების თანახმად, არნახული ეკონომიკური გარდაქმნები, რომელთაც ქვეყანა ბოლო 20 წელიწადში განიცდიდა, გაგრძელდება მომდევნო 20 წელიწადსაც, ხოლო კეთილდღეობა და აყვავება თანაბრად განაწილდება მოსახლეობის შორის, რომელთა რაოდენობა, წინასწარი გამოთვლებით, 2020 წლისათვის 1,4 მლრდ კაცს მიაღწევს. ჩინეთი *ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ გადაიქცევა,* რომელიც ამერიკის ტერიტორიას ბირთვული დარტყმით დაემუქრება, ეს კი საშუალებას მისცემს პეკინს დაარღვიოს ვაშინგტონის სტრატეგიული ბატონობა აზიაში. პენტაგონი უკვე შეშფოთებულია ჩინეთის აზიაში სავარაუდო სამხედრო მეტოქეობის საკითხით. ამგვარად, ჩინეთს აქვს ყველა შანსი ეკონომიკურ და სამხედრო გიგანტად გადაიქცეს.

2. 2000 წლის ბოლოს ჩინეთმა მიიღო მსოფლიოსთვის შემაშფოთებელი გადაწყვეტილება *იუანის მცურავი სავალუტო კურსის შემოღების შესახებ.* ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ცხუ რონგჟიმ განაცხადა, რომ სსფ-მ ჩინეთს შესთავაზა შემოეღო იუანის მცურავი სავალუტო კურსი. მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რეფორმების ეფექტიანობაზე, რომელიც უნდა გაატაროს ჩინეთმა, როგორც WTO წევრმა, გლობალური ეკონომიკის მონაწილე. პრემიერ-მინისტრი აპირებს გააფართოოს კურსის რხევის დერეფანი 10%-ით მაღლა ან დაბლა მცურავ კურსთან მიმართებაში: 1 დოლარისათვის 8,8 იუანი. ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ ამჟამად ჩინეთის ეკონომიკა სტაბილურია, პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ შეძლებს შემოიღოს მცურავი კურსი ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას ბაზარს, რათა არ მოხდეს კაპიტალის გადენა და ფინანსური კრახი. სავარაუდოა, რომ თუ დერეფანს გააფართოებენ, იუანი განმტკიცდება 10%-ით. იუანის „თავისუფალ ცურვაში" გაშვებით, ჩინეთი საბაზრო ეკონომიკას მიუახლოვდება. ეს გამოიწვევს კონტროლის შესუსტებას კაპიტალის თავისუფალ

მოძრაობაზე — საკვანძო რეფორმა, როგორც გეგმავენ, 5 წლის განმავლობაში განხორციელდება.

3. *მძაფრად ვითარდება ჩინეთის საფონდო ბაზარი.* ჩინეთი ხსნის თავის საფონდო ბაზრებს უცხოური კომპანიებისათვის. მთავრობის ჩანაფიქრით, უცხოურმა ფირმებმა ხელი უნდა შეუწყოს საქმიანი აქტივობის ზრდას ოდესღაც დახურულ, კონსერვატიულ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ლიცენზიათა რაოდენობა იქნება შეზღუდული და მათ მხოლოდ რჩეულთათვის გასცემენ. ჩინეთში ორი საფონდო ბირჟაა: ერთი შანხაიში, მეორე — ჰონგ-კონგის მახლობლად, შენჩჟენში — თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში. შანხაის ბირჟა უკვე სრულად კომპიუტერიზებულია, კომპიუტერული სისტემის სიმძლავრე საშუალებას იძლევა ყოველ წამში 5000-მდე გარიგება მოახდინონ. აქციათა 90%-ზე მეტს ინდივიდუალური მეანაბრეები ფლობენ. აქციონერთა რიცხვმა 50 მლნ კაცს მიაღწია, ბოლო წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 10 მლნ-ით გაიზარდა. ჩინელი მეანაბრეები 90-იანი წლების შუა ხანებში კურსის ძლიერი ვარდნების შემდეგ გახდნენ ფრთხილი. ისინი ორიენტირებას ახდენენ საბაზრო ინფორმაციით, მაგალითად, ფირმების მოგებებით.

იმავდროულად ჩინეთს *პრაქტიკული პრობლემა რჩება.*

1. რეფორმები პრაქტიკულად ყველა სფეროში *მხოლოდ სანახევროდაა გატარებული.* ერთი მხრივ, მათი დახმარებით მოხერხდა აყვავება, რის შესახებაც 20 წლის წინ ოცნებაც არ შეიძლებოდა; მეორე მხრივ, მათ გააღრმავეს სოციალური უთანაბრობა და გააშიშვლეს პირუთვნელი პოლიტიკური ხერხები, რომელთაც 1970 წლიდან დაწყებული საგულდაგულოდ მალავდნენ. გავრცელებულია აზრი, რომ ჩინეთი დღეს განიცდის თავისი განვითარების გარდამავალ პერიოდს. ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა გლობალურ ხასიათს ატარებს: სოციალური ეკონომიკიდან — კაპიტალისტურისაკენ, აგრარული საზოგადოებიდან — ინდუსტრიულისაკენ, ერთი პირის ძალაუფლებიდან — კანონის ძალაუფლებამდე, საზოგადოების ორგანიზაციის კოლექტივისტური, იდეოლოგიური პრინციპებიდან — ინდივიდუალისტურ და მატერიალისტურ მიზანდასახულობამდე. მსგავსი გლობალური გარდაქმნები განსაკუთრებით გართულებულია ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ესოდენ დიდი სიმჭიდროვეა და ფრიად მნიშვნელოვანი ეთნიკური და ეკონომიკური განსხვავებები რეგიონებს შორის.

2. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ თავისი სტრუქტურული ორგანიზაციის მიხედვით, *ჩინეთს არ შეუძლია კონკურენცია სხვა ქვეყნებ-*

თან სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის მოსახლეობის სიმჭიდროვე იმგვარია, რომ მხოლოდ 0,1 ჰა სახნავი მიწა მოდის ჩინეთის სოფლის 1 მცხოვრებზე. შედარებისათვის გთავაზობთ: ევროპაში — 0,5 ჰა, ხოლო აშშ-ში — 2,4 ჰა. მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო მუშათა დაბალი ანაზღაურებისა, აგრარულ საქონელზე ფასები საშუალოდ 30%-ით მაღალია, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე. გარდა ამისა, WTO-ში ჩინეთის შესვლის შემდეგ სატარიფო ბარიერების შემცირების გამო მილიონები ან ათეულობით მილიონი გლეხი შეძლებს შრომის ბაზრამდე მიღწევას. მათი რაოდენობა დაემატება უკვე არსებულ 100 მლნ სეზონურ სასოფლო-სამეურნეო უმუშევართ. არსებობს აგრეთვე საფრთხე, რომ არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მოწოლა ასევე შეზღუდავს ქალაქებში არსებული 18 მლნ უმუშევარი მუშის და წამგებიანი სახელმწიფო საწარმოების მოსამსახურის შესაძლებლობებს. ამ მოსამსახურეებს ხომ ხელფასს თვეობით ვერ უხდიან. ქალაქში პოტენციურ უმუშევართა რიცხვი პროგნოზის თანახმად სახელმწიფო საწარმოს 100-დან 35 მოსამსახურიდან კიდევ უფრო გაიზრდება. არის იმის საშიშროება, რომ ჩინეთი ვერ გაუძლებს ამ ზრდის ტემპს (ეკონომისტები, სულ მცირე, წელიწადში 5%-ს ელიან), ვერ გაანაწილებს სამუშაო ძალის ნამეტს, ხოლო სოციალური არასტაბილურობა არ დააყოვნებს. მაშინ განვითარების შენელებული ტემპებით და ზრდადი სოციალური პრობლემებით შეშინებული პეკინი შეეცდება დააჩქაროს შეიარაღების პროცესი, რაც მის დიპლომატიურ პოზიციებს შეასუსტებს.

3. ჩინეთის ეკონომიკისთვის ჩინოვნიკობასთან ერთად *დიდ პრობლემას კორუფცია წარმოადგენს.* პრეზიდენტი ძიან ძემინი კორუფციას ჩინეთის პოლიტიკის სხეულში კიბოს სიმსივნეს ადარებს. მთავრობამ სამართალდამრღვევთა გამოსავლენად და დასასჯელად ენერგიულად გააჩაღა კამპანია. მის დაწყებიდან დაჭერილ „დიდ თევზებს" შორის იყო ჩენ კეიჟე, გუანსის სამხრეთ რაიონის ყოფილი პარტიული ბოსი, და მარტში გამოძიების ჩატარებამდე, ეროვნული პარლამენტის ვიცე-სპიკერი. 31 ივლისს ტელევიზიამ აჩვენა საქმის მოსმენა, რომელზეც მას ბრალი დასდეს მექრთამეობაში — თანხის ოდენობა დაახლოებით 5 მლნ დოლარი იყო. ამის გამო მას სიკვდილი მიუსაჯეს. თითქმის ყოველდღე ჩნდება ცნობები უფრო წვრილმანი საქმეების შესახებ. 1999 წელს 17 მინისტრი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენელი იქნენ მსჯავრდებულნი, მაშინ როცა წინა სამი წლის განმავლობაში ასეთი შემთხვევა 32 იყო.

4. ქვეყნის მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ *რამდენად წარმატებული აღმოჩნდება პეკინის რეფორმები სოფლის მეურნეობის სფეროში.* დღეს ამ დარგში ჩსრ-ის შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი მუშაობს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ იგი ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 18%-ს ქმნის, ნათელია ერთი რამ: სოფლის მეურნეობას სრულფასოვანი შრომით და ანაზღაურებით არ შეუძლია უზრუნველყოს სოფლის ზონაში ყველა მცხოვრები. ამგვარად, ჩინეთის უბრალო მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სახელმწიფოს წარმატებებით — შრომითი რესურსების გადაადგილებით სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში. რეფორმების პერიოდში პეკინმა მოხსნა რიგი ბარიერები, რომლებიც სამუშაო ძალის მოძრაობას ზღუდავდა. მაგალითად, ჩინელ გლეხებს ეკრძალებოდათ თავიანთი სოფლების დატოვება იმისათვის, რომ სხვაგან ეძებნათ სამუშაო. 1999 წელს ეს აკრძალვა მოიხსნა და 100 მლნ-ზე მეტმა სოფლის მცხოვრებმა დატოვა მშობლიური მხარე, მათ საშოვრისათვის დიდ ქალაქებს მიაშურეს. თუმცა, ზოგი ეკონომისტის აზრით, შრომითი რესურსების თავისუფალი ბაზრის შექმნამდე ჯერ კიდევ აუცილებელია რიგი შეზღუდვების მოხსნა. ასე მაგალითად, ჩინეთის მდგომარეობის შესახებ ამასწინანდელი ანგარიშის ავტორები იმას მიუთითებენ, რომ ე. წ. სოფლიდან გადასახლებულ მუშებს უწინდებურად არ შეუძლიათ მიიღონ მუდმივი ნებართვა ქალაქში საცხოვრებლად, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ საწარმოებში მუშაობას. ამასთანავე ვერ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის ან განათლების სფეროში იმ მომსახურებით, რაც დასაშვებია მხოლოდ ქალაქებში მუდმივად მცხოვრებთათვის. ჩინეთისათვის წარმატებული განვითარების საიდუმლო დაფარულია აგრო-სამრეწველო კომპლექსის რეფორმებში, რომლებიც მოწოდებულია არა მარტო ამ დარგის ეფექტიანობის ასამაღლებლად, არამედ შრომითი რესურსების ნაწილის გადასაყვანადაც სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში.

თავი 22

განვითარებადი ქვეყნების განვითარება

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: კრიზისის გახანგრძლივება. სუბკონტინენტი ინდოეთი. ცივილიზაციური რესურსები და ეკონომიკური ზრდა. ლათინური ამერიკის პოტენციალი. ბრაზილიაში ბევრია არა მხოლოდ ველური მაიმუნი. ახლო და შუა აღმოსავლეთი. მუსლიმანური ეკონომიკური ალტერნატივა. არაბული სამყაროს ეკონომიკური პოტენციალი. მხოლოდ ნავთობია მუსლიმანური სამყაროს სიმდიდრე? ყურანი და ეკონომიქსი. „შავი" აფრიკის უბედურება და პერსპექტივები

XX საუკუნის ბოლოს სამყარო ორ არათანაბარ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი. დაახლოებით მილიარდი ადამიანი ცხოვრობს განვითარებულ ქვეყნებში და, ამ ქვეყნებში ცხოვრების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ამ მილიარდს ხშირად „ოქროსას" უწოდებენ. დანარჩენი 5 მლრდ განვითარებად ქვეყნებშია. არსებითად, ამგვარი დაყოფა უკვე საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა, კოლონიური იმპერიების მშენებლობის პერიოდში. დღემდე „ოქროს" მილიარდი — ეს ძირითადად მეტროპოლიების მცხოვრებნი არიან, ხოლო განვითარებადი ქვეყნები — ყოფილი კოლონიები და ნახევრად კოლონიები. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისათვის მეორე ჯგუფიდან პირველში გადასვლა აუხდენელ ოცნებად რჩება. მთელი XX საუკუნის განმავლობაში ეს გადასვლა უნიკალური პირობების მქონე (ნავთობის უზარმაზარი მარაგი, ფრიად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ა. შ.) მხოლოდ ძალიან ცოტა ქვეყანამ, პატარა მოსახლეობით, თუ მოახერხა.

მთლიანობაში განვითარებადმა ქვეყნებმა ვერაფრით შეძლეს განვითარებულებს მიახლოვებოდნენ. გაეროს სტატისტიკით, 1951-1999 წლებში განვითარებული ქვეყნების მშპ 5,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო განვითარებადებში — 10,3-ჯერ. ცხოვრების დონეთა დაახლოება ამ ორ ჯგუფში თითქოს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა 2,8-ჯერ გაიზარდა, ხოლო განვითარებუ-

ლებში — მხოლოდ 1,5-ჯერ. ამგვარად, კოლოსალური ძალისხმევის მიუხედავად, სხვაობა ამ ჯგუფებს შორის პრაქტიკულად არ შემცირებულა. თუკი 1950 წელს განვითარებული ქვეყნები უსწრებდნენ განვითარებადებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დონით 6,7-ჯერ, 2000 წლისათვის ეს მაჩვენებელი 6,6-ის ტოლი იყო, ანუ, ცდომილებათა გათვალისწინებით, სხვაობა ცხოვრების დონის ძირითად მაჩვენებლებს შორის ფაქტობრივად არ შეცვლილა.

თანამედროვე მსოფლიო, მიუხედავად გლობალიზაციისა, მატერიალური უთანაბრობით დაღდასმულ სამყაროდ რჩება. თუკი კაცობრიობას გავყოფთ 10 თანაბარ ნაწილად, დაახლოებით 600 მლნ კაცით თითოეულში, მაშინ ყველაზე მდიდარი 600 მლნ ადამიანის წილად მსოფლიო მშპ-ის ნახევარი მოვა, ხოლო ყველაზე ღარიბ 600 მლნ კაცზე — 74-ჯერ ნაკლები. ბუნებრივია, 600 მლნ უმდიდრეს ადამიანთა დიდი ნაწილი (87%) განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს. ამავე ჯგუფს მიეკუთვნებიან მდიდრები განვითარებადი ქვეყნებიდან (დაახლოებით 60 მლნ ადამიანი). მასში შედიან „ახალი რუსებიც" — 12 მლნ ადამიანი. უთანაბრობას განვითარებად ქვეყნებში აღმაშფოთებელი მასშტაბები აქვს. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ 60 მლნ მდიდარს განვითარებადი ქვეყნებიდან აქვს უფრო დიდ შემოსავალი, ვიდრე 1,7 მლრდ უღარიბეს მცხოვრებს ამავე ქვეყნებიდან.

ითვლება, რომ აბსოლუტური სიღატაკის დონე — ესაა ცხოვრება დღეში 1 დოლარით, ხოლო უპირობო სიღატაკის — 2 დოლარი დღეში. აშშ-ში ფუნტი (457 გ) პური დოლარი ღირს, ასევე — 1 ლ რძე. ბუნებრივია, აშშ-ში 2 დოლარით დღეში ვერ იცხოვრებ. მაგრამ განვითარებად ქვეყნებში სხვა ფასებია და მილიარდობით ადამიანი ამ ღატაკური დონის შემოსავლებით არსებობს. გაეროს მონაცემებით, პლანეტაზე 1,2 მლრდ ადამიანს 1 დოლარიც არა აქვს დღეში, ხოლო 2,5 მლრდ-ს — 2 დოლარი დღეში. სხვათა შორის, ამ ჯგუფებში თითქმის სრულად ხვდებიან რუსი პენსიონერები.

რა თქმა უნდა, განვითარებადი ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების გამოყენებული მოდელებით და მიღწეული შედეგებით. ამ თავში ჩვენ შევეცდებით გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით დაყოფილი განვითარებადი ქვეყნების ხუთი ძირითადი ჯგუფის ეკონომიკური მოდელის და განვითარების ძირითადი ტენდენციების გაანალიზებას. თანმიმდევრულად შევისწავლით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს (აიქ), ინდოეთის სუბკონტინენტის ქვეყნებს, ლათინური ამერიკის აიქ-ებს, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, აგრეთვე ეკვატორული აფრიკის ზოგიერთ ქვეყანას.

22.1. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები

1. * დაჯგუფება და განვითარების დამახასიათებელი ნიშნები.* განსახილველი ქვეყნები, ცივილიზაციური რესურსების მიხედვით, ახლოსაა იაპონიასთან და დიდხანს მიდიოდნენ თავისი რეგიონული ლიდერის გზით, იყენებდნენ რა დაახლოებით მსგავს ცივილიზაციურ პოტენციალს. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის გამოცდილება „დამწევი" განვითარების კლასიკური ნიმუშია. ეს ქვეყნები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ ჰონგკონგი, სინგაპური და ტაივანი, მათ აქტიური ინდუსტრიალიზაცია ჯერ კიდევ 40-იან წლებში დაიწყეს და მიაღწიეს ცხოვრების მაღალ დონეს განვითარებული ქვეყნების რიცხვში ფაქტობრივი შეჭრით (ჟურნალისტები ამ ქვეყნებს აზიურ „დრაკონებს" უწოდებენ). აქ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ყველა ისინი უნიკალური კუნძულოვანი სახელმწიფოებია მცირე ოდენობის მოსახლეობით. ამასთანავე, ჰონგკონგს და ტაივანს კომუნისტური ჩინეთის საწინააღმდეგოდ საზღვარგარეთი დიდხანს იყენებდა, ამიტომაც მათ დიდ დახმარებას უწევდნენ. მეორე ჯგუფს კი შეიძლება მივაკუთნოთ კორეის რესპუბლიკა, ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები, ვიეტნამი და ლაოსი (მათ აზიურ „ვეფხვებს" უწოდებენ). მათ ინდუსტრიალიზაცია სხვადასხვა დროს დაიწყეს და უკვე მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს. თუმცა ამ ჯგუფის ლიდერები 1997-1998 წლების უძლიერესი კრიზისის მსხვერპლნი გახდნენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა ასახულია ცხრილში 22.1.

ცხრილში კარგად ჩანს სხვაობა პირველი და მეორე ჯგუფის ქვეყნების ცხოვრების დონეებს, აგრეთვე — მეორე ჯგუფის ქვეყნებს შორისაც.

აიქ-ების განვითარების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

1) იაპონიისგან განსხვავებით, ყველა ეს ქვეყანა მეორე მსოფლიო ომამდე არ იყო მშვიდობიანი სახელმწიფო და ინდუსტრიალიზაციის გამოცდილება არ ჰქონდა. მათ პრაქტიკულად ნულიდან დაიწყეს.

2) ბევრი მათგანი სოციალისტური განვითარების გზით მიდიოდა და მათ ეკონომიკის დიდი სახელმწიფო სექტორი ჰქონდათ (ზოგიერთს ახლაც აქვს).

3) ამ ქვეყნებიდან უმრავლესობას განვითარების მიზნად დასახული ჰქონდა მესამე სამყაროდან გადასვლა განვითარებული ქვეყნების რიცხვში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები 1999 წლისთვის

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	მშპ, მლრდ დოლ.	მშპ 1 სულ მოსახ., ათასი დოლ.	მშპ-ის ზრდა, %	ინფლაცია, %
ჰონგ-კონგი	7,1	129,9	18,4	0,6	4,2
სინგაპური	3,3	91,3	27,9	8,4	1,4
ტაივანი	22,1	306,3	23,9	6,1	1,7
ინდონეზია	209,7	177,7	0,84	4,1	7,1
მალაიზია	22,4	85,2	3,8	5,3	5,2
ფილიპინები	78,4	81,0	1,03	3,9	8,4
სამხრეთი კორეა	47,3	427,7	9,04	6,1	2,7
ტაილანდი	62,6	134,0	2,1	2,9	4,5
ვიეტნამი	80,9	29,7	0,37	5,7	12,0

4) ინდუსტრიალიზაცია არც ერთ რეგიონში არ ყოფილა ესოდენ მხარდაჭერილი მძლავრი უცხოური ინვესტიციებით.

5) ყველა მათგანმა განიცადა 1997 წლის კრიზისი.

2. აიჭ-ების ეკონომიკური მოდელი. ყოველმა აიჭ-მა მოდერნიზაცია და ინდუსტრიალიზაცია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში განახორციელა. სინგაპურში, ტაივანსა და მალაიზიაში ეს პროცესები უკვე 40-იანი წლების ბოლოს დაიწყო, სამხრეთ კორეასა და ინდონეზიაში — 60-იანი წლების დამდეგს, ტაილანდში — 60-იანი წლების ბოლოს, ვიეტნამსა და ლაოსში — 90-იანი წლების დამდეგს. ინდუსტრიალიზაცია ყველგან მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის ძალიან დაბალი მაჩვენებლებით იწყებოდა. მალაიზიაში ეს მაჩვენებელი კაცზე დაახლოებით 300 დოლარს შეადგენდა, კორეაში 50-იანი წლების ბოლოს — მხოლოდ 100 დოლარს, ტაივანში 60-იანი წლების დამდეგს — 160 დოლარს, ხოლო ვიეტნამში 80-იანი წლების შუა ხანებში კაცზე 220 დოლარი მოდიოდა.

თუკი კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით 22.1. ცხრილს, არ შეიძლება არ აღვფრთოვანდეთ ამ ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებებით. 70-იანი წლების განმავლობაში მშპ-ის ყოველწლიური ზრდის ტემპები ტაი-

ლანდისა და ინდონეზიისთვის 7-8%-ს შეადგენდა, მალაიზიისათვის — 8,1%, ჰონგკონგის, სამხრეთ კორეისა და სინგაპურისათვის — 9,5%-ს, ტაივანისათვის კი — 10%-ზე მეტს. 80-იან წლებში ამ ქვეყნების უმრავლესობის ზრდის ტემპები წელიწადში 7%-ზე დაბლა არ ჩამოდიოდა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს რეგიონი უზრუნველყოფდა ყველა განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკათა საერთო ზრდის ლომის წილს. 50-70-იან წლებში მის წილად საერთო ზრდის 73%-მდე მოდიოდა, 80-იან წლებში — დაახლოებით 64%, 90-იანი წლების დამდეგს — 60%. ამგვარად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია იყო ყველაზე დინამიკურად განვითარებადი რეგიონი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

1993 წელს მსოფლიო ბანკმა აღმოსავლეთაზიური ეკონომიკური ზონა, მისი ესოდენ მძლავრი ზრდის შთაბეჭდილებით, „ზრდის მეოთხე პოლუსად" გამოაცხადა აშშ-თან, EU-თან და იაპონიასთან ერთად. ამასთან, მოგვცა სრულიად ფანტასტიკური განვითარების პროგნოზი, რომლის შესაბამისადაც 2050 წლისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ები მოახდენენ მსოფლიო მშპ-ის 57%-ის უზრუნველყოფას, ხოლო ეთგო-ის ქვეყნები, იაპონიის ჩათვლით — მხოლოდ 12%-ს. 1997 წლის კრიზისის შემდგომ მოვლენათა ამგვარი განვითარება წარმოუდგენლად გვეჩვენება. თუმცა წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის მიერ გამოთქმული განვითარების პროგნოზი გვიჩვენებს, რომ მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოებრიობა ინდუსტრიალიზაციის აზიური მოდელის პოტენციალს ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა.

მაინც ეკონომიკური მოდელის რა თვისებებმა მიიყვანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ესოდენ შთამბეჭდავ შედეგებამდე?

1. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ების ეკონომიკური მოდელები თავიანთი ქვეყნების ცივილიზაციურ რესურსებს ძალიან ეფექტიანად იყენებდნენ. მათ შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ეკონომიკურად ეფექტიანი ინდუსტრიალიზაციის ეტაპზე აღმოჩნდა: მოსახლეობის სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა და უსიტყვო მორჩილება, დიდი სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა (გავიხსენოთ ბუდისტური ეთიკა), საბრძოლო სული და მხარში ამოდგომა, მჭიდრო კლანური კავშირები.

2. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური მოდელებისათვის ძალიან დამახასიათებელია სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობა. განვითარების პრიორიტეტებს სახელმწიფო განსაზღვრავს და საშეღავათო კრედიტების სისტემის გამოყენებით და საგარეოეკონომიკური პრეფერენციებით მოცემულ ეტაპზე პრიორიტეტულ დარგებს ეხმარება.

ამორჩეული პრიორიტეტები იცვლებოდა და, პერიოდების მიხედვით, უპირატესობა ამა თუ იმ დარგს ენიჭებოდა:

- 50-იან წლებში — საფეიქრო და მინის მრეწველობას;
- 60-იან წლებში — ქიმიურ მრეწველობას და მეტალურგიას;
- 70-იან წლებში — ზოგად მანქანათმშენებლობას, გემთმშენებლობას, ავტომშენებლობას და ა.შ.
- 80-იან წლებში — ელექტროტექნიკურ მრეწველობას და ელექტრონიკას;
- 90-იან წლებში — ინფორმატიკას, ახალი მასალების წარმოებას, აეროკოსმოსურ მრეწველობას.

3. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სახელმწიფოები მოქნილად ცვლიდნენ თავიანთ პოლიტიკას, სახელმწიფოს როლს თანდათან ამცირებდნენ, ახდენდნენ რა საგარეო-ეკონომიკური რეგულირების ლიბერალიზაციას, საზოგადოების დემოკრატიზაციას.

4. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ეკონომიკური მოდელი გამოირჩევა აშკარად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით. ექსპორტის წილი მშპ-ში კრიზისის წინ ინდონეზიაში 22%-ს შეადგენდა, ფილიპინებში — 24,4%-ს, სამხრეთ კორეაში — 26,8%-ს ტაილანდში — 30,2%-ს, მალაიზიაში — 78,8%-ს, ხოლო სინგაპურის მშპ-ში — 132,2%-ს.[1] ამასთან, ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი (45-დან 60%-მდე) აშშ-ში, EU-სა და იაპონიაში იგზავნება. ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკას უცხოურ ეკონომიკათა მდგომარეობაზე დამოკიდებულს ხდის, განსაკუთრებით აშშ-ის ეკონომიკაზე.

5. აიქ-ების ეკონომიკური მოდელის დამახასიათებელი ნიშანია, ისევე როგორც იაპონიისთვის, მოსახლეობის დანაზოგის მაღალი ნორმა, რომელიც 90-იანი წლების დამდეგს ტაივანში მშპ-ის 24%-ს შეადგენდა, მალაიზიაში, ტაილანდსა და სამხრეთ კორეაში — 35%-ს, სინგაპურში — მშპ-ის 47%-ს. ეს, ერთი მხრივ, აფართოებს ქვეყნის ინვესტიციურ შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლის შიდა ბაზრის ზრდას.

6. აიქ-ების ეკონომიკა, ასე ვთქვათ, გამოკვეთილია უცხოური ინვესტიციებით. მაგალითად, 1981 და 1993 წლებს შორის FDI-ები სამხრეთ კორეის ეკონომიკაში 4,5-ჯერ გაიზარდა, მალაიზიის ეკონომიკაში — 9-ჯერ, ტაივანში — 14-ჯერ, ხოლო ინდონეზიაში — 16-ჯერ.[2] 1986

1. Goldstein M. The Asian Financial Crisis, 1999.
2. Иноземцев В. Расколотая цивилизация, 1999.

წლიდან 1995 წლის ჩათვლით რეგიონის წამყვან ქვეყნებში — მალაიზიაში, ინდონეზიასა და ტაილანდში — FDI-ები 18-30-ჯერ გაიზარდა. მარტო წინაკრიზისულ 1996 წელს FDI-ებმა 93 მლრდ დოლარი შეადგინა. კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა ფინანსური ნაკადები და პორტფელური ინვესტიციები. ასე მაგალითად, გიგანტური ჩინეთის საფონდო ბაზარი 90-იანი წლების შუა ხანებში მხოლოდ 44 მლრდ დოლარს შეადგენდა, ხოლო შედარებით პატარა, 19-მილიონიანი მალაიზიის — 200 მლრდ დოლარს. მაქსიმალური კაპიტალიზაციის მომენტში კრიზისის წინ, ჰონგკონგის, მალაიზიის, სამხრეთი კორეის, სინგაპურის და ტაილანდის საფონდო ბაზრების შეჯამებულმა კაპიტალიზაციამ 1,15 ტრლნ დოლარი შეადგინა, ანუ ყველა განვითარებადი ქვეყნის კაპიტალიზაციის 50%-ზე მეტი.

თუმცა აზიის აიქ-ების ეკონომიკურ მოდელში იყო მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებიც მათი ღირსებების გაგრძელებას წარმოადგენდა ბევრ საკითხში.

1. სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობა ბევრ ქვეყანაში გადაიზრდებოდა ხოლმე სახელმწიფოს და ეკონომიკის შეზრდაში. ეს პროცესი სხვადასხვა ფორმას იღებდა — მალაიზიაში ცენტრალიზებული რეგულირებიდან და სამხრეთ კორეაში მსხვილი კომპანიების სახელმწიფო მხარდაჭერიდან ინდონეზიაში ნახევრად სახელმწიფო კომპანიების მთელი ქსელის ორგანიზებამდე, რამაც პრეზიდენტ სუხარტოს ოჯახს საშუალება მისცა აზიაში უზარმაზარი ქონება დაეგროვებინა — დაახლოებით 70 მლრდ დოლარი. კორუფცია ბევრი აიქ-ის ეკონომიკათა უბედურება გახდა.

2. აიქ-ების ეკონომიკურ ზრდას არ ახლდა მოსახლეობის ხელფასის და შემოსავლის პროპორციული ზრდა. 80-იანი წლების განმავლობაში, ეკონომიკური ზრდის რეკორდული ტემპების დროს, ტაილანდის, მალაიზიისა და ინდონეზიის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ, შესაბამისად, 7,23 და 34%-ით მცირდებოდა „დიდი შვიდეულის" ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ეს აიქ-ებს საშუალებას არ აძლევდა დაყრდნობოდა საკუთარ შიდა ბაზარს და აიძულებდა სახიფათო საექსპორტო ორიენტაცია შეენარჩუნებინა.

3. აიქ-ებში განათლების დონე განვითარებულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მთელი ახალგაზრდობა მხოლოდ სამხრეთ კორეაში დადის სკოლებში. ტაილანდში ამგვარი შესაძლებლობა მხოლოდ 40%-ს აქვს, ხოლო ინდონეზიაში — 45%-ს. თუკი აშშ-ს კოლეჯდამ-

თავრებულთა 65%-მდე აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში, მაგალითად, მალაიზიაში — მხოლოდ 12%. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ების ახალგაზრდა სპეციალისტთა უმრავლესობა ტექნიკურ კოლეჯებს ამთავრებს და მათ საუნივერსიტეტო განათლება არა აქვთ. კარგი საშუალო განათლების მქონე სპეციალისტებს შეუძლიათ წარმატებით დანერგონ დასავლური ტექნოლოგიები, მაგრამ უნარი არ შესწევთ შექმნან ახალი.

4. 1997 წლისათვის აიქ-ების ეკონომიკები ზედმეტად დაკრედიტებული აღმოჩნდა. მაგალითად, კორპორაციული ვალის თანხა „დეუს" კორპორაციისათვის მის სააქციო ღირებულებას 3,4-ჯერ აჭარბებდა, „ჰიუნდაისათვის" — 4,4-ჯერ, ხოლო კორპორაცია „ჯინროსთვის" — 86-ჯერ! გაცემული კრედიტების საერთო ოდენობა ტაილანდში ქვეყნის მშპ-ის 140%-ს შეადგენდა. ინდონეზიაში, მალაიზიასა და ტაილანდში მხოლოდ ვალდებულებები უცხოური ბანკების წინაშე მშპ-ის 30-45%-ს შეადგენდა.

5. ბევრი აიქ-ის სახელმწიფო ვალმა კრიზისის წინ ძალიან სახიფათო ზღვარს მიაღწია. ასე მაგალითად, ტაილანდის საგარეო ვალი 87,3 მლრდ დოლარს აღწევდა 26,6 მლრდ დოლარის სავალუტო მარაგის დროს. სამხრეთი კორეისათვის ამ მაჩვენებელმა 152,3 და 45,1 მლრდ დოლარს მიაღწია, ხოლო ინდონეზიაში — 136,4 და 13,5 მლრდ დოლარს.

6. საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციის ზრდამ ყველა გონივრულ ზღვარს გადააჭარბა. თუკი წამყვანი განვითარებული ქვეყნების საფონდო ბაზრების კაპიტალიზაცია 90-იანი წლების დამდეგისათვის 100%-ს იშვიათად აჭარბებდა, სინგაპურის, მალაიზიის და ჰონგ-კონგისათვის შესაბამისმა მაჩვენებელმა 259, 452 და 631% შეადგინა.

კრიზისმაც არ დააყოვნა. ის 1997 წლის 2 ივლისს ტაილანდური ბატას დევალვაციით დაიწყო, რომელიც ნახევარ წელიწადში 2-ჯერ გაუფასურდა. 11 ივლისს ეროვნული ვალუტის დაცვაზე უარი განაცხადა ფილიპინების ცენტრალურმა ბანკმა, რომელმაც ბატას გზა გაიმეორა. 1997 წლის განმავლობაში თითქმის ყველა აზიურმა ვალუტამ დევალვაცია განიცადა. ამასთან, ინდონეზიური რუპიას კურსი 7-ჯერ დაეცა. სინგაპურს, ტაივანსა და ჰონ-კონგს კრიზისი მინიმალური ხარისხით შეეხო. პრაქტიკულად ყველა აიქ-ის უძრავი ქონების ბაზარი და საფონდო ბაზარი კატასტროფულად დაეცა.

თუმცა კატასტროფა მაინც ფინანსური სფეროთი შემოიფარგლებოდა. მეცნიერთა და ჟურნალისტთა ყველაზე შემზარავი პროგნოზები არ

გამართლდა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აიქ-ებმა ნელ-ნელა კრიზისიდან გამოსვლა იწყო.

3. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები. 1999 წელს, ორწლიანი დეპრესიის შემდეგ, აზიური ეკონომიკა 5,7%-ით (2,3%-ით — 1998 წ.) გაიზარდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ეკონომიკაში სერიოზულ ვარდნას წერტილი დაესვა, მან ძალები მოიკრიბა და ზრდისკენ გამალებული სწრაფვა შეძლო. ამჟამად აზიაში სავალუტო-საფინანსო ბაზარი სტაბილიზაციას განიცდის, რეგიონში უცხოური ინვესტიციების ნაკადები ბრუნდება, ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური რეფორმები ღრმავდება. ამ ცვლილებებმა კონტინენტზე ეკონომიკის მდგრადი ზრდისთვის შექმნა პირობები.

2000 წელს აზიური ეკონომიკის სტაბილური ზრდის უზრუნველსაყოფად შემდეგი ხელსაყრელი პირობები არსებობდა:

1. აიქ-ებში პოლიტიკური სიტუაცია თანდათანობით სტაბილურდება, საზოგადოებრივი წესრიგი მყარდება. აზიაში 1997 წელს, სავალუტო-საფინანსო კრიზისის შემდეგ, ზოგიერთ აღმოსავლეთაზიურ ქვეყანაში სოციალური ქაოსი შეიმჩნევა, ეკონომიკურ სიძნელეთა შედეგად ადგილი აქვს ხელისუფლებათა ცვლას. ამჟამად, პოლიტიკური ბრძოლის შერბილების და ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებისდა მიხედვით, ამ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარებისთვის პირობები უმჯობესდება. რიგმა ქვეყნებმა კონცენტრაცია მოახდინეს ეს შრომითი მოწყობის საკითხებზე, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნასა და სრულყოფაზე, სიღარიბის დასაძლევად მუშაობაზე, რამაც არასტაბილურობის ფაქტორთა შემცირება გამოიწვია.

2. *ხდება მომხმარებელთა რწმენის აღდგენა*, მოსალოდნელია შიდა მოთხოვნის შემდგომი გაფართოება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებსა და კორეის რესპუბლიკაში იზრდება მოსახლეობის დანახარჯები მათი ორწლიანი ვარდნის შემდეგ, ავტომობილთა გაყიდვის მოცულობა შესამჩნევად გაიზარდა, ასევე — უძრავი ქონების და სხვა ძვირფასი საქონლის. ზოგიერთ ქვეყანაში სამომხმარებლო ბაზარზე ცვლილებები დეფლაციის გამო ზემოქმედებას შეამცირებს, ხელს შეუწყობს შიდა მოთხოვნის გაფართოებას და, ამგვარად, ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას მოახდენს.

4. ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება *ხელს შეუწყობს* აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში *პროდუქციის ექსპორტს* და ინტენსიურ კაპიტალდაბანდებებს, რაც ეკონომიკური აღმავლობისთვის ხელსაყრელ საგარეო

პირობებს შექმნის. 2000 წელს მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ვაჭრობის საერთო ბრუნვა გაიზარდა. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება, რაც აღმოსავლეთაზიური ქვეყნების ექსპორტში შედარებით სტაბილურ სიტუაციას განაპირობებს.

4. რეფორმების გაღრმავება ეკონომიკის უფრო ეფექტიან ზრდას გამოიწვევს. კრიზისმა აზიურ ქვეყნებს ჭკუა ასწავლა და ფინანსური კრიზისის დამთავრების შემდეგ მათ ფინანსური სისტემის და ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია დაიწყეს, ასევე — წარმოების სტრუქტურის რეფორმირება, სამეურნეო მართვის გაძლიერება, მეცნიერებისა და განათლების ხარჯზე ქვეყნის აღმავლობის პოლიტიკის გატარება, კორუფციასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლა. ყველა ეს ღონისძიება იმპულსს მისცემს ეკონომიკის წინსვლითი ზრდის მიღწევას დამდეგ წელსაც.

მიუხედავად იმისა, არსებობს ჯერ კიდევ ბევრი ბარიერი, რომელიც ხელს უშლის აზიის ეკონომიკის ყოვლისმომცველ აღორძინებას, მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში საწარმოთა რეფორმირება გაძნელებულია დავალიანების დიდი წნეხის გავლენით. კორეის რესპუბლიკის მშპ-ში დავალიანების ხვედრითი წონა წინა წლის 20%-დან მომდევნო წელს 28%-მდე გაიზარდა, ტაილანდში — 38-დან 48%-მდე, ინდონეზიაში — 54-დან 98%-მდე. ფიქსირებულია ფინანსური სტრუქტურების მცირე აქტივები და უზარმაზარი უიმედო ვალები, რის გამოც მათ არ შეუძლიათ შესთავაზონ საწარმოებს საკმარისი ფინანსური დახმარება. დავალიანების არნახული ზრდის თავიდან ასაცილებლად ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა მეტად ვეღარ ახერხებს ესოდენ მსხვილი მასშტაბებით ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის, როგორც გასულ წელს. ყველა ეს ფაქტორი ნიშნავს იმას, რომ 2000 წელს აზიური ქვეყნების ეკონომიკურ აღდგენაში შეიძლება დაფიქსირდეს უთანაბრობა, ვერ მოხერხდება აზიური ეკონომიკის საერთო მოცულობის გიგანტური ზრდაც.

როგორც ჩანს, აზიის ეკონომიკის ზრდა 2000 და 2001 წლებში იქნება გასულ წელზე ცოტა მეტი ან 1999 წლის დონეზე. ეკონომიკურ კვლევათა იაპონიის ცენტრის ამჟამინდელი პროგნოზით, საშუალოვადიან პერსპექტივაში მშპ-ის ნამატი სამხრეთ კორეაში 5,5%-ს შეადგენს, მალაიზიაში — 5,1%-ს, სინგაპურსა და ტაივანში — 5%-ს, ინდონეზიაში — 4,6%-ს, ხოლო ტაილანდში — 4,5%-ს. ცოტა უარესი მდგომარეობაა მოსალოდნელი ფილიპინებზე, სადაც მშპ-ის საშუალო წლიურ ზრდას 3,2%-ის დონეზე ელიან, ჰონგკონგში კი — 2,5%-ს.

აზიის ქვეყნებში გააცნობიერებს, რომ *ფინანსური კრიზისის მთავარი მიზეზები ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურის არარაციონალურობაა*, ასევე — ფინანსური ორგანიზაციების სპეკულაცია, ჩამორჩენა მეცნიერებასა და მაღალ ტექნოლოგიებში, მრეწველობისათვის ზედმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ახალი ფინანსური რისკების აღსაკვეთად აზიურმა ქვეყნებმა უნდა გააღრმავონ ფინანსური რეფორმები და გაატარონ სტრუქტურული გარდაქმნები მრეწველობის დარგებში.

აქედან გამომდინარე, აზიის ქვეყნებმა მიიღეს რიგი ზომები და საგრძნობ შედეგებსაც მიაღწიეს. კორპორაცია „დეუს" მაგალითებმა კორეის რესპუბლიკის მთავრობა აიძულა შეეტანა ცვლილებები ეკონომიკური განვითარების ტრადიციულ გზაზე, კერძოდ, მსხვილი კორპორაციების დახმარებიდან გადასულიყო საშუალო და მცირე საწარმოთა დახმარებაზე, რომელთაც კაპიტალი, ტექნოლოგია და ტექნიკური პერსონალი გააჩნდა. სინგაპურის მთავრობამ კაპიტალის ჩადება დაიწყო ინტელექტუალური დარგების და ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარებაში. ინდონეზიამ გადაწყვიტა ფინანსური სფეროს და საცალო ვაჭრობის გახსნა, გააუქმა უცხოელებისათვის აქციებსა და ინვესტიციებზე საკონტროლო პაკეტის ფლობაზე შეზღუდვები. ტაილანდმა ასიგნებანი განათლებაზე გაზარდა.

დავალიანების მკვეთრი ზრდის აღსაკვეთად მთავრობებმა უნდა შეამცირონ ხარჯები, ეკონომიკური ზრდის ტემპები შეკვეცონ ან გაზარდონ გადასახადები, რაც უცხოური ინვესტიციების მოდენისათვის დაბრკოლება გახდება, ან კიდევ ყველა ღონისძიება ერთდროულად, ზომიერად გაატარონ. თუმცა როგორც ერთი, ისე მეორე და მესამეც გარკვეულწილად უარყოფით გავლენას მოახდენს ეკონომიკის შემდგომ გაჯანსაღებაზე.

გარდა ამისა, *აზიური ქვეყნების ფინანსურმა სფერომ ჯერ კიდევ ვერ გადალახა სიძნელეები*, ამიტომ მისი შესაძლებლობები, გაუწიოს საწარმოებს შესაბამისი საკრედიტო დახმარება, შეზღუდულია. აშშ-ის საფონდო და სავალუტო ბაზრებზე რხევები დროდადრო აზიურ ბაზარზეც აისახება. იაპონიაში ეკონომიკური განვითარების ტენდენცია აგრეთვე უშუალო გავლენას მოახდენს რეგიონის ეკონომიკაზე. ერთი სიტყვით, რეგიონული ეკონომიკის წინაშე არა მრტო იმედებია, არამედ შესაძლო რისკებიც. ასეთ პირობებში რეფორმები და გარდაქმნები 2000 წელს აზიის ქვეყნების პოლიტიკაში მნიშვნელოვან მიმართულებებად რჩება.

1. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აიქ-ების ეკონომიკამ XX საუკუნის მეორე ნახევარში არნახული ეკონომიკური ზრდა გვიჩვენა. თუმცა 1997 წელს მათ ძალიან სერიოზული ფინანსური კრიზისი განიცადეს, რამაც ისინი აიძულა მოეხდინათ ბევრ საკითხში საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება.

2. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის აიქ-ების ეკონომიკური მოდელების ხანგრძლივმა წარმატებამ მოიტანა რეგიონის ხალხებისათვის ცივილიზაციური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, სახელმწიფოს და ბიზნესის პარტნიორობა, სწორად განლაგებული ეკონომიკური პრიორიტეტები, ორიენტაცია ექსპორტზე განვითარებულ ქვეყნებში და მოზიდული უზარმაზარი უცხოური საინვესტიციო რესურსები.

3. აიქ-ების ეკონომიკა თავისი წინსვლის გზაზე ზედმეტად ორიენტირებული აღმოჩნდა ცალმხრივ ექსპორტზე განვითარებულ ქვეყნებში, მათი საფონდო და უძრავი ქონების ბაზრები „გადახურდა". ამით კი კონკურენტებმა და ფინანსურმა სპეკულანტებმა ისარგებლეს. შედეგად მივიღეთ კრიზისი, რომლიდანაც გამოსვლა მხოლოდ 2000 წელს მოხერხდა.

22.2. ინდოეთის სუბკონტინენტი

ერთხელ უ. ჩერჩილმა განაცხადა; „ინდოეთი — ეს გეოგრაფიული ტერმინია. უწოდო მას ერი — იგივეა, რომ ეკვატორს ერი უწოდო". სინამდვილეში, ინდოეთის სუბკონტინენტი — ტერიტორია, რომელიც დიდხანს იყო ინგლისის კოლონია, ასობით სხვადასხვა ხალხის საერთო სახლია; ომის შემდეგ კოლონიზატორების მიერ გაყოფილ იქნა საკუთრივ ინდოეთად და მუსლიმანურ პაკისტანად. შემდგომში აღმოსავლეთ პაკისტანმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და მას ბანგლადეში ეწოდა. ამ განყოფილებაში ჩვენ შევჩერდებით მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის — ინდოეთის ეკონომიკურ განვითარებაზე.

1. ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები. ინდოეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა *სასარგებლო წიაღისეულის მარაგებით.* იქ არის ნახშირი, რკინა, მანგანუმი, ბოქსიტები, ქარსი, ტიტანი, ქრომიტი, ოქრო, ალმასი, გაზი, ნავთობი, კაუჩუკი.

მრავალათასწლოვანი *ინდური ცივილიზაცია* ძალიან თავისებურია. ინდოელთა მსოფლმხედველობა საოცარია, იდუმალიც კი, ვინაიდან ამ კულტურაში ევროპელებისთვის ჩვეული ზღვარი სიცოცხლესა და სიკვდილს

შორის გადაწეულია. რატომ მოხდა ეს? შესაძლოა, ინდური ცნობიერების მიმართულება ქვეყნის ლანდშაფტით და გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნას (გახსოვთ ამგვარი თეორია?). ერთი მხრივ, ოკეანე და, მეორე მხრივ, ჰიმალაი ქვეყანას უცხოელი დამპყრობელებისგან იცავდა. შესანიშნავი კლიმატი და გულუხვი ბუნება, რომელიც ყველა ადამიანს უზრუნველყოფდა აუცილებლით, ხელს უწყობდა სიმშვიდისა და განმარტოებისკენ სწრაფვას. აქედან განვითარდა საოცარი, როგორც ზღაპარი, რელიგია და უამრავი ფილოსოფიური სისტემა, მიმართული არა გარეთ, არამედ ადამიანის შემეცნების შიგნით.

რეინკარნაციის (სულთა გადასახლების) რწმენამ განსაზღვრა ევროპული ცნობიერებისთვის საოცარი *ინდოელთა არაინდივიდუალობა*. ისინი საკუთარ პიროვნებას ფუძემდებლურ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, ვინაიდან იგი მუდმივი „მე"-ს — ადამიანური სულის — შემცვლელი ტანსაცმელია, რომელსაც ხრწნადი სხეულის სიკვდილის შემდეგ უნარი აქვს სხვა სხეულში გადასახლდეს. ამიტომ ინდოელები მომთმენნი არიან სხვა ადამიანთა მიმართ, მათი აზრის და რწმენისადმი. ისინი არაძალადობრივ ეთიკას ქადაგებენ, ზრუნავენ ბუნებასა და გარესამყაროზე. სიკვდილის შემდეგ ხომ ადამიანის სული თავშესაფარს პოულობს არა მარტო ადამიანთა, არამედ ცხოველთა სხეულებში. ინდუისტური ტრადიცია სიცოცხლის ღრმა პატივისცემას ნერგავს.

ცივილიზაციური რეზერვები პოლიტიკასა და ეკონომიკაზე უზარმაზარ გავლენას ახდენს. ინდოელისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე მოვალეობის აღსრულება: „მოვალეობა — საშუალებაა უმაღლესი სრულყოფილების მისაღწევად". ტრადიციულად, ინდოელები დარწმუნებული არიან, რომ სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ქვეშევრდომთა და თავად ხელმწიფის ზნეობრიობის მაღალი დონე. ამან ჩამოაყალიბა ინდოელი პოლიტიკოსის სრულიად საოცარი სახე — რომანტიკოსისა, რომელიც მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის თავდადებით იღწვის. ამგვარი სახის იდეალური მატარებელია დიდი მ. განდი, რომლის შესახებაც ა. აინშტაინმა თქვა: „მომავალი თაობები ალბათ არ დაიჯერებენ, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც იყო ის, დადიოდა მიწაზე და შექმნილი იყო სისხლისა და ხორცისაგან". თავად მ. განდი ამბობდა, რომ მისი მთავარი სურვილი იყო „ყველას თვალზე ცრემლები შეეშრო".

მ. განდის ტრადიცია გამუდმებულ „ზეწოლას ახდენს" ინდოელ პოლიტიკოსებზე, მის მიმდევრებსა და მემკვიდრეებზე, აძლევს რა მათ პოლიტიკაში ზნეობრივი სისუფთავის უმაღლეს მაგალითს.

თუმცა ესოდენ მაღალი მორალური პრინციპები და ჩაღრმავებული თვითშვრეტა კარგია პოეტებისა და მეცნიერებისათვის და არა ბიზნესმენებისათვის. ინდურმა ცივილიზაციამ მსოფლიოს შესანიშნავი მეცნიერები და პროგრამისტები მისცა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ აძლევს ბიზნესმენებს საკმარის მოტივაციას მკაცრი და ხშირად უზნეო კონკურენტულ ბრძოლაში.

2. ქვეყნის მოსახლეობა. 2000 წლის დამდეგისათვის ინდოეთის მოსახლეობამ *მილიარდიან ზღვარს გადააბიჯა.* ბოლო ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 600 მლნ ადამიანით გაიზარდა, რამაც მთელ ევროპაში მოსახლეობის ნამატის 4/5 შეადგინა იმავე დროის განმავლობაში. თუკი ოჯახები 2-3 ბავშვით დროთა განმავლობაში ნორმა გახდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, კორეა, ტაილანდი და შრი-ლანკა, ინდონეთში ეს მაჩვენებელი 3-4 ბავშვს შეადგენს. შობადობაზე კონტროლის ინდური პროგრამის ჩავარდნის ძირითად მიზეზად სპეციალისტები მოსახლეობის წიგნიერების დაბალ დონეს (სულ დაახლოებით 50%) მიიჩნევენ. ამასთან, ეს მაჩვენებელი ქალთა მოსახლეობის მოზარდ ნაწილს შორის მხოლოდ 30%-ის ტოლია, მაშინ როცა სხვა აზიურ ქვეყნებში ეს ციფრი 70%-მდე აღწევს. გაეროს მიერ მიღებული წიგნიერების ინდექსის მიხედვით, ინდოეთს მსოფლიოში 138-ე ადგილი უკავია. ოჯახის ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკვლევები ცხადად გვიჩვენებს, რომ ოჯახში, სადაც ქალმა საშუალო ან უმაღლესი განათლება მიიღო, როგორც წესი, 2-3 ბავშვით ნაკლებია, ვიდრე ოჯახებში, სადაც ცოლი უწიგნურია, ამასთან ბავშვთა სიკვდილიანობის დონე ამ უკანასკნელებში 3-ჯერ მაღალია. შობადობის კონტროლის პროგრამის საფუძვლად მიღებულ იქნა შვილოსნობის ასაკის მქონე ქალთა სტერილიზაცია, ქალთა მოსახლეობის მეოთხედს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე, რამაც მთლიანობაში პროგრამის ჩავარდნა განაპირობა. უახლოეს პერიოდში ქმედითი ზომების მიუღებლობა, შობადობაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებით, მიგვიყვანს იქამდე, რომ 2040 წელს ქვეყნის მოსახლეობა 1,6 მლრდ ადამიანს მიაღწევს. ინდოეთი ამ მაჩვენებლების მიხედვით გაუსწრებს ჩინეთს და იქცევა ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ სახელმწიფოდ დედამიწაზე.

3. სახელმწიფო მოწყობა. ინდოეთი ფედერალური რესპუბლიკაა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის შემადგენლობაში. წარსულში, 200 წლის განმავლობაში, ინდოეთი დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. 1947 წლის 15 აგვისტოს ქვეყანაში დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხოლო

1950 წელს ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია მიიღეს. რესპუბლიკის შემადგენლობაში 25 შტატია. თითოეული მათგანის სათავეში პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორი დგას. თითოეულ შტატს თავისი საკანონმდებლო კრება და მთავრობა ჰყავს. სახელმწიფოს მეთაური — ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კ. ნარაიანანია, რომელიც 1997 წელს აირჩიეს. პრეზიდენტის არჩევა ხელახლა მრავალჯერ შეიძლება და იგი უფლებამოსილია დაითხოვოს შტატების საკანონმდებლო კრებები, გადააყენოს შტატების მთავრობები და ა. შ., შემოიღოს საპრეზიდენტო მმართველობა. *საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და პარლამენტს, რომელიც ორი პალატისგან შედგება:* შტატების საბჭოსაგან (250 წევრი) და სახალხო პალატისაგან (545 დეპუტატი). მთავრობა ყალიბდება საპარლამენტო უმრავლესობით და პასუხისმგებელია სახალხო პალატის წინაშე.

4. ინდოეთის ეკონომიკა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რიგი მაჩვენებლების მიხედვით ინდოეთი მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შედის. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ქვეყანამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ ეკონომიკური განვითარების გზაზე. შეიქმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა და დაგროვდა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომელიც უმეტესად მოწინავე მსოფლიო დონეს პასუხობს.

ქვეყნის მშპ-მა 593,7 მლრდ დოლარს მიაღწია, *ერთ სულ მოსახლეზე კი 540 დოლარი მოდის.* მშპ-ის ნამატმა 1999 წელს 6,1% შეადგინა, ხოლო ინფლაციამ — 8%. *ინდოეთი აგრარულ-სამრეწველო ქვეყანაა.* სოფლის მეურნეობა მშპ-ის 31%-ს იძლევა, მრეწველობა — 27%-ს, მომსახურება და საზოგადოებრივი სექტორი მშპ-ის 41%-ს აწარმოებს. საგარეო ვალი 94,4 მლრდ დოლარია (მოკლევადიანი — 5 მლრდ დოლ. ჩათვლით), უცხოური ინვესტიციების მოზღვავებამ ფინანსურ 1999 წელს 5,5 მლრდ დოლარი შეადგინა, მათ შორის პირდაპირმა — 3,5 მლრდ დოლარი. ოქრო და სავალუტო რეზერვები 30 მლრდ დოლარია (1999 წლისათვის), რაც 9 თვის განმავლობაში ქვეყნის იმპორტის ღირებულების ეკვივალენტია.

ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი — 76% — სოფლებში ცხოვრობს, წიგნიერება — 52%-ია, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 62 წელი. საშუალო კლასი, ინდური გაგებით, დაახლოებით 300 მლნ კაცს შეადგენს.

მსოფლიოში ჩაის, ხილის, რძის და შაქრის წარმოებით ქვეყანას პირველი ადგილი უკავია, მეორე — ხორბლის, ბრინჯის, ბოსტნეულის და თამ-

ბაქოს მოსავლით, ასევე — სამეცნიერო-ტექნიკური კადრების რაოდენობით, რომლებიც 3700 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საკონსტრუქტორო ბიუროსა და ლაბორატორიაში მუშაობენ. ინდოეთში შეიქმნა სუპერკომპიუტერი „პარამ-1000“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია. ქვეყანა სამოქალაქო და სამხედრო რაკეტამატარებლების ფართო სპექტრს აწარმოებს, მთავრდება მსოფლიოში სიმძლავრის მიხედვით მეოთხე მატარებლის შემუშავება.

ძირითადი სახის პროდუქციის წარმოება: ნავთობი — 33 მლნ ტ (ამასთან, 35 მლნ ტ-ის იმპორტირება ხდება), ფოლადი — 22,7 მლნ ტ., ნახშირი — 308 მლნ ტ., რკინის მადანი — 60 მლნ ტ., ალუმინი — 518 ათასი ტ., სპილენძი — 45,3 ათასი ტ., ცემენტი — 83 მლნ ტ., რკინიგზის ვაგონები — 19 ათასი ცალი, სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორები — 203 ათასი ცალი, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები — 217 და 404,6 ათასი ცალი, ბამბის ქსოვილები — 21 მლრდ მ., ჩაი — 838 ათასი ტ. (ექსპორტირებულია — 178 ათასი ტ.), ყავა — 228 ათასი ტ., მარცვლეული — 193 მლნ ტ. (მათ შორის, ბრინჯი — 82 მლნ ტ. და ხორბალი — 66 მლნ ტ.), რძე — 73 მლნ ტ., ხილი — 42 მლნ ტ., შაქარი — 15 მლნ ტ., ხახვი — 6 მლნ ტ.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 86 მლრდ დოლარია, ექსპორტი და იმპორტი — შესაბამისად, 35 და 51 მლრდ დოლ. ძვირფასი ქვები და საიუველირო ნაწარმი, მანქანები და მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ნედლეული, სასურსათო და საფეიქრო საქონელი, ლითონნაკეთობანი ინდური ექსპორტის საფუძველს წარმოადგენს. იმპორტის წამყვანი მუხლები კი — ნავთობი (7,5 მლრდ დოლ.) და ნავთობპროდუქტები, ოქრო (7 მლრდ დოლ.), მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, შავი და ფერადი ლითონები, ელექტრონიკა, სასუქი. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: აშშ, იაპონია, გფრ, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთი კორეა, საფრანგეთი და რუსეთი (1999 წელს ტვირთბრუნვა 1,4 მლრდ დოლარად იყო შეფასებული). 1999 წლის აგვისტოდან ინდური ექსპორტის ზრდა ორნიშნა ციფრით აღინიშნებოდა. 2000 წლისათვის ვაჭრობის სამინისტრო ექსპორტის ზრდას 11,3%-ით ვარაუდობდა.

ინდოეთი სოციალისტური გზით დიდხანს ვითარდებოდა. ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ძალიან ძლიერი იყო. ტარდებოდა ქვეყნის საგარეოეკონომიკური კავშირებისგან დამოუკიდებლობის კურსი, ავტარქია. ექსპორტი, იმპორტი და ვაჭრობა იზღუდებოდა მაღალი ტარიფებით, ასევე კვოტებით და სხვა არასატარიფო ბარიერებით.

90-იანი წლების *ინდოელი რეფორმატორი* ნ. რაო გახდა. იგი ინდოეთს 1991 წელს, რაჯივ განდის მკვლელობის შემდეგ, ჩაუდგა სათავეში. ქვეყანაში რეფორმები დაიწყო — მიმდინარეობდა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რომელიც მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინდოეთის ინტეგრაციისკენ იყო მიმართული. კერძო კაპიტალისთვის გაიხსნა დარგები, რომლებიც ადრე სახელმწიფო სექტორის მიერ იყო დარეზერვებული. იმპორტული საქონლისთვის თანდათანობით საბაჟო ბარიერები მცირდებოდა. ინდოეთმა 2003 წლამდე სრული უარი გამოაცხადა იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვაზე, რაც WTO-ში მისი ვალდებულებებით იყო განპირობებული. უახლოეს წლებში მიზნად ისახავენ ეროვნული ვალუტის სრული კონვერტირებადობის მიღწევას.

ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში, მთავრობის მნიშვნელოვანი ინიციატივებით მოხდა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება დიდი ენერგეტიკული პროექტების რეალიზაციის საკითხში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კერძო კაპიტალის მოზიდვით ხუთი უმნიშვნელოვანესი აეროპორტის მოდერნიზაციის შესახებ და გეგმა — საავტომობილო გზების ქსელის განვითარებაზე, რომელიც ე. წ. „ოქროს ოთხკუთხედის" აგებას ითვალისწინებს; მან თანამედროვე ავტომაგისტრალებით ქვეყნის ოთხი ძირითადი მეგაპოლისი — დელი, ბომბეი, მადრასი და კალკუტა — უნდა დააკავშიროს.

1998 წლიდან 340 ჯგუფის საიმპორტო საქონელზე მოიხსნა შეზღუდვები. წარმოების საშუალებების ნომენკლატურა გაფართოვდა, რადგან ისინი ბაჟის გადახდისგან გათავისუფლდა; „საგადასახადო არდადეგების" პერიოდი 10 წლამდე გაიზარდა იმ ზონებისათვის, რომლებიც ექსპორტზე იყო ორიენტირებული. აშშ-სა და ინდოეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ინდოეთმა უნდა გახსნას თავისი შიდა ბაზარი ამერიკული პროდუქციის ექსპორტისათვის. ხელშეკრულების თანახმად, ინდოეთი ვალდებულია 1400 მოქმედი შეზღუდვა მოხსნას ქვეყანაში კონკრეტული საქონლის შემოტანაზე. მათგან ნახევარი უნდა გაუქმდეს უახლოესი სამი თვის განმავლობაში, დანარჩენი — 2001 წელს.

ინდოეთის ეკონომიკაში უცხოური კომპანიების მიერ *ინვესტირების პროცედურის ლიბერალიზება* მნიშვნელოვნად მოხერხდა. კერძოდ, ინვესტიციები 15 მლრდ რუპიას ოდენობით ენერგეტიკულ პროექტებში, გზების, გვირაბების, პორტების, ხიდების მშენებლობა მთავრობის მიერ ავტომატურადაა მოწონებული. ქვეყნის ეკონომიკაში დამატებითი საშუალებების მოსაზიდად ინდოეთის მთავრობამ გასულ წელს პრივილეგიათა რაოდენობა გააფართოვა, რაც ინდოელ-არარეზიდენტებს ენიჭებოდათ ქვეყ-

ნის ეკონომიკაში ინვესტირებისას. საგადასახადო დაბეგვრის და საბაჟო მოსაკრებლების სფეროში მთავრობამ მნიშვნელოვნად გაადიდა პროექტების კატეგორია, რომლებიც შეღავათიან საგადასახადო დაბეგვრას ექვემდებარებოდა, ხოლო რიგ ტექნიკურ ნაკეთობებზე იმპორტული ბაჟი შეამცირა. იმავდროულად მან გაზარდა ბაჟი ზოგიერთი სახის საქონელზე, რომელსაც ინდოეთში აწარმოებდნენ.

ეკონომიკის გასაჯანსაღებლად მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა შედეგი გამოიღო. *სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ფინანსური კრიზისის ფონზეც კი ინდოეთმა შეძლო არა მარტო შენარჩუნება, არამედ ზოგიერთი პოზიციის მიხედვით ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესებაც.* 1999 წელს მშპ-ის ზრდამ დაახლოებით 5,8% შეადგინა წინა წლის 4,5%-თან შედარებით.

ინდოეთში ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სახელმწიფო წილის თანდათანობითი შემცირება მრეწველობის რიგ დარგებში სახელმწიფო საწარმოთა *სრული ან ნაწილობრივი პრივატიზაციის გზით*, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად და ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური საშუალებების მისაღებად. ნავარაუდებია, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს წილი სახელმწიფო საწარმოთა ბალანსში თანდათანობით 23%-მდე შემცირდეს. ამასთან სახელმწიფო წილის კლება იმ საწარმოთა ბალანსში, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, გათვალისწინებული არაა. სახელმწიფო სექტორის საწარმოებს წამყვანი პოზიციები უკავია ეკონომიკის ისეთ საკვანძო დარგებში, როგორიცაა თავდაცვითი მრეწველობა, ენერგეტიკა, ნავთობ-გაზმოპოვება და გადამუშავება, ნახშირის და სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, სარკინიგზო, საზღვაო და ავიატრანსპორტი, კავშირგაბმულობა და მეტალურგია. მსუბუქ, კვების და სამედიცინო მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მანქანათმშენებლობის რიგ დარგებში, მშენებლობასა და მომსახურების სფეროში კერძო სექტორის საწარმოები უპირატეს როლს ასრულებენ. *კერძო სექტორის საწარმოთა წვლილი მშპ-ის საერთო მოცულობაში დაახლოებით 75%-ია* მცირე ბიზნესის საწარმოთა სულ უფრო მზარდ მნიშვნელობასთან ერთად. რეფორმების კურსის გამოცხადებიდან დაწყებული, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის ამ სექტორის საწარმოთა რიცხვი 2,1 მლნ-დან 3 მლნ-მდე გაიზარდა. ამასთან, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 2,6-ჯერ, რითაც მშპ-ის 33%-ს მიაღწია. ეკონომიკის მცირე ბიზნესის საწარმოთა პროდუქციის ექსპორტის მოცულობამ მთელი ინდური ექსპორტის 35% შეადგინა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გათვალისწინებით ინდოეთის მთავრობამ გამოყო ეკონომიკის რიგი დარგები, რომელთა განვითარებასაც *პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.* მათ მიეკუთვნება ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება, ცემენტის და სასუქის წარმოება, ხიდების და გზების მშენებლობა, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარება, ტელესაკომუნიკაციო ქსელის განვითარება. ამ დარგების განვითარების პრიორიტეტულობის დასტურია ის ფაქტი, რომ რეფორმების კურსის გამოცხადებისთანავე, 1991 წლის სექტემბრიდან 1999 წლის ჩათვლით, ამ დარგებში, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან იქნა მოწონებული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა ამ წლების განმავლობაში მიღებული ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 57,9% შეადგინა.

მოგვყავს *ძირითადი რეფორმების* ჩამონათვალი, რომელიც *მთავრობამ ბოლო ათ წელიწადში განახორციელა:*

1) სამრეწველო ლიცენზირების გაუქმება ზოგიერთი დარგის გარდა;

2) კერძო საწარმოთათვის ეკონომიკის რიგი დარგების გახსნა, რომლებშიც ადრე მხოლოდ სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობა დაიშვებოდა;

3) ვაჭრობის ლიბერალიზაცია საქონლის უმნიშვნელო ჩამონათვალის შენარჩუნებით, რომლებიც ექსპორტის ან იმპორტისათვის აკრძალულია;

4) მაქსიმალური ტარიფების შემცირება 300-დან 50%-მდე და ბაჟის — წარმოების საშუალებების იმპორტზე 85-დან 25%-მდე;

5) აქციზების განაკვეთის შემცირება 105-დან 50%-მდე;

6) ფიზიკურ პირთაგან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირება 54-დან 40%-მდე და დამატებული გადასახადის გაუქმება;

7) იურიდიულ პირთა მოგებაზე გადასახადის განაკვეთების შემცირება 50-დან 40%-მდე;

8) მიმდინარე ოპერაციებზე სრული კონვერტირებადობის მქონე რუპიას შემოტანა;

9) სააქციო კაპიტალში 51%-მდე ოდენობით უცხოური მონაწილეობის ავტომატური მოწონება მრეწველობის 36 მაღალპრიორიტეტული დარგის საწარმოებში და უცხოური კაპიტალის 100%-იანი მონაწილეობის ნებართვა ინფრასტრუქტურის რიგ დარგებში, კერძოდ ენერგეტიკაში;

10) საბჭოს შექმნა უცხოური ინვესტიციების დასახმარებლად, 51%-ზე მეტი უცხოური მონაწილეობით ან მრეწველობის 36 მაღალპრიორიტეტული დარგის ფარგლებს გარეთ მყოფთა საინვესტიციო პროექტების მხარდასაჭერად;

11) მსხვილ საწარმოთა გაფართოებასა და მოდერნიზაციაზე შეზღუდვების მოხსნა;

12) სავალუტო რეგულირების შესახებ კანონის შემზღუდველი დებულებების მნიშვნელოვანი შერბილება;

13) საბჭოს უფლებამოსილებათა გაფართოება ბირჟებსა და ფასიან ქაღალდებზე;

14) კაპიტალთა საერთაშორისო ბაზრებზე ინდური კომპანიებისათვის შეღწევის შესაძლებლობის მიცემა ევროობლიგაციათა გამოშვების გზით;

15) საფონდო ბაზრის გახსნა უცხოელი ინსტიტუციონალური ინვესტორებისათვის;

16) საბანკო სექტორის და საინვესტიციო ფონდების გახსნა კერძო კაპიტალის შესაღწევად;

17) მთავრობის აქციათა პაკეტების პრივატიზაცია სახელმწიფო ბანკებში;

18) 200 ათას რუპიაზე მეტი თანხის კრედიტებზე და დეპოზიტებზე რეგულირებადი საპროცენტო განაკვეთების გაუქმება.

მთლიანობაში ინდოეთის შესახებ:

1. ინდოეთის ბუნებრივი და ცივილიზაციური პოტენციალი ძალიან დიდია, მაგრამ ინდური მენტალიტეტი ცუდად ესადაგება თანამედროვე ბიზნესს. ინდოეთი, რესურსების მიხედვით, ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანად რჩება ძალიან ღარიბი მოსახლეობით.

2. სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით 40-წლიანი განვითარების შემდეგ ინდოეთმა დაიწყო საკმაოდ წარმატებული ლიბერალური რეფორმები. მიმდინარეობს საგარეო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ტარდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია. ბოლო წლებში შეიმჩნევა მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

22.3. ლათინურამერიკული ქვეყნების ეკონომიკა

1. დაჯგუფება და განვითარების დამახასიათებელი ნიშნები. ლათინური ამერიკა სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის გიგანტურ ტერიტორიებზე მდებარეობს. მას ლათინური უწოდეს იმიტომ, რომ მოსახლეობა ძირითადად პორტუგალიურ (ბრაზილია) და ესპანურ (სხვა დანარჩენი ქვეყნები) ენებზე ლაპარაკობს. ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა ესპანეთის და პორტუგალიის (ბრაზილია)

კოლონიები იყო. თუმცა ძირითადი ლათინოამერიკული ერები და სახელმწიფოები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა, ძველი მეტროპოლიების გავლენა მათ კულტურასა და ეკონომიკაზე შენარჩუნებულია და ძლიერდება კიდევაც. იბერიის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყანა-მეზობლები — ესპანეთი და პორტუგალია — ენით და მენტალიტეტით ძალიან ახლოსაა. ამიტომ *ყველა ლათინოამერიკული ერი იბერიული კულტურის ერთობით და იქ არსებული კათოლიკური რელიგიის უცილობელი ავტორიტეტითაა გაერთიანებული.*

კონტინენტი, გეოგრაფიის და ეკოლოგიის თვალსაზრისითაც შეიძლება პირობითად დაიყოს ნაწილებად. ლათინური ამერიკის მთიანი „ზურგის ქედი" გადაჭიმულია მექსიკიდან ბოლივიამდე და პარაგვაიმდე. სწორედ იქ ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები, რომლებიც კონკისტადორებმა დაიპყრეს და ისინი სწორედ ის ქვეყნებია, რომლებშიც სოციალური კულტურა დაფუძნებულია მოსახლეობის ეთნიკურ დაყოფაზე სამ ჯგუფად: ინდიელები, მეტისები და კრეოლები. ამ ადგილებში გაიმარჯვეს ევროპელებმა და წარმოების ის ფორმა მოაწყვეს, რომელიც დღემდე არსებობს. მეორე რეგიონია კარიბულ-ატლანტიკური სანაპირო ზონა, რომელიც მექსიკიდან სამხრეთითაა გადაჭიმული ჩრდილოეთ ბრაზილიამდე. იმ ადგილებში (აგრეთვე პერუს სანაპირო დაბლობებსა და მექსიკის ცხელ რაიონებში) ევროპელებმა დააარსეს ტროპიკული და ნახევრად ტროპიკული მიწათმოქმედების ინტენსიური სისტემა, რომელიც აფრიკიდან წამოყვანილი მონების შრომას ემყარებოდა. იქვე აფრიკელებმა, მულატებმა და თეთრებმა ერთდროულად ჩამოაყალიბეს ეთნიკური ნარევიც და სოციალური სხვადასხვაობანი. ქვეყნის მესამე რეგიონი ლათინოამერიკული „კონუსის" სამხრეთით მდებარეობს. ამ ადგილებში ცხოვრობდნენ მცირერიცხოვანი ინდიელები, რომლებიც სწრაფად გაანადგურეს, ასე რომ, ეს ქვეყნები, საერთოდ და მთლიანად, თავშესაფარი გახდა თეთრი იმიგრანტებისათვის, რომლებიც თითქმის XX საუკუნის დამდეგამდე ძირითადად იბერიის ნახევარკუნძულიდან იყვნენ გადმოსახლებული. ამ რეგიონში შედარებით ზომიერად განვითარებული მიწათმოქმედება წარმოების ძირითადი ფორმა იყო.

ლათინოამერიკული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ბუნებრივი რესურსების და მიწის სიჭარბე შრომისა და კაპიტალის მიმართ. სამხრეთაღმოსავლეთი აზიის აიქ-ებისგან ისინი სწორედ ამით განსხვავდებიან. ლათინური ამერიკის უმეტესი ქვეყანა სასარგებლო წიაღისეულით ძალიან მდიდარია. იქ არის რკინის მადნები, სპილენძი, ტყვია, კალა, თუთია, ურანი, ბოქსიტები, ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ოქრო, ალმასი და ა.

შ. ამიტომ ამ ქვეყნების ეკონომიკათა თავდაპირველი ორიენტაცია სასარგებლო წიაღისეულის და ენერგომატარებლების ექსპორტი იყო. მაგალითად, არცთუ შორეულ წარსულში ჩილეს და ვენესუელას ექსპორტის 80%-მდე სპილენძი და ნავთობი იყო. მათი ეკონომიკების ასეთი მიმართულება, თუმცა ნაკლები ხარისხით, შენარჩუნებულია დღემდე. მაგალითად, 2000 წელს სპილენძი ექსპორტში 40%-ს შეადგენდა.

ლათინური ამერიკა შესანიშნავი მიწების უზარმაზარი მარაგსა და სრულიად ფენომენალურ ეკოლოგიურ რესურსებს ფლობს. ამაზონის ტყეები მთელი კაცობრიობისათვის უზარმაზარი ფასეულობაა, ისინი ძირითადად ბრაზილიის ტერიტორიაზეა და დედამიწის ატმოსფეროსთვის ჟანგბადის დიდ ნაწილს იძლევა. სხვათა შორის, თუკი შევაფასებთ არა მთელ ტერიტორიას, არამედ მხოლოდ მის ეფექტიან ნაწილს, გამოვრიცხავთ რა იმ ექსტრემალურ სივრცეებს, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოსადეგი არაა, მაშინ ბრაზილია მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვა. ტერიტორიათა ეფექტიანობის თვალსაზრისით, პირველი ათი ქვეყნის სია ამგვარი სახით იქნება: ბრაზილია (8,05 მლნ კვ. კმ.), აშშ (8,00), ავსტრალია (7,68), ჩინეთი (5,95), რუსეთი (5,51), კანადა (3,64), ინდოეთი (2,90), ყაზახეთი (2,62), სუდანი (2,49), არგენტინა (2,45). როგორც ვხედავთ, სიაში ორი ლათინოამერიკული ქვეყანაა, რუსეთი კი ზეგიგანტად აღარ გამოიყურება და, ეფექტიანი ტერიტორიების მიხედვით, მოკრძალებული მეხუთე ადგილი უკავია. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ ფაქტს შემდგომ თავში, რომელიც რუსეთს ეძღვნება.

ლათინური ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სარესურსო ბაზებში სხვაობამ განვითარების სხვადასხვა გზის არჩევანი განაპირობა. საერთოდ, როდესაც არსებობს აშკარა სიმდიდრე, მასზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესების სურვილი ჩნდება. ეს თანაბარწილად ეხება როგორც ლათინოამერიკულ ქვეყნებს, ისე რუსეთს.

რეგიონის უმრავლეს ქვეყანაში 1930 წლიდან 1980 წლის ბოლომდე ხელისუფლებათა სათავეში სამხედრო ხუნტები იყო (ხუნტა — ეს სალანძღავი სიტყვა არ არის, როგორც უკვე მივეჩვიეთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „კომიტეტი"). საერთოდ, მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდების მიმართ მიდრეკილი სამხედროები ქვეყანაში სახელმწიფო „დირიჟორის" და პროტექციონიზმის პოლიტიკას ატარებდნენ. ამ პერიოდში უმეტესი ქვეყნებისათვის იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის მოდელი დამახასიათებელი იყო. მის ჩარჩოებში ძირითადი ყურადღება ექცეოდა წარმოების ზრდას მძიმე მრეწველობაში, იზრდებოდა ნედლეულის ექსპორტი, ხორციელდებოდა სამამულო მწარმოებლების მკაცრი პროტექციონისტუ-

ლი დაცვა. ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი მოდელი არაეფექტიანი იყო — 50-70-იან წლებში მშპ-ის ზრდამ წელიწადში საშუალოდ 5-6% შეადგინა. თუმცა ინვესტირება უმეტესად საგარეო ვალის ზრდის ხარჯზე მიმდინარეობდა, ის კი 1975 წლიდან 1982 წლის ჩათვლით 4-ჯერ გაიზარდა და 176 მლრდ დოლარს მიაღწია. ელვის სისწრაფით გლობალიზაციისკენ მიმავალ მსოფლიოში „დახურული" ეკონომიკური მოდელები მუშაობას წყვეტს. მათ თავისუფლად გადაადგილებული კაპიტალი ანგრევს. ლათინოამერიკული ქვეყნები სწორედ კაპიტალის გაქცევის გამო გახდა იძულებული გადასულიყო ლიბერალურ რეფორმებზე.

ამ მიმართულებით ჩატარდა ცნობილი ჩილეს ეკონომიკური ექსპერიმენტი „სისხლიანი დიქტატორის", ლიბერალურად განწყობილი გენერალის ა. პინოჩეტის ხელმძღვანელობით. მ. ტეტჩერის და რ. რეიგანის „დიდი ნეოკონსერვატიული რევოლუციის" დასაწყისი სწორედ ეს ექსპერიმენტი გახდა. პინოჩეტის მიერ მიზიდულმა ჩიკაგოს ასპირანტურის ჩილელმა კურსდამთავრებულებმა („ჩიკაგოელმა ბიჭებმა") ლიბერალური ზომების მთელი სტანდარტული ნაკრები მტკიცედ პირველად გამოიყენეს.

რეფორმების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპებით ჩილე (წელიწადში მშპ-ის ნამატის დაახლოებით 7%) სწრაფად გადაიქცა რეგიონულ ლიდერად. ქვეყნის საგარეო ვალი 1985 წელს მშპ-ის 132%-დან 1995 წელს 32%-მდე შემცირდა. ინფლაციის დონე რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გახდა (დაახლოებით 8% წელიწადში). ბევრი სხვა ლათინოამერიკული ქვეყანა დაადგა ჩილეს გზას და კონტინენტზე „კრეოლური ლიბერალიზმის" თავისებური ეკონომიკური მოდელი წარმოიშვა.

ლათინოამერიკული ქვეყნების წარმატებები საკმაოდ სხვადასხვაგვარია. რეგიონში გამოიყო საკმაოდ განვითარებული ქვეყნების ჯგუფი, რომელთაც ლათინური ამერიკის ახალინდუსტრიულ ქვეყნებს უწოდებენ. აიქების ჯგუფს მიაკუთვნებენ არგენტინას, ბრაზილიას, მექსიკას და ჩილეს. როგორც ცხრილიდან 22.2 ჩანს, სხვა ქვეყნები ჯერჯერობით ჩამორჩებიან.

სამ სამხრეთ ამერიკულ გიგანტზე — ბრაზილიაზე, მექსიკაზე და არგენტინაზე — რეგიონული მშპ-ის 2/3 მოდის, ამასთან მარტო ბრაზილიაზე — 31%.

2. ეკონომიკური მოდელი და ეკონომიკის მდგომარეობა. ლათინოამერიკული მოდელის ძირითადი ნიშნები შემდეგში მდგომარეობს:

1. *ინვესტიციებისთვის* უმრავლესი ქვეყნის *ეკონომიკა გახდა ღია.* ამან იაფი შრომის რეალიზების შესაძლებლობა მისცა. მაგალითად, მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმართულ იქნა ბრაზილიასა და მექსიკაში, სადაც სამუშაო ძალა 3-ჯერ იაფია, ვიდრე სამხრეთ

ცხრილი 22.2.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები 1999 წლისათვის

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	მშპ, მლრდ დოლ.	მშპ 1 სულ მოსახ., ათასი დოლ.	მშპ-ის ზრდა, %	ინფლაცია, %
არგენტინა	37,0	326,2	8810	2,9	4,5
ბრაზილია	163,8	535,8	3280	2,7	8,7
მექსიკა	98,4	496,5	5040	3,9	12,9
ჩილე	15,3	75,6	4950	4,9	3,6
კოლუმბია	42,3	75,9	1795	2,0	8,7
ვენესუელა	24,1	106,4	4410	4,6	24,6

კორეაში. შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კონტინენტის ძირითად კაპიტალში ყველა კაპიტალდაბანდების დაახლოებით 13%-ს უზრუნველყოფს.

2. ლათინოამერიკული ქვეყნების *საგარეოეკონომიკური მოდელი* ბევრად უფრო გახსნილი გახდა, რის შედეგადაც ლათინური ამერიკის წილი მსოფლიო ექსპორტში 90-იან წლებში წელიწადში საშუალოდ 5%-ით იზრდებოდა, ხოლო თავად ექსპორტი — 9%-ით, რაც მშპ-ის ზრდის ტემპებს მნიშვნელოვნად უსწრებდა. საყურადღებოა, რომ ექსპორტში მანქანების და მოწყობილობების წილი მუდმივად იზრდებოდა, ხოლო ნედლეულის წილი მცირდებოდა. ექსპორტის 70% განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, ამასთან 50% — აშშ-ზე.

3. კონტინენტზე, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო სექტორი აქვს, 90-იან წლებში *პრივატიზაციის* ტალღამ გადაიარა. მან ჩილე სწრაფად გაიარა, 90-იანი წლების ბოლოს პრაქტიკულად მექსიკაში დასრულდა და ახლა ბრაზილიაში დასრულებასთან ახლოსაა.

4. „ბრეიდის გეგმის" შესაბამისად, მრავალი ლათინოამერიკული ქვეყნის საგარეო ვალი რესტრუქტურიზებულ იქნა. ამის შედეგად, იგი საშუალოდ 55%-ზე მეტად შემცირდა.

5. ლათინოამერიკული ქვეყნებისათვის *სახელმწიფო ბიუჯეტის შედარებით მცირე დეფიციტი* (მშპ-ის დაახლოებით 2%) და ზომიერი ინფლა-

ციაა დამახასიათებელი — 10%-მდე, რომელიც საუკუნის ბოლოს კონტინენტის წამყვან ქვეყნებში მცირდება, სადაც დიდხანს იტანჯებოდნენ უზომო ინფლაციისგან.

6. ლათინოამერიკული ქვეყნებისათვის *თავდაცვაზე დანახარჯების დაბალი დონეა* დამახასიათებელი, რაც საშუალოდ 1-2%-ს შეადგენს. ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში.

7. ლათინურ ამერიკაში *ინტეგრაციული პროცესები* ძალას იკრებს. მექსიკა NAFTA-ს წევრია (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა), ხოლო ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი და პარაგვაი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზრად გაერთიანდა — MERCOSUR. ჩილე მისი ასოცირებული წევრია.

ლათინური ამერიკის *ქვეყნების საერთო მშპ* დაახლოებით 1,8 ტრლნ დოლარია. ამ ქვეყნების უმეტესობა სამრეწველო-აგრარული ან აგრარულ-სამრეწველოა. სოფლის მეურნეობა ჩილეს, მექსიკის და ბრაზილიის მშპ-ის 10%-ს იძლევა, ხოლო არგენტინაში — 15%-ს. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია — ხორბალი, სიმინდი, ყავა, ბამბა და შაქრის ლერწამი. ჩილეში განვითარებულია მეთევზეობა, ხოლო ბრაზილიაში — სატყეო მეურნეობა..

ლათინოამერიკულ აიქ-ებში *მრეწველობა* მშპ-ის დაახლოებით 35%-ს იძლევა. განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ავტომშენებლობა (არგენტინა და ბრაზილია), ელექტრონიკა (მექსიკა), საფეიქრო და კვების მრეწველობა. ბრაზილია საკუთარ აეროკოსმოსურ მრეწველობას ავითარებს. მთლიანად მრეწველობაში ტექნოლოგიური დონე დაბალია. მეცნიერებატევად წარმოებას ჯერჯერობით მცირე ხვედრითი წონა აქვს.

მომსახურების სფეროში ყველაზე მეტად ტურიზმი განვითარდა. გარდა ამისა, მექსიკასა და ბრაზილიაში ფინანსური მომსახურება ვითარდება. მეხიკოსა და სან-პაულოს ბირჟები რეგიონში წამყვანია.

3. განვითარების ტენდენციები. ლათინური ამერიკის ქვეყნებს პრაქტიკულად ყველაფერი აქვთ წარმატებული განვითარებისთვის. მათ აქვთ შესანიშნავი ბუნებრივი რესურსები, ხოლო მათი ეკონომიკური მოდელები და ინსტიტუტები მეგაეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება. თუმცა ცივილიზაციური რესურსები, რომელთაც საფუძვლად უდევს ორთოდოქსული კათოლიციზმი, საკმარის სტიმულს არ იძლევა სამეწარმეო საქმიანობისთვის. გასული წლის შედეგების მიხედვით, ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარება თითქმის ნულოვან ნიშნულზე აღმოჩნდა — 0,3%. რეგიონის ქვეყნებში უძრაობას

გარედან კაპიტალის მოზღვავების თავისუფალი ვარდნა ახლდა. ლათინურ ამერიკაში კვლავ ჭარბობს სოციალური უთანაბრობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შემზარავია და კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური ზრდისთვის ძირითადი დაბრკოლებაა. მაგალითად, ეკვადორსა და ვენესუელაში 1999 წელს მშპ 7%-ზე მეტად შემცირდა, ხოლო ჩილეში — 1%-ით. მსოფლიო ბანკის ექსპერტები ლათინური ამერიკის მთავრობებს დაჟინებით ურჩევენ გაატარონ ე. წ. სოციალური პასუხისმგებლობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის გარეშეც ამ ძალიან პერსპექტიულ რეგიონს გაუჭირდება სტაბილურობის და ეკონომიკური აყვავების მიღწევა. თუმცა განვლილი კრიზისების გაკვეთილებს თუ გაითვალისწინებენ, ექსპერტების აზრით, რეგიონი 2001 წელს ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწევს, თუნდაც 3-4%-ის ფარგლებში. ამასთან, წამყვანი სპეციალისტების აზრით, მთავარი ამოცანა — სიღარიბის დონის შემცირებაა, რომლის ზღვარს ქვემოთაც დღეს მთელ ლათინოამერიკელთა დაახლოებით 40% იმყოფება.

ამჟამად ეკონომიკური განვითარების შემდეგი ტენდენციები იკვეთება:

1. *რეგიონული ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება.* ხუთი სახელმწიფოს — ანდის თანამეგობრობის წევრთა (ყოფილი ანდის ჯგუფი) — ბოლივიის, პერუს, ეკვადორის, კოლუმბიის და ვენესუელას პრეზიდენტთა შეხვედრაზე, რომელიც 2000 წელს ქ. ლიმაში შედგა, პირველი ნაბიჯი გადაიდგა ანდის საერთო ბაზრის შექმნის გზაზე, რაც ჩაფიქრებული იყო რეგიონული ლიდერების მიერ EU-ის მოდელის მიხედვით. ანდის თანამეგობრობის (AISA) სამიტის დამთავრებისთანავე პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელსაც „ლიმის აქტი" ეწოდა. ეს დოკუმენტი მოწოდებულია მისცეს იმპულსი საერთოეკონომიკური სივრცის შექმნას ანდის ქვეყნების ტერიტორიებზე. დოკუმენტით ნავარაუდებია ერთიანი საბაჟო სისტემის შექმნა, მომსახურების ლიბერალიზაცია, კაპიტალის თავისუფალი მიმოქცევისათვის დაბრკოლებათა მოხსნა, თითოეული ქვეყნის ბირჟებს შორის თანამშრომლობის სისტემის შექმნა, მაკროეკონომიკური კონვერგენცია, პოლიციური და იურიდიული სამსახურების ინტეგრაციული დაახლოება. ანდის საერთო ბაზარი გააერთიანებს ქვეყნებს 110 მლნიანი მოსახლეობით.

2. *მნიშვნელოვნად ძლიერდება აშშ-ის გავლენა,* განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში. რეგიონის ყოველი სახელმწიფო აქ ეძებს თავისი განვითარების გზას. ერთნი (ისეთი, როგორიცაა გიგანტური ბრაზილია) ცდილობენ თავიანთი ეროვნული ვალუტის გამტკიცებას აშშ-ის დაუხმარებლად. ეკვადორი ეკონომიკის დოლარიზაციაში ხედავს ხსნას, იმედოვ-

ნებს მის სტაბილიზებას სწორედ ამ სახით. ამ ქვეყანაში მშპ 1999 წლისათვის 7%-ით დაეცა, სუკრე გაუფასურდა 195%-ით, ინფლაციის წლიურმა დონემ 61%-ს გადააჭარბა, ოფიციალურმა უმუშევრობამ 20%-ს მიაღწია. ეკვადორი ლათინურ ამერიკაში პირველი იყო, ვინც ფაქტობრივად საგარეო ვალის გადახდა შეწყვიტა — იგი იძულებული გახდა. პერსპექტივა — კიდევ უფრო მჭიდროდ მიაბას დოლარს პესო, მექსიკისათვის ჯერ კიდევ შორსაა. დოლარიზაციის შესახებ სულ უფრო დაჟინებით საუბრობენ არგენტინის ხელისუფალნი, რომლებიც უკვე დიდი ხანია ვარაუდობენ, უარი თქვან ეროვნულ ვალუტაზე, რადგან „მწვანე" ფულის შემოღება სურთ მთელ ლათინურ ამერიკაში. თვით კუბაშიც კი პრაქტიკულად ნებადართულია დოლარების თავისუფალი მოძრაობა.

3. პიჩ-ებისა და რეგიონის სხვა ქვეყნებს შორის განხეთქილების ზრდა გრძელდება. საკმაოდ არახელსაყრელი მდგომარეობა ჩამოყალიბდა პერუსა და ვენესუელაში, რომლებიც ოდესღაც ლათინური ამერიკის ყველაზე მდიდარი ქვეყნები იყო. იქ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ბოლო ოცი წლის განმავლობაში მცირდებოდა და კიდევ 5%-ზე მეტით შემცირდა 1999 წლისათვის. ეკვადორში პოლიტიკურ პარტიებს შორის გაუთავებელი დავა მთავრობას საშუალებას არ აძლევს მძაფრი ეკონომიკური პრობლემები გადაჭრას. კოლუმბიის პრობლემები კი კონტინენტის არც ერთი ქვეყნის პრობლემებს არ შეედრება.

4. რეგიონის წამყვან ქვეყნებში *უცხოელი ინვესტორები* აგრძელებენ ფულის დაბანდებას. 2000 წლის ბოლოს გამოქვეყნებული მონაცემებით, რომლებიც ბრაზილიის ცენტალურმა ბანკმა გამოსცა, 1999 წელს ქვეყნის ეკონომიკაში მოზიდულმა უცხოურმა ინვესტიციებმა 30 მლრდ ამერიკული დოლარი შეადგინა, რითაც სარეკორდო დონეს მიაღწია. ბრაზილიაში უცხოური კაპიტალის თანდათანობითი ზრდის ტენდენცია კვლავ რჩება. 1999 წელს მიმდინარე ოპერაციებზე ბიუჯეტის დეფიციტმა 24,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1997 წლიდან უმცირესი აღმოჩნდა. მიმდინარე ოპერაციებზე დეფიციტი პირდაპირმა უცხოურმა კაპიტალმა დაფარა. ამიტომ, მართალია, საგარეო ვალის გადახდამ 51,9 მლრდ დოლარს მიაღწია, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საგადასახდელო ბალანსში პასიურმა სალდომ მხოლოდ 7,8 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 1998 წლის დონეზე დაბალია (7,97 მლრდ დოლ.). ცენტრალური ბანკის პროგნოზით, 2000 წელს ბრაზილიაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 25 მლრდ დოლარამდე შემცირდება. ამასთან ერთად ისინი მაინც შეძლებენ მიმდინარე ოპერაციებზე დეფიციტის დაფარვას, რომელიც დაახლოებით 23 მლრდ დოლარი იქნება.

ახლა შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა.

1. ძნელია მოიძებნოს ეკონომიკური განვითარებისთვის, ბუნებრივი რესურსების მიხედვით, იმაზე უფრო ხელსაყრელი რეგიონი, ვიდრე ლათინური ამერიკა. დღეს რეგიონის მოწინავე ქვეყნებში ლიბერალური ეკონომიკური მოდელები დამკვიდრდა. თუმცა ისინი ორთოდოქსულ კათოლიციზმზე დაფუძნებულ ცივილიზაციურ ფასეულობებს ცუდად ეხამება. ეს ხელს უშლის რეგიონის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

2. ბრაზილია ცდილობს რეგიონული ლიდერი გახდეს და წინ აღუდგეს აშშ-ის მზარდ გავლენას. პერსპექტივაში, როგორც ჩანს, მექსიკა ამერიკული გავლენის ზონად დარჩება. ხოლო სამხრეთი ამერიკა შეიძლება გაერთიანდეს ერთიან, მძლავრ საერთო ბაზრად და EU-ის გზით განვითარდეს.

22.4. ახლო და შუა აღმოსავლეთის ეკონომიკა

რეგიონის ქვეყნების რესურსები და განვითარების დამახასიათებელი ნიშნები. ამ რეგიონში ჩვენ ვაერთიანებთ ჩრდილო აფრიკის და დასავლეთ აზიის არაბულ ქვეყნებს, აგრეთვე — მუსლიმანურ თურქეთს და ირანს. შორეულ წარსულში რეგიონის ტერიტორიაზე ეგვიპტის და შუამდინარეთის ცივილიზაცია ვითარდებოდა (თანამედროვე ერაყი). და ეს შემთხვევითი როდია. აქ არის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესანიშნავი შეხამება, რაც არა მარტო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის იყო სტიმული, არამედ ფილოსოფიურ-რელიგიური ძიებისთვისაც. ტყუილად კი არ იყო ეგვიპტე ათასწლეულების განმავლობაში ძველი მსოფლიოს აკვანი, ხოლო ახლო აღმოსავლეთი სამი უმნიშვნელოვანესი რელიგიის — ქრისტიანობის, მუსლიმანობის და იუდაიზმის — სამშობლო გახდა.

ამჟამად ამ ნაყოფიერ მიწებზე ძირითადად მუსლიმანური ხალხები სახლობენ. ამ რეგიონის სპეციფიკა ნავთობის უმდიდრეს მარაგშია. არაბული ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკაც სწორედ მათზეა დაფუძნებული. ერაყი და ირანი, გარდა ენერგორესურსებისა, მინერალური ნედლეულითაცაა უზრუნველყოფილი, მაგრამ „ალაჰის მთავარი წყალობა“ მთელი რეგიონისთვის — ეს, რა თქმა უნდა, ნავთობია.

რეგიონში ნავთობის სარწმუნო მარაგების წილი მსოფლიოს 65%-ს აჭარბებს. ერაყის, ქუვეითის და გაერთიანებული არაბული ემირატების

პროგნოზული მარაგები თითოეულისთვის 100 მლრდ ტ-ს შეადგენს. მათ ცოტათი ჩამორჩება საუდის არაბეთი (80 მლრდ ტ) და ირანი (70 მლრდ ტ.). შედარებისთვის გეტყვით, რომ ნავთობის ყოველწლიური მსოფლიო მოპოვება 4 მლრდ ტ-ზე ნაკლებია. ახლა რეგიონის ქვეყნებში ყოველწლიურად 1 მლრდ ტ-ზე მეტი მოიპოვება. რეგიონი ნავთობის მსოფლიო ექსპორტის 50%-ს უზრუნველყოფს.

მნიშვნელობის მიხედვით რეგიონის მეორე ბუნებრივი რესურსი გაზია. 144 ტრლნ $მ^3$ დაზვერილი მარაგებიდან რეგიონის ქვეყნებზე დაახლოებით 50 ტრლნ $მ^3$ მოდის. გაზის უზარმაზარ მარაგს მხოლოდ რუსეთი ფლობს. რეგიონი იძლევა მსოფლიო მოპოვების 6%-ს და თხევადი გაზის მსოფლიო ექსპორტის დაახლოებით 7%-ს.

ირანსა და ერაყში, გარდა ენერგორესურსებისა, რკინის მადნის და ზოგიერთი ფერადი ლითონის მდიდარი საბადოებია.

მუსლიმანური სამყაროს ცივილიზაციურ რესურსებს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

1. სიტყვასიტყვით „ისლამი" ითარგმნება, როგორც „თავის მიძღვნა ღმერთისთვის", „მორჩილება". ერთიანი ღმერთის იდეა და მორჩილების პრინციპი უჩვენებს ადამიანს მის საკმაოდ მოკრძალებულ ადგილს მსოფლიოში. მუსლიმანური რელიგია, ქრისტიანულისგან განსხვავებით, არ შეიცავს იდეას, რომ ადამიანი ღმერთის მსგავსია, იგი გამარჯვებულის და ბატონის ფსიქოლოგიისგან იცავს ადამიანს. თუკი ძველ აღთქმაში ადამი თავად არქმევს სახელებს საგნებსა და ცხოველებს, და ღმერთი ნებას რთავს ადამიანს იმოქმედოს, როგორც შემოქმედებითმა პიროვნებამ, ყურანში ალაჰი თვითონ არქმევს საგნებს სახელებს და ამას ადამიანსაც ასწავლის. ისლამის მიხედვით, ღმერთსა და ადამიანს შორის უზარმაზარი დისტანციაა. მუსლიმანი თავის სურვილებს ალაჰის ბუნებით დადგენილი წესებით უნდა ზღუდავდეს. ასეთი ცივილიზაციური წესი განსაზღვრულ საზოგადოებრივ დისციპლინას ქმნის, რაც *მუსლიმანური ქვეყნების ხელისუფალთ საშუალებას აძლევს განახორციელონ ეკონომიკური პოლიტიკის ფართო სპექტრი, ისე რომ სოციალური დაძაბულობის არ ეშინოდეთ.*

2. *სახელმწიფო ხელისუფლება* მართლმორწმუნე მუსლიმანისთვის *წმიდათაწმიდაა.* იდეალში, მუსლიმანურ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ემთხვეოდეს რელიგიურს. სწორედ ამ სქემით შეიქმნა პირველი არაბული ხალიფატები. რეგიონის უმრავლესი ქვეყნის ეკონომიკურ მოდელებზე ეს ტრადიცია სერიოზულ გავლენს ახდენს. მუსლიმანი ხალხები ცივილიზაციურად ორიენტირებული არიან ერთიან უზენაეს ხელისუფლებაზე. ამიტომ ფორმით რესპუბლიკური სახელმწიფოებიც კი,

ისეთები, როგორიცაა სირია და ერაყი, თავისი არსით ბევრი არაფრით განსხვავდება მონარქიებისაგან. ამ ქვეყნებში ხელისუფლება ასევე გადაეცემა პრაქტიკულად დინასტიური პრინციპის მიხედვით.

3. *მუსლიმანური რელიგია* შედარებით ახალგაზრდაა და სულისკვეთებით — *შემტევი*. ყურანში დასაბუთებულია *რწმენისათვის წმიდა ომის შესაძლებლობა*, თუკი იგი თავსმოხვეულია ცხოვრებისეული გარემოებებით მტრულ გარემოცვაში. „და შეებრძოლეთ მათ, სანამ მეტი ცდუნება არ იქნება, ხოლო მთელი რელიგია ალაჰის კუთვნილება გახდება", — გვასწავლის ყურანი. მრავალი თანამედროვე მუსლიმანი თეოლოგი მიუთითებს, რომ ყურანში ომი ახსნილია საკმაოდ ფართო გაგებით და ხშირად იქ სულიერი ომი იგულისხმება. თუმცა ზოგადი განწყობა რელიგიური ომის მიმართ უეჭველად ნოყიერი გარემოა ყოველგვარი მუსლიმანური ექსტრემიზმის და ტერორიზმის გამოვლინებისათვის. ზოგიერთი მუსლიმანური ქვეყნის ლიდერი თავისი აგრესიული საგარეო პოლიტიკის დასასაბუთებლად მტრული გარემოსათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევის იდეას იყენებს.

4. *მუსლიმანოგას საკმაოდ ძლიერი მოტივები აქვს აქტიური ეკონომიკური საქმიანობისთვის* რელიგიით განსაზღვრულ ჩარჩოებში. იგი ალაჰის მიერ ბოძებულ სიმდიდრეს და ძალაუფლებას მიესალმება. ამასთან, ისლამი გვასწავლის, რომ საკუთარი სიმდიდრის ჩვენება სამარცხვინო არაა, ვინაიდან ღმერთი, როცა ადამიანს კეთილდღეობას უწყალობებს, „სურს მისი კვალის დანახვა". აქედან გამომდინარეობს უჩვეულოდ, ყველას დასანახად გამოტანილი სიმდიდრე — იქნება ეს მუსლიმანი ხელისუფლების თუ მეწარმეთა.

5. მუსლიმანური საზოგადოებისთვის დამახასიათებელია *კოლექტივიზმის, ერთიანობის სული*. სახელმწიფოებრიობასთან შეერთებით ეს რეგიონის ქვეყნებში ბადებს სოციალური და ხშირად სოციალისტური მიმართულების ეკონომიკურ მოდელებს.

რეგიონის ქვეყნების *ეკონომიკური განვითარება* ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც შეიმჩნევა ცხრილი 22.3.-ის მონაცემების ანალიზისას.

საკმაოდ ღარიბ ერაყთან ერთად, რომელმაც მთელი 90-იანი წლები ეკონომიკურ ბლოკადაში გაატარა, რაც მას ქუვეითის წინააღმდეგ აგრესიის გამო დაუწესეს, რეგიონში არსებობს ისეთი აყვავებული ქვეყნები, როგორიცაა საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული ემირატები და ქუვეითი. ამ ქვეყნებში, რომლებიც ერთ სულ მოსახლეზე ნავთობის უზარმაზარ მარაგს ფლობენ, ცხოვრების დონე განვითარებული ქვეყნებისას უახლოვდება.

ცხრილი 22.3.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები 1999 წლისათვის

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ ადამ.	მშპ, მლრდ დოლ.	მშპ 1 სულ მოსახ., ათასი დოლ.	მშპ-ის ზრდა, %	ინფლაცია, %
ალჟირი	30,9	49,2	1592	4,9	4,5
ეგვიპტე	65,7	98,6	1500	5,6	4,3
ირანი	64,8	68,1	1050	2,1	25
ერაყი	23,6	7,4	313	17	110
იორდანია	6,3	7,8	1229	1,8	3,3
ლიბანი	3,4	19,5	5769	0,5	3,5
საუდის არაბეთი	21,5	140,9	6560	1,5	2,5

რეგიონში არის ერთი არაარაბული სახელმწიფო — ისრაელი, რომელსაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ 16 ათას დოლარზე მეტი აქვს და იგი განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.

ისრაელის და არაბული სამყაროს ურთიერთდაპირისპირება რეგიონის ყველაზე მტკივნეული წერტილია. 2000 წლის ბოლოს ვითარება იქ კვლავ გამძაფრდა. ისრაელში მცხოვრები პალესტინელები, რომელთაც არაბული სამყარო უჭერს მხარს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ითხოვენ დედაქალაქით იერუსალიმში. მოლაპარაკებები ამ საკითხზე ხშირად წყდება ტერორისტული აქტებით არაბების მხრიდან და ისრაელელ ხელისუფალთაგან არანაკლებ სისხლიანი საპასუხო მოქმედებებით. ისრაელი საინტერესოა კიდევ იმითაც, რომ იქ მილიონზე მეტი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ცხოვრობს, რომელთაგან ბევრმა არ გაწყვიტა რუსეთთან სხვადასხვაგვარი კავშირი.

რეგიონის უმეტესი ქვეყნების *ეკონომიკურ მოდელებს* რიგი მსგავსი ნიშნები აქვს.

1. *ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ჭარბობს.* უმეტეს ქვეყანაში ძირითადი სიმდიდრე — ნავთობი და გაზი — ნაციონალიზებულია. ნავთობმოპოვებას და მის გადამუშავებას სახელმწიფო კომპანიები აწარმოებენ.

2. ქვეყნის ეკონომიკა *ორიენტირებულია ენერგომატარებლების ექსპორტზე* და მასზე დიდადაა დამოკიდებული. ფაქტობრივად, რაც უფრო მეტი ნავთობი მოდის ერთ სულ მოსახლეზე, მით უკეთ ცხოვრობს ქვეყანა. ამიტომ რეგიონის პატარა ქვეყნები — გაერთიანებული არაბული ემირატები, კატარი, ქუვეითი, ომანი — ყვავის. ნავთობდოლარები იქ საშუალებას იძლევა ცხოვრების მაღალი დონე იყოს და განხორციელდეს სხვა ქვეყნებისთვის წარმოუდგენელი სოციალური პროგრამები.

3. რეგიონისათვის დამახასიათებელია ხშირი სამხედრო კონფლიქტები. გარდა მუდმივი დაძაბულობისა ისრაელსა და მის მეზობლებს შორის, არსებობს დაპირისპირება ირანსა და ერაყს შორის, სოციალური კონფლიქტები იემენში, ქურთების ამბოხებანი და ა. შ. ამითაა განპირობებული უმეტესი ქვეყნის მშპ-ში *სამხედრო დანახარჯების მაღალი წილი.* არაბული ქვეყნები უმნიშვნელოვანესი, ერთ-ერთი ყველაზე სწრაფადმზარდი იარაღის გასაღების ბაზრებია.

იმავდროულად ცალკეულ ქვეყნებს და რეგიონის ქვეყნების ჯგუფებს *განვითარების ტენდენციებში განსაზღვრული თავისებურებები* გააჩნია.

1. რეგიონის მდიდარმა პატარა ქვეყნებმა ნავთობდოლარების გამოყენებით *შეძლეს ფეოდალიზმიდან პირდაპირ კოსტიტუციურ საზოგადოებაში გადავლა.* მაგალითად, გაერთიანებულ არაბულ ემირატებში მომსახურების სფერო უკვე მშპ-ის 50%-ზე მეტს იძლევა. ეს ქვეყნები ზრუნავენ იმ თაობებზე, რომლებიც ნავთობის მარაგების ამოწურვის შემდეგ იცხოვრებენ. მათ განავითარეს მრეწველობის მეცნიერებატევადი დარგები და მომსახურების შესანიშნავი სფერო. აქ ტურიზმს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

2. *ირანმა* შექმნა ისლამური სახელმწიფოს მოდელი გამოხატული რელიგიური დომინანტით. ქვეყნის საგარეო ვაჭრობა ნაციონალიზებულია. საზოგადოებრივი სექტორი მშპ-ის 70%-ს ქმნის. სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა მრეწველობის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი დარგი, აგრეთვე — ქვეყნის ფინანსური და საბანკო სისტემა. გამოიყენება პროტექციონიზმი, სამამულო მრეწველობას კი დახმარებას უწევენ. 1997 წლიდან, პრეზიდენტ ხატამის არჩევის შემდეგ, დაისახა ეკონომიკის ლიბერალიზაციის კურსი. თუმცა ფაქტობრივად ხელისუფლება ეკუთვნის არა პრეზიდენტს, არამედ ქვეყნის სულიერ ლიდერებს, აიათოლა ალი ჰომეინის. ამიტომ ლიბერალური რეფორმები ძალიან ნელა მიმდინარეობს. რუსეთისთვის ირანთან ეკონომიკურ თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთ-ირანული პროექტები დიდ მოგებას პირდება, მაგრამ მათ განხორციელებას აშშ ეწინააღმდეგება, რადგან მას არ სურს ანტიამერიკულად განწყობილი ირანის გაძლიერება.

3. რეგიონის უმრავლესი ქვეყნისგან განსხვავებით, *თურქეთმა* განვითარების საკმაოდ ლიბერალური მოდელი აირჩია. ეკონომიკასა და პოლიტიკაზე რელიგიის გავლენა იქ ნაკლებია, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებში. სახელმწიფომ პრივატიზაცია განახორციელა და ახლა აკონტროლებს მრეწველობის მხოლოდ თავდაცვით და სტრატეგიულ დარგებს. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში აქტიურად დაიწყო. სახელმწიფოს დახმარებით სწრაფად იზრდება ექსპორტი, მათ შორის რუსეთშიც.

4. ბევრი *არაბული ქვეყანა* გარდამავალ პერიოდს განიცდის. ერის „მამები" შეცვალეს ახალგაზრდა მმართველებმა, რომლებიც თავისი პოზიციების გასამაგრებლად დიდ ყურადღებას უთმობენ ხალხის გასაჭირს; მათ არ სურთ გლობალიზაციის გზაზე მსოფლიო მოძრაობას ჩამორჩნენ, განზე დადგნენ. იორდანიის, მაროკოს, კატარის და ბაჰრეინის მთავრობები უკვე დიდი ხანია რეორგანიზაციას შეუდგნენ. გაერთიანებულ არაბულ ემირატებსა და სირიაში კვლავინდებურად ძლიერია ოჯახური მმართველობის ტრადიცია: მოქმედი მმართველობის შესაცვლელად მზად არიან შვილები. ყველაზე გაბედულად ცვლილებების გზას მაროკო და იორდანია დაადგა, მათ პოლიტიკური პლურალიზმის ტრადიცია აქვთ. ყველაზე მძიმედ რეფორმების გატარება მოხდება ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში, ისეთებში, როგორიცაა სირია და საუდის არაბეთი, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა.

5. მმართველობის ახალმა იდეოლოგიამ *ეგვიპტეზე* დადებითი გავლენა მოახდინა. ქვეყნის პრეზიდენტმა ხოსნი მუბარაქმა ბოლო ათი წლის განმავლობაში რეფორმების გეგმაზომიერი გატარებით და დიდი კანონიერების დაწესებით შეძლო კარგი ეკონომიკური შედეგების მიღწევა, ხოლო სამთავრობო ზომების ეფექტიანობით ხალხის რწმენა განამტკიცა. რეფორმების ტემპების დაჩქარება აუცილებელია იმისთვის, რომ უმუშევრობის პრობლემა გადაიჭრას. ეგვიპტის მოსახლეობის დაახლოებით 50% ხომ 20 წელზე ნაკლებისაა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. რეგიონის უმრავლესი ქვეყნის ეკონომიკა ამჟამად აგებულია ნავთობის და გაზის უმდიდრესი მარაგების გამოყენებაზე.

2. ამ ქვეყნების ეკონომიკური მოდელები მუსლიმანური რელიგიის დიდ გავლენას განიცდის. მათი მოდელებისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს დომინირებული როლი და სამხედრო მრეწველობაში სამხედრო დანახარჯების მაღალი ხვედრითი წონა. ბევრ ქვეყანაში თანდათანობით მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი.

22.5. აფრიკული ქვეყნების ეკონომიკა

ჩრდილოეთი აფრიკის ტერიტორია უკავია წინა განყოფილებაში განხილულ არაბულ ქვეყნებს, ხოლო სამხრეთი — სამხრეთაფრიკულ რესპუბლიკას, მნიშვნელოვანი რაოდენობის თეთრი მოსახლეობითა და შედარებით მაღალი განვითარების დონით (ერთ სულ მოსახლეზე მშპ 3150 დოლარს შეადგენს). ცენტრალური (შავი) აფრიკის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ამ თავში მოკლედ იქნება განხილული, საშუალოდ მნიშვნელოვნად ღარიბია.

აფრიკა სიდიდით მეორეა შვიდი კონტინენტიდან და მისი ფართობი დაახლოებით 30 მლნ კმ^2-ია, ამას ემატება მიმდებარე კუნძულები, რაც დედამიწის ზედაპირის მთელი ფართობის დაახლოები 22%-ს შეადგენს. აფრიკაში ცხოვრობს დედამიწის მთელი მოსახლეობის (დაახლოებით 650 მლნ ადამიანი) დაახლოებით 12%. ეკვატორის რაიონში განლაგებული აფრიკა გადაჭიმულია 8050 კმ-ზე, მისი ყველაზე ჩრდილო წერტილიდან — ტუნისიდან — ყველაზე სამხრეთ პუნქტამდე — სამხრეთაფრიკულ რესპუბლიკამდე (სარ). კონტინენტის მაქსიმალური სიგანე, დასავლეთში სენეგალიდან გაზომილი აღმოსავლეთით სომალიმდე დაახლოებით 7560 კმ-ის ტოლია. კონტინენტზე ყველაზე მაღალი წერტილი მუდმივად თოვლით დაფარული კილიმანჯაროა (5885 მ) ტანზანიაში. აფრიკისათვის დამახასიათებელია რეგულარული სანაპირო ხაზი. მისი საერთო სიგრძე დაახლოებით 30490 კმ-ია; აფრიკული სანაპირო ხაზის სიგრძე მის ფართობთან შეფარდებით ნაკლებია, ვიდრე სხვა რომელიმე კონტინენტის (როგორ არ გავიხსენოთ აქ თეორია ლანდშაფტის გავლენის შესახებ, კერძოდ ნაპირების დასერვაზე, მათი გავლენა ხალხების განვითარებაზე).

აფრიკის *მოსახლეობის უმრავლესობა* ცხოვრობს საჰარის სამხრეთით. ამ რეგიონში მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების 2/3-ია განლაგებული. აღმოსავლეთ აფრიკაში შედის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ეთიოპია, სომალი და უგანდა. ცენტრალური და დასავლეთი აფრიკის ხალხების შორისაა — ანგოლა, კამერუნი, განა, ნიგერია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ადრინდელი ზაირი). სამხრეთი აფრიკა მოიცავს ბოსტვანას, ლესოტოს, ნამიბიას და სარ-ს. აფრიკა აგრეთვე მრავალ კუნძულს მოიცავს, რომელთაგან ყველაზე დიდია მადაგასკარი, რომელიც კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა განლაგებული. აფრიკაში დაახლოებით 50 ქვეყანაა — ნიგერიიდან დაწყებული (127 მლნ მოსახლეობით) პატარა რესპუბლიკებამდე, მაგალითად, როგორიცაა კომორის კუნძულები.

აფრიკა *ბუნებრივი რესურსებით* მდიდარია. იგი მსოფლიოში ბოქსიტების, მანგანუმის, ქრომის, კაკაოს, ჩაის და სხვათა უმსხვილესი მწარმო-

ებელია. აფრიკაში ოქროს (მსოფლიო მარაგების 50%), ალმასების, სპილენძის, ბოქსიტების, მანგანუმის, ნიკელის, პლატინის (მსოფლიო მარაგების 90%), კობალტის, რადიუმის, გერმანიუმის, ლითიუმის, ტიტანის და ფოსფატების ყველაზე დიდი მარაგებია. იქვე ბევრია რკინის მადანი, ქრომი, კალა, თუთია, თორიუმი, ვანადიუმი, ბერილი და სხვ., მცირე რაოდენობით აღმოჩენილია — თიხა, ქარსი, გოგირდი, მარილი, ნატრიუმის ოქსიდი, გრაფიტი, კირქვა და თაბაშირი. ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში, მაგალითად, ნიგერიაში, არის ნავთობის და გაზის საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგი. ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპორტი — აფრიკული ქვეყნების ეკონომიკათა ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. უმეტესი მათგანი ერთი ან ორი რესურსის ვაჭრობაზეა დამოკიდებული.

აფრიკული კულტურა მრავალფეროვნებით (1000 ეთნიკური ჯგუფი და 1000-ზე მეტი სხვადასხვა ენა) გამოირჩევა. აფრიკელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გვარონულ ურთიერთობებს. მუსიკამ, ხელოვნებამ და ლიტერატურამ განსაზღვრული გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოში სხვა კულტურებზე. მაგალითად, აფრიკულმა რიტმებმა გავლენა იქონია პოპულარულ მუსიკალურ სტილებზე, როგორიცაა ჯაზი, ბლუზი. თუმცა საკმარისი ცივილიზაციური რესურსები, რომლებიც თანამედროვე პირობებში უზრუნველყოფდა აფრიკული ქვეყნების განვითარებას, იქ არაა. ამიტომ მის ნიადაგზე გადატანილი, განვითარებულ ქვეყნებსა და აიქ-ებში გამოცდილი, ეფექტიანი სამართლებრივი და საკანონმდებლო სისტემები აფრიკაში მოსალოდნელ შედეგებს არ იძლევა.

პრაქტიკულად *ყველა აფრიკული ქვეყანა კოლონია იყო.* მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათი მეტროპოლიები ან განადგურდა, როგორც გერმანია, ან ძლიერ დასუსტდა, როგორც დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. გამარჯვებულმა აშშ და სსრკ მხარი დაუჭირეს განმათავისუფლებელ მოძრაობას და აფრიკის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. თუმცა ყოფილმა მეტროპოლიებმა თავისი გავლენა შეინარჩუნეს. ასე მაგალითად, ყოფილმა ფრანგულმა კოლონიებმა — ბენინმა, ბურკინა-ფასომ, გაბონმა, კამერუნმა, კონგომ, მალიმ, ნიგერმა, სენეგალმა, ტოგომ, ჩადიმ და სხვებმა — ახლა შექმნა ფრანკის ზონა და ისინი ახლაც საფრანგეთის გავლენის ქვეშაა. ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ ყოფილ მეტროპოლიებსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებზე *ნეოკოლონიალიზმის სახელწოდება მიიღო.*

რეგიონის უმეტესი ქვეყნის *ეკონომიკურ მოდელს* აგრარულ-სანედლეულო მიმართულება აქვს. აფრიკული ქვეყნების ეკონომიკებს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია:

1. *ორიენტაცია* სასარგებლო წიაღისეულის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე.

2. *ძვალიფიციური და უბრალოდ ფერა-კითხვის მცოდნე ზრდომითი რაშრსების არარსებობა*, რაც ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ხელს უშლის. თანამედროვე ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ცივილიზაციური რესურსების უკმარისობა.

3. *ძლაურობა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი კორუფცირებულობა.* მაგალითად, ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ნიგერია კორუფციის მიხედვით მტკიცედ დგას მსოფლიოში პირველ ადგილზე. 1998 წელს იქ უკვალოდ გაქრა 2 მლრდ დოლარის უცხოური ინვესტიცია. აშშ-ის და IMF-ის ყველა მცდელობა მოეხდინა ამ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია, კორუფციის და თაღლითობის უმძლავრეს კედელს შეეჯახა. პარადოქსულია, მაგრამ ნიგერია, მსოფლიოში მე-13 ნავთობის უმსხვილესი მწარმოებელი, თავის ქვეყანაში ნავთობპროდუქტების ქრონიკულ უკმარისობას განიცდის. თქვენ ეს არაფერს გაგონებთ?

4. *საგარეო ვალი.* საგარეო ვალის პრობლემა აფრიკული ქვეყნებისთვის უზარმაზარ სიძნელეებს ქმნის. ყოველ აფრიკელზე, ბავშვების ჩათვლით, საგარეო ვალის 350 დოლარი მოდის. რეგიონის ვალი 200 მლრდ დოლარზე მეტს შეადგენს, რაც მშპ-ის 80%-ს უტოლდება (კონგოსა და მოზამბიკში — 300%-ს). აფრიკის ქვეყნების საგარეო დავალიანების საერთო თანხის 60% ორმხრივ საფუძველზე სხვადასხვა სახელმწიფოს ეკუთვნის, 23% — საერთაშორისო ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენი — კერძო კრედიტორების წილად მოდის.

5. *საინვესტიციო ზიმშილი.* მიუხედავად გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებისა და კაპიტალის მსოფლიო ბაზრების ინტერნაციონალიზაციისა, აფრიკა ჯერ კიდევ რჩება ძირითადი ფინანსური ნაკადების გარეშე. მიმდინარე ათწლეულში განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა, თუმცა იგი მხოლოდ უმნიშვნელო ხარისხით შეეხო „შავი" კონტინენტის სახელმწიფოებს, რომელთათვისაც ხელსაყრელი პირობების შექმნა უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად ძნელია. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებში განხორციელებული ყველა უცხოური ინვესტიციიდან მხოლოდ 5% მოდის აფრიკულ სახელმწიფოებზე. 1999 წელს აფრიკამ დაახლოებით 8 მლრდ დოლარის ინვესტიცია მოიზიდა. ეს ბევრად მეტია, ვიდრე 80-იანი წლების ბოლოს, როცა უცხოური ინვესტიციების ნაკადი წელიწადში დაახლოებით 3 მლრდ დოლარს შეადგენდა, თუმცა ეს 1997 წლის კონტინენტის რეკორდულ დონესთან (9,4 მლრდ დოლ.) შედარებით დაბალი იყო.

6. დახმარების შემცირება. საინვესტიციო შემონატანთა დაბალ მოცულობებთან ერთად შეინიშნება აფრიკული ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი შემცირება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, აფრიკული ქვეყნების განვითარებისთვის განკუთვნილი ოფიციალური დახმარების ზომები, საუბარია საჰარის სამხრეთით მდებარე ქვეყნებზე, 1996 წელს 10,7 მლრდ დოლარამდე დაეცა. შედარებისთვის: 1990 წელს ისინი 14 მლრდ დოლარს შეადგენდა. დახმარების მოცულობათა შემცირების ტენდენცია 1997-2000 წლებშიც შენარჩუნდა.

7. გადაშენების საფრთხე. „CNN"-ის მონაცემებით, შიდსის ეპიდემიამ ზიმბაბვეში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით მეოთხედი საუკუნით შეამცირა. ამ ქვეყნის მცხოვრების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახლა 39 წელია წინანდელი, შიდსის ეპიდემიამდე არსებული 65 წლის ნაცვლად. სიკვდილიანობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რაც უეჭველად აისახება აფრიკის კონტინენტის მოსახლეობის სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებზეც. წინასწარი შეფასებით, შიდსის გამო ზიმბაბვეს მოსახლეობას უკვე დააკლდა 1,6 მლნ ადამიანი. 2010 წლისათვის ეპიდემია ადამიანთა პოპულაციას აფრიკაში 71 მლნ ადამიანით შეამცირებს. ნიგერიის მოსახლეობა 11,7 მლნ ადამიანით შემცირდება, კენიის — 6,7 მლნ-ით, სამხრეთ აფრიკის — 5,6 მლნ-ით, ზიმბაბვეს — 4,4 მლნ-ით, უგანდის — 4,2 მლნ კაცით.

ზემოთ აღნიშნულ არასანუგეშო დასკვნებს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ:

1. აფრიკა ერთ-ერთი უმდიდრესი კონტინენტია პლანეტაზე, მაგრამ მისი ეკონომიკა მხოლოდ ანტარქტიდის ეკონომიკას აჭარბებს! ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის კოლონიური მემკვიდრეობა და თანამედროვე განვითარებისთვის აუცილებელი კვალიფიციური შრომითი რესურსების უქონლობა.

2. მრავალი აფრიკული ქვეყნის ეკონომიკა კორუფციის გამო გასაჭირშია, არ ჰყოფნის ინვესტიციები, საგარეო ვალი უზარმაზარია, არ აქვს სათანადო მხარდაჭერა განვითარებული ქვეყნების მხრიდან. მოსახლეობის უმეტესობის სოციალური მდგომარეობა ფრიად შეჭირვებულია. ამის გასაუმჯობესებლად განვითარებული ქვეყნების მხრიდან აუცილებელია ენერგიული დახმარება.

თავი 23

რუსეთის ადგილი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში

რუსეთის ბუნებრივი რესურსები. რუსული ცივილიზაცია, როგორც ეკონომიკური რესურსი. რუსეთის მარადიულად განსაკუთრებული გზა. რუსეთის ეკონომიკური მოდელი. ეკონომიკის სტრუქტურა. უკანასკნელი რესურსი. რუსეთის კაპიტალი. რუსეთის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობა. განვითარების ტენდენციები: უგზოობა და გზაჯვარედინი

რუსეთის უპირატესობა ისაა, რომ იგი ღმერთის მიერ იმართება, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია გავიგოთ, თუ რატომ არსებობს იგი.

ფელდმარშალი მენიხი

მსოფლიო ეკონომიკის შესწავლამ საბოლოოდ პრაქტიკული თვალსაზრისით პასუხი უნდა გაგვცეს ყოველი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს კითხვაზე — და მაინც, როგორია ამა თუ იმ სახელმწიფოს ადგილი თანამედროვე მსოფლიოში? ყველა ჩვენი ძალისხმევა, მიმართული მეგაეკონომიკის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა შესაცნობად, მისი სტრუქტურის ანატომირება, მოწინავე ქვეყნების განვითარების გზების კვლევა, გარდა წმინდა შემეცნებითი ამოცანებისა, სავსებით პრაგმატულ მიზანს ისახავს — გამოვავლინოთ თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში რუსეთის ორგანული შესვლის შესაძლებლობები. გლობალიზაციის პირობებში მეგაეკონომიკაში ქვეყნისთვის ადგილის ძიება განვითარების გზების განსაზღვრის ტოლფასია.

ამისათვის მივყვეთ თქვენთვის უკვე კარგად ნაცნობ მეთოდიკას და თავდაპირველად გავაანალიზოთ რუსეთის ბუნებრივი, ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები.

23.1. რუსეთის ბუნებრივი რესურსები

როგორც ცნობილია, რუსეთი ტერიტორიის მიხედვით პლანეტის ყველაზე დიდი ქვეყანაა. მას უკავია ხმელეთის დაახლოებით 1/8 ნაწილი, ანუ 17 მლნ კვ. კმ (საბჭოთა კავშირში 23 მლნ $კმ^2$ იყო). ჩვენ შევეჩვიეთ ვიამაყოთ ჩვენი უზარმაზარი ქვეყნით. მართლაც, საამაყო ნამდვილად გვაქვს. ასეთი გიგანტური სივრცეების დაპყრობა, შენარჩუნება და თუნდაც ნაწილობრივ ათვისება ხომ მხოლოდ ძალიან ძლიერ და მიზანსწრაფულ ხალხს შეუძლია. თუმცა ვეებერთელა მასშტაბებმა არ უნდა მოგვცეს იმის საბაბი, ვიფიქროთ, როგორც ეს ხშირად გვსმენია, თითქოს რუსეთი განწირულია, გახდეს დიდი ქვეყანა და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო. სრულიადაც არა. უზარმაზარი ტერიტორია სიდიადის გარანტია ნამდვილად არ არის. მაგალითად, კანადა — ტერიტორიის მიხედვით მეორე ქვეყანა მსოფლიოში — არასოდეს აცხადებდა პრეტენზიას მსოფლიოს დიდი სახელმწიფოს წოდებაზე, და სასაცილო იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ დანია უდიდესი ევროპული სახელმწიფოა იმის საფუძველზე, რომ იგი ფლობს ზომების მიხედვით კოლოსალურ, თუმცა პრაქტიკულად უკაცრიელ გრენლანდიას.

თუკი რუსეთის ტერიტორიიდან გამოვრიცხავთ იმ მიწებს, რომლებზედაც სამეურნეო საქმიანობის წარმოება შეუძლებელი ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, მაშინ მისი ტერიტორია შემცირდება საკმაოდ მოკრძალებულ დონემდე — 5,5 მლნ კვ. კმ.-მდე. ამგვარად, ეფექტიანი ტერიტორიების მიხედვით რუსეთი მხოლოდ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდება, დაუთმობს რა წინა ადგილებს ბრაზილიას (8,05 მლნ კვ. კმ), აშშ-ს (8,00), ავსტრალიას (7,68) და ჩინეთს (5,95).

რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე, მართლაც, ძალიან დიდია. მაგრამ ეს სულაც არაა განსაკუთრებული ბედის წყალობა. აბა, სცადეთ და ამოირჩიეთ რუკაზე ხმელეთის სხვა ნებისმიერი ტოლდიდი ნაწილი, შეადარეთ მისი სიმდიდრეები რუსეთის სასარგებლო წიაღისეულს, დარწმუნდებით, რომ ჩვენ გვერგო სიმდიდრე ქვეყნის ზომების ზუსტი პროპორციულობით (აი, მაგალითად, ქუვეითს და ბაჰრეინს ნამდვილად გაუმართლა). ჩვენ ბევრი გვაქვს ნავთობი და გაზი, მაგრამ მათი მარაგი ძირითადად დასავლეთი ციმბირის ძნელადმისადგომ ტყეებსა და ტბებშია. გვაქვს ოქრო და ალმასიც, თუმცა მათი მოპოვება საჭიროა იაკუტიის და კოლიმის მარად გაყინული მიწებიდან და არა სამხრეთი აფრიკის ადვილად დასაყოლიბელი წითელმიწებიდან.

დღეისათვის რუსეთის გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეული წი-

ნასწარი შეფასებით, მიმდინარე მსოფლიო ფასებში, 30 ტრლნ დოლარია.[1] მათგან 32,2% გაზის წილად მოდის, 23,3% — ნახშირისა და საწვავ ფიქალზე, 15,7% — ნავთობზე, 14,7% — არასამადნო ნედლეულზე, 6,8% — შავ ლითონებზე, 6,3% — ფერად და იშვიათ ლითონებზე, 1% — ოქროზე, პლატინაზე, ვერცხლსა და ალმასებზე.

მნიშვნელოვნად მეტად — დაახლოებით 140,2 ტრლნ დოლარად — არის შეფასებული სასარგებლო წიაღისეულის საპროგნოზო მარაგი. იქ ნახშირი (79,5%) ჭარბობს, მისი კოლოსალური მარაგი ძირითადად ციმბირშია. გაზის წილი 6,9%-მდე მცირდება, ნავთობის — 6,5%-მდე, ყველა სხვა სასარგებლო წიაღისეულის — 7,1%-მდე.

თუკი ქვეყნის სიმდიდრეს მცხოვრებთა რაოდენობას შევუფარდებთ, მაშინ რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს, რითაც ყველა სხვა დიდ ქვეყანას გაუსწრებს.

რუსეთი უდავოდ დიდი რაოდენობის გაზის მქონე სახელმწიფოა. იგი მისი მარაგების დაახლოებით 40%-ს ფლობს. ალბათ ღმერთს ამით სურდა რუსეთის ბუნების სიმკაცრის ერთგვარად კომპენსირება. ბუნებრივი გაზის მსოფლიო მოპოვება 2 ტრლნ $მ^3$-ს ცოტათი აჭარბებს. რუსეთი გაზის საერთო მსოფლიო მოპოვების დაახლოებით 30%-ს უზრუნველყოფს, ხოლო აშშ — 25%-ს. გაზის უმსხვილესი მარაგები რუსეთში დასავლეთ ციმბირშია (ურენგოის, იმიერპოლარული, სამხრეთ იამალის, ვასიუგანის, ხარასავეის საბადო). 1970 წლამდე ბუნებრივი გაზის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 70%) ქვეყნის ევროპულ რაიონებში მოიპოვება. თუმცა გაზის რესურსები მათში შედარებით მცირეა. უკვე 1980 წლისათვის რუსეთის აღმოსავლეთი რაიონები გვაძლევენ ბუნებრივი გაზის ნახევარზე მეტს. რუსეთში მოქმედებს განვითარებული გაზმომმარაგების ერთიანი სისტემა (გეს), რომელიც საშუალებას იძლევა, მოახდინოს დაახლოებით 600 მლრდ $მ^3$ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება წელიწადში. იგი მოიცავს დამუშავებულ საბადოებს, გაზსადენის და საკომპრესორო დანადგარების ქსელს (გაზის შესაკუმშად და წნევით მოსაწოდებლად), მიწისქვეშა გაზსაცავებს და სხვა ნაგებობებს. ქვეყანაში მილსადენების სიგრძე დაახლოებით 140 ათასი კმ-ია.

რუსეთში დაახლოებით 7 მლრდ ტ. დამტკიცებული ნავთობის მარაგია, ჩვენ კი ბოლო წლებში წელიწადში დაახლოებით 300 მლნ ტ-ს მოვიპოვებთ. საპროგნოზო ამოსაღები ნავთობის მარაგი ზოგიერთი ექსპერტის მიერ 30 მლრდ ტონადაა შეფასებული და, თუ ეს შეფასება სწორია, იგი

1. Путь России в XXI век. — М.: Экономика, 1999.

შეიძლება გვეყოს 100 წელი ამჟამინდელი მოპოვების პირობებში. თუმცა, რა თქმა უნდა, საჭიროა მოპოვების გაზრდაც გავითვალისწინოთ, რასაც ესოდენ დიდი ხანია მოველით ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისას.

მეორე მსოფლიო ომამდე და მის დროსაც ჩვენ ძირითადად კავკასიურ ნავთობს ვიყენებდით, რომელიც 40-იან წლებამდე საერთოსაკავშირო მოპოვების დაახლოებით 90%-ს შეადგენდა. 70-იანი წლებისათვის ქვეყნის ნავთობის მრეწველობაში პირველ ადგილზე ვოლგა-ურალის რაიონი გამოვიდა. 1960 წელს დასავლეთი ციმბირის პირველი საბადოები გაიხსნა; დღეს იქ ნავთობის წარმოება მთელი რუსეთის 70%-ზე მეტს შეადგენს. უმსხვილესი საბადოები, როგორიცაა სამოტლორის, უსტ-ბალიკსკის, სურგუტის, მედვედსკის, შაიმსკის — მაღალი ხარისხის ნავთობს იძლევა. ვოლგა-ურალის საბადოს ნავთობი, რომელიც მეორე ადგილზეა, გამოირჩევა მაღალი გოგირდიანობით და სპეციალურ გასუფთავებას საჭიროებს. გარდა ამ ორი უმსხვილესი ნავთობიანი რაიონისა, შეიძლება გამოვყოთ ტიმანო-პეჩორის ნავთობგაზის აუზი (კომი), ჩრდილო კავკასია და პოტენციურად საკმაოდ პერსპექტიული სახალინი.

ძალიან დიდია, თუმცა კიდევ უფრო გაზვიადებულია კასპიის ნავთობის პოტენციალი. 80-იანი წლების ბოლოს აზერბაიჯანი დაახლოებით 13 მლნ ტ-ს მოიპოვებდა, თანდათანობით ამცირებდა რა წარმოებას. ხელახლა აღმოჩენილი, სიღრმისეული საბადოების უტყუარი მოცულობა 500 მლნ ტონას ძლივს აჭარბებს. ოპტიმისტური პროგნოზების მიხედვით, ამიერკავკასიური ნავთობის ექსპორტი უახლეს წლებში 5 მლნ ტონამდე შეიძლება იქნეს დაყვანილი.

პრაქტიკულად მთელი ნავთობის (95%) ტრანსპორტირება ნავთობსადენებით ხდება. რუსეთი უზარმაზარი ნავთობსადენის სისტემას ფლობს, რომელიც სიგრძით 50000 კმ-ის და თავისი სიმძლავრით, ზოგადი შესაძლებელი გამშვები უნარით არა მარტო დასავლეთ ევროპის, არამედ ამერიკულ-კანადურსაც აჭარბებს.

ქვეყანა შავი მეტალურგიისთვის საჭირო ნედლეულით სავსებით უზრუნველყოფილია (გარდა მანგანუმის საბადოებისა, რომლებიც უკრაინაში, ყაზახეთსა და საქართველოში დარჩა). შავი მეტალურგიისთვის მოძიებული მარაგები დაახლოებით 2 ტრლნ დოლარადაა შეფასებული. ამასთან, მუშავდება ძირითადად მდიდარი (Fe — 60%-მდე) მადნები, რომლებიც გამდიდრებას არ საჭიროებენ, თუმცა კვლავ გრძელდება ღარიბი საბადოების დამუშავებაც რკინის 20-30%-იანი შემცველობით.

რკინის მადნების უმსხვილესი საბადოები თავმოყრილია: კურსკის მაგნიტურ ანომალიაში (კმა) — CIS-ისქვეყნების მთელი რკინის მადნის 40%,

ურალში (კაჩკანარის საბადო), კარელიასა და კოლის ნახევარკუნძულზე (ოლენოგორსკსა და კოსტომუშში), დასავლეთ ციმბირში (მთიანი საძოვრები); აღმოსავლეთ ციმბირში (ანგარო-პიტის, ანგარო-ილიმის და აბკანის საბაოდები), შორეულ აღმოსავლეთში (კიმკანის და სხვ.).

რკინის მადნის მოპოვების დაახლოებით 80% ღია წესით ხორციელდება (მსხვილ კარიერებში — 15-35 მლნ ტ-ის სიმძლავრით წელიწადში). კოქსვადი ნახშირის ძირითადი მარაგები კუზბასსა და პეჩორის აუზებშია თავმოყრილი. კოქსვადი ნახშირის საერთო მოპოვებამ 1997 წელს 52 მლნ ტ. შეადგინა, რაც 5%-ით დაბალია, ვიდრე 1996 წელს იყო.

რუსეთში ფერადი ლითონების მადნების მარაგი 1,8 ტრლნ დოლარადაა შეფასებული. დარგის პოტენციალი საკმაოდ დიდია, თუმცა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მიძიებული მარაგების ნამატის შემცირების პროცესი უმნიშვნელოვანესი ფერადი ლითონების მოპოვების მოცულობის მიმართ. მოძიებული მარაგებით მადნების მოპოვების უზრუნველყოფა 1991 წელთან შედარებით სპილენძის მიხედვით 2-ჯერ შემცირდა, ხოლო ტყვიის — თითქმის 9-ჯერ. ყოველივე ამან დარგის სანედლეულო ბაზაში სიტუაცია შეიძლება გაართულოს.

საერთოდ კი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების აშკარა უკმარისობა და მოპოვებიდან ყოველწლიურად საძიები მარაგების მიხედვით ჩამორჩენა დღეს ქვეყნის მთელი სანედლეულო კომპლექსის მწვავე პრობლემას წარმოადგენს.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგებით ქვეყნის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია წელთა რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც იქნება საკმარისი იგი პროგნოზული გამომუშავების მიხედვით. რა თქმა უნდა, იგი დიდადაა დამოკიდებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ზრდის პროგნოზებზე. უზრუნველყოფილობის ერთ-ერთი ვარიანტი წარმოდგენილია ცხრილში 23.1.

რუსეთი წყლის რესურსებით შედარებით კარგად უზრუნველყოფილია. სამდინარო ნაკადის მოცულობით (4262 კმ^3/წელიწადში) მას მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია ბრაზილიის შემდეგ. რუსეთის ერთ მცხოვრებზე საშუალოდ 30 ათასი მ^3 წყალი მოდის წელიწადში (ანუ 76 მ^3/დღე-ღამეში). შედარებისთვის გეტყვით, რომ ევროპაში ერთ სულზე მოდის 4,6 ათასი მ^3/წელიწადში, ხოლო აზიაში — 5,2 ათასი მ^3/წ.-ში, დედამიწაზე მცხოვრებისთვის კი — საშუალოდ 9,0 ათასი მ^3/წელიწადში. მიუხედავად ამისა, რუსეთში სამდინარო ნაკადის განაწილება უთანაბროა. შედარებით მცირერიცხოვან რაიონებში — ჩრდილო ყინულოვანი და წყნარი ოკეანის აუზებში — მთელი წყლის რესურსის 87% მოდის. კასპიისპი-

ცხრილი 23.1.

რუსეთის უზრუნველყოფილობა სასარგებლო წიაღისეულის მოძიებული მარაგებით

სასარგებლო წიაღისეული	წელთა რაოდენობა
ნავთობი	35
ბუნებრივი გაზი	81
ნახშირი	100
რკინის მადნები	42
სპილენძი	40
ნიკელი	40
თუთია	18
ტყვია	15
ოქრო	37

წყარო: *Путь России в XXI век. - М.: Экономика. 1999.*

რეთის და დასავლეთი ციმბირის სამხრეთით მდებარე ტერიტორიებს წყალსადინარის მეჩხერი ქსელი გააჩნია, ხოლო ამ რეგიონის მთავარი წყლის რესურსები — ვოლგა და ირტიში — სატრანზიტო მდინარეებია და წყლის ამოღების შესაძლებლობა მათგან სასოფლო და კომუნალური მეურნეობებისათვის შეზღუდულია.

ახლა გადავიდეთ მიწის რესურსებზე. არსებული მიწის 13% სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია, ეს კი 210 მლნ ჰექტარია, რაც საკმაოდ ბევრია, რადგან ადამიანის სრულად გამოკვებისათვის 1 ჰა მიწა საკმარისია, ხოლო რუსები რაოდენობის მიხედვით 150 მლნ-ზე ნაკლებია. ამ ფართობში არ შედის 32 მლნ ჰა ირმის საძოვრები და 778 მლნ ჰა — ტყეები და ბუჩქნარი, რომელთაც პროდუქციის მოცემა შეუძლიათ. ბევრია სათიბი — 23 მლნ ჰა, საძოვრები — 64,5 მლნ ჰა, სახნავი მიწა — 125 მლნ ჰა. თითქოსდა იქმნება სრული სასურსათო დოვლათის სურათი, ასეთ მიწის რესურსებს ხომ მარტო აშშ და ინდოეთი ფლობს, რომელთაც ბევრად დიდი მოსახლეობა ჰყავს.

თუმცაღა არ უნდა დაგვავიწყდეს ამ მიწის სავარგულების გეოგრაფიული მდებარეობა და ხარისხი. შეგახსენებთ, რომ 52-ე განედი — კიევის განედია, რომლის ქვემოთ მდებარეობს რუსეთის კარგი და არცთუ უზარმა-

ზარი მიწის ფართობი (ცენტრალური შავმიწანიადაგიანი, ჩრდილო კავკასიის რაიონები და ვოლგისპირეთის ეკონომიკური რაიონის სამხრეთი); ისინი განლაგებულია არა მარტო აშშ-ის ჩრდილოეთი საზღვრის (ალიასკის გარეშე), არამედ კანადის და დასავლეთი ევროპის სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა დიდი ნაწილის ზემოთ. აშშ-ში ბიოკლიმატური პოტენციალი ჩვენზე 3-ჯერ მეტია, ხოლო დასავლეთ ევროპაში — 2,5-ჯერ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 1,5% იღებს 700 მმ-ზე მეტ ნალექს წელიწადში, ე. ი. ნებისმიერი აგრარული თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნების ჩვეულებრივ ნორმას. სახნავი ფართობის დაახლოებით 50%-თვის სითბური რესურსები საკმარისი არაა შაქრის ჭარხლის, სამარცვლე სიმინდის, მზესუმზირის და სხვა მრავალი კულტურის დასამუშავებლად. საკმარისი სითბური უზრუნველყოფის შეხამება მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ დატენიანებასთან სახნავი მიწის 10%-ზე ნაკლებია. რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი დატბორილი ან ძლიერ დატენიანებულია, მაღალი მჟავიანობა ახასიათებს, დამლაშებულია ან მარილიან კომპონენტებს შეიცავს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 113 მლნ ჰა წყლისა და ქარის ეროზიას ექვემდებარება. მთლიანობაში, სახნავის დაახლოებით 80% გაუმჯობესებას, ანუ მელიორაციული სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს.

სინამდვილეში აი, რა გვაქვს რუსეთში — სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, უზარმაზარი როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი (1 სულ მოსახლეზე) მაჩვენებლებით, საშუალოდ დაბალხარისხიანი, სითბოთი და ტენით არასაკმარისად უზრუნველყოფილი, საკმაოდ მყიფე გარე ზემოქმედების მიმართ, ძირითადად, ამინდის ფაქტორების მიხედვით, ისინი მიწათმოქმედებისთვის სარისკო ზონებში მდებარეობს.

ქვეყნის უზარმაზარი სიმდიდრეა ტყე. რუსეთი მსოფლიოს ხე-ტყის მარაგების 20%-ს ფლობს. ეს მარაგები 82 მლრდ $მ^3$-ადაა შეფასებული, ანუ კაცზე 560 $მ^3$ მოდის. საშუალოდ დედამიწის მცხოვრებზე ხე-ტყის მარაგების მხოლოდ 70 $მ^3$ მოდის, ანუ აქაც უზარმაზარი სარესურსო უპირატესობაა. გამოთვლილია, რომ მარტო ტყის მეურნეობას შეუძლია უზრუნველყოს განვითარებული ქვეყნების დონეზე ანაზღაურებადი სამუშაოთი რუსეთის მცხოვრებთა 20%.

რუსეთის ხელისუფალნი მრავალი საუკუნის განმავლობაში მიეჩვივნენ არა მარტო უზარმაზარ ბუნებრივ პირობებში, არამედ დემოგრაფიულ რესურსებშიც მუშაობას. რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი ხანის ყველა დიდი პროექტი, სანქტ-პეტერბურგის მშენებლობიდან დაწყებული და ბამ-ის (ბაიკალო-ამურის მაგისტრალი) დამთავრებული, ია-

ფი სამუშაო ძალის უზარმაზარი რესურსების გამოყენებას ეფუძნებოდა. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში თითქოსდა ამოუწურავ დემოგრაფიულ რესურსებზე გათვლილი იყო რუსეთის სამხედრო დოქტრინებიც. XIX საუკუნის ბოლოს თანამედროვე რუსეთის ფარგლებში 67,5 მლნ კაცი ცხოვრობდა, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 4%. 1992 წელს ამ საზღვრებში უკვე 148,7 მლნ ადამიანი იყო. მოსახლეობამ ქვეყნის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში მაქსიმუმს მიაღწია, თუმცა იგი მსოფლიოს მხოლოდ 2,5%-ს შეადგენდა. 1992 წლიდან მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს. CIS-ის ქვეყნებიდან და ლატვიიდან რუსების დაბრუნების მიუხედავად, 1999 წლისათვის მოსახლეობა 146 მლნ კაცამდე შემცირდა. თუკი სიკვდილიანობის შობადობაზე გადაჭარბების არსებული ტენდენციები შენარჩუნდება, მაშინ 2010 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობა 138-142 მლნ კაცამდე შემცირდება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პრობლემაა მოსახლეობის დაბერება. სწრაფადმზარდი მოსახლეობის უფროსი ჯგუფის საპენსიო უზრუნველყოფისათვის საშუალებათა უკმარისობის სახიფათო ტენდენციები პრაქტიკულად 2005 წლისათვის გამოვლინდება. 2006 წლის შემდეგ შრომისუნარიანი მოსახლეობის ბუნებრივი კლება მიიღებს ზუსტად ზვავისებრ ხასიათს — 2005-2010 წლებისთვის 3 მლნ კაცზე მეტი და 2010-2015 წლებისთვის 5 მლნ კაცზე მეტი.

ახლა განვიხილოთ რუსეთის ცივილიზაციური რესურსები.

23.2. რუსული ცივილიზაციური რესურსები

რუსეთი, ანუ რუსეთის ცივილიზაცია უკვე 1000 წელზე მეტია არსებობს. სხვათა შორის, რევოლუციამდე ტერმინი „რუსული“ გამოიყენებოდა სიტყვა „რუსეთის“ თანამედროვე გაგებით, ე. ი. რუსეთის ყველა მცხოვრები რუსებად იწოდებოდნენ, ხოლო ეთნიკურ რუსებს ველიკორუსებს ეძახდნენ.

ეს კაცობრიობის ყველაზე ჩრდილოეთის ერთ-ერთი ცივილიზაციაა. რუსებმა შეძლეს დიდი ქალაქების აშენება და ისწავლეს სრულად ნორმალური მოსავლის მიღება ურთულეს კლიმატურ პირობებში. ისინი დნეპრის ნაპირებიდან ჩრდილოეთის მიწებზე გადადიოდნენ, თავი რომ დაეღწიათ მომთაბარეთა მუდმივი შემოტევებისგან, რომლებიც მეზობლად, დიდ სტეპებში ცხოვრობდნენ. ხოლო შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, მიიწევდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით, რითაც ამ მომთაბარე ხალხებს ავიწროებდნენ, იმორჩილებდნენ და დიდ რუსულ სახელმწიფოში იერთებდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რუსეთი — ეს ახალი „კოლონიური“ მიწებია, რომლებიც თანამედროვე უკრაინის ტერიტორიიდან წამოსული ხალხითაა დასახლებული. ამიტომ რუსეთს უკრაინის მიმართ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა უკავია, როგორც აშშ-ს ინგლისის მიმართ. და კარგი იქნებოდა, მათ მსგავსი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება თუ გაუჩნდებოდათ.

მძიმე კლიმატურმა პირობებმა, მდიდარმა ბუნებრივმა რესურსებმა, დაბალპროდუქტიული მიწების სიუხვემ და მებრძოლი მეზობლების თავდასხმების მუდმივმა საფრთხემ უნიკალური რუსული ეროვნული ხასიათი შექმნა. რუსული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა კონსერვატიულმა მართლმადიდებლურმა რელიგიამ.

რუსული ცივილიზაციის პოტენციალის ანალიზისას შეიძლება აღვნიშნოთ მისი შემდეგი დამახასიათებელი თვისებები, რომლებმაც ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს.

1. რუსული მართლმადიდებლური ცივილიზაციისთვის დამახასიათებელია *სწრაფვა წმინდანობისაკენ.* რუსეთს ხშირად ტყუილად კი არ ეძახიან „წმინდას“. ღარიბი, ხშირად უბადრუკი „ნეტარი“, წმინდა ადამიანი რუსეთში ყოველთვის იყო განსაკუთრებულად პატივცემული. ასეთი წმინდანობა და არა შრომისმოყვარეობა და ამგვარად შექმნილი სიმდიდრე, ისევე როგორც პროტესტანტებისთვის, მართლმადიდებლურ სამოთხეში ყოველთვის საშვად ითვლებოდა. სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, ესოდენ აუცილებელი თანამედროვე ეკონომიკაში წარმატების მისაღწევად, მართლმადიდებლობაში „სულიერ ავადმყოფობად“ ითვლება, ნაკლად, რომლისგანაც აუცილებელია განიწმინდოთ. ასეთი ცივილიზაციური რესურსები, ბუნებრივია, კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებას ხელს არ უწყობს, ასევე — ეკონომიკურ განვითარებასაც.

2. მართლმადიდებლობა, სხვა ქრისტიანულ მიმართულებებთან შედარებით, ადამიანს საოცრად მაღალი ზნეობრივი სისუფთავის, წმინდანობასთან მიახლობულ მოთხოვნებს უყენებს. თუმცა თავადვე გვაძლევს შესაძლებლობას *მოვინანიოთ საკუთარი ცოდვები გულწრფელი ალსარებით.* მშვიდი, რიტმული შრომითი ცხოვრების უნარმოკლებულმა რუსებმა, რომლებიც მკაცრი ბუნების გამო შეჩვეული არიან ცხოვრების რიტმის მკვეთრ ცვლილებებს — მეოცნებე და წყნარი ზამთრიდან საოცრად დაძაბულ მოკლე ზაფხულამდე, რომელიც „დიდ წელიწადს კვებავს“, თავისი რელიგიის ამ თვისების მისადაგება მოახერხეს პრაქტიკულ ცხოვრებასთან. ყველა რუსი ბატონი, ჩინოვნიკი და მრეწველი, მართლმადიდებლური თვალსაზრისით, უსასოოდ ცოდვილი იყო. ისინი თვითონაც ასე მიიჩნევდნენ თავს. თუმცა ამ

ადამიანებს, რომელთაც რუსული ცივილიზაციის ყველა გამარჯვება უზრუნველყვეს, ჩვეულებრივ, თავიანთი ცხოვრება, ასე ვთქვათ, რამდენიმე პერიოდად ჰქონდათ დაყოფილი: აბსოლუტურად ცოდვიანი, ანუ ყველა შესაძლო ვნებას დაქვემდებარებული, ბრძოლას ხელისუფლებისთვის თავის ძირითად საქმიანობად მიიჩნევდნენ, ხოლო მცირე თუ დიდი ხანგრძლივობის პერიოდს ცოდვების მონანიებას უთმობდნენ. ვიღაცისთვის პერიოდის ეს მონაცვლეობა ამაზრზენ სახეს იღებდა, მაგალითად, ივანე მრისხანესათვის, რომელიც სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ პირდაპირ ცოდვების მოსანანიებლად მიდიოდა; სხვებისთვის იგი ფარულად, სულიერ ჭიდილში მიმდინარეობდა, მაგრამ ასეთი მკვეთრი გადასვლა — ბობოქარი და, რა თქმა უნდა, მართლმადიდებლურად ცოდვილი საქმიანობიდან ცოდვების მონანიებაზე — შესანიშნავი აღმოჩენა იყო მათთვის, ვინც მარჯვედ გამოიყენა ეს რეალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაღაც ფანტასმაგორულ ზღვრამდე დაიყვანა ეს სასარგებლო წეს-ჩვეულება რუსული სულის კარგად მცოდნე გრიგორი რასპუტინმა, რომელიც თავის „სამწყსოს" სპეციალურად ურჩევდა ცოდვის ჩადენას, რათა შემდეგ მოენანიებინათ, ვინაიდან, მისი აზრით, მონანიება უფრო ნებავს უფალს, ვიდრე უბიწო ცხოვრება.

ცოდვილი ცხოვრების და მონანიების პერიოდთა მონაცვლეობა რუსულ საქმიან კულტურაში ღრმად და ორგანულად შევიდა. იგი რუსულ ბიზნესს სპეციფიკურს ხდის, რომელსაც განსაზღვრულ პერიოდებში უნარი შესწევს, გადააბიჯოს საყოველთაოდ მიღებულ შეზღუდვებს, აღმოჩნდეს დაწერილი თუ დაუწერავი კანონების ფარგლებს გარეთ, რათა სახიფათო და ეკონომიკურად ეფექტიანი ოპერაციები მოახდინოს, ხოლო შემდეგ ძალზე მშვიდად დაუბრუნდეს განმარტოებულ მონანიებას და სადღაც მშობლიურ სოფელში ცოდვების მოსანანიებლად სამლოცველო ააშენოს. ასეთი ტრადიცია რუსული ბიზნესის წარმატებებს ხელს უწყობს, ანიჭებს მას შემტევ ხასიათს, ქმნის კონკურენტულ უპირატესობებს.

3. მართლმადიდებლურ ფასეულობებზე აღზრდილი *რუსული ცივილიზაცია ასევე საკმაოდ ძონსერვატორულია.* რუსულ ნიადაგზე რეფორმები მძიმედ მიმდინარეობს. ეროვნული ცნობიერება ცხოვრების წესის არსებულ ცვლილებებს ინსტინქტურად ეწინააღმდეგება. შეიძლება ამიტომაც რუსეთი გარდატეხის მომენტებს ესოდენ ავადმყოფურად განიცდის, შესაბამისად რევოლუციური ეტაპები ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს. ამორჩევის პრობლემები, იმ ჩვეულისგან განდგომა, რაც მსოფლიოში რევოლუციური ცვლილებების შედეგად წარმოიშობოდა, იქნებოდა ეს სამხედრო სიახლე თუ წარმოების ტექნოლოგიური საშუალებე-

ბის შეცვლა, საზოგადოების ყველა ფენაში თითქმის ნარკომანულ „ლომკას“ იწვევდა, რასაც ქვეყანა ხშირად საშინელ შედეგამდე მიყავდა, ზოგჯერ „უაზრომდეც“ კი, თუმცა ყოველთვის „დაუნდობელამდე“. რუსული კონსერვატიზმის პლიუსები და მინუსები განსაკუთრებით ცხადად მის სამხედრო ისტორიაში გამოვლინდა. XVIII საუკუნის ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ, რომლებიც სუვოროვის დევიზით — „ტყვია — სულელია, ხიშტი — ყოჩაღი“ — მიმდინარეობდა, რუსული არმიები საუკუნენახევარი დაჟინებით ცდილობდნენ „ვაჟკაცურ, ხელჩართულ ბრძოლაში“ გადამწყვეტი შეტაკებით შებრძოლებოდნენ მოწინააღმდეგეს, ჰქონდათ რა სულ უფრო მზარდი დანაკარგი მოწინააღმდეგეების დროთა განმავლობაში სრულყოფილი საბრძოლო საშუალებებით. დიდი სამამულო ომის დაწყებისას რუსეთის მარშალი-კავალერისტების მიერ ბოლოწაწვეტებული გერმანული ტანკების ხილვით შეძრწუნებული იყვნენ და დიახ, უკვე თითქმის ჩვენს დროში ისეთი სატანკო არმადების მშენებლობაზე გადავედით, რომ მათი დახმარებით არა მარტო ბერლინი ავიღეთ, არამედ შემდგომი 50 წლის განმავლობაში ამ ტანკებით ურალის და ციმბირის უკიდეგანო სივრცეები ისე გავავსეთ, რომ დაგვავიწყდა ომის ბოლოს სატანკო შეტევების აშკარად მაპარალიზებელი ფაშისტური „ფაუსტები“ და შესანიშნავი სამამულო ყუმბარმტყორცნები, რომელთა მეშვეობითაც გროზნოში რუსეთის საბრძოლო მანქანები ისე იწვოდნენ, როგორც ასანთის კოლოფები.

4. ტრადიციონალიზმი და ცხოვრების წესში ცვლილებების მიმართ არამდგრადობა, რაც ამ ცვლილებათა მუდმივად უარყოფითი გავლენის შედეგებითაა დადასტურებული, საოცრად ეხამება რუსების მაძიებელ გონებასა და უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას. მკაცრი ზამთრის შეხამებამ, რომელიც ფიქრისა და განზოგადებისთვის დროს იძლევა, მოკლე ზაფხულთან, რომელიც მძიმე სამუშაოთი არის სავსე, *რუსთა ინოვაციური, საოცარი ჩვევების განვითარებისთვის* შესანიშნავი პირობები შექმნა. თუმცა მათი ინოვაციური აქტიურობა, ჩვეულებრივ, ტექნოლოგიური სფეროთია შემოფარგლული. სწრაფი ინსტიტუციონალური ინოვაციები ცივილიზაციურ საფუძველს ეწინააღმდეგება და საზოგადოების მიერ ცუდად მიიღება.

5. რუსული ცივილიზაცია *სახელმწიფოებრიობის* სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მკაცრმა ისტორიამ დაგვანახა, რომ მძლავრი სახელმწიფოს გარეშე მოცემულ ტერიტორიაზე გაძლება შეუძლებელი იქნებოდა. რელიგიამ და საკუთარმა ისტორიულმა გამოცდილებამ სახელმწიფო საოცრად მაღალ კვარცხლბეკზე აიყვანა. ამან რუსეთში გამოიწვია ხელისუფლების

თვითმპყრობელური ხასიათი, იმის მიუხედავად, წარმოადგენდა თუ არა იგი მოცემულ ისტორიულ მომენტში მონარქიას, სოციალისტურ თუ თანამედროვე საპრეზიდენტო რესპუბლიკას. ხალხი შეეჩვია ხელისუფლების პერსონიფიცირებას და იგი ამით სარგებლობს. სახელმწიფოს მიმართ უზარმაზარი ნდობა არაერთხელ იქნა გამოყენებული გრანდიოზული პროექტების განსახორციელებლად, რაც ხალხისგან თავგანწირვას საჭიროებდა. სახელმწიფო მიეჩვია თავის თავის გაიგივებას ქვეყანასთან და საზოგადოებას მუდამ რაზმავდა, თავის ნებას უქვემდებარებდა. რუსეთის პირობებში ბაზრის წარმატებული განვითარებისთვის სახელმწიფო უნდა მიდიოდეს დიდ თვითშეზღუდვებზე, ვიდრე ის ქვეყნები, რომელთაც სხვაგვარი ცივილიზაციური ფასეულობები გააჩნია.

6. რუსულ ცივილიზაციას უმეტესწილად *კოლექტივიზმი* ახასიათებს. ზაფხულის ავრალური შრომის დროს ძალის კოოპერაცია მუდმივად აუცილებელი იყო. მართლმადიდებლობა ღმერთთან ურთიერთობის სათემო, კოლექტიურ მეთოდს ეკლესიის მეშვეობით აცხადებდა. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დროს ეს ცივილიზაციური თვისება კომუნისტებმა მოხერხებულად გამოიყენეს. არსებითად, კომუნიზმის მშენებლის კოდექსი ცნობილ მართლმადიდებლურ ფასეულობებს იმეორებდა და ამიტომ ხალხის მიერ მთლიანობაში იქნა მიღებული.

7. რუსი ხალხი მთელი ისტორიის განმავლობაში იშვიათ *ერთვნულ შემწყნარებლობას* ავლენდა. ახალ მიწებზე მოსული რუსები, ჩვეულებრივ, მდინარეების და მთების სახელწოდებებს ადგილობრივ ენებზე ტოვებდნენ, ინსტინქტურად ცდილობდნენ უცხოური კულტურების შეწოვას, ერთაშორის ქორწინებებს არ ერიდებოდნენ. ამიტომ რუსებმა თავის თავში ორგანულად შეითვისეს მრავალი ერი და ხალხი. იგი გენეტიკურად მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ხალხია. შესაძლებელია, ამითაა გამოწვეული მისი გამორჩეული ინოვაციური უნარიც. რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ყოველთვის მრავალეროვნული იყო. იგი იოლად იღებდა სხვა ხალხის წარმომადგენლებს და სიამოვნებით სწავლობდა მათგან. საკმარისია მოვიგონოთ მთავრად დანიშვნაზე ვარიაგების ლეგენდარული მოწვევა, რამაც კიევის რუსეთის სიძლიერეს დაუდო სათავე, პეტრეს გენიალური რეფორმები, რომლის შედეგად რუსეთი გახდა არა მარტო ძლიერი, არამედ ევროპის ცივილიზებული სახელმწიფოც, რომელსაც შესანიშნავი გერმანელი მეცნიერები — ეილერი და ჰაუსი — სამეცნიერო სკოლებით ხელმძღვანელობდნენ. რუსული ინტელიგენცია ფრანგულ და ევროპის სხვა ენებზე არა მარტო თავისუფლად საუბრობდა, არამედ აზროვნებდა კიდეც. ეს მის პატრიოტიზმს, რომელიც 1812 წლის ომში

გამოვლინდა, ხელს არ უშლიდა; ამას არც XIX საუკუნის უდიდესი რუსული ლიტერატურის შექმნაში შეუშლია ხელი. დიად ქვეყანას არასოდეს ეშინოდა გადმოღების, სესხების და, შეიძლება ამიტომაც მუდამ დიადი რჩებოდა. რუსეთს თავის სამსახურში ყოველთვის შეეძლო მოეზიდა სხვადასხვა ერის საუკეთესო წარმომადგენლები, შეეთვისებინა უცხო წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, თავის თავში შეეხამებინა სხვადასხვა კულტურის ელემენტები, ახორციელებდა რა თეორიული მსჯელობის და პათოსის გარეშე ეკონომიკური და სამეურნეო წყობების კონვერგენციას. ეს შესანიშნავი, ისტორიით შემოწმებული თვისება როგორც არასდროს, ისეა აუცილებელი დღევანდელი ისტორიის ციცაბო ვირაჟზე, როცა ახალი, სწრაფადცვალებადი პირობების მიმართ ადაპტაციის უნარი ცივილიზაციის განვითარებისთვის შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

8. რუსეთში ყოველთვის არსებობდა აზრი რუსი ხალხის განსაკუთრებული გზის, განსაკუთრებული მისიის და თვით ღმერთის რჩეულობის შესახებაც კი (იხ. ეპიგრაფი). ალბათ აქედან გამომდინარეობს სრულიად განსაკუთრებული, არსად აპრობირებული, მსოფლიო საერთო კანონზომიერებათა მოქმედების არეალის გარეთ არსებული, ეკონომიკური განვითარების წმინდა რუსული გზების მუდმივი ძიება. თავისი განსაკუთრებული გზის საძიებლად ჩატარებულმა XX საუკუნის გრანდიოზულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ექსპერიმენტმა რუსეთის ხალხებს უამრავი უბედურება მოუტანა. ორი მსოფლიო და სისხლისმღვრელი სამამულო ომით, თავისი მასშტაბებით უპრეცენდენტო რეპრესიებით სოციალური პოტენციალი დიდად დაზარალდა. მსგავსი ექსპერიმენტების გაგრძელებამ შეიძლება რუსული ცივილიზაციის დაღუპვამდე მიგვიყვანოს.

მაშ ასე, აღვნიშნოთ, რომ:

1. რუსეთი უმდიდრეს ბუნებრივ რესურსებს ფლობს, რომელთა სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე მეტია, ვიდრე უმეტეს დიდ ქვეყნებში. თუმცა ამ რესურსების დიდი ნაწილი ქვეყნის ძნელადმისადგომ რაიონებშია, რაც მათ ეფექტიან გამოყენებას ხელს უშლის.

2. რუსული ცივილიზაცია რიგ სპეციფიკურ, ხშირად ურთიერთსაპირისპირო თვისებებს ფლობს, ისეთებს, როგორიცაა სახელმწიფოებრიობა, კოლექტივიზმი, კონსერვატიზმი, ეროვნული შემწყნარებლობა, ინოვაციური მზაობა, ადაპტაციის უნარი და სხვა, რომელთაც სხვადასხვა ვითარებაში შეუძლია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენის მოხდენა ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობაზე.

23.3. რუსეთის ეკონომიკური მოდელი

90-იან წლებში წარმოქმნილ, ძალიან თავისებურ და წინააღმდეგობრივ რუსულ ეკონომიკურ მოდელში რუსეთისა და რუსული საზოგადოებისათვის მრავალი ისტორიულად დამახასიათებელი ნიშან-თვისება გამოვლინდა.

როგორც ცნობილია, რუსეთი თავის ისტორიულ განვითარებაში შესამჩნევად იგვიანებდა. მაგალითად, ბატონყმობა მხოლოდ 1861 წელს გაუქმდა, თითქმის ორი საუკუნით გვიან, ვიდრე საფრანგეთში და შვიდი საუკუნით გვიან, ვიდრე ინგლისში. რუსეთის ბოლო იმპერატორი 1918 წელს მოკლეს, ფრანგებმა კი თავისი მეფე სიკვდილით 1793 წელს დასაჯეს, ხოლო ინგლისელებმა — 1649 წელს.

მმართველობის თვითმპყრობლური ტიპი, რაც ყოვლისშემძლე სპეცსამსახურებზე იყო დაფუძნებული, რომელიც ფაქტობრივად კანონის ფარგლებს სცდებოდა ხელმწიფის პირადი ნებიდან გამომდინარე, შექმნა ივანე მრისხანემ თავისი ოპრიჩნიკებით და იგი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. პრაქტიკულად ის მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა რუსი მონარქის და საბჭოთა გენერალური მდივნების დროსაც შენარჩუნდა, ხოლო ამ უკანასკნელთა ძალაუფლება ფაქტობრივად შეუზღუდავი იყო.

რუსეთის ისტორია საოცრად სისხლიანია. ფეოდორ ტიუტჩევი ნახევრად ხუმრობით ამბობდა, რომ რუსეთის ისტორია „პეტრე დიდის შემდეგ - ერთი მთლიანი სისხლის სამართლის საქმეა". არც სხვა ევროპულ ქვეყნებში ერიდებოდნენ განსაკუთრებულად საშუალებების შერჩევას, მაგრამ რუსეთში, ჯერ ერთი, ტერორი ხშირად მთელ ქვეყანას მოიცავდა ხოლმე — ზემოდან ქვემოთ და, მეორე, ბევრად გვიან ცხრებოდა, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომ რუსეთი დღემდე ცხოვრობს თვითმპყრობელურ-ტერორისტული სახით ხელისუფლების დაბრუნების შიშით და ეს მნიშვნელოვნად ირეკლება ეკონომიკაზეც.

რუსეთში გადაწყვეტილებათა მიღების დროს კანონები ბოლო ინსტანცია არასოდეს იყო. მაგალითად, ინგლისისგან განსხვავებით, რუსეთში სასამართლო ვერ გახდა ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო. აღმასრულებელი ხელისუფლება, ჩვეულებრივ, კანონებზე კი არ ახდენდა ორიენტირებას, არამედ ხელმწიფის ნება-სურვილზე, პარტიულ დირექტივებზე ან ბოლო წლებში საპრეზიდენტო ბრძანებულებებზე. კანონები ცხოვრობდნენ და, რაც მნიშვნელოვანია, ახლაც თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ, ხოლო ხელისუფლება — თავისი ცხოვრებით. როგორც ბრძნულად შენიშნა ჯერ კიდევ სალტიკოვ-შჩედრინმა: „რუსული კანონების სამკაცრე შერბილებულია მათი შესრულების არასავალდებულობით". ახ-

ლაც კი ახალ, დემოკრატიულ რუსეთში, სადაც „კანონის დიქტატურაა" გაცხადებული, არსებობს ასობით კანონი, რომელთა შესრულებას აღმასრულებელი ხელისუფლება არ თვლის სავალდებულოდ და უბრალოდ მათ არ ასრულებს, მორჩა და გათავდა. სასამართლო ძალაუფლება მოსახლეობის ნდობით არ სარგებლობს. დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის მიერ აპრილში ჩატარებული გამოკითხვების მონაცემთა მიხედვით, რუსეთში მართლმსაჯულების სისტემას სავსებით ენდობა რესპოდენტთა 6,5%, რაღაც ხარისხით მართლმსაჯულება ნდობით სარგებლობს 28,3% რუსებში; გამოკითხულთა 34,3% მართლმსაჯულებას არც ისე ენდობა, 27,3% სულ არ ენდობა, ხოლო მოქალაქეთა 3,6%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

პეტრე დიდის რეფორმების შემდეგ რუსეთი ჩინოვნიკთა უდიდეს ქვეყნად იქცა და მას შემდეგ ჩინოვნიკობა ფაქტობრივად ხელისუფლებას ხელს არ უშვებს. იგი, უბრალოდ, იცვლის თავის ფორმებს — თანრიგოსანი, უპირატესად თავადაზნაურული მეფის ჩინოვნიკიდან დაწყებული საბჭოთა და თანამედროვე დემოკრატიული ნომენკლატურამდე და ხელისუფლების შენარჩუნებას მყარად აგრძელებს. საოცარია, მაგრამ ჩინოვნიკთა ქცევის წესები და ჩვევებიც კი ჩინოვნიკებს თაობიდან თაობამდე გადაეცემა, მიუხედავად რევოლუციური პერიოდების ძალიან მკვეთრი საკადრო ცვლილებებისა. როგორც ჩანს, ისინი ჩადებულია ჩინოვნიკური კასტის რომელიღაც გენეტიკურ კოდში. ამ უძლიერესი კლასის გამოყოფის გარეშე, მისი ინტერესების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ბოლომდე გავიგოთ რუსეთის ეკონომიკური ისტორიის მამოძრავებელი ძალები და მოვახდინოთ ეკონომიკის წარმატებული რეფორმირება.

ზემოდასახელებულმა ისტორიულმა ნიშნებმა თანამედროვე ეკონომიკურ მოდელზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და კიდევ დიდხანს იმოქმედებს რუსული ეკონომიკის განვითარებაზე. რუსეთის ეკონომიკური მოდელი სხვადასხვაგვარი და ხშირად წინააღმდეგობრივი ელემენტების რთული სიმბიოზია, რომელთაგან თითოეულს თავის ისტორიული წარმომავლობა და სოციალური ბაზა აქვს საზოგადოებაში. ამ მოდელის დახასიათებისას შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი.

1. თანამედროვე რუსეთში ჩამოყალიბდა *ხელისუფლების სტრუქტურა*, რომელიც გარეგნულად დემოკრატიულია, მაგრამ მექანიზმების მიხედვით ახლოსაა ავტორიტარულთან. კონსტიტუციის თანახმად, რუსეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ამასთან, 1993 წლის კონსტიტუციით, პრეზიდენტი თითქმის მონარქის ხელისუფლებას ფლობს. თუკი სტრუქტურის მიხედვით რუსულ კონსტიტუციასთან ახლო მდგომი საფრანგეთის

კონსტიტუცია, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი ნიმუში გახდა რუსეთის კონსტიტუციაზე ავრალური მუშაობის დროს 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ხელისუფლებას საპარლამენტო უმრავლესობით აყალიბებს, რუსეთში მისი დანიშვნა და გადაყენება მთლიანად პრეზიდენტის კომპეტენციაშია და იგი ამას მხოლოდ სახელმწიფო დუმასთან ათანხმებს. რუსეთში პრეზიდენტი — სახელმწიფოს სრულძალაუფლებიანი მეთაურია და ეს ისტორიულ ტრადიციას სავსებით ესადაგება.

2. რუსეთში სხვადასხვა ორგანოს მიერ *პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ფუნქციონირების დუბლირება* ტრადიციულად შენარჩუნდა. თუკი აშშ-ში პრეზიდენტი ერთდროულად მთავრობის მეთაურიცაა, რაც პრაქტიკულად პრეზიდენტის ადმინისტრაციას ერწყმის, რუსეთში მთავრობა პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებლად არსებობს. მთავრობა მთლიანად პასუხისმგებელია ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ ძალაუფლებას იყოფს პოლიტიკურ ჩრდილში მოქცეულ საპეზიდენტო ადმინისტრაციასთან, რომელიც მნიშვნელოვანწილად მისი ფუნქციების დუბლიებას ახდენს. ამგვარი სიტუაცია იყო საბჭოთა კავშირშიც, სადაც თითოეული სამინისტრო პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილების მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა.

3. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმები მოხელეთა (ჩინოვნიკთა) რაოდენობის შემცირების ლოზუნგით მიმდინარეობდა, რეალურად მათი რაოდენობა მხოლოდ გაიზარდა, ამასთან 2-ჯერ მეტადაც კი, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მიხედვით რომ შევადაროთ. ჩინოვნიკები სრულიად აკონტროლებენ ქვეყნის შემოსავლების ყველა ცენტრს და ამისგან ცოტა შემოსავალს როდი იღებენ. *კორუფციამ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია.* რუსული კორუფციის სპეციფიკას, რომელიც მას განსაკუთრებული საფრთხეს სძენს, წარმოადგენს ის, რომ მან უბრალოდ კი არ დაიჭირა ადგილი სახელმწიფოსა და ბაზარს შორის სასაზღვრო ფენაში, როგორც ეს უმეტეს განვითარებულ ქვეყანაში ხდება, არამედ შეძლო სახელმწიფოსა და ბაზრისაგან მოეპოვებინა გვარიანი სივრცე, მოახდინა რა მასზე სპეციფიკური კორუფციულ-კრიმინალური ჩრდილოვანი ეკონომიკის ორგანიზება; ეს უკანასკნელი კი საკუთარი კანონების მიხედვით მოქმედებს (ან უფრო სწორად, საკუთარი გაგებით). Rand Corporation-ის მონაცემების თანახმად, რომელმაც ეს საკითხი შეისწავლა, რუსი სახელმწიფო მოხელეები ქრთამებს იღებენ საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების გაცემის 90%-ის შემთხვევაში, სატელეფონო ხაზების გამოყოფის 85%-ის შემთხვევაში, საზღვრის დაჩქარებული გადაკვეთის და შენობათა არაოფიციალური არენდის 80%-ის შემთხვევაში, საბანკო

კრედიტებამდე დაშვების და სახანძრო ინსპექციის ნებართვის მიღების 75%-ის შემთხვევაში.

4. რუსეთში ეკონომიკურ ხელისუფლებას *ძლიერი ხასიათი* აქვს და *მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან.* ვინაიდან პრეზიდენტი პრაქტიკულად შეუზღუდავ ხელისუფლებას ფლობს, ცალკეულ ეკონომიკურ ჯგუფთა კეთილდღეობა დიდადაა დამოკიდებული მის კეთილგანწყობასა თუ ათვალწუნებაზე. ამიტომ ეკონომიკური ჯგუფები, ჩვეულებრივ მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ პიროვნებებთან, ხელისუფლების სისტემასა და საპრეზიდენტო გარემოცვაზე. განვლილი პრივატიზაცია ძალზე ჩქარი იყო, რასაც მრავალრიცხოვანი შეცდომა და ბოროტმოქმედება ახლდა. ამიტომაც ამის შედეგად შექმნილი საკუთრების უფლება ქვეყნის მოსახლეობის მიერ არ აღიქმება, როგორც „წმინდა". ეს რუსეთის ეკონომიკურ მოდელს არასტაბილურობას ანიჭებს.

5. ქვეყანაში უმძლავრესი ჩრდილოვანი ბაზარი მოქმედებს. მას ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობით მეექვსე ადგილი უკავია ნიგერიის, ეგვიპტის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და მაკედონიის შემდეგ. ჩრდილოვანი სექტორი შეფასებულია მშპ-ის დაახლოებით 40%-ის დონეზე. რუსეთის ჩრდილოვანი ეკონომიკის ისტორია საუკუნეთა წიაღში მიდის. საკმარისია გავიხსენოთ რუსული ლიტერატურის კლასიკოსები. ჯერ კიდევ ოსტროვსკის პიესებში დაწვრილებითაა აღწერილი ეკონომიკურ დანაშაულებათა პრაქტიკულად ყველა ძირითადი ტიპი. საბჭოთა ხანაში იატაკქვეშეთში მოქცეულმა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ ტოტალური კონტროლის უსასტიკეს სისტემასთან ბრძოლის უზარმაზარი გამოცდილება დააგროვა და მისი გაუქმების შემდეგ შეძლო ამ გამოცდილების ბრწყინვალედ გამოყენება. მრავალი თანამედროვე ფინანსური სქემა შემუშავებულ და აპრობირებულ იქნა საბჭოთა ბანაკების მყუდროებაში. 90-იანი წლების დამდეგს კარგად ორგანიზებული და განშტოებული ჩრდილოვანი ეკონომიკა იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და შეეჯახა ახალგაზრდა, სუსტ რუსეთის სახელმწიფოს, რომელიც იოლად დაამარცხა. საკუთრივ კრიმინალური დაჯგუფებები ჩრდილოვანი სექტორის მხოლოდ 3%-ს შეადგენს, მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს მთელი ჩრდილოვანი სექტორისთვის და ნაწილობრივ სახელმწიფოსთვისაც კი საკუთარი წესების და „გაგებების" თავზე მოხვევა, რითაც მისი კორუმპირება სწრაფად მოახერხეს. კორუფცია სრულფასოვან საბაზრო ეკონომიკას განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს, ამუხრუჭებს ბაზრის მონაწილეთა ყოველ მოძრაობას, ამასთან, უზარმაზარ და გაუმართლებელ ტრანსაქციულ დანახარჯებს ქმნის.

6. თანამედროვე რუსეთის ფინანსური სისტემისთვის დამახასიათებელია *ფულით მცირე ნაჯვარობა — ეკონომიკის მონეტიზაცია, საწარმოთა უზარმაზარი დავალიანებები* ბიუჯეტის, არასაბიუჯეტო ფონდებისა და ბუნებრივი მონოპოლიების მიმართ, ასევე — ბაზრის მნიშვნელოვანი უფულო ფორმის ბრუნვები. ბარტერული გარიგებები ყველა საბაზრო ბრუნვის დაახლოებით 30%-ს შეადგენს. ეკონომიკის მსხვილი დარგების საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადახდისუუნაროა. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაახლოებით 60% გადახდისუუნაროა. ეს საწარმოები საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის გარეშე მუშაობენ, იყენებენ რა ნაღდ ფულს. არაფულადი და ნაღდი ბრუნვები ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციისათვის მშვენიერი ნიადაგია. ბევრი ფინანსური ორგანიზაცია საწარმოთა საშუალებების უკანონო „განაღდებაზე" სპეციალიზდება. სახელმწიფო იძულებულია ამაზე დახუჭოს თვალი, ვინაიდან ნაღდი ბრუნვის შეწყვეტას შეუძლია უმძლავრეს ეკონომიკურ კრიზისამდე მიყვანა და „ნაღდზე" დაფუძნებული ბაზრის მნიშვნელოვანწილად შეკვეცა.

7. *რუსეთის ეკონომიკა ძლიან დოლარიზებულია.* მთავრობის, ბანკების და ფინანსური ორგანიზაციების მიმართ მოსახლეობის საკმაოდ საფუძვლიანი უნდობლობის გამო, რომელთაც ისინი არაერთხელ მოატყუეს და გაქურდეს, რუსეთის ეკონომიკაში ვერ მოხერხდა მოსახლეობის დანაზოგთა მოსაზიდად სტიმულების შექმნა. მოქალაქეები ამჯობინებენ თავისი დანაზოგის შენახვას ნაღდი დოლარების სახით. ჩრდილოვან ეკონომიკაში დაახლოებით 60 მლრდ დოლარი ტრიალებს ან ჩვენი თანამემამულეების „წინდებში" ალაგია. იმავდროულად კი ქვეყანა კოლოსალურ საინვესტიციო შიმშილს განიცდის.

8. *რუსეთის საგარეო ვალი უზარმაზარია.* 1985 წლამდე სსრკ-ის ვალი მხოლოდ 25 მლრდ დოლარი იყო. 1985-1991 წლებში ეკონომიკის გარდაქმნა ვალისთვის მნიშვნელოვან ნამატად იქცა — იგი 95 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. ეს ვალი ახლანდელ რუსეთს გადაეცა. 90-იან წლებში მან 150 მლრდ დოლარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ მთელი 90-იანი წლები რუსეთი 7-8 მლრდ დოლარს იხდიდა პროცენტების სახით, კრედიტორებისთვის უკვე დაახლოებით 80 მლრდ დოლარია გადახდილი, საგარეო ვალი მხოლოდ გაიზარდა და დღეს მშპ-ის დაახლოებით 80%-ს შეადგენს. საერთაშორისო მასშტაბებით ეს სახიფათო დონეა.

9. *რუსეთი — ფედერალური სახელმწიფოა,* თუმცა რეფორმების არათანმიმდევრულობის და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო ბევრმა რეგიონმა თითქმის დამოუკიდებლად იგრძნო თავი. მათ მრავალი

საკუთარი კანონი მიიღეს, რომელიც ფედერალურს ეწინააღმდეგებოდა. რეგიონალურმა ელიტებმა ძალაუფლების გემო შეიგრძნეს და ზოგიერთი რეგიონი აქციეს საკუთარ მამულებად, რაც სხვათა შორის, რუსეთის ისტორიულ ტრადიციებს შეესაბამება. ბევრმა რეგიონალურმა ხელისუფლებამ მრავალი საწარმოს მძიმე ფინანსური მდგომარეობით ისარგებლა და ისინი სრულიად დაუქვემდებარა საკუთარ თავს. მათ რეგიონების საზღვრებზე სავაჭრო ბარიერები აღმართეს, უფრო მკაცრი, ვიდრე სახელმწიფოთაშორისი. საწარმოთა გადახდისუუნარობა და ბიზნესის სისუსტე — რეგიონალური ელიტების ძალაუფლების საფუძველია. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ამის გათვალისწინება აუცილებელია.

10. *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა* ვერა და ვერ იქცა ეფექტიან ეკონომიკურ ბლოკად. სავაჭრო ბარიერები თანამეგობრობის სახელმწიფოებს შორის არ შემცირებულა, ხოლო ქვეყანათშორისი ვაჭრობა წლიდან წლამდე მცირდება. არ შექმნილა არა თუ სავალუტო კავშირი, არამედ „რბილი" ვალუტების მოსახერხებელი ბაზარიც კი. ეს მნიშვნელოვნად ხელს უშლის ვაჭრობის განვითარებას. ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება მხოლოდ ბელარუსთან და, როგორც ჩანს, ეს რეალური მოკავშირე სახელმწიფოს შექმნით დასრულდება.

11. თანამედროვე რუსეთის ეკონომიკა ძირითადად *სათბურ-ენერგეტიკულ კომპლექსს* ეფუძნება. მაღალტექნოლოგიურმა დარგებმა დიდი დეგრადაცია განიცადეს. ეკონომიკის თითქმის ყველა დარგის ძირითადი ფონდების საერთო მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ცვეთამ 60%-ზე მეტს მიაღწია. სახელმწიფო ინვესტიციები მრავალჯერ შემცირდა, ხოლო საწარმოთა შემოსავლები საშუალებას არ იძლევა, რომ ტექნიკური მოდერნიზაცია ჩატარდეს. მეცნიერებისთვის მშპ-ის მხოლოდ 0,4–0,5%-ს იმეტებენ, თუმცა იციან, რომ ასეთი დაფინანსებისას იგი უცილობლად თანდათან დაიღუპება.

12. ბაზრის არაფორმალური ინსტიტუტების ჩამოუყალიბლობა, მესაკუთრეთა და კრედიტორთა უფლებების დაუცველობა, აგრეთვე პოლიტიკური არასტაბილურობა დღემდე ხელს უშლის მსხვილმასშტაბიან *პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.*

13. კაპიტალი რუსეთის დატოვებას აქტიურად აგრძელებს. *კაპიტალის გაქცევა* წელიწადში დაახლოებით 15–20 მლრდ დოლარს შეადგენს. ამგვარად, ინვესტიციების ნაკლებობის პირობებში რუსეთს საკუთარი კაპიტალის შეკავება ვერ მოუხერხებია.

14. რუსეთის *საგარეო ეკონომიკური სტრატეგია* ენერგორესურსების, ნედლეულისა და დაბალტექნოლოგიური პროდუქციის გაყიდვაზეა

ორიენტირებული. მაღალტექნოლოგიური პროდუქციებიდან ჯერჯერობით ძირითადად —იარაღი იყიდება. სანამ ნავთობსა და სხვა რესურსებზე ფასები მაღალია, რუსეთს კარგი საგადასახდელო ბალანსი ექნება. თუმცა ამგვარი ცალმხრივი ორიენტაცია შესაძლოა გახდეს მთელი რუსეთის ეკონომიკის არასტაბილურობის მიზეზი.

23.4. რუსეთის ეკონომიკის სტრუქტურა

რუსეთის ეკონომიკამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია პოსტინდუსტრიული განვითარების დონეს. მისი ძირითადი პარამეტრები ასახულია ცხრილში 23.2.

სოფლის მეურნეობა მშპ-ის 6,6%-ს იძლევა, მრეწველობა — 31,9%-ს, ხოლო მშპ-ის 55,1% მომსახურების სფეროზე მოდის.

ექსპერტების გაანგარიშებით, თუკი მშპ-ის ზრდა ყოველწლიურად 5-6%-ის ტოლი იქნება, მაშინ 2010 წლისათვის ქვეყანა 1992 წლის დონეზე გავა, ხოლო მშპ-ის ყოველწლიური ზრდა თუ 10% იქნება, მაშინ 2010

ცხრილი 23.2.

რუსეთის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები 1999 წლისათვის

მაჩვენებელი	მლრდ რუბ.	%
მთლიანი შიდა პროდუქტი	4147,4	100,0
საქონლის წარმოება	1866,1	44,9
მრეწველობა	1323,6	31,9
სოფლის მეურნეობა	274,2	6,6
მშენებლობა	244,8	5,9
მომსახურების წარმოება	2281,3	55,1
მათ შორის:		
საბაზრო მომსახურება	1801,3	43,5
მათგან:		
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	418,2	10,1
ვაჭრობა (საბითუმო, საცალო), საზოგადოებრივი კვება და მომარაგება	914,4	22,1
არასაბაზრო მომსახურება	480,0	11,6

წლისათვის რუსეთი შეძლებს ისეთი ქვეყნების დონეს მიაღწიოს, როგორიცაა საფრანგეთი და ინგლისი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკონომიკის განვითარების მიხედვით, იგი აშშ-ს და იაპონიას მაინც ჩამორჩება.

ახლა ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების ანალიზზე გადავიდეთ.

სოფლის მეურნეობამ და აგრო-სამრეწველო კომპლექსმა (ასკ) 90-იანი წლების განმავლობაში ძირითადი პროდუქციის წარმოება თითქმის სანახევროდ შეამცირა. დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან დაახლოებით 30 მლნ ჰა მიწაა გამოსული. ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების გამოდევნა საშუალოდ 4-ჯერ აჭარბებს მათ სასუქებთან ერთად შეტანას. ცუდ დღეშია მელიორაციული სისტემები, იზრდება მჟავე ნიადაგების ფართობი. მიწის დიდი ნაწილი — დაახლოებით 140 მლნ ჰა — უკვე კერძო საკუთრების ხელშია და მხოლოდ 80 მლნ ჰა — სახელმწიფოს ხელში. თუმცაღა მიწის კოდექსი ჯერჯერობით არ მიუღიათ და სასოფლო-სამეურნეო მიწების ფედერალურ დონეზე გაყიდვაც დაკანონებული არაა. მიწის თავისუფალი ბაზრის გამოცდილებამ რუსეთის რეგიონებსა (სარატოვის, ვოლგოგრადის ოლქებში) და CIS-ის ქვეყნებში (ყაზახეთში) გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მოთხოვნა და ფასები ჯერჯერობით დაბალ დონეზეა (სარატოვის ოლქში 1 ჰა მიწაზე ფასმა საშუალოდ 283 რუბ/ჰა შეადგინა 1999 წელს 2,6 ათასი ჰა-ის გაყიდვათა მოცულობისას), ხოლო დანახარჯები გარიგებათა გაფორმებაზე (ტრანსაქციები) ძალიან მაღალია (სარატოვში 8000 ათას რუბლზე მეტი გაფორმებისათვის).

ძირითადი ფონდების გატანა მათ შემოტანას ასევე 4-ჯერ აჭარბებს. მთელი გამოყენებული ტექნიკის დაახლოებით 60%-ს ცვეთის გამო ნულოვანი საბალანსო ღირებულება აქვს. საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უიმედო მევალეა და გარე ინვესტორის გარეშე ვერ შეძლებს ფეხზე დადგომას. კვების ძირითადი პროდუქტების მოხმარება და საერთო კალორიულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა სტატისტიკაში პრაქტიკულად არაა გათვალისწინებული მოსახლეობის დიდი ნაწილის მნიშვნელოვნად გაზრდილი მიწოდებული პროდუქციის ასორტიმენტი და კვების რაციონის გაფართოება, ასევე ჩრდილოვანი სასურსათო ბაზრის გავლენა, რაც საერთო მოცულობის დაახლოებით 40%-ს შეადგენს. კრიზისის შემდგომ რუსულმა კომპანიებმა მოახერხეს იმპორტიორთა მნიშვნელოვანი შევიწროვება ზოგიერთ სასურსათო ბაზარზე. ფრინველის ხორცის იმპორტი 4-ჯერ შემცირდა, ფქვილის, ბურღულეულის, არყის, ღვინის და კარაქის იმპორტი — 2-ჯერ. იმპორტიორმა ქვეყნებმა სწრაფი და ეფექტიანი ზომები

მიიღეს საკუთარი კომპანიების საშუალებით ხორცის ბაზარზე პროდუქციის შესანარჩუნებლად, მისცეს რა მათ სუბსიდიები, რაც პროდუქტის ფასის დაახლოებით 50%-ს შეადგენს.

1999 წელს *გადამამუშავებელი მრეწველობის* რიგი დარგების სიმძლავრეები მკვეთრად გაიზარდა (ძეხვის წარმოების — 1,6-ჯერ, ბურღულეულის საწარმოთა — 3,2-ჯერ). ოფიციალური წყაროების თანახმად, გადამამუშავებელმა მრეწველობამ 28 მლრდ რუბლი მოგება მიიღო, რაც საშუალებას იძლევა რეალურად შევაფასოთ მიღებული მოგება 80-90 მლრდ რუბლად. ამგვარად, კვების მრეწველობაში დაბანდებები ზემომგებიანი ხდება და ეს გარემოება საჭიროა გამოვიყენოთ მთლიანობაში ასკ-ის განვითარებისათვის.

თანამედროვე რუსეთის ეკონომიკაში *სათბურ-ენერგეტიკული კომპლექსი* უდავოდ დომინირებს.

ნავთობის მრეწველობაში პრაქტიკულად მთელ ნავთობს მოიპოვებს 13 უმსხვილესი კომპანია: „ლუკოილი", „იუკოსი", „სურგუტნეფტგაზი", „ტატნეფტი", „სიდანკო", „ტიუმენის ნკ", „სიბნეფტი", „ბაშნეფტი", „როსნეფტი", „აღმოსავლეთის ნკ", „ონაკო" და „კომის ტეკ"-ი.

გასული ათწლეულის განმავლობაში რუსეთში ბურღვის საექსპლუატაციო მოცულობა 4-ჯერ შემცირდა. დამტკიცებული მარაგებით უზრუნველყოფილობა 20-25 წლით შემოიფარგლება, ზოგიერთი კომპანიისთვის — 15 წლით. ამან განაპირობა მოპოვების აბსოლუტური ვარდნა 1990 წელს 516 მლნ ტ-დან 1999 წელს 304,8 მლნ ტ-მდე 285-335 მლნ ტ-ის საჭიროებისას. პარალელურად მოპოვებაზე დანახარჯები იზრდება, რაც ფასებით მთელ სასურსათო-ტექნოლოგიურ ჯაჭვს გადაეცემა, რითაც უმძლავრესი საინფლაციო პოტენციალი იქმნება.

რუსეთში პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებით სიმძლავრეთა დიდი სიჭარბე ჩამოყალიბდა. ამან განაპირობა მაღალი წილი მაზუთის წარმოებაში და ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ასევე დიდი მოცულობის მაღალოქტანური ხარისხის ბენზინის იმპორტირების აუცილებლობა. ნავთობპროდუქტების რუსული „კალათის" საშუალო საბაზრო ფასი გადაუმუშავებელი ნავთობის ღირებულებაზე იაფი გახდა. ეს იძულებულს ხდის რუსეთს, გაიტანოს მხოლოდ ნედლეული. ამით მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისგან ეკონომიკის დამოკიდებულების დაკონსერვება ხდება.

ნავთობის მრეწველობის დაცემა ინვესტიციათა შეკვეცით ჩქარდება, ისინი ათი წლის განმავლობაში 7-8-ჯერ შემცირდა რეალურ სექტორში 5-ჯერ ვარდნასთან შედარებით. წარმოების დაფინანსების ძირითად წყაროს

საწარმოთა საკუთარი საშუალებები წარმოადგენს. სასესხო რესურსების წილი საერთო კაპიტალდაბანდებებში უმნიშვნელოა.

ნავთობის დარგი ქვეყნის ძირითადი ექსპორტიორია. დაახლოებით 130 მლნ ტ ნავთობის ექსპორტირება ხდება. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენის ექსპორტირებაც სსრკ-ის დროს ხდებოდა, მიუხედავად მოპოვების მნიშვნელოვანი ვარდნისა. ნავთობსადენი „დრუჟბით" დაახლოებით 51 მლნ ტ-ის ექსპორტირება ხდება. დანარჩენი ნავთობი მიდის რუსეთის შავიზღვისპირა პორტებით, აგრეთვე ბალტიის ქვეყნების პორტებით, რომელთაც ამ საქმიანობიდან მნიშვნელოვანი შემოსავალი აქვს.

რუსეთისთვის *გაზის დარგს* არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია. ბოლო წლებში დაახლოებით 550 მლრდ $მ^3$ გაზი მოიპოვება. რუსეთში გაზმომარაგების ერთიანი სისტემა მოქმედებს, რომელიც წელიწადში დაახლოებით 600 მლრდ $მ^3$ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. იგი მოიცავს დამუშავებულ საბადოებს, გაზგაყვანილობის ქსელს და საკომპრესორო მოწყობილობებს (გაზის შესაკუმშვად და წნევით მისაწოდებლად), მიწისქვეშა გაზსაცავებს და სხვა ნაგებობებს. რუსეთში მილგაყვანილობათა სიგრძე დაახლოებით 140 ათასი კმ-ია (სულ CIS-ის ქვეყნებში — 180 ათას კმ-ზე მეტი). რუსეთის მთელი გეს რაო „გაზპრომის" საკუთრებასა და ექსპლუატაციაშია, რომელიც რეფორმების საწყის ეტაპზე სსრკ-ის გაზის მრეწველობის სამინისტროს უმძლავრეს ბაზაზე შეიქმნა. როგორც დრომ გვიჩვენა, ერთიან გაზის მონოპოლიაზე გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, სწორი აღმოჩნდა და გაზის მრეწველობა ქვეყანაში ერთადერთ დარგად დარჩა, პრაქტიკულად რეფორმამდელი წარმოების მოცულობა რომ შეინარჩუნა. დღეს „გაზპრომი" მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი მაღალინტეგრირებული გაზის კომპანიაა, რომლის წილადაც რუსეთის ბუნებრივი გაზის დაახლოებით 94% მოდის. „გაზპრომის" შემადგენლობაში ქალიშვილ-საწარმოები და საზოგადოებებია, მათ შორისაა 8 ათასი მოპოვების, გადამუშავების, ტრანსპორტირების ტერიტორიული კომპლექსი (უმსხვილესებია — „ურენგოიგაზპრომი", „ნადიმგაზპრომი", „იამბურგგაზმოპოვება", „სურგუტგაზპრომი". მათ წილად მოდის რაო გაზპრომის მიერ მოპოვებული გაზის 92%). პრობლემები კი დარგს ისეთივე აქვს, როგორც ნავთობს: გეოლოგიურსაძიებო სამუშაოთა უკამარისობა, მოწყობილობათა გაცვეთილობა და ა. შ. რუსეთი მოპოვებული გაზის დაახლოებით 40%-ის ექსპორტირებას ახდენს, ე. ი. დაახლოებით 220 მლრდ $მ^3$ გაზისა, რომელიც ძირითადად CIS-ის ქვეყნებსა და დასავლეთ ევროპაში იგზავნება მილსადე-

ნებით. ნავთობის და გაზის ექსპორტი ქვეყნის საგარეოეკონომიკური შემოსავლების ძირითადი წყაროებია. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის და გაზის ფასები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამიტომ დღეს ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კეთილდღეობა და საგადასახდელო ბალანსის სალდო თითქმის სრულად განისაზღვრება ნავთობის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურით.

რუსეთის ელექტროენერგეტიკა დაახლოებით 840 მლრდ კვტ. სთ. ელექტროენერგიას აწარმოებს, უსწრებს რა კანადას (560 მლრდ კვტ. სთ.), გფრ (545 მლრდ კვტ. სთ.), საფრანგეთს (508 მლრდ კვტ. სთ.) და დიდ ბრიტანეთს (360 მლრდ კვტ. სთ.), თუმცა, აშშ-ისგან ჩამორჩენა, რომელიც 3,7 ტრლნ კვტ. სთ.-ს აწარმოებს, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჩინეთი (1081 მლრდ კვტ. სთ.) და იაპონია (1036 მლრდ კვტ. სთ.) მეორე და მესამე ადგილზეა. ასე რომ, რუსეთი მეოთხე ადგილზეა. ქვეყანაში მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 70%-ს (ეს კი წელიწადში 590 მლრდ კვტ. სთ.-ია) აწარმოებენ თბო- და ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც ჰოლდინგ რაო „ეი-ეს რუსეთში" შედიან, რომელთა აქციების 52,5% სახელმწიფოს ეკუთვნის. მის საფუძველს წარმოადგენს 72 ქალიშვილ-საწარმო — რეგიონალური ელექტროენერგეტიკული სისტემები. ელექტრობის კიდევ 15% იმ ელექტროსადგურების წილად მოდის, რომლებიც რაო „ეი-ეს"-ში არ შედის. კერძოდ, ესაა „ირკუტსკენერგო" და ს/ს „თათენერგო", რომლებიც რეგიონალურ ხელისუფლებათა განკარგულებაშია. და ბოლოს, ელექტრობის კიდევ 15% გამომუშავდება 9 ატომურ ელექტროსადგურზე, რომელთაგან 8 სახელმწიფო კონცერნის „რუსენერგოატომის" მიერ იმართება. ელექტროსადგურთა მოწყობილობების ცვეთა ძალზე დიდია. რაო „ეი-ეს"-ის ხელმძღვანელის ა. ჩუბაისის გამოთვლებით, მოკლევადიან პერსპექტივაში ელექტროენერგეტიკული დარგისთვის აუცილებელია დაახლოებით 50 მლრდ დოლარის ინვესტიციების მოზიდვა. აუცილებელია რაო-ს რესტრუქტურიზაციის ჩატარება და არსებულ ელექტროენერგიის რეგულირებად ბაზართან ერთად კონკურენტული ბაზრის შექმნა.

რუსეთის თბოელექტროკომპლექსის (თეკ) ძლიერება დამყარებულია „კომუნიზმის მშენებელთა" წმინდა ენთუზიაზმზე აგებულ გიგანტური მასშტაბების მქონე ენერგოუზურნველყოფის, გაზ- და ნავთობგაყვანილობის ერთიან სისტემაზე, რომელიც ენერგიის შორეულ წყაროებს და ენერგომატარებელთა მოპოვების ადგილებს აკავშირებს მომხმარებლებთან ქვეყნის ცენტრალურ რაიონებსა და დასავლეთ ევროპაში. უბრალოდ საშინელებაა იმის გაფიქრებაც კი, თუ რა მოუვიდოდა რუსეთს

რეფორმების პერიოდში, 90-იან წლებში, ეს სისტემები რომ არ ყოფილიყო აგებული.

კარგად მუშაობს რუსეთის *მოპოვებელი მრეწველობაც.* საერთაშორისო შეფასებების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მსოფლიო მოპოვების საერთო მოცულობიდან რუსეთის წილად მოდის: აპატიტების — 55%, ალმასების — 26%, ნიკელის — 22%, კალიუმის მარილების — 16%, რკინის მადნის — 14%, ფერადი და იშვიათი ლითონების — 13%, ქვანახშირის — 12%.[1]

რუსეთის შავ მეტალურგიას მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია. იგი დაახლოებით 48 მლნ ტ ფოლადს და 37 მლნ ტ თუჯს აწარმოებს. შედარებისთვის გთავაზობთ: იაპონია 110 მლნ ტ თუჯსა და ფოლადს ადნობს, აშშ — 79 მლნ ტ-ს, გფრ — 42 მლნ ტ-ს. რეფორმების პერიოდში მკვეთრად გამოვლინდა შემდეგი საინტერესო ტენდენცია. თუკი შავი მეტალურგიის ძირითად ტექნოლოგიურ ჯაჭვს განვიხილავთ: რკინის მადანი—თუჯი—ფოლადი—ნაგლინი, მაშინ რაც უფრო მივიწევთ ტექნოლოგიური პროცესის საფეხურებზე, მით მეტია წარმოების ვარდნა. ასე მაგალითად, თუკი 1990 წელს წარმოების თითოეულ სტადიას მივიღებთ 100%-ად, მაშინ რკინის მადნის წარმოება არ დაცემულა 73%-ის დაბლა, თუჯის — 64, ფოლადის — 58 და ნაგლინის — 55%-ზე დაბლა. რუსეთში 100-ზე მეტი მეტალურგიული ქარხანაა, მათგან სამი — უმსხვილესი, 6 — საშუალო და ათობით — წვრილი. თუკი უდიდეს ქარხნებში შრომის მწარმოებლურობა, ამერიკულისგან განსხვავებით, 45%-ია, პატარებში საშუალოდ სულ — 10%.[2] შავი ლითონების ნაგლინის გაყიდვათა ძირითადი სექტორი საგარეო ბაზარი გახდა (მიწოდებათა საერთო მოცულობის 54%).

ფერადი მეტალურგია ასევე ძირითადად ექსპორტზე მუშაობს, რომელზეც წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 80% მოდის. რუსეთის *ალუმინის მრეწველობამ* მაშინვე მიიქცია უცხოელ ინვესტორთა ყურადღება. საქმე ისაა, რომ 1 ტონა ლითონური ალუმინის გამოდნობა საჭიროებს 17-20 ათას კვტ. სთ. ელექტროენერგიას, რუსეთს კი, მსოფლიო საზომით, უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგურებით ძალზე იაფი ელექტროენერგია აქვს. ქვეყანა ბოქსიტებით მდიდარი არაა. 90-იან წლებში ტოლინგის სქემის საფუძველზე: რუსეთის ალუმინის ქარხნებში უცხო-

---

1. Ваганов А. Силиконовые сны нефтяной долины // НГ-Политэкономия. — 1999 — №14.

2. Корюкин К. "Пациенты" обсуждают рецепты McKinsey // Ведомости. — 1999. 21 окт.

ური ნედლეული შეაქვთ, ხოლო შემდეგ მზა ლითონი გამოაქვთ. ამასთან დაკავშირებით, ამ დარგში წარმოების ვარდნა მინიმალური იყო. დღეს რუსეთს მეორე ადგილი უკავია აშშ-ის შემდეგ პირველადი ალუმინის წარმოებით — 2,9 მლნ ტ.

2000 წელს უმსხვილესი ალუმინის ჰოლდინგის შექმნა დაიწყო. მან ალუმინის წარმოების 80% უნდა გააკონტროლოს, მასში შევა ბრატსკის, კრასნოიარსკის, საიანის და ნოვოკუზნეცკის ალუმინის ქარხნები, აგრეთვე შევა რამდენიმე საწარმო ალუმინის უფრო მაღალდამმუშავებელიდან დაწყებული სამარის საავიაციო საწარმოთი დამთავრებული, გარდა ამისა, უმსხვილესი ჰესები — საიანო-შუშინსკაია და კრასნოიარსკის. კორპორაცია ალუმინის[1] წარმოებით მსოფლიოში მეორე-მესამე ადგილს დაიკავებს.

სპილენძის მრეწველობა აგრეთვე შედის მომავალი მეტალურგიული ჰოლდინგის ინტერესთა სფეროში. ურალის მეტალურგიული კომპანია, რომელიც, როგორც ჩანს, ჰოლდინგში შევა, რუსეთის სპილენძის ბაზრის დაახლოებით 30%-ს აკონტროლებს. დღეს რუსეთი ჩილეს შემდეგ სპილენძის მეორე ექსპორტიორია (0,5 მლნ ტ). რუსეთი მსოფლიოში ნიკელის წარმოებით (224 ათასი ტ) ლიდერობს. მას მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია კობალტის, ვოლფრამის და ვანადიუმის წარმოებით, ხოლო ტყვიის მიხედვით — მეხუთე ადგილი.

ბიმეტალი მრეწველობა ასევე დიდადაა ორიენტირებული ექსპორტზე. რუსეთს სასუქების წარმოებით მსოფლიოში მეხუთე ადგილი უკავია (9,5 მლნ ტ მოქმედ ნივთიერებაზე გადათვლით). მთელი სასუქის დაახლოებით 80% ექსპორტზე მოდის.

ყველაზე მეტად რეფორმების პერიოდში *მანქანათმშენებლობა* დაზარალდა. საწარმოთა გადახდისუუნარობამ პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანა შიდა მოთხოვნა, ხოლო გარე ბაზარი ძნელად მისაწვდომი აღმოჩნდა უმეტესი მანქანათმშენებელი დარგებისათვის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო. კონკურენტუნარიანობას ინარჩუნებს რუსეთის ავიაკოსმოსური და თავდაცვითი მრეწველობა.

2000 წელს მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების ზრდა გაგრძელდა, დაიწყო მანქანათმშენებელ საწარმოთა უმეტესი ნაწილის სამუშაოთა სტაბილიზაცია, რაც განპირობებული იყო ბაზრის შიდა მოთხოვნის ზრდით უმნიშვნელოვანესი სახის მანქანებსა და მოწყობილობებზე

1. Богатых М., Гурнова Т. и др. Алюминиевая кость // Эксперт. — 2000. — №14.

საწარმოო აპარატის აქტიური განახლების ეტაპზე გადასვლის პირობებში. მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების პროდუქციათა ხვედრითი წილი მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობაში 21%-მდე გაიზარდა. 2000 წელს მანქანათმშენებლობის პროდუქციის ხვედრითი წილი, რომელიც პროგრესული მეცნიერებატევადი ტექნოლოგიათა გამოყენებით იყო მიღებული, დაახლოებით 35% გახდა, ხოლო ავტომშენებლობის — შესაბამისად 45%. მანქანათმშენებლობაში დაფინანსების ძირითად წყაროდ საწარმოთა საკუთარი საშუალებები რჩება, რომელთა ხვედრითი წილი ინვესტიციათა საერთო მოცულობაში ძირითად კაპიტალში 86%-ზე მეტს შეადგენს.

იზრდება ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვება. რუსეთ-ბელარუსის პროგრამის „საკავშირო ტელევიზორი" პირველი ეტაპის რეალიზაციასთან დაკავშირებით, რომლის მიზანიცაა 1999-2001 წლების სამამულო ტელევიზორთა სრული ციკლის აღდგენა, ტელევიზორთა გამოშვება 2000 წლისთვის ნავარაუდები იყო 220-250 ათასი ცალის ოდენობით, ანუ 1999 წლის 110-125%; სარეცხი მანქანების წარმოება, სადაც უპირატესად გამოიყენება სამამულო კომპლექტური კვანძები და დეტალები, გაიზარდა 970-1000 ათას ცალამდე (1999 წლის 101-104,2%-ის დონეზე), რაც ავტომატური და ნახევრად ავტომატური მოქმედების მცირეგაბარიტიან, უპიტარესად იაფ აპარატებზე მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი იქნება. რაც შეეხება მაცივრების და საყოფაცხოვრებო საყინულეების გამოშვებას, მათი რაოდენობა გაიზრდება 1050-1100 ათას ცალამდე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ძალიან ძლიერი და კრიტიკული ჩამორჩენა შეიმჩნევა.

რუსეთის *მომსახურების სფეროში* ყველა მაჩვენებლის მიხედვით *ვაჭრობა* ლიდერობს. ამასთან ქვეყანაში ჯერჯერობით ჭარბობს ვაჭრობის დაბალტექნოლოგიური და ნაკლებმწარმოებლური ფორმები — ყოველგვარი ფარდულები და ე. წ. საბითუმო ბაზრები, რომლებიც სინამდვილეში წვრილ ფარდულთა გროვაა და ნამდვილ საბითუმო ბაზრებთან საერთო არაფერი აქვს. წვრილი ვაჭრობა მუნიციპალურ ჩინოვნიკთა უკანონო შემოსავლების წყაროა და ამიტომ მათ მიერაა შენარჩუნებული. McKinsey-ის მონაცემებით, შრომის მწარმოებლურობის დონე რუსეთის სუპერმარკეტებში აშშ-ის საცალო ვაჭრობის საშუალო დონეს — 78%-ს შეადგენს, მაგრამ ბაზრის წილი — მხოლოდ 1%-ს, მაშინ როცა აშშ-ში იგი 70%-ს აჭარბებს. უკვე იკვეთება მაღაზია-დისკაუნტების ქსელის განვითარების ტენდენცია. მოსკოვში უკვე მოქ-

მედებს მაღაზიათა ისეთი ქსელი, როგორიცაა „კოპეიკა“, „მინი-პერიკრიოსტოკი“, „კოტომკა“, „ნაროდნი მაგაზინ“ და სხვ. მოსკოვის მთავრობის გეგმით 2001 წლისათვის დედაქალაქში დაახლოებით 200 „დისკაუნტი“ იქნება.

რუსეთს კარგი პერსპექტივები გააჩნია *საინფორმაციო მომსახურების* წარმოების ზრდაში. შრომის მწარმოებლურობა საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურების აღმოჩენის სექტორში ყველაზე დიდია ყველა დარგს შორის და აშშ-ის დონის 72%-ის ტოლია. რუსეთში სწრაფად ვითარდება ოფშორული პროგრამირება.

რეფორმების პერიოდში დიდი ზარალი განიცადა *მეცნიერებამ*. რეფორმების დასაწყისისთვის რუსეთი სსრკ უმძლავრეს ინტელექტუალურ პოტენციალს ფლობდა. მაგრამ 90-იან წლებში თავდაცვით დარგებში ხელფასმა მრეწველობაში მისი საშუალო დონის მხოლოდ 2/3 შეადგინა, რამაც კვალიფიციური კადრების დაჩქარებული დენადობა გამოიწვია. თავდაცვით მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდნობა 12%-ით შემცირდა, საშუალოდ მრეწველობის 7%-თან შედარებით. შედეგად, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, 1997-1998 წლებში თავდაცვითი მრეწველობა საბოლოოდ იქნა დეზორგანიზებული. ფაქტობრივად უნიკალური კოლექტივები დაიშალა. ბოლო 6 წლის განმავლობაში კვალიფიციური კადრების დენადობამ 2 მლნ ადამიანი შეადგინა (დაახლოებით 60%), რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს ექსპერტთა მონაცემებით, აშშ-ის ფირმების და სახელმწიფო უწყებების მიერ მიღებულია 800 პატენტზე მეტი იმ ტექნოლოგიებზე, რომლებიც რუსი ავტორების მიერ შეიქმნა თავდაცვითი შეკვეთის შესრულებისას. 1991 წლამდე ასეთი რამ უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. დასავლეთისთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ბირთვული და კოსმოსური ტექნოლოგიები, ზეგამძლე შენადნობები, ლაზერული ტექნიკა, მოწყობილობები და სპეციალური პროგრამები ინფორმაციის შეკუმშვაზე.

სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემების თანახმად, 1986-1999 წლების განმავლობაში „მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურების“ დარგში დასაქმებულთა რიცხვი 3,4 მლნ კაციდან 1,2-მდე შემცირდა. განვითარებულ ქვეყნებში ხარჯები მეცნიერებაზე მშპ-ს 2%-ზე დაბლა არ არის. რეფორმირებულ რუსეთში კი 0,5%-ზე ნაკლებია. მიმდინარეობს მაღალკვალიფიციური კადრების გადინება საქმიანობის სხვა სფეროებში და საზღვარგარეთ. ექსპერტთა შეფასებით, მეცნიერების და განათლების კადრების რაოდენობის საერთო კლებიდან საზღვარგარეთ მიგრაციის წილად

დაახლოებით 10% მოდის. ყოველწლიურად რუსეთს ტოვებს დაახლოებით 2000 მეცნიერი და პირველი კლასის სპეციალისტი. „ტვინთა გადინების"-გან საერთო ზარალი შეფასებულია 50-60 მლრდ დოლარად.

რუსეთის ფინანსური სისტემა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. მთელი საბანკო სისტემის ერთობლივი საკუთარი საშუალებები 6 მლრდ დოლარადაა შეფასებული. ყველა რესუთის ბანკის ერთობლივი წმინდა აქტივები და კაპიტალიზაცია არ აჭარბებს 60-80 მლრდ დოლარს, ანუ კორპორაცია „კოკა-კოლას" საბაზრო ღირებულების ნახევარზე ნაკლებია. საფონდო ბაზარი 1998 წლის კრიზისიდან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა. იმავდროულად ნედლეულის და ენერგომატარებლების გაყიდვიდან ამონაგების მუდმივი სავალუტო ნაკადი რფ-ის ცენტრალურ ბანკს საშუალებას აძლევს სწრაფად გაზარდოს თავისი ოქრო-ვალუტის მარაგები და სავალუტო ბაზარი სტაბილურად შეინარჩუნოს. ამასთან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფულადი ემისია ხორციელდება, რაც ექსპორტიორებისაგან ვალუტის შესყიდვას ხმარდება.

მთლიანობაში მოდელის და რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. თანამედროვე რუსეთში წარმოიქმნა საკმაოდ თავისებური ეკონომიკური მოდელი უზარმაზარი ხელისუფლებით, რომელიც პრეზიდენტის ხელშია კონცენტრირებული, ჩინოვნიკობით ეკონომიკის მოგების ყველა ცენტრს რომ აკონტროლებს, გიგანტური კორუფციითა და ჩრდილოვანი ეკონომიკით, საგარეო ვალის და გადაუხდელობების დიდი ტვირთით, ჩამოუყალიბებელი საბაზრო ინსტიტუტებითა და სუსტი ფინანსური სისტემით. მიუხედავად ამისა, ამჟამად არსებობს საბაზრო ეკონომიკის მოდელი თავისუფალი მეწარმეობით, დომინირებული კერძო სექტორით, ეკონომიკაში გეგმიური დიქტატის უქონლობით.

2. რუსეთის ეკონომიკის სტრუქტურაში ჭარბობს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, რომელიც ბიუჯეტში შემოსავლების დიდ ნაწილს და საექსპორტო ამონაგებს იძლევა. უმეტესი დარგის განვითარება — შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, თავდაცვითი დარგების და ა. შ. — ორიენტირებულია საგარეო ბაზრებზე და მათ ხარჯზე არსებობს. დარგებმა, რომლებიც ორიენტირებულია შიდა ბაზარზე, წარმოება მნიშვნელოვნად შეამცირა. მეცნიერება და ინოვაციური კომპლექსი პრაქტიკულად მოკლებულია ინვესტიციებს და იმყოფება სახიფათო ზღვართან, რომლის მიღმაც მისი აღდგენა უკვე შეუძლებელი იქნება.

23.5. რუსეთის ბიზნესის მდგომარეობა და პერსპექტივები

თავისი მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში რუსულმა კაპიტალმა ბევრი გადაიტანა, განვითარდა და უკვე საკმაოდ მკაფიო სტრუქტურა შეიძინა. პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ძირითადი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები და უმსხვილესი ჰოლდინგები, რომლებიც 23.1. სურათზე სქემატურადაა ასახული.

დღეს რუსული კაპიტალი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია და საქონლის და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე სერიოზული ექსპანსიის წინ მისთვის აუცილებელია რიგი შიდა პრობლემების გადაჭრა. მათ შორის პირველ ადგილზეა შიდა სასაქონლო და ფინანსური ბაზრების განვითარება. შიდა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო სამეურნეო სისტემაში თანასწორუფლებიანად შესვლა და ამ სფეროში სხვა ქვემოთ მოყვანილი ამოცანების გადაწყვეტა. ამ ეტაპზე რუსეთის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ერთობლივი მეწარმეობის განვითარება, უცხოური TNC-ების ფილიალების შექმნის სტიმულირება განსაზღვრულ ოლქებში, FDI-ების მოზიდვის ყოველმხრივ წახალისება საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, მოდერნიზაცია, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ა. შ. იმავდროულად მიზნად უნდა იქნეს დასახული საკუთარი შიდა ბაზრის მოპოვების ამოცანა და იმპორტშენაცვლება.

დღეს რუსეთის საწარმოთა უმეტესობისთვის უცხოელ კონკურენტებთან სამამულო ბაზარზე დაპირისპირების პრობლემები მწვავედ დგას. მართლაც, სამამულო მწარმოებლებმა არსებითად მთელ რიგ საქონელზე დაკარგეს თავისი საკუთარი ბაზარი, ანალოგიურ იმპორტულ საქონელთან შედარებით კონკურენტუუნარობის გამო.

1998 წლის კრიზისმა უმეტესი რუსული კომპანიის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად გაზარდა, თუმცა ამით სარგებლობა იმპორტშენაცვლებისათვის ყველამ როდი მოახერხა. მოკლე კვლავწარმოების მქონე დარგებმა, მაგალითად კვების მრეწველობამ, შეძლო მნიშვნელოვნად გაედიდებინა თავისი წილი ბაზარზე, ხოლო იმ დარგებმა, რომელთაც ხანგრძლივი და ძვირადღირებული გარდაქმნა ესაჭიროებოდა, ამის გაკეთება ვერ მოახერხა. სამწუხაროდ, მთავრობამ მხოლოდ მცირე ხნით შეძლო ბუნებრივი მონოპოლიების შეჩერება ფასების ზრდისგან. 1999 წლის მარტიდან ფასებმა ენერგომატარებლებზე სწრაფად იწყო ზრდა და 2000 წლის დამდეგისთვის უპირატესობა რუბლის დევალვაციისგან ძირითადად



სურ. 23.1. რუსეთის ეკონომიკის ძირითადი ჯგუფები და ჰოლდინგები

უკვე ან რეალიზებული იყო, ან დარგების ან საწარმოების მიერ ხელიდან იყო გაშვებული.

მოკლევადიანი გეგმის მიხედვით, მთავრობა რუბლის დევალვაციის საშუალებით უნდა გადავიდეს იმპორტის რეგულირებიდან, რომლის დროსაც მთელი მოგება საექსპორტო დარგებს (ნავთობის, გაზის და ა. შ.) დარჩება, სატარიფო რეგულირებამდე და იმპორტის კვოტირებამდე. იმპორტული და ექსპორტული ტარიფების და კვოტების სისტემის შეცვლით შეიძლება არა მარტო სასაქონლო ნაკადების რეგულირება, არამედ FDI-ებისაც, რაც მათ მეტ-ნაკლებად მიმზიდველს გახდის.

საგარეო ეკონომიკური რეგულირების საერთო პრინციპი უნდა გახდეს დაბალი ბაჟის დაწესება ტექნოლოგიის და მოწყობილობის შემოტანაზე, უფრო მაღალი — ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების შემოტანაზე და საკმაოდ მაღალი — მზა პროდუქციაზე. ამასთან, მზა პროდუქციაზე ტარიფები და კვოტები უნდა შეირჩეს იმგვარად, რომ კარგად მომუშავე რუსეთის საწარმოთა 60% საკმაოდ რენტაბელურები რჩებოდნენ. უფრო მაღალი ბაჟი თავიდან აგვაცილებს უცხოურ კონკურენციას და სამამულო მრეწველობას დიდ ზარალს მოუტანს, ვიდრე სარგებელს. იმპორტის პოლიტიკა მუდმივად და მოქნილად უნდა ცდილობდეს კონკურენტული გარემოს შენარჩუნებას, რაც განვითარების მასტიმულირებელია. ამგვარი პოლიტიკა უცხოურ ტეკ-ებს სტიმულს მისცემს კვლავწარმოებითი პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიტანოს რუსეთში.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქვეყანამ ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა *FDI-ის მოზიდვაში.* მთლიანობაში დაგროვილმა FDI-ებმა, რომლებიც რუსეთში რეფორმების წლებში შემოდიოდა, ამჟამად დაახლოებით 15 მლრდ დოლარი შეადგინა, ანუ 10 დოლარი ერთ კაცზე. ეს 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე პოლონეთში და 14-ჯერ ნაკლები ვიდრე უნგრეთში (1 სულ მოსახლეზე). უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წელს FDI-ების ნაწილი და TNC-ების მიერ მიღებული მოგება სხვადასხვა ფორმით გატანილ იქნა ქვეყნიდან. იმავდროულად FDI 1999 წელს, 1998 წელთან შედარებით, თითქმის 60%-ით გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ სარეკორდო 1997 წლისას ჩამორჩება, როცა ქვეყანაში 9,1 მლრდ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, მათ შორის 3,9 მლრდ დოლარის FDI იყო.

უნდა ითქვას, რომ სტატისტიკური მონაცემები FDI-ების მნიშვნელობას რუსეთის ეკონომიკაში ცუდად ასახავს. ისინი მხოლოდ რუსეთში ლეგალურად შემოტანილ კაპიტალს აფიქსირებენ, რაც რუსულ საწარმოთა შეძენაზე, ახალ ობიექტთა მშენებლობაზე, რეკონსტრუქცია-

ზე და ა. შ. დაიხარჯა. რა თქმა უნდა, დიდი პრივატიზაციის პერიოდში შემოტანილი კაპიტალით შეძენილ იქნა მათ რეალურ ღირებულებაზე ათჯერ და ასჯერ მეტი საკუთრება. მარტო რეფორმების დასაწყისში 500 უმსხვილესი რუსული საწარმო, საერთო ღირებულებით არანაკლებ 200 მლრდ დოლარისა, ძირითადად უცხოელებს ან მათ შემცველ ცრუ ფირმებს 7,2 მლრდ დოლარად მიჰყიდეს. „სვიაზინვესტი", რომლის წლიური მოგება 1 მლრდ დოლარს აჭარბებდა, გაიყიდა სულ რაღაც 1,8 მლრდ დოლარად, ამასთან რეალური ინვესტიციები 100 მლნ დოლარზე მეტი არ იყო, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში სახელმწიფო ფული გამოიყენებოდა, რომელიც უფლებამოსილ ბანკებში ინახებოდა. ნკ „ლუკოილი" პრივატიზებულ იქნა იმ ფასად, რომელიც ყოველწლიურად მის მიერ მოპოვებული ნავთობის დაახლოებით 1%-ს შეადგენდა, ნოვოროსიისკის საზღვაო პორტი შეძენილ იქნა NHL-ის ჰოკეისტის დაქირავების ფასად (22 მლნ დოლარი), კრასნოიარსკის უმსხვილესი ალუმინის ქარხანა — 19 მლნ დოლარად. ამ პროცესებში ძალიან აქტიურ, ჯერჯერობით ბოლომდე გაურკვეველ როლს უცხოური TNC-ების ფული ასრულებდა. რუსეთის ეკონომიკაში უცხოურ მფლობელობათა ზომები საკმაოდ დაფარულია, თუმცა იმის დადასტურება შეიძლება, რომ, მაგალითად, თითქმის მთელი ფერადი მეტალურგია და კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე TNC-ების ხელში გადავიდა. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ეკონომიკაში რეალურად დაგროვილი FDI-ების გამოთვლა დამოუკიდებლად მნიშვნელოვანი და ჯერჯერობით გადაუწყვეტელი პრობლემაა.

მიუხედავად ამისა, *უცხოურ TNC-ების არსებობის ზოგადად განსაზღვრა მრეწველობის დარგებსა და რუსეთის რეგიონებში* მაინც შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ამგვარი შეფასებებისას საჭიროა დიდი სიფრთხილე, რადგან მრავალი გარიგება უცხოური TNC-ების რეალური მონაწილეობით ტარდებოდა მათ ფორმალურად დამოუკიდებელ, სინამდვილეში კი ფაქტობრივად აფილირებულ რუს პარტნიორებთან. მრავალი ექსპერტის აზრით, პრაქტიკულად არც ერთი მსხვილი საპრივატიზაციო გარიგება არ შემდგარა უცხოური TNC-ების მონაწილეობის გარეშე და მათ დღეს, სულ მცირე, მთელი რუსული მრეწველობის 10% ეკუთვნით.

მოდით, ვცადოთ მოვხაზოთ *უცხოური TNC-ების მონაწილეობის კონტურები რუსეთის მრეწველობის დარგების მიხედვით.* ბუნებრივია, უცხოელი ინვესტორებისათვის ყველაზე მეტ ინტერესს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი იწვევს. უცხოური კაპიტალის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია ნავთობის კომპანიებში (ნკ). მაგალითად, ნკ „ლუკოილის"

ძირითადი პარტნიორებია Bank of New York (აქციათა 21,1%) და „ლუკოილის“ სტრატეგიული პარტნიორი — ამერიკული ნავთობის კომპანია ARCO (8%). British Petrolcum-ს ნკ „სიდანკოს“ აქციათა 10% აქვს, ხოლო ხმის მიცემის უფლება 20%-იანი პაკეტით, რაც მას 571 მლნ დოლარი დაუჯდა. ნკ „პურნეფტეგაზის“ აქციათა 29,2% უცხოურ ფირმებს ეკუთვნის, მათგან 16,2% — CS First Boston-ს. სხვათა შორის, CS First Boston ელექტროენერგეტიკის მიმართ მნიშვნელოვან ინტერესს ავლენს, ეს კორპორაცია Crawford Holdings-თან ერთად „ირკუტსკენერგოს“ 7,3%-ს ფლობს და ამ უმსხვილესი ენერგეტიკული კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი აქციონერია.

უცხოური TNC სწორედ ენერგეტიკის სფეროში წყვეტენ მსხვილმასშტაბიან პროექტებში მონაწილეობის მიღებას. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნავთობის მოპოვება სახალინის შელფზე, რომელიც პროექტის მიხედვით, ინვესტიციათა საერთო მოცულობით 28 მლრდ დოლარის ოდენობისაა („ექსონი“, „სოდეკო“, „მაკდერმოტი“, „შელი“ და სხვ.), იაკუტიის გაზისმოპოვება და ტრანსპორტირება 17-29 მლრდ დოლარის ინვესტიციებით („პეპკო“) და „გაზპრომის“ გაზგაყვანილობის მშენებლობა: იარმალ-ბერლინი (27 გერმანული კონსორციუმის და სხვა ევროპული ბანკების ინვესტიციები, ასევე TNC — 14 მლრდ დოლ.).

მეტალურგიის სფეროში უცხოურ TNC-ს უკვე საკმაოდ გაბატონებული მდგომარეობა უკავია. განსაკუთრებით ძლიერია მათი პოზიციები ფერად მეტალურგიაში. ბრატსკის ალუმინის ქარხანას — ლიდერს წარმოების მოცულობითა და პროდუქციის ექსპორტით — კონტროლს უწესებენ ძალზე ცნობილი Trans World Group (TWG), რომელიც სხვადასხვა დამოკიდებული სტრუქტურების მეშვეობით საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს ფლობს. TWG-მ ოფშორული კომპანიების დახმარებით შეისყიდა სხვა ალუმინის ქარხნების (CaA-3a და პავლოდარსკის ალუმინის ქარხანა) აქციათა მსხვილი პაკეტები, აგრეთვე მეტალურგიის სხვა დარგებშიც დამკვიდრდა. TWG-ს ეკუთვნის რუსეთის შემდეგი საწარმოების აქციები: ბრატსკის ალუმინის ქარხნის — 54%, ნოვოკუზნეცკის ალუმინის ქარხნის — 20%-ზე მეტი, საიანსკის ალუმინის ქარხნის — 18%, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის — 13,4%, კრასნოიარსკის ალუმინის ქარხნის — 11%, ნოვოსიბირსკის ელექტროდული ქარხნის — 12%. დღეს TWG-ს და მისი რუსი პარტნიორების (დერიპასკა, „ბრატია ჩორნიე“, აბრამოვიჩი, ბერეზოვსკი) ჯგუფი „სიბირსკი ალუმინი“ ალუმინის მრეწველობის 80%-ს აკონტროლებს და იწყებს მასთან დაკავშირებული ენერგეტიკული კომპანიების და ალუმინის მომხმარებლების (ავიაკოსმოსური კომპლექსი) დაპყ-

რობას. ამ პირთა ჯგუფი სპილენძის მრეწველობის — დაახლოებით 30%-ს და შავი მეტალურგიის 40%-ს ფლობს.

უმოქმედოდ არც სხვა კორპორაციებია. მაგალითად, „შლემან-ზიმაგ აგ"-მა მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში დაახლოებით 1 მლრდ მარკა დააბანდა.

1997 წლის ბოლოს სს „ავისმა", რომელიც მსოფლიო ტიტანის მეხუთედს აწარმოებს, პრაქტიკულად ავსტრიული ბანკის „კრედიტ-ანშტალტის" სრულ საკუთრებაში გადავიდა, რომელმაც ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საწარმოს აქციათა 71% ძირითადად მისი უწინდელი პარტნიორისგან, ფსჯ-ისგან — „როსპრომის"-გან — შეიძინა.

კორპორაციების „საიპრუს მინერალი" და „შრელერ ფინანს ჰოლდინგი" აღმოსავლეთ ციმბირში ოქროს მოპოვებაზე 4,7 მლრდ დოლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს.

მანქანათმშენებლობის სფეროში შეიძლება აღინიშნოს „იუნაიტედ ტექნოლოჯიზის", „პრატ ენდ უიტნის" და „როკუელ-კოლინზის" 1 მლრდ დოლარის ოდენობით ინვესტიციები ვორონეჟში, მოსკოვსა და პერმში ავიაძრავების წარმოებაში, ასევე სხვა საავიაციო და კოსმოსურ ტექნიკაში. კარგადაა ცნობილი საავტომობილო ქარხნების მშენებლობის პროექტები, ესაა: „ჯენერალ მოტორსი" ელაბუგაში (1,4 მლრდ დოლ. ინვესტიციები) და „ფიატი" — ნიჟნი ნოვგოროდში (850 მლნ დოლ).

ჰოლანდიური კორპორაცია „ფილიპსი" რუსული სსკ-ს საწარმოთა ათვისებას ახდენს. კერძოდ, რუსეთში თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობის წარმოებას ორგანიზებას უკეთებს. პროექტი 615 მლნ გერმანულ მარკადაა შეფასებული. კომპანია „მერლონი" 100 მლნ დოლარის თანხით მოსკოვის მახლობლად ელექტრო-საყოფაცხოვრებო საქონლის ქარხანას აშენებს.

სწრაფადმზარდ ფარმაცევტულ მრეწველობაში მსხვილ ინვესტიციებს ახორციელებს გერმანული TNC „ბაიერი". უკვე 100 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო ამერიკულმა კომპანიამ „აი-სი-ეი ფარმასიუტიკალზ ინკ"-მა, რომელიც რუსეთის ხუთ მსხვილ ფარმაცევტულ საწარმოს ფლობს და განზრახული აქვს თავისი საქმიანობა გააფართოოს.

უცხოური TNC დიდ ინტერესს ავლენენ გადამამუშავებელი მრეწველობის მიმართ; მათ 1999 წლის შედეგების მიხედვით დაახლოებით 1 მლრდ დოლარი მოგება მიიღეს. მაგალითად, რძის ბაზარზე წარმატებით მოქმედებს რიგი უმძლავრესი უცხოური ფირმა: Parmalat (ქარხნები ბელგოროდსა და ლიპეცკში), Danon (ქარხნები ტოლიატსა და მოსკოვის მახლობლად), გერმანული Ehrmann და ჰოლანდიური Campina (წარმოება მოს-

კოვის შემოგარენში). ეს ფირმები რუსეთის სარძეო ბაზარზე მტკიცედ მკვიდრდება და ისინი მსხვილ მწარმოებლებს წარმოადგენენ.

ყველასთვის კარგად ცნობილმა „კოკა-კოლამ" რუსეთში გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი რამდენიმე ქარხანა ააშენა, რომელთა საერთო ღირებულება 500 მლნ დოლარზე მეტია. მას განუშორებლად მოსდევს მისი მუდმივი და გლობალური კონკურენტი „პეპსიკო".

თამბაქოს TNC-ს „დიდმა ოთხეულმა" — „Philip Morris"-მა, B. J. R.-მა, BAT-მა და „Rothmans"-მა რუსეთის ფაბრიკებში უკვე 1 მლრდ დოლარზე მეტი დააბანდეს და უახლოეს მომავალში განზრახული აქვთ სულ მცირე გაორმაგონ პირდაპირი ინვესტიციები.

აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები თავის ტეკ-ებს დიდ დახმარებას უწევენ. ამერიკული სამთავრობო სააგენტო საინვესტიციო რისკებს აზღვევს და პირდაპირი ინვესტიციებით დაინტერესებულ საზღვარგარეთ არსებულ კორპორაციებს ფინანსური რესურსებით ამარაგებს. ამ სააგენტოს ეგიდით ორგანიზებულია ზემონახსენები პროექტი აღმოსავლეთ ციმბირში ოქროს მოპოვებაზე, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთში ხე-ტყის დამზადების მსხვილი პროექტი, მოსკოვის ოლქში ხორცკომბინატის შექმნა და ტელესაკომუნიკაციო პროექტის განხორციელება „სანქტ-პეტერბურგ—მოსკოვის" დერეფანში. აქ მათგან სწავლა ნამდვილად არ გვაწყენდა.

პირდაპირი დაგროვილი ინვესტიციები ქვეყნებზე იმ პროპორციებით ნაწილდება, როგორც 23.2. სურათზეა წარმოდგენილი.

უცხოური TNC-ის პირდაპირი ინვესტიციების მაგალითთა საკმაოდ დიდმა რიცხვმა შეცდომაში არ უნდა შეგიყვანოთ. ჯერ ერთი, მათი მოცულობები, სხვა ქვეყნებში ჩადებულ ინვესტიციებთან შედარებით, რუსეთის ზომის გათვალისწინებით, მცირეა და, მეორე, ბევრი მაგალითი პერსპექტიული პროექტების რიცხვს განეკუთვნება, ანუ რეალური ინვესტიციები მათზე მხოლოდ იწყება.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი ინვესტიციები სულაც არაა თანაბრად განაწილებული ქვეყნის რეგიონების მიხედვით: მათი დაახლოებით 60% მოსკოვშია თავმოყრილი, კიდევ 20% — სხვა საინვესტიციოდ მიმზიდველ რეგიონში, ხოლო დარჩენილი 20% რუსეთის ფედერაციის თითქმის 80 სუბიექტზე მოდის.

სამწუხაროდ, უნდა დავადასტუროთ ის ფაქტი, რომ რუსეთის მრეწველობის პრივატიზაციის მასობრივმა ხასიათმა, რაც დაჩქარებული ტემპებით ხორციელდებოდა, FDI-ების მნიშვნელოვან ნაწილს მოზიდვის საშუალება არ მისცა, ხოლო კრიმინალურმა ვითარებამ, რომელშიც პრივა-



სურ. 23.2. პირდაპირი ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით

ტიზაცია ტარდებოდა, სოლიდური ინვესტორები შეაშინა. ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა კვლავინდებურად მწვავე რჩება. სამამულო მრეწველობის ტექნოლოგიური გადაიარაღებისათვის ჩვენთვის ასობით მილიარდი დოლარია საჭირო და მათი მოცულობა FDI-ების სახით მხოლოდ მსხვილ უცხოურ TNC-ებს შეუძლია.

ექსპერტების აზრით, რუსეთის საინვესტიციო კანონმდებლობა ჯერჯერობით ASEAN-ის ქვეყნებისგან — ჩინეთისა და ინდოეთისგან — ჩამორჩება, მაგრამ მისი სრულყოფის პროცესი გრძელდება.

რუსეთის ეკონომიკაში ინვესტიციათა მოზიდვის სტიმულირების მიზნით 1999 წელს რიგი საკანონმდებლო ღონისძიებები ფედერალურ დონეზე განხორციელდა. მაგალითად, 1999 წლის 2 ივლისს ფედერაციის საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციაში უცხოური ინვესტიციების შესახებ“, რომელშიც უცხოელ ინვესტორთა უფლებების ძირითადი გარანტიებია განსაზღვრული მათ მიერ რუსეთის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას. დღესდღეობით მიმდინარეობს მუშაობა ფედერალური კანონის „პროდუქციის გაყოფაზე შეთანხმებების შესახებ“ — ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებზე.

ინვესტიციების მოსაზიდად ინფრასტრუქტურული ფაქტორები ძალზე მნიშვნელოვანია. აქ პირველ ადგილზეა საფონდო ბაზრის ფორმირების

პრობლემები. ჯერჯერობით იქ მუშაობის ბევრი წესი და პირობა მსოფლიო სტანდარტებს არ შეესაბამება და საფონდო ინფრასტრუქტურის შექმნის გარეშე, რომელიც მსოფლიო საფონდო ბაზართან თავსებადი იქნებოდა, რუსეთში მსხვილი თანხები არ შემოვა. ქვეყნის ვეებერთელა სიმდიდრე ჯერ კიდევ პრაქტიკულად მზად არაა ინვესტიციებისათვის. ისინი მოკლე ვადებში უნდა იქნეს სეკიურიტიზებული, ე. ი. გაფორმებული ფასიანი ქაღალდების სახით, რომელთა ყიდვა-გაყიდვა ბაზარზე შეიძლება. ეს პროცესი ეროვნული სიმდიდრის თუნდაც ნაწილის მიმართ, რომელიც ექსპერტების მიერ 400 ტრლნ დოლარადაა შეფასებული, ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს რადიკალურად შეცვლის.

დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური ფაქტორების როლი. ინვეტორთა უმეტესობას რუსეთის საწარმოთა არასაკმარისი გამჭვირვალობა აშფოთებს. საბუღალტრო ანგარიშის სისტემა დასავლურისგან ჯერ კიდევ ძლიერ განსხვავდება და თავისი არსით უფრო ფისკალურ მიზნებს ემსახურება, ვიდრე საინვესტიციოს.

გარდა ამისა, ბევრ საწარმოში შენარჩუნებულია ინვესტორის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება, რასაც ისინი ვერ შეეჩვივნენ და არც აპირებენ შეჩვევას. რუსული კომპანიები უბრალოდ ითხოვენ კრედიტებს და ინვესტიციებს ისე, რომ ინვესტორს გარანტიებს და უფლებებს არ ანიჭებენ. ქვეყნის საწარმოთა 96%-დან, რომლებიც ინვესტიციებს საჭიროებს, მხოლოდ 3-7% აცხადებს ინვესტორებისათვის თავისი აქციების მიყიდვის და კომპანიის სამართავად უფლებების ნაწილობრივ გადაცემის შესაძლებლობის შესახებ. ამასთან ერთად რუს დირექტორებს უკვირთ დასავლელი ინვესტორები მათ გვერდს რატომ უვლიან.

CIS-ის ქვეყნების სამეურნეო სუბიექტთა ტრანსეროვნული ეკონომიკური საქმიანობის შედარებით ნელი გაშლის ფონზე მათ საერთოეკონომიკურ სივრცეში სულ უფრო მეტად საგრძნობია *დასავლეთის წამყვანი ფირმების კაპიტალის შელწევა CIS-ის ქვეყნების შიდა ბაზრებზე.* თანამეგობრობის ქვეყნების გაერთიანებებმა ბოლო 4-5 წელიწადში საქონლის და მომსახურების რეალიზაციის მათთვის ტრადიციული მრავალი ბაზარი დაკარგა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ისეთ დარგებში, როგორიცაა საავიაციო, რადიოტექნიკური, ელექტრონული, ქიმიური. თუკი „ბოინგი" და „მაკდონელ დუგლასი" CIS-ის ქვეყნებში 40 ფართოფიუზელაჟიანი თვითმფრინავების რეალიზებას ახდენს წელიწადში, კონცერნი „ტუპოლევი" — მხოლოდ 8 თვითმფრინავის რეალიზებას. CIS-ს ქვეყნების ტერიტორიაზე ტვირთების გადაზიდვის მოცულობათა დაახლოებით 80% უცხოური საავტომობილო კომპანიების წილად მოდის.

რუსეთის ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფს (ფსჯ) შეუძლია ვახდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თავისებური „კერა“. ფსჯ-თან ურთიერთქმედებით უცხოელმა ინვესტორებმა შეიძლება მიიღონ დაშვების უფლება ნედლეულის რესურსებთან, იაფ მუშახელთან, საკმაოდ უნიკალურ სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალთან. პროდუქციის გაყოფის შესახებ შეთანხმების პირობები (პგშ) მთელ მსოფლიოში მიღებულია, როგორც საინვესტიციო მექანიზმი, რომელიც სტაბილურ სამართლებრივ-ფინანსურ პირობებს უზრუნველყოფს. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი, ჩვეულებრივ, მოგების 25%-ს იღებს. თავისი დაინტერესება პგშ-ის სქემის მიხედვით რუსეთის ნავთობგაზის ბაზარზე მუშაობის შესახებ განაცხადა შემდეგმა კომპანიებმა: ამერიკულმა — „ექსონმა“, „მარატონმა“, „მაკდერმოტმა“, „მობილმა“, „ტექსაკომ“, „ამოკომ“, „ფაიბრო ენერჯიმ“, „ანგლო-სვიცმა“; იაპონურმა — „მიცუიმ“, „მიცუბისიმ“, „სოდეკომ“; ფრანგულმა — „ტოტალმა“, „ელფ-ნეფტეგაზმა“; გერმანულმა — „ვენა-ოილმა“, „რვე-დეამ“; ნორვეგიულმა — „ნორსკ ჰიდრომ“; ავსტრალიურმა — „ბი-ეიჩ-პიმ“; ნიდერლანდურმა — „იურალ-APA“; ავსტრიულმა — „OMB“ და ანგლო-ნიდერლანდურმა ალიანსმა „როიალ-დატჩშელმა“. დღეს პგშ-ის საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვანწილად შექმნილია და ბევრი პროექტი განხორციელების სტადიაშია.

უცხოური TNC-ების მოზიდვით რუსეთის საბადოების დასამუშავებლად და სხვა მსხვილმასშტაბიანი პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო, გარდა ყველა დონის ბიუჯეტებში მნიშვნელოვანი შენატანებისა, შეძლებს მოიზიდოს ახალი ტექნოლოგიები, რითაც გამოიწვევს მდგრად მრავალწლიან მოთხოვნას რუსულ საქონელსა და მომსახურებაზე.

ამგვარად, რუსეთის საწარმოები და მათი ინტეგრაციული გაერთიანებები შეძლებენ კაპიტალის დაგროვებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საერთაშორისო გამოცდილების დაგროვებასაც, მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელად ესოდენ აუცილებელი რომაა.

გარდა ამისა, სახელმწიფომ, რომელიც უნდა ახდენდეს ამ პროცესების წახალისებას და მის მართვას, მიზნად უნდა დაისახოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის კორპორაციათა სარენტო მოგებების გადანაწილების მექანიზმის შექმნა ეკონომიკის მანქანათმშენებელი და საინფორმაციო სექტორის პერსპექტიულ მიმართულებებში.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სიტუაციაში მსოფლიო ბაზრებზე, სადაც ნავთობზე, გაზსა და სხვა რუსულ საქონელზე ფასების მომატებამ ექსპორტიორებს დამატებით მისცა დაახლოებით 17 მლრდ დოლარი. საკითხი ამ პოტენციალის გამოყენების შესახებ ქვეყნის

მთელი ეკონომიკის განვითარებისთვის დღეს უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური ამოცანა ხდება.

თავისი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე *რუსული TNC-ები შეიძლება გახდნენ რუსეთის ეკონომიკაზე მსხვილი უცხოური მონოპოლისტური ჯგუფების ზეგავლენის უკუქმედების რეალური ფაქტორი*, უპირველეს ყოვლისა, იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების გაშლით. ამასთან ერთად რიგ შემთხვევებში უკვე დღეს მრავალ ფსჯ-ს უნარი შესწევს, კონკურენტუნარიანი, საექსპორტოდ ორიენტირებული საქონლის წარმოება გაშალოს.

რიგი რუსული TNC-ების *ტრანსეროვნული მოლვაწეობის პრაქტიკა* ამგვარი სახის შესაძლებლობას ადასტურებს. ფედერალური კანონის — „ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შესახებ" — ბაზაზე თავდაპირველად (1996 წელს) ოფიციალურად იქნება რეგისტრირებული სამი რუსული ტრანსეროვნული ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფი (ტფსჯ). ეს, უპირველესად, „ინტერროსია" — რუსეთის და ყაზახეთის საწარმოთა სახელმწიფოთაშორისი ჯგუფი, რომელიც იმავე სახელწოდების ფსჯ-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ამ ჯგუფის საწარმოთა ერთობლივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია — სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, მეტალურგიული და ატომური მრეწველობის განვითარება. მეორე ტფსჯ-ია — „ნიჟეგოროდული ავტომობილები", რომელსაც საფუძვლად უდევს რუსეთის ჯგუფის მონაწილეთა კოოპერაციული კავშირების გაშლის, აღდგენის, აქტივიზაციის იდეა ბელორუსიის, უკრაინის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, მოლდოვას, აგრეთვე (უკვე CIS-ის ფარგლებს გარდა) ლატვიის საწარმოებთან; მესამე ტფსჯ — „ტოჩნოსტი" — ორიენტირებულია სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალების, აგრეთვე საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა და რუსეთის, ბელორუსიის და უკრაინის საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების რესურსების გაერთიანებაზე ახალი სახით შეიარაღების შექმნის მიზნით.

1997 წელს შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი ფსჯ „ილუშინი", რომელშიც ილუშინის სახელობის სკ და ტაშკენტის ჩკალოვის სახელობის ავიამშენებელი გაერთიანება შევიდა. ჯგუფის მიზანი იყო — „ილ—114"-ის და მოდერნიზებული „ილ—76"-ის შექმნა და ბაზრებზე გატანა.

2000 წლის მდგომარეობით, მთლიანობაში ტრანსეროვნული ან სახელმწიფოთაშორისი ფსჯ-ის ოფიციალური სტატუსი 11-მა ჯგუფმა მიიღო. რუსეთის 30-ზე მეტმა საინიციატივო ჯგუფმა და დსთ-ის სხვა ქვეყნებმა განაცხადა თავისი სურვილი სახელმწიფოთაშორისი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის შექმნაზე.

თუმცა ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს და ტფსჯ წამყვან როლს არ ასრულებენ ტრანსნაციონალიზაციაში თვით CIS-ის ქვეყნების ბაზრებზეც კი.

უმძლავრესი ტფსჯ-ების შექმნა CIS-ის ჩარჩოებში იმავდროულად გათვლილი იყო თანამეგობრობის ქვეყნების პოლიტიკური დაახლოებისა და ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებისთვის, თუმცა პროცესები სხვაგვარად წარიმართა. CIS-ის ქვეყნები სულ უფრო და უფრო შორდება ერთმანეთს, ხოლო CIS-ის ქვეყნების საერთო ბაზარი თანდათანობით მოცულობაში მცირდება. საერთო ბაზარს დიდი დარტყმა მიაყენა 1998 წლის კრიზისმა, რომელმაც გვიჩვენა, რომ მტკიცე სავალუტო კურსის გარეშე შეუძლებელია განახორციელო ნამდვილად მდგრადი ინტეგრაცია. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ტფსჯ-ების შემდგომი განვითარება აღარ მოხდება. უბრალოდ, მიკროდონეზე ინტეგრაციის ნაბიჯები, საწარმოთა ინტეგრაცია სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციით უნდა იქნეს განმტკიცებული და მხარდაჭერილი.

ფორმალურად რეგისტრირებულ ტრანსეროვნულ ან სახელმწიფოთაშორის ფსჯ-ებამდე — „ინტეროროსი", „ნიუეგოროდული ავტომობილი", „ტოჩნოსტი", „ტაბაკო" — დიდი ხნით ადრე, თავისი არეალითა და საქმიანობის მასშტაბებით, მოქმედებდა ისეთი ტრანსეროვნული მძლავრი კომპლექსები, როგორიცაა რაო „გაზპრომი", რაო „ეი-ე-სი" და სხვ. CIS-ის ჩარჩოებში თავისი ტრანსეროვნული საქმიანობის პროექტების რეალიზებისას, მაგალითად. რაო „გაზპრომმა" შექმნა კონცერნი „სტალტრუბი-გაზი" ხარციზინის მილის ქარხანასთან და უკრაინის დონეცკის ოლქის რიგ სხვა საწარმოებთან. რაო „გაზპრომი", რომელსაც გაზის საბადოთა დამუშავებაზე ლიცენზია გააჩნია — 800 მლრდ დოლარის საერთო ღირებულებით, ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში აქტიურ საქმიანობას ეწევა. ამ საქმიანობის ფორმათა შორისაა — გვრ-ის აღმოსავლეთ და დასავლეთ მიწებზე მილგაყვანილობათა სისტემების აქციათა ყიდვა, აგრეთვე ფინეთში კომპანია „ნესტეს" გაზის ქსელის სისტემის შექმნა, ჩეხეთში, სლოვაკეთში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, ლიტვაში, ესტონეთში სამრეწველო ობიექტთა პრივატიზაციის პროცესებში მონაწილეობა.

ამასთანავე რაო „გაზპრომისთვის" დამახასიათებელია სწრაფვა თავისი საქმიანობის დივერსიფიკაციისა და მესაკუთრის უფლებების გაფართოებისაკენ (მაგალითად, ესტონეთში არა მარტო გაზის ქსელის აქციები იქნა შეძენილი, არამედ კოხტლა-იარვეში მინერალური სასუქების ქარხანაც).

რუსეთის ნავთობის კომპანიები (ნკ) აქტიურ ტრანსეროვნულ საქმიანობას ეწევიან. თითოეული მათგანს საზღვარგარეთ ჰყავს პარტნიორი, რომელიც მათ ბიზნესში FDI-ებს ახორციელებს.

მაგალითად, ნკ „ლუკოილის" ძირითადი უცხოელი ინვესტორია Bank of New York (21,1%) და „ლუკოილის" სტრატეგიული პარტნიორი — ამერიკული ნავთობის კომპანია ARCO (8%). „ლუკოილი" მსოფლიო ბაზრებზე აქტიურ ექსპანსიურ პოლიტიკას აწარმოებს. იგი ნავთობპროდუქტებს აწვდის და რეკონსტრუქციას ახდენს ამ ქვეყნებში 70 ავტოგასამართ სადგურს. ერთობლივი საწარმო „კუმკოლ-ლუკოილი" აწარმოებს ყაზახეთში კუმკოლის საბადოს დამუშავებას. რუსეთ—იტალიური ერთობლივი საწარმო „LukAgip" საბადოს დამუშავებას გეგმავს ხმელთაშუა ზღვის ტუნისის შელფზე. „ლუკოილმა" შეიძინა ყაზახეთში თენგიზის საბადოს დასამუშავებელ პროექტში მონაწილეობის 5% და აზერბაიჯანის კასპიის შელფზე საბადოების 10%. მან ხელი მოაწერა ვოლგოგრადის გემთმშენებელ ქარხანასთან კონტრაქტს 10 „მდინარე-ზღვა" ტიპის ტანკერის მშენებლობაზე, რაც 100 მლნ დოლარის ღირებულების იქნება და დაიწყო 5000 ბენზინგასამართი სადგურებისგან შემდგარი ქსელის მშენებლობა აშშ-ში, რომელთა ექსპლუატაციაში გაშვება ქალიშვილ-ფირმა „ნესკუს ფიუელზი" განახორციელებს რუმინეთში. ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა მას ეკუთვნის.

რაო „გაზპრომის" და ნავთობის კომპანიათა ტრანსეროვნული საქმიანობის მასშტაბები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ოფიციალურად რეგისტრირებული ტფსჯ-ების. ეს ჯგუფები ისტორიულად წარმოიშვა, დაიწყო მოქმედება და განვითარდა უფრო ადრე, ვიდრე აღნიშნული ფსჯ-ის რეესტრში ოფიციალურად იყვნენ შეტანილი.

წამყვან ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებს თავისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებით შეუძლიათ ტრანსფორმირება რეალურ და მძლავრ TNC-ად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას დღემდე აქვს რუსეთის მიმართ მნიშვნელოვანი საგარეო ვალი (სსრკ-ის საგარეო ვალის სამართალმემკვიდრეს და შესაბამისად სხვა სახელმწიფოთა სსრკ-ის მიმართ სავალო ვალდებულებების მფლობელს). ამ სავალო ვალდებულებების ანგარიშში რუსეთს შეეძლო ამ სახელმწიფოთა საწარმოების აქციონირების პროგრამათა განხორციელებისას, მოეხდინა მათი საგარეო ვალის კაპიტალიზაცია მსგავს სააქციო საწარმოების აქციათა პაკეტებში, ხოლო შემდგომ ამის საფუძველზე ურთიერთქმედების ახალი ფორ-

მები განევითარებინა. აშკარად ნათელია, რომ ეს ძალუძს მხოლოდ მძლავრი რუსეთის ფინანსურ-სამრეწველო კომპლექსებს, რომელთა ჩარჩოებში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოლიტიკის საკითხები შეხამებული იქნება ცხოვრებაში ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარებასთან. ამ მიმართულებით ფსჯ-ებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

რუსეთსა და CIS-ის ქვეყნებში მრეწველობის ძირითად დარგებში არსებობს ტფსჯ-ების შექმნის სავსებით კონკრეტული გეგმები. მათ უკვე გაიარეს აპრობაცია და წინასწარი დამტკიცება დაინტერესებული ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებში.

ამგვარად, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ არსებული ფორმალური და არაფორმალური TNC-ის საფუძველზე სახელმწიფოს ადეკვატური მხარდაჭერისას უკვე უახლოეს პერსპექტივაში რიგი მიმართულებების მიხედვით შეიძლება განვითარდეს რუსული კაპიტალის ექსპანსია მსოფლიო ბაზრებზე.

ამ თავის მიხედვით, სხვა დასკვნები კი ამგვარია.

1. ტრანსნაციონალიზაციის განხორციელებისას პირველ ეტაპზე საჭიროა TNC-ის უცხოური ინვესტიციების სტიმულირება რუსეთში, ხოლო შემდეგ სამამულო კორპორაციათა წარმოების და მართვის მოდერნიზაციის გატარებით და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით მეორე ეტაპზე გადასვლა, რაც დაკავშირებულია კორპორაციათა უცხოური განყოფილებების ორგანიზაციასთან და საზღვარგარეთის ბაზრებზე ექსპანსიასთან.

2. ინვესტიციათა მოსაზიდად შემდეგი ფაქტორების ჯგუფს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება, ესაა: მაკროეკონომიკური (პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა ქვეყანაში, სახელმწფო პოლიტიკა), სამართლებრივი (კანონმდებლობათა არსებობა, რომლებიც საიმედოდ იცავს მესაკუთრეთა და უცხოელ ინვესტორთა ჯგუფებს); ინფრასტრუქტურული (საფონდო ბაზარი, საბანკო სისტემა) და მაკროეკონომიკური (საწარმოთა მზაობა FDI-ების მისაღებად).

თავი 24

მსოფლიო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები მესამე ათასწლეულის დასაწყისში

ტექნოლოგიური პერსპექტივები. ინტერნეტის სამყარო და მეგაეკონომიკის მომავალი. ტრანსეროვნული კაპიტალი, ანუ რეგულირების ზეეროვნული ორგანოები. გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა. Pax Americas, ანუ მრავალპოლარული მსოფლიო. ტრანსეროვნული კაპიტალის და მოწინავე ქვეყნების მომავალი. რუსეთის მომავალი

მომავალი — ესაა ის, რისკენაც ყოველი ჩვენგანი მიისწრაფვის საათში 60 წუთის სიჩქარით.

ძ. ლუისი

ჩვენ მივუახლოვდით წიგნის ბოლო თავს და ახლა შეიძლება ვცადოთ მსოფლიო ეკონომიკის მომავალში ჩახედვა. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან სხვადასხვაგვარი ანალიტიკური კვლევები, საბოლოო ჯამში, ტარდება იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ პროცესთა მიმდინარეობის კანონზომიერებანი, რათა გვქონდეს შესაძლებლობა განვჭვრიტოთ მათი განვითარება მომავალში და შეძლებისდაგვარად ზემოქმედება მოვახდინოთ ამ პროცესთა მსვლელობაზე საკუთარი ინტერესებისთვის.

24.1. მეგაეკონომიკის მომავალი

მე-3 თავში ჩვენ გამოვავლინეთ მეგაეკონომიკის თვითრეგულირების კონტურები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ყველა ძირითადი პროცესის რეგულირება, რაც სისტემაში ხდება და რომელთა გარეშე ერთიანი მდგრადი სისტემის თავად არსებობაც კი შეუძლებელია. სავსებით ბუნებრივია, ახლა შევეცადოთ განვჭვრიტოთ გლობალიზაციის პროცესების განვითარება ძირითადი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც ამ კონტურთაგან უმნიშვნელოვანესებს შეესაბამება.

უწინარეს ყოვლისა, შევთანხმდეთ, რომ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, *მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროგნოზირება* უმადური საქმეა. იმისათვის, რომ ცხადად დაგანახოთ ეს, საკმარისია, გავიხსენოთ პროგნოზები, რომელთაც მეცნიერები წარსულში აკეთებდნენ. მაგალითად, XX საუკუნის დამდეგს დიდ იმედს იძლეოდა არგენტინა, რომელსაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მიხედვით მსოფლიოში მე-10 ადგილი ეკავა. იგი ვითარდებოდა ყველაზე სწრაფი ტემპებით და მას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, სამხრეთამერიკულ აშშ-ებს უწოდებდნენ. თუმცა ამ პროგნოზებს ახდენა არ ეწერა და დღეს ამ ქვეყანას ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით მე-60 ადგილი უკავია. პირველ მსოფლიო ომამდე ფილიპინებს და არა იაპონიას მიიჩნევდნენ უმდიდრეს აზიურ სახელმწიფოდ. ჯერ კიდევ 1960 წელს ფილიპინები ტაივანს და სამხრეთ კორეას უსწრებდა, ახლა კი ჩამორჩება მათ — შესაბამისად 6-ჯერ და 4-ჯერ. 60-იანი წლების დამდეგს განა აფრიკის უმდიდრესი ქვეყანა იყო, სულზე მშპ-ით კი საბერძნეთის და იაპონიის დონეზე იყო, მაგრამ მისი მომავლის პროგნოზები აგრეთვე არ ახდა, და ახლა ამ ქვეყნის განვითარების დონე დაბალია, ვიდრე 60-იან წლებში.

მეორე მხრივ, არავინ არ მოელოდა გერმანიის, იაპონიის და თვით რუსეთის ნანგრევებიდან ესოდენ სწრაფ აღორძინებას, რაზეც ამჟამად ცოტას ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, ახლა შეიძლება მხოლოდ სინანულით გადაიკითხოთ 2000 წლის სახელმწიფო გეგმის პროგნოზები, მაგრამ საეჭვოა რუსი მეცნიერებიდან რომელიმემ გაბედოს იმის დამტკიცება, რომ იგი მოვლენათა სწორედ ამგვარ განვითარებას ჭვრეტდა.

დაბოლოს, სავსებით არაშორეული მაგალითი. 1989 წელს იაპონიის პარლამენტის წევრი იშიხარა ამბობდა: „შეერთებულ შტატებს მომავალი არა აქვს“. იმ დროს ამგვარი პროგნოზი არავის აკვირვებდა. ყველა ამერიკელი მეცნიერი ერთხმად აღიარებდა იაპონიის სამრეწველო დაგეგმვის

წარმატებებს. იაპონიის კონკურენტული უპირატესობანი მაშინ ურყევი ჩანდა. მაგრამ ათი წლის შემდეგ სიტუაცია საფუძვლიანად შეიცვალა და იაპონიის წილი მსოფლიო საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციაში 40-დან 10%-მდე შემცირდა. ახლა ყველა ისევე დაბეჯითებით ლაპარაკობს აშშ-ის უდავო ლიდერობის შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენი ცოდნა ჯერჯერობით საკმარისი არაა სარწმუნო პროგნოზების მისაღებად. სამყარო შევიდა არამდგრადობის და გარდამავალი პროცესების ზონაში, როცა განვითარების ტრაექტორია შეიძლება საოცრად იცვლებოდეს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ პროგნოზების შემუშავებით, მათი შედარებით რეალობასთან და კვლავ კორექტირებით, ჩვენ თანდათანობით მივუახლოვდებით მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი პროცესების გაგებას. გარდა ამისა, პროგნოზების ფასი, თუნდაც ნაწილობრივ არასწორისა, ისაა: რომ ისინი მიგვითითებენ მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებს და ხშირად განვითარების არასასურველი სცენარების აღსაკვეთად საჭირო რეკომენდაციებს შეიცავენ.

უდავოა, რომ მეგაეკონომიკაში შემდგომი ცვლილებები და გლობალიზაცია ტექნოლოგიური განვითარების და, უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების განმსაზღვრელი გავლენის პირობებში გაივლის. მაინც რას უნდა ველოდოთ აქ მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში?

საერთაშორისო-ტექნიკური პროგრესის პროგნოზი არანაკლებ რთულია, ვიდრე ეკონომიკური განვითარების განჭვრეტა. 1899 წელს აშშ-ის საპატენტო უწყების რწმუნებული რეკომენდაციას უწევდა თავისი უწყების დახურვას, ვინაიდან „ყველაფერი, რისი გამოგონებაც შეიძლებოდა, უკვე გამოიგონეს“. 40-იან წლებში მაშინდელი IBM-ის ხელმძღვანელი თ. ვატსონი წინასწარმეტყველებდა, რომ კომპიუტერების მსოფლიო ბაზარი დავა სულ რაღაც ხუთ მომხმარებლამდე. ისტორია სავსეა ძალიან ავტორიტეტული ადამიანების ამგვარი ტექნოლოგიური წინასწარმეტყველებებით. 60-იან წლებში გაჩნდა მოდა 2000 წლის პროგნოზებზე და ისინი დიდი რაოდენობით კეთდებოდა. იმ დროს მძაფრად ვითარდებოდა კოსმოსური ტექნიკა. ისე ჩანდა, კაცობრიობა ეს-ესაა დაეუფლება თერმობირთვულ ენერგიას და პრაქტიკულად განვითარების ყველა ენერგეტიკული ბარიერი იქნება მოხსნილი. ამიტომ ყველა პროგნოზი, რომელიც დაფუძნებული იყო მაშინ არსებულ ტენდენციათა ექსტრაპოლაციაზე, ექსპანსიონისტურ ხასიათს ატარებდა. მათში გამოთქმული იყო აზრი, რომ კაცობრიობა დაიწყებდა მეზობელი პლანეტების სწრაფად ათვისებას და თავის ძალისხმე-

ვას წარმართავდა თავისი საქმიანობის სივრცობრივი საზღვრების გაფართოებაზე.

თუმცა განვითარება წავიდა სულ სხვა გზით, და ყველა ამ პროგნოზს ახდენა არ ეწერა. წინა პლანზე წამოვიდა საინფორმაციო მეცნიერებები, გენეტიკა, ეკოლოგია და მედიცინა. კაცობრიობას არ დაუწყია თავისი სასიცოცხლო სივრცის გაფართოება, მან გადაწყვიტა უკვე ათვისებულის ხელახლა მოწყობა. საინტერესოა, რომ თვით კიბერნეტიკის განვითარების პროგნოზებიც არ ახდა. მოფიქრებული კომპიუტერების ნაცვლად ჩვენ მივიღეთ არავის მიერ ნაწინასწარმეტყველები „ქსელური სამყარო". პროგრესი წარიმართა არა იმდენად მანქანური ინტელექტის შექმნის ხაზით, რამდენადაც კომპიუტერული ქსელების საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაზრდის გზით, რომლებიც ბაზრის მოთხოვნებს მოემსახურებოდა საუკეთესო სახით.

დღეს ტექნოლოგიური პროგნოზირებით ასევე შეუძლებელია განვითარების ძირითადი მიმართულების განჭვრეტა. მაგალითად, იმავე თერმობირთვული ენერგიის გამოყენების შესაძლებლობათა აღმოჩენას შეუძლია შეცვალოს ეკონომიკური განვითარების მთელი მსვლელობა. თუმცა ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ კაცობრიობა შემდგომშიც წავა ლიბერალური განვითარების გზით და შეეცდება დააკმაყოფილოს, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის საარსებო მოთხოვნები. ეს იმას ნიშნავს, რომ კოსმოსის ათვისების გრანდიოზული პროექტები და ბუნების გარდაქმნა, რომელთა განსახორციელებლად აუცილებლია კაცობრიობის რესურსების უზარმაზარი კონცენტრაცია, უახლოეს ათწლეულში კვლავ მეორე ადგილზე დარჩება. განვითარდება ის ტექნოლოგიები, რომლებიც შეძლებს იპოვოს მოსახლეობის გადახდისუნარიანი სამომხმარებლო მოთხოვნა. ეს კი — მედიცინა, კომუნიკაციის საშუალებები, კომპიუტერული ტექნოლოგიები, გენური ინჟინერია და ეკოლოგიაა.

იმისათვის, რომ *საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების* განვითარების პროგნოზირება მოვახდინოთ, არ არის საჭირო ფანტაზიორობა, საკმარისია უკვე აშკარად გამოკვეთილი ტენდენციების ექსტრაპოლირება.

1. *კომპიუტერების სიმძლავრის გაზრდა და მათი ფასების შემცირება.* პირველი პროგრამირებული ელექტრონული კომპიუტერი 20 სიტყვის მეხსიერებით კონსტრუირებულ იქნა 1946 წელს, მაგრამ რევოლუცია ამ სფეროში დაიწყო მხოლოდ მაშინ, როცა 60-იანი წლების ბოლოს გავრცელდა კომპიუტერ-მეინფერმები, ხოლო 1971 წელს გამოიგონეს მიკროპროცესორი. ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი, რომელიც იმ დროი-

დან შეიმჩნეოდა, ხასიათდება უკვე ჩვენს მიერ ნახსენები მურის კანონით. 1965 წელს გორდონ მურმა, Intel-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, განცხადა, რომ კაჟბადიანი ჩიპის პროცესინგული სიმძლავრე გაორმაგდება ყოველ 18 თვეში. ასეც მოხდა, რამაც კომპიუტერების სიმძლავრის უზარმაზარი ზრდა და მათზე ფასების მკვეთრი დაცემა გამოიწვია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მურის კანონი, სულ მცირე, კიდევ 10 წელი დარჩება ძალაში. 2001 წელს ჩვეულებრივი კომპიუტერის პროცესინგული სიმძლავრე იქნება 10 მლნ-ჯერ მეტი 1975 წლის კომპიუტერის სიმძლავრეზე, ხოლო რეალური ფასი ნაკლები.

ბოლო 40 წლის განმავლობაში გამომთვლელი სიმძლავრეები მილიარდჯერ გაიზარდა. რიცხვთა დამუშავებაზე ამოცანები, რომლებიც ოდესღაც კვირებს საჭიროებდა, ახლა წამებში წყდება. დღეს ავტომობილი „Ford Taurus" ფლობს უფრო დიდ გამოთვლით სიმძლავრეს, ვიდრე კომპიუტერი-მეინფერმები, რომელთაც იყენებდნენ კოსმოსურ პროგრამა „აპოლონში" და ისინი რამდენიმე მილიონი დოლარი ღირდა.

ბოლო 30 წელიწადში კომპიუტერების მწარმოებლურობის რეალური ფასი 99,999%-მდე შემცირდა, ანუ საშუალოდ წელიწადში 35%-ით იკლებდა. სატელეფონო საუბრების ღირებულება მცირდება ნელა, მაგრამ უფრო ხანგრძლივი სატელეფონო პერიოდის განმავლობაში. 30-იან წლებში სამწუთიანი სატელეფონო დარეკვის ღირებულება ნიუ-იორკიდან ლონდონში დღევანდელი ფასებით 300 დოლარზე მეტს შეადგენდა; დღესდღეობით ამგვარივე ზარი 20 ცენტზე ნაკლები დაჯდება, ანუ ფასების წლიური ვარდნა დაახლოებით 10%-ს შეადგენდა.

ფასების ეს ვარდნა ბევრად მკვეთრია, ვიდრე უწინდელი ტექნოლოგიური რევოლუციების დროს. პირველი ორთქლის ძრავები იყო ცოტა იაფი, ვიდრე წყლის ენერგია. 1850 წლისთვის ორთქლის ენერგიის რეალური ღირებულება შემცირდა მხოლოდ ნახევრად 1790 წლის ღირებულებასთან შედარებით. 1870 და 1913 წლების პერიოდში რკინიგზების მშენებლობამ მთელი ამერიკის გავლით გადაზიდვათა ღირებულება 40%-ით შეამცირა, ე. ი. 3%-ით წელიწადში. დეპეშათა დანერგვამ უზარმაზარწილად დაზოგა დრო, რაც აუცილებელი იყო ინფორმაციის გადასაგზავნად დიდ მანძილებზე, მაგრამ თავად მომსახურება ძვირადღირებული რჩებოდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში ტრანსატლანტიკურ დეპეშაში ერთი სიტყვა დღევანდელი ფასებით 79 დოლარი ჯდებოდა. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ფასები დაეცა, თუმცა იმისათვის, რომ ოცსიტყვიანი შეტყობინება გაეგზავნათ, საჭირო იყო დაახლოებით 200 დოლარის დახარჯვა. დღეს ოცგვერდიანი დოკუმენტის გაგზავნა ელექ-

ტრონული ფოსტით სულ რაღაც 1 ცენტად შეიძლება. ფასები ელექ-ტრობაზე უფრო მკვეთრად მცირდებოდა, მაგრამ მათი შემცირება 1890-1920 წწ.-ს შორის საშუალოდ სულ 6%-ს შეადგენდა რეალური გამოხა-ტულებით.

კომპიუტერები და ინტერნეტი ფასების კლების წყალობით სულ უფ-რო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე საერთო დანიშნულების წინა ტექნო-ლოგიები.

2. *კომპიუტერთა გამოყენების გაფართოების სფერო.* უფრო იაფი პრესინგული სიმძლავრეები საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ კომპიუტე-რები სულ უფრო სხვადასხვაგვარი მიზნებისათვის. 1985 წელს კომპანია Ford-ი, რომ გაერკვია, რა მოხდებოდა ავარიისას, იძულებული იყო გამოც-დის ნებისმიერ შემთხვევაში დაეხარჯა 60 ათასი დოლარი, ვინაიდან გა-მოცდის დროს რეალური ავტომობილი რეალურ კედელს ეჯახებოდა. ახლა შეჯახების იმიტირება კომპიუტერის საშუალებით ხდება და იგი 100 დო-ლარი ჯდება. BP Amoco იყენებს სამსაზომიან სეისმური ძიების ტექნოლო-გიას ნავთობის საბადოების ძიებისას, რამაც ასეთ ძიებაზე დანახარჯები 1 ბარელზე გაანგარიშებით ათჯერ შეამცირა — 1991 წელს 10 დოლარიდან 1 დოლარამდე დღესდღეობით.

უახლოეს მომავალში კომპიუტერები შეძლებენ თავის თავზე აიღონ მზრუნველობა ადამიანის ჯანმრთელობაზე. იაფი მიკროკომპიუტერი მრიცხ-ველების სისტემით ადამიანის სხეულზე საშუალებას მოგვცემს ოპერატი-ულ რეჟიმში გავზომოთ ჯანმრთელობის მდგომარეობის ძირითადი მაჩვე-ნებლები, მაშინვე დავუკავშირდეთ ქსელით სამედიცინო ცენტრებს, რათა მივიღოთ რჩევები წამლების მიღების და საკვები დანამატების აუცილებ-ლობის შესახებ, რომლებიც იქვე შეიძლება დავუკვეთოთ ინტერნეტის სა-შუალებით. ასეთი კომპიუტერული დიაგნოსტიკა განვითარებული ქვეყნე-ბის მცხოვრებთათვის მალე ჩვეულად იქცევა ისევე, როგორც კბილების გაწ-მენდა და პირის დაბანა. ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ოპერატიული კონტროლი და წამყვანი სამედიცინო ცენტრების სამედიცინო რჩევების მუდმივი კორექცია საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ადა-მიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და მრავალი დაავადება თავიდან ავიცი-ლოთ. საბოლოო ჯამში, ასეთი სისტემების დანერგვა დიდ მასშტაბებში ეკონომიკურად ეფექტიანი აღმოჩნდება როგორც ცალკეული პირებისათ-ვის, ასევე საზოგადოების მასშტაბით.

3. *საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სიმძლავრის და სიჩქარის ზრდა.* საკომუნიკაციო ქსელების მუშაობის სიმძლავრე და სიჩქარე აგრეთვე არ-ნახულად გაიზარდა. 1970 წელს „ბრიტანიკის" ენციკლოპედიის გადაცემა

ელექტრონული ფაილის სახით აშშ-ის ერთი სანაპიროდან მეორეზე ღირდა 187 დოლარი, ვინაიდან გადაცემის სიჩქარე იყო დაბალი, ხოლო საერთაშორისო ზარები — ძვირი. დღეს აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის მთელი მოცულობა შეიძლება გაგვეგზავნა სულ 40 დოლარად. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში სატელეფონო ზარები, არსებითად, უფასო გახდება, ვინაიდან ტელესაკომუნიკაციო ფირმები ამოიღებენ ყოველთვიურ გადასახადს ისე, რომ საუბრის დროს არ შეზღუდავენ.

საკომუნიკაციო დანახარჯების კლების შესაბამისად სულ მეტი და მეტი კომპიუტერი ერთიანდება ქსელით. ექსპონენტის მიხედვით ონლაინის რეჟიმში მუშაობისგან სარგებელი იზრდება შეერთებათა რიცხვის მომატებით. მეტკალფის კანონის თანახმად (მისი ავტორობა მიეწერება რობერტ მეტკალფს, კომპიუტერული ქსელების სფეროში პირველმკვლევარს), ქსელის ღირებულება იზრდება დაახლოებით მომხმარებელთა რიცხვის კვადრატის პროპორციულად. ინტერნეტმა სათანადოდ ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ 1990 წელს „საყოველთაო ქსელის“ და 1993 წელს ბრაუზერის გამოგონების შემდეგ, თუმცა მომხმარებელთა რიცხვმა მთელ მსოფლიოში უკვე 350 მლნ-ს გადააჭარბა და ოთხი წლის განმავლობაში შეიძლება 1 მლრდ-ს მიაღწიოს.

4. *ქსელური გაერთიანებების შექმნა.* უახლოეს მომავალში უმეტესი კომპიუტერი ორგანიზებულ იქნება განსაზღვრულ მსხვილ გაერთიანებებში ინტერესის მიხედვით (პრაქტიკულად ისინი ჩაიკეტება განსაზღვრულ პორტალში, რომელიც უზრუნველყოფს მათ აუცილებელი ბიზნეს-ინფორმაციით და სპეციალიზდება კლიენტთა ინდივიდუალურ საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებაზე. ადამიანი „ქსელური წესით“ ცხოვრების დროს ეჩვევა ქსელის მეშვეობით არა მარტო ინფორმაციის, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლის უმეტესობის მიღებასაც. თანდათანობით მცირე პორტალები შეძლებენ თავის კლიენტზე სრული მეურვეობის ორგანიზებას, აიღებენ რა თავის თავზე მის საინფორმაციო მომსახურებას და საქონლის მიწოდებას. ისინი შეძლებენ თავისი კლიენტების მოთხოვნების დეტალურ შესწავლას და დაზოგავენ მათ საშუალებებს, მათი მოთხოვნების განჭვრეტით. შემდგომში საბაზრო და პოლიტიკური რეკლამების დახმარებით ისინი ნაწილობრივ განახორციელებენ მართვას მისი უპირატესობების მიხედვით, როგორც სასაქონლო სფეროში, ასევე პოლიტიკურში.

არანაკლებ სერიოზული პროგრესია მოსალოდნელი *გენეტიკის და ბიოტექნოლოგიის სფეროში.* მიუხედავად „მწვანეთა“ პროტესტისა, 10-15 წლის შემდეგ ადამიანის კვებაში ფართოდ შევა გენური ინჟინერიის

მიღწევათა საფუძველზე მიღებული პროდუქტები. გენეტიკურად შეცვლილი სასოფლო-სამეურნეო მცენარეები და ცხოველები მნიშვნელოვნად პროდუქტიული იქნება და ისინი ნაკლებად დაექვემდებარება დაავადებებს.

მედიცინაში, გენურ ინჟინერიაში მოსალოდნელია საკმაოდ სწრაფი წარმატებები. ბევრი საშინელი დაავადება, ისეთები, როგორიცაა შიდსი, როგორც ჩანს, დამარცხებულ იქნება XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში. თუმცა, რადგან ადამიანის ცხოვრება მნიშვნელოვნად გახანგრძლივდება (საუკუნის შუა ხანებში განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 100 წელს მიუახლოვდება), გამოვლინდება სულ ახალ-ახალი დაავადებები, რომლებიც გენეტიკურად იქნება ჩადებული. ასე რომ, მედიკოსებს სამუშაო არ მოაკლდებათ.

განსაცვიფრებელი წარმატებებია მოსალოდნელი *ფსიქოლოგიაშიც.* ადამიანის ფსიქოლოგიური შესაძლებლობანი ფრიად დიდია, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი და აუმოქმედებელია. სხვადასხვა პარაფსიქოლოგიური და ოკულტური ცდები საშუალებას იძლევა, რომ მათში მხოლოდ ნაწილობრივ ჩავიხედოთ. კომპიუტერული ტექნიკა, ვირტუალური რეალობის ფართო გამოყენება ფსიქოთერაპიასა და ფსიქოანალიზში, სხვადასხვა სიტუაციის მოდელირების შესაძლეობლობა არა მარტო სიტყვიერ დონეზე, როგორც დღეს ამას აკეთებს თანამედროვე ფსიქოანალიტიკოსი, არამედ ვირტუალური სახეების დონეზეც, საშუალებას მისცემს მილიონობით ადამიანს გათავისუფლდეს კომპლექსებისგან. შესაძლებელია მრავალი დაავადების მკურნალობის ფართო დანერგვის პროგნოზირება მეთოდებით, რომლებშიც ფსიქოლოგიური და ვირტუალური ზემოქმედებებია კომბინირებული. ეს მეთოდები საშუალებას მოგვცემს, მრავალჯერ გავზარდოთ ბევრი შესასწავლი ტექნოლოგიის ეფექტიანობა. უკვე უახლოეს 10-15 წელიწადში გაჩნდება ფსიქოკომპიუტერული შემსწავლელი ტექნოლოგიები, რომლებიც ადამიანს შესაძლებლობას მისცემს, გვარიანად გაზარდოს ახალი ინფორმაციის ათვისების სიჩქარე. კერძოდ, ამით გადაწყდება უცხო ენების სწრაფად შესწავლის პრობლემა.

XXI საუკუნეში მეცნიერებათა დედოფალი ეკოლოგია გახდება. კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, თავისი განვითარების პრიორიტეტებს გადახედავს. იგი მიხვდება, რომ არაფერია ჯანმრთელ სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი სუფთა და უსაფრთხო პლანეტაზე. ამიტომ მეცნიერთა და ინჟინერთა ძალისხმევა მიმართული იქნება ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავებაზე მრეწველობისა და სოფლის მეურ-

ნეობის ყველა დარგში. ეკოლოგია მეცნიერებებს შორის ცენტრალურ ადგილს დაიკავებს, ხოლო ეკოლოგიური მოთხოვნები ნებისმიერი ადამიანური საქმიანობის კატეგორიული იმპერატივი გახდება.

ახლა, მას შემდეგ, რაც ტექნოლოგიური პროგნოზის ესკიზი გავაკეთეთ, შეიძლება ვნახოთ, თუ როგორ აისახება ადამინთა და კომპანიათა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და „ქსელური ცხოვრების წესი" *მეგა-ეკონომიკის ძირითად ეკონომიკურ კროცესებსა და კონტურებზე.*

1. *იდეოლოგიური სფერო.* უახლოეს ათწლეულში ჩვენ მივალთ ადამიანთა შედარებით პატარა ქსელური გაერთიანებების შექმნამდე, რომელთაც ექნება მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობანი. ისინი შეირჩევენ თავისთვის პორტალს ამ უპირატესობათა შესაბამისად და ქსელში ერთმანეთთან სიამოვნებით ექნებათ ურთიერთობა. პორტალი თავისი მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ქსელურ ტელევიზიას ინდივიდუალურად შერჩეული პროგრამების მიხედვით. რა თქმა უნდა, ყოველი მომხმარებელი შეძლებს თავისუფლად გადაადგილდეს ქსელში, მაგრამ თავისუფალი ძიებისათვის დროის უქონლობის გამო ის ძირითადად მიმაგრებული იქნება თავის პორტალს.

ამგვარად, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მიკროპარტიები წარმოიქმნება და პოლიტიკური ძალები ბრძოლას გააჩაღებენ ცნობილი პორტალებისთვის ისევე, როგორც ახლა იბრძვიან ტელეარხებისათვის. მთლიანობაში მის-ების (მასობრივი ინფორმაციული სისტემები) ქსელური სისტემა იქნება უფრო დემოკრატიული, ვიდრე ახლანდელი, მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მიღებისას თავისუფლების კოლოსალურ გაზრდასთან დაკავშირებით. ამავე დროს, გაჩნდება ტოტალური პორტალების წარმოქმნის საფრთხე, რომლებიც შეეცდებიან თავიანთი იდეოლოგიური პოზიცია თავს მოახვიონ მუდმივ კლიენტებს. ხოლო ფაქიზი გავლენის შესაძლებლობები თავის მომხმარებლებზე უზარმაზარი იქნება.

უეჭველია, ინტერნეტი კაცობრიობას ყოველწლიურად მიაახლოვებს *ახალი, საერთოკულტურული ცივილიზაციური იდენტურობის ადამიანთა შექმნამდე,* რომელთაც ექნებათ მსგავსი ქცევის მანერები, მსოფლიოს შესახებ საერთო ხედვა, საერთო ფასეულობები და ა.შ. ამასთან, გემოვნების და ინდივიდუალურ უპირატესობათა სპექტრი, რომელიც ინტერნეტ-რეკლამით ყალიბდება, მნიშვნელოვნად გაფართოვდება, ვინაიდან ყოველი მსხვილი TNC შეეცდება მოაწყოს თავისი საკუთარი საბაზრო ნიში.

მსოფლიო საინფორმაციო ელიტის იდეოლოგიური ზემოქმედება მნიშვნელოვნად გაიზრდება. მიუხედავად ამისა, დარჩება დიდი რეგიონები,

რომლებიც გავლენის სფეროს გარეთ აღმოჩნდებიან. ეს, უპირველს ყოვლისა, მუსლიმანური ქვეყნები იქნება, ისინი კვლავ გააგრძელებენ დასავლეთის მოქმედებისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

2. *ინსტიტუციონალური სფერო.* აქ კვლავ გაგრძელდება ეროვნული კანონმდებლობების დაახლოება. ვინაიდან გლობალიზაცია მუდმივად აყენებს სულ ახალ-ახალ ტრანსსასაზღვრო პრობლემებს, შეიძლება ვივარაუდოთ ზეეროვნული კანონმდებლობის გამოსაყენებლობის ზონის მკვეთრი გაფართოება. ევროკავშირის გავლენის ზრდა უკვე 2020 წლისათვის გამოიწვევს რამდენიმე ფუძემდებლური საერთაშორისო კოდექსის შექმნას, რომლებიც ადამიანური საქმიანობის მრავალი მნიშვნელოვანი სფეროს რეგულირებას მოახდენს. მათი ნორმები აღიარებული იქნება სავალდებულოდ ყველა განვითარებული ქვეყნის და უმეტესი განვითარებადი სახელმწიფოს მიერ. მოსალოდნელია არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის ზრდა და ახალთა წარმოქმნაც. საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტების გაძლიერება აუცილებლობად იქცევა და მათი მოქმედების ზონები გაფართოვდება. საუკუნის შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდება პირველი მსოფლიო მთავრობა. ეროვნული სახელმწიფოები მას თავისი ფუნქციების ნაწილს გადასცემენ. ერთა გაერთიანებები, როგორც ჩანს, მოხდება ევროკავშირის მოდელის მიხედვით.

ინტერნეტის განვითარება მოკლევადიან პერსპექტივაში მოითხოვს *საგადასახადო კანონმდებლობის* მნიშვნელოვან ცვლილებებს. შეიძლება გამოვყოთ უკიდურეს შემთხვევაში სამი მიზეზი, რომელთაც უახლოეს წლებში შეუძლია გადასახადის გადამხდელებს სიცოცხლე გაუმწაროს.

1. *მისი დახმარებით იოლია ყიდვათა გადასახადისგან თავის არიდება.* თუკი გერმანელი ყიდულობს კომპაქტ-დისკს ადგილობრივ მაღაზიაში, იგი ავტომატურად იხდის დღგ-ს 15%-იანი განაკვეთით. თუკი იგი ამგვარივე დისკს ყიდულობს ამერიკულ ონლაინურ მაღაზიაში და იღებს მას ფოსტით, მას სავსებით შეუძლია, თავი აარიდოს მისთვის კუთვნილი გადასახადის გადახდას, ვინაიდან საგადასახადო ინსპექციას არ შესწევს უნარი, გახსნას ქვეყანაში მოსული ყველა ამანათი. თუმცა ყველაზე მეტი პრობლემა ჩნდება ქსელიდან დატვირთულ პროდუქტებთან, ისეთებთან, როგორიცაა მუსიკა, პროგრამები და ვიდეო. საგადასახადო ორგანოებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ თვალი მიადევნონ ციფრულ პროდუქციას.

ამერიკაში ინტერნეტ-მაღაზიების მომხმარებლები იშვიათად იხდიან გადასახადებს. გადასახადები გაყიდვებიდან, როგორც წესი, ამოიღება გამყიდველის მიერ გაყიდვის ადგილას, მაგრამ ამერიკულ ფირმებს,

რომლებიც სპეციალიზდებიან საქონლის ფოსტით მიწოდებაში, კანონებით არიან ვალდებული ამოიღონ გადასახადი საქონლის გაყიდვიდან სხვა შტატებში. წარსულში ამოუღებელი გადასახადები ამისგან მნიშვნელოვანი არ იყო, მაგრამ, თუკი ინტერნეტ-ვაჭრობა B2C სეგმენტში (business-to-community, ე. ი. ფიზიკურ პირებს) დაიწყებს აყვავებას, ასეთი საგადასახადო ხვრელი ხაზინას სერიოზულ ზარალს მიაყენებს. გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ გაყიდვებზე გადასახადების უფრო მაღალი განაკვეთის მქონე შტატების მცხოვრებნი ამჯობინებენ დასაქონლებას ქსელში.

2. *ინტერნეტი ზრდის ფირმების მობილურობას და განსაზღვრული პროფესიების კვალიფიციურ სპეციალისტებს.* საწარმოებს ან ფიზიკურ პირებს, რომლებიც მუშაობენ ქსელის მეშვეობით, შეუძლიათ გადასვლა ნაკლებად მკაცრი გადასახადების მქონე ქვეყნებში ან საგადასახადო ნავსაყუდელებში. მაგალითად, ბევრი ბრიტანული სათამაშო ფირმა ახლახან გადავიდა ონლაინის რეჟიმში ოფშორული რეგისტრაციით. ინტერნეტი აძნელებს პერსპექტიული გადასახადის გადამხდელის პიროვნების და დასაბეგრი საქმიანობის სახეების დადგენის პროცესს. დომენური სახელი შეიძლება არაფრით იყოს დაკავშირებული საიტის პოვნის ადგილთან. ხოლო, თუ ანონიმური ელექტრონული ფულის მიმოქცევაში შეტანის გეგმები ნაყოფს მოგვცემს, პოტენციური გადასახადის გადამხდელების გამოვლენა კიდევ უფრო გაძნელდება.

3) ინტერნეტმა შეიძლება გაურთულოს ცხოვრება საგადასახადო ორგანოებს რიტეილორების, ბანკების და სხვა შუამავლების კლასის აღმოფხვრის გზით, რომლებიც დღესდღეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გადასახადების აკრეფასა და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაში.

უეჭველია, ინტერნეტი გამოიწვევს ქვეყნებს შორის საგადასახადო კონკურენციას, რითაც მთავრობებს აიძულებს შეამცირონ გადასახადების განაკვეთები. მოგებაზე გადასახადის განაკვეთები დაიწყებს შემცირებას და საგადასახადო ტვირთი გადაინაცვლებს იმაზე, რისი გაკონტროლებაც მარტივია — თანამშრომლებზე, ქონებაზე, ენერგომატარებლებზე და ა. შ. იმავდროულად მალე მოსალოდნელი იქნება ინტერნეტ-ბიზნესზე საგადასახადო კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმების გაჩენაც. ამ მიმართულებით EU-ის ჩარჩოებში ევროპული კომისიის პირველი მცდელობები არსებობს.

3. *საქონლის და მომსახურების გაზრდების და მოხმარების სფერო.* ამერიკაში ელექტრონულ ვაჭრობაზე გარიგებათა მთელი მოცულობის ჯერ მხოლოდ 1% მოდის, მაგრამ ეს მაჩვენებელი სწრაფად იზრდება. ფირმები

dot. com (ე. ი. ონლაინის რეჟიმში მომუშავენი), ისეთები, როგორიცაა Amazon და eBay, დღეს ყოველი დიასახლისისთვისაა ცნობილი, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ელექტრონული ვაჭრობა B2B (business-to-business), რომელიც ელექტრონული ფორმით აკავშირებს მყიდველებსა და გამყიდველებს მთელ საწარმოო-გამსაღებელ ჯაჭვში. საკონსულტაციო კომპანია The Gartner Group ვარაუდობს, რომ გლობალური ვაჭრობა B2B 2003 წლისათვის 4 ტრლნ დოლარის მოცულობას მიაღწევს, მომხმარებლებზე ონლაინით გაყიდვათა 400 მლრდ დოლარზე ნაკლებ მოცულობასთან შედარებით.

ელექტრონულ ვაჭრობას — B2B-ს — შეუძლია შეამციროს ფირმის დანახარჯები რამდენიმე გზით. იგი ამცირებს შესყიდვათა ღირებულებას, ვინაიდან საშუალებას იძლევა იპოვო დამკვეთი ყველაზე დაბალი ფასებით. დაკვეთის განთავსება ონლაინის რეჟიმში ბევრად იაფია, ხოლო შეკვეთების გაფორმებისას და ანგარიშების წარდგენისას შეცდომათა ალბათობა მცირდება. Cisco აღნიშნავს, რომ ადრე ყველა შეკვეთის თითქმის მეოთხედის გადაფორმება უხდებოდა ფაქსითა და ტელეფონით შეკვეთების სისტემაში შეცდომების გამო; მას შემდეგ, რაც კომპანია გადავიდა შეკვეთების ონლაინურ სისტემაზე, შეცდომათა წილი 2%-მდე შემცირდა, რამაც კომპანიას 500 მლნ დოლარი დაუზოგა. British Telecoms-ის ცნობით, საქონლის და მომსახურების ყიდვა ონლაინის რეჟიმით ამცირებს დანახარჯებს ოპერაციათა დამუშავებაზე 90%-ით და კომპანიის მიერ შესასყიდი საქონლის და მომსახურების საკუთრივ ღირებულებას — 11%-ით.

შესაძლო ეკონომიის მეორე სახე დაკავშირებულია მნიშვნელოვნად ნაკლებ დანახარჯებთან იმ საქონლის და მომსახურების გასაღებაზე, რომელთა შეთავაზებაც შეიძლება ელექტრონული ფორმით. ესენია, მაგალითად, ფინანსური მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფა და მუსიკა. ინტერნეტით განხორციელებული ოპერაცია ბანკს სულ 1 ცენტი უჯდება 27 ცენტთან შედარებით, თუ ოპერაციას ბანკომატით მოახდენს, 52 ცენტი — სატელეფონო ოპერაციით და 1,14 დოლარი — ბანკის ოპერაციონისტის მონაწილეობით. ონლაინური ვაჭრობა საშუალებას იძლევა მიწოდებათა ჯაჭვი უფრო ეფექტიანად ვმართოთ, ვინაიდან ბევრ შუამავალს გამოდევნის, დაბოლოს, უფრო სრული და ზუსტი ინფორმაცია ამცირებს ფირმის მოთხოვნას მნიშვნელოვანი მარაგების არსებობაზე. შემუშავებული Dell Computer-ის მოდელი „build-to-order" სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს სრულიად აღკვეთს, და იგი ახლა სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს. B2B-ს ბირჟები, რომლებიც დაფუძნებულია ავტომობილე-

ბის, ფოლადის მწარმოებელი ფირმების და სამშენებლო და აეროკოსმოსური კომპანიების მიერ, უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან ბაზარს საქონლის გასაცვლელად მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. შესაძლებელია, ასეთი ბირჟები ყველა დარგში გაჩნდეს. GM, Ford, Daimler Chrysler და Renault-Nissan გეგმავს საერთო ელექტრონულ ბირჟაზე — 250 მლრდ დოლარის ბრუნვით — გადასვლას, რომელსაც 60 ათასი მიმწოდებელი ჰყავს. ზოგიერთი შეფასების თანახმად, მუშაობა მიმწოდებლებთან ონლაინის რეჟიმში საშუალებას მისცემთ შეამცირონ ავტომობილების დამზადების ღირებულება 14%-ით.

სავარაუდოა, რომ ყველაზე მეტი ეკონომია უზრუნველყოფილი იქნება შესყიდვათა სფეროში. საინვესტიციო კომპანიის Goldman Sachs-ის ანგარიშში მოტანილი შეფასებების მიხედვით, ონლაინურ რეჟიმში შესყიდვებით ფირმებს შეუძლია დაზოგვა ნახშირის დარგში 2%-დან, ელექტრონული კომპონენტების სფეროში — 40%-მდე. Goldman Sachs-ის სპეციალისტების აზრით, ელექტრონულ ვაჭრობა B2B-ს დროთა განმავლობაში შეუძლია მდიდარ ქვეყნებში წარმოების დონის გაზრდა საშუალოდ 5%-ით. ასეთი ნამატის ნახევარზე მეტის რეალიზება მოხდება ათ წელიწადში, რაც ნიშნავს წელიწადში ტემპის ზრდას 0,25%-ით შემდგომი ათწლეულის განმავლობაში. ამას მიუმატეთ ხარჯების არაპირდაპირი ეკონომია ინტერნეტის წყალობით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოახერხებენ ფირმები თავისი მუშაობის მეთოდების რეორგანიზებას და საერთო მოგება შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვნად მეტი.

4. *ფინანსების სფერო.* აქ ფინანსური დაწესებულებების კონვერგენცია მოხდა. *ბანკები, საინვესტიციო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები თავიანთი საქმიანობის სფეროებს უკიდურესად დააბალანსებენ.* ბანკები დაკარგავენ თავის კონკურენტულ უპირატესობებს და საეჭვოა, ვინმემ დადოს ფული დეპოზიტზე ფიქსირებული პროცენტებით. სავარაუდოა, გაიმარჯვოს შვეიცარიული კერძო ბანკების მუშაობის სქემამ, რომლებიც კლიენტების ფულს იღებენ მართვაში, დათქვამენ რა წინასწარ მხოლოდ დაბანდებათა რისკის ხასიათს. ფინანსურ დაწესებულებათა უმრავლესობა შემოსავლების ლომის წილს მიიღებს თავისუფალ ფინანსურ ბაზარზე კონსალტინგური საქმიანობიდან.

5. *კაპიტალის ბაზრები.* 90-იანი წლების ერთადერთი სერიოზული შერყევა გახლდათ იაპონური აქციების დაცემა. თუმცა მთლიანობაში საფონდო ბაზარი საკმაოდ სტაბილური იყო. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის, ალან გრინსპენის ხელმძღვანელობით გა-

იარა ადრე არნახული ათწლიანი უწყვეტი ზრდის პერიოდი, რომელსაც თან ახლდა დაბალი ინფლაცია. ბევრი ინვესტორი ფიქრობს, რომ გრინ-სპენმა მოახერხა ბოლო მოეღო ბიზნეს-ციკლებისათვის, თუმცა აქ სერიო-ზული ეჭვებიც არსებობს.

2000 წლის გაზაფხულისთვის ამერიკული კორპორაციების აქციებმა არნახულ ფასებს მიაღწია. ეს ანგრევს ტრადიციულ წარმოდგენებს კა-პიტალიზაციასა და კომპანიათა ძირითადი ფონდების რეალურ ღირებუ-ლებას შორის, ასევე — აქციის ფასსა და დივიდენდებს შორის შესაძლო თანაფარდობის შესახებ. აქციათა ფასების ზრდამ ბევრი ამერიკული ინ-ვესტორი აქცია ძალიან მდიდარ ადამიანად, და მათ საკუთარი სიმდიდრე ურყევად მიიჩნიეს, დაიწყეს ბევრად მეტის მოხმარება და ნაკლების და-ზოგვა. ეს შეეხო ამერიკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ვინაი-დან ქვეყნის მოქალაქეთა 45% ფლობს აშშ-ის უმსხვილესი საწარმოების აქციებს. წარმოიქმნა სახიფათო გარღვევა მოხმარებასა და დაგროვებას შორის.

ინტერნეტ-კომპანიათა (ე. წ. dot. com კომპანიები) ახლანდელი შე-ფასებები, როგორც ჩანს, ვარაუდობს, რომ ასეთი კომპანიები შეძლებენ ბაზრის საკმაო წილის დაპყრობას, წაართმევენ რა მას რეალურ ბაზარ-ზე მოქმედ ფირმებს. და მაინც, ისტორიული გამოცდილება გვარწმუ-ნებს, რომ ტექნოლოგიური რევოლუციებისგან მოგებას ხშირად იღებენ არა იქ, სადაც ელიან. ამერიკაში სარკინიგზო ბუმისგან ყველაზე მეტად მოიგეს წვრილმა ფირმებმა და ფერმერებმა, რომლებმაც მთელ კონტი-ნენტზე შეღწევა მოახერხეს. გამოსაფხიზლებლად კარგი იქნება გავიხ-სენოთ, რომ დღეს იმ 5000 სარკინიგზო კომპანიიდან, რომლებიც ამე-რიკაში ოდესღაც არსებობდა, უკვე 99% აღარაა. იგივე შეიძლება ით-ქვას 2000 საავტომობილო კომპანიის შესახებაც. გარდა ამისა, ფირმა Goldman Sachs-ის გამოკვლევათა თანახმად, პირველი ელექტრონული კომპანიების მოგებები და აქციათა ფასები იმედის გამაცრუებელი აღ-მოჩნდა, მიუხედავად ცხადი გავლენისა, რომელიც მოცემულ დარგს მთელ ეკონომიკაზე ჰქონდა.

შეიძლება იმის პროგნოზი, რომ მოხდება ძველი ეკონომიკის კომპანი-ათა აქციებზე ფასების თანდათანობითი დაცემა და შედარებით სწრაფი ფასების კლება ახალ ეკონომიკაში. როგორც ჩანს, ამერიკა მოახერხებს თავისი ეკონომიკის „რბილად დაშვებას“ 90-იანი წლების თავბრუდამხვევი აღმაფრენის შემდეგ. თუმცა უდანაკარგოდ ეს არ მოხდება. კერძოდ, დო-ლარს მოუწევს შევიწროვება — და ევრო მოახერხებს თავისთვის დამატე-ბითი სივრცის დაპყრობას.

6. სამუშაო ძალის ბაზარი. ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კარდინალურად შეცვლის *სამუშაო ძალის* მობილურობას. სულ უფრო მეტი ადამიანი შეძლებს სახლში მუშაობას, დაუკავშირდება რა სამუშაოს მომცემს ინტერნეტით. მუშაობის ამგვარი ფორმა განსაკუთრებით გავრცელდება *მარკეტინგში, კონსალტინგში, პროექტირებაში, პროგრამირებასა და მეცნიერებაში.* ამისთვის, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მუშაობის ახალი ტექნოლოგიების ორგანიზება, სამაგიეროდ როგორი ეკონომია იქნება სატრანსპორტო დანახარჯებზე, შენობებზე და ა.შ.! კვალიფიკაციური სამუშაო ძალის დიდი ნაწილი შეიძლება საყოველთაო გახდეს. უკვე დღეს რუსი მეცნიერები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ხელშეკრულებით მუშაობენ დასავლეთის ფირმებთან ისე, რომ თავიანთ ლაბორატორიებს არ ტოვებენ. უახლოეს მომავალში ამგვარი პრაქტიკა საყოველთაო გახდება. თანდათანობით ეს მიგვიყვანს სამუშაო ძალის ფასების გათანაბრებამდე, რაც კვალიფიკაციის შესაბამისი იქნება.

იმავდროულად მენეჯერების და მუშების შრომის ანაზღაურებაში სხვაობის გაზრდის ტენდენცია არსებობს. თუკი 1980 წელს დიდი კორპორაციის გენერალური დირექტორი საშუალოდ მუშაზე 42-ჯერ მეტს იღებდა, 2000 წლისთვის უკვე 475-ჯერ მეტს აიღებს. იმისდა მიხედვით, რაც ინტერნეტი გააფართოებს ბაზარს განსაკუთრებული ტალანტის მქონე პირთათვის, მცირე სხვაობა კვალიფიკაციაში გამოიწვევს დიდ სხვაობას ხელფასში. ეს იდეა დაფუძნებულია შერვინ როზენის — ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომისტის — შრომაზე. თავის კლასიკურ ნაშრომში „სუპერვარსკვლავთა ეკონომიკა“ (1981 წ.) იგი ხსნიდა, თუ რატომაა, რომ ისეთ დარგებში, როგორიცაა სპორტი და კინო, მცირერიცხოვანი ვარსკვლავები იღებენ თანხებს, რომლებიც ბევრად აჭარბებს ყველა იმ ადამიანის შემოსავალს, ვინც მათ ზურგს უკან სუნთქავს. იგივე პრინციპი — „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ — უკვე მოქმედებს სულ უფრო მეტ სპეციალობებში, მათ შორის არიან საფონდო დილერები, ექიმები, იურისტები და გენერალური დირექტორები. მათ მუშაობაში ძალზე მნიშვნელოვანია აღმოჩნდე, თუნდაც პელეტონის წინ ნახევარი კორპუსით. ამბიციურ საინვესტიციო ბანკს არ სჭირდება მეორე საფონდო დილერი — ის მზადაა მეტი გადაიხადოს, ოღონდ საუკეთესო იშოვოს. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა ასეთი სპეციალისტებისთვის გააფართოეს ბაზარი საერთაშორისო მასშტაბამდე, ამიტომ სუპერტალანტი სპეციალისტებისთვისაც გაიზარდა პრემიები.

ჩვეულებრივი პროფესიებისთვის, როგორიცაა მოლარეები და კლერკები, შრომის ანაზღაურება მთელ მსოფლიოში ალბათ გათანაბრდება, ვინაიდან ახალი ტექნოლოგიები ათანაბრებს სხვაობას რეგიონებს შორის ხელფასების დონეშიც. მეორე მხრივ, სუპერვარსკვლავის ეფექტი —შეიძლება გავრცელდეს ახალ პროფესიებზეც, როგორიცაა პედაგოგიკა და პროგრამირება, ვინაიდან ინტერნეტი საშუალებას აძლევს ნიჭიერ პროფესიონალებს მოემსახურონ სულ უფრო დიდ ბაზრებს.

7. *ინოვაციათა სფერო.* ბოლო 200 წლის განმავლობაში მშპ-ის ზრდა 1 სულ მოსახლეზე თანდათანობით მატულობდა წელიწადში 0,6%-დან 1800-1840 წლებში 2,3%-მდე 1960-1999 წლების განმავლობაში. მშპ-ის ზრდის ტემპი 1 სულ მოსახლეზე დაახლოებით 2,5% იქნება შემდგომი ათწლეულების განმავლობაში, ანუ აღნიშნული ტენდენციის შესაბამისი. პოლ რომერი, ზრდის ახალი თეორიის მამა, ვარაუდობს, რომ ზრდის ტემპი დროთა განმავლობაში გაიზარდა ცოდნიდან გაზრდილი უკუგების წყალობით. ცოდნა თავისთავად ეხმარება კაცობრიობას: რაც უფრო მეტ აღმოჩენას აკეთებს, მით უკეთ ფლობს ამ აღმოჩენათა ჩვევებს.

იმისათვის, რომ მწარმოებლურობის ზრდა მუდმივი იყოს, ახალი ტექნოლოგიების და ახალი პროდუქტების დანერგვის სიჩქარე ყოველთვის უნდა იზრდებოდეს.

ცოდნათა და ინოვაციათა ბაზართან დაკავშირებით ტრადიციულ ეკონომისტებს განსაზღვრული პრობლემები აქვთ. თუკი იყიდება მატერიალური საგანი, ვთქვათ ნიჩაბი, გამყიდველი მესაკუთრე აღარ არის. მაგრამ თუ იდეა იყიდება, გამყიდველი რჩება მის მფლობელად და მისი გაყიდვა ხელახლა ყოველთვის შეუძლია. როგორც არ უნდა გამოიყენებოდეს ცოდნა, იგი მუდამ სასარგებლო რჩება. საბაზრო სისტემა, ადამ სმიტის მიერ 200 წლის წინ აღწერილი, დაფუძნებული იყო დეფიციტის ცნებაზე და ფასწარმოქმნის ისეთ სტრუქტურას შეიცავდა, რომლის მიხედვითაც ორი საგნის წარმოება ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე ერთი ამგვარი საგნის წარმოებაზე ძვირი.

ტრადიციული ეკონომიკური თეორია თვლიდა, რომ უმეტესი დარგი რაღაც მომენტში მიდის „კლებადი შემოსავლიანობის“ წერტილამდე, ვინაიდან პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება იწყებს ზრდას და ამიტომ ვერც ერთი ცალკეული ფირმა ვერ შეძლებს მთელი ბაზრის დაპყრობას. თუმცა სულ უფრო მეტი საინფორმაციო პროდუქტი (ანუ ყველაფერი ის, რაც შეიძლება გარდაიქმნას ნულებიდან და ერთიანებიდან თანმიმდევრობად) ისეთები, როგორიცაა პროგრამები, წიგნები, ფილმები, ფინანსური მომსახურებანი და ვებ-საიტები, „მზარდ შემოსავლიანობას“ გვიჩვე-

ნებს. ინფორმაცია წარმოებაში ძვირია, მაგრამ რეპროდუქციაში იაფი. მუდმივი მაღალი დანახარჯები და საოცრად დაბალი ცვალებადი დანახარჯები ამ დარგებს ფართო შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ მასშტაბის ეფექტი. ახალი პროგრამული პროდუქტის შემუშავება შეიძლება მილიონობით დოლარი ღირდეს, თუმცა მისი დამატებითი ასლების წარმოება იქნება პრაქტიკულად უფასო, განსაკუთრებით მაშინ, თუ პროდუქტი ინტერნეტით ვრცელდება.

„მზარდი შემოსავლიანობის" იდეაში ახალი არაფერია. ალფრედ მარშალი, ბრიტანელი ეკონომისტი, ჯერ კიდევ 1980 წელს განიხილავდა მას. გაზი, ელექტრობა და რკინიგზები შემოსავლიანობის ზრდას საინფორმაციო რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე გვიჩვენებდა, თუმცა საინფორმაციო პროდუქტებში შემოსავლიანობის ზრდა შეიძლება გამოვლინდეს უმეტესწილად მათი თვითღირებულების სტრუქტურიდან. გარდა ამისა, მასშტაბის ეფექტი შესამჩნევად ძლიერი გახდა. „სტანდარტ ოილის" პერიოდში XX საუკუნის დამდეგს, თუკი ფირმა თავის მეტოქეებზე დიდი იყო, მისი საშუალო დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე შეიძლება 10%-ით ნაკლები ყოფილიყო. ჩვენს დროში, თუკი პროგრამისტული ფირმა 2-ჯერ დიდია თავის კონკურენტზე, მისი საშუალო დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე შეიძლება 50%-ით დაბალი აღმოჩნდეს. ეს საოცრად აძნელებს ბაზარზე ახალი მოქმედი პირების გამოსვლას.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივი საბაზრო სტრუქტურა მონოპოლია ხდება. საინფორმაციო პროდუქტებთან დამატებით სართულეს წარმოადგენს ის, რომ მასშტაბის ეფექტი შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო მიწოდების მხრიდან, არამედ მოთხოვნისგანაც, იმ ეფექტების ხარჯზე, რომელთაც ეკონომისტები „ქსელურ საგარეო ეფექტებს" უწოდებენ. მრავალი საინფორმაციო საქონლის ღირებულება, ისეთების, როგორიცაა ფაქსიმილური კავშირის აპარატები ან პროგრამული პაკეტები, მით უფრო ძვირია, რაც უფრო მეტი ადამიანი იყენებს. Microsoft Windows-ის სამომხმარებლო ღირებულება მდგომარეობს მისი გარსის სწორედ საყოველთაო გავრცელებაში. ამგვარად, ქსელური გარე ეფექტები შეიძლება სერიოზული ბარიერი გახდეს ბაზრისკენ მიმავალ გზაზე. თუკი ყველა, ვისთანაც თქვენ გაქვთ ურთიერთობა, იყენებს Microsoft Windows-ს, მაშინ გინდა-არგინდა, თქვენც მოგიწევთ მათ რიცხვში შესვლა.

პერსპექტივაში შეიძლება ვივარაუდოთ ინოვაციათა სწრაფი ზრდა. იმავდროულად ახალი *მასშტაბის და ქსელური ეფექტები* ხელს შეუწყობს მონოპოლიზაციას. თუკი მთავრობები და ზეეროვნული ორგანოები მუდ-

მივად არ სრულყოფენ და მკაცრად არ გამოიყენებენ ანტიმონოპოლიურ კონონმდებლობას, მაშინ მომავალში, ახალ ინოვაციურ ეკონომიკაში მონოპოლიზაციის ხარისხი იქნება უფრო დიდი, ვიდრე ძველში.

8. *ეკოლოგიის სფერო.* შემდგომი გლობალიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი იძულებითი მოტივი *კვლავინდებურად ეკოლოგია* იქნება. შეიძლება ვივარაუდოთ კაცობრიობის საერთო ეკოლოგიური პრობლემების ზრდა, განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ეკოლოგიური მენტალიტეტის სწრაფი გაფართოება. ეკოლოგიური პრობლემების გასაფართოებლად მიმართული იქნება სულ უფრო მეტი საშუალება. როგორც ჩანს, XXI საუკუნის უკვე პირველ ათწლეულში შეიძლება ველოდეთ ეროვნული სახელმწიფოების საშუალებების და ფუნქციების ნაწილობრივ გადაცემას ზეეროვნული ეკოლოგიური ორგანოებისათვის. სწორედ საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციებიდან დაიწყება რეგულირების მუდმივად მოქმედი ზეეროვნული ორგანოების ზრდა, რაც უფრო შორეულ პერსპექტივაში თანდათან მსოფლიო მთავრობის რომელიღაც ფორმაში გადაიზრდება. ახალი ეკოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავება და გაყიდვა, ეკოლოგიური ტექნიკის წარმოება დაიკავებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს განვითარებული ქვეყნების მრეწველობაში.

ამგვარად, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები.

1. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური პროგრესის ზემოქმედებით ვითარდება. წამყვანი როლი დაეკისრება საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ახალ მასალებს, გენურ ინჟინერიას, მედიცინას და ეკოლოგიას. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ძირითადი ტენდენციებია კომპიუტერების და კავშირგაბმულობის საშუალებების სიმძლავრეთა სწრაფი ზრდა და გაიაფება, კომპიუტერების და ქსელების მომხმარებელთა რიცხვის ექსპონენციალური ზრდა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობათა გაფართოება და სხვადასხვა ინსტრუმენტულ საინფორმაციო საშუალებებს შორის ზღვარის წაშლა.

2. უახლოეს მომავალში კომპიუტერთა უმეტესობა და მათი მომხმარებლები გლობალურ ქსელში ორგანიზებული იქნებიან განსაზღვრულ გაერთიანებებად ინტერესების მიხედვით, ისინი ტექნიკურად დაკავშირებული იქნებიან კონკრეტულ პორტალთან. ეს გაერთიანებები განსაზღვრულ როლს შეასრულებენ ინსტიტუციონალურ-იდეოლოგიურ სფეროში, მოხმარების სფეროში, საქონლის და მომსახურების ბაზრებზე, აგრეთვე ფინანსურ ბაზრებზე.

24.2. ტრანსეროვნული კაპიტალის და ეროვნული სახელმწიფოების მომავალი

გლობალიზაციის ბოლო კონტურად, რომელიც წინა განყოფილებაში არ ყოფილა განხილული, ტრანსნაციონალიზაციის კონტური რჩება. გადავწყვიტეთ იგი ცალკე თავში განვიხილოთ.

ახლო მომავალში გრძელა ქალაუფლებებისათვის ტრანსეროვნულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის გაგრძელდება ყველა დონეზე და გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის ყველა სფეროში, ამასთან მოსახლეობა, როგორც მომხმარებელი, TNC-ების მხარეს იქნება, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ უფრო დაბალ ფასებს, ხოლო როგორც მწარმოებელი — ეროვნული სახელმწიფოების მხარეს, რომლებიც სამამულო მწარმოებლებს იცავენ და ახორციელებენ პროტექციონისტულ ზომებს (იმპორტული ბაჟები, კვოტები და ა. შ.).

სახელმწიფოებსაც და TNC-საც რეგულირების ზეეროვნული ორგანოების ორგანიზაციისკენ ექნებათ სწრაფვა, ვინაიდან გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ჩანს, გაუჩნდებათ შანსი იქცნენ მსოფლიო მთავრობად. თუმცა მსოფლიო ეკონომიკის ამ ორ ძირითად ფაქტორს სხვადასხვა მიზანი ექნება.

ეროვნული სახელმწიფოები დაიწყებენ სწრაფვას ზესახელმწიფოებრივი რეგულირებისკენ, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დაამყარონ კონტროლი ტრანსეროვნულ კაპიტალზე და მის აბსოლუტურად თავისუფალ და ამიტომ სახიფათო გადაადგილებაზე მთელი პლანეტის მასშტაბით. მათ სურვილი ექნებათ დაამყარონ რეგულირება მსოფლიო სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე დაახლოებით იმ დონეზე, როგორც განვითარებული ქვეყნების ეროვნულ ბაზრებზე. ამგვარი რეგულირების პირველი მსხვერპლი უნდა გახდეს ოფშორები და TNC, რომელთა გაკონტროლებასაც შეეცდებიან სახელმწიფოები. მნიშვნელოვანი კოზირი სახელმწიფოთა ხელში მსოფლიო რეგულირებისკენ მათი სწრაფვისას იქნება გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად ზეეროვნული მიდგომის ობიექტურად არსებული აუცილებლობა. ეს კრიზისი მათ მიერ ენერგიულად იქნება გათამაშებული ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობის მიმართ მუდმივი აპელაციით და „მწვანეთა" საერთაშორისო ორგანიზაციებზე დაყრდნობით.

TNC-ს რეგულირების ზეეროვნული ორგანოებისადმი მუდამ ექნებათ სწრაფვა და, პირიქით, შეზღუდავენ ეროვნული სახელმწიფოების თვითნებობას ტრანსეროვნული კაპიტალის მიმართ. ისინი მოისურვებენ,

თუნდაც ნაწილობრივ, შეცვალონ პროტექციონისტული და, ჩვეულებრივ, პატრიოტულად განწყობილი სახელმწიფოები ლიბერალურ და კოსმოპოლიტურ ზეეროვნულ ორგანოებად, რომლებიც WTO-ს და IMF-ის ტიპის იქნება. ამასთან, TNC მუდმივად მოახდენენ ყველა ქვეყნის მომხმარებელთა ინტერესების აპელირებას, ისინი დაეყრდნობიან მომხმარებელთა უფლებების და ლიბერალური საზოგადოებრიობის დამცველ გაერთიანებებს.

ამ უძლიერეს მეტოქეებს შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლა ალბათ კომპრომისულ გადაწყვეტილებათა სერიას გაივლის, მაგრამ საერთო შედეგი, რომელიც მდგომარეობს ეკონომიკით ზეეროვნული მართვის მეტნაკლებად ლიბერალური და მბრძანებლურ ორგანოების ორგანიზაციაში, უეჭველი იქნება.

იქნება კი TNC შორეულ პერსპექტივაში? ეს კითხვა სავსებით მართლზომიერია, ვინაიდან ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობის საფუძველი ესაა ყოველგვარი ქვეყანათშორისი განსხვავებების გამოყენება კვლავწარმოებითი პროცესების ორგანიზაციის დროს. როგორც ცნობილია, TNC-ს კვლავწარმოებითი პროცესების ნაწილი გადააქვს იმ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც მათ განსახორციელებლად ლოკალური უპირატესობანი არსებობს. თუკი რომელიღაც ქვეყანაში იაფი, მაგრამ საკმაოდ დისციპლინირებული და კვალიფიციური სამუშაო ძალაა, იქ ხელსაყრელია საამწყობო ქარხნების აშენება, საქონლის მასობრივი წარმოების ორგანიზება. იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო შეღავათებია, ხელსაყრელია კორპორაციის მმართველი და ფინანსური განყოფილებების განთავსება. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები უნდა წარმოებდეს იქ, სადაც განსაზღვრულ სფეროში მძლავრი სამეცნიერო სკოლები და კვლევის ტრადიციებია.

რა თქმა უნდა, სამყაროს გლობალიზაცია და საერთო ეკონომიკური კანონზომიერებანი მუდმივად მოახდენს სხვადასხვა ქვეყანას შორის პირობათა გათანაბრების სტიმულირებას და ამით ერთგვარად TNC-ს წაართმევს საკვებ გარემოს — ქვეყანათაშორის განსხვავებებს. რატომ უნდა გადავიტანოთ ცალკეული ოპერაციები სხვა ქვეყნებში, თუკი პირობები ყველგან ერთნაირი იქნება?

მართლაც, საკმაოდ შორეულ პერსპექტივაში შეიძლება ველოდეთ შრომის ანაზღაურების დონეებში თანდათანობით გათანაბრებას, ასევე დაბეგვრის პირობებში და მოსახლეობის განათლების დონეშიც კი. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა მის მოზიდვას პლანეტის ნებისმიერ წერტილში შესაძლებელს გახდის.

თუმცა ბუნებრივ-კლიმატური სხვაობა, ბუნებრივია, დარჩება. ამიტომ, ეკონომიკური გეოგრაფიის კანონების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და პირველადი დამუშავება მოხდება საბადოთა ახლოს. საამწყობო წარმოება — პორტებთან და სატრანსპორტო კვანძებთან, ხოლო კვლევითი და საპროექტო სამუშაოები უახლეს მომავალში იწარმოებს უპირატესად დიდ ქალაქებსა და მეგაპოლისებში. სხვათა შორის, ბოლო მტკიცება ალბათ, ყველაზე საკამათოა.

მართლაც, ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით ხომ ქსელურ ურთიერთობას შეუძლია სავსებით შეცვალოს უშუალო ურთიერთობები. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს გამანაწილებელი დაწესებულებები და სამეცნიერო ორგანიზაციები, რომლებშიც მოხელეები, მმართველები, მეცნიერები ან დამპროექტებლები იქნებიან ქალაქის, ქვეყნის სრულიად სხვადასხვა ნაწილში, შეიძლება პლანეტისაც კი, მაგრამ ერთობლივად შეასრულებენ საერთო სამუშაოს, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ საერთო ჭერის ქვეშ.

თუმცა მსგავსი პერსპექტივა განსაზღვრულ სკეფსისს იწვევს. ზუსტად რომ ვთქვათ, განაწილებული ორგანიზაციების და, მით უმეტეს, სამეცნიერო დაწესებულებების რეალიზების შესაძლებლობა შეიძლებოდა მომხდარიყო დიდი ხნით ადრე ინტერნეტის შექმნამდე. მეცნიერებისათვის, ერთი შეხედვით, საკმარისია კონფერენციებზე არახშირი შეხვედრები აზრთა მუდმივი გაცვლით ჟურნალებისა და სხვა ბეჭდვითი ორგანოების მეშვეობით, ხოლო ჩინოვნიკებსა და მმართველებს უკვე დიდი ხნის წინ შეეძლოთ გადასვლა უწყვეტი სელექტორული თათბირების სისტემაზე, რომელიც ცოტა უარესია ინტერნეტზე — კონფერენციებზე.

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით შეიმჩნევა ტენდენცია არა განაწილებული ორგანიზაციებისადმი, არამედ, პირიქით, მმართველობითი და სამეცნიერო კადრების კონცენტრაციისაკენ. და საქმე, როგორც ჩანს, ადამიანის სიღრმისეულ არსშია, როგორც ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი ცხოველისა. ეტყობა, ჯერჯერობით მხოლოდ პირადი ურთიერთობა, პიროვნებათაშორისი კონკურენცია უშუალო კონტაქტში შემოქმედებითი ენერგიის მობილიზების საშუალებას იძლევა. ტყუილად როდია, რომ ბოლო ხანებში ასე გავრცელებულია „ტვინის შტურმის“ მეთოდი და ა. შ. ადამიანის ფსიქიკა, ათასწლეულობით რომ ყალიბდებოდა, საეჭვოა, გარდაიქმნას წლებისა და ათწლეულების განმავლობაში ზეთანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენის ქვეშაც კი. უშუალო კონტაქტის გარეშე კონკურენტებს სისხლში (ბიზნესში ან მეცნიერებაში) არ მოაწვება ადრენალინი და აღმოჩენა თუ შთაგონება ვერ მოხერხდება.

ამასთან, რა თქმა უნდა, საკმაოდ პერსპექტიულია ისეთი სამუშაოების განაწილებული ორგანიზაცია, რომელთა მკაფიოდ დაყოფა ცალკეულ, შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებად შესაძლებელია. სხვათა შორის, ასეთი ორგანიზაციები უკვე წარმატებით მოქმედებს.

მაგრამ მაშინაც კი, თუ მეცნიერებასა და მართვაში განაწილებული ორგანიზაციები ოდესმე ფართოდ გავრცელებული გახდება, სხვაობა ქვეყნებისა და რეგიონების კულტურებს, ენებს, ტრადიციებს, სამეცნიერო სკოლებსა და ა. შ. შორის კიდევ დიდხანს შენარჩუნდება. და კიდევ, დიდხანს ექნებათ TNC-ს კონკურენტული უპირატესობების მიღების საშუალება სხვადასხვა სახელმწიფოთა, რეგიონთა და ერთა შორის სხვაობების გამოყენებისგან. ალბათ TNC იარსებებს მანამ, ვიდრე სახელმწიფოებსა და ერებს შორის სხვაობის ნიველირება არ მოხდება. როდესაც სამყარო გახდება ერთიანი, TNC უბრალოდ შეიცვლიან სახელს და დარჩებიან გლობალურ კორპორაციებად, ზედსართავის — „ტრანსეროვნულის" — გარეშე.

რა თქმა უნდა, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები *თავად TNC-ის ორგანიზაციას და სტრატეგიას* მნიშვნელოვნად შეცვლის. TNC-ის საწარმოო განყოფილებები შემდგომშიც გამსხვილდება და გავა იაფი და შედარებით კვალიფიციური (ფასის მიმართ) სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებში. მაგალითად, ცნობილია, რომ თანამედროვე მიკროპროცესორების წარმოება კომპიუტერებისთვის არის განსაკუთრებით კაპიტალტევადი და ეკონომიკურად რაციონალური წარმოების ზომა 1 მლრდ დოლარზე მეტ ინვესტიციებს საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით, კომპანია Intel უკვე ახლა კოსტა-რიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში აშენებს „სწორედ ამგვარი ზომის" ქარხნებს. ეს იძლევა შესაძლებლობას ჩამოშორდეს კონკურენტებს და წარმოების რენტაბელობა უზრუნველყოს 100%-ზე მეტად.

მნიშვნელოვნად დიდი ცვლილებები მოხდება TNC-ის სხვა რგოლებშიც.

სამეცნიერო-საკონსტრუქტორო განყოფილებებს ექნება გაშორიშორების ტენდენცია სხვადასხვა ქვეყანაში, ვინაიდან კავშირი ინტერნეტის მეშვეობით ახლა საშუალებას მისცემს მოახდინოს მეცნიერთა და დამპროექტებელთა სამუშაოს კოორდინირება მანძილისგან დამოუკიდებლად. სტრატეგიული მარკეტინგი კვლავინდებურად თავმოყრილი იქნება შტაბინაში, მაგრამ განყოფილებები საქონლის ბაზარზე წინ წასაწევად თითქმის მთლიანად ინტერნეტში მუშაობაზე გადაირთვება.

მაგრამ რა ელოდება უახლოეს მომავალში ადგილობრივ ქვეყნებს? ეკონომიკური და ფუტუროლოგიური ლიტერატურა მსგავსი სახის პროგნო-

ზებით სავსეა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ძირითადი პროცესები განსაზღვრული იქნება სამი ძირითადი ცენტრის — აშშ-ის, EU-ის და აზიური ქვეყნების ახლა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ჯგუფის მიერ, რომელსაც უხელმძღვანელებს ჩინეთი ანდა იაპონია. ინდოეთი, ლათინური ამერიკა, ახლო და შუა აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნები, ასევე რუსეთი უახლოეს ათწლეულებში ვერ შეძლებენ განმსაზღვრელი გავლენის მოხდენას მსოფლიოსამეურნეო სისტემის განვითარებაზე. აფრიკა, ალბთ, ამ პერიოდში კვლავ ეკონომიკურად ჩამორჩენილი დარჩება.

XXI საუკუნის დამდეგს აშშ ვერ შეძლებს გააგრძელოს თავისი უპრეცენდენტო 90-იანი წლების ეკონომიკური ზრდა. მისი საფონდო ბაზარი რიგ სერიოზულ კორექციებს საჭიროებს, ვიდრე მდგრადი ზრდა განახლდება. აშშ-ის წილი მსოფლიო მშპ-ში რამდენადმე შემცირდა და პროპორციულად იკლებს მისი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა. დოლარი შევიწროვდება და ადგილს დაუთმობს მრავალი ქვეყნის სავალუტო რეზერვებში ევროს. თუმცა აშშ მთელი პროგნოზირებადი პერიოდის (სადღაც XXIს-ის შუამდე) განმავლობაში მტკიცედ შეინარჩუნებს მსოფლიო ლიდერობას. ისტორიული და ბუნებრივი პირობების წყალობით აშშ სხვა განვითარებულ ქვეყნებზე მეტად იქნება დაინტერესებული მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციით და ლიბერალიზაციით. ამიტომ აშშ-ის გავლენის ქვეშ მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციები ყველა ღონით შეეცდებიან მოხსნან სავაჭრო ბარიერები, ყველანაირი დაბრკოლება კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობის გზაზე. მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის ორგანიზაციის ძირითადი მიზნები პრაქტიკულად ემთხვევა აშშ-ის და ტრანსეროვნული კაპიტალის მიზნებს.

EU-ის პირობითი სიმძლავრე გაიზრდება. უახლოეს ათწლეულებში იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდება ფედერალურ სახელმწიფოდ. მისი საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდება. EU-ის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მოდერნიზებული კათოლიციზმი და ევროპული პროტესტანტიზმი, რომელიც კათოლიციზმის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშაა. EU-ის ეკონომიკური სიმძლავრე უფრო გაიზრდება კათოლიკური ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხარჯზე, რომლებიც კავშირში შედიან. თუმცა გერმანიის როლი, რა თქმა უნდა, იქნება წამყვანი. საუკუნის დასაწყისი აღინიშნება EU-სა და აშშ-ს შორის ბრძოლით ლათინური ამერიკისთვის. აქ EU შეავიწროვებს აშშ-ს, დაეყრდნობა რა ლათინოამერიკული ქვეყნების ესპანეთთან და პორტუგალიასთან ცივილიზაციურ სიახლოვეს. პირენეის ქვეყნების საშუალებით EU სულ უფრო ძლიერ გავლენას მოახდენს ლათინო-

ამერიკული ქვეყნების ეკონომიკაზე, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი უზარმაზარია. გერმანია ხელს შეუწყობს EU-ის კავშირების განვითარებას აღმოსავლეთ ევროპასთან, CIS-ის ქვეყნებთან და, რაც მთავარია, რუსეთთან. რუსეთის დაახლოება EU-თან, რაც ძალზე შესუსტდა 90-იანი წლების ბოლოს, უახლოეს პერიოდში გაძლიერდება.

EU სოციალური ეკონომიკის ერთგული დარჩება, რომელიც უკვე საუკუნის დამდეგს გვიჩვენებს თავის მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას და აშშ-ის ლიბერალურ ეკონომიკასთან კონკურენციის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, EU შეინარჩუნებს პროტექციონისტული საგარეო ეკონომიკური ზომების საკუთარ სისტემას, მიუხედავად აშშ-ის ამყოლი საერთაშორისო ორგანიზაციების წნეხისა. სხვათა შორის, აშშ-ის გავლენა ამ ორგანიზაციებზე უკვე მალე უდავო გახდება.

EU-ის უდიდესი კონკურენტები ევრაზიულ კონტინენტზე *ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები* გახდებიან. აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდება ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აიქ-ების ლიდერ იაპონიას შორის. თუკი იაპონია შეძლებს ჩინეთთან მყარი ეკონომიკური კავშირის დამყარებას, მაშინ აზიური კავშირი ეკონომიკური სიმძლავრის მიხედვით EU-სა და აშშ-ს სწრაფად გადააჭარბებს. ამ შემთხვევაში გამძაფრდება ბრძოლა რუსეთსა და CIS-ის ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად. მძლავრი აზიური ეკონომიკური კავშირი, რომელსაც არ ექნება ადეკვატური ეკონომიკური ხელისუფლება და პოლიტიკური გავლენა, ამისთვის იბრძოლებს. XXI საუკუნეში ეს შეიძლება გახდეს დაძაბულობის ძირითადი წყარო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება განვჭვრიტოთ ტრანსატლანტიკური ეკონომიკის შემდგომი განვითარება და EU-ისა და აშშ-ის ტრანსატლანტიკური კავშირის შექმნა. ჩამოყალიბდება ორპოლუსიანი სამყარო, რომელშიც ევროპულ ცივილიზაციას კონკურენცია ექნება აზიურთან.

თუმცა უფრო სავარაუდოა სხვა სცენარი. აშშ ძალას არ დაიშურებს იმისათვის, რომ კომუნისტური ჩინეთი ძალიან არ გაძლიერდეს. ჩინეთი, რა თქმა უნდა, მშპ-ის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე გავა, მაგრამ მისი საერთაშორისო გავლენა XXI საუკუნის პირველ ნახევარში შეზღუდული იქნება. აზიაში ლიდერობისთვის ბრძოლა, რომელიც ამერიკელების მიერ იქნება წაქეზებული, აზიური კავშირის შექმნას ხელს შეუშლის. იაპონია აზიური აიქ-ის ლიდერად დარჩება, ხოლო ჩინეთი თავის გავლენას გაავრცელებს ვიეტნამზე, ლაოსზე, კამბოჯასა და CIS-ის ზოგიერთ ქვეყანაზე. ამგვარად, აზიაში კონკურენცია ექნება ორ ეკონომიკურ ბლოკს, ხოლო მსოფლიო მთლიანობაში იქნება ოთხპოლუსიანი.

წამყვან ეკონომიკურ ბლოკებს შორის მეტოქეობის და კონკურენციის შენარჩუნებისას, რომელთაც აშშ, EU, ჩინეთი და იაპონია უხელმძღვანელებენ, მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტენდენცია იქნება *გლობალიზაცია* და ერთიანი სისტემის შემდგომი ზრდა, რომელსაც ჩვენ *მეგაეკონომიკას* ვუწოდებთ. ცალკეულ ქვეყანათა ეკონომიკურ სისტემებს შორის სხვაობა თანდათან შემცირდება. პრობლემათა სულ უფრო მეტი რაოდენობა მოითხოვს ზეეროვნულ დონეზე გადაწყვეტას. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო და უფრო იგრძნობს თავს ერთიან ცივილიზაციად. ეროვნული განსხვავებები მათთვის მეორე რიგში გადაიწევს და მთლიანობაში კულტურის სფეროში გადავა. დედამიწის მოსახლეობის ეს ნაწილი დაკავშირებული იქნება არა იმდენად თავისი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკასთან, რამდენადაც მეგაეკონომიკურ პროცესებთან. ამიტომ ეროვნული ეკონომიკების მეტოქეობის პრობლემები დროთა განმავლობაში დაკარგავს თავის სიმძლავრეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აღქმაში.

დაბოლოს, შეგვიძლია ორი დასკვნის გამოტანა.

1. მომავალში გაგრძელდება ბრძოლა ტრანსეროვნულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. თანდათანობით შეიქმნება ზეეროვნული რეგულირების ორგანოები, რომლებიც, ერთი მხრივ, დაარეგულირებს მეგაეკონომიკის ტრანსეროვნული კაპიტალის არამდგრადობის ზოგიერთ გამომწვევ მოძრაობებს, მეორე მხრივ — თავის თავზე აიღებს ეროვნულ სახელმწიფოთა ფუნქციების ნაწილს, რითაც რამდენადმე შეზღუდავს მათ სუვერენიტეტს.

2. პერსპექტივაში მსოფლიო ოთხპოლუსიან სტრუქტურას მიიღებს. ეკონომიკური განვითარების წამყვანი ცენტრები იქნება აშშ, EU, ჩინეთი და იაპონია აღმოსავლეთაზიური ქვეყნების ჯგუფთან ერთად. უახლოეს ოც წელიწადში ლიდერობას შეინარჩუნებს აშშ, მაგრამ EU შეძლებს მნიშვნელოვნად შეავიწროვოს იგი სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე.

24.3. რუსეთის მომავალი

როგორც ჩანს, რუსეთი XX საუკუნეში საკმაოდ დაზარალდა. უმძიმესი მსოფლიო და სამოქალაქო ომები, რეპრესიები და ემიგრაცია — ყოველივე ამან ერს ძალა გამოაცალა და დაღუპა

უამრავი გამბედავი და ენერგიული ადამიანი. გასული საუკუნის კოშმარულ განსაცდელს გადაურჩნენ ისინი, ვინც შეძლო შეგუება და ძალიან არ გაურისკავს. ამან ქვეყნის *გენეტიკურ პოტენციალში განსაზღვრული გადანაცვლება* გამოიწვია.

ყოველი შერყევის შემდეგ რუსეთი ყველაზე განათლებული და შემოქმედი ადამიანების დიდ ჯგუფებს კარგავდა. პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების შემდეგ განადგურდა ან სამშობლო დატოვა თავადაზნაურობის და ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. რეპრესიათა და წმენდების დროს დაიღუპა ახალი კომუნისტური ელიტის საუკეთესო ნაწილი. მეორე მსოფლიო ომში ქვეყანამ ფანტასტიკური დანაკარგები განიცადა, მილიონობით ადამიანი დაიღუპა. განადგურდა მთელი ქალაქები — რუსული კულტურის კერები. ომის შემდეგ ქვეყანა დატოვა ინტელიგენციის მრავალმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა. 90-იანი წლების ემიგრაციამ „წაიღო" ქვეყნიდან ათეულობით ათასი ნიჭიერი მეცნიერი და ასობით ათასი ყველაზე გამბედავი და ენერგიული ადამიანი.

პარადოქსულია, მაგრამ ყოველი ასეთი დანაკარგის შემდეგ რუსეთი თავის თავში პოულობდა ძალებს აღსადგენად. ომებში დაღუპულთა და დახვრეტილ თანამემამულეთა ადგილს იკავებდნენ სხვა კლასების წარმომადგენლები და მოსახლეობის ჯგუფები. საოცარია, მაგრამ ისინი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე არანაკლებ ნიჭიერები და შემოქმედნი. მაგალითად, 30-იან წლებში პრაქტიკულად განადგურდა წითელი არმიის მთელი სამეთაურო შემადგენლობა, მაგრამ, ომის დროს სწრაფად გაიზარდა ასობით ნიჭიერი მხედართმთავარი, რომელთაც შეძლეს დაემარცხებინათ ვერმახტის შესანიშნავი გენერალიტეტი. ისე ჩანდა, თითქოს რუსეთის ძალები და ადამიანური რესურსები უსაზღვრო იყო. თუმცა 80-იანი წლების დამდეგიდან ერის დაღლილობა შესამჩნევი გახდა. ეყოფა კი რუსეთს ძალა ნახტომისთვის? გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ეყოფა. მაგრამ მეტისმეტად თავის მოტყუება არ ღირს. ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დღეს ქვეყანა უმძიმეს კრიზისს განიცდის, და არა მარტო ეკონომიკურს. მოსახლეობამ სახელმწიფოს მიმართ რწმენა დაკარგა, ამის გარეშე კი რუსეთის არსებობა შეუძლებელია. ამიტომ *ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ ნდობის აღდგენა.*

ვინაიდან რუსეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ძალიან ბევრია დამოკიდებული პრეზიდენტის პიროვნებაზე და მის პოზიციაზე. რუსეთის განვითარების გზის არჩევანი — მომიტევეთ უნებური კალამბურისთვის — ვ. პუტინზეა დამოკიდებული.

რომ განჭვრიტო მომავალი, უნდა შეისწავლო წარსული. პროგნოზისთვის სხვა საიმედო მეთოდი ჯერ არ მოუგონებიათ. თუკი, როგორც ხშირად ამტკიცებენ, მსოფლიო გიგანტური თეატრია, მაშინ ღმერთს, მსგავსად დედამიწაზე ცნობილი მბრძანებლებისა, უყვარს ერთი და იმავე პიესის ბევრჯერ ყურება სხვადასხვა მსახიობითა და ორიგინალური სარეჟისორო გადაწყვეტილებებით. როგორც უნდა იყოს, ძირითადი სასიუჟეტო ხაზების განმეორებადობა მსოფლიო ისტორიაში ბევრ მეცნიერსა და მწერალში ეჭვს არ იწვევს. დიახ, ისტორია მეორდება ხან ფარსის, ხან კი რაიმე საოცარი სახით.

იმისათვის, რომ როგორღაც ჩავიხედოთ რუსეთის მომავალში, ვცადოთ შევადაროთ XVIII საუკუნის დიდი ფრანგული რევოლუციის სიუჟეტი რუსეთის ახლანდელ დემოკრატიულ რევოლუციას, რომლის ბოლოსაც, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს მივუახლოვდით.

1789 წელს, მაისში, საფრანგეთის მეფემ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თავისდა საუბედუროდ, მოიწვია გენერალური შტატების ყრილობა, რომელმაც მაშინვე თავი გამოაცხადა ეროვნულ კრებად. ოპოზიცია, ყოფილი აბატის სიიესის ხელმძღვანელობით, რომელმაც უარყო თავისი წოდება, ახერხებს წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას. ზუსტად ორი საუკუნის შემდეგ, 1989 წლის მაისში, სსრკ-ის სრულძალაუფლებიანმა მმართველმა, გენერალურმა მდივანმა, მ. გორბაჩოვმა „მიჰყვა რა თავის ბედისწერას", შეკრიბა სახალხო დეპუტატთა ყრილობა. რეგიონთაშორის სადეპუტატო ჯგუფში გაერთიანებულმა ოპოზიციამ პარტიის ოლქკომის ყოფილი პირველი მდივნის ბ. ელცინის ხელმძღვანელობით, რომელმაც უარყო თავისი კომუნისტური პრინციპები, დაიწყო ბრძოლა პარტიული პრივილეგიების ლიკვიდაციის ლოზუნგით.

1791 წელს მეფე პარიზიდან გარბის. მეფის ძმები და მეფესთან დაახლოებული პირნი ცდილობენ მოაწყონ გადატრიალება შეუზღუდავი მონარქიის დასაბრუნებლად, მაგრამ მეფეს აპატიმრებენ და ჯერჯერობით რბილად აბრუნებენ პარიზში, სადაც ხელისუფლება საკანონმდებლო კრების ხელში გადადის. ხოლო რუსეთში 1991 წელს მ. გორბაჩოვი მიემგზავრება ფაროსში, ამ დროს კი მისი თანამოღვაწენი წარუმატებლად ცდილობენ ხელისუფლება პარტიისთვის დაებრუნებინათ. მათი უნიჭო მცდელობა მარცხს განიცდის და წლის ბოლოს ყველა სახელმწიფო უფლებამოსილებანი რუსეთის უმაღლესი საბჭოს და პრეზიდენტ ბ. ელცინის ხელში გადადის, რომელიც ჯერ კიდევ ამ საბჭოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

1793 წელს საფრანგეთის რევოლუცია იწყებს „თავისი შვილების შეჭმას". ყოფილი თანამოაზრეები თანმიმდევრობით აგზავნიან ერთმანეთს

გილიოტინაზე. XX საუკუნემ აშკარად შეარბილა წესები და ესროლეს რა ყოფილ თანამებრძოლებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ ერთობლივად იცავდნენ თეთრ სახლს, კოშკურების ქვემეხებიდან, უკვე გამარჯვებულმა და სრულძალაუფლებიანმა ბ. ელცინმა ისინი შეიწყალა.

1795 წლიდან საფრანგეთში და 1995 წლიდან კი რუსეთში იწყება სტაბილიზაციის პერიოდი, რომელიც ჩამწარდა დაუცხრომელი ამბოხებებით იქ — ვანდეაში და აქ — ჩეჩნეთში. იქაც და აქაც ეს პერიოდი აღინიშნება მექრთამეების, ხაზინის ქურდების ველური ვაჭანალიით, ფრანგული „ოქროს ახალგაზრდობა" გამოწყობილი იყო კაშკაშა კოსტუმებში, სტილეტებით (ერთგვარი ხანჯალი) და ხელჯოხებით, რუსეთში კი „ახალი რუსები" მოგვევლინენ ბორდოსფერი პიჯაკებითა და ოქროს ჯაჭვებით — ყოველივე ეს ხდებოდა თავშეუკავებელი ინფლაციის და საყოველთაო სიღატაკის ფონზე.

დაბოლოს, 1799 წელს უკიდურესობამდე მისული საფრანგეთის ხელმძღვანელი, სწორედ ის ძველი სიიესი, არჩევანს აკეთებს ახალგაზრდა და პატივმოყვარე გენერალ ბონაპარტზე, რომელმაც ეგვიპტეში თავისი არმია მიატოვა და პარიზში მართლაც დროულად ჩამოვიდა. იგი ყოველგვარი მერყეობის გარეშე ერთი თვის განმავლობაში თავის თავზე იღებს ხელისუფლებაზე მთელ პასუხისმგებლობას, 1799 წლის დეკემბერში კი ბონაპარტე ყოვლისშემძლე პირველ კონსულად გამოცხადდება, რაც თანამედროვე რუსეთის რანგების ტაბელში შეესაბამება დაახლოებით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს. რა თქმა უნდა, ვ. პუტინი ნაპოლეონი არაა, მაგრამ არც რუსეთია საფრანგეთი, თუმცა ანალოგია მაინც შეიმჩნევა. სხვათა შორის, კ. მარქსი და ფრ. ენგელსი წერდნენ ნაპოლეონის შესახებ, რომ სწორედ „მან დაასრულა ტერორიზმი". არა, მაინც არ შეიძლება კლასიკოსების დავიწყება.

ნაპოლეონის დიდი პოპულარობის მომტან ლოზუნგს — „არც წითელი ჩაჩები, არც წითელი ქუსლები" — თუ გადავაწყობდით, ორი საუკუნის შემდეგ, დღეს ასეთი იქნებოდა: „არც კომუნისტები, არც რადიკალ-ლიბერალები; არც მემარცხენეები, არც მემარჯვენეები". ეს კი — ძალზე პუტინისებურადაა. თუ განვსჯით მისი განვლილი ცხოვრებისეული გზით, თავდაჭერის მანერითა და საჯარო გამოსვლებით, პრეზიდენტი უფრო ხელისუფალია, ვიდრე ლიბერალი. თუმცა ნამდვილი, არარადიკალურად მემარჯვენე ლიბერალიზმი, რა თქმა უნდა, მისთვის, როგორც ყოველი გონიერი ადამიანისთვის, უცხო არაა.

ისტორიის ლოგიკა, და თუ გნებავთ, ზემოთ მოყვანილი ანალოგია გვარწმუნებს იმაში, რომ პრეზიდენტი *ცენტრისტული გზით* წავა, რომე-

ლიც ერს გააერთიანებს და გააძლიერებს სახელმწიფოს, ბუნებრივია, ყველა თავისუფლების შენარჩუნების სრული გარანტიით. ხელისუფლება აუცილებლად დაიწყებს კომპრომისის ძებნას ლიბერალებსა და ხელისუფალთ შორის, გაივლის რა მძიმე გზას, თითქმის გაუვალ ჩახერგილ ადგილებს, რომლებიც რეფორმების და საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო წლებში დაგროვდა.

დღეს რუსეთის *საგარეო ვალი* დაახლოებით 160 მლრდ დოლარია, რაც მშპ-ის 80%-ს შეადგენს. ლონდონის კლუბის მიერ ვალების შედარებით ხელსაყრელი ჩამოწერის შემდეგაც კი რუსეთი იძულებულია ყოველწლიურად 8–10 მლრდ დოლარის თანხა გადაიხადოს მარტო პროცენტების მიხედვით, ისე რომ ამით ვალი არ შემცირდება. რუსეთის ბანკები 6 მლრდ დოლარ საკუთარ საშუალებებს ფლობენ. ეს „არაფერია" ქვეყნისთვის. საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია მერყეობს 60-სა და 80 მლრდ-ს შორის. ანუ, თუკი გავყიდით ყველა საწარმოს საბაზრო ფასებით, ეს მთელ ვალს მაინც ვერ დაფარავს (თუმცა, რა თქმა უნდა, ნაწილი ვალის მიცემა აქციებით, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია, შესაძლებელია). მოსახლეობას არა მარტო არ მიაქვს ფული ბანკებში, არამედ ინახავს მათ უცხოურ ვალუტაში, რითაც ეკონომიკას ინვესტიციათა ძირითად წყაროს აცლის. საზღვარგარეთ ყოველწლიურად გადის თანხა, რომელიც თითქმის ქვეყნის ბიუჯეტის ტოლია. ჩრდილოვანი ეკონომიკა ბრუნვით გაუტოლდა ნორმალურს, ხოლო დანაკარგი კორუფციისგან 20 მლრდ დოლარს მიუახლოვდა. ასეთია მკაცრი რეალობა.

და მაინც, ეს ეკონომიკური უღრანი ხელისუფლებამ უნდა გაიაროს რაღაც „საშუალედო გზით", ისე, რომ გონივრულად შეახამოს სახელმწიფოებრიობა და ზომიერი ეკონომიკური ლიბერალიზმი. ერთი შეხედვით, ასეთი შეთანხმება თითქმის შეუძლებელია. თუმცა მაინც ვეცდებით, დავსახოთ უახლოესი მომავლის სტრატეგია — შესაძლებელი სოციალურ-ლიბერალური ან ლიბერალურ-სოციალური *კონტურები*, ვისაც როგორც მოსწონს.

მაშ ასე, პირველი ნაბიჯი უდავოდ სოციალისტურია — ძირითადად საექსპორტოდ ორიენტირებული ნედლეულის უმსხვილესი კომპანიების *ნაციონალიზაცია*. სამწუხაროა, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა, ქვეყანა რომ ფეხზე დადგეს. ყველა საუბარი რენტის ამოღებაზე წიაღით სარგებლობისათვის — გადასახადებითა და საექსპორტო ბაჟით — ცარიელი ხმაა, როდესაც, მაგალითად, თვით საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე ღიად აცხადებს, რომ საბაჟოს „გვერდს უვლის" იმპორტირებული ელექტრონიკის 90%. წიაღის გამოყენებაზე ნორმალური კონ-

ტროლი შესაძლებელია მხოლოდ ნაციონალიზაციით: დიახ, ეს სამართლიანია, ვინაიდან საეშვოა, დამაჯერებლად შეიძლებოდეს კერძო პირთა ზღაპრული გამდიდრების დასაბუთება თითქოსდა საერთო ნავთობის, გაზის და ა. შ. ხარჯზე.

რა თქმა უნდა, ხელისუფლება საკანონმდებლო დონეზე უნდა აცხადებდეს, რომ სახელმწიფო სექტორის ზომები მეტად აღარ გაფართოვდება, პირიქით, შეიძლება მხოლოდ შემცირდეს. ყოფილ მფლობელებს კანონის შესაბამისად უნდა დაუბრუნდეთ ყველა დანახარჯი, ამჟამად ნაციონალიზებული საკუთრების შესაძენად რომ დასჭირდათ. იცოდეთ, 90-იანი წლების დამდეგს მათ ბევრი არ დაუხარჯავთ, და კომპენსაცია უნდა იქნეს რესტრუქტურიზებული, თუნდაც ლონდონის კლუბის ვალების რესტრუქტურიზაცის სქემით. იმედია, ისინი უარს არ იტყვიან განვადების პირობებზე, რომლებზეც წავიდნენ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის პრობლემების მიმართ უფრო გულგრილი უცხოელები.

გარდა ამისა, ოცი წლის წინ ბევრად უფრო ნაკლებად კრიტიკულ პირობებში მასშტაბური ნაციონალიზაცია უშიშრად და უმტკივნეულოდ ჩაატარა ისეთმა, უდავოდ საბაზრო ქვეყნებმა, როგორიცაა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვ. მართალია, ათი წლის შემდეგ საწარმოთა ნაწილი კვლავ პრივატიზებულ იქნა, მაგრამ არაფერი გვიშლის ხელს, რომ ჩვენც ასევე მოვიქცეთ.

დღეს რუსეთის საექსპორტო ამონაგები დაახლოებით 80 მლრდ დოლარია. თუკი მხოლოდ საბაზრო-საექსპორტო კომპანიების ნაციონალიზებას მოვახდენთ, მივიღებთ ახალი სახელმწიფო საკუთრების გამოყენებისგან ბიუჯეტში სუფთა შემოსავალს არანაკლებ 35 მლრდ დოლარის ოდენობით. ეს უკვე მნიშვნელოვნად მეტია თანამედროვე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მაგრამ კიდევ ხომ რჩება საკმაოდ დამაჯერებელი შემოსავლები საიმპორტო ბაჟისგან და აქციებისგან, რომელთა შემცირებას, რა თქმა უნდა, არავინ აპირებს.

ამგვარად, ჩვენ უზრუნველვყოფთ სისხლსავსე, იოლად მოსაკრებ და კონტროლირებად საბიუჯეტო შემოსავალს, რომელიც თითქმის 2-ჯერ გადააჭარბებს ამ წლისთვის დაგეგმილს. სახელმწიფო მიიღებს შემოსავალს ძირითადად მკაფიოდ აღნიშნული სახელმწიფო სექტორისგან და ეკონომიკის სხვა სექტორებში ჩარევა მნიშვნელოვნად შემცირდება. ახლა შეიძლება განვახორციელოთ ლიბერალების სანუკვარი ოცნება და *პრაქტიკულად სრულად უარვყოთ წარმოების ჩამხშობი გადასახადების უზრავლესობა.* ამგვარად, პირველის საპირისპიროდ ხდება მეორე, იდგმება საკმაოდ ლიბერალური ნაბიჯი — ფისკალური გადასახადები უქმდება. მთელი

რუსეთი გადაიქცევა ინვესტორებისათვის ძალზე მიმზიდველ, თითქმის უგადასახადო ზონად. ამ ღონისძიებას დაემატება კაპიტალის მოძრაობაზე ყველა შეზღუდვის მოხსნა. სახელმწიფო საკანონმდებლოდ გამოაცხადებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეუხებლობას და კაპიტალის, აგრეთვე — რუსეთში კანონიერად მიღებული შემოსავლის თავისუფალი გატანის შესაძლებლობას. იმავდროულად საიმპორტო ბაჟი მზა საქონელზე იზრდება და კაპიტალის შემოტანა მნიშვნელოვნად მიმზიდველი ხდება, ვიდრე საქონლის იმპორტი.

ლიბერალები სამართლიანად შეგვედავებიან, რომ სახელმწიფო სექტორის ზრდა ნაციონალიზაციისას გარდაუვლად მიგვიყვანს უიმისოდაც გიჟური კორუფციის ზრდამდე. ამიტომ მესამე ნაბიჯის სახით ვთავაზობთ *სახელმწიფო სექტორში საპასუხისმგებლო, მაგრამ არა ხელმძღვანელ პოსტებზე უცხოელი მმართველების მასიგრივ მოწვევას.* შეგახსენებთ, რომ წინა სამი ვარიაგების საიდუმლო შეკრება — რიურიკების დროს კიევის რუსეთში, პეტრეს რეფორმებისას და 30-იან წლებში, საბჭოთა რუსეთის ინდუსტრიალიზაციისას — დამთავრდა დამაჯერებელი წარმატებებით, რასაც ყოველთვის თან ახლდა ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ნახტომისებური ზრდა. დღეს რუსეთს სჭირდება პატიოსანი მოხელეები და მცოდნე მმართველები, რომელთაც უნარი ექნებოდათ მიეცათ ახალი, თუნდაც უცხოური სისხლი კორუფციით გვარიანად დასნებოვანებული რუსი ჩინოვნიკობისათვის. მათი მასობრივი, კრიტიკული მასის შემქმნელი ანტიკორუფციული ქცევა და მმართველობითი კულტურის მოსვლა, კორუფციისგან ზემოთ მოყვანილი დანაკარგების ზომების გათვალისწინებით, იქნება ეკონომიკურად ხელსაყრელი და შეავსებს წინა ორ ნაბიჯს მთლიან საპროგრამო პაკეტამდე.

თანამედროვე მსოფლიოში დიდი ქვეყანა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისე, რომ მკაფიოდ განსაზღვროს და გამოიყენოს თავისი *კონკურენტული უპირატესობანი მსოფლიო შრომის განაწილებასა და მსოფლიო მაგრიგაში. განვითარების რომელ მიმართულებებს* შეუძლია რუსეთისათვის წარმატების მოტანა მსოფლიო არენაზე და მისცემენ თუ არა საშუალებას, დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში?

კიდევ მრავალი წელი უმნიშვნელოვანეს მიმართულებად დარჩება ნედლეულის და ენერგორესურსების ექსპორტი. თუმცა რუსეთს მართებს უფრო ბევრად ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოიყენოს თავისი ნავთობ-გაზის კომპანიების სიმძლავრე. CIS-ის ქვეყნების უზარმაზარი ვალები ნავთობისა და გაზისათვის უნდა გახდეს ამ ქვეყნებში რუ-

სული კაპიტალის ტრანსეროვნული ექსპანსიის ბაზა. ვალებისათვის საჭიროა CIS-ის საწარმოთა აქციების აღება. ეს თანამეგობრობისათვის სავსებით მატერიალურ ბაზარს შექმნის, ბევრად უფრო მტკიცეს, ვიდრე მრავალრიცხოვანი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებია. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დევიზად CIS-ის ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპისა და აზიაში ყოფილი მოკავშირეების მიმართ შეიძლება გახდეს ცნობილი Rand Corporation-ის ორგანიზატორის, აშშ-ის პრეზიდენტის — ტრუმენის სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ 1953 წელს ამბობდა: „ამერიკული ნავთობის მრეწველობა პრაქტიკული თვალსაზრისით აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტია".

უახლოეს მომავალში *რუსეთის შესანიშნავი ტერიტორიული მდებარეობა* შეიძლება გამოვიყენოთ მის მსოფლიო ბაზარში ჩასაწერად. ისტორიულად იგი ჯერ კიდევ კიევის რუსეთის დროიდან იქმნებოდა, როგორც ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ცნობილი ვარიაგთა გზა აერთიანებდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპას ბიზანტიის აღმოსავლეთ იმპერიასთან, რითაც ქმნიდა ერთ-ერთ უმძლავრეს შუასაუკუნეობრივ ბაზარს, რომელშიც აყვავდა ძველი რუსეთის ეკონომიკა.

თანამედროვე პირობებში საუბარი შეიძლება ამ ხიდის აღდგენაზე, როგორც რუსეთის განვითარების ამოსავალ წერტილზე. აკადემიკოსმა ნ. მოისეევმა ცხოვრების ბოლო წლები მიუძღვნა რუსეთისთვის ამგვარი გზის დასაბუთებასა და პროპაგანდას. ინგლისიდან იაპონიამდე გზა ჩრდილოეთის ზღვის გავლით 2-ჯერ მოკლეა და 1,6-ჯერ იაფი, ვიდრე სხვა რომელიმე გზა, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აერთიანებს. ეს გარემოება უკვე დღეს შეიძლება გამოვიყენოთ ფართომასშტაბიანი საზღვაო ტრანსეროვნული გადაზიდვების გასახსნელად. ახალი ჩრდილოეთის გზისთვის საჭირო გახდება სამამულო გემთ- და ყინულმჭრელმშენებლობის განვითარება, ქვეყანაში შემოვა უზარმაზარი ინვესტიციები, რაც გამოაცოცხლებს უფრო უფულობისგან, ვიდრე სიცივისგან გაყინულ რუსეთის ჩრდილოეთს. ჩრდილოეთის ტერიტორიების განვითარებისთვის უმძლავრესი ბიძგი შეიძლება გახდეს მდინარე ინდიგოს შესართავში, ყველაზე აღმოსავლეთში, რუსეთის გაუყინავი პორტის მშენებლობა, რომლის გამოყენება, როგორც ტერმინალისა, ურალის და ციმბირის ნავთობის და სხვა ნედლეულის რესურსების საექსპორტოდ შეიძლება. „მეორე მურმანსკის" შექმნის პირობები იქ შესანიშნავია და კარგადაა ცნობილი ჯერ კიდევ 1927 წლის სახ. გეგმის პროექტებიდან. დადგა დრო ამ შესაძლებლობების რეალიზაციისთვის. პორტი უსტ-ინდიგო შეიძლება გახდეს ყველაზე მსხვილმასშტაბიანი რუსეთის პრო-

ექტი. მისი საშუალებით მოხერხდება რუსეთის სხვა პორტების განტვირთვა, რითაც რუსეთის საექსპორტო გზებს მიეცემა დიდი დამოუკიდებლობა დასავლეთის მეზობლების პოლიტიკისგან, რომლებიც მუდმივად ცდილობენ ნავთობის და გაზის ტრანსპორტირებაზე ფასების გაზრდას. ნ. მოისეევის აზრით, ჩრდილოეთ ურალს მისი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და თავისი გაუყინავი პორტით შეუძლია გადაიქცეს ჩრდილოეთ ქუვეითად, რაც რუსეთის ეკონომიკას განვითარებისთვის ზრდის ახალ წერტილს მისცემს.

პოსტინდუსტრიული განვითარების პერიოდში უკვე არავის ეპარება ეშვი *წარმოების და მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი გაზრდების პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობაში.*

განსაკუთრებულ როლს რუსეთისათვის, ისევე როგორც მანქანათმშენებლობის სფეროში სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის, ასრულებდა და კვლავ ასრულებს *შეიარაღების გაზრდები,* რომელთა წარმოებით რუსეთს ჯერ კიდევ მოწინავე მდგომარეობა უკავია.

2000 წლისათვის შეიარაღების მსოფლიო ბაზრის საერთო ღირებულებითი მოცულობა სპეციალისტების მიერ შეფასებული იყო წელიწადში დაახლოებით 40 მლრდ დოლარად. რუსეთის თავდაცვითი მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით მსოფლიო ბაზარზე შეიძლება 10 მლრდ დოლარამდე ღირებულების იარაღის მიწოდება, თუმცა, როგორც ჩანს, წელიწადში 4 მლრდ დოლარზე მეტი პროდუქციის რეალიზება ვერ მოხერხდება (ამ პროდუქციის მსოფლიო ბაზრებზე წასაწევად მნიშვნელოვანი დანახარჯების პირობებისას).

თუმცა აუცილებელია, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა არ დაიყვანება მხოლოდ იარაღის ექსპორტამდე. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღების მსოფლიო ბაზარი ბოლო წლებში მცირდებოდა, საერთაშორისო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამ თვალსაზრისით რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის შეეძლო უფრო აქტიურად და მრავალმხრივ მიეღო მონაწილეობა საერთაშორისო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ყველა ფორმაში. თუმცა, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში რუსეთის მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროა დავიცვათ, ასე ვთქვათ, „ოქროს შუალედი", როცა საერთაშორისო სამხედრო-ტექნიკური პროექტების რეალიზაციაში ჩართვის ინტერესები რაციონალურად იქნება შეხამებული სამხედრო-სამრეწვლო ბაზის ეროვნული კვლავწარმოების დასაშ-

ვები დონის შენარჩუნების ინტერესებთან და შესაბამისად ქვეყნის ეროვნულ სამხედრო-ტექნოლოგიურ უსაფრთხოებასთან.

მანქანათა და მოწყობილობათა ექსპორტის განვითარების პერსპექტივებს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ, ლაპარკობენ რა ძირითადად ენერგომატარებლების ექსპორტის შესახებ, რომლის წილად რუსული ექსპორტის 45% მოდის.

აღსანიშნავია, რომ მანქანათმშენებლობის პროდუქციის ექსპორტის ღირებულებითი მოცულობა, რომელზეც მოდის ექსპორტის საერთო მოცულობის დაახლოებით 9%, 1999 წელს გაიზარდა 15%-ით. მანქანა-ტექნიკური პროდუქციის ექსპორტის სფეროში დიდი პოტენციალი გააჩნია კომპლექტური მოწყობილობის ექსპორტს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება საზღვარგარეთ რუსული ორგანიზაციების მონაწილეობით სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების აგებას, რაც გამოიხატება დაპროექტებაში, მოწყობილობათა მიწოდებაში, სამშენებლო-სამონტაჟო და საექსპლუატაციო მომსახურების გაწევაში. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ამ სახის საგარეოეკონომიკური საქმიანობის განვითარებას დაკვეთებით უზრუნველყოფს რუსული საწარმოების დიდი უმრავლესობა.

საგარეოეკონომიკური ურთიერთქმედების მსგავსი ფორმა საინტერესოა კიდევ იმ თვალსაზრისით, რომ ჯერ კიდევ სსრკ-ის ჩარჩოებში დაგროვდა მსგავსი თანამშრომლობის საკმაო გამოცდილება მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებთან, სადაც იმ პერიოდში საბჭოთა გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ იქმნებოდა მსხვილი სამრეწველო კომპლექსები, რომელთა ნაწილი დღეს რეკონსტრუქციას საჭიროებს. ზოგიერთ ამ სახელმწიფოში არსებობს სწრაფვა განავითარონ ურთიერთქმედების ამგვარი ფორმები რუსეთის საწარმოებთან მომავალში.

ამ სახის ექსპორტის — სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების დადება ეკონომიკურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე (მაგალითად, ჩინეთსა და სლოვაკიაში აეს-ის აგებაზე, მაროკოში კი — ჰიდროკომპლექსის) — მხარდაჭერის ტრადიციულ ღონისძიებასთან ერთად ბოლო წლებში ჩამოყალიბდა რუსული ორგანიზაციების ფინანსური დახმარების სისტემა, რომელიც ებმება კონკურენციულ ბრძოლაში კომერციული პირობებით საზღვარგარეთ მშენებლობათა შეკვეთების მისაღებად. მაგალითად, მიიღეს სამთავრობო გადაწყვეტილებები სამამულო ექსპორტიორების საკრედიტო და საგარანტიო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც ტენდერებში მონაწილეობდნენ კომერციული პირობებით ჩინეთში უმსხვილესი ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის ასაგებად, ბულგარეთში აეს-ის მო-

დერნიზაციაში მონაწილეობის მისაღებად, ალჟირში გაზგაყვანილობის ასაშენებლად.

ერაყთან, ლიბიასთან, იუგოსლავიასთან თანამშრომლობის აღდგენისა და განვითარებისათვის ჩატარებულია მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაო. სურვილი, აქტიურად ითანამშრომლონ რუსეთთან, როგორც ბოლო მოლაპარაკებებმა დაგვანახა, გამოთქვა ინდოეთმა, ჩინეთმა, ირანმა — ისინი მანქანა-ტექნიკური ნაწარმის ძირითადი დამკვეთნი არიან.

დიდია აგრეთვე რუსეთის ეკონომიკის *აგრარული და საინფორმაციო სექტორის* საექსპორტო პოტენციალი.

თავად ამ საკითხის — აგრარული და საინფორმაციო პროდუქციის ექსპორტის შესახებ — დასმა შეიძლება გეჩვენოთ, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური. დღესდღეობით ხომ რუსეთის სამამულო სასურსათო ბაზრის დაახლოებით ნახევარი და თითქმის მთელი კომპიუტერული ბაზარი საზღვარგარეთული ფირმების მიერ კონტროლდება.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ რუსეთის ეკონომიკის სწორედ ეს სექტორები არის საექსპორტოდ ყველაზე უფრო პერსპექტიული.

აგროსასურსათო ბაზრის ამოცანა — „რეკონკისტი" დაბრუნება, როგორც რუსეთის შიდა ბაზრის აღგენის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი პრობლემა, გამომდინარეობს უშუალოდ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნიდან. შიდა ბაზრის „დაპყრობასთან" ერთად იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოებისათვის, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის სტიმულირებისა და ორგანიზაციის ამოცანის გადაჭრა საექსპორტოდ ყველაზე უფრო პერსპექტიულ დარგებში.

რუსეთის ბუნებრივი პირობები, აგრეთვე ზოგიერთი მოწინავე ქვეყნის ასკ-ის განვითარების გზების შედარება ანალოგიურ პირობებთან საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ სწორედ სამარცვლეულო მიმართულება ფლობს ყველაზე მეტ პოტენციალს რუსეთის სოფლის მეურნეობაში. ამასთან, ქვეყნის საკმაოდ კარგად ორგანიზებულ და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილ მარცვლეულის მეურნეობას შეუძლია არა მარტო მეცხოველეობის უზრუნვლყოფა საკვებით მის დღევანდელ საკმაოდ შემცირებულ ვარიანტში, არამედ მაღალფასიანი სასურსათო მარცვლეულის წარმოება საექსპორტოდ.

მსოფლიო წარმოების ანალიზი და მარცვლეულის მსოფლიო ბაზრის ტენდენციები გვიჩვენებს, რომ რუსეთის მარცვლეულის ექსპორტი — ხორბლის ღირებული ჯიშებისა, შეიძლება საკმაოდ კონკურენტუნარიანი იყოს.

როგორც პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მარცვლეულის ექსპორტი უკვე უახლოეს ათწლეულში შეიძლება გახდეს რუსეთის ექსპორტის ერთ-ერთი წამყვანი მუხლი, რომელიც მასშტაბების მიხედვით შეედრება ნავთობის და გაზის ექსპორტს, მაგრამ ამასთან ერთად იგი დაფუძნებულია შევსებად და ამოუწურავ ბუნებრივ რესურსებზე.

კიდევ უფრო მეტი დაუფასებელი პოტენციალი გააჩნია *საინფორმაციო სექტორს*. ერთი შეხედვით, რუსეთი იმდენად კატასტროფულად ჩამორჩა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რაც ძირითადად კომპიუტერულ ტექნიკას უკავშირდება, რომ მას არ შესწევს კონკურენციის უნარი თვით საკუთარ საინფორმაციო ბაზარზეც კი.

თუმცა, როგორც ვიცით, თანამედროვე გაგებით ეკონომიკის საინფორმაციო სექტორი თავის თავში მოიცავს როგორც მეცნიერების შემადგენელ სფეროებს, განათლებას, საინოვაციო კომპლექსს და ა.შ. ამ განვრცობილი გაგებით იგი უკვე ახლა იძლევა ყველაზე მეტ წვლილს რუსეთიდან „ექსპორტში". რუსეთს ყოველწლიურად ტოვებს ათეულ ათასობით მეცნიერი და სპეციალისტი, რომელთაც თან მიაქვთ დაგროვილი ცოდნა, ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ და ა. შ. სამწუხაროდ, ეს პროცესი, ისევე როგორც კაპიტალის გატანის პროცესი, უშუალოდ ფულადი ფორმით, მიმდინარეობს ჯერჯერობით სრულიად უკონტროლოდ — სახელმწიფო რეგულირების სფეროს გარეშე.

ამგვარად, საუბარია მართვის ინსტიტუტების შექმნასა და საინფორმაციო რესურსების განვითარებაზე. ეს ინსტიტუტები შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი ორგანიზაციულად, საკუთრების ფორმათა მიხედვით, მაგრამ უნდა რეგულირდებოდეს სახელმწიფოს მიერ და რუსეთის სახელმწიფო ინტერესებით ხელმძღვანელობდეს.

შესაბამისი ორგანიზაციის პირობებში უნიკალურ რუსულ მეცნიერებას და განათლების დონეს უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან შეხამებით და გლობალური კომპიუტერული ქსელების ფართო გამოყენებით შეუძლია რუსეთისთვის უზრუნველყოს ღირსეული ადგილი მსოფლიო საინფორმაციო გაერთიანებაში.

არსებითად, რუსეთის განვითარებას წარმოების საინფორმაციო საშუალების და საინფორმაციო საზოგადოების მიმართულებით ალტერნატივა არა აქვს, თუკი არ ჩავთვლით ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაზე გადასვლას.

ყველა მოწინავე ქვეყანა გადადის „ინფორმაცია ტევადი" პროდუქტების წარმოებაზე, რაც ნიშნავს ინოვაციათა, დიზაინის, მარკეტინგის და სხვა საინფორმაციო შემადგენლების წილის ზრდას მის ღირებულებაში.

მოწინავე ქვეყნების რიგებში დასაბრუნებლად რუსეთმა უმოკლეს ვადებში უნდა ჩაატაროს *წარმოების საინფორმაციო საშუალებაზე გადასვლა* და შემდგომში მსოფლიო საინფორმაციო ბაზრებზე გაჭრა. შეცდომა იქნებოდა, გვეცადა განვითარებული ქვეყნების გზის გამეორება ინფორმატიზაციის სფეროში. ყველაფერი, რაც უკვე მიღწეულია მსოფლიო საზოგადოების მიერ, საჭიროა ავითვისოთ ერთობლივი მეწარმეობის მექანიზმების საფუძველზე.

რუსეთი საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას უნდა ცდილობდეს მონაცემთა ინტელექტუალური ბაზებით, საექსპერტო სისტემებით და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიებით, რომლებიც ქვეყნის ყველაზე ძლიერ მხარეს იყენებს — მის მაღალ სამეცნიერო-ტექნიკურ და ინტელექტუალურ პოტენციალს.

მსოფლიო ბაზრებზე გასვლისას რუსეთი უნდა შეეცადოს დაეყრდნოს უკვე საკმაოდ დიდ და გავლენიან რუსულ დიასპორას. დღეისათვის ემიგრაციის ბოლო სამი ტალღიდან უკვე ამოკრისტალდა ტრანსეროვნული რუსების ფენა, რომელსაც მიჰყავს ბიზნესი რუსეთში და საზღვარგარეთ. ახლა ძალიან ხშირად რუსეთშია განლაგებული წარმოება, ფულს სესხულობენ ნიუ-იორკში, ფინანსური ნაკადები გატანილია ლუქსემბურგში, ხოლო საკუთების უფლებათა უზრუნველყოფის მექანიზმის რეალიზება ხდება ლიხტენშტეინის ან ირლანდიის სატრასტო სქემების მეშვეობით.

დამახასიათებელი მაგალითი. რუსულმა კომპანიამ — „პარაგრაფმა“ შეიმუშავა ხელნაწერი ტექსტის გამოცნობის კომპიუტერული სისტემები. ვინაიდან მან რუსეთში გასაღების ბაზარი ვერ იშოვა, ფირმის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს კომპანიის ორგანიზება აშშ-ში. ინვესტორი მესამე ქვეყანაში იპოვეს. შედეგად აიგო ასეთი ტრანსეროვნული ბიზნესს სტრუქტურა: წარმოება—რუსეთში; სათავო კომპანია ოფშორში — ბაჰამის კუნძულებზე; მარკეტინგული სტრუქტურა — კალიფორნიაში.

სქემა — რუსული ნოუ-ჰაუ და წარმოება, ინტერნაციონალური ბიზნეს-სტრუქტურა და მსოფლიო ფინანსური რესურსები — შეიძლება პერსპექტიული გახდეს რუსეთის ძალიან ბევრი პატარა TNC-თვის მეცნიერებისა და ინფორმაციის სფეროში. ტრანსეროვნული რუსები, რომელთაც რუსეთთან კავშირი არ გაწყვიტეს, თავის კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად რუსეთში დააარსებენ ერთობლივ ტრანსეროვნულ კორპორაციებს, რომლებიც გამოიყენებენ რუსეთის მეცნიერების სიიაფეს და დასავლურ ბაზრებში საკუთარ ცოდნას. ვაჭრობის ძირითადი

საგანი გახდება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით საქმის ცოდნით გაფორმებული პატენტები და ლიცენზიები გამოგონებაზე. ბევრი კორპორაცია დასპეციალდება დასავლეთ TNC-ის შეკვეთების შესრულებაზე სამეცნიერო კვლევების შესახებ, პროგრამული პროდუქტების შექმნაზე და ა. შ. უახლოეს მომავალში შეიძლება ვივარაუდოთ რუსული ვენჩურული, საინფორმაციო, ინტერნეტული, კონსალტინგური და სამეცნიერო-საკონსტრუქტორო TNC-ების მძაფრი განვითარება. აღვნიშნავთ, რომ საინფორმაციო საზოგადოებაში სწორედ ასეთ TNC-ებს ეკუთვნის მომავალი.

რუსული კაპიტალისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწრაფად განმტკიცდეს ინტერნეტის ბაზარზე. ელექტრონული ვაჭრობის ინტერნეტ-კომპანია eBuy ჯერ კიდევ სამი წლის წინ ღირდა 250 ათასი დოლარი, ხოლო ახლა — უკვე 40 მლრდ დოლარი. ასეთ კომპანიებში რუსეთში არსებული კაპიტალის გაგზავნით შეიძლება მოკლე ვადებში მათი მრავალჯერადი გაზრდა და მსოფლიო დონის კორპორაციების შექმნა.

საინფორმაციო სფეროში ექსპანსიური გეგმების შესასრულებლად აუცილებელია მნიშვნელოვნად გადაიხედოს სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა და წამყვანი ორგანიზაციების ბაზაზე ამ სფეროში შეიქმნას მძლავრი ტრანსეროვნული კორპორაციები, რომელთაც უნარი ექნებათ გადაჭრან ინფორმატიზაციის შიდასახელმწიფო ამოცანათა მთელი სპექტრი და გამოუშვან საინფორმაციო პროდუქტები, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება.

ჩვენ უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ რუსეთის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში უკიდურეს შემთხვევაში უახლოეს მომავალში *მძლავრი რეგიონალური და არა გლობალური ლიდერის ადგილია.* რუსული კაპიტალი, უპირველეს ყოვლისა, შეეცდება თავისი გავლენის გავრცელებას CIS-ის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპის სლავურ ქვეყნებში.

აქ იგი უკვე საკმაოდ ძლიერია. ამის მაგალითია 2000 წლის დამდეგს „სიბირსკი ალუმინის" მიერ უკრაინული ნიკოლაევსკის თიხამიწის ქარხნის ყიდვა. ამგვარი ტენდენციები სხვა დარგებშიც არის. რუსი შაქრის მრეწველები უკვე თვალს ადგამენ უკრაინულ შაქრის ქარხნებს და მათი შთანთქმისთვის ემზადებიან. ენერგეტიკოსები მზად არიან „ვალებით აიღონ" CIS-ის საწარმოთა აქციები.

თუმცა შორეულ საზღვარგარეთში საწარმოო ნაწილების ტრანსნაციონალიზაციით გატანის პროგნოზი, როგორც ჩანს, ნაადრევია. საჭიროა შეგახსენოთ, რომ მსხვილი სახელმწიფოები საერთოდ ნაკლებად მიდრეკი-

ლია ტრანსნაციონალიზაციისაკენ, ვიდრე პატარები. აშშ-ის კორპორაციების ტრანსნაციონალიზაციის ინდექსები ჩვეულებრივ ბევრად დაბალია, ვიდრე, ვთქვათ, შვედეთში ან თვით გერმანიაში, ვინაიდან აშშ უზარმაზარი ქვეყანაა უმძლავრესი შიდა ბაზრით. თუმცა ამერიკულ ტრანსნაციონალიზაციას სურს გამოიყენოს სხვა ქვეყნების იაფი სამუშაო ძალა და ბუნებრივი რესურსები.

რუსებს ამგვარი სტიმული ჯერჯერობით არა აქვთ. ფასი/ხარისხის თანაფარდობით რუსეთს საკმაოდ კვალიფიციური სამუშაო ძალა გააჩნია, რითაც იგი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ქვეყანა ფლობს საკმაო რაოდენობის საკუთარ ბუნებრივ რესურსს. ასე რომ, ყველაფერი ყველაზე იაფი და საუკეთესო ფასების მოცემულ დიაპაზონში არის შინ, მეცნიერების ჩათვლით. შესაძლებელია დისციპლინირებული და კიდევ უფრო იაფი სამუშაო ძალის გამოყენების ერთეული შემთხვევები, მაგალითად ვიეტნამის, მაგრამ საჭიროა ამან ფართო გავრცელება ჰპოვოს.

მაშასადამე, უახლოეს მომავალში *რუსეთის განვითარების საფუძველი შიდა ბაზარი იქნება.* ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიხედვით რუსული კომპანიები ვერ შეძლებენ თანაბარ პირობებში კონკურენცია გაუწიონ უცხოელებს შიდა ბაზარზე. ამიტომ აუცილებელია მათი დაცვა ისევე საიმედოდ. როგორც საკუთარ ბაზრებს იცავენ EU-ის ქვეყნები და იაპონია. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკომპენსაციო გადასახადების აღწერილი მექანიზმი. იმ ქვეყნების მიჯნებზე, რომლებიც რუსეთთან საბაჟო კავშირში შევიდნენ, უნდა აღიმართოს ბარიერები საკომპენსაციო გადასახდელების სქემით. ამასთან, რა თქმა უნდა, კავშირის შიგნით ფასები გაიზრდება, რაც დამატებით მოგებას მისცემს მწარმოებლებს წარმოების გასაფართოებლად. თუკი ასეთი ბაზარი შეიქმნება რუსეთსა და საბაჟო კავშირის ქვეყნებში, მაშინ იგი გახდება იმდენად მიმზიდველი CIS-ის სხვა ქვეყნებისათვის, რომ მათგან ბევრი კავშირთან შეერთებას არ შეანელებს.

უკვე თითქმის წმინდა ფორმალურ CIS-ის ბაზაზე სიცოცხლისუნარიანი რუსეთის ეკონომიკური კავშირის ქვეყნების ჩამოყალიბება რუსეთის ეკონომიკური ძლიერების ზრდის მიხედვით თავისთავად არ მოხდება. აუცილებელია ამ პროცესის სტიმულირება სხვადასხვა ღონისძიებით პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებში. საჭიროა მხარი დავუჭიროთ CIS-ის ქვეყნებში და განსაკუთრებით უკრაინაში პარტიებსა და ელიტურ ჯგუფებს, რომლებიც დადებითად არიან განწყობილნი რუსეთის ეგიდით მტკიცე კავშირზე. აქ დროული იქნებოდა იმის გახსენე-

ბა, რომ უკრაინის რუსეთთან შეერთების წინ, ბოგდან ხმელნიცკის დროს, თითქმის ყველა უკრაინელ პოლკოვნიკს უკვე ჰქონდა სახლები მოსკოვში, მაროსეიკაზე (სახელწოდება „მალოროსიიდან", უკრაინა) და მამულები რუსეთში — მეფის მიერ ბოძებული. ასე რომ, იმ შორეულ დროს რუსეთს შეეძლო დაეყენებინა და მიეღწია კიდეც პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისათვის, ეროვნული ელიტები რუსეთთან „მიება" წმინდა ეკონომიკური ინტერესებით. მოკლედ, წინაპრებისგან სწავლა არ გვაწყენდა.

რუსეთის საგარეოეკონომიკურ პოლიტიკაში უახლოეს ათწლეულებში შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი და შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორიც კი ეკონომიკური გიგანტების კონკურენტული ბრძოლა: ერთი მხრივ, EU-სა და მეორე მხრივ, ჩინეთსა და იაპონიას შორის. ორივე მხარე ძალზე დაინტერესებული იქნება რუსეთის ჩათრევით თავისი ეკონომიკური ინტერესების და თავისი ბაზრების სფეროში. აქ მანევრისათვის უზარმაზარი შესაძლებლობებია და საჭიროა მათი გამოყენება მაქსიმალური ხანგრძლივვადიანი გამორჩენის მისაღებად.

ახლა შეიძლება რუსეთის განხილული მომავლიდან განსაზღვრული დასკვნები გამოვიტანოთ.

1. XX საუკუნის ომებმა და რევოლუციებმა რუსეთის მორალური და გენეტიკური რესურსები გამოფიტა. ნაჩქარევი და გაუაზრებელი რეფორმების შედეგად მოსახლეობის ნდობა სახელმწიფოს მიმართ შეირყა. უახლოეს მომავალში ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი გახდება ამ ნდობის აღდგენა და განვითარების აწონილ-დაწონილი ცენტრისტული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც შეხამებული იქნება ზომიერად ლიბერალური რეფორმები ეკონომიკური პოლიტიკის სოციალურ ორიენტაციასთან.

2. უახლოეს ათწლეულებში რუსეთი გამოვა როგორც რეგიონული ეკონომიკური ლიდერი, რომელიც რუსეთის ეკონომიკური კავშირის შექმნისაკენ ისწრაფვის. რუსეთის ეკონომიკის მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული კორპორაციების სიმძლავრის განმტკიცებაზე. რუსეთის კომპანიებისათვის, გარდა ტრადიციული საინდუსტრიულო და თავდაცვითი მიმართულებებისა, უახლოეს მომავალში პერსპექტიული აღმოჩნდება აგროსასურსათო და საინფორმაციო სფერო, რომლებშიც მოსალოდნელია არა მარტო რუსეთის ბაზრის ათვისება, არამედ მსოფლიო ბაზრებზე წინსვლაც.

დასკვნა

აი, თქვენ უკვე დაამთავრეთ ამ წიგნის კითხვა. ან იქნებ არ დაამთავრეთ და უბრალოდ ჩახედეთ ბოლოს, რათა გაიგოთ, რა უნდა ნახოთ ან, საერთოდ, ღირს კი დროის დაკარგვა ამ ძალიან მძიმე ფოლიანტის წასაკითხად. ამ ორი თანაბრად შესაძლებელი ვარიანტის გამოყენებაზე ერთდროული ორიენტირებით ჩვენ შევეცადეთ ისეთი დასკვნა გაგვეკეთებინა, რომ მისგან ჩვენი თხრობის ძირითადი დასკვნები აშკარა გამხდარიყო და იმავდროულად იგი მთელი წიგნის დაიჯესტად ქცეულიყო, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნიდათ მის შინაარსზე. ამიტომ დასკვნების პუნქტები თავების შესაბამისი იქნება და ჩვენ ერთგვარად მოკლედ გავიმეორებთ განვლილ მასალას. ან იქნებ, პირიქით, გავასწარით იმას, რისი წაკითხვაც მოგიწევთ. ყოველ შემთხვევაში, დასკვნის ყოველი პუნქტიდან ნათელი გახდება, რა გაიგეთ (ან გაიგებთ) შესაბამისი თავის წაკითხვის შემდეგ. მაშ ასე:

1. პირველ თავს ეწოდება „ყველაფერი ეკონომიკის შესახებ". ვიმედოვნებთ, რომ ეს სახუმარო სახელწოდება არც ისე ძალიან დაშორებია მის შინაარსს. მართლაც, ამ თავიდან გაიგეთ ან გაიხსენეთ ყველა ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია: ბაზარი, კაპიტალი, გადასახადები, ფული, მშპ, საკუთრება, ინფლაცია, დევალვაცია, სარგებლიანობა და ათეულობით სხვები. ჩვენ შევეცადეთ გავრკვეულიყავით ძირითად ეკონომიკურ კანონებში. ამასთან არა მარტო იმ კანონებში, რომელთაც ეკონომიკური თეორიის ჩვეულებრივი კურსები ეძღვნება, არამედ „20-80"-ის ტიპის ფუნდამენტურ საერთოსისტემურ კანონებშიც, უზარმაზარი როლი რომ აკისრია, თუმცა ნაკლებ ცნობილია. ახლა თქვენ იოლად შეძლებთ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ეფექტებით და პარადოქსებით სარგებლობას, საუბარში გაკვრით დაეყრდნოთ რა ფილიპსის და ლორენცის მრუდებს, დაუკავშიროთ ლაფერის მრუდი ჩვენს საგადასახადო რეფორმას და თავი გამოიჩინოთ ძირითადი ეკონომიკური თეორიების ცოდნით.

2. მსოფლიო ეკონომიკის ისტორიის ცოდნა საშუალებას მოგცემთ გააანალიზოთ ახლანდელი და მოახდინოთ მომავლის პროგნოზი. მეორე თავში ჩვენ წარმოგიდგინეთ ყველაზე მოკლე, თუმცა ეკონომიკის ისტორიის სრული კურსი — შორეული წარსულიდან დღემდე, გავაერთიანეთ რა ისტორიული პროცესები და ეკონომიკური ევოლუცია ერთად. ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა ბრძოლა ძალაუფლები-

სათვის ადამიანის მიერ შექმნილ ორ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს — სახელმწიფოსა და ბაზარს — შორის. უფრო სწორად, ბრძოლა მიდის ადამიანთა ორ ჯგუფს შორის, რომელთაგან პირველის წევრების ინტერესები დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, ხოლო მეორის — ბაზართან. ამ ბრძოლას ჩვენ თვალი გავადევნეთ მთელი მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური ევოლუციის სპირალზე.

3. რა თქმა უნდა, კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალები და, ამასთან დაკავშირებით, მოიფიქრა არაერთი თეორია, რომელთა ცოდნა ყოველი წიგნიერი ეკონომისტისათვის აუცილებელია. მესამე თავში ჩვენ ამ თეორიების კლასიფიკაცია მოვახდინეთ და გამოვავლინეთ მათი ღირსებები და ნაკლოვანებები. ჩვენ შემოგთავაზეთ მსოფლიო ეკონომიკის ორიგინალური ირაციონალურ-ევოლუციური თეორია. მათ შესაბამისად არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ ტექნოლოგიები, ეკონომიკური ინსტიტუტები და ცივილიზაციები აწარმოებენ ბრძოლას ძალაუფლებისათვის და ეს ბრძოლა საფუძვლად უდევს ტექნოლოგიურ, ინსტიტუციონალურ და ცივილიზაციურ ევოლუციას. მსოფლიო სამეურნეო განვითარების ტრაექტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რამდენიმე ტალღისებრი პროცესის — ეკონომიკური კონიუნქტურის მოკლე ტალღების, ტექნოლოგიური და სტრუქტურულ-ტექნოლოგიური კონდრატევის ტალღების, აგრეთვე ინსტიტუციონალური, ეკონომიკურ-პოლიტიკური და გრძელი ცივილიზაციური ტალღების სუპერპოზიცია.

4. მე-4 თავში წარმოდგენილია ორიგინალური კიბერნეტიკული მიდგომა, რომელიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მოწყობას ხსნის. XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ძირითადად საინფორმაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიების განვითარების გავლენით გლობალიზაციამ მსოფლიო ეკონომიკას შესძინა ერთიანი ორგანიზმის (მეგაეკონომიკის) მრავალი თვისება, რითაც პლანეტარული თვითრეგულაციის მექანიზმების პატრონი გახდა. დედამიწის რომელიმე წერტილში წარმოშობილ ამბოხებას ან სპონტანურ ცვლილებას, გამოჰყავდა რა იგი წონასწორობიდან, რაც სწრაფად ვრცელდებოდა მთელ პლანეტაზე საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, იწვევდა საპასუხო, მის მაკომპენსირებელ რეაქციებს. ამგვარად ხორციელდებოდა გლობალური რეგულირება და საერთო პლანეტარული წონასწორობის შენარჩუნება. ამგვარი ტიპის საკონპენსაციო მექანიზმები შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვადასხვა სფეროში — იდეოლოგიაში, ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებში, მოხმარებასა და გასაღებაში, საქონლისა და მომსახურების ბაზ-

რებში, ფინანსურ ბაზრებში, დაგროვებასა და ინვესტირებაში, სამუშაო ძალაში, მეცნიერებასა და ინოვაციებში, ეკოლოგიაში, კვლავწარმოებით პროცესებში. თითოეულ ამ სფეროში ისინი ქმნიან უკუკავშირების კონტურებს, რომლებიც დამახასიათებელია რთული თვითრეგულირებადი სისტემებისათვის.

5. მე-5 თავში აღწერილი მეგაეკონომიკის ძირითადი ფაქტორებად ამჟამად გვევლინებიან სახელმწიფოები, ტრანსეროვნული კაპიტალი, საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონალური ორგანიზაციები და ბლოკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეგაპოლისები და მსხვილი ინდივიდუალური მეწარმეები. XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ტრანსეროვნული კაპიტალი TNB-ის და TNC-ის სახით ეკონომიკური ძალის თვალსაზრისით სახელმწიფოების ტოლდიდი გახდა. დღეს ეროვნული სახელმწიფოების განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსები საკმარისი არაა ტრანსეროვნული კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესაკავებლად და რეგულირებისათვის, რაც ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკებისათვის შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ეკონომიკური ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული თანამედროვე მსოფლიო-მოწყობამ მკაფიოდ გამიჯნა სამყარო მდიდარ ცენტრად და ღარიბ პერიფერიად. ცენტრი აწარმოებს ძვირფას მეცნიერებატევად საქონელს, ახალ ტექნოლოგიებს, მომსახურებას და ცვლის მათ იაფ მასობრივ და სანედლეულო საქონელზე, რომელთაც პერიფერიული ქვეყნები ამზადებს. გარდა ამისა, მდიდარი განვითარებული ქვეყნები იზიდავს მსოფლიო საუკეთესო ინტელექტუალურ რესურსებს და იღებს განვითარებადი ქვეყნებიდან უზარმაზარ თანხებს მათთვის მიცემული კრედიტებისათვის პროცენტების სახით. ამიტომ გარღვევა ცენტრსა და პერიფერიას შორის დროთა განმავლობაში იზრდება.

6. მე-6 თავში დაწვრილებითაა აღწერილი ტრანსეროვნული კაპიტალის განვითარების ძირითადი ტენდენციები. ტრანსნაციონალიზაცია თავისთავად წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელს, რომელიც უზრუნველყოფს კერძო კაპიტალის ქვეყანათშორის გადინებას და კვლავწარმოებითი პროცესების ცალკეული ნაწილების რაციონალურ განაწილებას პლანეტარული მასშტაბით. ტრანსნაციონალიზაციისას კვლავწარმოებითი პროცესების ცალკეული ნაწილები ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დახმარებით (FDI), რომელთაც მიაკუთვნებენ იმ ინვესტიციებს, რომლებიც კეთდებოდა საზღვარგარეთ ფილიალების ორგანიზაციის ან უცხოურ კომპანიებზე კონტროლის დაწესების მიზნით, თანდათანობით

დამოუკიდებლები რომ ხდებოდა. FDI-ებს ძირითადად ტრანსეროვნული კორპორაციები ახორციელებს, რაც ტრანსნაციონალიზაციის საფუძველია. TNC-ების როლი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში უზარმაზარია. ისინი ამა თუ იმ ზომით მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს აკონტროლებს. საქონლით, მომსახურებით და განსაკუთრებით ტექნოლოგიებით მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება TNC-ების არხებით და არსებითად შიდაკორპორაციულ ვაჭრობას წარმოადგენს. კორპორაციათა ტრანსეროვნულ საქმიანობას წარმატებით ეხმარება ტრანსეროვნული ბანკები, რომელთაც მთელ მსოფლიოში ქალიშვილ-ბანკების, განყოფილებების და ფილიალების განშტოებული ქსელი აქვს. ტრანსეროვნული კაპიტალი სწრაფადგანვითარებად ოფშორულ ბიზნესს ემყარება. ბევრმა ქვეყანამ თავისთვის მოიწყო „საგადასახადო ნავსაყუდელი" ტრანსეროვნული კაპიტალისათვის, რომელიც ფართოდ გამოიყენება TNC-ების მიერ საგადასახადო დაბეგვრის შემცირებისათვის. ოფშორები უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თანამედროვე ეკონომიკის ლიბერალიზაციისათვის, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოების რეგულირების შესაძლებლობებს ამცირებს.

7. მეგაეკონომიკის წარმოქმნისას უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა გლობალიზაციის ტექნოლოგიებმა, რომელთა შორის მოწინავე და წამყვანია საინფორმაციო ტექნოლოგიები. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა თავისთან უკვე შექმნეს საინფორმაციო საზოგადოებები, რომლებშიც ადამიანთა დიდი ნაწილი მომსახურების სფეროშია დასაქმებული (პოსტინდუსტრიული საზოგადოების ნიშანი), მასში კი წამყვანია საინფორმაციო მოღვაწეობასთან დაკავშირებული მომსახურება. წარმოიშვა ეკონომიკის მძლავრი საინფორმაციო სექტორი, რომელსაც განვითარებული ქვეყნების მშპ-ში ყველაზე მეტი წვლილი შეაქვს. ამ სექტორის ბირთვია საინფორმაციო ინდუსტრია, ხოლო მის წიაღში ყალიბდება ინტერნეტ-ეკონომიკა, რომელიც უკვე შეიჭრა ეკონომიკური საქმიანობის ბევრ ტრადიციულ სფეროში. მე-7 თავში დაწვრილებითაა აღწერილი ეკონომიკის ინფორმატიზაციის ძირითადი ტენდენციები და მისი გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე.

8. მსოფლიო სამეურნეო სისტემის გლობალიზაციაში უდავოდ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სატრანსპორტო ტექნოლოგიები, რომელთაც ეძღვნება მე-8 თავი. XX საუკუნეში მარტო სატრანსპორტო დანახარჯების 12-ჯერ შემცირებამ საშუალება მისცა მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებს გამხდარიყო გლობალური. ვიმედოვნებთ, რომ თქვენ შეგექმნათ საკმაოდ სრული წარმოდგენა ტრანსპორტის ძირითადი სახე-

ების შესახებ. ესენია: სარკინიგზო, საავტომობილო, შიდა საწყალოსნო, საზღვაო და საჰაერო. უახლოეს წლებში ჭარბი იქნება ავტოტრანსპორტით მომსახურების ზონის შემდგომი გაფართოების ტენდენციები, აგრეთვე იმატებს კონტეინერული გადაზიდვების რიცხვი, შეიქმნება სატრანსპორტო კომპანიების ალიანსები, რომლებიც საკუთარ კლიენტებს ტრანსპორტის ყველა სახეობის კომპლექსური მომსახურებით უზრუნველყოფენ.

9. მეგაეკონომიკის არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია არა მარტო საინფორმაციო და სატრანსპორტო, არამედ გლობალური საბაზრო ტექნოლოგიებიც, რომლებიც აღწერილია მე-9 თავში. საბაზრო ინსტიტუტები და ტექნოლოგიები ბაზრის არსს შეადგენს. ეკონომიკური ევოლუციის პროცესში ხდება ბაზრების დივერსიფიკაცია უფლებებისა და საქონლის მიხედვით, რაც წარმოქმნის სულ უფრო ახალ ურთიერთდაკავშირებულ ბაზრებს. მეგაბაზრებისათვის დამახასიათებელი ხდება არა საკუთრების უფლებების გაყიდვის, როგორც ადრე, არამედ ცალკეული დამოუკიდებელი უფლებების და უფლებების კომპლექსის გაყიდვის საბაზრო ტექნოლოგიების. ლოკალური ბაზრები გლობალიზაციის საბაზრო ძალების და ტექნოლოგიების ზემოქმედებით და სპეკულანტთა და მეარბიტრეთა აქტიური მონაწილეობით ერთიანდება და გლობალურ მეგაბაზრებს ქმნის. მოთხოვნა და მიწოდება მეგაბაზრებზე უმეტესწილად ყალიბდება არა ფუნდამენტური ეკონომიკური წანამძღვრების გავლენით, არამედ სპეკულაციური განწყობების ზემოქმედებით. ამასთან, თუკი ადრე ეს დამახასიათებელი იყო მხოლოდ ფინანსური ბაზრებისათვის, ახლა ასე ხდება სასაქონლო ბაზრებზეც. მოთხოვნა და მიწოდება (და, მასაშადამე, ფასებიც) მეგაბაზრებზე ძირითადად ყალიბდება დერივაციული მეგაბაზრების სპეკულაციურად განწყობილი მონაწილეების მოდელური წარმოდგენების გავლენით.

10. სახელმძღვანელოს მესამე განყოფილება ეძღვნება მსოფლიო ეკონომიკის სარესურსო ბაზას. ტრადიციულად ეკონომიკის რესურსებს მიაკუთვნებენ — ბუნებრივს, სანედლეულოს, ფინანსურს და სხვებს, რომლებიც იოლად ექვემდებარება ფულად შეფასებას. თუმცა თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარებისათვის უფრო მნიშვნელოვანი ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსები აღმოჩნდება ხოლმე. წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებამ თავისი შრომის შედეგად გამოათავისუფლოს საკმარისი თავისუფალი დრო ტექნოლოგიების სრულყოფისათვის, მეორე,

ჰქონდეს ამ დროს გადაცემის ჩაშენებული ეფექტიანი მექანიზმები ნიჭიერი ადამიანების ხელში, რომელთაც მიდრეკილება ექნებათ მეცნიერების, ტექნიკური და საორგანიზაციო ინოვაციების მიმართ და მესამე, რომ მოცემული საზოგადოების ცივილიზაცია იძლეოდეს სტიმულს ეკონომიკური განვითარებისათვის. მე-10 თავში გაანალიზებულია ცივილიზაციის სხვადასხვა ტიპი, უმნიშვნელოვანესი მსოფლიო რელიგიები და ფილოსოფიური სისტემები ეკონომიკურ განვითარებაზე მათი გავლენის პოზიციიდან. თანამედროვე პირობებში ეკონომიკური პროცესების გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია კაცობრიობის უკვე მნიშვნელოვანი ნაწილის ცივილიზაციური იდენტურობის პროდუცირებას ახდენს.

11. ძალაუფლებისათვის ბრძოლის შედეგები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი მამოძრავებელია, ჩვეულებრივ განმტკიცებულია კანონების სახით სამართლებრივ სისტემებში. მე-11 თავში აღწერილი ფორმალური ინსტიტუტები ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსის როლს ასრულებს. ჩვენს მიერ ხაზგასმული სახელმწიფოს და ბაზრის მუდმივ ბრძოლაში საჯარო უფლება ძირითადად მიეკუთვნება სახელმწიფოს ინტერესების სფეროს, ხოლო კერძო უფლება ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის რეგლამენტირებას ახდენს. ზოგადი სამართლის სისტემა თითქმის ავტომატურად ამცირებს სახელმწიფოს როლს, რომლის წილად უამრავი სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე ბაზრის მიერ დადგენილი წესების დახმარება რჩება. იმავდროულად კონტინენტური უფლება ფართო შესაძლებლობებს უხსნის სახელმწიფოს ეკონომიკურ პროცესებში ჩასარევად. აქ არ შეიძლება იმის თქმა, რომელი სისტემაა უკეთესი. ეს არის ბაზრის განვითარების ორი სხვადასხვა გზა, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა კულტურასა და სამართლებრივ პრინციპებზე.

12. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ბუნებრივ რესურსებს, რომლებიც მე-12 თავშია გადმოცემული. აქ განსაზღვრულ პარადოქსს აქვს ადგილი: ერთი მხრივ, კაცობრიობის მთელი სიმდიდრე, როგორც ჩანს, ყალიბდება ბუნებრივი რესურსების და სასარგებლო წიაღისეულის საფუძველზე, ხოლო, მეორე მხრივ, ამ წიაღისეულის საბაზრო შეფასება ფრიად უმნიშვნელოა და ღირებულებით სრულიადაც არ შეესაბამება იმ როლს, რომელსაც ისინი ასრულებენ მსოფლიო მშპ-ის ჩამოყალიბებაში. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის კვლავწარმოებითი პირამიდა ფართოვდება ქვევიდან ზემოთ. ის თითქოსდა დგას თავის მწვერვალზე, შემდეგ მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის ბაზრების უფრო ფართო ფენა და ბოლოს მრავალჯერ მას-

ზე ჭარბი ფინანსური ბაზრები მომსახურების ბაზრებთან ერთად. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები ძირითადად განლაგებულია ჩვენი გადატრიალებული პირამიდის ქვედა ნაწილში, ხოლო განვითარებულების — ზედაში. პირამიდის ფართობის კვეთა შეესაბამება ამ ჯგუფების ქვეყნების ბაზრების ამოქმედებულ სიმძლავრეებს და შესაბამისად მათი მშპ-ის შედარებით მოცულობებს.

13. თანამედროვე ეკონომიკა ორიენტირებულია საქონლის წარმოებაზე. ბაზარი მუდმივად საჭიროებს მოხმარებას და იგი თანდათან ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებიდან გადავიდა მათ ჩამოყალიბებაზე. თავის დამოუკიდებელ ევოლუციურ განვითარებაში იგი თავად იქმნის არსებობის გარემოს, მოსახლეობის სულ ახალ-ახალი მოთხოვნების პროდუცირებით. ამ თვალსაზრისით ბაზარი ძალიან ემსგავსება თავის ძირითად ოპონენტს — სახელმწიფოს. ბაზარი თვითგანვითარებაში ბადებს მოხმარების საზოგადოებას და ამ უკანასკნელს უბიძგებს დახარჯოს ყველა თავისი რესურსი მოხმარების უსასრულო პირამიდის აგებაზე, ხოლო სახელმწიფო საზოგადოების კონტროლის გარეშე სწრაფად გადადის თავისი მოთხოვნების თვითმომსახურებაზე, ბაზრის ნიველირებითა და კერძო მომხმარებლების ინტერესების უგულებელყოფით. მე-13 თავში გაანალიზებულია საქონლის და მომსახურების ყველა ძირითადი მსოფლიო ბაზარი. გამოვლენილია მათი განვითარების ძირითადი ტენდენციები. მათგან უმნიშვნელოვანესია განვითარებული ქვეყნების გადასვლა წარმოების პოსტინდუსტრიულ საშუალებაზე, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა მომსახურების სფეროს უკავია. თანამედროვე ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალაა კონკურენცია ინტელექტუალური რესურსებისათვის და მათთან დაკავშირებული ინოვაციური შესაძლებლობანი. ამასთან საუბარი ეხება არა მარტო ტექნოლოგიურ, არამედ ორგანიზაციულ და მართვის ინოვაციებს, რომელთა მატარებლები მენეჯერები არიან. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ცალკეულ პირებს, კომპანიებს, ქვეყნებსა და ეკონომიკურ სისტემებს შორის.

14. უმნიშვნელოვანესი და სულ უფრო მზარდი ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკაში ფინანსურ რესურსებს, რომლებიც მე-14 თავში დაწვრილებითაა გაანალიზებული. მასში აღწერილია თანამედროვე ფინანსური სისტემის სტრუქტურა, ყველა მისი ძირითადი მონაწილე და მსოფლიო ფინანსური ბაზრები. ახლა თქვენთვის ცნობილია, თუ ვის რამდენი ფული აქვს მსოფლიოში და როგორია თითოეული ფინანსური ბაზრის მოცულობა. გაანალიზებულია ფინანსური ბაზრების განვითარების ძი-

რითადი ტენდენციებიც. მსოფლიო ფინანსურ სისტემას შეადგენს სახელმწიფოები, ქვეყნების მოსახლეობა, საწარმოები, ბანკები, არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციები (სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო, საინვესტიციო, სასესხო და ჰეჯირების ფონდები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სავალუტო, საფონდო, საკრედიტო, სადაზღვევო, საგექსილო და დერივატიული ბაზრებით. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა ეკონომიკის ფინანსიზაცია. ფინანსურ ბაზრებს შორის ჯერჯერობით სავალუტო ბაზარი ლიდერობს. ამ სფეროში მნიშვნელოვანი მსოფლიო ტენდენციებია ეროვნულ ვალუტათა დაჯგუფებები სამი წამყვანი ვალუტის — დოლარის, ევროს და იენის — გარშემო და ამ ვალუტათა მძაფრი კონკურენცია ქვეყნების სავალუტო რეზერვებში ადგილისათვის. თანამედროვეობის ერთ-ერთ ძალზე საინტერესო ფენომენია ევროვალუტის ბაზარი, რომელიც წარმოიქმნა კაპიტალის გაქცევის შედეგად თავისი წარმოშობის ქვეყნებიდან. ევროვალუტის ბაზარი დღეს თავისუფალი სავალუტო საშუალებების ყველაზე მსხვილი და იაფი წყაროა. მისი მხარდაჭერა და გაფართოება ხდება TNC-ის საკრედიტო ემისიის მეშვეობით. საფონდო ბაზრები იყოფა აქციების და ობლიგაციების ბაზრებად დაახლოებით ამ შესაბამისობით: 45-55%. როგორც ერთი, ისე მეორე ბაზრის ნახევარი აშშ-ზე მოდის. აქციათა ბაზრის მნიშვნელობა ფინანსურ ბაზრებს შორის გამუდმებით იზრდება. ამერიკული აქციების მძაფრი ზრდა XX საუკუნის ბოლოს იზიდავს მთელი მსოფლიოს ფინანსურ რესურსებს, აკავებს აშშ-ში ინფლაციას, უზრუნველყოფს ამერიკის ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდას, მაგრამ იმავდროულად მსოფლიო ფინანსურ სისტემას ანიჭებს არამდგრადობას და ქმნის წანამძღვრებს მსოფლიო ფინანსური კრიზისისათვის.

15. მეოთხე განყოფილება ეძღვნება მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ პრობლემას. მე-15 თავში განხილულია განვითარების უთანაბრობის საკითხები და მოცემულია კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური პრობლემების კლასიფიკაცია. წინააღმდეგობის ტიპების მიხედვით გლობალური პრობლემები შეიძლება დავყოთ პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად. პოლიტიკურ გლობალურ პრობლემებს მიაკუთვნებენ მშვიდობის, განიარაღების, დემილიტარიზაციის და კონვერსიის, ლოკალური კონფლიქტების და ომების, აგრეთვე საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებს. ძირითადი გლობალური ეკონომიკური პრობლემებია — ტრანსეროვნული კაპიტალის და ეროვნული სახელმწიფოების დაპირისპირება, ასევე ერთმანეთს შორის სახელმწიფოთაშორისი ბლოკების, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების დონეებს

შორის განსხვავების გაღრმავება, მდიდარი ჩრდილოეთის და ღარიბი სამხრეთის მძაფრი უთანაბრობის პრობლემა, გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების მზარდი ვალის პრობლემა. გლობალურ სოციალურ პრობლემებს მიაკუთვნებენ შემოსავლების, სიღარიბის და სიღატაკის, შიმშილის და ნარკომანიის პრობლემებს. უთანაბრობა მსოფლიოში უდავოდ იზრდება. საზოგადოების პოლარიზაცია მატულობს. სიმდიდრე გროვდება ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფების ხელში. თუმცა სწორედ ასეთი ეკონომიკის და საზოგადოების ორგანიზაცია საშუალებას იძლევა რესურსების კონცენტრირება მოვახდინოთ ყველაზე უფრო პერსპექტიული და ხელსაყრელი მიმართულებებით. მთელი მისი ხილვადი უსამართლობისას ბაზრით სტიმულირებულ ბრძოლას ეკონომიკური ძალაუფლებისათვის კაცობრიობა მიჰყავს საერთო პროგრესისაკენ. კაცობრიობის საერთო ეკონომიკური სიმძლავრე, აგრეთვე მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და დონე მთლიანობაში სწორედ ხელისუფლებისათვის სასტიკი და უკომპრომისო ბრძოლის წყალობით იზრდება, რაც საბაზრო სისტემითაა ინიცირებული.

16. გლობალურ მსოფლიოში ჩნდება მთელი კაცობრიობისათვის საერთო ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც დემოგრაფიულთან ერთად მე-16 თავშია განხილული. ყველაზე მძაფრი გლობალური ეკოლოგიური პრობლემებია — კლიმატის დათბობა, ოზონის ფენის დარღვევა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება და გარემოს დაბინძურება. გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა ძევს მდგრადი განვითარების გადასასვლელ გზაზე, რაც გულისხმობს კაცობრიობის და ბუნების ერთობლივი თანაევოლუციური განვითარების უზრუნველყოფას. დემოგრაფიულ პრობლემებში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი შემადგენელი: ზრდა, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება.

17. წარმოქმნილი მძაფრი გლობალური პრობლემებისათვის კაცობრიობის პასუხი იყო ომისშემდგომ მსოფლიოში საერთაშორისო ორგანიზაციათა სისტემების შექმნა, რომლებიც მიმართული იქნებოდა ამ პრობლემების გადასაჭრელად. მე-17 თავში დაწვრილებითაა გაანალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენს მიერ დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად: ა) ორგანიზაციები, რომლებიც განკუთვნილია კომპლექსური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად. აქ შედის გაერო-ს სისტემის ორგანიზაციები, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო და სხვა; ბ) ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებს და საერთაშორისო სავალუტო-ფინანსურ ურ-

თიეროობებს (მსფ, მსოფლიო ბანკის ჯგუფი და სხვ.); გ) ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებს სასაქონლო ბაზრებს და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს (WTO, OPEC და სხვ.); დ) რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები (ჩრდილო ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ასოციაცია, EU და სხვ.). თითოეული ჯგუფის ყველა ორგანიზაცია დაწვრილებითაა აღწერილი, ხოლო მათი ფუნქციები და ურთიერთმოქმედება წარმოდგენილია მოსახერხებელი და თვალსაჩინო ფორმით სქემებში.

18. სახელმძღვანელოს მეხუთე განყოფილება ეძღვნება ქვეყნების აღგილს მსოფლიო ეკონომიკაში. მე-18 თავში მოცემულია ქვეყნების და სახელმწიფოების დაწვრილებითი და მრავალსპექტრიანი კლასიფიკაცია. ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნების დასაჯგუფებლად არის: ცივილიზაციის ტიპი და არსებული ცივილიზაციური რესურსები; ინსტიტუციონალური რესურსები და სახელმწიფო ძოწყობა: ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების ეფექტიანობა; ძირითად ეკონომიკურ წყობათა თანაფარდობა ეკონომიკაში; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები (მშპ-ის მიმართება მსოფლიოსადმი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე და სხვ.); სოციალურ-დემოკრატიული განვითარების მაჩვენებლები. სახელმწიფოები, და ეს ცნება, როგორც უკვე იცით, სულაც არაა გაიგივებული ქვეყნებთან, კლასიფიცირებულია ჩვენს მიერ სახელმწიფოს „ხვედრითი წონის" მიხედვით ეკონომიკაში; სახელმწიფოთა სოციალური მიმართულებებით; მათი გახსნილობით გარე ბაზრებისათვის; სახელმწიფო სექტორის როლით ეკონომიკაში; ბიუროკრატიზაციის და კორუფციის ხარისხით სახელმწიფო აპარატში. ამავე თავში ასახულია ყველა ინტეგრაციული წარმონაქმნი მსოფლიო ეკონომიკაში.

19. ქვეყნის ჩვენეული ანალიზის განმასხვავებული ნიშანია ცივილიზაციური და ინსტიტუციონალური რესურსების გამოყოფა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორების სახით. მე-19 თავი ეძღვნება დღეს მსოფლიო ეკონომიკის ერთპიროვნულ ლიდერს — აშშ-ს. ამერიკული ცივილიზაცია, დაფუძნებული პროტესტანტულ ეთიკაზე, ფილოსოფიურ პრაგმატიზმსა და ეკონომიკურ ლიბერალიზმზე, აღმოჩნდა ოპტიმალური რესურსი ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტიპისათვის, რომელიც ემყარებს ცოდნასა და ინოვაციებს. აშშ-ში ხელისუფლებათა და „შეზღუდვების და დაბალანსების" სისტემების დაყოფის პრინციპების საფუძველზე შეიქმნა ინსტიტუციონალური გარემო, რომელიც საიმედოდ იცავდა თითოეული მოქალაქის უფლებებს და საკუთრებას, ამასთან, ახდენდა მათი სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას. აშშ-ის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხანგრძლივი

ევოლუციის პროცესში იპოვა მოცემული ეტაპისთვის ოპტიმალური ტექნოლოგიური განვითარების შეხამება კერძო და სახელმწიფო ინტერესებთან, რამაც ამერიკული ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდა გამოიწვია. XXI საუკუნის დამდეგს მტკიცე ლიდერი — აშშ-ის ეკონომიკა მთელი მსოფლიო ეკონომიკის წინაშე ახალ პერსპექტივებს ხსნის. იგი საკუთარი მაგალითით ამტკიცებს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ეფექტიანობას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ორიენტაციით, ეკონომიკური ზრდის საინფორმაციო ტიპს, კრეატიულ კორპორაციებსა და „ახალ ეკონომიკას". იმავდროულად აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკაში შეიმჩნევა რიგი ნეგატიური ტენდენციები. ამერიკული საფონდო ბაზარი, როგორც ჩანს, „გადახურდა" და უკვე არსებობს ფინანსურ ბაზარზე შესაძლებელ კრიზისულ სცენართა წარმოშობის სიგნალები, მეტისმეტად ძლიერი დოლარი მიმზიდველს ხდის იმპორტს და აკავებს ექსპორტს, რის შედეგადაც მძაფრდება ძველი ამერიკული პრობლემები სავაჭრო და საგადასახდელო ბალანსების დეფიციტებით.

20. ჩვენ გვიწერია გავხდეთ მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული, დიდებული და ფანტასტიკური ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესების მოწმე — საუკუნეობით მტრული ევროპის თანდათანობითი გაერთიანებისა პრაქტიკულად ერთიან ფედერალურ სახელმწიფოდ. EU-ის განვითარების ტენდენციებს და პრობლემებს ეძღვნება მე-20 თავი. დღეისათვის ევროპული კავშირი უკვე გახდა ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალით, დაახლოებით აშშ-ის და იაპონიის შეჯამებული პოტენციალის ტოლი და ეკონომიკის აშკარად გამოხატული პოსტინდუსტრიული სტრუქტურით. EU-ის კონტინენტური ქვეყნების ეკონომიკური მოდელები ატარებს სოციალურად ორიენტირებულ ხასიათს. მათთვის დამახასიათებელია მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის მაღალი ხვედრითი წონა (დაახლოებით 50%), სახელმწიფოს აქტიური როლი ეკონომიკაში და საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო სექტორი. ბოლო წლებში ამ ქვეყნის უმრავლესობის ხელისუფლებაში არის სოციალისტური მთავრობები. თუმცა გლობალური მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს პრაგმატულად თუ მივუდგებით, ისინი ატარებენ ლიბერალურ რეფორმებს, რომლებიც სახელმწიფოს როლს ამცირებენ. დიდ ბრიტანეთში შექმნილია ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, რომელსაც შუალედური მდგომარეობა უკავია ამერიკულსა და კონტინენტურს შორის. EU-ის ეკონომიკა დღეს აღმავლობის გზაზეა, თუმცა იგი ძირითადად გამოწვეულია ექსპორტის ზრდით აშშ-სა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და სუსტი ევროთი. EU-ში, ისევე როგორც აშშ-ში, უკვე

შექმნილია ახალი ეკონომიკა, რომელიც მაღალტექნოლოგიურ საწარმოებს აერთიანებს. მნიშვნელოვანი ახალი ტენდენციაა EU-ის და აშშ-ის ეკონომიკათა შეზრდა და ახალი ტრანსატლანტიკური ეკონომიკის წარმოქმნა. სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში EU ჯერჯერობით კონკურენტებს ჩამორჩება. თუკი ევროპული ქვეყნები მოახერხებენ მათ მიერ ჩაფიქრებული რეფორმების განხორციელებას და ეკონომიკის საინფორმაციო სექტორს განავითარებენ, მაშინ ახალი ევროპული ფედერაცია შეძლებს უახლოეს მომავალში მსოფლიო ლიდერი გახდეს.

21. იაპონურმა ეკონომიკამ, რომელსაც 21-ე თავი ეძღვნება, XX საუკუნეში მოახდინა წარმოუდგენელი ნახტომი საშინელი ჩამორჩენილობიდან მსოფლიო ლიდერობამდე. იაპონიის ძირითადი სიმდიდრეა არა ბუნებრივი რესურსები და სასარგებლო წიაღისეული (ისინი საკმაოდ მწირია), არამედ ცივილიზაციური რესურსები, რომელიც ეფუძნება კონფუციანურ-ბუდისტური ფასეულობებით ნაკარნახებ დაჟინებულ კოლექტიურ შრომას, სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ პატივისცემას, უცხოური ინოვაციების ამთვისებლობასა და სრულყოფილების მიღწევას ყოველ კონკრეტულ საქმეში. ამ რესურსების გამოყენებით ქვეყანამ შეძლო შეექმნა „იაპონური სასწაული" და გამხდარიყო ეკონომიკური სიმძლავრის მიხედვით მსოფლიოში მეორე სახელმწიფო. 90-იანი წლების მძლავრი კრიზისების შემდეგ, რაც წამყვან ეკონომიკურ სახელმწიფოებს შორის კონკურენტული ბრძოლის გამძაფრების გამოვლინების შედეგი იყო, იაპონური ეკონომიკა თანდათანობით ცოცხლდება. ამჟამად იგი წარმოადგენს არა პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას, როგორც აშშ და EU, არამედ უფრო ზეინდუსტრიულს. მისი სუსტი წერტილია დამოკიდებულება ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე, ხოლო ძლიერი — უზარმაზარი შიდა ბაზარი და შესანიშნავად განსწავლული, კვალიფიციური სამუშაო ძალა.

22. XX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში მსოფლიო ეკონომიკის ცისკიდურზე გამოჩნდა პირველი სიდიდის ახალი ვარსკვლავი — დიადი ჩინეთი. ჩინური სასწაულის მიზეზების და ჩინური ეკონომიკის განვითარების ტენდენციების აღწერას ეძღვნება 22-ე თავი. გიგანტური დემოგრაფიული, ბუნებრივი და ცივილიზაციური რესურსები ჩინეთისგან უკვე ქმნის მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ პოტენციურ ლიდერს. ხოლო XX საუკუნის ბოლოს რეფორმების მსვლელობისას ნაჩვენები ეკონომიკური განვითარების დინამიკა საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ მისი გამოსვლა სალიდერო პოზიციებზე უკვე 2020-2030 წლებისათვის. ჩინეთი ფლობს უზარმაზარ დემოგრაფიულ და წარმატებული ეკონომიკური გან-

ვითარების სრულიად საკმარის ბუნებრივ რესურსებს. გარდა ამისა, მას განვითარების მნიშვნელოვანი ცივილიზაციური რესურსები აქვს. ჩინური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი მოქნილობა, ტრადიციული ფასეულობების რეინტერპრეტაციის უნარი თანამედროვეობის სულისკვეთებით, უწყვეტი თვითგანახლება, უცხოური გავლენის შემოქმედებითი აღქმა ეროვნული ტრადიციების საფუძველზე. სწორედ აქაა დაფარული ჩინური რეფორმების და ჩინური ეკონომიკური სასწაულის წარმატების საიდუმლო. ჩინეთის ეკონომიკური მოდელის დამახასიათებელი ნიშნებია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოში, სახელმწიფო სექტორის მაღალი ხვედრითი წონა, რომელზეც ეკონომიკის დაახლოებით 60% მოდის, ასევე კერძო სექტორის სწრაფი განვითარება და მძლავრი შიდა ბაზრის განვითარებაზე ორიენტაცია, ეკონომიკის მაღალი გახსნილობა და მასში თავისუფალი ეკონომიკური ზონების დიდი როლი, ეკონომიკურ განვითარებაში ჩინურ დიასპორაზე დაყრდნობა, რომელიც სიამოვნებით ახდენს უზარმაზარი საშუალებების ინვესტირებას ქვეყნის განვითარებისათვის.

23. 23-ე თავში მოცემულია განვითარებადი ქვეყნების — აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკის და აფრიკის — ეკონომიკური განვითარების ანალიზი. ამ ქვეყნების წარმატებებს და წარუმატებლობებს ჩვენ დიდწილად ვუკავშირებთ არსებულ ცივილიზაციურ და ინსტიტუციონალურ რესურსებს. მაგალითად, ინდოეთის ბუნებრივი და ცივილიზაციური პოტენციალი ძალზე დიდია, მაგრამ ინდური მენტალიტეტი ცუდად ესადაგება თანამედროვე ბიზნესს და ინდოეთი, რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა, ძალიან ღარიბი მოსახლეობით რჩება. იმავდროულად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ეკონომიკური მოდელის წარმატება უზრუნველყო რეგიონის ხალხების ცივილიზაციური რესურსების ეფექტიანმა გამოყენებამ, სახელმწიფოს და ბიზნესის მოწესრიგებულმა პარტნიორობამ, სწორად განლაგებულმა ეკონომიკურმა პრიორიტეტებმა, განვითარებად ქვეყნებში ექსპორტზე ორიენტაციამ და უზარმაზარი უცხოური საინვესტიციო რესურსების მოზიდვამ. თუმცაღა მთლიანობაში განვითარებადმა ქვეყნებმა მაინც ვერ შეძლეს მოახლოვებოდნენ განვითარებულებს. თუკი 1950 წელს განვითარებული ქვეყნები მშპ-ის დონით აჭარბებდნენ განვითარებადებს 1 სულ მოსახლეზე 6,7-ჯერ, 2000 წელს ეს მაჩვენებელი გახდა 6,6.

24. მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის ადგილი (თავი 24) დიდათაა განპირობებული მისი გიგანტური ბუნებრივი და საკმაოდ თავისებური

ცივილიზაციური რესურსების ეფექტიანი გამოყენებით. რუსული ცივილიზაცია ფლობს მრავალ სპეციფიკურ, ხშირად წინააღმდეგობრივ ნიშნავს, ისეთებს, როგორიცაა სახელმწიფოებრიობა, კოლექტივიზმი, კონსერვატიზმი, ეროვნული შემწყნარებლობა, საინოვაციო მზაობა, ადაპტაციური უნარი და სხვ., რომლებიც სხვადასხვა პირობებში შეიძლება როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას ახდენდეს ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობაზე. თანამედროვე რუსეთში წარმოიქმნა საკმაოდ თავისებური ეკონომიკური მოდელი უზარმაზარი ძალაუფლებით, რომელიც პრეზიდენტის ხელშია კონცენტრირებული, ჩინოვნიკობით, რომელიც ეკონომიკის მოგების ყველა ცენტრს აკონტროლებს, გიგანტური კორუფციითა და ჩრდილოვანი ბაზრით, საგარეო ვალის დიდი ტვირთით და გადაუხდელობებით, ჩამოუყალიბებელი საბაზრო ინსტიტუტებითა და სუსტი ფინანსური სისტემით. თუმცა უკვე ახლა მოხდა საბაზრო ეკონომიკის მოდელის რეალიზება თავისუფალი მეწარმეობით, ჭარბი კერძო სექტორით, ეკონომიკაში გეგმიური დიქტატის გარეშე. ლიბერალური რეფორმების თანმიმდევრული გატარება ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების პირობებში საშუალებას მისცემს რუსეთს დაიკავოს მსოფლიო ეკონომიკაში მისთვის შესაფერისი ადგილი.

25. დაბოლოს, უკანასკნელ თავში ჩვენ შევეცადეთ ჩაგვეხედა მსოფლიო ეკონომიკის და ჩვენი ქვეყნის მომავალში. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური პროგრესის ზემოქმედებებით ვითარდება. წამყვან როლს შეასრულებს ისეთი სფეროები, როგორებიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები, ახალი მასალები, გენური ინჟინერია, მედიცინა და ეკოლოგია. მომავალში გაგრძელდება ბრძოლა ტრანსეროვნულ კაპიტალსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. თანდათანობით შეიქმნება ზეეროვნული რეგულირების ორგანოები, რომლებიც, ერთი მხრივ, დაარეგულირებს ტრანსეროვნული კაპიტალის ზოგიერთი არამდგრადობის გამომწვევ მეგაეკონომიკის მოძრაობას, მეორე მხრივ კი — თავის თავზე აიღებს ეროვნული სახელმწიფოების ნაწილის ფუნქციას და ამით რამდენადმე შეზღუდავს მათ სუვერენიტეტს. პერსპექტივაში მსოფლიო მიიღებს ოთხპოლუსიან სტრუქტურას. ეკონომიკური განვითარების წამყვანი ცენტრები იქნება აშშ, EU, ჩინეთი და იაპონია აღმოსავლეთაზიური ქვეყნების ჯგუფით. უახლოეს 20 წელიწადში აშშ ლიდერობას შეინარჩუნებს, მაგრამ EU შეძლებს მნიშვნელოვნად შეავიწროვოს იგი სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე. უახლოეს ათწლეულში რუსეთი გამოვა როგორც რეგიონული ეკონომიკური ლიდერი, რომელიც საკუთარი ეკონომიკური კავშირის შექმნისკენ ისწრაფვის.

აბრევიატურები

AISA	ანდის ჯგუფი (ანდის პაქტი)
APEC	აზიურ-წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობა
ASEAN	სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია
BSEC	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა
CACEU (UDEAC)	ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი
CACM	ცენტრალურამერიკული საერთო ბაზარი
CAEU	არაბული ეკონომიკური ერთიანობის საბჭო
CARICOM	კარიბის თანამეგობრობა და კარიბის საერთო ბაზარი
CIS	დამოუკიდებელი სახელწიფოების თანამეგობრობა
COMESA	აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი
CSPRS	კომისია წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ქვეყნებისათვის
ECO	ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
ECOWAS	დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამეგობრობა
EEA	ევროპის ეკონომიკური სივრცე
EFTA	თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია
EU	ევროკავშირი
FAO	სასურსათო და აგრარული ორგანიზაცია
FDI	უცხოური პირდაპირი ინვესტიციები
IAEA	ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ICJ	საერთაშორისო სასამართლო
IDA	განვითარების საერთაშორისო ასოციაცია
IFAD	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
IFC	საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IMO	საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
INCB	ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის საერთაშორისო საბჭო
ITC [UNCTAD/WTO]	საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი
ITU	ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი
LAFTA	თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ზონა
MERCOSUR	სამხრეთის საერთო ბაზარი
MIGA	საინვესტიციო გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო
NAFTA	თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული ზონა

OAS	ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია
OAU	აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია
OEAF	ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის აგრარული ფონდი
OEC	ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OECS	აღმოსავლეთ კარიბის სახელმწიფოთა ორგანიზაცია
OPEC	ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია
PPP	მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
SADC	განვითარების სამხრეთაფრიკული თანამშრომლობა
SPF	სამხრეთწყნაროკეანური ფორუმი
TFTA	
TNB	ტრანსეროვნული ბანკები
TNC	ტრანსეროვნული კორპორაციები
UDEAC [CACEU]	ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი
UN	გაერო
UNCTAD	ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენცია
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNESCO	განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გაეროს ორგანიზაცია
UNEP	გარემომცველი სამყაროს გაეროს პროგრამა
UNIDO	გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია
UNPCP	ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის გაეროს საერთაშორისო პროგრამა
WAEMU	დასავლეთაფრიკული ეკონომიკური და საბაჟო კავშირი
WFP	მსოფლიო სასურსათო პროგრამა
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
WIPO	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
WMO	მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია
WPU	მსოფლიო საფოსტო კავშირი
WTO [Trade]	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
WTO	ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია

ცნობები ქართული გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრების შესახებ

შოთა ვეშაპიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი — სახელმძღვანელოს მთარგმნელი და მთავარი რედაქტორი (I, II ტომი).

ნანა ასლამაზიშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი და სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკისა და ინფორმაციის განყოფილების უფროსი — სარედაქციო კოლეგიის წევრი (I ტომი), მთავარი რედაქტორის მოადგილე (II ტომი).

ამბროსი გრიშიკაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი, მუშაობს ეროვნულ ბანკში — მთავარი რედაქტორის მოადგილე (II ტომი).

ეკა ლეკაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი — მთავარი რედაქტორის მოადგილე (I ტომი), სარედაქციო კოლეგიის წევრი (II ტომი).

ალექსანდრე ლონდარიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი — სარედაქციო კოლეგიის წევრი (I ტომი).

ნინო პაპაჩაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი — მთავარი რედაქტორის მოადგილე (I ტომი), სარედაქციო კოლეგიის წევრი (II ტომი)

ეკა სეფაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი — სარედაქციო კოლეგიის წევრი (I ტომი).

А. Г. Мовсесян, С. Б. Огнивцев

МИРОВАЯ ЭКОНОМИКА
Учебник

Перевел на грузинский язык
главный редактор грузинского издания
доктор экономических наук , профессор
Ш. Вешапидзе

გამომცემლობის რედაქტორი:	*მარიამ ჯანიკაშვილი*
ტექნიკური რედაქტორი:	*მარინე პაპუჩელაშვილი*
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	*თამარ ბარათაშვილი*

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ვერჟე“-ს სტამბაში.

ტირაჟი 400